ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 01[illegible]

ცნობარი

1

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

წელიწადი 65-ე № 1 იანვარი, 1990 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი აღთქმა — სახარება მათესი. თარგმანი ძველ ბერძნულიდან 3

პროზა, პოეზია

ანა კალანდაძე — ინება ცამან. ლექსი 44
მუხრან მაჭავარიანი — ლექსები 45
თამაზ ჩხენკელი — ლექსები 47
ტაძარს — ლექსი მთავარეპისკოპოს კალისტრატესი 50
თამაზ ჯიგლაშვილი — გართლომეს ღამე. მოთხრობა 51
გესიკ ხარანაული — ლექსები 84
მაია სარიშვილი — ლექსები 89
თამარ გოთუა, ალიჭანდრე გოთუა — თავგადასავალი ლევან გოთუასი . . 91

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გრიგოლ აბაშიძე — მონოლოგი დიალოგიდან. ესაუბრა კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი 111
ნათელა ონაშვილი — „ნატვრის ხე" 122
თენგიზ ჩხაიძე — წიგნი ილიასა და აკაკის თანამებრძოლზე 134
ვახტანგ ბურბენიძე — ქამი ნგრევისა 142

მოგონებები, ფაქტები

ბიორგი შალამბერიძე — ერთად გატარებული ოთხი წელი 150

მეცნიერება

რევაზ ბარამიძე — გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების" სამეჯნურო ეპიზოდების გაგებისათვის 158
მერი ინაძე — კულტი და კულტმსახურება ძველ კოლხეთში 163

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თინათინ შარაძენიძე — სახელმწიფო ენა . . . . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნების მიმოხილვა

ლევან ფრუიძე — ცხოვრების მჩარდამხარ 174

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

სახარება მათესი

თავი პირველი

1. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძმისა აბრაამისა.

2. აბრაამმა შვა ისააკი ;ისააკმა შვა იაკობი; იაკობმა შვა იუდა და მისი ძმები.

3. ხოლო იუდამ შვა ფარეზი და ზარა თამარისაგან; ფარეზმა შვა ესრომი; ესრომმა შვა არამი.

4. არამმა შვა ამინადაბი; ამინადაბმა შვა ნაასონი; ნაასონმა შვა სალმონი.

5. სალმონმა შვა ბოოსი რაქაბისაგან; ბოოსმა შვა იობედი რუთისაგან; იობედმა შვა იესე; იესემ შვა მეფე დავითი.

6. მეფე დავითმა შვა სოლომონი ურიას ცოლისაგან.

7. სოლომონმა შვა რობოამი; რობოამმა შვა აბია; აბიამ შვა ასა.

8. ასამ შვა იოსაფატი; იოსაფატმა შვა იორამი; იორამმა შვა ოზია.

9. ოზიამ შვა იოთამი; იოთამმა შვა აქაზი; აქაზმა შვა ეზეკია.

10. ეზეკიამ შვა მანასე; მანასემ შვა ამონი; ამონმა შვა იოსია.

11. იოსიამ შვა იექონია და მისი ძმები ბაბილონის ტყვეობის ჟამს.

12. ხოლო ბაბილონის ტყვეობის შემდეგ იექონიამ შვა სალათიელი; სალათიელმა შვა ზორობაბელი.

13. ზორობაბელმა შვა აბიუდი; აბიუდმა შვა ელიაკიმი; ელიაკიმმა შვა აზორი.

14. აზორმა შვა სადოკი; სადოკმა შვა აქიმი; აქიმმა შვა ელიუდი.

15. ელიუდმა შვა ელეაზარი; ელეაზარმა შვა მატთანი; მატთანმა შვა იაკობი.

16. ხოლო იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, ვისგანაც იშვა იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე.

17. ასე რომ, მთელი შთამომავლობა აბრაამიდან დავითამდე თოთხმეტი თაობა, და დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე თოთხმეტი თაობა და ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე თოთხმეტი თაობა.

18. ხოლო იესო ქრისტეს შობა ასე მოხდა: დედა მისი მარიამი დანიშნული იყო იოსებზე, და მათ შეერთებამდე აღმოჩნდა, რომ მუცლად ეღო სულის წმიდისგან.

19. ხოლო იოსები, მისი ქმარი, მართალი იყო, არ უნდოდა მისი შერცხვენა და განიზრახა ფარულად გაეშვა იგი.

20. ეს რომ დააპირა, აჰა, ანგელოზი უფლისა ეჩვენა სიზმრად და უთხრა: იოსებ, დავითის ძეო, ნუ შიშობ მოიყვანო მარიამი, ცოლი შენი: რადგან ვინც მასში ჩასახულია, სულის წმიდისაგან არის.

21. და შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს, რადგან ის იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან.

22. ხოლო ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს სიტყვა უფლისა, წინასწარმეტყველის მიერ თქმული:

23. აჰა, ქალწული მუცლად იღებს, და შობს ძეს, და უწოდებენ მას სახელად ემმანუელს, რაც თარგმანით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი.

24. გამოიღვიძა იოსებმა ძილისგან და მოიქცა ისე, როგორც უბრძანა ანგელოსმა უფლისა, და მოიყვანა თავისი ცოლი.

25. და არ უცვნია იგი, ვიდრე არა შვა ძე თვისი პირმშო, და უწოდა სახელი მისი იესო.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

თავი მეორე

1. ხოლო როცა იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე, ჰეროდეს მეფობის ჟამს, აჰა, აღმოსავლეთით მოვიდნენ მოგვნი იერუსალემს,

2. და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას.

3. ეს რომ გაიგო, შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მთელი იერუსალემი მასთან ერთად.

4. და შეკრიბა ყველა მღვდელმთავარი და ერის მწიგნობარნი და გამოიკითხავდა მათგან, სად უნდა შობილიყო იესო ქრისტე.

5. ხოლო მათ უთხრეს მას: იუდეის ბეთლემში; ვინაიდან ასე დაიწერა წინასწარმეტყველის მიერ:

6. და შენ, ბეთლემ, იუდას ქვეყანაო, არაფრითა ხარ უმცირესი იუდას მთავართა შორის, ვინაიდან შენგან გამოვა მთავარი, რომელიც დამწყემსავს ჩემს ერს ისრაელს.

7. მაშინ ჰეროდემ ფარულად მოუწოდა მოგვებს და გამოიკითხა მათგან ვარსკვლავის გამოჩენის ჟამი.

8. და წარგზავნა ისინი ბეთლემს და უთხრა: წადით და გამოწვლილვით გამოიძიეთ ყრმის ამბავი, და როდესაც ჰპოვებთ, მაცნობეთ მე, რათა თავადაც მივიდე და თაყვანი ვცე მას.

9. ხოლო მათ უსმინეს მეფეს და წავიდნენ. და, აჰა, ვარსკვლავი, რომელიც იხილეს აღმოსავლეთით, წინ მიუძღოდა მათ, სანამ არ მივიდა და თავს დაადგა იმ ადგილს, სადაც ყრმა იყო.

10. ხოლო მათ, ვარსკვლავის დანახვისას, ძალიან დიდი სიხარულით გაიხარეს.

11. და როდესაც შევიდნენ სახლში, იხილეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან ერთად, და დაემხნენ და თაყვანი სცეს მას; და გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური.

12. და ეუწყათ სიზმრად, არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან, და ძველი გზით მიიქცნენ თავიანთ ქვეყანაში.

13. ხოლო მათი წასვლის შემდეგ, აჰა, ანგელოზი უფლისა ეჩვენა სიზმრად იოსებს და უთხრა: ადექი, წაიყვანე ყრმა და დედა მისი და გაიქეცი ეგვიპტეს; და იყავი იქ, სანამ არ გეტყვი შენ; ვინაიდან ჰეროდეს სურს მოძებნოს ყრმა და მოაკვდინოს იგი.

14. ისიც ადგა, წაიყვანა ყრმა და დედა მისი ღამით, და წავიდა ეგვიპტეს.

15. და იყო იქ ჰეროდეს აღსასრულამდე; რათა აღსრულდეს სიტყვა უფლისა, თქმული წინასწარმეტყველის მიერ: ეგვიპტით მოვუხმე ჩემს ძეს.

16. მაშინ, რა იხილა ჰეროდემ, რომ მოტყუებულ იქნა მოგვების მიერ, ძალზე განრისხდა, წარგზავნა ხალხი და ამოაწყვეტინა ყოველი ყრმა ბეთლემსა და მთელს მის შემოგარენში, ორ-ორი წლისა და უმრწმესნი, თანახმად ასაკისა, რომელიც გამოიკითხა მოგვებისაგან.

17. მაშინ აღსრულდა თქმული იერემია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს:

18. ხმა გაისმა რამაში გოდებისა, ტირილისა და დიდი გლოვისა: რაქელი დასტირის თავის შვილებს და არა სურს ნუგეში, ვინაიდან აღარ არიან.

19. ხოლო როდესაც აღესრულა ჰეროდე, აჰა, ანგელოზი უფლისა გამოეცხადა სიზმრად იოსებს ეგვიპტეში.

20. და უთხრა: ადექი და წაიყვანე ყრმა და დედა მისი და წადი ისრაელის ქვეყნად, ვინაიდან მოკვდნენ ისინი, ვინც ეძიებდნენ ყრმის სულს.

21. ისიც ადგა და წამოიყვანა ყრმა და დედა მისი და მოვიდა ისრაელის ქვეყნად.

22. მაგრამ როდესაც გაიგო, არქელაოსი მეფობსო იუდეაში მამამისის ჰეროდეს ნაცვლად, შეეშინდა იქ მისვლა და სიზმარეული ჩვენებით გაფრთხილებულმა მიაშურა გალილეის მხარეს.

23. და მივიდა და დაესახლა ქალაქში, რომელსაც ჰქვია ნაზარეთი, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველთა მიერ: ნაზარეველად იწოდებისო.

თავი მესამე

1. ხოლო იმ დღეებში მოვიდა იოანე ნათლისმცემელი იუდეის უდაბნოში საქადაგებლად.

2. და ამბობდა: მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი.

3. რადგან ეს არის, ვისთვისაც ითქვა ესაია წინასწარმეტყველის მიერ: ხმა უდაბნოში მღაღადებლისა: გაამზადეთ გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკნი.

4. ხოლო თვით იოანეს ემოსა აქლემის ბეწვი და წელს ერტყა ტყავის სარტყელი; და საზრდელი მისი იყო კალია და ველური თაფლი.

5. მაშინ გამოდიოდა მისკენ იერუსალემი და მთელი იუდეა და მთელი შემოგარენი იორდანესი.

6. ინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს.

7. როდესაც დაინახა მისკენ მოსანათლად მომავალი ფარისეველნი და სადუკეველნი, უთხრა მათ: იქედნეს ნაშიერნო, ვინ გასწავლათ გაექეცითო მომავალ რისხვას?

8. მაშ, გამოიღეთ ნაყოფი, ღირსი სინანულისა.

9. ნუ გგონიათ, რომ შეგიძლიათ უთხრათ თქვენს თავს: მამად გვივისო აბრაამი; რადგანაც გეუბნებით თქვენ: ღმერთს ხელეწიფება თვით ამ ქვათაგანაც აღუდგინოს ძენი აბრაამს.

10. ვინაიდან აწ უკვე ცული ხეების ფესვთანა დევს. ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა.

11. მე წყლით განათლავთ, რომ მოინანიოთ, ხოლო ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე უძლიერესია, ვისი ხამლის ტარებისაც არა ვარ ღირსი; და ის მოგნათლავთ სულით წმიდითა და ცეცხლით.

12. მას ხელთ უპყრია თვისი [illegible] და გაწმენდს თავის კალოს. [illegible] წავს ხორბალს ბეღელში, ხოლო ბზეს მისცემს უშრეტ ცეცხლს.

13. მაშინ მოვიდა იესო გალილეით იორდანეს პირას, იოანესთან, რათა მონათლულიყო მისგან.

14. იოანე კი არ უშვებდა და ეუბნებოდა: მე მმართებს შენგან მონათვლა და შენ მოდიხარ ჩემთან?

15. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე. მაშინღა მიუშვა იგი.

16. და როცა მოინათლა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან. და, აჰა, გაეხსნენ მას ცანი და იხილა სული ღმრთისა, დაბლა რომ ეშვებოდა მტრედივით და გადმოდიოდა მასზე.

17. და გაისმა ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიაც კეთილად გამოვჩნდი მე.

თავი მეოთხე

1. მაშინ იესო აყვანილ იქნა უდაბნოში სულის მიერ, ეშმაკისგან საცდუნებლად.

2. და იმარხულა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და ბოლოს მოშივდა.

3. მაშინ მიადგა მას მაცდური და უთხრა: თუ ძე ხარ ღმრთისა, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ.

4. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დაწერილია: არა მხოლოდ პურითა იცოცხლებს კაცი, არამედ ყოველი სიტყვით, რომელიც გამოდის ღმერთის პირიდან.

5. მაშინ ეშმაკმა წაიყვანა იგი წმინდა ქალაქში, დააყენა ტაძრის ფრთედზე.

6. და უთხრა: თუ ძე ხარ ღვთისა, გადავარდი აქედან, რადგანაც დაწერილია: თავის ანგელოსებს უბრძანებს შენს გამო, და აგიტაცებენ ხელში, რათა არსად წამოჰკრა ქვას ფეხი შენი.

7. იესომ მიუგო: ესეც დაწერილია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.

8. კვლავ აიყვანა იგი ეშმაკმა ძალიან მაღალ მთაზე, და უჩვენა მას ქვეყნის ყველა სამეფო და დიდება მათი.

9. და უთხრა: ყოველივე ამას მოგცემ, თუ დაეცემი და თაყვანს მცემ მე.

10. მაშინ მიუგო მას იესომ: გამშორდი, სატანა, რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე.

11. მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა, და აჰა, ანგელოსები მოვიდნენ და ემსახურებოდნენ მას.

12. ხოლო როდესაც გაიგო იესომ, იოანე შეუპყრიათო, გალილეას გაემართა.

13. მიატოვა ნაზარეთი, მივიდა და დაემკვიდრა ზღვისპირა კაპერნაუმს, ზაბულონისა და ნეფთალემის მხარეს,

14. რათა აღსრულდეს თქმული ესაია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს:

15. ქვეყანა ზაბულონისა და ქვეყანა ნეფთალემისა, გზა ზღვისა იორდანეს გაღმა, გალილეა წარმართთა;

16. ბნელში მსხდომარე ხალხმა იხილა ნათელი დიდი, და ქვეყნად და სიკვდილის ჩრდილში მსხდომთ გამოუბრწყინდა ნათელი.

17. შემდგომ ამისა, დაიწყო იესომ ქადაგება და ამბობდა: მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი.

18. და როდესაც მიდიოდა იგი გალილეის ზღვის პირას, დაინახა ორი ძმა: სიმონი, პეტრედ წოდებული, და მისი ძმა ანდრია, რომლებიც ბადეს ისროდნენ ზღვაში, ვინაიდან მებადურები იყვნენ.

19. და უთხრა მათ: გამომყევით და კაცთა მებადურებად გაქცევთ.

20. მათაც მყისვე მიატოვეს ბადე და გაჰყვნენ მას.

21. იქედან წამოსულმა დაინახა ორი სხვა ძმა: იაკობი ზებედესი და მისი ძმა იოანე, რომლებიც ნავში ისხდნენ ზებედესთან, თავიანთ მამასთან ერთად და ბადეს კემსავდნენ, და უხმო მათ.

22. მათაც მყისვე მიატოვეს [illegible] თი ნავიც და მამაც, [illegible]

23. და დადიოდა იესო მთელს გალილეაში, და ასწავლიდა მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას, და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში.

24. და მოედო მისი ამბავი მთელს სირიას, და მოჰყავდათ მასთან უძლურნი, სხვადასხვა სენითა და ჭირით სნეულნი, ეშმაკეულნი, მთვარეულნი და დავრდომილნი, და კურნავდა მათ.

25. და მისდევდა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და ათქალაქიდან, იერუსალემიდან, იუდეიდან და იორდანეს გაღმიდან.

თავი მეხუთე

1. ხალხი რომ იხილა, მთაზე ავიდა, და როცა დაჯდა, მიუახლოვდნენ მისი მოწაფენი.

2. და განახვნა ბაგენი, ასწავლიდა მათ და ამბობდა:

3 ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

4. ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან;

5. ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას.

6. ნეტარ არიან სიმართლისთვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან.

7. ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან.

8. ნეტარ არიან წმიდანი გულითა, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ.

9. ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან.

10. ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

11. ნეტარნი ხართ თქვენ, როცა დაგიწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველნი დაგწამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. გიბაროდეთ და ილხენდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცათა. რადგან ასევე სდევნიდნენ წინასწარმეტყველთაც, რომელნიც თქვენზე უწინარეს იყვნენ.

13. თქვენნა ხართ მარილი მიწისა; და თუ მარილი გამტკნარდა, რაღათი დაამარილებ? აღარად ვარგა, თუ არა გადასაყრელად და კაცთა მიერ ფეხით სათელად.

14. თქვენნა ხართ ნათელი ქვეყნისა. ვერ დაიმალება ქალაქი, მთის მწვერვალზე გაშენებული.

15. არავინ ანთებს სანთელს და დგამს მას საწყაოს ქვეშ, არამედ სასანთლეზე, და უნათებს ყველა შინ მყოფს.

16. დაე, ასევე ნათობდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ მამას თქვენსას ზეციერს.

17. ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად.

18. რადგანაც ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ არ გადავა ცა და მიწა, ერთი იოტიც ან ერთი წერტილიც არ გადავა რჯულისაგან, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება.

19. ამრიგად, ვინც დაარღვევს თუნდაც ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ასე ასწავლის კაცთაც, უმცირესად იწოდება ცათა სასუფეველში; ხოლო ვინც აღასრულებს და ასწავლის, უდიდესად იწოდება ცათა სასუფეველში.

20. რადგანაც გეუბნებით თქვენ: თუკი თქვენი სიმართლე არ აღემატა მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

21. თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა კაც-ჰკლა; ხოლო ვინც მოჰკლავს, სამართალში უნდა მიეცეს.

22. მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა, სიბნედრეთნს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის [illegible] ჩავარდეს.

23. ხოლო თუ შენ მიგაქვს შესაწირავი საკურთხეველთან და იქ გაიხსენებ, რომ შენი ძმა ძვირს იზრახავს შენთვის,

24. დაუტოვე შენი შესაწირავი საკურთხეველის წინ, წადი, ჯერ შემოირიგე შენი ძმა, და მხოლოდ შემდეგ მოდი და შესწირე შესაწირავი.

25. დაუზავდი საჩქაროდ შენს მომჩივანს, სანამ ერთად ადგიხართ გზას, რათა მომჩივანმა არ მიგცეს მსაჯულს, ხოლო მსაჯულმა — მსახურს, და ჩავარდე საპყრობილეში.

26. ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვერ გამოხვალ იქიდან, სანამ არ გაიღებ უკანასკნელ კოდრანტს.

27. თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა იმრუშო.

28. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყველამ, ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში.

29. თუკი გაცთუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე, ვინაიდან გიჯობს დაჰკარგო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას.

30. ხოლო თუ გაცთუნებს შენი მარჯვენა ხელი, მოიკვეთე და გადააგდე, ვინაიდან გიჯობს დაჰკარგო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას.

31. ესეცა თქმულა: ვინც გაუშვებს თავის ცოლს, უნდა მისცეს გაყრის წერილი.

32. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ვინც გაუშვებს თავის ცოლს, სიძვის მიზეზის გარეშე, ამრუშებს მას, და ვინც გაშვებულს შეირთავს, მრუშობს.

33. კვლავაც გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: ნუ დაიფიცავ ტყუილად, არამედ შეუსრულე უფალს შენი ფიცი.

34. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: სუ-

ლაც ნუ დაიფიცავ: ნურც ცას, ვინაიდან ღმერთის ტახტია;

35. ნურც მიწას, ვინაიდან მისი ტეროფების კვარცხლბეკია; ნურც იერუსალემს, ვინაიდან დიდი მეუფის ქალაქია.

36. ნურც შენს თავს დაიფიცავ, ვინაიდან არ შეგიძლია არც ერთი ღერი თმის გათეთრება ან გაშავება.

37. არამედ თქვენი სიტყვა იყოს: ჰო, ჰო; და არა, არა; ვინაიდან რაც ამაზე მეტია, ბოროტისმიერია.

38. თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

39. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრას მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც.

40. და თუ ვინმეს სურს გიჩივლოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსასხამიც.

41. ანდა თუ ვინმე გაიძულებს ერთი მილის მანძილზე გამომყევიო, ორზე გაჰყევი მას.

42. მთხოვნელს მიეცი და სესხების მსურველს ზურგს ნუ შეაქცევ.

43. თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი.

44. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის.

45. რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც.

46. რადგანაც თუ გეყვარებათ თქვენი მოყვასნი, რა იქნება თქვენი საზღაური? განა ასევე არ იქცევიან მებაჟენიც?

47. ანდა თუ მოიკითხავთ მხოლოდ თქვენს მოძმეთ, უჩვეულოს რას სჩადიხართ? განა ასევე არ იქცევიან წარმართნიც?

48. მაშ, იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი.

თავი მეექვსე

1. ეკრძალეთ სიმართლის ქმნას კაცთა წინაშე, იმ მიზნით, რომ მათ დაგინახონ; თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს მამის თქვენის ზეციერისაგან.

2. და როცა გასცემთ მოწყალებას, ნუ აყვირებთ თქვენს წინაშე ბუკ-ნაღარას, როგორც იქცევიან თვალთმაქცნი სინაგოგებსა თუ ქუჩაბანდებში, რათა განადიდოს ისინი ხალხმა. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური.

3. ხოლო როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა.

4. რათა შენი მოწყალება დაფარული დარჩეს, და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად.

5. ხოლო როდესაც ლოცულობ, ნუ ემსგავსები თვალთმაქცთ, რომელთაც უყვართ სინაგოგებსა თუ ქუჩის კუთხეში დგომა და ლოცვა, რათა თავი მოაჩვენონ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური.

6. შენ კი, როდესაც ლოცულობ, შედი შენს სენაკში, მოიხურე კარი და ილოცე მამის შენის მიმართ ფარულად; და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად.

7. ხოლო ლოცვისას ნუ იტყვით ზედმეტს, წარმართთა მსგავსად, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიტყვამრავლობის გამო შესმენილ იქნებიან.

8. ნუ ემსგავსებით მათ, ვინაიდან მამამ თქვენმა, ვიდრე სთხოვდეთ, მანამდე იცის, თუ რა გჭირდებათ.

9. ხოლო ლოცვით ასე ილოცეთ: მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი.

10. მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, როგორც ცაში, ისე ქვეყანაზედაც.

11. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს.

12. და მოგვიტევე ჩვენ ჩვენი ვალები, როგორც ჩვენ მივუტევებთ ჩვენს მოვალეთა.

1. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან. რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ.

14. თუ მიუტევებთ ადამიანებს მათს შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი.

15. ხოლო თუ არ მიუტევებთ ადამიანებს მათს შეცოდებებს, არც თქვენს შეცოდებებს მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი.

16. და როდესაც მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, თვალთმაქცთა მსგავსად, თავ-პირი რომ ჩამოსტირით, რათა მმარხველებად ეჩვენონ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური.

17. ხოლო შენ, როდესაც მარხულობ, თავს იცხე და დაიბანე პირი შენი.

18. რათა ხალხს კი არ ეჩვენო მმარხველად, არამედ დაფარულში მყოფ მამას შენსას; და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად.

19. ნუ იუნჯებთ თქვენს საუნჯეს ამ ქვეყნად, სადაც ჟანგი და მღილი ღრღნის მას, და სადაც მპარავნი თხრიან და იპარავენ.

20. არამედ დაიუნჯეთ თქვენ საუნჯე ზეცად, სადაც ვერც ჟანგი და ვერც მღილი ვერა ღრღნის მას, და სადაც მპარავნი ვერ თხრიან და ვერ იპარავენ.

21. ვინაიდან სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი.

22. სხეულის სანთელი არის თვალი. თუ შენი თვალი წმიდაა, ნათელი იქნება შენი სხეულიც.

23. ხოლო თუ შენი თვალი [illegible] დურია, ბნელი იქნება შენი [illegible] მაგრამ თუ შენში ნათელიც ბნელია, როგორიღა იქნება ბნელი?

24. არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც.

25. ამიტომაც გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ვჭამოთ ანდა რა ვსვათ; ნურც თქვენი სხეულისათვის, რით შევიმოსოთო. განა სული უფრო მეტი არ არის, ვიდრე საზრდელი და სხეული — უფრო მეტი, ვიდრე სამოსელი?

26. შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებს ავსებენ. და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ფრინველთ?

27. ან რომელ თქვენგანს ხელეწიფება, ბევრიც ეცადოს, თუნდაც ერთი ციდით მოიმატოს სიმაღლე?

28. ან სამოსლისთვის რაღადა ზრუნავთ? შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანნი: არც შრომობენ, არც ართავენ.

29. მაგრამ გეუბნებით თქვენ: თვით სოლომონი მთელი თავისი დიდებით არ იყო ისე შემოსილი, როგორც თვითოეული მათგანი.

30 ხოლო თუ ველის ბალახს, რომელიც დღეს არის და ხვალ თონეს შეენთება, ასეთნაირად მოსავს ღმერთი, განა თქვენ უკეთ არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო?

31. ნუ ზრუნავთ და იტყვით: რა ვჭამოთ, რა ვსვათ, ანდა რით შევიმოსოთო?

32. ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი, და ვინაიდან მამამ თქვენმა ზეციერმა იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს.

33. მაშ, ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისათვის, რადგან ხვალე თვითონ იზრუნებს თავისას: ყოველ დღეს ეყოფა თავისი საზრუნავი.

თავი მეშვიდე

1. ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ.

2. ვინაიდან როგორი განსჯითაც განსჯით, იმნაირითვე განისჯებით, და რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით თქვენ.

3. ან რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ?

4. ანდა როგორ ეუბნები შენს ძმას: მოიცა, ამოგიღო ბეწვი თვალიდან, და თვითონ შენ კი დირე გაქვს თვალში.

5. თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე და მერეღა ნახავ, როგორ ამოიღო შენი ძმის თვალიდან ბეწვი.

6. ნუ მისცემთ სიწმინდეს ძაღლებს; ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს, რათა არ გათელონ იგი თავიანთი ფეხით და მოგიბრუნდნენ და დაგფლითონ თქვენ.

7. ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და ჰპოვებთ; დააკაკუნეთ და გაგიღებენ.

8. რადგან ყველა მთხოვნელს მიეცემა, მძებნელი ჰპოვებს და ვინც აკაკუნებს, გაუღებენ.

9. თუ გეგულებათ თქვენს შორის კაცი, შვილმა რომ პური სთხოვოს და ქვა მისცეს მას?

10. ან თევზი სთხოვოს და გველი მისცეს მას?

11. ხოლო თუ თქვენ, უკეთურთ შეგიძლიათ კეთილი საბოძვარი მისცეთ თქვენს შვილებს, რაოდენ უფრო მეტ სიკეთეს მისცემს მამა თქვენი ზეციერი მის მიმართ მთხოვნელთ?

12. როგორც თქვენ გსურთ მოგექცნენ კაცნი, თქვენც ასევე მოექცევით მათ, ვინაიდან ესაა რჯული და წინასწარმეტყველნი.

13. შედით ვიწრო ბჭით, ვინაიდან ფართოა ბჭე და ფართოა გზა, რომელიც მიგიყვანთ წარსაგუმედლად, და მრავალნი დადიან მასზე.

14. ვინაიდან ვიწროა ბჭე და ძნელია გზა, რომელსაც მივყავართ სიცოცხლისაკენ, და მცირედნი ჰპოვებენ მას.

15. ეკრძალეთ ცრუ წინასწარმეტყველთ, რომლებიც მოვლენ თქვენთან ცხვრების სამოსით, ხოლო შიგნით არიან მტაცებელი მგლები.

16. თავიანთი ნაყოფით იცნობთ მათ; განა ეკალზე კრეფენ ყურძენს, ან ნარზე ლეღვს?

17. ასე, ყველა ვარგის ხეს ვარგისი ნაყოფი გამოაქვს, და ყველა უვარგის ხეს უვარგისი ნაყოფი გამოაქვს.

18. არ შეუძლია ვარგის ხეს უვარგისი ნაყოფის გამოღება და უვარგის ხეს ვარგისი ნაყოფის გამოღება.

19. ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს ვარგის ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა.

20. ასე რომ, თავიანთი ნაყოფით იცნობთ მათ.

21. არა ყველა, ვინც მეტყვის მე: უფალო, უფალო! — შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს მამის ჩემის ზეციერის ნებას.

22. მრავალნი მეტყვიან იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვაძევებდით ეშმაკთ? და შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს?

23. და მაშინ ვეტყვი მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ; გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო.

24. ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი.

25. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს, მაგრამ ვერ დასცეს, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული.

26. და ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი.

27. და მოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარენი, დაქროლეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს და დასცეს; და დიდი იყო დაცემა მისი.

28. და როცა დაასრულა იესომ სიტყვა, უკვირდა ხალხს მისი მოძღვრება.

29. ვინაიდან ის ასწავლიდა მათ როგორც ძალმოსილი, და არა როგორც მათი მწიგნობარნი.

თავი მერვე

1. და როდესაც ჩამოვიდა იგი მთიდან, თან გაჰყვა დიდძალი ხალხი.

2. და აჰა, მიუახლოვდა ერთი კეთროვანი, თაყვანი სცა მას და უთხრა: უფალო, თუ გნებავს, შეგიძლია გაწმენდა ჩემი.

3. და გაიწოდა ხელი იესომ, შეახო მას და უთხრა: მნებავს, განიწმინდე. და მყისვე განიწმინდა იგი კეთრისგან.

4. და უთხრა მას იესომ: შენ იცი, ნურავის ეტყვი; არამედ წადი, ეჩვენე მღვდელს, და შესწირე შესაწირავი, რომელიც დააწესა მოსემ მათთვის სამოწმებლად.

5. ხოლო როდესაც შევიდა იესო კაპერნაუმში, მიუახლოვდა მას ასისთავი და ვედრებით უთხრა:

6. უფალო, დავრდომილი მსახური მიწევს სახლში და სასტიკად იტანჯება.

7. იესომ მიუგო: მოვალ და განვკურნავ მას.

8. ხოლო ასისთავმა პასუხად უთხრა: უფალო, არა ვარ იმისი ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე; არამედ მხოლოდ სიტყვა ბრძანე და განიკურნება ჩემი მსახური.

9. ვინაიდან, თუმცა სხვისი ქვეშევრდომი ვარ, თავადაც ხელქვეითებად მყვანან მეომრები; და ვეტყვი ერთს: წადი, და მიდის; და მეორეს: მოდი, და მოდის; და ჩემს მსახურს: გააკეთე ეს, და აკეთებს.

10. ეს რომ გაიგონა, გაუკვირდა იესოს და უთხრა უკან მომავალთ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას.

11. ამასაც გეუბნებით თქვენ: ბევრნი მოვლენ აღმოსავლეთით და დასავლეთით, და აბრაამთან, ისაკსა და იაკობთან ერთად ინახად დასხდებიან ცათა სასუფეველში;

12. ხოლო სასუფეველის ძენი გარეს-კნელის ბნელში გაიყრებიან; და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

13. და უთხრა იესომ ასისთავს: წადი და შენი რწმენისამებრ მოგეგოს შენ. და განიკურნა მისი მსახური იმავე წამს.

14. ხოლო იესო შევიდა პეტრეს სახლში, და იხილა მისი სიდედრი, რომელიც ცხელებით შეპყრობილი იწვა.

15. და შეეხო თუ არა მის ხელს, გაუარა მას ცხელებამ, და წამოდგა და ემსახურებოდა მათ.

16. ხოლო შებინდებისას მიჰგვარეს მას მრავალი ეშმაკეული, და განდევნა სულები სიტყვით, და განკურნა ყველა სნეული.

17. რათა აღსრულდეს თქმული ესაია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: მან თავს იდო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნეულებანი.

18. ხოლო როდესაც იხილა იესომ გარსშემოჯარული ხალხი, გაღმა გასვლა უბრძანა მათ.

19. მაშინ მიუახლოვდა ერთი მწიგნობარი და უთხრა მას: მოძღვარო, თან გეახლები, სადაც უნდა წახვიდე.

20. იესომ მიუგო: მელიებს სოროები აქვთ, და ცის ფრინველებს — ბუდეები, ძეს კაცისას კი არა აქვს, სად მიიდრიკოს თავი.

21. ხოლო ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა მას: უფალო, ნება მიბოძე, ჯერ მივიდე და დავმარხო მამა ჩემი.

22. ხოლო იესომ მიუგო მას: შენ მე გამომყევ, და მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხვა.

23. და ჩაჯდა იგი ნავში, და გაჰყვნენ მისი მოწაფენი.

24. და აჰა, საშინლად აღელდა ზღვა, ისე რომ, ტალღებით იფარებოდა ნავი; მას კი ეძინა.

25. და მივიდნენ მისი მოწაფეები, გააღვიძეს და უთხრეს: უფალო, გვიხსენ, ვიღუპებით.

26. მიუგო მათ: რამ შეგაშინათ, მცირედ მორწმუნენო? მერე წამოდგა, შერისხა ქარები და ზღვა, და ჩამოვარდა სიმყუდროვე დიდი.

27. ხოლო განცვიფრებული ხალხი ამბობდა: ვინ არის იგი, ქარებიც და ზღვაც რომ მორჩილებენ?

28. და როცა მიაღწია მეორე ნაპირს, გერგესეველთა მხარეს, შემოხვდა ორი ეშმაკეული, სამარხებიდან გამოსულნი და ძალზე მძვინვარენი, ისე რომ, ვერავინ ბედავდა ამ გზაზე გასვლას.

29. და აჰა, შეჰყვირეს და თქვეს: რა ჩვენ და შენ, იესო, ძეო ღმრთისაო? ვადაზე ადრე მოსულხარ ჩვენს სატანჯველად.

30. ხოლო მათგან მოშორებით ბალახობდა ღორების დიდი კოლტი.

31. ხოლო ეშმაკნი ევედრებოდნენ მას და ეტყოდნენ: თუ განგვდევენ, ნება გვიბოძე, ღორების კოლტს შევეყოთ.

32. და უბრძანა მათ: წადით! ისინიც წავიდნენ და შეერივნენ ღორების კოლტს; და აჰა, მთელი კოლტი კბოდედან გადაეშვა ზღვაში, და წყალში დაინთქა.

33. ხოლო მეღორეები გაიქცნენ, ქალაქში მივიდნენ და მოჰყვნენ ყველაფერს, რაც შეემთხვა ეშმაკეულებს.

34. და აჰა, მთელი ქალაქი გამოვიდა იესოს შესახვედრად; და როდესაც იხილეს იგი, სთხოვეს: აქაურობას გაეცალეო.

თავი მეცხრე

1. და ჩაჯდა იგი ნავში, უკანვე გამოცურა და მოვიდა თავის ქალაქში.

2. მაშინ სარეცლით მიჰგვარეს მას დავარდნილი; იხილა იესომ მათი რწმენა და უთხრა დავრდომილს: გამხნევდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები.

3. და აჰა, ზოგი მწიგნობარი გულში ამბობდა: ღმერთს გმობსო იგი.

4. ხოლო იესო მიხვდა მათ ხეთა და თქვა: რატომ იზრახავთ ბოროტებას თქვენ გულში?

5. რა უფრო ადვილია: ამისი თქმა — მოგეტევოს შენი ცოდვები; თუ ამისა — აღდეგ და წადი?

6. ხოლო რათა იცოდეთ, რომ ძეს კაცისას ძალი შესწევს ამ ქვეყნად ცოდვების მიტევებისა, — ასე უთხრა დავრდომილს — აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში.

7. ისიც მაშინვე აღდგა და წავიდა თავის სახლში.

8. ამის მხილველი ხალხი განცვიფრდა და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ასეთი ძალა მისცა ადამიანებს.

9. იქიდან წამოსულმა იესომ დაინახა საბაჟოში მჯდომარე კაცი, რომელსაც მათე ერქვა სახელად, და უთხრა მას: გამომყევიო; ისიც ადგა და გაჰყვა.

10. და როცა ინახად იჯდა სახლში, აჰა, მოვიდა მრავალი მებაჟე და ცოდვილი, და ინახად დასხდნენ იესოსა და მის მოწაფეებთან.

11. ეს რომ დაინახეს, ფარისევლებმა მის მოწაფეებს უთხრეს: რატომ ჭამს და სვამს თქვენი მოძღვარი მებაჟეებსა და ცოდვილებთან ერთად?

12. ხოლო იესომ გაიგონა ეს და უთხრა მათ: კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ.

13. თქვენ კი წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს ეს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი; ვინაიდან მართალთა სახმობლად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა სინანულად.

14. მაშინ მივიდნენ მასთან იოანეს მოწაფეები და უთხრეს: რატომ ვმარხულობთ ჩვენ და ფარისევლები, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ?

15. ხოლო იესომ მიუგო მათ: განა შეიძლება წუხდნენ მექორწილენი, ვიდრე მათთანაა სიძე? მოვა დრო, როცა სიძე აღარ ეყოლებათ, და მაშინ იმარხულებენ.

16. არავინ ადებს ახალ საკერებელს დახეულ სამოსს, ვინაიდან ახალს ვერ დაიჭერს ძველი, და უფრო დაიხევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. არც ახალ ღვინოს ასხამენ ძველ ტიკებში, თორემ დასკდება ტიკები, ღვინოც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება; არამედ ახალ ღვინოს ასხამენ ახალ ტიკებში და ორივე ინახება.

18. ამ საუბარში გართულს მიუახლოვდა ერთი მთავარი, თაყვანი სცა და უთხრა: ჩემი გოგონა ეს-ესაა მოკვდა; წამოდი, ხელი დაადე და გაცოცხლდება.

19. წამოდგა იესო და მოწაფეებითურთ თან გაჰყვა მას.

20. და აჰა, ქალი, რომელიც თორმეტ წელიწადს იტანჯებოდა სისხლის დენით, მიუახლოვდა ზურგიდან და მისი სამოსის კალთას შეეხო.

21. რადგან გულში ამას ამბობდა: თუ შევეხები მის სამოსს, მეშველებაო.

22. ხოლო იესო მოუბრუნდა, დაინახა იგი და უთხრა: გამხნევდი, შვილო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა. და განიკურნა ქალი იმავე წამს.

23. და შევიდა იესო მთავრის სახლში და იხილა იქ მოზარენი და მოყაყანე ბრბო ;

24. და უთხრა მათ: გადით აქედან, რადგან გოგონა კი არ მომკვდარა, არამედ სძინავს; ხოლო ისინი დასცინოდნენ მას.

25. და როდესაც გაიყვანეს ხალხი, მივიდა იესო, აიღო გოგონას ხელი, და ისიც აღდგა.

26. და მოედო მისი ამბავი მთელ იმ მხარეს.

27. იქიდან წამოსულს ორი უსინათლო გამოედევნა ყვირილით: შეგვიწყალე, იესო, დავითის ძეო!

28. და როდესაც მივიდა სახლში, მიეახლნენ უსინათლონი; და უთხრა მათ იესომ: გწამთ თუ არა, რომ შემიძლია ამისი ქმნა? ხოლო მათ თქვეს: დიახ, უფალო.

29. მაშინ თვალებზე შეეხო ბრმებს, და უთხრა მათ: თქვენი რწმენისამებრ მოგეგოთ თქვენ!

30. და აეხილაო თვალები. ხოლო იესომ მკაცრად გააფრთხილა და უთხრა მათ: იცოდეთ, არავინ გაიგოს.

31. ისინი კი გამოვიდნენ და მოეფინენ იმ მხარეს მოსდეს მისი ამბავი.

32. ხოლო მათი გამოსვლისთანავე მიჰგვარეს მას ერთი კაცი, მუნჯი და ეშმაკეული.

33. და როცა ეშმაკი განდევნილ იქნა, მუნჯმა ენა ამოიდგა; უკვირდა ხალხს და ამბობდა: არ მოსწრებია ისრაელს ამგვარი რამე.

34. ხოლო ფარისეველნი ამბობდნენ: ეშმაკთა მთავრის შეწევნით აძევებსო ეშმაკთ.

35. და მოივლიდა იესო ყველა ქალაქსა და დაბას, ასწავლიდა მათ სინაგოგებში და ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას, და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში.

36. და როდესაც იხილა ამდენი ხალხი, შეებრალა ისინი, ვინაიდან დაღლილ-დაქანცულნი და დაფანტულნი იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვარნი.

37. მაშინ უთხრა თავის მოწაფეებს: სამკალი ბევრია, მაგრამ ცოტანი არიან მომკალნი.

38. მაშ, ევედრეთ სამკალის უფალს, რათა მომკალნი მოავლინოს თავის სამკალში.

თავი მეათე

1. და მოუხმო თავის თორმეტ მოწაფეს, და მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულთა განდევნისა და ყოველგვარი სენისა თუ ყოველგვარი უძლურების განკურნებისა.

2. ხოლო ამ თორმეტი მოციქულის სახელებია: პირველად სიმონი, პეტრედ წოდებული, და მისი ძმა ანდრია; იაკობი ზებედესი და მისი ძმა იოანე;

3. ფილიპე და ბართლომე; თომა და მათე მებაჟე; იაკობი ალფესისა და ლებეოსი, თადეოსად სახელდებული;

4. სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.

5. აი, ეს თორმეტი წარგზავნა იესომ,

უბრძანა და უთხრა მათ: წარმართთა
გზით ნუ ივლით, და ნუ შეხვალთ სა-
მარიელთა ქალაქში.

6. არამედ მიაკითხეთ უპირატესად
ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს.

7. მიაკითხეთ და უქადაგეთ, რომ
მოახლოვდა ცათა სასუფეველი.

8. განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ
კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, გა-
ნდევნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ მიგი-
ღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით.

9. ნუ წაიტანებთ სარტყლით ნურც
ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც რვალს;

10. ნურც აბგას გზაში, ნურც ორ
ხელ სამოსს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც
არგანს, ვინაიდან ღირსია მაშვრალი
თავისი საგზლისა.

11. რომელ ქალაქში ან დაბაშიც უნ-
და შეხვიდეთ, გამოიკითხეთ, ვინ არის
იქ ღირსეული, და მისას დადექით, ვი-
დრე გამოსვლამდე.

12. ხოლო სახლში შესვლისას მიე-
სალმეთ მას და თქვით: მშვიდობა ამ
სახლს.

13. და თუ სახლი ღირსი იქნება,
თქვენი მშვიდობა მიუვა მას, თუ არა
და, თქვენი მშვიდობა თქვენავე დაგი-
ბრუნდებათ.

14. და თუ არავინ მიგიღებთ და არც
შეისმენს თქვენს სიტყვებს, იმ სახლი-
დან თუ ქალაქიდან გამოსვლისას ჩამო-
იბერტყეთ თქვენი ფეხიდან მტვერი.

15. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ:
განკითხვის დღე სოდომისა და გომო-
რის მხარისათვის უფრო ადვილი იქნე-
ბა, ვიდრე იმ ქალაქისათვის.

16. აჰა, მე გგზავნით თქვენ როგორც
ცხვრებს მგლების ხროვაში; მაშ, იყა-
ვით გონიერნი, როგორც გველები, და
უმანკონი, როგორც მტრედები.

17. ეკრძალეთ ადამიანებს, ვინაიდან
ისინი მიგცემენ სამართალში და თავი-
ანთ სინაგოგებში მათხარით გცემენ
თქვენ.

18. და მიგიყვანენ ჩემს გამო მთავ-
რებისა და მეფეების წინაშე, მათთვის
და წარმართთათვის სამოწმებლად.

19. ხოლო როდესაც გაგცემენ, ნუ
იზრუნებთ, როგორ ვთქვათ
ვთქვათო; ვინაიდან თ
მაშინ სათქმელი.

20 რადგან თქვენ კი არ ილაპარა-
კებთ, არამედ სული თქვენი მამისა ილა-
პარაკებს თქვენში.

21. და გასცემს ძმა სასიკვდილოდ
ძმას, და მამა — შვილს და შვილები
აღდგებიან მშობლების წინააღმდეგ და
დახოცავენ მათ.

22. და მოგიძულებთ ყველა ჩემი
სახელის გამო; ხოლო ვინც ბოლომდე
დაითმენს, იგი ცხონდება.

23. და როდესაც დაგიწყებენ დევ-
ნას ერთ ქალაქში, მიაშურეთ მეორეს.
ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვერ
მოასწრებთ ისრაელის ყველა ქალაქის
მოვლას, რომ მოვა ძე კაცისა.

24. არ არის მოწაფე, თავის მოძღ-
ვარზე უმეტესი, და არც მონა, თავის
მბრძანებელზე უპირატესი.

25. საკმარისია მოწაფისათვის, იყოს
ისეთი, როგორც მისი მოძღვარი, და
მონისათვის — როგორც მისი მბრძა-
ნებელი. თუ სახლის პატრონს ბელზე-
ბულად უხმობენ, მით უმეტეს, სახლე-
ულს მისას.

26. მაშ, ნუ გეშინიათ მათი, ვინაი-
დან არ არსებობს დაფარული, რომ არ
გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო,
რომ არ გამჟღავნდეს.

27. რასაც სიბნელეში გეუბნებით,
სინათლეზე თქვით, და რაც ყურში ჩა-
გესმით, ერდოებზე იქადაგეთ.

28. და ნუ გეშინიათ იმათი, რომელ-
ნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ არ შეუ-
ძლიათ სულის მოკვლა; არამედ უფრო
გეშინოდეთ იმისა, ვისაც შეუძლია სუ-
ლიცა და ხორციც წარწყმიდოს გეენას.

29. განა ორი ბეღურა ერთ ასარად
არ იყიდება? მაგრამ ერთი მათგანიც
არ დავარდება მიწაზე, თუ არ იქნა მა-
მის თქვენის ნება.

30. ხოლო თქვენს თავზე ყოველი
ღერი თმაც სათითაოდ დათვლილია.

31. მაშ, ნუ შიშობთ, ვინაიდან უთ-
ვალავ ბეღურაზე უმჯობესნი ხართ.

32. ყველას, ვინც მაღიარებს კაცთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე, მეც ვაღიარებ მამის ჩემის ზეციერის წინაშე.

33. ხოლო ვინც უარმყოფს კაცთა წინაშე, მეც უარვყოფ მამის ჩემის ზეციერის წინაშე.

34. ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი, რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად: მშვიდობის მომტანად კი არ მოვედი, არამედ მახვილისა.

35. ვინაიდან მოვედი, რათა გავყარო ვაჟი მამამისს, ქალი დედამისს, და რძალი დედამთილს მისას.

36. და კაცს მტრებად ეუქცეო მისი სახლეულნი.

37. ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი; და ვისაც ძე ან ასული ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი;

38. და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება მე, არ არის ჩემი ღირსი.

39. ვინც ჰპოვებს თავის სულს, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისათვის დაჰკარგავს თავის სულს, მოიპოვებს მას.

40. ვინც თქვენ შეგიწყნარებთ, მე შემიწყნარებს; ხოლო ვინც მე შემიწყნარებს, შეიწყნარებს ჩემს მომავლინებელს.

41. ვინც წინასწარმეტყველის სახელით შეიწყნარებს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს; და ვინც მართლის სახელით შეიწყნარებს მართალს, მართლის საზღაურს მიიღებს.

42. და ვინც მოწაფის სახელით მიაწვდის ციე წყალს ერთს ამ მცირეთაგანს, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, არ დაეკარგება თავისი საზღაური.

თავი მეთერთმეტე

1. და როდესაც დაასრულა იესომ შეგონება თავის თორმეტი მოწაფის მიმართ, წავიდა იქიდან მათს ქალაქებში სასწავლად და საქადაგებლად.

2. ხოლო იოანემ შეიტყო საპყრობილეში ქრისტეს საქმენი, და გაგზავნა თავისი ორი მოწაფე.

3. რათა ეკითხათ მისთვის: შენა ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდეთ?

4. ხოლო იესომ მიუგო: მიდით და უთხარით იოანეს, რასაც ისმენთ და ხედავთ:

5. ბრმანი ხედავენ, კოჭლნი დადიან, კეთროვანნი იწმინდებიან და ყრუნი ისმენენ; მკვდარნი აღდგებიან და გლახაკნი სახარებით ხარობენ.

6. ნეტარ არს, ვინც არ შემცდარა ჩემში.

7. ხოლო მათი წასვლის შემდეგ იესომ იოანეზე ჩამოუგდო სიტყვა ხალხს: რისთვის დადიოდით უდაბნოში? ქარისაგან რხეული ლერწმის ხილვად?

8. რისთვის დადიოდით უდაბნოში? ლბილი სამოსით მოსილი კაცის ხილვად? მაგრამ ლბილი სამოსით მოსილნი მეფეთა დარბაზებში არიან.

9. რისთვის დადიოდით უდაბნოში? წინასწარმეტყველის ხილვად? დიახ, გეტყვით თქვენ, წინასწარმეტყველისა და უფრო მეტისაც.

10. რადგან ეს არის იგი, ვისთვისაც დაიწერა: აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოსს შენს წინაშე, რომელიც განამზადებს შენს გზას შენსავ წინაშე.

11. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: დედისაგან შობილი არვინ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე უმეტესი, ხოლო ცათა სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია.

12. ვინაიდან იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული დღემდე, ცათა სასუფეველი ძალით იღება, და მოძალადენი მიიტაცებენ მას.

13. რადგან ყველა წინასწარმეტყველი, და თვით რჯული, იოანემდე წინასწარმეტყველებდნენ.

14. და თუ გნებავთ გაიგოთ, ეს არის ელია, რომელიც უნდა მოვიდეს.

15. ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!

16. ან ვის ვამსგავსო ეს მოდგმა?

ვამსგავსებ მოედანზე მსხდომ ბალღებს, თავიანთ ტოლებს რომ უყვირიან,

17. და ამბობენ: თქვენთვის ვუკრავდით, და არ იცეკვეთ; თქვენთვის ვგოდებდით, და არ იგლოვეთ.

18. ვინაიდან მოვიდა იოანე; არც ჭამს და არც სვამს, და ამბობენ: ეშმაკი ჰყავსო.

19. მოვიდა ძე კაცისა; კიდეც ჭამს და კიდეც სვამს, და ამბობენ: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარიო. და გამართლდა სიბრძნე მისი შვილებისაგან.

20. მაშინ დაიწყო იესომ იმ ქალაქთა გმობა, სადაც ყველაზე მეტი ძალნი გამოავლინა, მაგრამ მათ არ შეინანეს:

21. ვაი შენდა, ქორაზინ, და ვაი შენდა, ბეთსაიდა! რადგან ტიროსსა და სიდონს რომ მოვლენოდა თქვენში მოვლენილი ძალნი, რა ხანია ძაძითა და ნაცრით შეინანებდნენ.

22. ამიტომ გეუბნებით თქვენ: განკითხვის დღე ტიროსისა და სიდონისათვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე თქვენთვის.

23. და შენ, კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებულო, ჯოჯოხეთამდე დაემხობი; რადგან სოდომს რომ მოვლენოდა შენში მოვლენილი ძალნი, იქნებ კიდევაც მდგარიყო დღევანდელ დღემდე.

24. ამიტომ გეუბნები შენ: განკითხვის დღე სოდომის მხარისთვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე შენთვის.

25. იმ ხანად იესომ პასუხად თქვა: გადიდებ, მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან ბრძენთა და გონიერთ დაუფარე ყოველივე ეს, და გაუცხადე ჩვილ ბალღებს.

26. დიახ, მამაო, ასე კეთილინებე შენ.

27. ყველაფერი მამისაგან მომეცა მე, და არავინ იცის ძე, გარდა მამისა; და არც მამა იცის ვინმემ, გარდა ძისა და იმისა, ვისთვისაც ძე ინებებს მის გამოცხადებას.

28. მოდით ჩემთან ყოველი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე მოგიფონებთ თქვენ.

29. დაიდგით ქედზე ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან [illegible] ვარ და გულით მდაბალი [illegible] ვებთ სულის სიმშვიდეს.

30. ვინაიდან უღელი ჩემი ამოა, და ტვირთი ჩემი — მსუბუქი.

თავი მეთოთრმეტე

1. იმ ხანად, შაბათ დღეს, ყანაში მიდიოდა იესო; და მოშივდათ მის მოწაფეებს და დაიწყეს თავთავების კრეფა და ჭამა.

2. ეს რომ დაინახეს, ფარისევლებმა უთხრეს მას: აჰა, შენი მოწაფეები აკეთებენ იმას, რაც ნებადართული არ არის შაბათს.

3. ხოლო იესომ უთხრა მათ: არ წაგიკითხავთ, როგორ მოიქცა დავითი, როცა მოშივდა მასაც და მის მხლებლებსაც?

4. როგორ შევიდა ღმერთის სახლში და შეჭამა შესაწირავი პური, რისი ქმნაც ნებადართული არ იყო არც მისთვის და არც მისი მხლებლებისათვის, და რისი ნებაც მხოლოდ მღვდლებს ჰქონდათ?

5. არც ის ამოგიკითხავთ რჯულში, რომ შაბათობით მღვდლები ტაძარში არღვევენ შაბათს, და მაინც უცოდველნი არიან?

6. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: აქ არის ის, ვინც ტაძარზეც უმეტესია.

7. რომ იცოდეთ, რას ნიშნავს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი, აღარასოდეს შეაჩვენებდით უცოდველთ.

8. რადგან ძე კაცისა შაბათის უფალიც არის.

9. და წამოვიდა იქიდან იესო, და შევიდა მათს სინაგოგაში.

10. და აჰა, იყო იქ ერთი ხელგამხმარი კაცი, და ჰკითხეს იესოს, რათა ბრალი დაედოთ მისთვის: თუ შეიძლება კაცი განკურნო შაბათს?

11. ხოლო იესომ პასუხად უთხრა მათ: რომელიმე თქვენგანს ერთი ცხვარი რომ ჰყავდეს და შაბათ დღეს ორმოში ჩავარდეს იგი, ნუთუ ხელს არ ჩასჭიდებს და არ ამოიყვანს მას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ხოლო კაცი რამდენად უმჯობესია ცხვარზე? მაშ, შეიძლება შაბათ დღეს კეთილი საქმის ქმნა.

13. და უთხრა მაშინ კაცს: გაიწოდე შენი ხელი! მანაც გაიწოდა და კვლავ გაუმართელდა, როგორც მეორე.

14. ხოლო ფარისევლები გამოვიდნენ და მოითათბირეს მის წინააღმდეგ, თუ როგორ დაეღუპათ იგი.

15. მაგრამ იესომ გაიგო ეს და გაეცალა იქაურობას; და მისდევდა დიდძალი ხალხი და განკურნა ყველა.

16. და უბრძანა მათ, არ გამთქვათო.

17. რათა აღსრულდეს თქმული ესაია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს:

18. აჰა, მსახური ჩემი, რომელიც ავირჩიე; საყვარელი ჩემი, რომელიც შევიტკბე სულით; დავსდებ მასზე სულს ჩემსას, და აუწყებს სამართალს ხალხებს.

19. არ იდავებს, არ იყვირებს, არც არავინ მოისმენს მოედნებზე მის ხმას.

20. მოტეხილ ლერწამს არ გადატეხს და მბეუტავ პატრუქს არ დაშრეტს, ვიდრე არ მოუპოვებს ძლევას სამართალს.

21. და მისი სახელი სასოებად ექნება ხალხებს.

22. მაშინ მიჰგვარეს მას ბრმა და მუნჯი ეშმაკეული, და განკურნა იგი, ისე რომ ბრმასა და მუნჯს თვალი აეხილა და ამეტყველდა.

23. და უკვირდა ხალხს და ამბობდა: ეს ხომ არ არის დავითის ძეო?

24. ხოლო ამის გამგონე ფარისევლები ამბობდნენ: ეს ვერ გააძევებს ეშმაკთ, თუ არა ეშმაკთა მთავრის, ბელზებულის შეწევნითო.

25. მაგრამ იცოდა იესომ, რასაც ფიქრობდნენ ისინი, და უთხრა მათ: ყოველი სამეფო, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება; და ყოველი ქალაქი, გინდა სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი დაიქცევა.

26. და თუ სატანა აძევებს სატანას, მაშინ ის თავის თავს განეყოფა; როგორღა გაძლებს მისი სამეფო?

27. და თუ მე ბელზებულის შეწევნით ვაძევებ ეშმაკთ, ვისი შეწევნითღა აძევებენ მათ თქვენი ძენი? ამიტომ ისინი იქნებიან თქვენი მსაჯულნი.

28. ხოლო თუ მე ღმერთის სულით ვაძევებ ეშმაკთ, მოუწევია კიდეც თქვენამდე ღმრთის სასუფეველს.

29. ან როგორ შეძლებს ვინმე შევიდეს ძლიერის სახლში და გაძარცვოს იგი, თუკი თავდაპირველად არ შებოჭავს ძლიერს? მხოლოდ ამის შემდეგ თუ შესძლებს მისი სახლის გაძარცვას.

30. ვინც ჩემთან არაა, ჩემს წინააღმდეგაა; და ვინც ჩემთან არა კრებს, — ფანტავს.

31. ამიტომ გეუბნებით თქვენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევება ადამიანებს, მაგრამ სულის გმობა არ მიეტევება მათ.

32. ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას; მაგრამ ვინც იტყვის სიტყვას სულის წმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება მას, არც ამ წუთისოფლად და არც საუკუნო სოფლად.

33. ან სცანით ხე ვარგისად, და მისი ნაყოფიც ვარგისად; ან სცანით ხე უვარგისად და მისი ნაყოფიც უვარგისად; ვინაიდან ნაყოფით იცნობა ხე.

34. იქედნეს ნაშიერნო, როგორ შეგიძლიათ, თავად უკეთურთ, კეთილი სიტყვის თქმა? ვინაიდან გულის სისავსისგან მეტყველებს ბაგე.

35. კეთილ კაცს კეთილი საუნჯისგან გამოაქვს კეთილი, და ბოროტ კაცს ბოროტი საუნჯისგან გამოაქვს ბოროტი.

36. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს.

37. ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები, და შენივე სიტყვებით განიკითხები.

38. მაშინ ზოგმა მწიგნობარმა და

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარისეველმა უთხრა მას: მოძღვარო, გვსურს სასწაული ვიხილოთ შენგან.

39. ხოლო მან პასუხად თქვა: უკეთური და მემრუშე მოდგმა სასწაულს ეძებს; მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა.

40. ვინაიდან როგორც იონამ დაყო ვეშაპის მუცელში სამი დღე და სამი ღამე, ასევე დაყოფს ძეც კაცისა ქვეყნის გულში სამ დღეს და სამ ღამეს.

41. ნინეველნი აღსდგებიან განკითხვისას ამ მოდგმასთან ერთად და შეაჩვენებენ მას, ვინაიდან მათ შეინანეს იონას ქადაგებით, და აჰა, აქ იონაზე უმეტესია.

42. სამხრეთის დედოფალი აღსდგება განკითხვისას ამ მოდგმასთან ერთად და შეაჩვენებს მას, ვინაიდან ქვეყნის დასალიერიდან მოვიდა სოლომონის სიბრძნის სასმენად. და აჰა, აქ სოლომონზე უმეტესია.

43. როდესაც უწმინდური სული გამოვა კაცისაგან, უწყალო ადგილებს დაეძებს განსასვენებლად, და ვერ ჰპოვებს მას.

44. და მაშინ იტყვის: დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედი; და როცა მივა, ჰპოვებს მას ცარიელს, დაგვილსა და დამშვენებულს.

45. მაშინ წავა და მოიყვანს შვიდ სხვა სულსაც, მასზე უბოროტესს, და შევა და დაემკვიდრება იქ; და ამ კაცის უკანასკნელი დღე პირველზე უარესი იქნება. იგივე დღე ელის ამ უკეთურ მოდგმასაც.

46. და ვიდრე ასე ესაუბრებოდა ხალხს, აჰა, დედა და ძმები მისი გარეთ იდგნენ და სიტყვის სათქმელად ეძებდნენ მას.

47. მაშინ ვიღაცამ უთხრა მას: აჰა, დედა შენი და ძმები შენი გარეთ დგანან და სიტყვის სათქმელად გეძებენ შენ.

48. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ვინ არის დედა ჩემი? ან ვინ არიან ძმები ჩემი?

49. და გაიშვირა ხელი თავისი მოწაფეებისაკენ და თქვა: აჰა, დედა ჩემი და ძმები ჩემი.

50. რადგან ვინც ყოფს ნებას მამის ჩემის ზეციერისას, იგია ძმაც და დაც და დედაც ჩემი.

თავი მეცამეტე

1. იმ დღეს სახლიდან გამოვიდა იესო და ზღვის პირას დაჯდა.

2. და შემოკრბა მის ირგვლივ დიდძალი ხალხი, ისე რომ ნავში შევიდა და დაჯდა. ხოლო მთელი ხალხი ნაპირზე იდგა.

3. ბევრ რასმე ასწავლიდა მათ იგავებით და ამბობდა: აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად.

4. ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, და მოფრინდნენ ფრინველები და აკენკეს ისინი.

5. ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც ბლომად არ იყო მიწა, და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა.

6. მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე, დაჭკნა, და რადგან ფესვი არ ჰქონდა, გახმა.

7. ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და ამოვიდა ეკალი და ერთიანად მოაშთო ყველა.

8. ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა და ნაყოფიც გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმაც ოცდაათი.

9. ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!

10. მივიდნენ მოწაფეები და უთხრეს მას: რატომ ელაპარაკები მათ იგავებით?

11. ხოლო მან მიუგო მათ და უთხრა: იმიტომ, რომ თქვენ მოგეცათ ცათა სასუფეველის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო ამათ არ მისცემია.

12. რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა და მიემატება, ხოლო ვისაც არა აქვს, წაერთმევა ისიც, რაცა აქვს.

13. იგავებით იმიტომ ველაპარაკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ, რომ მხედველნი ვერას ხედავენ, მსმენელნი ვერას ისმენენ, და არც არა გაეგებათ რა.

14. და მართლდება მათ მიმართ წინასწარმეტყველება ესაიასი, რომელიც ამბობს: სმენით მოისმენთ და ვერას გაიგებთ, ხედვით შეხედავთ და ვერ დაინახავთ.

15. რადგან გამქისდა ამ ხალხის გული, და დაეხშოთ ყური და დაევსოთ თვალი, რათა არ იხილონ თვალით, არ ისმინონ ყურით, არ იგრძნონ გულით, და რათა არ მოიქცნენ, რომ განვკურნო ისინი.

16. ხოლო ნეტარ არიან თქვენი თვალნი, იმიტომ რომ ხედავენ, და თქვენი ყურნი, იმიტომ რომ ისმენენ.

17. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მრავალ წინასწარმეტყველსა და მართალს სურდათ ეხილათ ის, რასაც ხედავთ, და ვერ იხილეს; და ესმინათ ის, რასაც ისმენთ, და ვერ ისმინეს.

18. მაშ, ისმინეთ მთესავის იგავი:

19. ყველას, ვინც ისმენს სასუფევლის სიტყვას, მაგრამ არ ესმის იგი, მიადგება უკეთური და მოსტაცებს გულში ჩათესილს: ეს არის თესლი, რომელიც გზის პირას დაითესა.

20. ხოლო ქვიან ადგილას დათესილი ის არის, ვინც ისმენს სიტყვას და მაშინვე სიხარულით იღებს მას.

21. მაგრამ ფესვი არა აქვს მასში, და ამიტომ უდღეურია; და როდესაც მოაწევს ჭირის დღე ან დევნა სიტყვის გამო, მყისვე ცდუნდება.

22. ხოლო ეკალ-ბარდებში დათესილი ის არის, ვინც ისმენს სიტყვას, მაგრამ სოფლის საზრუნავი და სიმდიდრის საცდური აშთობენ სიტყვას და უნაყოფოს ხდიან მას.

23. ხოლო პოხიერ ნიადაგზე დათესილი ის არის, ვინც ისმენს და კიდეც შეიგნებს სიტყვას, და ამიტომაც გამოაქვს ნაყოფი: ერთი ასად, ერთი სამოცად თუ ერთი ოცდაათად.

24. სხვა იგავიც შესთავაზა მათ და უთხრა: ცათა სასუფეველი მსგავსია კაცისა, რომელმაც დათესა კეთილი თესლი თავის ყანაში.

25. ხოლო როდესაც ეძინა ხალხს, მოვიდა მისი მტერი, ღვარძლი ჩათესა ყანაში და წავიდა.

26. და როდესაც აღმოცენდა ჯეჯილი და თავთავი დაისხა, მაშინ გამოჩნდა ღვარძლიც.

27.მივიდნენ მონები ყანის პატრონთან და უთხრეს: ბატონო, შენ ხომ კეთილი თესლი დათესე ყანაში; საიდანა აქვს ღვარძლი?

28. ხოლო მან უთხრა მათ: მტერმა ქნა ეს. მონებმა კი უთხრეს: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგლავთ ყანას.

29. ხოლო მან თქვა: არა, რათა მარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც არ მიაყოლოთ.

30. აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე; ხოლო მკისას ვუბრძანებ მომკალთ: თავდაპირველად შეკრიბეთ ღვარძლი ძნებად შეკარით და ცეცხლი წაუკიდეთ, ხორბალი კი შეინახეთ ჩემს ბეღელში.

31. სხვა იგავიც შესთავაზა მათ და უთხრა: ცათა სასუფეველი მსგავსია მდოგვის მარცვლისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ყანაში;

32. ეს მარცვალი ყოველნაირ თესლზე მცირეა, მაგრამ როცა ამოვა, ყველა მწვანილზე დიდი ხდება და ხედ იქცევა, ისე რომ, მოფრინავენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე იბუდებენ.

33. მერე სხვა იგავიც უთხრა მათ: ცათა სასუფეველი მსგავსია საფუარისა, რომელიც აიღო დედაკაცმა და მოზილა მით სამი საწყაო ფქვილი, ვიდრე მთელი ცომი არ აფუვდა.

34. ყოველივე ამას იგავებით ეუბნებოდა ხალხს იესო, და გარდა იგავისა, არაფერს ეტყოდა მათ.

35. რათა აღსრულდეს წინასწარმეტყველის მიერ თქმული, რომელიც ამბობს: გავხსნი ჩემს ბაგეს იგავთ სათქმელად, და ვიტყვი, რაც დაფარულია ქვეყნის დასაბამიდან.

36. მაშინ გაუშვა იესომ ხალხი და

სახლში დაბრუნდა. მიუახლოვდნენ მისი მოწაფეები და უთხრეს: განგვიმარტე ღვარძლისა და ყანის იგავი.

37. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: კეთილი თესლის მთესავი ძეა კაცისა.

38. ყანა არის ქვეყანა; კეთილი თესლი სასუფევლის ძენი არიან, ხოლო ღვარძლი — უკეთურის ძენი.

39. ღვარძლის მთესავი მტერი ეშმაკია; მკა — ქვეყნის დასასრული, და მომკალნი — ანგელოზები.

40. როგორც შეკრებენ ღვარძლს და ცეცხლს მისცემენ, ასევე იქნება ქვეყნის დასასრულს.

41. რადგან მოავლინებს ძე კაცისა თავის ანგელოსებს, და შეკრებენ მის სასუფეველში ყველა საცდურსა და ურჯულოების მოქმედთ.

42. და ჩაყრიან მათ სახმილის ცეცხლში; და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

43. მაშინ მზესავით გამობრწყინდებიან მართალნი მათი მამის სასუფეველში. ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!

44. და მერე, მსგავსია ცათა სასუფეველი ყანაში დაფლული განძისა, რომელიც იპოვა კაცმა დამალა და გახარებული წავიდა, გაყიდა ყველაფერი, რაც ებადა, და იყიდა ის ყანა.

45. და მერე, მსგავსია ცათა სასუფეველი ვაჭარი კაცისა, რომელიც ეძებს ლამაზ მარგალიტს.

46. და როცა იპოვის ძვირფას მარგალიტს, წავა, გაჰყიდის ყველაფერს, რაც აბადია, და იყიდის მას.

47. და მერე, მსგავსია ცათა სასუფეველი ბადისა, რომელსაც აგდებენ ზღვაში, და იჭერს ყოველნაირ თევზს;

48. და როცა გაივსება, გამოათრევენ ნაპირზე, დასხდებიან და ვარგისით გოდრებს დაავსებენ, ხოლო უვარგისთ გადაყრიან.

49. ასე იქნება ქვეყნის დასასრულსაც: მოვლენ ანგელოზები და მართალთაგან განაშორებენ უკეთურთ;

50. და ჩაყრიან მათ სახმილის ცეცხლში, და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

51. ჰკითხა მათ იესომ: გესმოდა ეს ყველა? ეს ... არა ყოველივე ეს? და მათ .მიუგეს: დიახ, უფალო.

52. ხოლო იესომ უთხრა მათ: ამიტომ ყოველი მწიგნობარი, რომელიც ცათა სასუფევლის მოწაფე გახდა, მსგავსია სახლის პატრონისა, რომელსაც თავისი საუნჯიდან გამოაქვს ახალიცა და ძველიც.

53. და როცა დაასრულა იესომ ეს იგავნი, წავიდა იქიდან.

54. და მივიდა თავის მამულში, და ასწავლიდა მათს სინაგოგაში, ისე რომ უკვირდათ მათ და ამბობდნენ: ვინ მისცა მას ესოდენი სიბრძნე და ძალა?

55. განა ხუროს შვილი არ არის? და განა დედამისს არა ჰქვია მარიამი, ხოლო მის ძმებს იაკობი და იოსე, სიმონი და იუდა?

56. და განა ჩვენთან არ არიან მისი დები? ვინ მისცა მას ყოველივე ეს?

57. და ცდებოდნენ მასში. ხოლო იესომ უთხრა მათ: არ არის წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში და თავის სახლში.

58. და არ მოუხდენია იქ მრავალი სასწაული მათი ურწმუნოების გამო.

თავი მეთოთხმეტე

1. იმ ხანად ჰეროდე მეოთხედმთავარამდე მიაღწია იესოს ამბავმა;

2. და უთხრა თავის მსახურთ: ეს არის იოანე ნათლისმცემელი; მკვდრეთით აღმდგარა და ამიტომ ძალნი მოქმედებენ მასში.

3. ვინაიდან ჰეროდემ შეიპყრო იოანე, შეკრა და საპყრობილეში ჩააგდო ჰეროდიადას, თავისი ძმის ფილიპეს ცოლის გამო.

4. რადგან იოანე ეუბნებოდა მას: არ შეიძლება შენ გყავდეს იგი.

5. და უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ ხალხისა ეშინოდა, ვინაიდან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ხოლო ჰეროდეს დაბადების დღეს ჰეროდიადას ასულმა იცეკვა წვეულთა წინაშე და მოხიბლა ჰეროდე.

7. ამიტომ ფიცით აღუთქვა მას, მოგცემ, რასაცა მთხოვო.

8. ხოლო მან, დედამისისგან წინასწარ გაზრახებულმა, სთხოვა ლანგრით მიეცათ მისთვის იოანე ნათლისმცემელის თავი.

9. შეწუხდა მეფე, მაგრამ ფიცისა და თანამეინახეთა რიდით, მიცემა ბრძანა.

10. და წარგზავნა მსახურნი, რათა იოანესთვის თავი მოეკვეთათ საპყრობილეში.

11. და მოართვეს თავი ლანგრით და მისცეს ქალს, ხოლო მან მიართვა დედამისს.

12. ხოლო იოანეს მოწაფეები მივიდნენ, გამოიტანეს მისი ნეშტი და დამარხეს; მერე კი წავიდნენ და აუწყეს იესოს.

13. ეს რომ გაიგო, იესო ნავით გაეცალა იქაურობას და უდაბნოში განმარტოვდა. მაგრამ შეიტყო ხალხმა და ფეხდაფეხ მიჰყვა ქალაქებიდან.

14. და გამოვიდა იესო, იხილა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი, და განკურნა მათი სნეულნი.

15. ხოლო შებინდებისას მივიდნენ მისი მოწაფეები და უთხრეს: უდაბურია ეს ადგილი და თანაც გვიანია უკვე; გაუშვი ხალხი, რათა წავიდნენ სოფლებში საჭმლის საყიდლად.

16. მაგრამ იესომ უთხრა მათ: არ დასჭირდებათ წასვლა; თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი.

17. ხოლო მათ უთხრეს: რომ არაფერი გვაქვს, ხუთი პურისა და ორი თევზის გარდა?

18. იესომ უთხრა მათ: აქ მომიტანეთ.

19. და მოლზე დასხდომა უბრძანა ხალხს, აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცად აღაპყრო თვალნი, აკურთხა და დატეხა პურები და მისცა მოწაფეებს, ხოლო მათ ჩამოურიგეს ხალხს.

20.და ჭამა ყველამ, და გაძღნენ. და გაავსეს ნარჩენებით თორმეტი კალათა.

21. ხოლო იყო მჭამელი ასი ოცდა ათასამდე კაცი, ქალებისა და ბავშვების გარდა.

22. და მაშინვე აიძულა თავისი მოწაფეები, ნავში ჩამსხდარიყვნენ და მასზე ადრე გასულიყვნენ გაღმა, სანამდის თვითონ გაისტუმრებდა ხალხს.

23. ხალხი რომ გაისტუმრა, განმარტოებით ავიდა მთაზე სალოცავად; და მწუხრის ჟამს მარტო იყო იქ.

24. ხოლო ნავი უკვე შუაგულ ზღვაში იყო, და ტალღები ეხეთქებოდნენ მას. ვინაიდან პირქარი ქროდა.

25. და ღამის მეოთხე გუშაგობისას იესო ზღვაზე სვლით მივიდა მათთან.

26. ზღვაზე მომავალი რომ დაინახეს, მოწაფეები შეძრწუნდნენ და თქვეს: მოჩვენება არისო, და შიშით შეჰყვირეს.

27. მყისვე შეეხმიანათ იესო: მხნედ იყავით; მე ვარ, ნუ გეშინიათ.

28. მიუგო პეტრემ და უთხრა მას: უფალო, თუ მართლა შენა ხარ, მიბრძანე, რომ ზღვით მოვიდე შენთან.

29. მანაც უბრძანა: მოდი! და გადმოვიდა პეტრე ნავიდან, რათა ზღვაზე სვლით მისულიყო იესოსთან.

30. მაგრამ რა იხილა ძლიერი ქარი, შეშინდა და ჩაძირვა იწყო, და შეჰლაღადა: უფალო, მიხსენ მე!

31. მყისვე გაუწოდა ხელი იესომ, ჩასჭიდა მას და უთხრა: მცირედ მორწმუნეო, რამ შეგაეჭვა?

32. და ავიდნენ თუ არა ნავზე, მაშინვე ჩადგა ქარი.

33. ხოლო ნავში მყოფნი მიეახლნენ, თაყვანი სცეს და უთხრეს: ჭეშმარიტად ღმრთის ძე ხარ შენ.

34. ასე გავიდნენ გაღმა და მიადგნენ გენესარეტის მხარეს.

35. და იცნეს იგი იქაურებმა, ხალხი დაგზავნეს მთელს მხარეში, და მიჰგვარეს ყველა სნეული.

36. და ევედრებოდნენ, ხელი შეგვახებინე შენი სამოსის კალთისთვისო; და ვინც შეახო, განიკურნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთხუთმეტე

1. მაშინ მივიდნენ იესოსთან იერუსალემელი მწიგნობრები და ფარისევლები და უთხრეს:

2. რატომ არღვევენ შენი მოწაფეები უხუცესთა გადმოცემას? ვინაიდან ხელს არ იბანენ პურის ჭამისას.

3. ხოლო იესომ პასუხად მიუგო მათ: კი მაგრამ, თქვენ, რატომღა არღვევთ ღმერთის მცნებას თქვენი გადმოცემით?

4. ვინაიდან ღმერთმა ბრძანა: პატივი ეცი მამას შენსას და დედას; და კიდევ: ვინც მამისა თუ დედის ძვირს იტყვის, სიკვდილით მოკვდეს.

5. ხოლო თქვენ ამბობთ: ყველა, ვინც ეტყვის თავის მამას ან თავის დედას: ღმერთს ვწირავ იმას, რაც ჩემგან უნდა მიგელოთ, —

6. პატივს არა სცემს არც მამას და არც დედას; და ამრიგად, თქვენი გადმოცემით არღვევთ ღმრთის მცნებას.

7. თვალთმაქცნო, მართლად იწინასწარმეტყველა თქვენთვის ესაიამ, რომელმაც თქვა:

8. მიახლოვდება ეს ხალხი თავისი ენით, და მადიდებს თავისი ბაგით, მაგრამ მისი გული შორსაა ჩემგან.

9. ამაოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანურ მოძღვრებებსა და მცნებებს.

10. და მოუხმო ხალხს და უთხრა: ისმინეთ და გულს ჩაიბეჭდეთ.

11. პირით შემავალი კი არ შებილწავს კაცს, არამედ პირიდან გამომავალია ის, რაც შებილწავს კაცს.

12. მაშინ მიუახლოვდნენ მისი მოწაფეები და უთხრეს: თუ იცი, რომ ფარისევლები ამ სიტყვის მოსმენით შეცდნენ?

13. ხოლო მან პასუხად თქვა: ყოველი ნერგი, რომელიც არ დაურგავს მამას ჩემსას ზეციერს, ძირფესვიანად აღმოიფხვრება.

14. მოეშვით მათ: ბრმები არიან და ბრმებისვე წინამძღოლნი; ხოლო თუ ბრმა წინ უძღვის ბრმას, ორივენი ორმოში ჩაცვივიან.

15. მიუგო პეტრემ და უთხრა მას: განგვიმარტე ჩვენ ეს იგავი.

16. ხოლო იესომ თქვა: ნუთუ თქვენც არა გაგეგებათ რა?

17. ნუთუ არ გესმით, რომ ყველაფერი, რაც პირით შევა, მუცელს გაივლის და გარეთ გამოვა.

18. ხოლო პირით გამომავალი გულიდან გამოდის და სწორედ ის ბილწავს კაცს.

19. ვინაიდან გულიდან გამოდიან უკეთური ზრახვანი, კაცის კვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი;

20. ესენი არიან კაცის შემბილწველნი, ხოლო ხელდაუბანლად ჭამა არ ბილწავს კაცს.

21. და წამოვიდა იქიდან იესო, და მივიდა ტიროსისა და სიდონის მხარეს.

22. და აჰა, ერთი ქანანელი ქალი, იმ საზღვრებიდან გამოსული მიჰყვიროდა მას და ამბობდა: შემიწყალე მე, უფალო, დავითის ძეო: ჩემი ასული საშინლად იტანჯება ეშმაკისაგან.

23. ხოლო მან ხმა არ გასცა. და მიადგნენ მისი მოწაფეები და სთხოვეს: გაუშვი ეგ, რადგანაც ჩვენ მოგვყვირის.

24. ხოლო მან პასუხად თქვა: სხვას როდი მოვვლენივარ, არამედ მხოლოდ ისრაელის სახლის დაღუპულ ცხვრებს.

25. ამასობაში ქალიც მოვიდა, თაყვანი სცა და უთხრა: უფალო, შემეწიე მე!

26. ხოლო მან პასუხად თქვა: არ ვარგა, შვილებს წაართვა და ძაღლებს მიუგდო პური.

27. ქალმა კი უთხრა: დიახ, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ხომ ჭამენ პატრონის ტაბლიდან დაცვენილ ნასუფრალს.

28. მაშინ იესომ პასუხად მიუგო მას: ეჰა, ქალო! დიდია შენი რწმენა, და შენი სურვილისამებრ მოგეგოს შენ! და განიკურნა მისი ასული იმავე წამს.

29. წამოვიდა იქიდან იესო, მოვიდა გალილეის ზღვის პირას, მთაზე ავიდა და იქ დაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. და მივიდა მასთან დიდძალი ხალხი, და თან მოიყოლეს კოჭლნი, ბრმანი, ყრუნი, საპყარნი და სხვანიც მრავალნი, ფერხთით დაუწვინეს იესოს და მანაც განკურნა ისინი;

31. ისე რომ, უკვირდა ხალხს, როცა ხედავდა, რომ ლაპარაკობდნენ მუნჯნი, იკურნებოდნენ საპყარნი, დადიოდნენ კოჭლნი და ხედავდნენ ბრმანი; და ადიდებდნენ ისრაელის ღმერთს.

32. ხოლო იესომ მოუხმო თავის მოწაფეებს და უთხრა: მეცოდება ეს ხალხი, რადგან უკვე სამი დღეა ჩემთან არიან და არაფერი აქვთ საჭმელი. არ მინდა უზმოდ გავუშვა ისინი, რათა არ დაუძლურდნენ გზაში.

33. უთხრეს მას მოწაფეებმა: სადა გვაქვს ამ უდაბნოში იმდენი პური, რომ მთელი ეს ხალხი დავაპუროთ?

34. ჰკითხა მათ იესომ: მაინც რამდენი პური გაქვთ? და მათ მიუგეს: შვიდი, და ცოტაოდენი თევზი.

35. მაშინ მიწაზე დასხდომა უბრძანა ხალხს.

36. და აიღო შვიდი პური და თევზი, მადლი შესწირა, დატეხა და მისცა თავის მოწაფეებს, ხოლო მოწაფეებმა — ხალხს.

37. და ჭამა ყველამ, და გაძღნენ. და გაავსეს ნარჩენებით შვიდი კალათი.

38. ხოლო იყო მჭამელი ოთხი ათასი კაცი, ქალებისა და ბავშვების გარდა.

39. და გაისტუმრა ხალხი, თვითონ კი ნავში ჩაჯდა და მიადგა მაგდალას საზღვარს.

თავი მეთექვსმეტე

1. და მიადგნენ მას საცდუნებლად ფარისეველნი და სადუკეველნი, და სთხოვეს, ზეცით სასწაული ეჩვენებინა მათთვის.

2. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: საღამოს ამბობთ: ხვალ დარი იქნება, ვინაიდან ცა წითელია.

3. დილით კი ამბობთ: დღეს გაავდრდება, ვინაიდან ცა მოქუფრულია. თვალთმაქცნო, ცის ფერს ეარჩევთ, დროის ნიშანთა გარჩევა კი არ შეგიძლიათ.

4. უკეთური და მემრუშე მოდგმა სასწაულს ეძებს; მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა. და დაუტოვა ისინი და წავიდა.

5. ხოლო მის მოწაფეებს, გაღმა გასვლისას, დაავიწყდათ პურის წაღება.

6. და იესომ უთხრა მათ: ფხიზლად იყავით, ერიდეთ ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარს.

7. ისინი კი გულში ფიქრობდნენ: ალბათ, იმიტომ გვეუბნება, პურის წამოღება რომ დაგვავიწყდაო.

8. მიუხვდა იესო და უთხრა მათ: რას ფიქრობთ, მცირედ მორწმუნენო: პურის წამოღება დაგვავიწყდაო?

9. ნუთუ არ გესმით, ან არ გახსოვთ ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის პურობა, და რამდენი კალათი დაავსეთ კიდევ?

10. არც შვიდი პურით ოთხი ათასი კაცის პურობა, და რამდენი კალათი დაავსეთ კიდევ?

11. ნუთუ არ გესმით, რომ პურისთვის როდი გითხარით თქვენ: ერიდეთ ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარს-მეთქი?

12. მაშინღა მიხვდნენ, რომ ის აფრთხილებდა მათ, მორიდებოდნენ არა ცომის საფუარს, არამედ ფარისეველთა და სადუკეველთა მოძღვრებას.

13. ხოლო როდესაც ფილიპეს კესარიის მხარეს მივიდა, იესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: რას ამბობს ხალხი, ვინ ვგონივართ მე, ძე კაცისა?

14. მათ მიუგეს: ზოგს იოანე ნათლისმცემელი ჰგონიხარ, ზოგს — ელია, ზოგს — იერემია თუ ერთ-ერთი წინასწარმეტყველი.

15. კვლავ ჰკითხა მათ: თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე?

16. სიმონმა, იმავე პეტრემ მიუგო: შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა.

17. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარი ხარ შენ, სიმონ, იონას ძეო, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არა გაგიცხადა ეს, არამედ მამამ ჩემმა ზეციერმა.

18. და მე გეუბნები: შენა ხარ კლდე, და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას.

19. და მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებს, და რასაც შევკრავ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც, ხოლო რასაც დახსნი მიწაზე, დახსნილი იქნება ცაშიც.

20. მაშინ უბრძანა თავის მოწაფეებს, არავისთან გაეთქვათ, რომ ის არის იესო ქრისტე.

21. მას აქეთ დაიწყო იესომ თავისი მოწაფეებისთვის იმის გამხელა, რომ უნდა წასულიყო იერუსალემს, დაეთმინა მრავალი ტანჯვა უხუცესთა, მღვდელთმთავართა და მწიგნობართაგან, სასიკვდილოდ მიეცა თავი, და აღმდგარიყო მესამე დღეს.

22. მაშინ გაიხმო იგი პეტრემ, კიცხვა დაუწყო და უთხრა: შორს შენგან, უფალო; ღმერთმა ნუ ქნას ეგ!

23. ხოლო ის მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას.

24. მაშინ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს: ვისაც სურს მე მომდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი, და გამომყვეს მე.

25. რადგან ვისაც სურს სულის ხსნა, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას.

26. რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას, და სულს წააგებს? ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?

27. რადგან მოვა ძე კაცისა მამის თვისის დიდებითა და თავის ანგელოზთა თანხლებით, და მისი საქმისამებრ მიაგებს თვითეულს.

28. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ზოგი აქ მყოფთაგანი არ იგემებს სიკვდილს, სანამ არ იხილავს ძეს კაცისა მომავალს თავის სასუფეველში.

თავი მეჩვიდმეტე

1. ექვსი დღის შემდეგ წაიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და მისი ძმა იოანე, და მაღალ მთაზე აიყვანა ისინი განმარტოებით.

2. და იცვალა მათ წინაშე ფერი, და გაბრწყინდა მისი სახე, როგორც მზე, და გათეთრდა მისი სამოსი, როგორც ნათელი.

3. და აჰა, მოეცლინენ მათ მოსე და ილია, იესოსთან მოსაუბრენი.

4. და უთხრა პეტრემ იესოს: უფალო! რა გვიჯობს აქ ყოფნას? თუ გნებავს, გაგიკეთებთ სამ კარავს: ერთს შენ, ერთს მოსეს და ერთსაც ილიას.

5. ¡სიტყვის დასრულება ვერც კი მოასწრო, რომ, აჰა, ნათელმა ღრუბელმა ჩრდილით დაბურა ისინი. და გაისმა ხმა ღრუბლით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც შევიტკბე მე. უსმინეთ მას.

6. ეს რომ ჩაესმათ მოწაფეებს, პირქვე დაემხნენ, ძალიან შეშინებულნი.

7. მაგრამ მივიდა იესო, ხელი შეახო მათ და უთხრა: ადექით, ნუ გეშინიათ.

8. და როცა ზე აიხედეს, ვერავინ დაინახეს, იესოს გარდა.

9. ხოლო მთიდან ჩამოსვლისას იესომ უბრძანა და უთხრა მათ: ნურავის გაანდობთ ამ ხილვას, ვიდრე ძე კაცისა არ აღდგება მკვდრეთით.

10. და ჰკითხეს მას მოწაფეებმა და უთხრეს: რატომ ამბობენ მწიგნობარნი, პირველად ელია უნდა მოვიდესო?

11. ხოლო მან პასუხად თქვა: ელია მართლაც პირველად მოვა და აღადგენს ყოველს;

12. მაგრამ გეუბნებით თქვენ: ელია უკვე მოვიდა, და ვერ იცნეს იგი, არამედ როგორც უნდოდათ, ისე მოექცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ. იგივე ტანჯვა ელის მათგან კაცის ძესაც.

13. მაშინ მიხვდნენ მოწაფეები, რომ იოანე ნათლისმცემელზე ელაპარაკებოდა მათ.

14. და როცა ხალხთან მივიდნენ, ერთი კაცი მიუახლოვდა, მუხლი მოიყარა მის წინაშე,

15. და უთხრა: უფალო! შეიწყალე ჩემი ძე: მთვარეულია და საშინლად იტანჯება, ვინაიდან ხშირად ცეცხლში და ხშირად კიდევ წყალში ვარდება.

16. მივუყვანე შენს მოწაფეებს, მაგრამ ვერ განკურნეს იგი.

17. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ო, ურწმუნო და უკუღმართო მოდგმავ; როდემდის ვიქნები თქვენთან? როდემდის მოგითმენთ თქვენ? აქ მომგვარეთ.

18. და შერისხა იესომ, და გავიდა ეშმაკი მისგან; და განიკურნა ყმაწვილი იმავე წამს.

19. მაშინ მოწაფეებმა დაიმარტოხელეს იესო და ჰკითხეს: რატომ ჩვენ ვერ შევძელით მისი განდევნა?

20. ხოლო იესომ მიუგო მათ: თქვენი ურწმუნოების გამო. რადგან ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ გექნებათ მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა, უბრძანეთ ამ მთას: გადაადგილდიო, და ისიც გადაადგილდება, და არაფერი იქნება შეუძლებელი თქვენთვის.

21. ეს მოდგმა კი მხოლოდ ლოცვითა და მარხვით განიდევნება.

22. გალილეაში ყოფნისას უთხრა მათ იესომ: ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში,

23. და მოკლავენ მას, და მესამე დღეს აღდგება. და დიდად დამწუხრდნენ ისინი.

24. ხოლო როდესაც მიადგნენ კაპერნაუმს, მივიდნენ პეტრესთან დიდრაქმის ამკრებნი და უთხრეს: თქვენი მოძღვარი არ გადაიხდის დიდრაქმას?

25. მან მიუგო: დიახ. და როდესაც შევიდა სახლში, იესომ დაასწრო და ჰკითხა: როგორ გგონია, სიმონ? ვისგან კრებენ მიწიერი მეფენი ხარკს და ბეგარას: თავიანთ შვილთაგან თუ უცხოთაგან?

26. პეტრემ მიუგო: უცხოთაგან. ხოლო იესომ უთხრა მას: ასე რომ, შვილები თავისუფალნი არიან.

27. მაგრამ რათა არ ვაცდუნოთ ისინი, წადი ზღვის პირას, ჩააგდე ანკესი, აიღე პირველივე თევზი, რომელსაც დაიჭერ, გაუღე პირი, და შიგ ჰპოვებ სტატირს: მიიტანე და მიეცი მათ ჩემი და შენი სახელით.

თავი მეთვრამეტე

1. იმ ხანად მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და ჰკითხეს: ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?

2. იესომ დაუძახა ბავშვს, მათ შორის ჩააყენა

3. და თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ მოიქცევით და არ იქნებით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.

4. ამრიგად, ვინც დაიმდაბლებს თავს, როგორც ეს ბავშვი, ის არის უდიდესი ცათა სასუფეველში.

5. და ვინც შეიწყნარებს ერთ ამნაირ ბავშვს ჩემი სახელით, მე შემიწყნარებს.

6. და ვინც აცდუნებს ერთ ამ მცირეთაგან, რომელთაც მე ვწამვართ, უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვის უფსკრულში დანთქან.

7. ვაი ამ ქვეყანას საცდურთაგან, ვინაიდან საცდური გარდუვალია; მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის საცდური.

8. თუ შენი ხელი ანდა შენი ფეხი გაცდუნებს შენ, მოიკვეთე და გადააგდე: გიჯობს უხელოდ ან უფეხოდ შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორივე ხელით ან ორივე ფეხით ჩავარდე საუკუნო ცეცხლში.

9. და თუ შენი თვალი გაცდუნებს შენ, ამოითხარე და გადააგდე: გიჯობს ცალთვალა შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორივე თვალის მქონე ჩავარდე ცეცხლის გეენაში.

10. ეკრძალეთ, ნუ შეურაცხყოფთ

ნურცერთ ამ მცირეთაგანს, რადგანაც გეუბნებით თქვენ, რომ მათი ანგელოზები ცაში თვალს არ აშორებენ მამის ჩემის ზეციერის სახეს.

11. რადგან ძე კაცისა მოვიდა, რათა იხსნას დაღუპულნი.

12. როგორ გგონიათ, კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი მათგანი დაეკარგოს, განა არ მიატოვებს მთაში ოთხმოცდაცხრამეტს, და არ წავა დაკარგულის საძებნად?

13. და თუ მოხდა ისე, რომ იპოვა, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მას უფრო მეტად შეჰხარის, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტს, რომლებიც არ დაჰკარგვია.

13. ასევე არ ნებავს მამას ჩემსას ზეციერს, რომ დაიღუპოს ერთი ამ მცირეთაგანი.

15. ხოლო თუ შენი ძმა შესცოდავს შენს მიმართ, მიდი და ამხილე, როცა მარტო იქნებით ორივენი; და თუ შეისმინა შენი, შეგიძენია ძმა შენი.

16. ხოლო თუ არ შეისმინა, მიიყვანე ერთი ან ორი კაცი, რათა ორი თუ სამი მოწმის პირით დადასტურდეს ყოველი სიტყვა.

17. და თუ არც მათსას შეისმენს, უთხარი ეკლესიას; ხოლო თუ არც ეკლესიისას შეისმენს, მაშინ იქნება იგი შენთვის როგორც მებაჟე ან წარმართი.

18. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც შეკრავთ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც, და რასაც დახსნით მიწაზე, დახსნილი იქნება ცაშიც.

19. კვლავ ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ორი თქვენგანი შეთანხმდება ამ ქვეყნად და ერთად ითხოვს რასმე, მაშინ, რასაც უნდა ითხოვდნენ, მიეცემათ მამის ჩემის ზეციერისგან.

20. რადგან სადაც ორი თუ სამი შეიყრება ჩემი სახელით, მეც იქვე ვარ მათ შორის.

21. მაშინ მიუახლოვდა მას პეტრე და უთხრა: უფალო, რამდენჯერ მივუტევო ჩემს ძმას, რომელიც ჩემს წინააღმდეგ სცოდავს? შვიდჯერ?

22. იესომ მიუგო: არ გეუბნები: შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ.

23. ამითა ჰგავს ცაი[illegible] მეფეს, რომელმაც გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა თავისი მონებისათვის.

24. და როცა ანგარიშსწორება დაიწყო, წარუდგინეს მას ერთი, რომელსაც მისი ათი ათასი ტალანგი ემართა.

25. და რაკი გადახდის თავი არ ჰქონდა, მისმა მეფემ ბრძანა, გაეყიდათ ისიც, მისი ცოლიც, მისი შვილებიც, მთელი მისი სარჩო-საბადებელიც, და ვალი დაეფარათ.

16. დაემხო მონა, თაყვანი სცა და უთხრა: შემიბრალე, მეფეო, და მთელ ვალს გადაგიხდი.

27. შეიბრალა მეფემ თავისი მონა, გაუშვა და ვალიც აპატია.

18. მაგრამ წამოვიდა ეს მონა და ერთ თავის ამხანაგს შეხვდა, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა; ყელში სწვდა, დახრჩობა დაუპირა და შესძახა: ჩემი ვალი დამიბრუნეო.

29. ამხანაგი ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა: ცოტაც მაცალე და მთელ ვალს გაგისტუმრებო.

30. მაგრამ მან ყური არ ათხოვა, არამედ წავიდა და, ვალის გადახდამდე, ციხეში ჩააგდებინა იგი.

31. ეს რომ მისმა ამხანაგებმა დაინახეს, ძალიან შეწუხდნენ, წავიდნენ და მეფეს მოახსენეს ყველაფერი, რაც მოხდა.

32. მაშინ მეფემ დაიბარა მონა და უთხრა: შე ბოროტო, მთელი ვალი გაპატიე, რაკილა მთხოვე.

33. ნუთუ არა გმართებდა, ისევე შეგებრალებინა შენი ამხანაგი, როგორც მე შეგიბრალე შენ?

34. განრისხდა მეფე და მტანჯველებს მისცა ხელში, ვიდრე არ გადაიხდიდა მთელ თავის ვალს.

35. ასევე მოგექცევათ მამა ჩემი ზეციერი, თუ მთელის გულით არ მიუტევებთ თქვენს ძმას მის შეცოდებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცხრამეტე

1. როცა იესომ დაასრულა ეს სიტყვები, წამოვიდა გალილეიდან და მოვიდა იუდეის მხარეში, იორდანეს გაღმა.

2. თან მოსდევდა დიდძალი ხალხი, და განკურნა იქ ისინი.

3. მაშინ საცდუნებლად მიუახლოვდნენ ფარისევლები და უთხრეს: ნება აქვს თუ არა კაცს, ყოველგვარი მიზეზით გაუშვას ცოლი?

4. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან კაცად და ქალად შექმნა ისინი?

5. და თქვა: ამიტომ მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას, და შეერთვის თავის ცოლს, და იქნებიან ორივენი ერთ ხორც.

6. ასე რომ, ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთ ხორც. ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი.

7. კვლავ უთხრეს მას: მაშინ რატომღა გვამცნო მოსემ გაყრის წერილის მიცემა და ცოლთან გაყრა?

8. მიუგო მათ: მოსემ თქვენი გულქვაობის გამო მოგცათ ცოლებთან გაყრის ნება, თავიდან კი არ იყო ასე.

9. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ვინც გაეყრება თავის ცოლს, სიძვის მიზეზის გარეშე, და სხვას შეირთავს, მრუშობს; და ვინც გაშვებულს შეირთავს, აგრეთვე მრუშობს.

10. უთხრეს მას მოწაფეებმა: თუ კაცს ამდენი რამ მართებს ცოლის მიმართ, უმჯობესია სულაც არ შეირთოს.

11. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ყველას როდი შეუძლია ამ სიტყვის წვდომა, არამედ მხოლოდ იმათ, ვისაც მიეცა.

12. ვინაიდან არიან საჭურისნი, რომელნიც დედის საშოდანვე ასე იშვნენ; არიან საჭურისნი, რომელნიც კაცთაგან დასაჭურისდნენ; და არიან საჭურისნი, რომელთაც თავად დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფევლის გულისთვის. ვისაც წვდომის თავი აქვს, ჩასწვდეს.

13. მაშინ მიჰგვარეს მას ბავშვები, რათა ხელები დაედო და დაელოცა ისინი, მოწაფეები კი უშლიდნენ მათ.

14. ხოლო იესომ თქვა: აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგისთანებისაა ცათა სასუფეველი.

15. და დაადო ხელი, და წავიდა იქიდან.

16. და აჰა, ვილაც მიუახლოვდა და უთხრა მას: კეთილო მოძღვარო, რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს?

17. ხოლო მან მიუგო: რად მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთისა — ღმერთისა. ხოლო თუ [illegible] შეხვიდე სიცოცხლეში, დაიცავი [illegible] ბანი.

18. უთხრა მას: რომელნი? ხოლო იესომ მიუგო მას: არა კაც-ჰკლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი სწამო;

19. პატივი ეცი მამას შენსას და დედას; და შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.

20. უთხრა მას ჭაბუკმა: ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმიდან; რაღა მაკლია კიდევ?

21. იესომ მიუგო მას: თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ, და გექნება საუნჯე ცაში; და მოდი და გამომყევი მე.

22. ეს სიტყვა რომ მოისმინა, ჭაბუკი დაღონებული წავიდა, რადგანაც ძალიან მდიდარი იყო.

23. ხოლო იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მდიდარი ძნელად თუ შევა ცათა სასუფეველში.

24. ამასაც გეუბნებით თქვენ: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში.

25. ეს რომ მოისმინეს, მოწაფეები ძალზე განცვიფრდნენ და თქვეს: კი მაგრამ, ვინღა ცხონდება.

26. შეხედა იესომ და უთხრა მათ: ეს შეუძლებელია კაცთათვის, ღმერთისთვის კი ყველაფერი შესაძლებელია.

27. მაშინ პეტრემ მიუგო და უთხრა მას: აი, ჩვენ მივატოვეთ ყველაფერი და გამოგყევით; რა გვექნება ჩვენ?

22. ხოლო იესომ მიუგო მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ თქვენ, რომელნიც გამომყევით მე, მეორედ შობისას, როცა ძე კაცისა დაჯდება თავისი დიდების ტახტზე, — ერთად დასხდებით თორმეტ ტახტზე ისრაელის თორმეტი ტომის განსჯად.

29. და ყველა, ვინც მიატოვებს თავის სახლს, ან თავის და-ძმას, თავის ცოლ-შვილს თუ დედ-მამას, ანდა თავის ადგილ-მამულს ჩემი სახელის გულისთვის, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს.

30. მაგრამ მრავალი პირველი იქნება უკანასკნელი, და უკანასკნელი — პირველი.

თავი მეოცე

1. ვინაიდან მსგავსია ცათა სასუფეველი ოჯახის პატრონისა, რომელიც გამოვიდა დილაუთენია, რათა თავის ვენახში სამუშაოდ დაექირავებინა მუშები.

2. და გაურიგდა მათ დღეში თითო დინარად, და თავის ვენახში გაგზავნა ისინი.

3. მერე გამოვიდა დაახლოებით სამ საათზე, და დაინახა მოედანზე უქმად მდგომი სხვა მუშები.

4. და უთხრა მათ: წადით თქვენც ჩემს ვენახში, და რაც გერგებათ, მოგცემთ.

5. ისინიც წავიდნენ. და კვლავ გამოვიდა მეექვსე და მეცხრე საათს და ასევე მოიქცა.

6. ბოლოს, გამოვიდა ასე თერთმეტ საათზე, დაინახა უქმად მდგომი სხვა მუშები, და უთხრა მათ: რატომ დგახართ მთელი დღე ასე უქმად?

7. მათ უთხრეს: იმიტომ, რომ არავინ დაგვიქირავა, ხოლო მან თქვა: წადით თქვენც ჩემს ვენახში, და რაც გერგებათ, მოგცემთ.

8. რომ მოსაღამოვდა, ვენახის პატრონმა თავის მოურავს უთხრა: დაუძახე მუშებს და მიეცი მათ საზღაური, უკანასკნელთაგან მოყოლებული პირველებამდე.

9. მოვიდნენ თერთმეტზე დაქირავებულნი, და მიიღეს თითო დინარი.

10. მოვიდნენ პირველნიც და უგონათ, უფრო მეტი მოგვიწევსო; მაგრამ მათაც თითო დინარი მიიღეს.

11. და როცა მიიღეს, ყვედრება დაუწყეს ვენახის პატრონს.

12. და თქვეს: ეს უკანასკნელნი მხოლოდ ერთ საათს მუშაობდნენ და ჩვენ კი გაგვითანაბრე, რომელთაც ვიტვირთეთ სიმძიმე დღისა და სიცხე.

13. ხოლო მან პასუხად უთხრა ერთ მათგანს: მეგობარო, უსამართლოდ არ მოგქცევივარ; განა ერთ დინარად არ მომირიგდი?

14. მიიღე შენი და წადი; მე მინდა ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ.

15. იქნებ ნება არა მაქვს, როგორც მსურს, ისე მოვექცე ჩემსას? ან იქნებ შენი თვალია უკეთური, იმიტომ რომ მე ვარ კეთილი?

16. ასე იქნებიან უკანასკნელნი — პირველნი, და პირველნი — უკანასკნელნი, ვინაიდან მრავალნი არიან ხმობილნი რა მცირედნი — რჩეულნი.

17. და როცა ადიოდა იერუსალემს, იესომ ცალკე გაიხმო გზაში თავისი თორმეტი მოწაფე და უთხრა მათ:

18. აჰა, ავდივართ იერუსალემს, და ძე კაცისა მიეცემა მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს, და მიუსჯიან მას სიკვდილს;

19. და მისცემენ მას წარმართთ საგინებლად, საგვემად და ჯვარზე საცმელად; და აღდგება მესამე დღეს.

10. მაშინ ზებედეს ძეთა დედა თავისი ვაჟებითურთ მიეახლა მას, თაყვანს სცემდა და რაღაცას ევედრებოდა.

21. მან უთხრა: რა გსურს? ხოლო ქალმა მიუგო მას: თქვი, რომ ეს ჩემი ორი ძე შენს სასუფეველში ერთი შენს მარჯვნივ და მეორე შენს მარცხნივ დასხდნენ.

22. იესომ პასუხად თქვა: არ იცით, რას ითხოვთ. შეგიძლიათ შესვათ სასმისი, რომელიც მე უნდა შევსვა? და ნათლობით, რომლითაც მე ვინათლები, მოინათლოთ? მათ თქვეს: შეგვიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ხოლო იესომ უთხრა მათ: ჩემს სასმის შესვამთ, და ნათლობით რომლითაც მე ვინათლები, მოინათლებით; მაგრამ მე როდი მომეცა, თუ ვინ დაჯდება ჩემს მარჯვნივ, და მარცხნივ. არამედ ვისთვისაც ეს გამზადებულია მამის ჩემის მიერ.

24. ამის მოსმენისას ათი მოწაფე რისხვით აღივსო ორივე ძმის მიმართ.

25. ხოლო იესომ მიიხმო ისინი და უთხრა: თქვენ იცით, რომ ხალხთა მთავარნი მბრძანებლობენ მათზე, და დიდებულნი განაგებენ მათ.

26. ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს.

27. და ვინც თქვენს შორის მოისურვებს პირველობას, თქვენს მონად იქცეს.

28. რადგან ძე კაცისა იმისთვის კი არ მოვიდა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ რათა სხვებს ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსახსნელად.

29. და როდესაც გამოვიდნენ იერიხონიდან, მისდევდა მას დიდძალი ხალხი.

30. და აჰა, ორი ბრმა იჯდა გზის პირას, და როდესაც გაიგონეს, იესო მოდისო, აყვირდნენ და თქვეს: შეგვიწყალე ჩვენ, უფალო, დავითის ძეო!

31. ხოლო ხალხი ტუქსავდა მათ და აჩუმებდა. ისინი კი უფრო ხმამაღლა ყვიროდნენ: შეგვიწყალე ჩვენ, უფალო, დავითის ძეო!

32. იესო შეჩერდა, მიიხმო ისინი და უთხრა: რას მოითხოვთ ჩემგან?

33. მათ მიუგეს: თვალის ახელას, უფალო.

34. შეებრალა ისინი იესოს, შეეხო მათ თვალებს; და იმ წამსვე აეხილათ თვალი, და გაჰყვნენ მას.

თავი ოცდამეერთე

1. და როცა მიუახლოვდნენ იერუსალემს, და მიადგნენ ბეთბაგეში ზეთისხილის მთას, გაგზავნა იესომ ორი მოწაფე.

2. და უთხრა მათ: წადით სოფელში, რომელიც თქვენს პირდაპირ არის, და მსწრაფლ იპოვით დაბმულ ვირსა და მის ჩოჩორს; ახსენით და მომგვარეთ მე.

3. და თუ ვინმე რაიმეს გეტყვით, უთხარით, უფალს სჭირდება-თქო, და მაშინვე გამოგატანთ.

4. ყოველივე ეს იქმნა, რათა აღსრულდეს წინასწარმეტყველის მიერ თქმული, რომელიც ამბობს:

5. უთხარით სიონის ასულს: აჰა, გიახლოვდება შენი მშვიდი მეუფე, ვირსა და ჩოჩორზე, სახედრის ნაშობზე, მჯდარი.

6. მოწაფეები წავიდნენ და ისე მოიქცნენ, როგორც უბრძანა მათ იესომ.

7. მოჰგვარეს ვირი და ჩოჩორი, ზედ დაუფინეს თავიანთი სამოსელი, და შეჯდა მათზე.

8. დიდძალი ხალხი თავის სამოსელს უფენდა გზაზე; სხვები კი ხის ტოტებს ჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ.

9. და ხალხი, რომელიც წინ უძღოდა და უკანაც მისდევდა მას, ღაღადებდა და ამბობდა: ოსანა დავითის ძეს! კურთხეულია მომავალი უფლის სახელით! ოსანა მაღალთა შინა!

10. და როცა შევიდა იერუსალემში, მთელი ქალაქი შეიძრა, და ამბობდნენ: ვინ არის ეს?

11. ხალხი კი ამბობდა: ეს არის იესო, წინასწარმეტყველი, გალილეის ნაზარეთიდან.

12. და შევიდა იესო ღმერთის ტაძარში, და გამოყარა ტაძრიდან ყველა მყიდველი და გამყიდველი, ააყირავა მეკერმეთა დახლები და მტრედებით მოვაჭრეთა მერხები.

13. და უთხრა მათ: დაწერილია: ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი.

14. და მიეახლნენ მას ტაძარში ბრმანი და კოჭლნი, და განკურნა ისინი.

15. და როდესაც იხილეს მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა მის მიერ ქმნილი სასწაულნი და ტაძარში მოყი-

ეინე ბალღები, რომლებიც ამბობდნენ: ოსანა დავითის ძეს! — განრისხდნენ.

16. და უთხრეს მას: გესმის, რას ამბობენ ესენი? ხოლო იესომ მიუგო მათ: დიახ! არასოდეს წაგიკითხავთ: ჩვილთა და მეძუძურთა პირით დაიმკვიდრე დიდება?

17. და მიატოვა ისინი, ქალაქიდან გაემართა ბეთანიას, და იქ გაათია ღამე.

18. ხოლო დილით ქალაქისკენ მომავალს მოშივდა;

19. და დაინახა გზის პირას ერთი ლეღვის ხე, და რაკი ზედ ფოთლების მეტი ვერაფერი ნახა, უთხრა მას: აღარასოდეს გამოგეღოს ნაყოფი უკუნისამდე. და მაშინვე გახმა ლეღვის ხე.

20. ეს რომ იხილეს, გაუკვირდათ მოწაფეებს და თქვეს: რა უცებ გახმა ლეღვის ხე?

21. ხოლო იესომ პასუხად უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ გექნებათ რწმენა და არ შეეჭვდებით, არა მარტო იმის ქმნას შესძლებთ, რაც დაემართა ლეღვის ხეს, არამედ თუნდაც ამ მთას უბრძანებთ: აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში ჩავარდიო, და მოხდება აგრე.

22. და ყველაფერი, რასაც ლოცვაში ითხოვთ რწმენით, მოგეცემათ.

23. და როცა შევიდა ტაძარში საქადაგებლად, მიადგნენ მას მღვდელთმთავარნი და ხალხის უხუცესნი და უთხრეს: რომელი ძალით იქმ ამას? ან ვინ მოგცა შენ ეს ძალა?

24. იესომ პასუხად მიუგო მათ: მეც ერთ რამეს გკითხავთ, და თუ მიპასუხებთ, გეტყვით, რომელი ძალით ვიქმ ამას:

25. ნათლისღება იოანესი საიდან იყო: ზეციდან თუ კაცთაგან? ხოლო ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ: თუ ვეტყვით: ზეციდანო, ის გვეტყვის: მაშინ რატომ არ ერწმუნეთ მას?

26. ხოლო თუ ვეტყვით: კაცთაგანო, — ხალხისა გვეშინია, ვინაიდან ყველა წინასწარმეტყველად თვლის იოანეს.

27. და პასუხად უთხრეს იესოს: არ ვიცით. და მანაც მიუგო. მათ: მაშინ არც მე გეტყვით, რომელი ძალით ვიქმ ამას.

28. ამაზე რაღას იტყვით? ორი ძე ჰყავდა; მივიდა ერთთან და უთხრა: შვილო, წადი დღეს სამუშაოდ ჩემს ვენახში.

29. ხოლო მან მიუგო: არ მინდა; ბოლოს კი ინანა და წავიდა.

30. მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა. ხოლო მან მიუგო: წავალ, ბატონო, და არ წავიდა.

31. ამ ორთაგან რომელმა შეასრულა მამის ნება? მიუგეს: პირველმა. უთხრა მათ იესომ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მებაჟენი და მეძავნი თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სასუფეველში.

32. ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით, და არ ირწმუნეთ მისი, ხოლო მებაჟენი და მეძავნი ერწმუნენ მას; თქვენ კი იხილეთ, და მაინც არ მოინანიეთ, რომ გერწმუნათ მისი.

33. სხვა იგავიც მოისმინეთ: იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო, შიგ საწნახელი ამოკვეთა, ააგო კოშკი, და იჯარით მისცა მევენახეებს, თვითონ კი გაეგზავრა.

34. და როცა რთვლობამ მოაწია, გაგზავნა თავისი მონები მევენახეებთან, რათა მოსავალი ჩაებარებინათ მათგან.

35. ხოლო მევენახეებმა დაიჭირეს მისი მონები, ზოგი სცემეს, ზოგი დახოცეს, ზოგიც კიდევ ქვებით ჩაქოლეს.

36. ახლა სხვა მონები გაგზავნა, უწინდელზე მეტნი, და მათაც იგივე დამართეს.

37. ბოლოს თავისი ძე გაგზავნა და თქვა: ჩემი ძის მაინც მოერიდებათო.

38. მაგრამ მევენახეებმა მისი ძე რომ დაინახეს, ერთმანეთს უთხრეს: აგერ მემკვიდრე; მოდით, მოვკლათ და მისი სამკვიდრო დავისაკუთროთ.

39. შეიპყრეს იგი, ვენახიდან გაიყვანეს და მოკლეს.

40. მერედა, როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მევენახეებს?

41. უთხრეს მას: ბოროტად მოაკვდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს, ხოლო ვენახს სხვა მევენახეებს მისცემს, რომლებიც დროულად ჩაბარებენ მოსავალს.

42. უთხრა მათ იესომ: ნუთუ არასოდეს ამოგიკითხავთ წერილში: ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდვა? უფლის მიერ იქმნა ეს, და საოცრებად უჩანს ჩვენს თვალს.

43. ამიტომაც გეუბნებით თქვენ: წაგერთმევათ ღმერთის სასუფეველი, და მიეცემა ხალხს, რომელიც გამოიღებს მის ნაყოფს.

44. ვინც ამ ქვაზე დაეცემა, დაიმტვრევა, ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს.

45. და როცა მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა მოისმინეს მისი იგავნი, მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა ამას.

46. და უნდოდათ მისი შეპყრობა, მაგრამ ხალხისა შეეშინდათ, ვინაიდან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი.

თავი ოცდამეოთხე

1. და კვლავ იგავებით მიუგო იესომ და უთხრა მათ:

2. ცათა სასუფეველი მსგავსია მეფისა, რომელმაც გამართა თავისი ძის ქორწილი.

3. და გაგზავნა თავისი მონები ქორწილში წვეულთა საწვევად, მაგრამ არ ინებეს მოსვლა.

4. კვლავ გაგზავნა სხვა მონები და თქვა: უთხარით წვეულთ: აჰა, გავშალე სუფრა, დავკალი ხარები და ნასუქი საქონელი; ყველაფერი მზადაა, მობრძანდით ქორწილში.

5. მაგრამ მათ გააწბილეს იგი, და წავიდნენ: ვინ თავის ყანაში, ვინ კიდევ თავის სავაჭროში.

6. დანარჩენებმა კი შეიპყრეს მისი მონები, შეურაცხყვეს და დახოცეს.

7. ეს რომ გაიგო, განრისხდა მეფე, გაგზავნა თავისი ლაშქარი, და ამოაწყვეტინა მკვლელები და გადაწვა მათი ქალაქი.

8. მაშინ უთხრა თავის მონებს: საქორწინო სუფრა გაშლილია, მაგრამ წვეულნი არ იყვნენ ღირსნი.

9. მაშ, გადით გზაჯვარედინებზე, და ქორწილში მოიწვიეთ ყველა შემხვედრი.

10. და გავიდნენ მისი მონები გზაჯვარედინებზე, და შეკრიბეს ყველა, ვისაც კი შეხვდნენ, ბოროტი თუ კეთილი, და მეინახეებით აივსო ქორწილი.

11. შევიდა მეფე მეინახეთა სანახავად, და იხილა იქ ერთი კაცი, რომელსაც არ ეცვა საქორწინო სამოსი.

12. და უთხრა მას: მეგობარო, როგორ შემოხვედი აქ საქორწინოდ შეუმოსავი? ხოლო ის დუმდა.

13. მაშინ მეფემ უბრძანა თავის მსახურთ: შეუკარით ხელ-ფეხი და გააგდეთ გარეთ-ბნელში. და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

14. ვინაიდან მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი — რჩეულნი.

15. მაშინ ფარისევლები წავიდნენ და მოითათბირეს, როგორ დაეჭირათ სიტყვაზეო.

16. და მიუგზავნეს თავიანთი მოწაფეები ჰეროდელებთან ერთად და უთხრეს: მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ, და სიმართლით გვასწავლი ღმრთის გზასაც, და არც არავის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისას.

17. მაშ, გვითხარი: როგორ გგონია? გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს?

18. ხოლო იესო მიუხვდა მათ მზაკვრობას და თქვა: რატომ მაცდუნებთ, თვალთმაქცნო?

19. მიჩვენეთ ფული, რომლითაც იხდით ხარკს. და მიართვეს მას დინარი.

20. და უთხრა მათ: ვისია ეს ხატი და ეს წარწერა?

21. მიუგეს მას: კეისრისა. მაშინ უთხრა მათ: მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა.

22. ეს რომ გაიგონეს, განცვიფრდნენ ისინი, მიატოვეს ის და წავიდნენ.

23. იმ დღეს მიადგნენ მას სადუკეველნი, რომელნიც ამბობენ, რომ არ არსებობს აღდგომა, და ჰკითხეს მას:

24. მოძღვარო, მოსემ თქვა: თუ კა-

ცი უშვილოდ გადაეგო, დაე, მისმა ძმამ მოიყვანოს მისი ცოლი, რათა აღუდგინოს თავის ძმას მისი თესლი.

25. იყო ჩვენს შორის შვიდი ძმა: პირველმა ცოლი შეირთო, და უშვილოდ მოკვდა, ხოლო ცოლი თავის ძმას დაუტოვა.

26. ასევე მეორემაც და მესამემაც თვით მეშვიდემდე.

27. ყველაზე ბოლოს კი ქალიც მოკვდა.

28. მერედა, აღდგომისას, ამ შვიდთაგან ვისი ცოლი იქნება იგი? ვინაიდან შვიდივეს ცოლად ესვა.

29. იესომ პასუხად მიუგო მათ: სცდებით, რადგან არც წერილს იცნობთ, და არც ღმრთის ძალას.

30. ვინაიდან აღდგომისას არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან, არამედ არიან როგორც ღმერთის ანგელოზები ცაში.

31. ხოლო მკვდართა აღდგომისათვის არ წაგიკითხავთ, რა გითხრათ ღმერთმა, რომელიც ამბობს:

32. მე ვარ ღმერთი აბრაამისა, და ღმერთი ისაკისა, და ღმერთი იაკობისა. ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა.

33. და ისმენდა ხალხი, და უკვირდა მისი მოძღვრება.

34. ხოლო როდესაც ფარისევლებმა გაიგეს, სადუკეველებს ხმა ჩააკმენდინაო, ერთად შეიკრიბნენ.

35. და ერთმა მათგანმა რჯულის მცოდნემ, საცდუნებლად ჰკითხა მას:

36. მოძღვარო, რომელია სჯულის მთავარი მცნება?

37. ხოლო იესომ მიუგო მას: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით.

38. ეს არის პირველი და მთავარი მცნება.

39. და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

40. ამ ორ მცნებაზეა დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი.

41. და როდესაც შეიკრიბნენ ფარისეველნი, იესომ ჰკითხა

42. რას იტყვით ქრ[illegible] ძე არის იგი? ხოლო მათ მიუგეს: დავითისა.

43. უთხრა მათ იესომ: კი მაგრამ როგორღა უწოდებს მას სულით შთაგონებული დავითი უფალს, როდესაც ამბობს:

44. უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე ფერხთით დაგიმხობ მტრებს.

45. ამრიგად, თუ დავითი უფალს უწოდებს მას, როგორღა ეკუთვნის ძედ?

46. ვერავინ შესძლო მისთვის სიტყვის მიგება; და იმ დღიდან ვეღარც კითხვას უბედავდა ვინმე.

თავი ოცდამესამე

1. მაშინ იესომ მიმართა ხალხს და თავის მოწაფეებს:

2. მოსეს სავარძელზე მწიგნობარნი და ფარისეველნი სხედან:

3. მაშ, ყველაფერი, რის დაცვასაც გირჩევენ, დაიცავით და აღასრულეთ, მაგრამ მათ საქმეს ნუ მიბაძავთ, ვინაიდან ამბობენ და არ ასრულებენ.

4. რადგან მძიმე ტვირთს ჰკრავენ და ძნელად სატვირთველს, და ხალხს მხრებზე ადებენ; თვითონ კი თითის განძრევაც არ სურთ მის დასაძრავად.

5. და ყველა თავიანთ საქმეს აკეთებს კაცთა დასანახავად; აგანიერებენ თავიანთ სალოცავ თასმებს და აგრძელებენ თავიანთი სამოსის კალთებს.

6. უყვართ აგრეთვე წვეულებებზე სუფრის თავში ჯდომა, და წინა რიგები სინაგოგებში.

7. და მისალმება მოედნებზე, რათა ხალხი მიმართავდეს მათ: რაბი! რაბი!

8. თქვენ კი ნუ იწოდებით ასე! რაბი! ვინაიდან ერთია თქვენი მოძღვარი — ქრისტე, ხოლო თქვენ ყველანი ძმები ხართ.

9. ნურც მამას თქვენსას უწოდებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმეს ამ ქვეყნად, ვინაიდან ერთია მამა თქვენი ზეციერი.

10. და ნურც წინამძღვრებად იწოდებით, ვინაიდან ერთია თქვენი წინამძღვარი — ქრისტე.

11. ხოლო თქვენს შორის უდიდესი თქვენი მსახური იყოს.

12. რადგან ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება.

13. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო, და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ცათა სასუფეველს რომ უხშობთ ხალხს, ვინაიდან არც თქვენ შედიხართ და არც შემსვლელთ ანებებთ შესვლას.

14. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ვინაიდან ნთქამთ ქვრივთა სახლებს და თანაც პირმოთნედ ლოცულობთ დიდხანს; მით უფრო მძიმე იქნება თქვენი სასჯელი.

15. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ვინაიდან დაძრწიხართ ზღვასა თუ ხმელზე, რათა მოაქციოთ თუნდაც ერთი კაცი; და როცა მოაქცევთ, გეენის კერძად აქცევთ მას, თვით თქვენზე ორჯერ მეტად.

16. ვაი თქვენდა, ბრმა წინამძღვარნო, რომლებიც ამბობთ: თუ ვინმე დაიფიცავს ტაძარს, არაფერია, ხოლო თუ ვინმე დაიფიცავს ტაძრის ოქროს, მოვალეა.

17. შლეგნო და ბრმანო, რომელი უფრო მეტია: ოქრო თუ ტაძარი, რომელიც გაწმენდს ოქროს?

18. და მერე: თუ ვინმე დაიფიცავს საკურთხეველს, არაფერია, ხოლო თუ ვინმე დაიფიცავს შესაწირავს, რომელიც დევს საკურთხეველზე, მოვალეა.

19. შლეგნო და ბრმანო, რომელი უფრო მეტია: შესაწირავი თუ საკურთხეველი, რომელიც გაწმენდს შესაწირავს?

20. რადგან ვინც იფიცავს საკურთხეველს, იფიცავს მას და ყოველივე იმას, რაც საკურთხეველზეა.

21. და ვინც იფიცავს ტაძარს, იფიცავს მას და მის მკვიდრსაც.

22. და ვინც იფიცავს ცას, იფიცავს ღმრთის ტახტს და მასზე მჯდომს.

23. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომლებიც იხდით მეათედს პიტნისას, კამისას და კვლიავისას, და დაგიტოვებიათ ის, რაც უმთავრესია რჯულში: სამართალი, წყალობა და რწმენა. ეს უნდა გექნათ, და არც ის მიგეტოვებინათ.

24. ბრმა წინამძღვარნო, რომელნიც გადასწურავთ ქინქლს აქლემს კი შთანთქამთ.

25. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომელნიც გარედან წმენდთ სასმისსა თუ ჯამს, შიგნით კი სავსენი არიან ნაძარცვითა და ნაობარით.

26. თვალდავსილო ფარისეველო, ჯერ შიგნიდან გაწმინდე სასმისი თუ ჯამი, რათა წმიდა იყოს გარეთაც.

27. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ასე რომ ჰგავხართ შეფეთქილ საფლავებს, რომლებიც გარედან მშვენიერნი ჩანან, ხოლო შიგნით სავსენი არიან მკვდრების ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით.

28. ასევე თქვენც გარეგნულად მართალნი ჰგონიხართ ხალხს, შიგნით კი სავსენი ხართ თვალთმაქცობითა და ურჯულოებით.

29. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, რომელნიც აგებთ წინასწარმეტყველთა სამარხებს და ამკობთ მართალთა ძეგლებს;

30. და ამბობთ: ჩვენი მამების დროს რომ გვეცხოვრა, არ ვიქნებოდით მათი თანამოზიარენი წინასწარმეტყველთა სისხლში.

31. ამრიგად, თქვენი თავის წინააღმდეგ თვითონვე მოწმობთ, რომ წინასწარმეტყველთა მკვლელების ნაშიერნი ხართ.

32. და აღავსეთ საწყაული თქვენი მამების.

33. გველნო, იქედნეს ნაშიერნო, როგორ გაექცევით გეენის სასჯელს?

34. ამიტომ, აჰა, გიგზავნით წინასწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმეტყველთ, ბრძენთა და მწიგნობართ; და ზოგს მოჰკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს მათრახით სცემთ სინაგოგებში და ზოგსაც ქალაქიდან ქალაქად დაუწყებთ დევნას;

35. რათა მოიწიოს თქვენზე ამ ქვეყნად დათხეული ყოველი მართალი სისხლი, აბელ მართლის სისხლიდან ვიდრე სისხლამდე ბარაქიას ძისა, ზაქარიასი, რომელიც მოჰკალით ტაძარსა და საკურთხეველს შორის.

36. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს მოიწევა ამ მოდგმაზე.

37. იერუსალემ, იერუსალემ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები, როგორც ფრინველი კრებს ბარტყებს თავის ფრთებქვეშ, და არ ისურვე.

38. და აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად.

39. რადგანაც გეუბნებით თქვენ: ვეღარ მიხილავთ ამიერიდან, სანამ არ იტყვით: კურთხეულია მომავალი უფლის სახელით!

თავი ოცდამეოთხე

1. და გამოვიდა იესო ტაძრიდან და წავიდა; მიუახლოვდნენ მისი მოწაფეები, რათა ტაძრის შენობა ეჩვენებინათ მისთვის.

2. ხოლო იესომ მიუგო მათ: ხომ ხედავთ ყოველივე ამას? ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა.

3. და როცა ზეთისხილის მთაზე იჯდა, განმარტოებით მიუახლოვდნენ მისი მოწაფეები და ჰკითხეს: გვითხარი, როდის მოხდება ეს? ან რა იქნება ნიშანი შენი მოსვლისა და საუკუნის დასასრულისა?

4. იესომ პასუხად მიუგო მათ: ფხიზლად იყავით, რათა არავინ გაცდუნოთ.

5. ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ვარ ქრისტე, და მრავალს აცდუნებენ.

6. გაიგებთ აგრეთვე რიტყვებსა და რომების ამბებს. თქვენ იცით, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ყოველი ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული.

7. რადგან აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ, და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ; და იქნება შიმშილობა და ყაზიანობა, და მიწისძვრანი ადგილ-ადგილ.

8. ხოლო ყოველივე ეს სალმობათა დასაბამია.

9. მაშინ მიგცემენ თქვენ სატანჯველად, და მოგკლავენ თქვენ; და მოგიძულებთ ყველა ხალხი ჩემი სახელის გამო.

10. და მრავალი შეცდება მაშინ, და გასცემენ ერთმანეთს, და მოიძულებენ ერთურთს.

11. და მრავალი ცრუწინასწარმეტყველი აღდგება, და აცდუნებენ მრავალთ.

12. და ურჯულოების მომრავლების გამო მრავალში განელდება სიყვარული.

13. ხოლო ვინც ბოლომდე დაითმენს, იგი ცხონდება.

14. და იქადაგება სასუფევლის ეს სახარება მთელს ქვეყანაზე, ყველა ხალხის სამოწმებლად; და მაშინ მოიწევა დასასრული.

15. ხოლო როდესაც იხილავთ გაპარტახების სიბილწეს, დანიელ წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამს, რაც წმიდა ადგილას დევს (წამკითხველმა გაიგოს), —

16. მაშინ იუდეას მყოფნი მთებში გაიქცნენ.

17. და ერდოზე მყოფი ნუ ჩამოვა ძირს, თავისი სახლიდან რაიმეს წამოსაღებად.

18. და მინდვრად მყოფი ნუ მიბრუნდება შინ, თავისი სამოსის წამოსაღებად.

19. და ვაი ფეხმძიმეთ და მეძუძურთ იმ ხანად.

20. ილოცეთ, რათა გაქცევამ არ მოგიწიოთ ზამთარში ანდა შაბათს.

21. რადგან იქნება მაშინ დიდი ჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა ქვეყნის დასაბამიდან დღემდე, და არც იქნება.

22. და რომ არ შემოკლებულიყვნენ ის დღენი, ვერ გადარჩებოდა ვერცერთი ძეხორციელი, მაგრამ რჩეულთათვის შემოკლდებიან ის დღენი.

23. მაშინ, თუ ვინმე გეტყვით თქვენ: აჰა, აქ არის ქრისტე, ან კიდევ — იქო, ნუ ერწმუნებით.

24. რადგან აღდგებიან ცრუქრისტენი და ცრუწინასწარმეტყველნი, და მოახდენენ დიდ სასწაულებსა და ნიშნებს, რათა აცდუნონ, თუკი შესძლეს, თვითონ რჩეულნიც.

25. აჰა, წინასწარ გაუწყეთ თქვენ.

26. ასე რომ, თუ თქვენ გეტყვიან: აჰა, უდაბნოშიაო, ნუ გახვალთ; და, აჰა, თავის სენაკშიაო, ნუ ერწმუნებით.

27. და როგორც იყო ნოეს დღეებში, ისე იქნება კაცის ძის მოსვლაც.

28. რადგან სადაც ეგდება მძორი, იქვე შეგროვდებიან არწივნი.

29. და მსწრაფლ, იმ დღეთა ჭირის შემდეგ, დაბნელდება მზე, და მთვარე აღარ გამოსცემს ნათელს, და ვარსკვლავები ჩამოცვივიან ციდან, და შეიძვრიან ციურნი ძალნი.

30. და მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ცაზე; და მაშინ მოთქმას მოჰყვება დედამიწის ყოველი ტომი, და იხილავენ ძეს კაცისას მომავალს ზეცის ღრუბლებზე ძალითა და დიდებით მრავალით.

31. და მოავლინებს თავის ანგელოზებს მგრგვინავი საყვირით, და შეკრებენ მის რჩეულთ ოთხთავ ქართაგან, ზეცათა კიდიდან მათ კიდემდე.

32. ლეღვის ხისაგან ისწავლეთ იგავი: როცა მისი ტოტები რბილდება და ფოთლები გამოაქვს, იცოდეთ, რომ ახლოა ზაფხული.

33. ასევე თქვენც, როცა იხილავთ ყოველივე ამას, იცოდეთ, რომ უკვე ახლოა, კარზეა მომდგარი.

34. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე ეს არ აღსრულდება.

35. ცა და მიწა გადავლენ, ოღონდ ჩემი სიტყვები არ გადავლენ.

36. ხოლო ის დღე და ის საათი არავინ იცის; არც ციურმა ანგელოზებმა, არამედ მხოლოდ მამამ.

37. და როგორც იყო ნოეს დღეებში, ისე იქნება კაცის ძის მოსვლაც.

38. ვინაიდან როგორც წარღვნის წინა დღეებში ჭამდნენ და სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ, იმ დღემდე, როცა ნოე შევიდა კიდობანში.

39. და არას დაგიდევდნენ, ვიდრე არ მოვიდა წარღვნა და წალეკა ყველანი; ასე იქნება კაცის ძის მოსვლაც.

40. მაშინ ორნი იქნებიან ველად: ერთი წარიტაცება, მეორე კი დარჩება.

41. ორი ქალი იქნება წისქვილში: ერთი წარიტაცება, მეორე კი დარჩება.

42. მაშ, იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით, რომელ საათზე მოვა თქვენი უფალი.

43. ესეც გახსოვდეთ: სახლის პატრონმა რომ იცოდეს, რომელ საათზე მოვა ქურდი, ფხიზლად იქნებოდა და ძირს არ გამოათხრევინებდა თავისი სახლისთვის.

44. ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან როცა არ ელით, სწორედ იმ საათს მოვა ძე კაცისა.

45. ვინ არის ერთგული და გონიერი მონა, რომელიც მისმა პატრონმა მიუჩინა თავის მსახურთ, რათა დროულად მისცეს საჭმელი მათ?

46. ნეტა იმ მონას, რომელსაც ამნაირად მოქმედს ჰპოვებს მისი პატრონი, როდესაც მოვა.

47. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მთელს თავის საბადებელს მეთვალყურედ მიუჩენს მას.

48. მაგრამ თუ ის მონა ბოროტია და თავის გულში იტყვის: აგვიანებს ჩემი პატრონი მოსვლას,

49. და დაიწყებს თავისივე მსგავსი მონების ცემას, და მემთვრალეებთან ჭამას და სმას,

50. მაშინ მოვა მონის პატრონი, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, როდესაც არ ელის, და იმ საათს, რომელიც არ იცის,

51. და შუა გაკვეთს მას და თვალთმაქცებთან დაუდებს წილს. და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

თავი ოცდამეხუთე

1. მაშინ მიემსგავსება ცათა სასუფეველი ათ ქალწულს, რომლებმაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გავიდნენ სიძის შესაგებებლად.

2. ხოლო ხუთი მათგანი გონიერი იყო, ხუთი კი უგუნური.

3. უგუნურებმა აიღეს თავიანთი ლამპრები, მაგრამ თან არ წაიღეს ზეთი.

4. გონიერებმა კი თავიანთ ლამპრებთან ერთად თან წაიღეს ზეთიც თავიანთი ჭურჭლებით.

5. და რაკი სიძემ დაიგვიანა, ყველას რული მოერია და ჩაეძინა.

6. მაგრამ შაუღამისას გაისმა ძახილი: აჰა, მოდის სიძე, გამოდით, გამოეგებეთო.

7. მაშინ ადგა ყველა ქალწული, და გამართეს თავიანთი ლამპრები.

8. ხოლო უგუნურებმა უთხრეს გონიერთ: გვიწილადეთ თქვენი ზეთი, ვინაიდან ჩვენი ლამპრები ქრება.

9. გონიერებმა კი მიუგეს: რომ არ შემოგვაკლდეს ჩვენცა და თქვენც, გიჯობთ წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის.

10. და როცა ისინი საყიდლად წავიდნენ, მოვიდა სიძე; და მზადმყოფნი მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში, და დაიხშო კარი.

11. შემდეგ მოვიდნენ დანარჩენი ქალწულნიც და სთხოვეს: უფალო, უფალო, გაგვიღე ჩვენ.

12. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით: არ გიცნობთ თქვენ.

13. მაშ, იფიხზლეთ, ვინაიდან არც დღე იცით და არც საათი, როდის მოვა ძე კაცისა.

14. რადგანაც მოიქცევა იმ კაცივით, რომელმაც, შორს გამგზავრებისას, დაბარა თავისი მონები და მეტანი თავისი ქონება ჩააბარა მათ.

15. და მისცა ერთს ხუთი ტალანტი, მეორეს — ორი, მესამეს — ერთი, თვითეულს მისი შეძლებისამებრ, და გაემგზავრა.

16. ხოლო ხუთი ტალანტის მიმღები წავიდა, საქმეში დააბანდა ისინი, და ხუთი სხვა ტალატნიც მოიგო.

17. ასევე ორი ტალანტის მიმღებმა მოიგო ორი სხვაც.

18. ხოლო ერთი ტალანტის მიმღები წავიდა, მიწაში დაფლა ის, და დამალა თავისი პატრონის ვერცხლი.

19. დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდა ამ მონების პატრონი და ანგარიში მოსთხოვა მათ.

20. ეახლა ხუთი ტალანტის მიმღები, ხუთი სხვა ტალანტიც მიართვა და უთხრა: ბატონო, შენ მომეცი ხუთი ტალანტი, და აჰა, მათი წყალობით, ხუთი სხვა ტალანტიც მოვიგე.

21. ხოლო პატრონმა მიუგო მას: კეთილი, სანდო და კეთილო მონავ! რაკი მცირედში სანდო იყავ, დიდს განდობ შენ; შემოდი შენი პატრონის სიხარულში.

22. ეახლა ორი ტალანტის მიმღებიც და უთხრა: ბატონო, შენ მომეცი ორი ტალანტი, და აჰა, მათი წყალობით, ორი სხვა ტალანტიც მოვიგე.

23. ხოლო პატრონმა მიუგო მას: კეთილი, სანდო და კეთილო მონავ! რაკი მცირედში სანდო იყავ, დიდს განდობ შენ; შემოდი შენი პატრონის სიხარულში.

24. ეახლა ერთი ტალანტის მიმღებიც და უთხრა: ბატონო, ვიცოდი, რომ სასტიკი კაცი ხარ; მოიმკი, სადაც არ დაგითესია, და კრებ, სადაც არ დაგიფანტავს,

25. ჰოდა, შემეშინდა, წავედი და შენი ტალანტი მიწაში დავფალი; აჰა, შენი შენავე გქონდეს.

26. ხოლო პატრონმა მიუგო და უთხრა მას: უკეთურო და მცონარა მონავ! იცოდი, რომ მოვიმკი, სადაც არ დამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესია, და ეკრებ[illegible] დამიფანტავს;

27. ამიტომაც გმართებდა ვაჭრებისათვის მიგეცა ჩემი ვერცხლი, რათა დაბრუნებულს მიმეღო ჩემი სესხი მონაგებითურთ.

28. მაშ, წაართვით მაგას ტალანტი, და მიეცით ათი ტალანტის მქონეს.

29. რადგან ყველა მქონეს მიეცემა და მიემატება, ხოლო არმქონეს წაერთმევა ისიც, რაცა აქვს.

30. ხოლო ეგ ურგები მონა გააგდეთ გარესკნელის ბნელში. და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა.

31. და როდესაც მოვა ძე კაცისა თავისი დიდებით და ყველა წმიდა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება იგი თავისი დიდების ტახტზე.

32. და შეიყრება მის წინაშე ყველა ხალხი, და გაარჩევს მათ ერთმანეთისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ცხვრებს თხებისაგან.

33. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ, ხოლო თხებს — მარცხნივ.

34. მაშინ ეტყვის მეუფე მის მარჯვნივ მდგმოთ: მოდით, კურთხეულნო მამის ჩემის მიერ, და დაიმკვიდრეთ სასუფეველი, თქვენთვის გამზადებული ქვეყნის დასაბამიდან.

35. რადგან მშიოდა, და მომეცით საჭმელი; მწყუროდა, და მასვით; უცხო ვიყავი, და შემიწყნარეთ.

36. შიშველი ვიყავი, და შემმოსეთ; სნეული ვიყავი, და მომხედეთ; საპყრობილეში ვიყავი, და მინახულეთ.

37. მაშინ მართალნი პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, და დაგაპურეთ? ანდა მწყურვალი, და გასვით შენ?

38. როდის გიხილეთ შენ უცხოდ, და შეგიწყნარეთ? ანდა შიშველი, და შეგმოსეთ შენ?

39. როდის გიხილეთ შენ სნეული, ანდა საპყრობილეში, და გინახულეთ?

40. და მიუგებს მეუფე და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რითაც შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემეწიეთ.

41. მაშინ ეტყვის მარცხნივ მდგომთაც: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვისაა გამზადებული.

42. რადგან მშიოდა, და არ მომეცით საჭმელი; მწყუროდა, და არ მასვით;

43. უცხო ვიყავი, და არ შემიწყნარეთ; შიშველი ვიყავი, და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი და საპყრობილეში, და არ მინახულეთ.

44. მაშინ ისინიც პასუხად ეტყვიან მას: უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, ან მწყურვალი, ან უცხოდმყოფი, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში, და არ გემსახურეთ შენ?

45. მაშინ მიუგებს და ეტყვის მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ; რითაც არ შეეწიეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით არც მე შემეწიეთ.

46. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო სიცოცხლეში.

თავი ოცდამეექვსე

1. და როდესაც დაასრულა იესომ ეს სიტყვები, თავის მოწაფეებს უთხრა:

2. თქვენ იცით, რომ ორი დღის შემდეგ იქნება პასექი, და ძე კაცისა მიეცემა ჯვარზე საცმელად.

3. მაშინ შეიკრიბნენ მღვდელთმთავარნი, მწიგნობარნი და ხალხის უხუცესნი კაიაფად წოდებული მღვდელმთავრის კარზე,

4. და მოითათბირეს, მზაკვრობით შეეპყროთ იესო და მოეკლათ იგი.

5. მაგრამ ამბობდნენ: მხოლოდ არა დღესასწაულზე, რათა ხალხი არ ამბოხდესო.

6. ხოლო როდესაც ბეთანიაში იყო იესო, სიმონ კეთროვანის სახლში,

7. მიუახლოვდა მას ქალი, რომელსაც ჰქონდა ალაბასტრის ჭურჭლით ძვირფასი ნელსაცხებელი და თავზე დაასხა ინახად მჯდომს.

8. ეს რომ დაინახეს, განრისხდნენ

მისი მოწაფეები და თქვეს: რა საჭიროა ასეთი ფლანგვა?

9. ვინაიდან შეიძლებოდა დიდ ფასად გაგვეყიდა ნელსაცხებელი, და გლახაკთავის მიგვეცა ფული.

10. მაგრამ იესო მიხვდა და უთხრა მათ: რას ერჩით ამ ქალს? მაგან ხომ კეთილი საქმე მიყო:

11. ვინაიდან გლახაკნი ყოველთვის გვერდითა გყავთ, მე კი ყოველთვის როდი გეყოლებით.

12. ნელსაცხებელი რომ მცხო ტანზე, ამით მან დასამარხად გამამზადა.

13. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მთელს ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქმება მისი საქმე მისსავე მოსაგონებლად.

14. მაშინ წავიდა ერთი თორმეტთაგანი, იუდა ისკარიოტელად წოდებული, მღვდელთმთავრებთან.

15. და უთხრა მათ: რის მოცემას ინებებთ ჩემთვის, თუკი მას მოგცემთ? ხოლო მათ მიუწონეს ოცდაათი ვერცხლი.

16. და მას მერე ეძებდა ხელსაყრელ დროს, რათა მათთვის მიეცა იგი.

17. ხოლო უფუარობის პირველ დღეს მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და უთხრეს მას: სად გნებავთ მოგიმზადოთ საჭმელად პასექი?

18. მან კი თქვა: წადით ქალაქში ამ და ამ კაცთან და უთხარით მას: მოძღვარი ამბობს: მოაწია ჩემმა დრომ; შენთან ვყოფ პასექს ჩემს მოწაფეებთან ერთად.

19. მოწაფეები ისე მოიქცნენ, როგორც უბრძანა მათ იესომ, და მოუმზადეს პასექი.

20. და მწუხრის ჟამს ინახად იჯდა თორმეტ მოწაფესთან ერთად.

21. და როცა ჭამდნენ ისინი, თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით: ერთი თქვენგანი გამცემს მე.

22. ისინი დიდად დამწუხრდნენ და ყველამ ცალ-ცალკე დაუწყო კითხვა: მე ხომ არა, უფალო?

23. ხოლო მან პასუხად თქვა: ვინც ჩემთან ერთად ჩაყოფს ხელს ჯამში, ის გამცემს მე.

24. და მართლაც, მიდის ძე [illegible]ცისა, როგორც დაიწერა მისთვის, მაგრამ [illegible] იმ კაცს, ვის მიერაც [illegible] ერჩია, სულაც არ შობილიყო ის კაცი.

25. მაშინ იუდამ, მისმა გამცემმა თქვა: მე ხომ არა ვარ, რაბი? უთხრა მას: შენ სთქვი.

26. და როცა ჭამდნენ ისინი, აიღო პური იესომ და აკურთხა, გატეხა, მისცა მოწაფეებს და უთხრა: მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი ხორცი.

27. და აიღო სასმისი და აკურთხა, მისცა მათ და თქვა: ამით სვით ყველამ:

28. ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დათხეული ცოდვათა მისატევებლად.

29. ხოლო გეუბნებით თქვენ: აღარა ვსვამ ამიერიდან ვაზის ამ ნაყოფისაგან, ვიდრე იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამის ჩემის სასუფეველში.

30. და იგალობეს, და გავიდნენ ზეთისხილის მთაზე.

31. მაშინ უთხრა მათ იესომ: თქვენ ყველანი შეცდებით ამაღამ ჩემს გამო; ვინაიდან დაწერილია: დავცემ მწყემსს, და განიბნევიან ფარის ცხვრები.

32. ხოლო ჩემი აღდგომის შემდეგ წაგიძღვებით თქვენ გალილეისკენ.

33. მიუგო პეტრემ და უთხრა მას: ყველა რომ შეცდეს შენს გამო, მე არასოდეს შევცდები.

34. უთხრა იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამაღამ, მამლის ყივილამდე, სამჯერ უარმყოფ მე.

35. მიუგო მას პეტრემ: შენთან ერთადაც რომ მიწიოს სიკვდილმა, არასოდეს უარგყოფ შენ. და ასევე ამბობდა ყველა მოწაფე.

36. მაშინ იესო მათთან ერთად მივიდა იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია გეთსემანე, და უთხრა მათ: ისხედით მანდ, ვიდრე მივალ და ვილოცებ იქ.

37 და წაიყვანა პეტრე და ზებედეს ორი ძე, და დაიწყო მწუხარება და ურვა.

38. მაშინ უთხრა მათ იესომ: მწუხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეა ჩემი სული, ვიდრე სიკვდილამდე; იყავით აქ და იფხიზლეთ ჩემთან ერთად.

39. და ცოტაზე გაშორდა მათ, პირქვე დაემხო, ლოცულობდა და ამბობდა: მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა, ამცდეს ეს სასმისი; თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენ.

40. და მოვიდა თავის მოწაფეებთან და ჰპოვა ისინი მძინარენი, და უთხრა პეტრეს: ასე, ერთ საათსაც ვერ შესძელით გეფხიზლათ ჩემთან ერთად.

41. იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა არ შეხვიდეთ საცდუნებელში; სული მხნეა, მაგრამ ხორცია უძლური.

42. მეორედაც გაშორდა მათ, ლოცულობდა და ამბობდა: მამაო ჩემო! თუკი შეუძლებელია ამცდეს ეს სასმისი, რათა არ შევსვა იგი, დე, იყოს ნება შენი.

43. და მოვიდა და კვლავ მძინარენი ჰპოვა ისინი, რადგანაც თვალები დამძიმებოდათ.

44. მიატოვა ისინი, მესამედაც გაშორდა მათ, და კვლავ იგივე სიტყვები წარმოთქვა.

45. მერე მოვიდა თავის მოწაფეებთან და უთხრა მათ: კვლავინდებურად გძინავთ და განისვენებთ? აჰა, მოაწია დრომ, და ძე კაცისა მიეცემა ცოდვილთა ხელში.

46. ადექით, წავიდეთ: აჰა, მოგვიახლოვდა ჩემი გამცემი.

47. სიტყვა არ დაესრულებინა, რომ, აჰა, იუდა, ერთი თორმეტთაგანი, მოვიდა და მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებითა და წათებით, მღვდელმთავართა და ხალხის უხუცესთაგან.

48. ხოლო მის გამცემს ნიშანი მიეცა მათთვის და ეთქვა: ვისაც მე ვეამბორები, ის არის; შეიპყარით იგი.

49. და მსწრაფლ მიეახლა იესოს და უთხრა: გიხაროდეს, რაბი! და ეამბორა მას.

50. ხოლო იესომ უთხრა მას: მოყვასო, რისთვის მოსულხარ? მაშინ მიცვივდნენ, ხელი სტაცეს იესოს და შეიპყრეს იგი.

51. და აჰა, იესოს ერთმა თანამდგომმა ხელი გაიწოდა, მახვილი იშიშვლა და დაჰკრა მღვდელმთავრის მონას, ყური ჩამოათალა მას.

52. მაშინ იესომ უთხრა მას: ჩააგე მახვილი ქარქაშში, რადგანაც ყველა ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება.

53. ან იქნებ გგონია, რომ არ შემიძლია შევევედრო მამას ჩემსას, და წარმომიდგენს ანგელოზთა თორმეტ ლეგიონს და უფრო მეტსაც.

54. როგორღა აღსრულდება წერილი, რომ ასე უნდა მოხდეს?

55. მაშინ იესომ უთხრა ხალხს: როგორც ავაზაკს, მახვილებითა და წათებით მომიხტით შესაპყრობად; დღენიადაგ თქვენთან ვიჯექი და გასწავლიდით ტაძარში, და არ შემიპყარით მე.

56. ხოლო ყოველივე ეს იქმნა, რათა აღსრულდეს დაწერილი წინასწარმეტყველთა მიერ. მაშინ ყველა მოწაფემ მიატოვა ის და გაიქცა.

57. ხოლო მათ შეიპყრეს იესო და მიიყვანეს იგი კაიაფა მღვდელმთავრისას, სადაც შეკრებილიყვნენ მწიგნობარნი და უხუცესნი.

58. პეტრე კი, მღვდელმთავრის ეზომდე, შორით მისდევდა მას, და შევიდა შიგ და მსახურებთან დაჯდა, რათა ეხილა აღსასრული.

59. ხოლო მღვდელმთავარნი, უხუცესნი და მთელის სინედრიონი ეძებდნენ ცრუ მოწმობას იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი,

60. მაგრამ ვერ იპოვეს; და თუმცა ბევრი ცრუმოწმე იყო მოსული, ვერ მიაგნეს. ბოლოს მოვიდა ორი ცრუმოწმე,

61. რომლებმაც თქვეს: ეს ამბობდა: შემიძლია დავანგრიო ღმრთის ტაძარი და სამ დღეში კვლავ ავაშენო.

62. მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და უთხრა მას: რატომ არაფერს იტყვი იმის პასუხად, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?

63. ხოლო იესო დუმდა. და მღვდელმთავარმა უთხრა მას: გაფიცებ ცოცხალ

ღმერთს, გვითხარი, შენ ხარ თუ არა ქრისტე, ძე ღმერთისა?

64. უთხრა მას იესომ: შენ სთქვი. ამასაც გეუბნებით თქვენ: ამიერიდან მალე იხილავთ ძეს კაცისას, მჯდომარეს ძალის მარჯვნივ, და მომავალს ზეცის ღრუბლებით.

65. მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია თავისი სამოსი და თქვა: მან ღმერთი ჰგმო; მაშ, რაღად გვინდა მოწმეები? ხომ მოისმინეთ ღვთის გმობა მისი?

66. რას იტყვით? ხოლო მათ პასუხად თქვეს: სიკვდილის ღირსია.

67. მაშინ სახეში აფურთხეს მას, მუშტებს ურტყამდნენ, ხოლო სხვები ყვრიმალში სცემდნენ მას.

68. და ეუბნებოდნენ: გვიწინასწარმეტყველე, ქრისტე, ვინ დაგარტყა შენ?

69. ხოლო პეტრე გარეთ იჯდა, ეზოში, და მიადგა მას ერთი მხევალი და უთხრა: შენც ხომ იესო გალილეველთან იყავი.

70. ხოლო მან ყველას წინაშე უარყო და თქვა: არ ვიცი, რას ამბობ.

71. და როცა ჭიშკარში გამოდიოდა, მერე მხევალმა დაინახა და იქვე მდგომთ უთხრა: ესეც იესო ნაზორეველთან იყო.

72. ისევ უარყო პეტრემ ფიცით: არ ვიცნობ იმ კაცსო.

73. და ცოტა ხნის შემდეგ იქ მდგომნიც მივიდნენ და უთხრეს პეტრეს: ჭეშმარიტად შენც ერთი მათთაგანი ხარ, რადგანაც შენი კილო გამხილებს შენ.

74. მაშინ ის მოჰყვა წყევლას და ფიცს, რომ არ იცნობს იმ კაცს, და სწორედ ამ დროს იყივლა მამალმა.

75. და გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფო, და გამოვიდა გარეთ და ატირდა მწარედ.

თავი ოცდამეშვიდე

1. და როდესაც ინათა, მღვდელმთავრებმა და ხალხის უხუცესებმა ბჭობა გამართეს იესოს წინააღმდეგ, რომ ეკლათ იგი.

2. და შეკრეს იგი და წაიყვანეს, და მისცეს პონტიუს პილატეს, მთავარს.

3. მაშინ, რაკი იხილა იუდამ, მისმა გამცემმა, რომ მსჯავრი დასდეს, შეინანა და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებსა და უხუცესთ,

4. და თქვა: შევცოდე, რომ მოგეცით მართალი სისხლი. ხოლო მათ უთხრეს: ჩვენ რა? შენ იკითხე.

5. და დაყარა ვერცხლი ტაძარში და გაეცალათ; წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.

6. ხოლო მღვდელმთავრებმა აკრიფეს ვერცხლი და თქვეს: არ ეგება ტაძრის საგანძურში ამის დადება, ვინაიდან სისხლის საფასურია.

7. ბჭობა გამართეს და, უცხოთა სასაფლაოდ, იყიდეს იმით მეთუნის მიწა.

8. ამიტომაც ეწოდება ამ მიწას სისხლის მიწა დღევანდელ დღემდე.

9. მაშინ აღსრულდა თქმული იერემია წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: და აიღეს ოცდაათი ვერცხლი, საფასური შეფასებულისა, რომელიც შეაფასეს ისრაელის ძეთ.

10. და მისცეს ის მეთუნის მიწაში, როგორც მიბრძანა მე უფალმა.

11. ხოლო იესო წარდგა მთავრის წინაშე, და ჰკითხა მას მთავარმა: შენა ხარ იუდეველთა მეფე? ხოლო იესომ მიუგო მას: შენ ამბობ.

12. და როდესაც ბრალი დასდეს მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა, არაფერი მიუგო.

13. მაშინ უთხრა მას პილატემ: არ გესმის, რამდენ რასმე გწამებენ?

14. და არცერთ სიტყვაზე არაფერი მიუგო მას; ასე რომ, დიდად უკვირდა მთავარს.

15. ხოლო დღესასწაულზე ჩვეად ჰქონდა მთავარს, გაეთავისუფლებინა ხალხისთვის ერთი პატიმარი, რომელსაც მოიუსრვებდნენ.

16. და ჰყავდათ იმხანად ერთი ცნობილი პატიმარი, რომელსაც ერქვა ბარაბა.

17. ამრიგად, როცა შეიკრიბნენ ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, უთხრა მათ პილატემ: ვინ გინდათ გაგითავისუფლოთ: ბარაბა თუ იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე?

18. რადგან იცოდა, რომ შურით გასცეს იგი.

19. და როცა სამსჯავრო სავარძელზე იჯდა, ცოლმა კაცის პირით შემოუთვალა: ნურაფერს დაუშავებ მაგ მართალს, ვინაიდან წუხელ სიზმარში ბევრი ვიტანჯე მის გამო.

20. მაგრამ მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა წააქეზეს ხალხი, გამოეთხოვათ ბარაბა, ხოლო იესო გაეწირათ.

21. და როცა მთავარმა ჰკითხა მათ: ვინ გინდათ გავათავისუფლო ამ ორთაგანო? ხალხმა მიუგო: ბარაბა.

22. ჰკითხა მათ პილატემ: კი მაგრამ, რა ვუყო იესოს, რომელსაც ჰქვია ქრისტე? ყველამ მიუგო მას: ჯვარს ეცვას!

23. ხოლო მთავარმა იკითხა: რა დაუშავა მან? მაგრამ ისინი უფრო ხმამაღლა აყვირდნენ: ჯვარს ეცვას!

24. და რაკი იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შველის, არამედ უფრო იზრდება შფოთი, მოითხოვა წყალი, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები და თქვა: მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლში. თქვენ იკითხეთ.

25. და მიუგო მთელმა ხალხმა და უთხრა: ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მაგისი სისხლი.

26. მაშინ გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაამათრახებინა და ჯვარზე საცმელად მისცა მათ.

27. მაშინ მთავრის ჯარისკაცებმა პრეტორიუმში წაიყვანეს იესო, და გარს შემოერტყა მთელი რაზმი.

28. ტანთ გახადეს, და შემოსეს მეწამული ქლამიდით.

19. და დაწნეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაადგეს, და მარჯვენა ხელში მისცეს ლერწამი; მუხლს იყრიდნენ მის წინაშე, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, მეუფეო იუდეველთა!

30. და აფურთხებდნენ, და აიღეს ლერწამი და თავზე ამტვრევდნენ მას.

31. და როცა დაცინვით გული იჯერეს, შემოაძარცვეს ქლამიდი, კვლავ თავისი სამოსი ჩააცვეს და ჯვარზე საცმელად წაიყვანეს იგი.

32. გზაში შემოხვდათ ერთი კირენელი კაცი, სახელად სიმონი; და აიძულეს იგი წამოეღო იესოს ჯვარი.

33. და როცა მიაღწიეს იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს,

34. მისცეს მას სასმელად ნაღველით შეზავებული ძმარი, და როცა გემო გაუსინჯა, აღარ მოუნდა დალევა.

35.და როცა ჯვარს აცვეს, წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი, რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთში, და ჩემს კვართზე იყარეს წილი.

36. და ისხდნენ იქ, და დარაჯობდნენ მას.

37. და დაუდგეს თავთით დაწერილი მისი ბრალდება: ეს არის იესო, იუდეველთა მეფე!

38. მაშინ ჯვარს აცვეს მასთან ერთად ორი ავაზაკი, ერთი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ.

39. ხოლო გამვლელნი აგინებდნენ მას, თავებს აქნევდნენ

40. და ამბობდნენ: ტაძრის დამრღვევო და სამ დღეში აღმშენებელო, იხსენი შენი თავი; თუ ღმერთის ძე ხარ, ჩამოდი ჯვრიდან.

41. ასევე მღვდელმთავრები მწიგნობრებთან, უხუცესებსა და ფარისევლებთან ერთად დასცინოდნენ და ამბობდნენ:

42. სხვები იხსნა და თავის ხსნა არ შეუძლია; თუ ისრაელის მეუფეა, დე, ჩამოვიდეს ჯვრიდან, და ვიწამებთ მას.

43. ღმერთს იყო მინდობილი, და, თუ ნებავს, დე, იხსნას ახლა ღმერთმა, ვინაიდან მან თქვა: მე ვარ ძე ღმრთისა.

44. ასევე მის გვერდით ჯვარცმული ავაზაკნი აგინებდნენ მას.

45. ხოლო მეექვსე საათიდან მეცხრე საათამდე წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა.

46. და ასე, მეცხრე საათს ხმამაღლა შეღაღადა იესომ: ელი, ელი, ლამა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქთანი? რაც ნიშნავს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?

47. ზოგიერთმა იქ მდგომმა გაიგონ: ეს და თქვა: ელიას უხმობს იგი.

48. და მყისვე გაიქცა ერთი მათგანი, აიღო ღრუბელი, ძმრით გაჟღინთა და ლერწამზე წამოაგო, და ასმევდა მას.

49. სხვები კი ამბობდნენ: მოიცათ, ვნახოთ, მოვა თუ არა ელია მის დასახსნელად.

50. ხოლო იესომ კვლავ შეღაღადა ხმამაღლა და განუტევა სული.

51. და აჰა, ზემოდან ქვემომდე, შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა, და იძრა მიწა, და დასკდნენ კლდენი.

52. და განიხვნენ საფლავნი, და წმინდა განსვენებულთა მრავალნი გვამნი აღდგნენ.

53. და გამოვიდნენ საფლავებიდან მისი აღდგომის შემდეგ, შევიდნენ წმიდა ქალაქში და გამოეცხადნენ მრავალთ.

54. ხოლო როდესაც იხილეს მიწისძვრა და ყოველივე ის, რაც მოხდა, ასისთავი და მასთან ერთად იესოს მოდარაჯენი, ძალიან შეშინდნენ და თქვეს: ჭეშმარიტად ღმრთის ძე იყო იგი.

55. იყო იქ აგრეთვე შორიდან მაცქერალი მრავალი ქალი, რომლებიც გალილეიდან მოჰყვებოდნენ იესოს და ემსახურებოდნენ მას.

56. მათ შორის იყვნენ მარიამ მაგდალელი, და მარიამი, დედა იაკობისა და იოსესი, და ზებედეს ძეთა დედა.

57. და მწუხრის ჟამს მოვიდა მდიდარი არიმათიელი კაცი, სახელად იოსები, რომელიც აგრეთვე იესოს მოწაფე იყო.

58. მივიდა იგი პილატესთან და გამოითხოვა იესოს სხეული და მაშინ ბრძანა პილატემ, სხეული მიეცათ მისთვის.

59. და წამოიღო მისი სხეული იოსებმა, და შეხვია წმიდა ტილოში.

60. და დაასვენა იგი მის ახალ სამარხში, რომელიც კლდეში გამოეკვეთა მას; და მიაყუდა დიდი ღოდი სამარხის კარს და წავიდა.

61. იყო იქ მარიამ მაგდალელი, და მეორე მარიამიც, რომლებიც ადგილზე წინ ისხდნენ.

62. ხოლო მეორე დღეს, რომელიც მოსდევს პარასკევს, შეიკრიბნენ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი პილატეს კარზე

63. და თქვეს: ბატონო, გაგვახსენდა, რომ ამ მაცდურმა სიცოცხლეში თქვა: სამი დღის შემდეგ აღვდგებიო.

64. მაშ, ბრძანე მესამე დღემდე უდარაჯოს სამარხს, რათა მისი მოწაფეები არ მივიდნენ ღამით, არ მოიპარონ იგი და უთხრან ხალხს: მკვდრეთით აღდგაო. და უკანასკნელი სიცრუე პირველზე უარესი იქნება.

65. უთხრა მათ პილატემ: დარაჯნი თქვენა გყავთ, წადით და უდარაჯეთ, როგორც იცით.

66. ისინიც წავიდნენ, სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ღოდი და დარაჯი დაუყენეს.

თავი ოცდამერვე

1. ხოლო შაბათის დამლევს, კვირის პირველი დღის განთიადისას, მოვიდა მარიამ მაგდალელი და მეორე მარიამიც სამარხის სანახავად.

2. და აჰა, საშინლად იძრა მიწა, ვინაიდან უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ზეცით, მივიდა და გადააგორა სამარხის კარიდან ღოდი, და ზედ ჩამოჯდა.

3. სახე მისი იყო როგორც ელვა, და სამოსი მისი სპეტაკი როგორც თოვლი.

4. მისი შიშით შეძრწუნდნენ საფლავის მცველნი და მკვდრებს დაემგვანენ.

5. მიმართა ანგელოზმა ქალებს და უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ ჯვარცმულ იესოს ეძებთ.

6. აქ აღარ არის, არამედ აღდგა, როგორც თქვა. მოდით და იხილეთ ის ადგილი, სადაც ესვენა უფალი.

7. სწრაფად წადით, და უთხარით მის მოწაფეებს, რომ მკვდრეთით აღდგა, და წინ მიგიძღვით გალილეისკენ; იქ იხილავთ მას. აჰა, გითხარით თქვენ.

8. ხოლო ისინი მსწრაფლ გამოვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ სამარხიდან და, შიშითა და დიდი სიხარულით მირბოდნენ, რათა ეუწყებინათ მისი მოწაფეებისათვის.

9. და მოწაფეების საუწყებლად მიმავალთ, აჰა, შემოხვდათ მათ იესო და უთხრა მათ: გიხაროდეთ! ხოლო ისინი მივიდნენ, მუხლებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას.

10. მაშინ უთხრა მათ იესომ: ნუ გეშინიათ; წადით, აუწყეთ ჩემს ძმებს, რომ გალილეას წავიდნენ, და იქ მიხილავენ მე.

11. და როცა ისინი წავიდნენ, აჰა, ზოგიერთი დარაჯთაგანი ქალაქში შევიდა და მოახსენა მღვდელმთავრებს ყველაფერი, რაც მოხდა.

12. ხოლო ისინი შეიკრიბნენ უხუცესებთან ერთად, ბჭობა გამართეს და დიდძალი ფული მისცეს ჯარისკაცებს.

13. და უთხრეს: თქვით, რომ მისი მოწაფეები მოვიდნენ ღამით და, ვიდრე გეძინათ, მოიპარეს იგი.

14. და თუ ეს ხმა მიაღწევს მეფეს, ჩვენ დავარწმუნებთ მას ... მოვნებისაგან გიხსნით.

15. მათაც აიღეს ფული და ისე მოიქცნენ, როგორც დარიგებულნი იყვნენ. და გავრცელდა ეს ხმა იუდეველთა შორის დღევანდელ დღემდე.

16 ხოლო თერთმეტი მოწაფე გალილეას წავიდა, მთაზე, სადაც უბრძანა მათ იესომ.

17. და იხილეს იგი და თაყვანი სცეს მას; ხოლო ზოგი შეეჭვდა.

18. მიუახლოვდა მათ იესო, დაელაპარაკა და უთხრა მათ: მომეცა მე მთელი ხელმწიფება ცაზედაც და მიწაზედაც.

19. წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით;

20. ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც მე გიბრძანეთ; და აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე. ამინ.

თარგმანი ძველ ბერძნულიდან.

შემდეგ ნომერში: სახარება მარკოზისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

ინეგა ცამან

აჰა, მაღალი, წმიდათაწმიდა
გულს აინთება დღეს შენი მცნება
და, თუმცა ავცდით შენს წრფელსა გზასა
უგუნურებით და უმეცრებით,
სიტყვა ჩაგვესმის სასოებისა
(ცამან ყოველი ესე ინება!) —
მრუმე ღამეში ჩაფლული სულის
კვლავ აღდგომად და აღორძინებად...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

შენ ჩემი თქვი

უთქვამთ: ბუდიდან გადმოვარდნილი ქორის უნაკრტენო ბარტყი ყორანმა შეიკედლა და თვისთა შვილთა თანა ზრდა დაუწყო.

რა ქორი იგი აღიზარდა, საგონებელთა იტყოდა: თუცა ამათი ნათესავი არა ვარ, ამათთან ბუდეთა რა ხელი მიც? და თუცა ამათთა გვართაგანი ვარ, რად არათი ვემსგავსებიო?

— შენ ჩემი თქვიო! — ეტყოდა ქორს ბარათაშვილი, მჯერა.

ენით გამოუთქმელი უბედურებაა, — ცხოვრობდე იმ გარემოში, „სადაცა ვერ ვის იკარებს სული“.

მე შენ გეტყვი, დაგიჯერებს ვინმე, რომ შენ სხვა ხარ (შენც არ მომიკვდე!).

ვისთვის დაუჯერებიათ, შენ რომ დაგიჯერონ!

შენ ხომ სხეულით ზედმიწევნით მსგავსი ხარ მათი (ეს კი კაცთათვის საესებით კმარა!)

„— უკეთუ ძე ხარ ღმრთისა, გარდამოჰხედ მაგიერ ჯვარით!“ — შემოგძახებენ ნიშნის მოგებით.

ვის ესმის შენი გულის წუხილი, რომ „შენ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებული არა ხარ!“.

ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?

აი, პრინციპი იმ საზოგადოებისა, რომლის უნებლიე წევრი შენცა ხარ.

შენ, რომელიც სიცოცხლეს არ იშურებ, რომ „შენს შემდგომად მოძმესა შენსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს!“

და მაინც, გინდა თუ არა, უნდა იცხოვრო იქ, სადაც „ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებელად არა მიჰხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსა ზედა ვლენან“.

უნდა გიხაროდეს რომ „ილიამ პარუჩიკობა გაიკრა!“...

უნდა მოიწყინო, რომ „გალავინის ცოლი წავიდა“..

უნდა დაინტერესდე: „ნიკოლაი აღაპიჩი ქალაქშივეა თუ არა?!...

მაგრამ არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა და არა!

სული შენი, რომელიც „გვამში ვერღა მოგთავსებია“, ზეციერ ... ...
ღება ზღუდეს ბედისას:

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!..

სათაური ლექსისა „მერანი“ თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს სათაურით „ბედი ქართლისა“, ვინაიდან ეს ღვთაებრივი ნაწარმოები, — თავისი „განწირულის სულის კვეთებით“, — ალიკვალი ისტორიაა საქართველოსი!

მიჰქრის მერანი და გზადაგზა ცხენებიდან ზედიზედ ვარდებიან სამშობლოსათვის, თავიანთი ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის თავდადებულნი:

ცხრა ძმა ხერხეულიძე,
სამასი არაგველი,
თევდორე ხუცესი,
ქეთევან დედოფალი,
ბიძინა ჩოლოყაშვილი,
დიმიტრი ყიფიანი,
ილია ჭავჭავაძე...

თვით მერნის ფლოქვთა თქარუნი გმირებს ითვლის და აღრიცხავს თითქოს...

„— გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი!“

მესმის და ვხედავ

არის ასეთი ნოველა „Последний урок“. ავტორი ალფონს დოდე.

(მე იგი რუსულად მაქვს წაკითხული. ქართულად არაა თარგმნილი).

როგორც კი სიტყვა დედაენაზე ჩამოვარდება, — ორი ხმა მესმის იქიდან: ხმა მასწავლებლისა და ხმა მოსწავლისა.

მასწავლებლის ხმა:

— Дети, сегодня я в последний раз занимаюсь с вами. Из Берлина пришел приказ преподавать в школах Эльзаса и Лотарингии только немецкий язык... Сегодня ваш последний урок французского...

ხმა მოსწავლისა:

— На крыше школы тихонько ворковали голуби, и слушая их, я задавал себе вопрос: — Может, их тоже заставят пень по-немецки?

ისევ მასწავლებლის ხმა:

— Пока народ, обращенный в рабство, твердо владеет своим языком, он как бы владеет ключом от своей темницы...

მესმის ეს ორი ხმა...

მესმის და ვხედავ, — როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენითა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჩხენკელი

ფარდა

ყელმოღერებულ ანტიკურ ქანდაკს
რომ ჰგავდა. — მორჩა: მკაცრია ბოლო!
დამთავრდა,
მძიმედ ეშვება ფარდა
და ფიცარნაგზე გამოდის ქორო.

და აჰა, ბნელში,
იქ,
ფარდის მიღმა,
თითქოს სიცოცხლის გარეთ მყოფები —
ყრიან კოთურნებს, იხსნიან ნიღბებს,
იხდიან სამოსს მსახიობები.

და თავდახრილნი უსმენენ ქოროს,
რადგან იციან: ის ამბობს მართალს...
ჭეშმარიტებას ის ამბობს მხოლოდ,
როდესაც მძიმედ ეშვება ფარდა!

1988. X

გაგინებ!

იმიტომ არა —
იმ უსახო დროს რომ აღზევდი,
უდროობის კუზს რომ მოაჯექ და კარგად იყავ,
შენი არშინით რომ ზომავდი და აფასებდი
მტერს და მოყვარეს. არც იმიტომ —
ასე რომ გიყვარს
კრებულის თავში დაბრძანება — დიდებულთ წესზე...
თვითონ რომ იყავ და მიგაჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა — ზედმეტ ბარგად,
შენს ირგვლივ ყველას რომ მარხავდი
და ახლაც მარხავ,
შენს გამო როა ფურთხის ღირსი ქვეყანა ესე, —

ი მ ი ტ ო მ!

1988, XI

აწ და მარადის

სული, რომელიც კვლავ ეუფლება
მიწას — უძველეს თავის სამყოფელს,
რომელიც მუხთალ დროთ მეუფებას
აღუდგა ბრძოლით, —
სიმწრის ნაყოფებს
ყიჟინით იმკის აწ ბ ე თ ლ ე მ-ს ი ნ ა ს
და ი ო რ დ ა ნ ე ს სივრცეებს შორის...
ისე ვით წინათ,
აწ და მარადის,
კვლავ იფარავდეს
განგების ძალი —
დ ა ვ ი თ ი ს მიწას და ჲ ე რ უ ს ა ლ ი მ ს!

1967

პირსაბანთან

თითქმის ყოველდღე თითებით სინჯავ
და ამიტომ კარგად იცნობ
მის თვითეულ ღრმულს, ფოსოს და წახნაგს...
დღეს მიხვდი უცებ:
ეს აღარ არის სახე, ეს —
თ ა ვ ი ს ქ ა ლ ა ა!

1988. X

ნილვა

შენს სახეს ციდან მზირალს მეფურად
მე ვერ ვხედავდი ნისლსა და ბურში:
„ღმერთო!“ — აღმომხდა ჩემს უნებურად,
თუმც არ მიზრახავს ამის თქმა გულშიც.

და ვნახე — რაკი გიხმე ურიდად —
ქარიშხლიანი ფრთების დარხევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ამოვარდა ჩემი გულიდან
თავზარდამცემი შენი სახელი.

1989.

ლოცვა

განმიხვენ ბაგენი და მაგალობე მე შენდა მიმართ
უფალო ჩემო; განმიხვენ ბაგენი.
გული გამიმრთელე, ზრახვა ამიმაღლე, განმიხვენ ბაგენი.
აღმიგზენ გული სიყვარულითა, უფალო ჩემო,
აღმიგზენ გული სიყვარულითა,
ზრახვა განმიწმინდე, სული ამიმაღლე
და მეც ამამაღლე უფალო ჩემო, განმიხვენ ბაგენი...
შენ მამცნე დღისით მზის წყალობა, ღამე — გალობა,
და შენდა მიმართ სიყვარულით აღმიგზენ გული, უფალო
ჩემო.

და შენდა მიმართ მაწირვინე გალობა წრფელი,
განმიხვენ ბაგენი და მაგალობე მე შენდა მიმართ
უფალო ჩემო,
განმიხვენ ბაგენი...

1949. VII
ქუთაისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაძარს

ტაძარო მამისგან ქმნილო
დედისგან აშენებულო
იბერთა მაცოცხლებელო
შენ სულთა შესაკრებელო
ტაძარო ძლევამოსილო.

სურნელო მიროწცხებულო
მაცხოვრის ნიშანდებულო
წმიდათა მოციქულთაგან
მსოფლიოდ განათლებულო
ტაძარო ძლევამოსილო.

ზეციურ საქართველოდან
უკვდავთა სამლოცველოდან
მარადქამს საგალობელო
ტაძარო ძლევამოსილო
ტაძარო ძლევამოსილო.

მთავარეპისკოპოსი ქუთათელ-გაენათელი და
ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთისა + კალისტრატე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჯიბლაშვილი

გართლომეს ღამე

ისევ მზიანი, თბილი დღე დადგა. მოკრიალებულ ცაზე გუშინდელი ავდრის ნიშანწყალიც აღარ იყო. გაზაფხულის ხანგრძლივი წვიმებისაგან გალუმპული, ერთფეროვანი, თვალისათვის მოსაწყენი ხუთსართულიანი სახლები, ჰაერის ხეების გალავანში რომ იყო მოქცეული, ერთიანად ჩამოერეცხა წვიმასა და თქეშს. ქალაქს იქით, შორს ჰორიზონტისაკენ გაჭრილ მთაგორიან მდელოებს უკვე შეჰპარვოდა სიმწვანე, ხოლო იმ შუშაბანდიდან, სადაც ქალბატონი ვერონიკა იჯდა, ვიწრო ქუჩის მეორე მხარეს, ძველებური სახლების გაყოლებაზე, კარგად მოჩანდა ათქვირებულ კვირტებიანი ბებერი იასამანი, რომელიც იმ ყველაზე დაძველებული სახლის წინ იდგა, ალაგ-ალაგ ბათქაში რომ ჩამონგრეოდა და გამომპალ ფანჯრებზეც ისე გვარიანად აქერცვლოდა საღებავი, ვერ გაიგებდი, რა ფერისა იყო.

გუშინ ქალბატონი ვერონიკა მთელი დღე ლორნეტით აკვირდებოდა იასამანს, რომელსაც გულდაგულ რეცხდა წვიმა და წინ და უკან ზნექდა ქარი. ახლა, წელგამართულ, გაყოყოჩებულ იასამანს ყინჩად აეზიდა პატარა ტოტები და ნელა ირხეოდა. ამის შემხედვარე ქალბატონი ვერონიკა თითქოს გამოფხიზლდაო, მუხლებზე დადებული დამბლადაცემული მარცხენა ხელი აამოძრავა და სევდაჩამდგარ თვალებში ღიმი გაუკრთა. სწორედ იმ დროს, როცა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გაჰკრა ფიქრმა, გულმა კვლავ შეშფოთებით დაუწყო ცემა. აღარ დაუყოვნებია, ლორნეტი ფანჯრის რაფაზე დადო და ნიტროგლიცერინის აბი გადაყლაპა. თვალებდახუჭული ელოდა როდის იმოქმედებდა წამალი. მალე უკეთესობა იგრძნო. მართალია, გულისტკივილი დაუამდა, მაგრამ სევდის ახალი ნაკადი უფრო გაუმძაფრდა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა, ფეხმდგომელამ გაიხედა ფანჯარაში, ახედა ცას, სადაც აქა-იქ გაბნეული თეთრი, ხუჭუჭა ღრუბლები დასავლეთისკენ მიცურავდნენ და ოთახში შევიდა. აქ კი დაძველებულ ავეჯით მორთულ სოროსავით პატარა ოთახში ჩვეულებრივად კრიალებდა ყველაფერი. სიძველისაგან აპრიალებული წაბლის ხის კომოდი, ზამბარებჩამტვრეული, მაუდგაქუცული ადამ და ევას დროინდელი ორი სავარძელი, ერთი ტახტი, მაგიდა, რომელზეც ძველებური ღამის ელექტროლამპა იდგა და იატაკიდან ჭერამდე წიგნებით გამოტენილი შინნაკეთი წიგნების კარადა, სადაც სქელ მუყაოზე გადაკრული ქალბატონ ვერონიკას ქმრის ახალგაზრდობის სურათი იყო აყუდებული. ეს გახლდათ ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წლის იანვარში გადაღებული სურათი; მაღალშუბლიან, საღაც შორეთისაკენ მზირალ კაცს, დაღლილობასთან ერთად ჩუმი ნაღველიც ემჩნეოდა თვალებში.

ქალბატონი ვერონიკა კედლისკენ მიტრიალდა, რომ სურათისათვის შეეხედა. როცა კი ოთახში შემოდიოდა, სურათის დანახვის დროს, ფერმკრთალი სახე წამიერად უქვავდებოდა, — წარსულის მოგონება სულს უფორიაქებდა, ტირილით კი აღარ ტიროდა, რადგან მისი გულის ყველა დარდი და სატკივარი, დროსთან ერთად, სულიერი ტანჯვის ძლიერ ცეცხლსაც ამოებუგა. მთელი დღეების განმავლობაში, განსაკუთრებით კი ღამღამობით, როცა ადამიანს თავისდაუნებურად შემოეჯარება ხოლმე მოგონებების მწვავე ფიქრები, ქალბატონი ვერონიკა თვალმოუშორებლად შესცქეროდა სურათს, იმ სურათს, რომლის წამიერი ხილვა, ყოველთვის მწარე მოგონებებით ავსებდა და მუდამ წარსულისაკენ ეწეოდა. მაგრამ, რადგან ამ გარინდებაშიც იყო რაღაც საამდღეო, — გარდასულ დროსთან ბრძოლის გამოცხადების სურვილი, — მასში წარმოიშობოდა გრძნობათა ის მთლიანობა, მხოლოდ სიკვდილთან თანასწორ ბრძოლაში ნამყოფ კაცს რომ დაუდგება ხოლმე თვალწინ მთელი თავისი სიმწრითა და ბედუკულმართობით. იგი გვიან წვებოდა დასაძინებლად, იწვა და ღია თვალებით შესცქეროდა ბუზებით დაბინძურებულ ჭერს, სადაც საცოდავად ჩამოკონწიალებულიყო ძველი, ადამისდროინდელი ჭაღი. ეძინა თუ ეღვიძა, კოშმარები სტანჯავდა, თვალწინ ედგა ჯურღმულები, ორმოცდაათი წლის წინათ რომ მოუხდა ყოფნა, სადაც სიკვდილი ერჩივნა სიცოცხლეს და არა ერთხელ უფიქრიათ კიდეც თავის მოკვლაზე. და აი ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ ქმრის სურათს რომ უყურებდა, თითქოს ხელახლა განიცდიდა დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებს. მის მეხსიერებაში განუწყვეტლივ ცოცხლდებოდნენ შინსახკომის მიყრუებული ოთახის სურათები. განსაკუთრებით პატიმრობის მესამე დღე, როცა ორმა დევივით კაცმა შიმშილითა და ცემით დაოსებული ქალი იატაკზე დააგდო და წიხლები დაუშინა. ხოლო როცა ქალბატონმა ვერონიკამ წუთით ძალ-[illegible] [illegible] [illegible] [

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესა, არც ბმამაღლა გამოთქმული პროტესტი არ არღვევდა ამ საშინელ ერთფეროვნებას. თითოეულმა იცოდა, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეცვლიდა მათ ყოფას, ამიტომ ყველას, როგორც ერთს, ჯიუტი ფიქრი და სანუკვარი სურვილებით აღსავსე ოცნება დაუფლებოდა. დროდადრო, თითქოს მოჩვენებები ტივტივებენო, ერთიმეორის მიყოლებით, ან ცალ-ცალკე, ოდნავ წამოიწეოდნენ, რის ვაი-ვაგლახით ააღირებდნენ ათასნაირად დამახინჯებულ, სისხლში ამოგანგლილ თავებს, ჩალილავებული, ჩალურჯებული თვალებით უცქერდნენ ერთმანეთს და ვერ ცნობდნენ, რადგან არცერთი მათგანი აღარ ჰგავდა ადამიანს, — ისინი უფრო ზღაპრული ურჩხულები გეგონებოდათ, ისეთები, მათი დანახვა ჭკუაზე რომ შლის ხოლმე დიდსა და პატარას.

კარის ღრიჭოებსა და მინებჩამტვრეულ ვიწრო სარკმელში ქარი ზუზუნებდა. ბნელი ჭუჭრუტანებიდან მოძვრებოდა, საკანში დაფრინავდა და ძვალსა და რბილში ატანდა სიცივე, რომელიღაც კუნჭულში გვერდზე მიგდებული ზონზრობა ქალი გულისწამღებად კვნესოდა, მის გვერდით მთელი სხეულით თრთოდა და ძიგძიგებდა კატასაეით ოთხად მოკუნტული დედაბერი, ვიღაც გაფითრებული, ცხვირპაჭუა, ლოყებშემოპუტული ქალი ჭლექიანივით ბრანტალებდა, აქეთ კი გამხდარი, ფიცარივით გამომშრალი დედაკაცი, სახელოები კნაჭა იდაყვს ზემოთ რომ ჰქონდა აკაპიწებული და სულ მთლად ჩაბლეჩოდა ხმა. შეშლილს ჰგავდა. შეშლილს ჰგავდა მის ზურგს უკან წამოჩოქებული ქალიც, რომელსაც სახეზე ნაოჭები ეცარცახებდა და დილიდან საღამომდე გაუთავებლად ერთსა და იმავეს იმეორებდა.

ერთ დღეს, როცა დიდი ცემა-ტყეპის შემდეგ, ჭლობატონი ვერონიკა გონს მოეგო, თავი წამოსწია და პირიდან სისხლი გადმოაფურთხა. მის გვერდით მოკალათებულმა დედაკაცმა, რომლის ნაგვემ სხეულს, ეტყობა, უკვე მოესწრო ოდნავი გაჯანსაღება, გამოლანძღა [illegible]ება სცადა. მაგრამ როგორც [illegible] გამძვინვარებულ თვალებში ანთებულ სიძულვილს შეხედა, შეკრთა და მაშინვე ენა გადაყლაპა. მერე კედელთან მიიკრუნჩხა, რაღაცნაირად გვერდულად მოირთხა ფეხები და ფიცხი ცხენივით ჩქარ-ჩქარა დაიწყო სუნთქვა. პატარა ტანის ერთი ულამაზო ქალი, ჭუჭყით გაპოხილი სვიტრი და ქვედა კაბა რომ ეცვა და დღენიადაგ რატომღაც ფრჩხილებით იატაკს ფხოჭნიდა, ხრინწიანი ხმით მეზობელს ამშვიდებდა: რას იზამ, მოთმინებაა საჭირო. — ასეთია ადამიანის ბედი, ადამიანი მონად დაიბადა და მონად მოკვდებაო. მაგრამ მის დუნე, მორჩილ აზრს მეზობელი, ეტყობა, განათლებული და მტკიცე ნებისყოფის ჭაღარათმიანი ქალი, გადაჭრით და ცხადად უარყოფდა. იგი ჩანაცრისფერებული და დატანჯული სახით, ზედ აქა-იქ შავი ლაქები რომ აჩნდა, კუთხეში მიკრუნჩხული იჯდა, ხელები მუხლებზე ქონდა შემობღაუჭებული, თავი უკან გადაეგდო და საკუთარ ფიქრებს მისცემოდა.

— დაჩუმდით!.. — ყვიროდა ვიღაც ხანში შესული, რომელსაც თვალები შიშით და თანაც რისხვით უკრთოდა.

მაგრამ დროდადრო საკანში მაინც ისმოდა ადამიანების ლაპარაკი, კვნესასა და ოხვრასთან ერთად გამოსცემდნენ რაღაცნაირ მჟღერ, გაბზარულ ხმებს, ხოლო ისინი, ვინც ფიზიკურად და სულიერად უფრო ძლიერნი, გამძლენი, გულადნი და უშიშარნი იყვნენ და, ბედად ასე თუ ისე, ცოტათი მაინც გადარჩენოდნენ დიდ ცემა-ტყეპას, ტანჯვა რომ შეემსუბუქებინათ დავრდომილთა და სულით დაცემულთათვის, შვებას მიაგებდნენ. მათ სიტყვებში ყოველთვის იყო რაღაც ახალი, იმედის მომცემი და იდუმალებით მოცული. მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც უკვე მობეზრებოდათ სიცოცხლე, გულისწამღები მოძახილით ქვითინებდნენ, ლოყებზე გაუთავებლად ჩამოსდიოდათ მსხვილ-მსხვილი ცრემ-

ლები, ითხოვდნენ შველას, ფიქრობდნენ რაღაც შორეულსა და ახლა უკვე სამუდამოდ დაკარგულზე. დაიწყებდა ერთი, აჰყვებოდა მეორე და იმ ბნელ, აშმორებულ საკანში, ეს რეალური, ცოდვილი და განადგურებული სამყარო სევდით ავსებდა ყველას, რაც ჯადოსნურად ლამაზი იყო ოდესღაც, აქ ჯოჯოხეთად ქცეულიყო. ისინი ტიროდნენ, მოთქვამდნენ, მჯიღებით, თავსაფრის ბოლოებით, ცხვირსახოცებით იმშრალებდნენ მდუღარე ცრემლებს. ბევრი მათგანი გაუთავებელ ტირილსა და გოდებაში ჰპოვებდა შვებას. ხოლო მტკიცე ხასიათისა და განსაკუთრებული ძალის პატრონები არ ყრიდნენ ფარ-ხმალს. დუმილით შეჰყურებდნენ საკნის მრუმე კედელს, რომლის იქით მოურჩენელი შიშით შეპყრობილი სამყარო ხმაურობდა. ზამთრის გრძელი ღამეები, წამებად რომ ქცეულიყო, ნელა, ზოზინით გადიოდა. საკმარისი იყო დილის უღიმღამო რიჟრაჟს ოდნავ გაეხილა თვალი, ვიღაცას, რატომ და რისთვის, კაცმა რომ არ იცის, ეთქვა თენდებაო, რომ ერთი ხანშიესული ქალი, ჩაფიქრებული ღიმილით ალაპარაკდებოდა ვიღაც მამაკაცზე. მასთან გატარებულ ბედნიერ, მხიარულ დღეებზე. ჰყვებოდა როგორც ბავშვი, მშობლებზე. რაღაც უჩვეულო შემთხვევაზე, ახალგაზრდობაში გადატანილ ავადმყოფობაზე და ამ დროს მის სევდაჩამდგარ თვალებსა და გატანჯულ სახეზე გულკეთილი და უდარდელი ადამიანის ირონია იხატებოდა.

ქალბატონ ვერონიკას, რომელიც ოდნავ წამოწეულიყო და ზურგით კედელს იყო მიყრდნობილი, გულის სიღრმემდე სძრავდა ჭკუაზე გადასული ქალის ჩიფჩიფი, მასთან მიხობება სურდა, რომ სანუგეშო რამ ეთქვა. მაგრამ სწორედ ამ დროს გაიღრჭიალა საკნის კარმა და მწვანე გიმნასტურაში გამოწყობილი კაცი რამდენიმე საფეხურით დაბლა დაეშვა. პატიმრებმა თავები წამოყვეს, წამით გაიტრუნნენ, მერე ვიღაცას ოხვრა აღმოხდა. ვიღაცამ შიშისაგან ამოიგმინა, ვიღაცამ [illegible] გადაეხვია მეზობელს. [illegible] ლი, მოტეხილი და მისუსტებული ქალი უცნაურად რომ მოკეცილიყო კართან და ათრთოლებული ხელებით ნაწნავებს აწვალებდა, როგორც კი საკანში ჩამოსული ზედამხედველი დაინახა, მაშინვე იატაკზე დაემხო. ზედამხედველმა გადაალაჯა, მეორეს გვერდით აუარა, პატიმრებშუა გაიარა და ქვადქცეულ, რომელიღაც წერტილს მიშტერებულ ქალბატონ ვერონიკას თავზე წაადგა.

— ადექით, — უთხრა მან დაბალი, მოგუდული ხმით. — სიარული შეგიძლიათ?

ქალბატონი ვერონიკა მრისხანე და გატანჯული სახით წამოდგა. იდაყვი ზევით ასწია და მკაცრი, გაბზარული ხმით თქვა:

— ხელი გამიშვით!

ზედამხედველმა შუბლი შეიკრა, ხელით ანიშნა გამომყევიო და უხმოდ გატრიალდა. გაიარეს ბნელი დერეფანი, ორჯერ შეუხვიეს-შემოუხვიეს, ერთი სართულით მაღლა ავიდნენ. კვლავ გრძელი, მაგრამ ახლა უკვე შედარებით ნათელ დერეფანს გაუყვნენ და რომელიღაც ოთახში შევიდნენ. მაგიდასთან მჯდომმა საშუალო ხნის მბრძანებლური იერის მქონე მამაკაცმა თავი ასწია და დაუფარავი ყურადღებით შეათვალიერა პატიმარი. მეორემ, რომელსაც ადვილად შესამჩნევი უხეში ნაკვთები ჰქონდა და ჯაგარა ულვაშს რკინის საკარცხლით ივარცხნიდა, ქრომის ჩექმებში ჩატანებული შარვალი გაისწორა, წელში გაიმართა და თითქოს საპატიო სტუმარს ხვდებაო, ოდნავ გაიღიმა. მესამე, ფანჯარაზე ჩამოფარებულ აფრებივით დაბერილ ფარდებთან რომ იდგა, სკამზე დაჯდა.

მაგიდასთან რომ კაცი იჯდა, მსხვილნაკვთიანი სახე შეიკმუხნა, ხეშეშა, სწორ თმაზე წვერწათლილი ფანქარი გადაისვა, ქალბატონ ვერონიკასკენ მძიმედ, აუჩქარებლად მიატრიალა თავი და ბოხი ხმით თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძაშვილ საგანგებო გამოძიებათა განყოფილების უფროსი ბართლომე სახვაძე ვარ. აი აქ დაჯექით და ვისაუბროთ.

ქალბატონი ვერონიკა უბმოდ ჩამოჯდა სკამზე, კალთაში ჩალაგებულ ხელებზე დაიხედა და თავი ჩაქინდრა. სახვაძე ტყავგადაკრულ სავარძელში გასწორდა.

— მაშ ასე, — თქვა მან, — საიდან დავიწყოთ?

ქალბატონი ვერონიკა გაირინდა, ლამაზი, მოხდენილი წარბები მაღლა აწეული დარჩა. სახვაძემ ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი, წამით მაგიდის ზედაპირს დააცქერდა და პაპიროსის კოლოფს მისწვდა.

— ახლა ბევრი რამ თქვენზეა დამოკიდებული.

— ჩემზე? რა არის ჩემზე დამოკიდებული?

სახვაძე მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ხელები გადააჯვარედინა. ცოტა ხანს აქეთ-იქით იყურებოდა, მერე ისეთი იერი მიიღო, საქმიანი ადამიანები ხუმრობაზე ქვეშ-ქვეშ რომ გაიღიმებენ ხოლმე.

— რა იცით ვამეხ მაჩაბლის შესახებ, რით იყავით მასთან დაკავშირებული?

— ქორწინებით.

— ეს გასაგებია. გამოძიებას აინტერესებს იცოდეს, რა ანტისაბჭოთა აგიტაციასა და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა თქვენი ორგანიზაცია.

ქალბატონმა ვერონიკამ თვალები ოდნავ მოჭუტა და ღრმად ამოისუნთქა:

— ეს უკვე დიდებული რამ არის! გუშინწინ მე სულ სხვა ბრალდება წამიყენეს.

სახვაძე სავარძელში გადაწვა, პიჯაკის ჯიბიდან ძველი მოდის მრგვალი საათი ამოიღო, ღახედა და ძეწკვი თითზე გადაიხვია. სახიდან თანდათან გაუქრა ღიმილი, ტუჩები მაგრად მოკუმა, სიჩუმე ჩამოვარდა. კაცმა, რომელიც ფანჯარასთან იჯდა და ფეხი ჰქონდა ფეხზე შემოდებული, ასანთს გაკრა. მესამემაც საჩქაროდ [illegible] შემდეგ კვლავ ხანგრძლივი [illegible] ჩამოვარდა. ქალბატონი ვერონიკა შეიშმუშნა, მიმოიხედა და დაბნეული მზერა მიაპყრო მათ გაქვავებულ სახეებს. არ გაუვლია წამსაც, რომ მხრები აუცახცახდა. მერე თავისი ლამაზი ხელები მაღლა აღაპყრო, რატომღაც თავზე შემოიხვია. სახე ბართლომე სახვაძისაკენ მიაბრუნა და ერთნაირად აკანკალებული, ბორძიკა ხმით წამოიძახა:

— სად არის ჩემი შვილი?!.. სად არის ჩემი ქმარი?!..

სახვაძემ მშვიდად, მაგრამ ბოროტად ჩახედა შავგუგებიან დიდ თაფლისფერ თვალებში, რომლებიც გამძვინვარებასთან ერთად, მაინც სიმშვიდეს ფლობდნენ... ამიტომ ის წამები იმდენად ძლიერი და დამთრგუნავი ეჩვენა, იმდენად უცხო იყო მისთვის, რომ ადვილად მიხვდა, ქალის ცრემლები მარტო წყენასა და ტკივილს არ გამოხატავდა. იგი თითქოს გაქვავდა და წამით შეინარჩუნა ის ზარდამცემი იერი, რომელიც აგერ რახანია იყო უკვე, თავზარს რომ სცემდა ყველას, ვინც კი მის ხელში მოხვედრილა. მაგრამ გაიარა წამმა, ერთმა თუ ორმა და, როგორც ყოველთვის, დროს რომ მიჰყვება ხოლმე ყველა წყენა და აღელვება, ახლაც, ამ მრუმე და ტანჯვით აღსავსე ოთახში, ის, რაც მან დაინახა, დაუჯერებელ სიზმარს უფრო წააგავდა. ვიდრე პატიმრის დაკითხვას. წამოდგა, კედლისაკენ შეტრიალდა, გვერდულად ჩამოკონწიალებულ ძერჟინსკის სურათს შეავლო თვალი, ოდნავ წელში გაიმართა და სწრაფად დამარცვლა:

— ნუ ნერვიულობთ, ქალბატონო. — სახვაძემ გაიარა, შუბლშეკმუხნული მიაჩერდა ფანჯრის იმ ადგილს, სადაც ფარდა იყო გადაწეული, — რაც შეეხება აკადემიკოს მაჩაბელს და თქვენს შვილს, ისინი საიმედო ადგილას არიან. დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეს: როგორც გავიგე, თქვენი საიდუმლო ორგანიზაცია იმას ემსახურება რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული ხელისუფლება დაამხოთ, მაგრამ, იმედია, ამ ქვეყნად მოიძებნებიან საკმაოდ ჭკვიანი ადამიანები, წინ რომ აღუდგნენ იმ ძალებს, რომელთაც საბჭოთა ქვეყნის დაღუპვა გახუზრახავთ. რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანად მიგვაჩნიხართ თქვენც, მოხარული ვარ, რომ სწორედ თქვენ შეგხვდით და ჩვენ შორის არაფერი იქნება დაფარულ-დამალული.

— მოდით, თავი დავანებოთ ჩვენ ორივესათვის ამ უმიზნო საუბარს, რასაც არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია.

— არ ღირს და ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის?

— მე არ ვიცი რა როგორ არის, მაგრამ თუ ჩემი წამება გინდათ, მაწამეთ.

სახვაძემ ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე შეჩერდა და სულელურად გაიღიმა.

— მკაცრია ჩრდილოეთი, ძალიან მკაცრი, მძიმე ზამთარი იცის!..

ქალბატონმა ვერონიკამ თანხმობის ნიშნად მხრები შეათამაშა და თავი დაუქნია.

სახვაძემ ზარი დარეკა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ორი ახმახი შემოვიდა, ორთავეს ძველი, ლანჩმორღვეული სალდათური ჩექმები ეცვათ, ორივენი გაიჭიმნენ და დაუცადეს რას ეტყოდათ სახვაძე. სახვაძეს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ წარბები აათამაშა. მაშინ ის ორი, გახევებულები რომ იდგნენ კარებთან, შეტოკდნენ, უსულონი სულიერად გადაიქცნენ, სწრაფად წაქანდნეს ქალბატონ ვერონიკასკენ, რომელმაც წამოდგომა ვერ მოასწრო, იღლიებში შეუცვივდნენ და ოთახიდან გაათრიეს. როცა ქვემოთ, ჯურღმულივით ბნელსა და ჭუჭყიან საკანში ჩაათრიეს, ერთმა, უფრო მაღალმა და თვალებგადმოკარკლულმა, თმაში ჩაავლო ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუცელში ჩასცხო. მეორემ გაშმაგებული ლანძღვა-გინებით იატაკს დაანარცხა. ისევ იმ პირველმა, ძაღლივით გაავებულმა, ბრაზისა [illegible] გან სახეშეშლილმა, [illegible] დრე ქალბატონმა ვერონიკამ გონი არ დაკარგა.

2.

ორთქლმავალმა გაბმით დაიკივლა, ცოტა ხანს კიდევ იგორა და სადღაც გაჩერდა. სიბნელიდან თანდათან გამოიკვეთა ფლატეები, ახალგატიტვლებული, კლდოვანი უდაბური ადგილები, ხოლო აქეთ, რკინიგზის ახლოს თოვლში ჩაფლული ქოხები. მალე ისე დაიგრგვინა, ისე შეზანზარდა გადმოპირქვავებული ცა, რომ ქალბატონმა ვერონიკამ თვალი გაახილა, გარეთ დამაბრმავებლად გაიელვა. გრუხუნით გადაიარა ჭექა-ქუხილმა, და ვაგონში წამით შემოჭრილმა სინათლის შუქმა პატიმრები წამოყარა. როგორც კი კვლავ უკუნეთი ჩამოწვა, იმავ წამს ვიღაცის შემზარავი ყვირილი გაისმა.

ქალბატონი ვერონიკა მუხლებზე წამოიმართა, უნდოდა დაენახა რა ხდებოდა გარეთ. ქარი გლეჯდა და ანადგურებდა ყველაფერს, — ელვისაგან დასერილ წყვდიადში კოკისპირულად წვიმდა.

ორთქლმავალმა ისევ შეჰკივლა, შეჰკივლა ერთხელ, მეორედ, მერე ეს კივილი წვიმის გნიასში დაიკარგა. ქარმა ისე ძლიერად შემოუბერა, რომ წივილით შემოიჭრა ვაგონში. შემოჭრით კი შემოიჭრა, მაგრამ წლობით დაგროვილი ნესტისა და ნოტიო თივის სუნი მაინც ვერ გაფანტა. ფართოდ თვალებგახელილი ქალბატონი ვერონიკა დაძაბული ფიქრობდა, მის გვერდით ოთხადმოკეცილი ახალგაზრდა ქალი, შავი თმის კულულები თვალებზე რომ ჰქონდა გადმოვარდნილი, მძიმედ სუნთქავდა, დროდადრო სიბნელეში თვალებს ბუჭავდა და ახელდა, ხელისგულებით იწმენდდა ოფლს. უხმოდ იკვნეტდა ტუჩებს, რომ არ ეკივლა, არადა, საშინლად სტკიოდა მუცელი. სუნთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგუბდებოდა, ხელები ხან მუხლებზე ჰქონდა შემოხვეული, ხან თავზე იჭერდა, რომ მტანჯველი ტკივილი დაეთრგუნა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, გავარდისფერებულ შუბლზე უფრო და უფრო ასხამდა ოფლი და ამღვრეული თვალები ცრემლებით ევსებოდა.

მისკენ გადაბრილი ქალბატონი ვერონიკა უაზროდ დასჩერებოდა ოფლში გაბვიოთქულ ქალს, არ იცოდა, რა მოემოქმედა, რით ეშველა. ქარის ქროლასა და გრუხუნში, თანდათანობით რომ მძლავრდებოდა, აქამდე თავიანთი დარდი და ფიქრით შეძრწუნებული ქალები ახლა თანაგრძნობით ალაპარაკდნენ, ვიღაც ხანშიშესული ქალი მუხლის ჩოქვით გაცოცდა, თავიდან ხილაბანდი წაიძრო და რაღაც წაილაპარაკა. ხოლო როცა ჩოჩქოლი მიწყდა, გასაგონად თქვა:

— აბა, რომელი უფრო მარჯვე ხართ, მომეხმარეთ?

რამდენიმე ქალმა ერთდროულად ჩაიჩოქა ტკივილებისაგან ილაჯგაწყვეტილი ქალის ფერთხით, არ გაუვლია ორიოდ წუთსაც, რომ შემზარავი კივილი გაისმა. წვიმით გაწუწულ წკვარამ ღამეში, ცას ელვის ცისარტყელები რომ სერავდნენ, ბავშვმა დაიჩხავლა. ვაგონი თითქოს გამოცოცხლდა, სწორედ ამ დროს გაისმა რკინის კარის ეღრიალი — შემოვიდა ზედამხედველი, ფარანი მიანათ-მოანათა, ბრაზით გააწკლაპუნა ენა. მაგრამ არაფერი უთქვამს. როცა ხელმეორედ გაიღრჭიალა კარმა და მის უკან სინათლეც ჩაქრა, ქალები კვლავ აჩურჩულდნენ. — შფოთი და საკუთარი სატკივარი დროებით დავიწყებოდათ.

ღარ წვიმდა, მაგრამ ჰაერი მაინც ცივი და ნოტიო იყო. სიბნელეს აქაიქ ყვითელი შუქი კვეთდა, დროდადრო ჩვილი წამოიჩხავლებდა ხოლმე, მშობიარე ქალი მორჩილად იწვა და უხმოდ იტანჯებოდა.

ანაზდად, თითქოს დედამიწა შეიძრაო, ძალუმად არაბრახდა ვაგონის ბორბლები, ღრიჭოებში შემოჭრილმა ცივმა ქარმა ისედაც ძილგამკრთალი ბალბ გამოაფხიზლა. ქროლასა და რწევაში სახურავზე აგლეჯილი თუნუქი კვლავ არიხინდა. ბავშვი ტიროდა და მატარებელი კივილით მიჰქროდა. შუაღამე გადასული იყო, რომელიღაც სადგურში რომ გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ რკინის კარმა კვლავინდებურად გაიღრჭიალა, რაღაცას წამოედო და გარახუნდა. ფარნის შუქმა შორიდანვე გადაურბინა იატაკზე გაწოლილ ხალხს. — ზოგმა თავი წამოჰყო, ზოგი პირქვე ჩაემხო და გაინაბა. ზედამხედველმა აქეთ-იქით მოატარა ფარანი.

— ვის გვარსაც ამოვიკითხავ, ჩამოდით! — თქვა მან.

ქალბატონი ვერონიკა ბაქანზე გადავიდა, ღრმად ჩაეფუთნა საყელოში და გაყინული ჰაერი ჩაისუნთქა. ირგვლივ წყვდიადი იდგა, მხოლოდ მუქ ლაქად მოჩანდა რაღაც სილუეტები. მერე და მერე, როცა სიბნელეს თვალი შეაჩვია, შორს ჰორიზონტზე ერთი შეხედვით უწყინარი, საოცრად თეთრი ღრუბელი დაინახა. თოვლისა და ყინვისაგან დადუმებულ სივრცეს ორთქლმავალის კვამლი ჰვარტლავდა. ქალბატონმა ვერონიკამ თვალები დახუჭა და იგრძნო, რომ გულს აზიდებდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და უპეები შეიმშრალა, თან აქეთ-იქით იხედებოდა, რომ სადმე ფეხი არ ჩავარდნოდა. მის გვერდით ბორძიკ-ბორძიკით მიბანცალებდა ავადმყოფი ქალი, ხელებით ქალბატონ ვერონიკას ებღაუჭებოდა. ბაქნიდან გავიდნენ თუ არა, მოსახვევში გემის საყვირი გაისმა, საყვირის ხმა ღამის ეკმომ ჯერ მდინარის პირას აღმართულ გორაკებს შეახეთქა. მერე სადღაც ტყეში ჩაკარგა.

— სად მივყავართ? — იკითხა ვიღაცამ ნაღვლიანი ხმით და უმალ ენა გადაყლაპა.

ბოლჩის ყურს ჩაბღაუჭებული ქალბატონი ვერონიკა წელში წახრილი უხმოდ მიაბიჯებდა მოლიპულ გზაზე, რომელიც თოვლით გადაპენტილ მინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორზე იკარგებოდა. მარჯვნივ, მდინარიდან, ყრუ გუგუნი ისმოდა და ფართომილიან ზემიდან სინათლე გამოკრთოდა. კუპრისა და ნავთის სუნით აქოთებულ უკაცრიელ ნავმისადგომზე ნისლში ჩაკარგული ორად-ორი ნათურა ჭიატებდა. ძვალსა და რბილში ატანდა სიცივე, სუსხიანი ქარი ქროდა. თანდათან ცისფერდებოდა ჰაერი, ნელნელა მსუბუქდებოდა ლაჟვარდი, მტრედისფერი დაჰკრავდა თვალსაწიერზე გადაჭიმულ თოვლიან ბორცვებზე წამოჭიმულ ქოხმახებს, რომელსაც ყვითელი მჭადივით მრგვალი მთვარე დაჰნათოდა.

ყანყალა კიბით პატიმრები გემზე ავიდნენ. ქარი მომაბეზრებლად ღრიალებდა გემბანზე და თოვლის ფიფქებს სახეში აყრიდა ქალბატონ ვერონიკას. კაპიტნის ბოგურზე მხრებზე ბრეზენტის ლაბადამოსხმული კაცი იდგა. გამძვინვარებული ქარი ლაბადის ბოლოებს ატყლაშუნებდა, მაგრამ კაცი ყურადღებას არ აქცევდა. იგი თავაწეული შესცქეროდა ცას, რომელიც მოჭიატე ვარსკვლავების მორევში გარინდებულიყო.

ნახევარი საათის შემდეგ გემმა დგაფუნით დაატრიალა ბორბლები და ნელნელა მოშორდა ნაპირს.

3.

ქალბატონმა ვერონიკამ ფანჯარაში გაიხედა. წვიმით გაწუწული იასამნის ტოტზე პატარა, სულ ერთი ციცქნა ჩიტი შემოსკუპებულიყო, დროდადრო პირს აღებდა და ჭახჭახებდა. ლურჯ, კამკამა ცაზე სიფრიფანა ღრუბლის თეთრი ნაფლეთები მიცურავდა. სადღაც შორს, მთაწმინდის გადაღმა, მზეზე მოლაპლაპე ვერცხლისფერი თვითმფრინავი გადაფრინდა. ქუჩის ახლად მოწვიმულ ტროტუარზე ბავშვებმა პატარ-პატარა გუბეები გატოპეს. უფრო იქით, სასოსისეს ახლოს, ლოთები შექუჩებულიყვნენ. ლოთებთან ჩია კაცი იდგა. ის ჩია, რომელიც მთელი თავის დღე და მოსწრება ერთსა და ამავე დროს გამოჩნდებოდა ხოლმე [illegible] ზამთარ-ზაფხული [illegible] ეხურა. ამ კაცის დანახვაზე ქალბატონ ვერონიკას მუდამ ეღიმებოდა, რადგან კუნტრუშით მომავალი მოხუცი ჩიტის დამტვერილ ფიტულს წააგავდა.

ეხლაც გაიღიმა და მიმოიხედა. მის მრგვალ, ბებრულ, ათასჯერ ნატანჯსა და დარდით სავსე თვალებში, მარტოობის დროს წამიერად რომ გაიელვებდა ხოლმე ამგვარი ღიმილი, მაინც მარადიული სევდა, სიფრთხილე და თმენა ჩასდგომოდა. ეს ის სევდა და თმენა იყო, მთელი თავისი საუფლო სულის ამნაირი განწყობილებით რომ აუვსო ცხოვრებამ. საგულდაგულოდ შენიღბულმა უსამართლობამ, ოცი წლის აქეთ-იქით თრევამ და ჯურღმულებში გდებამ მის მოყვას შეგნებაში ფეხქვეშ გათელა ყველაფერი, რაც ძვირფასია ადამიანისათვის.

იმის გაფიქრებაზე, რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ფუჭ ქიმერად წარმოაჩენდა მისი სულის სიდიადეს, ქალბატონი ვერონიკა ყოველთვის განიცდიდა სიცოცხლის დაუოკებელ სურვილს, კმაყოფილი იყო იმით, რომ დრო და სივრცე კი არა, სწორედ აზრი და ღირსება ამაღლებდა მას. მოგონებების მწველი მირაჟი, ულიმღამო ხსოვნა თავისი ოდინდელი ბედნიერებისა, მართალია, მთლიანად შთაენთქა სიმწარესა და უნდობლობას, რომლის დარდგაუქარვებელი ტვირთი დღემდე ჰქონდა შემორჩენილი, მაგრამ ვერა დააკლო რა საღ აზრს, რადგან გონების სხივი ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობოდა. ყველაზე უფრო დიდი შეჯირვების დროს, როცა გული ამოუჯდებოდა ხოლმე და ყელში რაღაც წაუჭერდა, არ ავიწყდებოდა, რომ ოდესღაც ჭეშმარიტად ბედნიერი იყო, რომ ჰყავდა ქმარი და შვილი, რომ ახლა იმ ბედნიერების სახსოვრად დარჩა მხოლოდ მწარე მოგონება. საწყაული, რომლის ასავსებად აღარაფერი იყო ამქვეყნად — არც ღმერთი, არც ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი, არავითარი ძალა და სასოება, რადგან უსასრულო სიცარიელის ავსება წარმოუდგენელია.

იყო დრო, როცა მის სულში სულ სხვა ქარები ქროდნენ, როცა უსათნოესი და ულამაზესი იყო ცხოვრება, არ არსებობდა ძალა, რომ ჩაეხშო და მიწასთან გაესწორებინა ბედნიერების შმაგი წყურვილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვესკნელის ჯურღმულები ნახა, დაკარგა ჰეშმარიტი სიკეთის შეგრძნება, დაკარგა ის, რითაც სამართლიანობასა და ბედნიერებასთან ნაზიარები იყო, მის უცნაურ გაორებას უნდობლობა და ზიზღი დაეუფლა. როგორც ტახტიდან ჩამოგდებული მეფე ატარებს ხოლმე ყველა თავისი დიდებისა თუ საბედისწერო მარცხის გრძნობას, ქალბატონი ვერონიკაც, ნათელმხილველი ყოვლისა და ყველაფრისა, ახლა გონების თვალით ჰვრეტდა საიდუმლოებით მოცულ წარსულს და როცა მის ახსნას ცდილობდა, მაშინვე თავს ანებებდა ფიქრს, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბოროტების შეცნობასა და წვდომაში არსებული გადაულახავი ზღვარი ერთმანეთისაგან ჰყოფს ადამიანებს.

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, რაც თავს გადახდა და ეწამა, ყველაზე მძიმე, ქანცგამწყვეტი და სასოწარმკვეთი მაინც საკუთარ თავთან ბრძოლა იყო. დროდადრო საზარელი მოგონებებით გაცხადებული ტანჯვა მის მძლეთა-მძლე სულში, რომელსაც, თითქოს, დავიწყებოდა თავისი სხეული, ისერიგად აახმიანებდა ხოლმე ყოველგვარი სიამისა და გრძნობისმიერი განცხრომისაგან განძარცულ ვნებებს, რომ ზოგჯერ თავს ბედნიერადაც კი გრძნობდა. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ წამით ხდებოდა. საკმარისი იყო გონების თვალი გადაევლო თავისი ამაზრზენი ცხოვრებისათვის, რომ იმ წუთიდან მოყოლებული, რაც ბნელსა და აშმორებულ საკანში შეაგდეს და მერე სიავით გააფთრებულმა გამომძიებელმა ლოყაში გააწნა, სულ სხვა ადამიანად ქცეულიყო.

ახლაც თვალწინ ედგა წარსულის სურათები, ნაცნობთა თუ უცნობთა სახეები, განცდილი და ნანახი. არასოდეს, ტანჯვის ყველაზე მძიმე წუთშიც კი, არ განუცდია მსგავსი რამ. უცებ თრთოლვამ აიტანა და შიში დაეუფლა. წამოდგა, სასოწარკვეთით მიმოიხედა გარშემო, რომ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, მაგრამ გასარკვევიც აღარაფერი იყო, რადგან ძველებურ შუშაბანდში ყველაფერი დუმდა, მხ[illegible] გარეთ, გაზაფხულის ნათელ ფერ[illegible] მოჩითულ ქალაქს თავსაბურავივით შემოხვეოდა სქელი ნისლი. ქინქლავდა. აღარ ჩანდა იასამანი, აღარ ჩანდა სასოსისე, სადაც დღე და ღამ ლოთები ყაყანებდნენ, აღარ ისმოდა იმ ერთიციცქნა ჩიტის ჭიკჭიკი, აღარ ჩანდა გაქუცულშლიაპიანი ჩია კაცი, დამტვერილ ფიტულს რომ წაგავდა, აღარსად იყვნენ კოხტად გამოწყობილი ბაბთიანი ქალიშვილები, აღარ ჩანდნენ ახოვანი კოხტაულვაშიანი მამაკაცები და წელში გამოყვანილი, აკვალთული ყმაწვილები, აღარსად იყვნენ გაპუდრული ქალბატონები, თავზე ძველმოდური შლაპა-შლუპები რომ ეხურათ.

ერთხელ კიდევ მიმოიხედა და დაჯდა. ამ პირქუშ, ღარიბულ ბინაში, მწირის სენაკს რომ წაგავდა, კვლავინდებურად დუმდა ყველაფერი, სისხლიანი მსხვერპლივით მთვრალი სიჩუმე დაბორიალობდა წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ და იდუმალების ხარბსა და უძღებ უფსკრულში მიაქანებდა ქალბატონ ვერონიკას სამარადისოდ განძარცულ ცნობიერებას, მაგრამ, რადგან სამყაროს არ სჩვევია სიჩუმე, ადამიანის სულსაც არ შესძლებია თავზარდამცემი სიდიადის თუ შემზარავი მდგომარეობის დროსაც კი მსხვრევა. არც თვით სულში აბრიალებულ ყოვლისშემმუსვრელ ხანძარს შესძლებია სულის შიგნით უფრო დიდი სულის — სახმილის ამობუგვა და დაფერფლა;

გარეთ რაღაც გარახუნდა. მერე ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმე ჩამოწვა, გაიარა წამმა და კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ქალბატონმა ვერონიკამ მიმოიხედა, რომ ხმაური აღექვა, კარგა ხანს ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა. ხმაურზე ყოველთვის გული ეკუმშებოდა, ახლაც თვალწინ დაუდგა თმაგაბურძგნილი, ახმახი ზედამხედველი, რალაცნაირად გვერდულად რომ შემოდიოდა საკანში პატიმრის წასაყვანად. წამოდგა, დამბლადაცემული მარცხენა ხელი მკერდზე მიიხუტა, წელში გაიმართა და კარისკენ გაფრატურდა.

ზღურბლზე მეზობლის პატარა ბიჭი იდგა, ხელში გაზეთები ეჭირა.

— გმადლობთ, — უთხრა ქალბატონმა ვერონიკამ და თავზე ხელი გადაუსვა.

— ბართლომე სახვაძე მოკვდა, აი აქ წერია, — თქვა ბიჭმა.

— რომელი ბართლომე სახვაძე?!..

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

4.

დაბას გემი დილით მიადგა. ნავმისადგომზე ქარი წიოდა და ხორხოშელა თოვლი ბარდნიდა ციცაბო ნაპირს. უფერულ, ჯანღიან ცაში, ფართოდ გაშლილი მდინარის თავზე, ძერამ ირაო შეჰკრა, მაგრამ მალე მიეფარა თვალს. პატიმრები რიგრიგობით ჩავიდნენ სველი კიბით და ჯარისკაცებივით ორ მწკრივად მოეწყვნენ. ნავმისადგომზე „ფურგონები", ურმები და მარხილები შემორიხინებულიყვნენ უკვე და ერთი ალიაქოთი იდგა. ქარის ღრიანცელში ირთქმებოდა შეციებული ცხენების ფლოქვების ხმა და ფრუტუნი. ნამძინარევი, დამზრალი გლეხები გულძვირად ლაპარაკობდნენ. ნაღვლიანი, ჭროღა თვალებით უცქეროდნენ აბუზულ ქალებსა და ხმამაღლა ახველებდნენ. ერთი, ყველაზე მაღალ-მაღალი ბერიკაცი, რომელსაც საკერებლებით აჭრელებული ჯღანები ეცვა, ქალბატონ ვერონიკას მზერა რომ იგრძნო, გამოელაპარაკა. მაგრამ როგორც კი უპასუხოდ დარჩენილ-გაბურძგნული თავი გაატარა, ... მოდ გატრიალდა. ვიღაც ... გლეხი, ურმის კოფოზე რომ იჯდა, ნეტარებით იღიმებოდა და უფრო ნეტარებით ამთქნარებდა. მის გვერდით წითურწვერგაბარდნილი გოლიათი ნახევარლიტრიანს აცოცებდა ჯიბიდან, როგორც ეტყობოდა, დილაადრიან კაი გუნებაზე იყო, — ალბათ, იმიტომ, რომ არაყი გადაეკრა.

ქალბატონმა ვერონიკამ ზურგი შეაქცია მოყაყანე ხალხს, თვალის დახამხამებით მოიშორა წამწამებზე ჩამოკონწიალებული ცრემლი და თბომავალს გახედა. გემი ნელა ატრიალებდა ბორბლებს და უზარმაზარ შხეფებს ისროდა. უკვე შორდებოდა ნაპირს, როცა დიდ შავ სილუეტზე ქალბატონმა ვერონიკამ თეთრი ასოებით გამოყვანილი „იოსებ სტალინი" წაიკითხა. სულ მალე მიყუჩდა წყლის დგაფუნი, გემი ტაატით შეცურდა მდინარის სიღრმეში და ერთბაშად უმატა სვლას.

ციცაბო ნაპირის გასწვრივ, თეთრი არყების ხეივახში ხოზინით გაირწნენ ჭრიალა ფორნები. თოვლით გავსებულ ყორღანზე შემომდგარ ქარის წისქვილს დონკიხოტივით შემოსკუპებოდა თოვლის ვეებეროელა ნაფლეთი. სადღაც შორს, დაბის ბოლოს, მამლები ყიოდნენ. ქანცგამოცლილი, პირზე ქაფმომდგარი ცხენები სახედრებივით თავჩაღუნულები მიაბოტებდნენ აღმართზე, ფრუტუნით ეწეოდნენ ჭაპანს და შოლტის ყოველ ტყლაშუნზე მკვირცხლად აპარტყუნებდნენ ყურებს.

ქალბატონი ვერონიკა ჩუმად იჯდა, სიცივისაგან მოკუნტული და დაპატარავებული. მის გვერდით შუახნის, ქალს მოერთხა ფეხი, გვერდზე გადახრილიყო და ნაღვლიანი თვალებით დასცქეროდა ნაურმალს. ფორანის ბოლოში მჯდომი ქალი, საბეჭურიანი ახალახალი პალტო რომ ეცვა და ხელი ჰქონდა ხილაბანდით შეხვეული, სიცივისაგან კანკალებდა და წამდაუწუმ იფუოთხებოდა. კოფოზე, მეურმის გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. სქელ-სქელი ჩეკისტი წამოჯგიმულიყო.

დაბის ბოლოს გზა სამად გაიყო. წინ მიმავალმა ურმებმა ზოგმა მარჯვნივ გადაუხვია, ზოგმა მარცხნივ, ფორანი, რომელზეც ქალბატონი ვერონიკა იჯდა, ჯაყჯაყით დაადგა ტრიალ მინდორს. მეფორნეს, რახან მინდვრის ბატონ-პატრონად დაიგულა თავი, სახეზე ღიმილმა გადაჭკრა და ლაპარაკის საღერღელი აეშალა. მაგრამ ჩეკისტმა ქიმუნჯი წაჭკრა თუ არა, მაშინვე ენა ჩაიგდო.

ტრამალზე უფრო ხვავრიელად თოვდა. ქარი კვლავ ზუზუნებდა და ალმადაღმა მიერეკებოდა ნისლსა და ჯანღს, ერთმანეთს კუდი-კუდში რომ მისდევინენ. ცხვირპაჭუა, მხრებში მოხრილი მეფორნე წარამარა უკან-უკან იხედებოდა, ენას აწკლაპუნებდა და შიგადაშიგ ისე ჩაიცინებდა ხოლმე, თითქოს მაყარი ქორწილში მიჰყავსო.

გზა ალმართს აუყვა, ფერდობზე კარგა დიდი თოვლი იდო, ცხენებს ფეხები შიგ ეფლობოდათ, გაცხარებული მეფორნე ხმამაღლა უცაცხანებდა ცხენებს და შოლტს უტკაცუნებდა, მაგრამ ეს ტანჯვა დიდხანს არ გაგრძელებულა, უცბად ცხენები ადგილს მოსწყდნენ და ღამრეცზე გაქანდნენ. შორიახლო გამოჩნდა მოზრდილი ბუჩქები, მერე აქაიქ ტოტებდახრილი ხეები, იმის იქით ტირიფებით დაფარული ხევისპირი, სადაც ოკრო-ბოკროდ ჩაკარგულ ქოხებიდან კვამლი ამოდიოდა. კვამლს ქარი მაშინვე ჰფანტავდა და ამიტომ იყო სოფლის თავზე გადმომხობილი ცა მრუმე.

ჩაუარეს კალოს, მერე სასაფლაოს, თვით დახურულ ქოხებს, ეკატერინე დიდისდროინდელ სახლს, სადაც, ეტყობა, სოფლსაბჭო ან სხვა დაწესებულება იყო მოთავსებული, მერე სამჭედლოს, დროჟამისაგან დანგრეულ სამლოცველოს და ახლა უკვე ფართოდ გაშლილ სტეპზე გავიდნენ.

ქალბატონი ვერონიკა სიცივისაგან კანკალებდა, ქარი ღრიალით ეხლებოდა სახეზე, მიყუჩებულმა გულის ტკივილმა კვლავ მოაგონა თავი, ასტკივდა მკლავები და ფეხები, ყოველი წუთი დიდი ტანჯვის ფასად უჯდებოდა. დროდადრო ტანში ამტვრევდა, მერე თითქოს ცხელი წყალი გადაესხაო, რაღაც უცნაურმა ცხელებამ დაუარა მთელ სხეულში, მაგრამ ცივ ჰაერს მაინც თავისი გაჰქონდა. სცოდა. საღამოთი, როცა ქარი ჩადგა და მთვარე ამოვიდა, ყინვამ უფრო მოუჭირა. უფრო შემზარავი და აუტანელი ვახდა მგზავრობა. ქალბატონი ვერონიკა ხან ხელებს ისრესდა, რომ არ მოჰყინვოდა და ხან სახეს. შორს, მოწმენდილ ცაზე, ფართოდ ანათებდა მთვარე, გადათეთრებული ველი ბრწყინავდა, ერთი შეხედვით ლამაზი და მიმზიდველი იყო გრანდიოზული ველის მდუმარება, მაგრამ არავინ დაგიდევდათ ამ სანახაობით დატკბობას. მხოლოდ მეფორნე იჯდა ყინჩად, ეტყობოდა, პირველად რომ არ იყო ამ ადგილებში, არც სიცივე აწუხებდა დიდად, ყოველ წუთს იმას ცდილობდა როგორმე საუბარი წამოეწყო, არადა, ერთი სული ჰქონდა, გაეგო ვინ იყვნენ მისი მგზავრები, ან ის წვერგაუპარსავი ჩეკისტი, იდაყვს რომ უხახუნებდა წარამარა და კრინტს არ ძრავდა.

ყორღანის გასწვრივ ტაფობზე, სადაც სქლად დაედო თოვლი და ქარსაც მოენამქრა გზა, ცხენებს გაუჭირდათ ფორანის ზიდვა. მეფორნე იჭაჭებოდა და „აჩუ", „აჩუს" ყვიროდა. ციცაბო დაღმართით თავქვე რომ დაეშვნენ, ქუდი მოიხადა და ხიფთანი გადაიღეღა. ქალბატონ ვერონიკას არც გაუგია რა მოხდა, რატომ შეფერხდნენ ცხენები, სიცივე ისე მაგრად ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი, ისე იყო გათოშილი, რომ მისთვის სულ ერთი იყო, ფორანი გზას გაიკვლევდა თუ აქ ამოხდებოდა სული.

თოვლის თეთრი მდუმარება ღამის ბინდში აირია. კვლავ გამოჩნდა წამით რომელიღაც ღრუბელს ამოფარებული ყვითელი სიმინდის ფქვილისაგან კეცზე გამომცხვარი მჭადივით მრგვალი

მთვარე, გაშლილი ხელისგულივით რომ დასტყობოდა ზედ ლაქები. ცის უხილავი საზღვრის იქით ჩრდილოეთს პოლარული ციალი ხატავდა. ციურ მდუმარებაში გაბნეული მსხვილი ვარსკვლავები მაღალ გუმბათში ისე კაშკაშებდნენ, როგორც ბრილიანტი კაშკაშებს ხოლმე დედოფლის ჯიღაში.

5.

ქალბატონ ვერონიკას ჩაეძინა. ღია ფანჯრიდან გაზაფხულის გრილი ნიავი უბერავდა და ნელა არწევდა მზეზე გამოხუნებულ ფარდას, სკამის ქვეშ წამოსკუპებულ კუდაბზიკებულ კატას მოესწრო გამოძინება და ახლა საჭმლის მოლოდინში მოთმინებით ნაბავდა თვალებს, ისე იყო გაქსუებული და გაზარმაცებული, უკანა ფეხებზე შემდგარი თაგვი რომ ატუზვოდა ცხვირწინ, თათსაც არ გაანძრევდა. სახლში გამეფებული სიჩუმითა და ერთფეროვნებით გაბეზრებული დატვინგალაყებული მთელი დღე სკამის ქვეშ ნებივრობდა. ახლაც, ქალბატონი ვერონიკა თვალმინაბული რომ დაინახა, ჰამის იმედი დაკარგა, კუდი დაუშვა და მხართეძოზე წამოწვა, მაგრამ არ გაუვლია წუთსაც რომ პატრონმა თვალი გაახილა, კალთაზე დასვენებული დამბლადაცემული ხელი ოდნავ გვერდზე გაიჩოჩა და ისევ ჩათვლიმა. კატამაც წამით წამოჰყო თავი, თათი მიისვ-მოისვა ულვაშზე და კარგად რომ დარწმუნდა, დიდი ხნით მოუწევდა შიმშილი, სკამის ფეხზე მოიქექა ზურგი, დაწვა და აღარც განძრეულა.

ფანჯარაში უკვე აცხუნებდა და სინათლეს აფრქვევდა გაზაფხულის თბილი მზე. ქალბატონ ვერონიკას ეძინა. მის ბებერ, სანთელივით ყვითელ, ნაოჭებით დაღარულ სახეზე დროდადრო ფარდის ჩრდილი ირხეოდა, მიცვალებულივით უფერული ტუჩები, ისე მაგრად ჰქონდა მოკუმული, რომ ვერ გაიგებდი ცოცხალი იყო თუ მკვდარი. არადა, სიზმრის ბურუსში გახვეულს ისერიგად უთრთოლავდა [illegible] გორც იმ საშინელ [illegible] მძიებელმა შავი, [illegible]ჯგვლიანი ხელი უბეში ჩაუყო და ძუძუების გლეჯა დაუწყო.

ქალბატონმა ვერონიკამ კაბის საყელო მოიღელა და მკერდი მიუშვირა. ამით გამძვინვარებულმა გამომძიებელმა უფრო მეტად ააღრჭიალა კბილები, თვალებმოჭუტული და ნიკაპმოღრეცილი შესცქეროდა გაფითრებულ სახეში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძუძუზე უჭერდა. მკრთალი შუქით განათებულ და თამბაქოს სუნით აქოთებულ ოთახში ისედაც ჭირდა სუნთქვა, ქალბატონი ვერონიკა უკან-უკან სწევდა თავს, რომ მისი დორბლისათვის პირი მოერიდებინა. მაგრამ გამომძიებელს, თითქოს ჯინაზე, უფრო და უფრო ახლოს მიჰქონდა თავი, ზედ ცხვირთან უკრაჭუნებდა ღოჯებს და პირზე ქაფმომდგარი ღრიალებდა:

— მაშ ეგრე, ბოზანდარავ, ეგრე, გინდა მართლა დაგაგლიჯო მუურტალი ხელებით ნასრესი ძუძუები, რომ ძაღლის ლეკვებს აღარ აწოვო!..

და ისე მაგრად მოუჭირა, რომ ქალბატონ ვერონიკას თვალთ დაუბნელდა, მაგრამ ეს მხოლოდ წამით მოხდა, იგი კვლავ გამოფხიზლდა და ამაყად გამოიხედა. ეს იმ ადამიანის გამოხედვა იყო, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საკუთარი ფეხებით რომ შეიგრძნობს ხოლმე მიწის სიმყარეს. ალბათ ამიტომ იყო, უბიდან ამოღებული ოფლიანი ხელი გამომძიებელმა ბოტიჩელის ანგელოზივით ლამაზ სახეში რომ გაულაწუნა. ქალბატონმა ვერონიკამ ტუჩზე იკბინა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. გამომძიებელი მაგიდაზე ჩამოჯდა და თითები აათამაშა, ეტყობა, ეტკინა. მერე გააბოლა, ხარბად დაარტყა ნაფაზი და გული რომ მოიოხა, ისევ დაკრიჭა კბილები. ისევ ჩამოდგა ფეხი იატაკზე, ძარღვიანი ხელები ჰაერში შეათამაშა და დასარტყმელად მოამზადა. ქალბატონი ვერონიკა არ, განძრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ; წარბიც არ შესტოკებია — პირიქით, ალ ურტყამდნენ. — ცოვად გაკდა გვერდზე, სახეზე ირონია გამოეხატა, ისეთი, გამომძიებლის გაცოფება რომ შეიძლებოდა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ეს ირონია სრულებითაც არ ეხებოდა იმას, ვისაც ჯერ კიდევ ჰაერში ჰქონდა შემართული მოკუმშული ხელები, რადგან იმ წუთში, ქალბატონი ვერონიკა კრემლის დიდ დარბაზებზე ფიქრობდა, სადაც კარგა ხნის აყვავებული იყო სიმართლის ნერგი და ახლა მხოლოდ ბართლომე სახვაძე ღალატობდა იმ კლასის ინტერესებს, ვინც ეს ნერგი დარგო.

სახვაძემ უყურა — უყურა და მოულოდნელად გაიღიმა, გაიღიმა მხოლოდ ტუჩებით, — იგი ასეთი ღიმილის ოსტატი იყო, — რა წუთსაც დასჭირდებოდა, მაშინ მოიგვრიდა, რომ გულუბრყვილო და დაბნეული მსხვერპლი მიეტყუებინა, მაგრამ გაკერპებულ ქალბატონს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იგი ყურს უგდებდა კრემლის კურანტებს, რომლის ხმას რადიო გადმოსცემდა. ამ არცთუ ისე ფართო, წაგრძელებულ ოთახში, სადაც დღე და ღამე მძიმე, სალდათური ჩექმებით გვერდებს უმტვრევდნენ პატიმრებს და არაერთ თვალებგადმოცეებულ, ჭკუაზე შეშლილ ადამიანს სული ამოხდომია, — თითოეული კურანტის ხმა უფროდაუფრო ამძაფრებდა ვნებათაღელვას.

მოულოდნელად სახვაძე პატიმართან მივიდა, მაგრად ჩაავლო მხრებში ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეანჯღრია... ქალბატონი ვერონიკა დაძაბული დუმდა, თავის სიცოცხლეში პირველად მოუნდა ტირილი, მაგრამ თავისი ყველაზე დიდი ალადიდების — ნებისყოფის წყალობით იჯდა როგორც კერპი, მაგარი, ვითარცა ქვაში გამოქანდაკებული, ცივი, უაზრო თვალებითა და მოკუმული ტუჩებით და ალარაფერზე ფიქრობდა, რადგან ყოფიერების იდუმალებათა შეცნობას აზრი ალარ ჰქონდა. მის წინ ადამიანის სახით მიზანთროპი იდგა, რომელსაც მხოლოდ თავისი ეჭვების სისწორეში დარწმუნება სწირდებოდა, რათა, სიკვდილის განაჩენი გამოეტანა და ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა ანგარიში იმისათვის, ვინც, მისი აზრით, ამქვეყნიური ბოროტების ჭეშმარიტი მიზეზი გამხდარიყო. მისი იმწუთიერი ყოყმანი და პასიურობა კი იმ მხეცის რეფლექსს ჰგავდა, რომელმაც არ იცის, როგორ მოიქცეს თვალის დახამხამებაში, ერთი ამოსუნთქვით გადაყლაპოს მსხვერპლი თუ ნაწილ-ნაწილ დაფლითოს.

უცებ კარმა გაიჭრიალა, ვიღაც დაბალი სათვალიანი კაცი ოთახში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა. სახვაძემ მოჩაჩული პიჯაკი ელვის სისწრაფით გაისწორა და სარივით გაიჭიმა.

სათვალიანმა კაცმა შავი, ახლომხედველი თვალები აქეთ-იქით მოატრიალა, მიიხედ-მოიხედა, მერე თითქოს, თავის იდუმალ ფიქრებს გაუღიმაო და გავიდა.

სახვაძეს ფერი ალარ ედო. მარჯვენა თვალი ხან იქით გაურბოდა, ხან — აქეთ. აკანკალებულ ხელს ხან ჯიბეში იყოფდა, ხან პაპიროსის კოლოფში აფათურებდა. ქალბატონი ვერონიკა თვალს არ აშორებდა მისი ხელების მოძრაობას, თან გაღეღილ საკინძეს იბნევდა. ახლა ის წეღანდელივით გაქვავებული კი არ იჯდა, რალაცნაირად გალამაზებული და თვალებგაბრწყინებული იყურებოდა. იმდენად დაძაბული და განერვიულებული იყო სახვაძე, რომ ვერ ამჩნევდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველ ქალზე ლამაზი და მომხიბლავი, ვერ ამჩნევდა, რადგან იმ წუთში მისი მოუთმენელი სურვილი მხოლოდ ერთი იყო — რაც შეიძლება მალე მიეღწია მიზნისათვის, — ადამიანური სისასტიკით გაეტეხა და სულიერად გაენადგურებინა მსხვერპლი.

სანამ ის მწვავე სულიერ მღელვარებას განიცდიდა, ქალბატონმა ვერონიკამ საკინძე შეიბნია, კაბა გაისწორა და მოხერხებულად დაჯდა. მისი გულგრილი

და დაუდევარი მოძრაობა სახვაძემ გამომწვევად მიიღო, აენთო, ისედაც წამოწითლებული სახე უფრო წამოუჭარხლდა. დიდხანს აღარ დაუყოვნებია, უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, მაგიდაზე გაშალა, ხელისგული გადაუსვა და ყრუ, მოგუდული ხმით თქვა:

— მოაწერეთ ხელი!..

ქალბატონმა ვერონიკამ, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო, უხმოდ გააქნია თავი. სახტად დარჩენილმა სახვაძემ პაპიროსის კოლოფისაკენ გაიწვდინა ხელი. კოლოფი ცარიელი იყო, უჯრა გამოსწია და იქიდან „ყაზბეგის“ ახალი კოლოფი ამოიღო. სანამ ასანთს მოძებნიდა, წყნარად, თითქოს შინაურს ელაპარაკებაო, სხვათაშორის დამარცვლა:

— მაშ, რა ვქნათ, ქალბატონო, როგორ მოვიქცეთ, მართლა სიკვდილი ხომ არ მოგენატრათ?

კარმა ძველებურად კი არა, რაღაცნაირად უცხო ხმაზე გაიჭრიალა, ოთახში ის ორი კაცი შემოვიდა, სამეულში რომ შედიოდნენ, ერთმა, რომელსაც ადვილად შესამჩნევი უხეში ნაკვთები ჰქონდა და ზაპოროჟიელი კაზაკის ყაიდაზე შეეკრიჭა თმა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს პირველად ხედავდა ქალბატონ ვერონიკას, მეორემ საერთოდ არ მიაქცია ყურადღება. სახვაძემ რაღაც ჩაიბურტყუნა, ცხვირი მოიქექა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

6.

გორაკებს იქით ცა გაბრწყინდა. ციმბირი თითქოს ერთბაშად გამოჩნდა, ერთბაშად გამოჩნდა ვეებერთელა სამყარო, თავისი შეუვალი სივრცითა და საიდუმლოებით, რომელიც, ალბათ, საგანგებოდ დაეფრქვია მისთვის ბუნებას. ზღვასავით ვრცელსა და უკიდეგანო, თვალუწვდენელ ველზე თეთრი მდუმარება თრთოდა. შორს, თოვლსა და ცას შორის ლურჯად გაწოლილ ზოლს ჩრდილოეთის ციალი ანათებდა, ხოლო დედამიწაზე მოფენილ [illegible] ტატნობში მიმალული [illegible] სარკესავით აელვარებდა. ასევე ელვარებდა რომელიღაც სოფლის მოყინული მოედანი, სადაც მგზავრები მარხილში გადასხდნენ, მაგრამ ცოტა გაიარეს თუ არა, ამინდი შეიცვალა, დაბლა ჩამოწოლილმა ღრუბლებმა იქაურობა მოაქურუხა, თოვდა და თოვდა...

სიცივისაგან გათოშილი, ოთხად მოკუნტულ ქალებს მარხილი ისე მიაქანებდა, როგორც მთის მდინარე მიაქანებს ხოლმე თავის ჩქერებს. ჩრდილოეთის ცისქვეშ დაბუდებულ მდუმარებასა და სიჩუმეს მხოლოდ ცხენების თქარათქური და მარხილის ჭრიალი არღვევდა. ეტყობოდა აქ, ამ ადგილებში ჯერ არავის გაეევლო, არავის გაეკვალა თოვლი, რომელიც დიდი ველის ერთფეროვნებას რაღაცნაირს დიდებულებას ანიჭებდა და ყინულის არტახებში ჩამჯდარი, სასტიკი და მიუკარები გამხდარიყო.

სიცივემ მგზავრებს სიცოცხლის არაქათი გამოაცალა. ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ, მაგრამ ერთმანეთს კი მაგრად ეკვროდნენ, ეტმასნებოდნენ, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყვნენ. ქალბატონი ვერონიკა ცხადად გრძნობდა, სხეულთან ერთად როგორ ეყინებოდა სისხლი, როგორ დაუცხრა მფეთქავი მაჯები, როგორ აეწვა ფეხის წვერები და იმ წუთში აღარაფერი ჰქონდა საფიქრალი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი მისულიყო იქ, სადაც მარხილს უნდა მიეყვანა. სიცივემ იცის გონების დაბინდვა, იცის სიცოცხლით სავსე სამყაროს როგორ ჩამოაშოროს ადამიანი, მაგრამ, რადგან ამქვეყნად არაფერია უსასრულო და დაუმარცხებელი, მასაც ჰყავს თავისი მძლეველი — მოძრაობა, — ქალბატონმა ვერონიკამ ძალ-ღონე მოიკრიბა, შეჭირხლული სახე მოისრისა, მოკეცილი ფეხები აათამაშა და ცოტა ხანში, როცა ოდნავ შეიგრძნო სითბო, სიამოვნებისაგან გაინაბა, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა ნებივრობის დრო არ იყო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღედგინა სისხლის მიმოქცევა, თუმცა ორმოცგრადუსიან ყინვას უკვე ჰახჭახი გაუდიოდა და ძნელი იყო მასთან ბრძოლა. მის გვერდით სუნთქვაგანაბულ ქალს უკვე გაბუჟებოდა ხელფეხი. მართალია, თავწაჭრილ მამალივით ფართხალებდა და გაყინვის შიშით, რაც შეეძლო, ხტოდა კიდეც, მაგრამ აშკარა იყო, მალე გამოეცლებოდა ძალა და დაკარგავდა გონს, მეორე თივის ქვეშ ფეხებით შემძვრალი იყო, უსასო შიშით იხედებოდა აქეთ-იქით, ეტყობოდა, ასეთი რამ არასოდეს განეცადა და ახლა სიცივის ამ ყიამეთში, როგორც კი ენა მოუტრიალდებოდა ხოლმე, წყევლა-კრულვას უთვლიდა ღმერთსა და ადამიანს.

მემარხილე ეგორი, ვისთვისაც სულ ერთი იყო ციმბირული ხორშაკი თუ სამხრეთული ცხელი მზე, ცხვრის ტყაპუჭში ჩაფუთნული ღიღინით მიერეკებოდა ცხენებს, დროდადრო ხმამაღლა რაღაცას შესძახებდა და დიდი ველების ეშხსა და სილამაზეს შეჩვეული, ვერ გრძნობდა, მის ზურგს უკან როგორ იტანჯებოდნენ ადამიანები. იგი თავმოღერებული, თითქოს გიტარაზე უკრავსო, ოდნავ გვერდულად იჯდა, თოვლის პაწაწინა ქათქათა თეთრ ფიფქებს ენას უყოფდა და წყურვილს იკლავდა. მაგრამ, როგორც კი უკან მიიხედა და სიცივისაგან გონდაკარგული ხალხი დაინახა, მარხილი გააჩერა. ჩეკისტმაც უმალ იკადრა ჩამოხტომა. ქალბატონი ვერონიკა ტუჩებს კი ამოძრავებდა, მაგრამ ლაპარაკის უნარი წართმეოდა. მეეტლემ იგი თოვლში გადაათრია, სახე და ხელები დაუზილა და ცოტათი გონზე მოიყვანა. ქალბატონი ვერონიკა ოთხით წამოფოფხდა, ენერგიულად ამოძრავდა, მართალია, ძლივს ითქვამდა სულს და ჯერაც არ გამთბარიყო, მაგრამ, რაც მთავარია, ფეხზე იდგა, წელან სიკვდილს რომ უცქერდა თვალებში, ახლა თავის თავს აღარ დარდობდა, რადგან მარხილში გაშოტილ ქალებს სულ მთლად წართმეოდათ გონი. ერთი მაინც, ახალთახალი პალტო რომ ეცვა, ისე გაშეშებულიყო, არც მკვდარსა ჰგავდა, არც ცხლებში ეწერა. მემარხილემ პალტო გაუხსნა, კაბის საყელო გაუღეღა, სახეზე თოვლი წააყარა და მაგრად დაზილა. განწირული ქალის ტუჩები გვიან-გვიან ამოძრავდნენ, შეტოკდნენ და რაღაც გაუგებარი სიტყვები წარმოთქვეს. გაყინული, ძალადაკარგული სისხლი, ეტყობა, ამოძრავდა, მაგრამ არა ისე, რომ საკმარისი ძალა მიეცა სხეულისათვის, — ჯერ კიდევ უმოქმედოდ ეკიდა ქვედა კიდურები, არც ხელის მტევნებზე ადგა კარგი დღე. ქალი მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა იმის ნიშნად, რომ პირში სული ედგა და მეტი არაფერი.

და აი, ეგორმა მარხილიდან თივა გადმოიღო და კოცონი ააგიზგიზა. ალი ადამიანის სიმაღლეზე ავარდა, უცბად აპარპალდა და ჩაიწვა. ოდნავ გამთბარი და გონზე მოსული ადამიანები ცოტათი გამოცოცხლდნენ, ამოძრავდნენ, მაგრამ არ გაუვლია სულ ცოტა ხანს და ყინვამ მაინც თავისი გაიტანა. ქარმაც შემოუბერა, შემოუბერა და თოვლი ააბუქა. ეგორი გაშტერებული მისჩერებოდა ჩამქრალ კოცონს, მერე გულისჯიბიდან ნახევარლიტრიანი ამოაცოცა, ბოთლს სინათლეზე გახედა, შეანჯღრია და არაყს ჯაჭვი რომ მოეკიდა, გადაჰკრა, მერე ქალებს შესთავაზა. ცოტა-ცოტა ყველამ მოსვა, არაყმა მშიერი გულ-მუცელი ამოუბუგათ, სამაგიეროდ ენერგიული მოჰგვარათ. შეპიკჭიკებული ეგორი მარხილს მოახტა და ცხენები ააჩაქჩაქა. პატიმრები მარხილს ფეხდაფეხ მიჰყვნენ, უკან ჩეკისტი მისდევდათ. საყელოში ღრმად ჩაფუთნული ჩუმად და მდუმარედ მოდიოდა. არაადამიანური ძალდატანებით იკვნეტდა ტუჩებს, რომ ტკივილით სიცივე დაეთრგუნა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო ეკრუნჩხებოდა ხელები, ბოღმით უყურებდა წინ მიმავალ ქალებს და გული შურით ევსებოდა მათი ამტანობისადმი. მთელი ის დრო, ენაგადაყლაპულივით რომ იჯდა ხან

ფორანსა და ხან მარხილზე, და ახლა, ფეხით რომ მიყანყალებდა, თავიდან ვერ იშორებდა ფიქრს აი ახლა, ან ახლა დავეცემი და გავიყინებიო.

საღამოთი, ვიდრე თოვლის შუქით განათებული დღე დაიბინდებოდა, ხევს იქით ფერდობზე შეფენილი თეთრი ქოხები გამოჩნდა. ქოხებზე თოვლი ბრწყინავდა და თვალს ჭრიდა, დაღლილ-დაქანცული, გრძელფაფარა კუდგრძელი ფაშატები, დრუნჩებზე ორთქლი რომ ასკდებოდათ, თავქვე ეშვებოდნენ, ცოცხალ-მკვდარი ჩეკისტი მარხილზე ქანაობდა, დროგამოშვებით თვალებს ლულავდა და გვერდებზე იტყაპუნებდა გათოშილ ხელებს.

მარხილი უკვე სოფლის თავში მიგრიალებდა, შეზარხოშებული და გახალისებული ეგორი მშობლიური სოფლის დანახვისას ყოჩაღად იქნევდა შოლტს, ტრაბახობდა, ხოლო როცა მარხილი კუდით თოვლში ამოგანგლულ ღორს დაატაკა, პირიდან ისეთი უშვერი გინება ამოუშვა, რომ ქალბატონმა ვერონიკამ გვერდზე გაიხედა. მარხილი ნამქრის გროვაში შევარდა და კინაღამ გადაბრუნდა. სადღაც ძაღლი აყეფდა, სადღაც ცხენმა დაიჭიხვინა. ირგვლივ ყველაფერი თეთრი და უტყვი იყო, რაღაცნაირი იდუმალებით მოცული, მაგრამ ეს სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. მთავარი ქუჩის ჩაყოლებაზე გარმონი აჭყვიტინდა, ციგაობით გართული ბიჭბუჭობა, მთავარი მოედნისაკენ გამოიშალა, რომ ახლოდან დაენახათ ეგორის მგზავრები. აღარ თოვდა, ამიტომ ოქროსფრად ბრწყინავდა სამლოცველოს ეზოში თოვლზე მიმოფანტული ნამჯა. ქოხების თავზე, საკვამლე მილებიდან ბოლქვებად ამოდიოდა კვამლი და ნელა, ზლაზვნით მიიწევდა მაღლა უზარმაზარ ცაში. ბექობიდან მთელი სიდიადით გამოჩნდა ციმბირული ზამთრის უზადო სურათი, რომელსაც ზედ გადმომხობოდა ცივი და თვალგაუტანელი ტატნობი. შორს ჩრდილოეთით, ზღვისფერად მოელვარე სტეპის იქით ლილისფერ ჩრდილად აღიქმებოდა ტაიგა. ქარი ცივ ქროდა, ქროდა აღმა-დაღმა... ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან გამეტებით ებრძოდა ერთმანეთს, როგორც სასიკვდილოდ თავგანწირული ადამიანები ეკვეთებიან ხოლმე ბრძოლის ველზე. ისეთი ძალითა და ყიჟინით, ისეთი ენერგიითა და ხმაურით ტრიალებდა, ფერხულს უვლიდა დედამიწაზე და კანგაცლილ ცაცხვის ხისაგან გაკეთებულ ქოხებზე ზუზუნი გაჰქონდა. ქუჩებსა და შუკებში თვალისმომჭრელად ლივლივებდნენ თოვლის ცისფერი ტალღები, რომლებსაც თანდათან ნამქრავდა ქარი. სოფლის მთავარ ქუჩას, მოედანს რომ კვეთდა, მარხილებსა და ადამიანებს ისე დაეტკეპნათ, ლაპლაპი გაუდიოდა. სამჭედლოს გვერდით პატარა ჩაყოლებაზე, საითაც მარხილმა ჩაუხვია, ხალხი გამოიშალა. სოფლის განაპირა სახლის ჭიშკართან შეაჩერა ეგორმა ცხენები. სანამ პარმაღზე სახლის პატრონი გამოჩნდებოდა, მარხილს ცნობისმოყვარე ხალხი შემოეხვია, ჯერ ბავშვები მოცვივდნენ, მერე უფროსები, მეტადრე ქალები... ამასობაში პარმაღზე მაღალ-მაღალი უქუდო ბერიკაცი გამოჩნდა. ტანზე ძველებური ხიფთანი და ბრაგვა ჩექმები ეცვა. დიდ თავზე ფაფარივით. ამოჩრილი თმები ეყარა, ერთი შეხედვით სტენკა რაზინს ჰგავდა, მაგრამ ჩაცმულობა უფრო მათხოვრად აჩენდა. მარხილიდან გადმოსული აბუზული ჩეკისტი რომ დაინახა, მდაბლად დახარა თავი. ჩეკისტმა კოჭებამდე თოვლში გატოპა, რის ვაივაგლახით აიარა დამპალი ხის კიბე და ფეხების ბაკუნით შეაღო ჭრიალა კარი. ბერიკაცმა კარგა ხანს იწრიალა პარმაღზე, — ხან კარისკენ წაბაჯბაჯდებოდა და ხან ისევ კიბისაკენ იბრუნებდა პირს. მარხილთან მდგარი ეგორი შემოჯარულ ხალხს ელაპარაკებოდა. კაცები დაღვრემილები იდგნენ, კუშტად იყურებოდნენ, პირზე ხელაფარებული დედაკაცები ჩურჩულებდნენ. ერთი ტარანივით გამხმარი, სახედანაო-

ჭაბული დედაბერი ბრბოს გამოეყო და მარხილთან მივიდა. ცოტა ხანს გაქვავებულივით იდგა, მერე თავი გააკანტურა და გაბრუნდა. პარმაღზე კარი აჭრიალდა, გამოჩნდა ჩეკისტი, მის უკან ვილაც მკერდგამოჯგიმული უსამხრებო კაცი, რომელსაც თავზე ვარსკვლავიანი ქუდი ეხურა, ისეთი, ოციან წლებში რომ იყო მოდაში. გლეხებმა ქუდები მოიშვლიპეს. კაცი შებრუნდა, ხელები უკან დაიწყო და ახმახს, აქეთიქით რომ აცეცებდა ეშმაკურ თვალებს, რაღაც უთხრა. ახმახი იმ წამსვე გამოცოცხლდა, შეტოკდა და მარდად დაეშვა კიბეზე. პირველი, ვისაც მხრებში ჩააფრინდა, პალტოიანი ქალი იყო. იგი თავდაყირა იწვა მარხილში, მოკრუნჩხული ხელები მუცლის ქვეშ ამოედო და ჩაშრეტილი თვალები გაყინვოდა. ბერიკაცმა გადმოაბრუნა, ამოიღლიავა და თოვლზე წამოსვა, მაგრამ როგორც კი ხელი გაუშვა, ქალი მაშინვე გულალმა გაიშოტა. იქვე, მარხილთან ახლოს მდგომმა დედაბერმა ხმამაღლა ამოიგმინა. ქალს ჩაჩერებულმა ბერიკაცმა დაბნეულად აიხედა, წელში გასწორდა, თითქოს დასცხაო, უდარდელად გაიღეღა ქურქი და გვერდზე მიდგა.

— რა მოხდა? — იკითხა ჩეკისტმა.

— მკვდარია, თქვენო კეთილშობილებავ! — მიუგო ბერიკაცმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. გლეხთა გარინდებულ სახეებზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებულა, გაქვავებულივით იდგნენ. მათ გამოხედვასა და გარინდებაში ვერც გრძნობებს ამოიკითხავდით და ვერც აზრებს — ისინი მხოლოდ მოწყენილი და გულგრილი ჩანდნენ.

მკერდგამოჯგიმულმა კაცმა მსუბუქი ნაბიჯით ჩაიარა კიბე, მკვდართან მიახლოვებისას ქუდი კეფაზე გაისწორა, წაიხარა და ფრთხილად მოჰკიდა ხელი ხელზე. ხოლო როცა დარწმუნდა, რომ ქალი მართლა მკვდარი იყო, გაბრაზებით შეეჭმუხნა წარბები. ცოტა ხნის შემდეგ მოტრიალდა, მიმოიხედა და ქალბატონი ვერონიკა რომ დაინახა, ზურგი შეაქცია.

ქალბატონი ვერონიკა მეორე მხრიდან ცხენებსა და მარხილებშუა იდგა. სიცივისა და დარდისაგან ოდნავ წელში მოხრილი უფრო მიუკარებელი გამხდარიყო. იგი თვალებით ბურღავდა მისგან ზურგშექცევით მდგარ კაცს, რომელიც რაღაც განკარგულებას იძლეოდა. ცოტა ხნის შემდეგ, ქალბატონი ვერონიკა ცხედართან მივიდა, დაიჩოქა და ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა.

ხალხი დუმდა. მიწას ჩაჩერებული კაცები ზოგი ქუდით იდგა, ზოგიც უქუდოდ, დედაკაცები პირჯვარს იწერდნენ და პირქუშად იყურებოდნენ. ქარი თანდათან ნამქრავდა ცხედარს, რომელსაც აღარავინ აქცევდა ყურადღებას. ქალბატონმა ვერონიკამ მაგრად ჩასჭიდა ხელი სიცივისაგან აძიგძიგებულ გვერდში მდგომ ქალს და ქოხში შეავიდა.

7.

ქუჩაში რაღაცამ გაიგრიალა. ქალბატონმა ვერონიკამ თვალი გაახილა და თავი წამოჰყო. მთელი სახლი, იატაკი, ფანჯრები და ავეჯი ზანზარებდა. ირგვლივ ბენზინისა და კვამლის სუნი იდგა. ქალბატონმა ვერონიკამ რაფას ჩაავლო ხელი, რომ გაბეჟეებული ფეხები აეწია. ფანჯრიდან კარგად ჩანდა, გაზაფხულის გრილი მზის ქვეშ მოციმციმარო ბურუსად როგორ იშლებოდა ჰაერში კვამლი. შორიდან კვლავ ისმოდა ყრუ გრუხუნი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ქალბატონ ვერონიკას გული შეეკუმშა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ხოლო როცა მეორედ აზანზარდა დედამიწა, იასამნების სურნელით გაჟღენთილ ჰაერში ტანკის მუხლუხების უსიამო ღრჭიალი შემოიჭრა. ყურების გამჭედი გრუხუნით დაყრუებული ქალბატონ ვერონიკას გული აუჩქროლდა. გაიარა ცოტა ხანმა და როცა კვლავ დაუბრუნდა სმენა, როცა

მის ფანჯრებთან მკვეთრად გაისმა ჭადრის ფოთლების შრიალი, როცა ქალაქში სიმშვიდე აღსდგა, ქალბატონ ვერონიკას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს განსაკუთრებული განსაცდელი გადაეტანოს. წყნარი, უქარო ამინდი იდგა. საღამოს ბინდი დასწოლოდა `ატარა ქუჩას, სადაც ხალხი ფუსფუსებდა, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდნენ. ქალბატონ ვერონიკას ყოველივე ეს ბუნდოვნად და გაურკვევლად ესმოდა, ხედვით თითქმის ვერაფერს ხედავდა, რადგან თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მერე ცრემლები მოიწმინდა, წამწამები ააბამხამა და იქვე, სულ ახლოს, ხალხით შემოჯარულ შუაგულ ქუჩაში პირდაღებული მაყვალთვალება გოგონა დაინახა, რომელსაც მკერდზე მიხუტებული თოჯინა ეჭირა და აქეთ-იქით იყურებოდა.

ქალბატონ ვერონიკას დამბლადაცემული ხელი აუკანკალდა, გამხდარ, გამოფიტულ ტუჩებთან შიშის ნაოჭები დაასხდა, მაგრამ, როგორც კი, ვიღაც ხანში შესულმა კაცმა. გოგონას ხელი ჩასჭიდა და ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა, მაშინვე გულზე მოეშვა, თუმცა მისი მღელვარება ამით არ დამთავრებულა. იგი რაფას წაეტანა, ცალი ხელით მაგრად ჩაებღაუჭა და წინ გადახრილმა ქუჩის სიღრმეში გადაიხედა. ხალხი უხმოდ და სწრაფად გროვდებოდა. ეზოებიდან ახალგაზრდები გამორბოდნენ, რამოდენიმეს შავარშიიანი შინდისფერი დროშები ეჭირა, ზოგიერთებს თეთრი, ეროვნული...

„სიზმარია თუ ცხადია?!.. გაუელვა ქალბატონ ვერონიკას და გამხდარი კისერი წაიგრძელა, — ალბათ ფილმს იღებენ“ და დაქანცული სხეული რომ დაესვენებინა, ფანჯარა მიხურა. კარგა ხანს იდგა დაბნეული, მერე დაჯდა, თვალები დახუჭა და ცოტა ხანში ჩაეძინა კიდეც. ძილში ის ნანახი სურათები ჩაჰყვა, რომელიც იმხანად იხილა, მაგრამ, ეტყობა, ადამიანის ცნობიერებაში ის სურათებია უფრო მუქი, დასამახსოვრებელი და მტკივნეული, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ დააჩნდება ხოლმე სულს და ბერე, რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა შეიცვალოს ქვეყანა, მისი დავიწყება არ შეუძლია.

8.

თუნუქის შუქფარიანი კედლის ლამპა ლაპლაპით ბოლავდა. გარეთ უსიერ ტყეებსა და თვალმიუწვდომელ ველებზე ქარი ღმუოდა, ეზოში ჭის ოწინარს ჭრიალი გაუდიოდა და საჩეხში ფუმფულა თივა შარიშურობდა. სახლში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ისეთი, ღამ-ღამობით რომ იცის ხოლმე. დამბალი სარკმლიდან შემოჭრილი მთვარის შუქი უკანასკნელად გაცოცდა დაბალჭერიან, გამჭვარტლულ, გამოციებულ ოთახში და დღის ნათელს შეერია. ქალბატონ ვერონიკას უკვე ელვიძა, ესმოდა, როგორ გრიალებდა გარეთ ქარი და როგორ ახველებდა სახლის პატრონი. ფანჯრისკენ მოფარფატე თოვლის ფიფქები მინის ნაყშებზე ქრებოდნენ.

ქალბატონი ვერონიკა წამოდგა, დაბამბული პალტო მოიხურა და პარმაღზე გავიდა. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი სოფელი. წივით დახურული ქოხები თოვლში ჩაფლულიყო. ზაფხულობით შორთხვით, ბარდებითა და კარტოფილის ნათესებით დაფარულ ეზოებში თოვლის გროვები იდო. შორს სულ მთლად გადათეთრებული ველი მოჩანდა. მოედანზე, იქ, სადაც ხის სამლოცველო იდგა, ვიღაცა მარხილს მიერეკებოდა. ხევს იქით, ტაფობზე ყვავები დაფრინავდნენ. თოვილთ გადაპენტილ ზამთრის ამ სანახაობას, მართალია, ზღაპრული ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ იმ წუთში ქალბატონი ვერონიკა არ მოუჯადოვებია. იგი ახლა თავისი ციმბირული ცხოვრების ყოველდღიურ ზრუნვასა და ჯახირზე, ფიზიკურ ხსნა-გადარჩენაზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმაზე რაც ამ ყოველდღიურ ცხოვრებაზე უფრო მა-

ღლა იდგა, უფრო დიდი და დიადი იყო. მაგრამ გაიარა წუთმა, კიდევ რამოდენიმემ და როცა შორს, სადღაც ტაიგის იქით ჩაკარგულ ჰორიზონტს მზემ თავისი ოქროსფერი სხივები გადააფრქვია, ქალბატონმა ვერონიკამ ფართოდ გააბილა თვალები, გახედა ამზიანებულ ცისფერ სიცარიელეს და გული მოუკვდა იმის გამო, რომ ამ დაუსაბამო და უსასრულო სამყაროში, სადაც ადამიანი ბედნიერებისა და სიხარულისათვის გაუჩენია ღმერთს, არასოდეს არ ყოფილა სიმართლე, სიმართლე ებრაელი იობისა და ბრძენი ეკლესიასტესი.

დიდხანს იდგა პარმაღზე, დიდხანს გაჰყურებდა დილის სიმშვენიერით გალამაზებულ სანახებს, სადაც მრავალი დამცირების, მრავალი ადამიანური უსულგულობისა და ტანჯვის შემდეგ ცოდვების მოსანანიებლად ჩამოიყვანეს. ირგვლივ ყველაფერი დუმდა, დუმდა, როგორც დათრგუნული სიმართლე, როგორც დამარხული ჭეშმარიტება, რომელიც თოვლის უსპეტაკესი მდუმარებით იყო დაფარული.

არ გაუვლია ორიოდე წუთს და პარმაღზე დიასახლისი მატრიონა ალექსეევნა გამოჩნდა. მან სიბრალულის გამომხატველი თვალებით გადააქნია თავი, ორი თითით მოიწმინდა ტუჩები, რაღაც წაიბურტყუნა და ქალბატონ ვერონიკას მხრებზე ხელები მოხვია. ქალბატონი ვერონიკა არ განძრეულა, იგი თავჩაღუნული იდგა, სიცივისაგან გაფითრებული და ტირილისაგან ქუთუთოებდასივებული. მატრიონა ალექსეევნამ მკერდში ჩაიკრა, თავზე ხელი გადაუსვა, ცდილობდა თვითონაც ეტირა, ლუღლუღებდა, რაღაც ყრუ ბგერებს გამოთქვამდა, მაგრამ როცა შეატყო, რომ მჭახედ უჭერდა ყინვა და ქალბატონი ვერონიკა მთელი სხეულით ცახცახებდა, შინ შეიყვანა.

შუა ოთახში ფეხებგაჩაჩხულ სახლის პატრონს, ახმახ ავდეი პალიჩს ხელში ჯერ ისევ შეყინული ცხენის აკაზმულობა ეჭირა. სველ იატაკზე ცალულის თასმა და თოკები ეყარა. [illegible] ხრაკისა და მჟავე კომბოსტოს სუნი ყარდა. მუშამბაგადაფარებული მაგიდის ქვეშ ცალ ფეხზე შესკუპებული დეზებიანი მამალი ელვარე თვალებით იყურებოდა.

ავდეი პალიჩმა ქალბატონი ვერონიკა რომ დაინახა, აკაზმულობას ხელი გაუშვა, სველი, ტურტლიანი ფეხებით გაიარა და ღუმელში თოვლიანი ძნა შეტენა. ღუმელის თავზე საწოლში ლოგინი შეტოკდა, ვიღაცამ ფეხი გამოყო და ჩაახველა. ცოტა ხნის შემდეგ ლოგინიდან მეეტლე ეგორი წამოიმართა, როგორც კი ქალბატონ ვერონიკას მოჰკრა თვალი, გასაზმორებლად გაშლილი მკლავები მაშინვე ძირს დაუშვა. არ გაუვლია რამოდენიმე წუთს და ახლა ეგორის ცოლმა წამოჰყო თავი, შიშნარევი ცნობისმოყვარეობით მიმოიხედა, სულელივით გაიღიმა და გაფუებულ მკერდზე საბანი აიფარა.

ქალბატონი ვერონიკა გარინდებული იდგა, ვერ ამჩნევდა ეგორს, რომელიც გამალებით იქექავდა ბალნიან მკერდს, ვერც ამჩნევდა იღლიაში სატაცამოჩრილ მატრიონა ალექსეევნას ნაღვლიანად რომ შეჰყურებდა. ამ რეალურმა სამყარომ, ათასნაირი მყრალი სუნით გაჟღენთილმა ოთახმა, შეორთქლილმა ფანჯრებმა, გაზეთებით აჭრელებულმა კედლებმა, სახატემ, ოლეოგრაფიამ, ძველებურმა რუსულმა ღუმელმა, საამურ სითბოს რომ გამოსცემდა, სამუდამოდ დაკარგულ ცხოვრებაზე აუშალა მწვავე ფიქრები. მოტრიალდა, ცრემლიანი თვალებით შეხედა კედლის ლამპის ზემოთ, თითქმის ჭერს მიბჯენილ სურათს, რომელზეც შორს, სიცარიელისკენ მაცქერალი, სადად ჩაცმული ულვაშიანი კაცი იყო გამოხატული, მის უკან, ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ, წითელი აგურით ნაშენი კოშკებიანქონგურებიანი მოსკოვის კრემლი მოჩანდა.

ქალბატონ ვერონიკას გააჟრჟოლა, წამით გვერდზე გაიხედა, მერე ისევ სურათს შეავლო თვალი და მოაგონდა

ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი წლის ოქტომბრის ცივი დღე, როცა დიდი თეატრის ხალხით გაჭედილმა დარბაზმა ოვაცია გაუმართა პრეზიდიუმში შემოსულ კაცს, რომელსაც მეტად ნაღვლიანი და ჩაფიქრებული სახე ჰქონდა. იგი იდგა როგორც ღმერთი და მარადისობისკენ იცქირებოდა. ქალბატონი ვერონიკა აკვირდებოდა მის გაყვითლებულ სახის ნაკვთებს, მკვეთრ შავ თვალებს და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ადამიანის ღირსებისა და სიდიადის შეგრძნებით იმსჭვალებოდა. გულწრფელად სჯეროდა, რომ წილად ხვდა ბედნიერება საკუთარი თვალით ეხილა კაცი, რომელმაც სულიერ უდაბნოდან გამოიყვანა გაწამებული ხალხი და ზნეობრივ კანონებს აზიარა.

და ახლა, როცა ამ სურათს უცქერდა, მის სულში თანდათანობით იშლებოდა უსაზღვრო სივრცე, რომელსაც მარადიული ტანჯვა-წამებისა და არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლისა და გაჭრობის სუსხი თოშავდა ერთ დროს სიყვარულით გამთბარ ვნებებს. დამსხვრეულ, განადგურებულ ილუზიებს, სულ ცოტა ხნის წინათ სამყაროს თავზარდაცემული სიდიადის შუქი რომ დაჰნათობდა, ახლა ბოროტების დელგმაში ამოეყო თავი. ამიტომ იყო გაუგებარი საკუთარი თავის ფიზიკური საზღვრების ნგრევა, ნგრევა იმ ყოველივესი, რაც ამქვეყნიური ყოფისათვის ბედმა ყველაზე უკიდურესი და განუზომელი სულიერი ტანჯვა არგუნა. სამყაროს სინამდვილე, მისი რეალობა, მხოლოდ გარეგნული ნიშნით, თვალის ერთი შევლებით ყოფილა მიმზიდველი, ხოლო ნამდვილობის საფუძველი — ტრაგიკომედიის ტოლფასი. ამ სწორუპოვარ სულიერ სივრცეში დანაწევრდა და უჩინარ ნამცეცებად იქცა რწმენა, რომელიც ერთ დროს, ადამიანისათვის შექმნილ სამყაროს ხოტბას ქადაგებდა. ძველი წარმოდგენების ხელუხლებელი სვეტი კი ისეთი სუსტი, ისეთი მყიფე ყოფილა, რომ ერთ წამში, ერთ წუთში დაიმსხვრა. ამ შეურყვნელ, ცივ კედელზე ახლაც მოუნავდა უგუნურებისა და ბ[illegible] ხლში ათითხნილი ნა[illegible] თის ჩარჩოში იყო მოქცეული ცნობიერების თუნდაც ის ნაწილი, ახლა კედლის მიღმა რომ მიმალულიყო. ის, რაც დროის ამ მცირე მონაკვეთში დატრიალდა, უფრო ქაოსური, შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე, უფრო სევდიანი იყო, ვიდრე ყოვლისმმუსვრელი ხანძრის მიერ დაფერფლილი და ნაცარტუტად ქცეული სამყარო. ყველაფერი, რასაც ასე თავგამოდებით აღმერთებდა, უყვარდა და ხიბლავდა, ახლა ტანჯვად, სინდისის ქენჯნის საბაბად, სიმწარედ და სინამდვილედ ქცეულიყო. არავითარ სულიერ ენერგიას, სულიერ ძალას აღარ ძალუძდა ამიერიდან ფერად ხილვებში წარმოედგინა ის ცხოვრება, რომელიც თავისი ჭეშმარიტი ბუნების დასაფარად უფსკრულივით უღრმეს შრეებში მალავდა არაერთ საიდუმლოს.

„ხომ არ მივწერო, — გაიფიქრა ქალბატონმა ვერონიკამ და მაშინვე შეიცვალა აზრი: — კი, მაგრამ, რატომ უნდა მივწერო, განა მან არ იცის, რა ხდება ქვეყანაზე?.. იცის, როგორ არა, კარგად იცის“...

თავს ძალა დაატანა, ერთხელ კიდევ აიხედა და იმწამსვე მოარიდა თვალი სურათს. მერე შებრუნდა, რომ საფეთქელზე მძიმედ მფეთქავი ძარღვის ტკივილი დაეცხრო. ხელებჩამოყრილი და პირდაღებული ავდეი პალიჩი ხან სურათს უყურებდა, ხან ქალბატონ ვერონიკას, მატრიონა ალექსეევნაც სურათს მისჩერებოდა. ხოლო ღუმელზე შეჭამანდიანი ქვაბი თუხთუხებდა, მაგიდის ქვეშ აბუზული მამალი ისევ ცალ ფეხზე იდგა და იატაკზე დახვავებულ ცხენის აკაზმულობას წურწურით გასდიოდა წყალი.

ქალბატონმა ვერონიკამ დაღვენთილი ცვილით მოთხუპნულ სახატესკენ გაიხედა, რომელზეც ოქროს ვარაყშემოვლებული ღვთისმშობლის ხატი ესვენა. იქვე იყო იოანე ნათლისმცემლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატი, რომელსაც აქეთ-იქიდან ოქროთი მოგვირისტინებულ ლურჯ, ყვითელ და წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდანების სურათები ამშვენებდნენ. მათ ზემოთ ჯვარზე გაკრული მაცხოვრის გამოხატულება ეკიდა. ქალბატონმა ვერონიკამ თვალები დახუჭა და ისევ გააღილა. ნათელი, გულმხილავი თვალებით იცქირებოდა იესო — ყოველი მხრიდან საფრთხითა და სიმარტივით გარშემორტყმულს სახეზე მაინც სწორხაზოვანი ნაკვთები დაჰფენოდა, ეტყობოდა, მწედ თავისივე სული, ბუნებრივი სიკეთე და ნათელი მოვლენოდა, მთელ თავის ხილულსა თუ უხილავ ჯადოსნურ ხიბლს აფრქვევდა და ერთი შეხედვითაც უნელებდა თავის მაცქერალ ქალბატონს განუკურნებელ სახმილს.

„იოსები თუ იესო? — ფიქრობდა ქალბატონი ვერონიკა, — ვინ არის ყოველგვარი ადამიანური სრულქმნილების შემოქმედი? ადამიანი თუ ღმერთი? ვის უნდა ვუმადლოდეთ სიცოცხლის ნიჭს? სულის სიღრმემდე ვინ შერყვნა და შებღალა ადამიანი? ვინ წაგვართვა ბუნებრივად ნაბოძები სიკეთის ნიჭი? მაცხოვარმა? არა, არა!.. იესო სიცოცხლეში აცვეს ჯვარს, შენ ალბათ სიკვდილის შემდეგ ჩამოგკიდეაენ სახრჩობელაზე"...

9.

აპრილის პირველი კვირა მიიწურა. თბილისის ცაზე, როგორც ყოველთვის, ჯიღადადგმული სამყაროს დედოფალი — მზე აბრდღვიალდა. ოქროსფერ გვირგვინშემორტყმული დისკო თრთოლვით ავარდისფერებდა თხელ, სიფრიფანა ღრუბლებს, რომლებიც წამი-წამ ქრებოდნენ, რათა მარად უბერებელი მზის ელვარება არ დაეხშოთ. ასეთ წუთებში ჩვეულებრივი სამყარო ისერიგად ეჩვენება ადამიანს, თითქოს მიწიერ ამბებში გასარკვევად იყოს საჭირო ვეებერთელა, საიდუმლოებით მოცულ უსასრულობაში ანთებული მნათობის ჩირაღდანი.

სფუთა. ქართული ზეცა ჯიღასავით ადგა ქალაქს. მზე ციალებდა სახლების ფანჯრებში, ალაპლაპებდა თუხუჭის სახურავებს, ნათლის ფერებად იღვრებოდა ბაღებსა და სკვერებში, ანთებდა დიდ, უშველებელ მოედანს, სიჩუმით სავსე იმ პატარა ქუჩას, რომელსაც თავისი დამზრალი, გაყინული თვალებით გადასცქეროდა ქალბატონი ვერონიკა. ქუჩის ფერადოვან რუკაზე კვლავინდებურად გარინდულიყვნენ ადამისდროინდელი სახლები, ხოლო ბუნების ხატოვან სურათებში უწინდებურად მოჩანდა აყვავებული იასამანი, აგერ-აგერ მოფრენილი მერცხლები, ალმა-დალმა რომ სერავდნენ ცას და ეს ფრენა მათ რაღაც უჩვეულო ზეიმურობას ანიჭებდა. და აი ერთბაშად, წვიმის შემდეგ რომ იცის ხოლმე, საიდანღაც სვეტივით ამოიწვერა ნაცრისფერი ცისარტყელა, ნალივით გადაემხო ქალაქს და ერთი ბოლოთი მთაწმინდის წვერს დაეყრდნო, ცოტა ხნის შემდეგ ცისარტყელა აფერადდა, ჟოლოსფერ რკალად გაიყო და ტრიუმფალურ თაღს დაემგვანა. ბუნების ამ საოცრებას ქალბატონმა ვერონიკამ ლორენტით გახედა. ზეცაში ჩამოკიდებულმა უმშვენიერესმა ფერებმა აღტაცებაში მოიყვანა იგი. ალბათ ამიტომ იყო, რომ მის ბებრულ არსებაში, სულსა და გულში ყოველივე ცხრებოდა, ჩუმდებოდა, გრძნობდა, მხურვალე მწველმა ჭვალმა რომ დაურბინა, მაგრამ მისი იდუმალი აზრის საგანძურს ერთი წამის სიხარული არ ეყო. კვლავ შემოეჯარნენ სევდის ალმძვრელი მოგონებები. თვალწინ დაუდგა შვილი და ქმარი, რომლებიც კარგა ხანია ამქვეყნიური ჰაერით აღარ სუნთქავდნენ.

ფიქრი აღარ გაუგრძელებია, მღელვარებამ, როგორც ბოლო დროს ემართებოდა ხოლმე, ძალა გამოაცალა. სკამის საზურგეზე მიწვა და თვალები მილულა.

არ გაუვლია ცოტა ხანს და კარზე კაკუნი გაისმა. ქალბატონ ვერონიკამ ჩამოგრძელებული სახე მოაბრუნა, თა-

ვზევით სივრცეს ცივი, შეშინებული თვალები მოავლო და რის ვაი-ვაგლახით წამოიკაკვა. ფრუტუნით მივიდა კართან, დიდხანს უყურა საღებავგაქუცულ სახელურს, მერე გადაატრიალა და ზღრუბლზე ბრგე ახალგაზრდა წვეროსანი კაცი დაინახა.

— შეიძლება თქვენთან? — კრძალვით იკითხა მან და პორტფელი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა.

— თქვენ ვინ გნებავთ?

— ქალბატონი მაჩაბელი.

— რაკი ასეა, მობრძანდით. მაჩაბელი მე გახლავართ.

ქალბატონმა ვერონიკამ ნაბიჯით უკან დაიხია და სტუმარი ოთახში შეუშვა. წვეროსანმა კოჭლობით შედგა ფეხი, უფრო მეტი კოჭლობით გაიარა, ისეთი კოჭლობით, რომ სიარულის დროს აქეთ-იქით დაიწყო ქანაობა. როცა შუშაბანდში პირისპირ დასხდნენ და ერთმანეთს შეხედეს, ქალბატონ ვერონიკას, მართალია, მკვდარივით გაფითრებულ სახეზე არაფერი შესტყობია, მაგრამ უჩვეულო მოლოდინის შიშმა გულში მაინც გაჰკრა.

— გისმენთ, — თქვა მან, — მაგრამ ვინა ხართ, რა გნებავთ ჩემგან?

უცნობმა დაბნეულად მიმოიხედა. მის მრგვალ, თაფლისფერ თვალებში მღელვარება ამოიკითხებოდა. ცალი მხარი მაღლა ჰქონდა აწეული, მეორე კი, პირიქით, ჩამოვარდნოდა.

— ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ველარ მოვერიე და თქვენთან მოსვლა გავბედე. მე ბართლომე სახვაძის შილიშვილი ვარ. ბაბუაჩემი ახლახან გარდაიცვალა.

ქალბატონმა ვერონიკამ დამბლადაცემულ ხელზე ხელი დაიდო და სმენად იქცა.

— გთხოვთ, სულგრძელად მაპატიოთ თუ ჩემი სტუმრობით კაეშანი აგიშალეთ. შერწმუნეთ, სხვანაირად არ შემეძლო...

— გისმენთ, — მშვიდად თქვა ქალბატონმა ვერონიკამ.

— ერთხელ კიდევ [illegible] ქალბატონო. დიდი [illegible] იმისათვის, რომ ჩემი მოსმენა შეგიძლიათ. რამდენი ხანია ვფიქრობ და მინდოდა გამეგო როგორ ცხოვრობდით მთელი ეს ორმოცდაათი წელიწადი. წელან გითხარით, ბაბუაჩემი გარდაიცვალა-მეთქი. თქვენთან მისი სახელის ხსენება, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც კი მიმაჩნია, მაგრამ, ამჯერად, მისი სახელი ერთ დელიკატურ საქმესთან არის დაკავშირებული და, ამიტომ, ღმერთის წინაშე, ადამიანთა ქმედებასა და საქციელს ზოგჯერ მიეტევება კიდეც. — მან პორტფელიდან ლიდერინგადაკრული რვეული ამოიღო. — ამ რვეულში ბაბუაჩემის ჩანაწერებია. მეოცე, ოცდამეერთე და ოცდამეჩვიდმეტე გვერდზე ზოგი რამ თქვენზეც სწერია. ალბათ დაგაინტერესებთ.

ქალბატონმა ვერონიკამ ფანჯარაზე ჩამოკონწიალებულ გამქვირვალე ფარდაში გაიხედა, საიდანაც ბუნდოვნად მოაჩნდა მოპირდაპირე სახლზე აღმართული ტელევიზორის ანტენები და იგრძნო რა სწრაფად ელეოდა ამ კაცისადმი კეთილგანწყობილება, ბოლოს, როგორც იქნა, თავს დასძლია და უთხრა:

— რა საჭიროა იმის წაკითხვა, რასაც არავითარი ღირებულება აღარ გააჩნია.

— თქვენ მაინც წაიკითხეთ, ღმერთმანი, კმაყოფილი დარჩებით...

ქალბატონმა ვერონიკამ თავი გააქნია:

— არ ვიცი ბაბუათქვენმა რა ჩაიწერა, მაგრამ ერთი კი ცხადი იქნება, ალბათ, ბოდიშს უხდის ისტორიას, სიკეთეს უკეთურობით რომ უხდის სამაგიეროს.

— დიახ, ქალბატონო, დრო წარმოაჩენს და თავის ადგილს მიუჩენს ყველაფერს, მაგრამ ისტორიის შავად დაწერილი თავების კითხვისასაც კი შეუძლებელია ზოგჯერ სრული ჭეშმარიტების დადგენა. ცხადია, ესოდენ აწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილ-დაწეწილ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც ახლაც გვიბინდავს გონებას, მაგრამ, ამავე დროს, ბუნდოვანი მასალების გაშიფვრა ბომ სულიერად აამაღლებს დღეანდელ საზოგადოებას.

— ადამიანი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ უარყოს ის, რისი დამტკიცებაც არ შეუძლია.

— განა თქვენ არ შეგიძლიათ დაამტკიცოთ რაც თავს გადაგხდათ?!..

— ამას ახლა არავითარი აზრი აღარ აქვს.

— ?!..

— დიახ, ანგარიშის გასწორებას აღარ ვაპირებ.

— მე მაინც გთხოვთ, წაიკითხოთ. დიდი დრო არ დასჭირდება. — გადაშლილი რვეული გაუწოდა, — ნუ გაბაწყენდებით.

ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონმა ვერონიკამ ნაძალადევად გაიღიმა და რვეული ჩამოართვა.

რვეულის მეოცე და ოცდამეათე გვერდები:

...საზოგადოება ველურობიდან წესრიგამდე ვერ ამაღლდება, თუ მას ძალა არ დაუპირისპირე. ვინაიდან ჩვენში არსებობს ძალა, რომელიც საზოგადოებას იძულებით წესრიგში მოიყვანს, უარი არ უნდა ვთქვათ მასზე.

მე როცა ამ სიტყვებს დავუკვირდი, მივხვდი, რომ თუ სახელმწიფო ვერ აკანონებს საზოგადოებრივ წესრიგს და ვერ მართავს მას, მაშინ მსხვერპლშეწირვები და დესპოტიზმი ყველაზე საშინელ, ყველაზე აუტანელ პესიმიზმამდე მიგვიყვანს. როგორ უნდა შევიცნოთ სხვა, როცა საკუთარი თავი ვერ შეგვიცნია.

მე დღეს ძუძუები დავაგლიჯე მაჩაბელის ქალს, ფეხქვეშ გავიგდე და გავთელე. რისთვის? ჩემი მაღალი ერთგულება რომ დამემტკიცებინა ადამიანისათვის, რომელიც, ალბათ, ხვალ მე გამომიყვანს წირვას. მალე ყველაფერი იდეაც, რწმენაც და აზრიც ნაცრად იქცევა. კაცობრიობა დაივიწყებს ადამიანებს, რისთვისაც ახლა ჩვენ ერთმანეთს ვხოცავთ, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანებს, დღეს ძუძუებს რომ ვგლეჯთ და ეშაფოტზე აგვყავს?!..

თვალწინ მიდგას ყველაზე საშინელი, ყველაზე შემზარავი წუთები ჩემს ცხოვრებაში, ის წუთები, როცა მე ადამიანი კი არა, ადამიანის მოძულე-მიზანთროპი დემონური უსამართლობით ვხვრეტდი ერთგულ და პატიოსან ადამიანებს. ჩემი გულწრფელობისა და გულუბრყვილობის მიუხედავად, გუმანით ვხვდებოდი, რომ ჩემს გარშემო ღალატის აჩრდილი დაიარებოდა, მაგრამ მივხვდი, ვერ მივაგენი ბოროტების სათავეს.

მე არ მინდა ტრაგედიის თარიღი დავაზუსტო, რადგან წარმოუდგენელია როდის აღმოცენდა ის და როდის დასრულდება, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ეს ტრაგედია ანტიკურ ტრაგედიასავით ერთმოქმედებიანი კი არ არის, არამედ შექსპირულია. ხუთმოქმედებიანი და, ამდენად, ისეთი გრძელი და ისეთი მტანჯველია, რომ სამი სკიპტრის მპყრობელ ჯეიმზ პირველისა არ იყოს, მალე მოსაწყენი გახდება და ავტორი ალბათ შეამცირებს. შეამცირებს და რაც გრძელ სპექტაკლში უნდა გათამაშდეს, მოკლე დროში განვითარდება.

ისევ მაჩაბლის ქალზე:

მეგონა რომ მორალურ უპირატესობას ვგრძნობდი მის წინაშე, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. მე მას მხოლოდ ადამიანური ღირსება შევუბღალე, ქვეყანა ავუმბოხე და მტრად ვუქცივ. მაგრამ სულის სათავე ვერ ჩავუქრე, ვერ დავუშრიტე. ჩემზე მაღლა იდგა. როცა მთლიანად შთაინთქა სიმწარეში, როცა ყოფნა-არყოფნის წამები დაუდგა, მაშინაც ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა".

ქალბატონმა ვერონიკამ კითხვა შეწყვიტა, ხოლო როცა მღელვარება დაძლია, თავი აიღო და სტუმარს გამძაფრებული ყურადღებით მიაჩერდა. სტუმარს ხმა არ ამოუღია. კარგა ხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გაყუჩებული. ისეთ სევდას გრძნობდა, კაცს ახლობელი ადამიანის უბედურებისას, რომ დაეუფლება ხოლმე. ბოლოს გაღიმება სცადა, მაგრამ მასპინძლის მოქურუშებულ სახეზე გამამარ კანს რომ მოჰკრა თვალი, ტუჩები დაემანჭა, ხელები, რომელიც მუხლებზე დადებულ პორტფელზე ედო, შეატოკა. რადგან არ იცოდა როგორ გაექარწყლებინა უხერხული მდგომარეობა, მერე გადაიწია, ბოდიში მოუხადა, გაშეშებულ თითებიდან რვეული გამოაცალა, ოცდამეჩვიდმეტე გვერდზე გადაშალა და ისევ დაუბრუნა.

თავდაბრილი, გარინდებული ქალბატონი ვერონიკა იატაკს ჩასჩერებოდა. სტუმარს ბრძენის ალღო არ დასჭირვებია, რომ მის სახეზე მთელი თავსგადახდენილი ამბავი ამოეკითხა, მაგრამ სინამდვილეში მოგონებებით აღძრულ დარდს კი არ მისცემოდა მასპინძელი, თვალები ისე ეწვოდა, რომ წაკითხვა ვეღარ მოახერხა. გავიდა ცოტა ხანი და ქალბატონ ვერონიკას დაუბრუნდა კითხვის უნარი.

რვეულის ოცდამეჩვიდმეტე გვერდი:

„...ამ ხალხს გული არ აქვს. კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ დიდი გულის პატრონი, თორემ ჯალათი რომ ჯალათია, ისიც ვერ გაუძლებდა ამოდენა მტანჯველ ტვირთს, რომელშიაც თავს იყრის ზენაარის ყველა რისხვა, ეტყობა, ისტორიას არა მარტო აღნუსხვა ესაჭიროება, არამედ შეთხზვაც, და აი ვთხზავთ, ვიგონებთ, ვკლავთ, ვასახიჩრებთ, გაუგებარი რჩება მხოლოდ ის, თუ რისთვის გვჭირდება ეს ყველაფერი. მაგრამ, როგორი საინტერესოც უნდა იყოს იმის ცოდნა, თუ რა კონკრეტული საქმეებით არის გამოწვეული დღევანდელი ტირანია, ამგვარი კვლევა ბევრს მაინც ვერ შემატებს საბჭოთა ხელისუფლების დღევანდელ ქმედებას. ჩვენმა ბელადებმა იტალიიდან რუსულ ნიადაგზე გადმონერგილ მაკიაველიზმს წმინდა საბჭოური პოლიტიკური თვალსაზრისი მიუსადაგეს, დახვეწეს, დოგმების სისტემად აქციეს და მერე ბოროტ[illegible] ვიეს. ამ დღეების ქ[illegible] რიულად გაცილებით უფრო რთული მოვლენაა. ვიდრე გვგონია. ადვილია იმის მტკიცება, რაც ეჭვმიუტანლად ცხადია, მაგრამ რაც არ იცი, იმის მტკიცებას სჯობია წყალი ნაყო.

ასე მომივიდა მეც, დიდხანს ვნაყავდი წყალს, დიდხანს ვცოდვილობდი, რომ ვერონიკა მაჩაბელს ჩვენს მიერ გამოგონილი დანაშაული ეღიარებინა. ახლაც მშურს მისი სტოიკური თავდაჭერილობისა. ჩემი აზრით, თავის მართლება და რაღაც-რაღაცეების დასაბუთება რომ დაეწყო, საკუთარ თავს უღალატებდა. ის და ბევრი მისი მსგავსნი კარგად ხედავდნენ შედეგს, მაგრამ ვერ ერკვეოდნენ მიზეზებში, რის გამოც ჯოჯობეთში ვაგზავნიდით.

უნდა ვაღიარო:

დღევანდელ მოვლენებს ხვალ, ალბათ, ერთგვარი ფრაგმენტების სახით აღვიქვამო. ბევრს სჯერა, რომ ეს ყველაფერი კანონზომიერია და ასე უნდა მომხდარიყო, სინამდვილეში კი როცა ისტორია უახლესი წარსულის აღდგენას შეეცდება და დაუფარავად გამოამეღავნებს იმას, რაც ჩვენი თანდასწრებითა და თანაზრახვით დაუნდობლად ნადგურდებოდა, საფლავებიდან ამოგვიღებენ.

საჭიროა თუ არა სასიკვდილოდ გაკიმეტოთ ამდენი კაცი, მუსრი გავავლოთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფოს ჭკუა, აზრი და გონი ამარია? ამ გაუგებრობის შედეგი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა დრო და სივრცე ისე დაშორიშორდება ერთმანეთს, რომ აკადემიური კეთილსინდისიერებით კვლევითაც არაფერი ეშველება მოვლენებს. რა დოზით, როგორი ექსპანსურობითაც უნდა დაიწეროს სიმართლე, მაინც ვერავინ გაიგებს ადამიანების სულიერი და ხორციელი ტკივილების აგონიას. დაწერით კი დაიწერება, მაგრამ ის ყველაფერი უბრალოდ სევდიანი პროზა იქნება მხოლოდდამხოლოდ და მეტი არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს პრობლემები, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ პრობლემების გადაჭრა ნამდვილობის ობიექტური ვითარებით კი არ ხდება, არამედ ძალის პოზიციიდან, რადგან ძალაა ერთადერთი, რომელიც ანგრევს და აცამტვრებს ყოველგვარ სამართლიანობას, ამიტომ ყოველგვარი ძალა ტირანულია და უსამართლოდ ეწირებიან მას ადამიანები. მაშ, რა უნდა ქნან მათ, თუ ძალისადმი მორჩილება სამართლიანობად არ მიიჩნევს?"...

ქალბატონმა ვერონიკამ, თითქოს გულზე რაღაცამ უკბინაო, კითხვას მორჩა, თუ არა, რვეული დახურა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. სტუმარს ჭირის ოფლმა დაასხა, ისე წუხდა, თითქოს ქალბატონ ვერონიკას ტანჯვაში მას მიუძღოდა ბრალი. მისი გარეგნობა მოწმობდა, რომ კეთილშობილი გული ჰქონდა. ქალბატონი ვერონიკა გაბეზეებული იჯდა, თავი კვლავ იატაკისკენ ჰქონდა ჩაქინდრული, დაძაბულ სახეზე სათვალე უბრწყინავდა.

— ხომ საინტერესოა? — მორიდებით ჰკითხა ახალგაზრდამ.

— რა არის საინტერესო? — ქალბატონმა ვერონიკამ ისეთი ტონით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ მასში ერთდროულად პასუხიც იყო და კითხვაც.

— იცით თუ არა თქვენ, რომ ორი ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპირო თვალსაზრისის თანაარსებობა ყველაზე ტრაგიკულია იმ აზრთა შორის, რომელიც ფილოსოფოსებს მოსვლიათ ოდესმე თავში?..

— ის, რაც მაშინ მოხდა, მას მარტოეული არყოფნის, დროის გაჭრობის სუსხი ახლავს. ძნელია იმ ამბების გადმოცემა გართულებების გარეშე.

— ფილოსოფოსი ხართ? — ციედ ჰკითხა ქალბატონმა ვერონიკამ.

— არა, ისტორიკოსი.

— მითუ უმეტეს, არ შეგფერით ასეთი ლაპარაკი. რა გქვიათ?

— გიოργი.

— სხვათა შორის, ორპოფული ლაპარაკი არ მიყვარს, თანაც ისეთ თემაზე, რომელზეც უკვე არსებობს ერთი კეთილი აზრი და ამ აზრის საერთო ნასიათი არამცდარამც არ იძლევა საბაბს, რომ რაიმე გაუცნობიერებელი გადახვევები გავაკეთოთ. სულის ამნაირი განწყობილება რომ ჰქონოდა ამ სტრიქონების ავტორს, მაშინ თავისივე სხეულის ჯვარზე იქნებოდა გაკრული.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ ცნობილია, რომ რომელიმე დებულება მეცნიერების ერთ დარგში შეიძლება მცდარიც იყოს და ჭეშმარიტიც. ასეთია ადამიანის ბუნებაც: აკეთებს ერთს და ქადაგებს მეორეს. ბაბუაჩემიც, ეტყობა, გაორებული კაცი გახლდათ, თავისივე რწმენისა და სურვილის ანტიპოდი.

— ანტიპოდები ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს.

— ასე რომ არ ყოფილიყო, ოცდაჩვიდმეტში პირველს თუ არა, ბაბუაჩემს მესამეს მაინც დაახლიდნენ ტყვიას. მჯერა, ბაბუა როცა იმას სჩადიოდა, რაც უმძიმეს ცოდვად ადევს კისერზე, ცოცხალი ორგანიზმი, ადამიანი კი არ იყო, არამედ იარაღი, რომელსაც უკეთური ხალხი სხვის მოსასპობად იყენებდა. სამგზის მართალი იყო ის, ვინც თქვა: ვისაც სულის ხსნის იმედი აქვს, ბედნიერია ამ იმედით, მაგრამ ვაი, რომ მისი ბედნიერებისგანაც განუყოფელია უბედურება: შიში წარწყმედის წინაშე: დღეს ეს სიტყვები შეიძლება სხვანაირად ეღერდეს. მართლაც სხვა დრო იყო, ქალბატონო.

ქალბატონმა ვერონიკამ რვეულის ყდას დინჯად გადაუსვა ხელი.

— მე პროტესტს ვაცხადებ თქვენი მოსაზრების გამო, — ყრუდ თქვა მან, — იმიტომ, რომ როცა ადამიანი ორმაგს თამაშობს, არც სულს არგებს და არც ხორცს, ორმაგი თამაში მარტო სახელმწიფოს სასიკეთოდ კი არ არის მოგონილი, მას ინდივიდუალური მიზნებისათვისაც იყენებენ. მე კარგად ვიცნობ მაგ კატეგორიის ადამიანებს, ორგვარ ნიღაბს რომ ატარებენ, პატიოსნებიც უნდათ იყენენ და პიროვნებებზე

მოძალადენიც. ეს ხერხი დიდი ხანია ცნობილია. ამ მეთოდით ასაიდუმლოებდნენ თავიანთ ქმედებებს ხელისუფალნი და უბრალო მოკვდავნიც. ერთი სიტყვით, ამაზე აღარც ღირს ლაპარაკი. ძალაუფლება ბოროტებაა, ხოლო ადამიანი, პათეტიკურად რომ ვთქვათ, ბუნების ეს ყველაზე საუკეთესო ნაყოფი, სამყაროს უზენაესი გვირგვინი, — ბოროტების მორჩილი, ადამიანი ხომ თავისი ბუნებით არც ანგელოზია და არც ცხოველი, უფრო კენტავრს ჰგავს.

გიორგი ჩაფიქრებული და შუბლშეკრული უყურებდა, დროდადრო წარბებს აზიდავდა ხოლმე, ვერ შეიტყობდი, ეთანხმებოდა თუ არა.

— სხვათაშორის, მე არც პროლეტარიატის დიქტატურის მარადიულობის მომხრე ვარ. დემოკრატია და პროლეტარიატის დიქტატურა ერთმანეთს ვერ უთავსდება, რადგანაც რასაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე გვიქადაგებდნენ, ტყუილი გამოდგა. რა დასამალია, ეს ყველაფერი, ერთ დროს, პირიქით მეგონა. მეგონა, რომ რევოლუციები მაღალი ზნეობით გამოირჩეოდნენ და სულიერ ტყვეობიდან ათავისუფლებდნენ ადამიანებს. ჩემი სიცოცხლის გარკვეული ნაწილი ისე გავლილ, რომ სამართლიანობა მწამდა. უფრო სწორედ, მეგონა რომ სამართლიანობა იყო, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. უამრავი ხალხი შეეწირა უსამართლობას და მერე სად, არ იტყვით? რევოლუციით გაცისკროვნებულ ქვეყანაში, — სადაც სახელმწიფომ ადამიანის ზნეობრივი სისპეტაკე მიწასთან ისე გაასწორა, რომ მისგან აღარაფერი დარჩა. გამოგონილი იდეის სამართლიანობის დაცვაში ტყუილუბრალოდ დავკარგეთ დრო, ამის სანაცვლოდ დაგვიჩლუნგდა გონება. ადამიანების სულში ჯერ კიდევ არ მომწიფებულა საკუთარ პიროვნებასთან თუ საკუთარ ბუნებასთან შეურიგებელი, ტრაგიკული დაპირისპირება, ჩვენი სულიერი ტრაგიზმი ჯერ კიდევ არ წარმოქმნის ისეთ შინაგან კონფლიქტს, რომელმაც ამბოხი უნდა გამოიწვიოს და თვალნათლივ დაგვანახოს [illegible] ში და ხასიათში გაჩენ[illegible]

გიორგი წამით შეყოყმანდა, მერე თქვა:

— მე ვიზიარებ თქვენს აზრს, ჩვენი დღე და მოსწრება ზნეობრივ კანონებს ვაღიარებდით და ახლა ამ საყოველთაო უნდობლობისა და იმედგაცრუების ნაყოფს ვიმკით. ამის მიზეზი უბრალოა — ტყუილსა და მოჩვენებითობაზე დაფუძნებული მმართველობის აღიარებული ფორმულა პოლიტიკური იდეალის სახე არ არის, ადამიანი — ქვეყნის თვალი და სულიერი სამყაროს გვირგვინი მიწად და მტვრად არის ქცეული.

— რასაც თქვენ ამბობთ, როგორ გგონიათ, ამ სტრიქონების ავტორმა იცოდა თუ არა? — ქალბატონმა ვერონიკამ რვეულს დახედა.

გიორგიმ ისე ფართოდ გაახილა თვალები, რომ დაუელამდა.

— რა თქმა უნდა, იცოდა.

— და მაინც იმას აკეთებდა, რასაც ეუბნებოდნენ, არა?!..

— მაშინ ყველა იმას აკეთებდა, რასაც უბრძანებდნენ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ, თუ ბრძანებას არ შეასრულებდნენ, თვითონ იმათ დასვამდნენ დამნაშავის სკამზე. დრო იყო ასეთი, — საკუთარ მეობაზე უარს ამბობდნენ, სხვებზე კი ძალადობდნენ.

— ამ შემთხვევაში ღმერთის წინაშე ვინ უნდა აგოს პასუხი? — ერთგვარი დაცინვით ჰკითხა ქალბატონმა ვერონიკამ.

— მიცვალებულები ანგარიშს არავის არ აბარებენ, ქალბატონო.

— მართალია, რაც მათ იმ ავადმოსაგონარ წლებში ჩაიდინეს, ის უკვე ისტორიის კუთვნილებაა და, როგორც იტყვიან, მკვდარს ვერავინ გააცოცხლებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვილაცამ ხომ უნდა აგოს მაინც პასუხი?

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ქალბატონო.

ქალბატონი ვერონიკა ჩაფიქრდა, თავი ასწია და მზერა საღაც სიცარი-

ელისაკენ მიმართა. დიდხანს იყო ასე, მერე გამხმარ-გაფითრებული ტუჩების კუთხეში ასხმული ნაოჭები გაეშალა:

— რახან დროის ბრალი ყოფილა ყველაფერი, დრო — ესე იგი, აბსტრაქტული სივრცე უნდა დავსაჯოთ!

გიორგიმ გაიღიმა, ასე იღიმებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც კარგად გრძნობენ ორაზროვან ფრაზებს. იგი ნაწილობრივ ეთანხმებოდა ქალბატონ ვერონიკას, როცა თითებს ერთმანეთში ხლართავდა.

— თქვენი ირონია გასაგებია, ღირსებასა და უღირსობაზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ როცა ჩვენი ბელადები სოციალიზმს აშენებდნენ, იმის მაგივრად, რომ თავისუფალი, სამართლიანი საზოგადოება აეშენებინათ, სოციალიზმი დიქტატურად აქციეს და სწორედ სოციალური უკულმართობით გაუმრუდეს სული ადამიანებს. უთქმელმა ამბოხმა დაგვთრგუნა. სოციალიზმის ამ გაუთავებელი მშენებლობის ხანაში ერთიანად მოდუნდა ადამიანის ბრძოლისუნარიანობა. შეიბოჭა, დაკარგა ის სულიერი და ფიზიკური ჰარმონიულობა, რაც დასაბამიდან მოგვდგამს. ჩვენი ისტორიის უხეირო გამოცდილება ვერა და ვერ მოხმარდა ახალი ფორმაციის, ახალი ისტორიის შექმნას. იდეალებსა და რეალურ სინამდვილეს შორის მძაფრი წინააღმდეგობები წარმოიშვა. ხომ არ დაგღალეთ, სიტყვა ხომ არ გამიგრძელდა? — თავაზიანად ჰკითხა გიორგიმ და როცა უარის ნიშნად ქალბატონმა ვერონიკამ თავი გააქნია, განაგრძო: — არ იფიქროთ, რომ ოცდაჩვიდმეტი წლის ამბების მომხრე ვიყო, ღმერთმა დამიფაროს, გული სწორედ იმის გამო მწყდება, რომ ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ჰუმანიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯი ყალბი გამოდგა. ასე რატომ მოხდა და რისთვის, ამასთან დაკავშირებით, მე საკუთარი აზრი გამაჩნია, დიახ, სხვანაირად ვუყურებ მოვლენებს. შეიძლება პარადოქსია, ან რაღაც სისულელე. მაგრამ თვალს რომ გადავავლებ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ერთ [illegible] ნამდე მივდივარ: როცა ყველაფერი ერთი მიმართულებით მოძრაობს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველაფერი დანარჩენი უძრავად დგასო. ამის კარგი მაგალითია კომუნიზმისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერთად მივყვებით და ბოლო არ უჩანს. ხომ გაგიგონიათ, იქით მიმავალი ბევრი მინახავს, მაგრამ აქეთ მომავალი არავინო, — ისეა ამ გზის საქმეც. ასეთ დროს კაცს ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს ტალღას მიჰყვებაო. საკმარისია, შეჩერდე და უკან მიიხედო, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგეს, — მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე, ერთი და იგივე ადგილი გვიტკეპნია და ჩვენს ირგვლივ უმოძრაოდ ყოფილა ყველაფერი. მე რომ მკითხოთ, ამაში უცნაური არაფერია, რადგან ეს ქვეყანა უკურნებელი სენითაა დაავადებული და, ჩემი არ იყოს, აღარაფერი ეშველება. მიყურეთ, როგორი ბრგე და მოყვანილი ვაჟკაცი ვარ, მტერსაც შეშურდება და მოყვარესაც, მაგრამ, აბა ერთი, კარგად დამაკვირდით, თუმცა დიდი დაკვირვებაც არაა საჭირო, ორივე ფეხით კოჭლი ვარ. ერთი ფეხით კოჭლი დავიბადე, მეორე ოცდახუთი წლისამ მოვიტეხე. როგორ ფიქრობთ, მეშველება რამე? ამ თავისებური ფიზიკური კათარზისის ცალმხრივად შეფასება ხომ სასაცილოა. საქმე იმაშია, რომ ხეიბარი დავიბადე, ამაში, ღმერთი კი არა, ჩემი წინაპარია დამნაშავე, რომელსაც ბიოლოგიურად ზოგიერთი რამ არ ჰქონდა ალბათ წესრიგში და, შემდეგ, ყველაფერმა ამან, ჩემში იჩინა თავი. ფეხი რომ მოვიტეხე, ეს კი პირადად ჩემი ბრალია, ორმოში რომ ვვარდებოდი, ვერ დავინახე. გამიგეთ, რა გითხარით, ჩასწვდით თუ არა ჩემს აზრს? ეს ყველაფერი იმ შინაგანი ხმის გამოხატულებაა, რასაც ასე მძაფრად ვგრძნობთ დღეს და რაც, ჩემი აზრით, მარტო ერთი კაცის დანაშაული კი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, არამედ იმ ეპოქის სტილია, რომელშიაც ვცხოვრობდით.

გიორგი გაჩუმდა და ქალბატონ ვერონიკას შეხედა. იფიქრა, მხარს დამიჭერსო, მაგრამ მასპინძელს ხმა არ ამოუღია. იგი ღრმად იყო ჩაფიქრებული. ყურში კვლავ მისი სიტყვები ესმოდა და სწონიდა.

გიორგიმ გააგრძელა:

— წელან გითხარით და ახლაც ვიმეორებ, მე დიდხანს ვიფიქრე, მოვსულიყავი თუ არა თქვენთან. და როცა გადავწყვიტე, თავს ნება მივეცი, რომ ჩემი შეხედულებები გამეზიარებინა, რადგან ის, რაც მაგ რვეულში წერია, ისევე მიუღებელია ჩემთვის, როგორც თქვენთვის და, ამდენად, სალაპარაკოც ბევრი მაქვს. იმ მოვლენების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწორედ ის არის, რომ რევოლუციის შემდეგ ძალიან სწრაფად, დიახ, ვიმეორებ, ძალიან სწრაფად დაიკარგა სამყაროსა და ადამიანის ერთიანობის, ჰარმონიის რწმენა. ადამიანი უღმერთოდ დარჩა. როგორც კი ეს კატაკლიზმი აღმოცენდა, ესე იგი, ადამიანი ძალით გაჰყარეს ღმერთს და რაღაც გამონაგონით აუმღვრიეს ტვინი, ცხოვრება ტრაგიკული გახდა, — სული გაეთიშა სხეულს. ადამიანური სისასტიკით დამძიმებულმა სხეულმა გარეგნულად გროტესკული ელფერი შეიძინა, გამასხარავდა, ცოტათი ზიზილ-პიპილებითაც მორთეს, გლეხს ჰალსტუხი ჩამოჰკიდეს, წვერი გაპარსეს, მაგრამ სულს ვერაფერი მოუხერხეს, ვერ გაამშვენიერეს, ღვთაებრივი ვერაფერი შესძინეს, პირიქით, თუკი რამ წმინდა და ცხოველმყოფელი ებადა, ისაც ამოშანთეს და ახლა ჩვენ უსულო ადამიანები ვართ. სიზმარეული ძაფით მოქსოვილი ადამიანი გაუთავებელმა დაპირებებმა კრიზისულ მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანა. მართალია, ამ ბოლო დროს მოვლენები აღარ გამძაფრებულა, მაგრამ ეპოქის სატკივარით კი კარგა მაგრა არის სავსე.

ოცდაჩვიდმეტი მართლაც ყველაზე მძიმე დრო იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მძვინვარე დეპარტიზმმა და სრულმა უუფლებობამ ადამიანში შინაგანი წინააღმდეგობა, შინაგანი გაორება გამოიწვია. პროლეტარებო შეერთდითო, რომ გვეჩიჩინებიან, ვერ შევერთდით, დიახ, ვერ შევერთდით, და, იცით რატომ ვერ შევერთდით, იმიტომ, რომ ჩვენი შემაერთებელი ვერაფერი გამოიძებნა.

მე კარგად მესმის თქვენი, კარგად მესმის იმ ადამიანებისაც, ვინც თქვენსავით ტყუილუბრალოდ გაიტანჯა, მათ შესწევდათ უნარი დაენახათ სინათლე სიბნელეში, წინასწარ ეგრძნოთ მომავლის სიხარული. და აი, ეს დრო დადგა მგონი. დიახ, დადგა, რადგან, როგორც იტყვიან, ყოველ რეალურსა თუ წარმოსახვით მწვერვალს ორი მხარე აქვს — აღმავალი და დაღმავალი. არ ვიცი, რამდენად გამოვხატე ჩემი აზრი, მაგრამ, რაც ვთქვი, გულწრფელია. მე ბაბუაჩემს არ ვიცავ, არ ვამართლებ, ხოლო რაც მაშინ მოხდა, ყოვლად წარმოუდგენელია და დასაძრახი, მთელი მაშინდელი ცხოვრება ქვამთა სიავის კატეგორიაა სოციალური უკუღმართობით შესაცნობი. თუმცა კარგად მესმის ამქვეყნიური ბოროტების ჰეშმარიტი მიზეზები, არ გავგულისდები და ხმლის ქნევას არ დავიწყებთ. ჰამლეტისა არ იყოს, ნაღრძობ დროს მამის მკვლელის დასჯა ვერაფერს უშველის.

თვალებმილულული ქალბატონი ვერონიკა ოდნავ შეტოკდა, წარბები აძგიბა და ისევ მოეშვა. გიორგიმ მიიხედ-მოიხედა. პორტფელი იღლიაში ამოიჩარა და დაელოდა, როდის გაახელდა იგი თვალს, მაგრამ გაიარა ერთმა, ორმა, კიდევ რამოდენიმე წუთმა და ქალბატონ ვერონიკას მაგრად მოკუმულ ტუჩებს ნირი არ უცვლია. გიორგის წამოდგომა უნდოდა და ვერ ბედავდა. ეშინოდა, არ გავაღვიძოო, რომც გაღვიძებოდა, აღარც ლაპარაკი ღირდა, რადგან თავიდანვე მიხვდა, რომ ქალბატონ ვერონიკას არ უყვარდა იმის გახსენება, რაც თავის ცხოვრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგონებდა. ამიტომ თავს უბერხულად გრძნობდა და გულში სინანულს განიცდიდა, მაგრამ ვიღაცას ბრმ უნდა შეემსუბუქებინა დარდი, მაშინ როცა ყველასაგან მიუსაფარ და მარტოსულ ქალბატონ ვერონიკას სიცოცხლის დღეები დათვლილი ჰქონდა.

10.

კარგა ხანს იყო გაყუჩებული, ვერ გაიგებდი, ეძინა თუ ეღვიძა. გარეთ აპრილის მზე იღვრებოდა, საცაა ჩავიდოდა კიდეც და გაზაფხულის გრილი საღამო მეწამულ ფერში ჩაინთქმებოდა. ახლა კი, ახლა ნელი სიო უბერავდა დასავლეთიდან, თეთრქულიან ღრუბლებს ტაატით მიაგორებდა ცის უშველებელ კაბადონზე და იქაურობას აკრიალებდა. ქუჩიდან დროდადრო მანქანების ღრიანცელი და ადამიანების ლაპარაკი ისმოდა. გუშინდელს აქეთ ქალაქში მოსვენება არ იყო, არც ღამით იყო დიდი სიმშვიდე, ქუჩებში გამოსული ხალხი მხიარულობდა, მათი ხმა ყოველ მხარეს, ყოველ კუთხეში გაისმოდა, ძილღვიძილში წასულ ქალბატონ ვერონიკას სიზმარში ეგონა თავი, მომქანცველი დაღლილობის ნაცვლად მშფოთვარე სიამოვნებას განიცდიდა. მის გულში ხან მწუხარების და ხანაც სიხარულის გრძნობები მონაცვლეობდნენ. ყველაფერი ამაღლებული, ლამაზი და განდიდებული იყო.

შუაღამისას, როცა ყრუ გუგუნი გრუხუნად იქცა, ქალბატონმა ვერონიკამ თვალი გაახილა, წამოდგა, ბებრუული, გაფშეკილი წამწამები ააბამხამა, ფანჯრიდან გადაიხედა და მაშინვე რაღაც შავი და ბუნდოვანი გადაეკრა თვალებზე, ვერაფერი დაინახა, ბოლო როცა წუთის შემდეგ, მხედველობა დაუბრუნდა, თვალები კვლავ გაუფართოვდა, — ხალხით სავსე ქუჩაში შინდისფერი დროშები ფრიალებდა. დროშებს ლამპიონების შუქი ისე დაჰნათოდა, როგორც მზე ბაღნარს. ადამიანების ნაკადი მთის მდინარესავით ჩქარაჩქაროდა. ნიავის შემობერვაზე ადამიანებს თავს ზემოთ აღმართული ხან ერთი დროშა ფრიალებდა, ხან მეორე.

ქალბატონმა ვერონიკამ არ იცოდა, რა ხდებოდა, რატომ იყო ხალხი ქუჩაში გამოსული და რატომ მღეროდა. ფეხისწვერებზე შემდგარი და თვალებგაფაციცებული უყურებდა, რომ გარკვეულიყო, მაგრამ ხმაურსა და ღრიანცელში ვერაფერი გაიგო, ვერც სიტყვებსა და შეძახილებს არჩევდა. ხალხის ნაკადს არც თავი უჩანდა და არც ბოლო.

„ღმერთო ჩემო, რა ხდება, — ლუღლუღებდა ის და აკანკალებულ ხელს ლოყაზე ისვამდა, — „ნუთუ?!“.. ამ დროს ხმამაღლა, მეღერმა სიმღერამ გაჰკვეთა ჰაერი, დროშები შეირხა, მაღლა-მაღლა აფრიალდა, ხელდროშიანი ახალგაზრდა მწყობრიდან გამოვარდა და წინ გაიჭრა. ეზოებიდან და სახლებიდან ფაცაფუცით გამოდიოდნენ ადამიანები და როგორც პატარა ნაკადულები დიდ მდინარეს, ისე უერთდებოდნენ ხალხის ნაკადს. ერთმა ახალგაზრდამ ქუდი ჰაერში აისროლა, მეორემ დაიჭირა და დაიხურა. პატარა ბიჭები, ჯერ ღინღლიც რომ არ აშლოდათ სახეზე რიგიანად, წესრიგს იცავდნენ. ქალიშვილები შეწყობილ ნაბიჯით მოდიოდნენ, ხელში ყვავილები ეჭირათ, ხმიერად მღეროდნენ. ქალბატონ ვერონიკას ყელში რაღაც ებჯინებოდა, ახრჩობდა. კვილი უნდოდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა, ამიტომ იყო, რომ ჯანმრთელ ხელს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყელზე იჭერდა, ანგარიშმიუცემლად ხიხინებდა, რომ თავისი ხმაც მიეწვდინა იმ ბობოქარი ხმისათვის.

დასავლეთიდან კვლავ ნელი სიო უბერავდა. ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ და გაზაფხულის ნათელმხილველი მთვარე დანათოდა ხალხით სავსე ქუჩას, სადაც სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა. მაგრამ ამ განწყობილებაშიც იგრძნობოდა რაღაც იდუ-

ELIBRARY.GE

მალი სევდა, ნაღველი და მაინც აზრისა და ვნების ძალმოსილება ადგა გვირგვინად. ამის შემხედვარე ქალბატონმა ვერონიკამ, უეცრად მთელი ძალ-ღონე დაძაბა, თუმცა მშვიდად. როგორც იცოდა ხოლმე საქმის კეთება, ბებრული ნაბიჯით გაიარა შუშაბანდი და, თავის ცხოვრებაში, კარგა ხნის შემდეგ, პირველად გავიდა ქუჩაში, სადაც ადამიანების ტალღას შეერია. კრინტი არ დაუძრავს, არაფერი უკითხავს, ისე გაჰყვა ტალღას. მიდიოდა და დროდადრო მუხლი ღალატობდა, ეკეცებოდა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია, თითქოს გაახალგაზრდავდაო, ხალხის მხიარული განწყობილება თანდათან მასაც გადაედო. ლაღ სახეებს რომ ხედავდა გარშემო, თვითონაც ეღიმებოდა, — მის გვერდით მამაკაცები, ქალები, ბავშვები მღეროდნენ, მღეროდა დიდი და პატარა, მღეროდნენ ისინიც, ვისაც, ალბათ თავის სიცოცხლეში არ ემღერა.

რამდენიმე ახალგაზრდა ცეკვა-ცეკვით მიდიოდა, ქუჩის ჩაყოლებაზე ჩამწკრივებული მილიციელები ღიმილით მიაცილებდნენ მთავრობის სახლისაკენ მწყობრად მიმავალ ხალხს. ქალბატონი ვერონიკა გაკვირვებული შესცქეროდა მათ და თანდათან ნაბიჯს უმატებდა, რომ არ ჩამორჩენილიყო. მალე პროჟექტორებით განათებულ ჰორიზონტზე ვეებერთელა მირაჟი — ზღვა გამოჩნდა, ზღვაში — ხალხი, ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა, ყველაფერი თრთოდა და როგორც ვულკანიდან ამოფრქვეული ლავა, ისე თუხთუხებდა.

ქალბატონმა ვერონიკამ „გამიშვი", „გამიშვის" ძახილით იდაყვით გაარღვია შემოჯარული ხალხი და გულამოვარდნილმა მიაღწია შუა მოედანს რომლის ერთ მხარეს კედელივით აღმართულიყო ხაკისფერფორმიანი ჯარისკაცთა რიგები. იგი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და შეშინებული თვალები მოატარა ირგვლივ. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ისინი, ვინც წინდღით და ღამით მოსულიყვნენ, კიბეებზე და ასფალტზე ისხდნენ. მათი უძინარი, დაღლილი სახეების გარეგნობა [illegible] ნძილზეც ძნელი იყო. [illegible] რობის სახლის კიბეებზე მილიციელები ჩამწკრივებულიყვნენ. ხელიხელჩაკიდებული ახალგაზრდები სიმღერით ჰკრავდნენ წრეს, სიმღერის ხმა დილის გრილ ჰაერს ზარივით კვეთდა. უცებ ჯარისკაცთა რიგები ორად გაიყო, გაიშალა და მათ შორის სიბნელიდან ტანკები შემოგრიალდნენ. ხალხი ერთბაშად ამოძრავდა, აღელდა, დაიწყო ორომტრიალი, დაბნეული და შეშინებული ქალები ტროტუარზე გაიფანტნენ. რამდენიმე ათეულ კაცს ნირი არ უცვლია, ადგილზე დარჩა. ვიღაცამ დაიღმუვლა, რაღაცა შესძახა, მაგრამ მისი განწირული ხმა მუხლუხების ღრჭიალში ჩაიკარგა. ტანკები გრუხუნით შემოიჭრნენ, ტროტუარზე აცვივდნენ, ხალხი დააფრთხეს და მერე ქუჩის შუაგულს მიაშურეს.

— უკან დაიწიეთ, უკან!..

— ბიჭებო, ტანკები გაატარეთ!..

ტანკებმა ადამიანების ცოცხალ დერეფანში გაიარეს. ხალხი კვლავ შემჭიდროვდა, მერე ისევ გაიშალა, ახალგაზრდები ქალებს აეფარნენ დასაცავად, ვიღაცამ მოულოდნელად და ხმიერად დაჰკრა დოლს, ჰაერში აისროლა, ხელში აათამაშა და ტანკის მუხლუხებით აჩიჩქნილ-დაჩიჩქნილ ასფალტზე ცეკვა-ცეკვით გაბზრიალდა.

ტანკებმა რომ გაიარეს, ჯარისკაცთა ხაკისფერი ტალღა შეირხა, ქუჩის გასწვრივ სიგანეზე გაიშალა და მოწყვეტით, თანაბრად დაიძრა ადგილიდან. მათ მკერდზე აფარებული ვერცხლისფრად მოლაპლაპე ფოლადის ფარებში ადამიანების შეშფოთებული სახეები აირეკლა. ხაფანგში მოქცეული ხალხი ჯერ გაირინდა, ერთ ადგილას გაქვავდა, მერე უკან დაიხია. ქალბატონმა ვერონიკამ ხელი ჰაერში გაასავსავა, რომ არ წაქცეულიყო, ვიღაცას ჩაებღაუჭა. სიმღერა შეწყდა, გაისმა არაადამიანური ღრიალი, ქალების კივილი. ქალბატონი ვერონიკა კვლავ ხელს ასავსავებდა, წალმა-უკუღმა ტრიალებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილობდა, არ წაქცეულიყო, ოფლში გაწუწულ ტუჩებს აცმაცუნებდა. ხოლო როცა რამდენიმე ჯარისკაცი წინ გამოვარდა და ერთმა ნიჩაბი მოიქნია, ქალბატონმა ვერონიკამ შეჰკივლა. პასუხად ახლა მეორე ჯარისკაცმა ალმართა ხელი, ნიჩაბმა სინათლის შუქზე გაიელვა და ვიღაცის თავსა და ხელებშუა გაქრა. ამის დანახვაზე ქალბატონი ვერონიკა გაშეშდა. დიდი დრო არ დასჭირვებია, რომ ნიჩბით თავგაჩეხილი ქალი დაენახა, მალე იგი ჯარისკაცებმა ჩექმებით გადათელეს.

დაძაბულობა სულ უფრო მატულობდა. ხაფანგში მომწყვდეული ხალხი გასაქცევს ვერ პოულობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა. ყველგან დაჭრილთა და დასახიჩრებულთა კვნესა ისმოდა. ჯარისკაცები მწყობრად, წესრიგით ალარ მოსდევდნენ, ისინი გარს ერტყმოდნენ, ქალებსა და მოხუცებს წრეში იმწყვდევდნენ, საიდანაც გამოსვლა უკვე ალარავის შეეძლო. ისმოდა ყრუ დარტყმების ხმა და ფარების ჯახა-ჯუხი, ურტყამდნენ ყველას, ვისაც მისწვდებოდნენ და ვინც ხელში მოხვდებოდათ. ქალბატონ ვერონიკას გვერდით შუახნის ქალი დაეცა, დაცემის დროს მისმა თვალებმა ბინდში ცივად გაიელვა. უქუდო ჯარისკაცმა, სულ მთლად პირტიტველი რომ იყო და ბავშვურად გამოიყურებოდა, ვიღაც ქალს თმაში ხელი ჩაავლო, ლონივრად დაითრია და ისეთი გამეტებით ჩასცხო ნიჩაბი, როგორც საბუხრედ გამზადებულ კუნძს ჩასცხებს ხოლმე ალესილ ნაჯახს გამოცდილი შეშისმჭრელი. ქალი მაშინვე უსულოდ დაეცა. ქალბატონმა ვერონიკამ მისთვის თვალის შევლებაც ვერ მოასწრო, რომ სისხლით გახელებულმა ჯარისკაცმა, ახლა მის წინ მდგომ მაყვლისთვალება გოგოს, მკერდზე თოჯინა რომ მიეპუტებინა, მოუქნია ნიჩაბი. გოგონამ იაზრა და თავი დაღუნა. მაგრამ დარტყმა ვერ აიცდინა. იგი უკვე გულაღმა იწვა, გათეთრებული სახე უცებ გაულურჯდა და გაუყუჩდა. ქალბატონი ვერონიკა შიშისაგან წაბარგანავდა, ძალა გამოელია და მუხლმოკვეთილი დაეცა. იმის მაგივრად, რომ ტკივილნი წაერთვა, გამოფხიზლდა, იქნა, წამოზეზეადა, რომ გოგონასთან მისულიყო. სწორედ ამ დროს მოხვდა ჩექმის წვერი და ცხედარს გადაემხო. ქალბატონმა ვერონიკამ გვამი მკერდში ჩაიკრა. მოკუმულ ტუჩებზე ტუჩები დაადო და როცა ჯარისკაცებმა ცხენებივით გადაიქროლეს და ცხედარს სინათლის შუქი დაეცა, დაინახა ლია, უცრემლო თაფლისფერი თვალები, სადღაც, შორს ღამის სიცარიელეში რომ იყურებოდნენ და გმინვით წამოდგა. სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ალარც გაბრძოლების თავი ჰქონდა და ალარც ყვირილის. ერთი სული ჰქონდა, სადმე მიმჯდარიყო და დაესვენა, მაგრამ ამქვეყნად განა ჯერ კიდევ იმისათვის არსებობდა, რომ სულიერი სიმშვიდე ეძებნა? ერთი შეტოკდა. შეშლილივით მიმოიხედა და როცა მისკენ მომავალ ნიჩაბშემართულ ჯარისკაცს მოჰკრა თვალი, რომელსაც სახეზე მტრული რისხვა ალბეჭდოდა, იმის მაგივრად, რომ გაქცეულიყო, თვითონ დაეძგერა, მაგრამ სასწაული მოხდა, ჯარისკაცმა შემართული ნიჩაბი დაუშვა და ვიღაც კაცისკენ გაეწთო. სიკვდილს გადარჩენილმა, გაოცებულმა და დაბნეულმა ქალბატონმა ვერონიკამ ნაბიჯი ველარ გადადგა, — უცილობელმა შიშმა მოქმედების უნარი დაუკარგა.

დიდი დრო არ იყო გასული, რომ ჩიხში მომწყვდეულ ხალხს ფლანგებიდან წამოსული ჯარისკაცების ახალი ტალღა დაატყდათ. ისინი გასრესილ ადამიანებზე ალაჯებდნენ, ფეხქვეშ თელავდნენ იმათ, ვისაც ვერ მოესწრო გაქცევა. ყვირილისა და კვნესისაგან პროსპექტი გუგუნებდა. სულს ლაფავდნენ წაქცეული მოხუცები, ქალები და ბავშვები. ყოველი მხრიდან ისმოდა მკვდრებში არეულ დაჭრილთა გოდება. შველას ითხოვდნენ, მაგრამ მშველელი არსად იყო. იქაურობა გვამებითა და დაჭრილებით იყო მოფენილი. ცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გადარჩენილები უკანმოუხედავად გარბოდნენ. მამაცი ყმაწვილები ქალებსა და ბავშვებს მკერდით იფარავდნენ, ჯარისკაცებს წინ ეღობებოდნენ. რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე მაინც გადაერჩინათ. ორმა ზორბა ჭაბუკმა ხელები აღმართა და ხალხისაკენ დაძრულ ჯარისკაცებს გზა გადაუღობა, მაგრამ არ გაუვლია რამოდენიმე წუთს და მოთიბული ბალახივით ძირს დაეშვნენ. შემზარავი კვილი, ძრწოლა და სიმწრის გმინვა ველურ ყიჟინში აირია. ტანისამოსშემოფლეთილი, გულშეღონებული. სისხლში ამოთხვრილი ადამიანები გამძვინვარებით კოდნენ. ბევრი შეშლილს ჰგავდა, თუმცა ხოცვა-ჟლეტა არ შენელებულა. ვიღაც ჭაღარათმიანი ქალი, რომელსაც, ეტყობა, ქუჩის მეორე მხარეს გადარბენა უნდოდა, ველარ მოასწრო, რომელიღაც ჯარისკაცის ფეხებთან მოადინა ზღართანი და საზარელი ხმით მორთო კვილი. ასეთი სასოწარკვეთილი ხმის პატრონს, ისიც ქალს, იტყვიან, ძაღლიც არ ერჩისო, ჯარისკაცმა კი გამეტებით, ისე რომ, ერთი დარტყმით გაეფრთხობინებინა სული. მთელი ძალ-ღონით ჩასცხო ნიჩაბი. პირაღმა გაშხლართულ ქალს ცალი ხელი მკერდზე დარჩა მიდებული, მეორე — სისხლით მოთხვრილ მშობლიურ მიწაზე. მოკვდა, იქვე ახლოს ვიღაცას მხეცური ყვირილი აღმოხდა, ფეხი იშვირა და გაქცევა სცადა. ყვირილის ხმაზე საყელოგაღეღილმა, გაცოფებულმა ჯარისკაცმა, არანაკლები ხმით დაიბღავლა. მგელივით მოსწყდა ადგილს და დაედევნა. თითქოს ბედისწერამ თავისი გაიტანაო, ქალმა შემოჯარული ხალხის ტალღა ვერ გაარღვია, დაფეთებული მობრუნდა და მუხლებზე დაემხო. ჯარისკაცმა ორჯერ დაჰკრა ნიჩაბი, ორჯერ მოკლა ერთი ადამიანი.

შეშინებულმა ხალხმა პირი იბრუნა, ზოგი საით მიაწყდა და ზოგი საით. სწორედ ამ დროს პროსპექტიდან წამოსულმა ასეულმა გადაუღობა გზა. ჯარისკაცები გაშლილი [illegible] ოდნენ. მკერდებზე ბრ[illegible] ჰქონდათ აფარებული. სახეებზე კი ოოლად მოპოვებული გამარჯვების სიბარული აღბეჭდოდათ. ვიდრე თავს დაესხმოდნენ, ხალხი მიმოიფანტა, თუმცა შორს არ წასულა. ჯარისკაცებმა, თითქოს გალიიდან გამოცვენილი მხეცები არიანო, ზარითა და ღმუილით დასცეს ყიჟინა, ჩამორჩენილებს დაერივნენ და აჩეხეს. ქალბატონი ვერონიკა, რომელიც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, ახლა საზიზღარი წინათგრძნობით შეპყრობილი აღმა-დაღმა დაბორიალობდა, რომ ვინმესთვის ეშველა. დაჭრილისა და დასახიჩრებულისათვის მაინც მიეგო შველა და რაიმე სასარგებლო გაეკეთებინა. კარგა ხანია შიშს აღარ განიცდიდა, ადამიანების უღვთოდ ხოცვა-ჟლეტამ ხორციელი უხორცოდ აქცია და გააკერპა. როდესაც ტალღამ სხვებთან ერთად ჯარისკაცებს მიაგდო, ყველზე შემოხვეული აბრეშუმის შავი შარფი მოიძრო, დროშასავით შეაფრიალა, ამაყად ასწია თავი და მტკიცე ნაბიჯით გაემართა, სწორედ ამ დროს ლამპიონებით გაბდღვრიალებულ ჰაერში, თეთრად და ცივად იელვეს ნიჩბებმა. ჯარისკაცები მხეცებივით დაერივნენ უმწეო ქალებსა და ბავშვებს, აჩეხეს, ფეხქვეშგაიგდეს და გათელეს. უცებ განთიადის გრილი ჰაერი დაიხუთა, ადამიანებს სუნთქვა შეეკრათ და ღაპა-ღუპით გადმოსცვივდათ ცრემლები. ქალბატონ ვერონიკას სული შეეხუთა, ქარის ამოსაღებად ქოშინით შეჩერდა, რომ მოსულიერებულიყო. შარფიანი ხელი ცახცახით შეათამაშა და მის ირგვლივ შემოჯარულ ჯარისკაცების წინ გაქვავდა. ერთმა ჯარისკაცმა ყურადღებით შეათვალიერა ქალბატონი ვერონიკა, მოხერხებულად ჩაბღუჯა ნიჩაბი, ელვისებური სიჩქარით აღმართა და, რაც ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ლონე ჰქონდა, კეფაში ჩასცხო:

— ესეც შენ სტალინისათვის!...

ქალბატონი ვერონიკა შეტოკდა, ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა ჯარისკაცს და როგორც შემოდგომის გამხმარი ფოთოლი დაეშვება ხოლმე ძირს, ისე მოწყვეტილი და სასომიხდილი ნელა დაეშვა მარადიულობის წინაშე. ცოტა ხანს იყო უძრავად, ჯერ პირქვე იწვა, მერე ვიდრე ილაჯგაწყვეტილი სიცოცხლე საბოლოოდ გამოვიდოდა მისი ბებრული სხეულიდან, გულაღმა გადაბრუნდა. და ა[illegible]ლია, მაგრამ ჩანაელული თ[illegible] ავლო გაზაფხულის რიჟრაჟით სავსე ცას, იმ ცას, სადაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამქრალიყო მისი ბედის ვარსკვლავი.

— ისევ სტალინისათვის?!.. — ესღა გაუელვა, მერე უმოწყალოდ დასახიჩრებული თავი სისხლის გუბეში ჩაუვარდა, გაიქიმა და, ჩუმად კვნესაც რომ ალარ დასცდენია, სხვა სამყაროში გადასახლდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

ხმა — ადამიანს

ხმა ადამიანს წინ მიუძღვება,
ხმა — ადამიანს.
თვითონ რომ არ ჩანს —
კიბის თავში რომ არის
ან მოფარებულში —
ხმა უკვე იმის სახეს გვიხატავს.

უკვე ძნელია, უკვე ბედია!

უკვე ძნელია,
უკვე ბედია!
ჩემი ბედია —
მე ჩემი მიყვარს!

თუმც შეიძლება
ამ ერთგულებამ
მთელი სიცოცხლე
ჭატაროს ბრიყვად.

აი, აქა ვარ,
უძრავად ვწევარ,
ჩამოეშვი და
ჩამომეწვეთე,
ზედ გულის კოვზზე
საძრომი ჰპოვე
და ხანჯალივით
სულში მეკვეთე.

ხმით დამენახვე,
რომ გავიგონო,
დაეძრა სხეული,
(თვალს რად მარიდებ!)

ხომ ხედავ, რაც ვარ,
ხვალ დილა არის,
უნდა ავდგე და
ხალხში გავიდე...

უჩინმაჩინად
როგორ გიხილო,
მე უძალო ვარ,
შენ შეგიძლია,
სხეული ჩემი
ავადმყოფია,
მარცხნივ გულია,
მარჯვნივ ღვიძლია...

ჩამხედე სულში!
არ მყავს არავინ,
გვერდით
მოხუცი
მიკვნესის დედა,
ერთგულად ველი
ჩვენებას შენსას,
მაგრამ მარტოდენ
კოშმარებს ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცა მაინც გულს დაგაკლდება

რაღაცა მაინც გულს დაგაკლდება,
რაც გინდა გყავდეს ნაალერსები —
ქალი,
და მაინც
მშიერი რჩები,
რაც გინდა აქონ
შენი ლექსები.

ისეთი ლექსი არ იწერება,
რომ ყველას კარვად გადაეფაროს,
მაშ ნეტავ რაღა გეიმედება
თავაღერილო
ლექსის მწერალო.

* * *

შენ, გადამფრენო ფრინველო,
ზეცას გაკრულო მძლევარო,
ამ ღამის მათენებელი
ერთი შენ,
ერთი მე ვარო,
ვილოცავ შენი გულისთვის,
ხელაპყრობილი ვდგეევარო.

როგორც მონიკა

სადაც კი ხელს გავიწოდებ,
ამომყვება —
კენტად,
ლოგინიდან, კარადიდან,
ჯიბიდანაც —
სევდა!..
მართალია
მიმატოვე,
თავს არ მოვიკლავ,
ვიქნები მეც
როგორც ყველა,
როგორც მონიკა...
კარგს შევჭამ და
კარგს გავიცლი
დღეებს დარჩენილს.
სადაც მინდა
იქ წავალ და
იმდენს დავრჩები.
თმას შევილებ,
დავიმაგრებ
ვერცხლის სარჭებით,
ისე, რომ არ მღირსებია
გავიპრანჭები,
თქვან შენზე თუ — სულელია,
ამას ვინ სჯობდა,
სიბერეში დაუწყია
ყმაწვილ-ბიჭობა...
ავივსები სხვათა მზერით,
თავგამეტებით,
შენი მეგობარი-მტრების
კომპლიმენტებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ღამით რომ დავწვები,
მარტო დავრჩები,
ვიტყვი, ნეტავ რას დავდივარ,
რას ვიხარჯები.

ისევ ჩემს ბედს შევებმები,
შეევეაჭრები...
ვიდრე კვლავ არ შემიტყუებს
დილის ფანჯრები.

ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ილაპარაკებ...

ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ილაპარაკებ,
ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ...

როცა უეცრად დაინახე ამ დილის თოვლი,
მიხვდი, რომ იმან რაღაცის თქმა ისევ დაგასწრო,
როგორც წვიმა გასწრებდა ხოლმე...
კვირტის გაფურჩქვნა...

მაგრამ იმათ რომ
თავის თავის წაშლაც იციან!

აბა, შენ სცადე,
სულ ყველაზე უმნიშვნელოდ ნათქვამ სიტყვის
გადავიწყება.

ყველა სიტყვა,
ყველა ცრემლი
აწონილია,
ამიტომაც გშურს — ბავშვის, თოვლის, წვიმის,
კვირტების,
რადგან სისინი რაღაცის თქმას მუდამ გასწრებენ.

ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ილაპარაკებ,
თუმც ყველაფერი მილიონჯერ დაწერილია,
ჰაერშია ყველა ნამყოფი —
ჩიტის ფრთაც და ფოთლის სიმწვანეც
და ყველა სიტყვაც...
და რაც ძველია —
მით უფრო მეტად ლამაზია, მართალია
და სარწმუნოა.

ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ილაპარაკებ..
თუმცა თოვლი, წვიმა, ჩიტის ფრთა და
ბავშვის ტირილი
ისევ და ისევ შეგახსენებს, ისევ და ისევ —
რომ ყოველ დილით ადგები და გარეთ გამოხვალ,
ბავშვს გაუცინებ, წვიმას სადმე გადაიწვიმებ
და უცაბედად, და ცხადია, შენს უნებურად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ თოვლზე და ძველ ბალახზე,
ძველ წვიმაზე, ძველ გაზაფხულზე
ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ილაპარაკებ,
ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ

საგანი იკარგება თავის თავის ძებნაში

რატომ დაინგრა №-თა სიყვარული?
რატომ გატყდა ბროლის ლარნაკი?

საგანი იკარგება თავის თავის ძებნაში,

როცა ფასს დააკლებენ,
როცა ალერსს, სიყვარულს,
როცა გზას გაუყვება თავის თავის საძებრად.

გზა

ორმა — რომლებმაც არ იციან ცხოვრება
და სამმა,
რომლებმაც არ იციან ცხოვრება,
ერთმანეთი უნდა შეიყვარონ.

მე მინდა გიამბო შენ იმის შესაწებ...

მე მინდა გიამბო შენ იმის შესახებ,
თუ რად გადაიქცა ჩვენი სიყვარული,
როდესაც იგი გულებიდან ამოვიგლიჯეთ
და გარეთ გავაგდეთ.

მე მინდა გიამბო მწუხარე ამბავი
უპატრონო, ერთგული ძაღლისა.

შენ კი, სამყაროს სადღაც წერტილში რომ განისვენებ,
დაჯექ და ისმინე
შენი წილი სამართალი და ბრალის დება.

პირველ ხანებში
მას ჯერ კიდევ უბზინავდა მოვლილი ბეწვი,
მაგრამ ქალაქმა მერე თავის ხელი დაადო
და ახლა მისთვის ყველა ქარი უდიერია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი კარიდან გამოღწეულს მეორე ხვდება
და არა აქვს დასასრული მათ გაღებ-დაკეტვას.

როგორც არა აქვს დასასრული ჩვენს შესვლა-გამოსვლებს
და ჩვენს სულელურ საქციელებს და ჩვენს საქმეებს.

მე მინდა გიამბო მწუხარე ამბავი
უპატრონო, ერთგული ძაღლისა,
ყოველ დღე რომ გეგებება გარეთ გამოსულს
და უხმოდ ჩავლილს ცრემლიანი თვალით გაცილებს.

მე მინდა გიამბო მწუხარე ამბავი
ბედის დაცინვის, საძაგლობის, უზნეობისა,
რადგან ქალაქმა მურიანი ხელი დამადო
და გამომცვალა ღამის შიშმა და დღის შიმშილმა.

მე მინდა გიამბო მწუხარე ამბავი
უპატრონო, საწყალი ძაღლისა,
რომელსაც მარტოდენ თვალებიღა შემორჩა ძველი —

მე მინდა გიამბო მწუხარე ამბავი
უპატრონო, ერთგული ძაღლისა,
მე მინდა გიამბო, მე მინდა გიამბო,
მე მინდა გიამბო... და ასე შემდეგ...

ვიდრე არ გაგიქდა, ვიდრე არ გაცოფდა,
ვიდრე მხოლოდ კვნესის და მხოლოდ წკავწკავებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია სარიშვილი

* * *

...შემომხედე, ზამთარო...
მე ჭურდი ვარ,
საკუთარ სხეულს აუღელვებლად ვპარავ ტკივილებს,
და ნაცვლად იმისა,
შენ მოგიგდო გადასათელად,
მოწყენილი ჩიტებივით
სულში ვინახავ სევდის კვირტებად...
შემომხედე, ზამთარო...
იქნება ერთხელ მეც მოვადგე
შენს ძლიერ მკლავებს
და გთხოვო ყინვის შოლტებით ცემა...
... შემომხედე, ზამთარო..
და დამიმახსოვრე...

* * *

ჩემს ყვითელ აივანზე ჩამოიმსხვრა ღამე —
სამყაროს ლურჯი ხელისგული...
და დამიბრუნდა გუშინდელი შუადღე —
ბზისფერი თვალებით...
... და როცა ქალაქი ხედავდა საშინელ სიზმარს,
რომელიც ახდენით იმუქრებოდა...
... როცა ყველა საწოლთან
ფრიალებდა სიჩუმის იისფერი დროშა,..
მე ვცეკვავდი ღამის ლურჯ ნამსხვრევებზე
და ბზისფერი თვალებით მეფერებოდა
გუშინდელი მზე...

* * *

... რას დამათრობდა ასე წყალ-წყალა სიზმარი,
წვეთ-წვეთობით რომ გამოვწურე გულბრმა ოცნებას,
მაგრამ დავდუმდი, რადგან ვიცოდი,
ურჩ ტკივილთა მწყემსი ვიყავი
და სადედოფლო არც სიზმარი არ მერგებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

...როგორ წამოგყვე ასე თვალებნაწვიმარი...
ვინ დამიჯერებს, რომ შენი შვილი ვარ, გაზაფხულო...
... როგორ წამოგყვე ასე ოცნებამკვდარი...
ვინ დამიჯერებს, რომ ქალი კი არა,
ტკივილების ქვეყანა ვარ —
ხმაურიანი, ცივი, ჭრელი...
... ვიცოდი, ერთხელ მოგიყვანდა ღამის პეპელა...
მოგიყვებოდა, რომ მარტო ვცხოვრობ და ვნაღვლიანობ...
მოგიყვებოდა, მე, მარტოხელა, ყოველდღიურად, დაუწერელი წერილებით
როგორ ვმძიმდები...
როგორ მაშინებს მუნჯი ოთახი ავადმყოფურად დაღლილი მხრებით...
... ვიცოდი, ერთხელ მოგიყვანდა ღამის პეპელა
და გეტყოდა, წაიყვანეო,
მაგრამ მითხარი, როგორ გამოგყვე ნაქარბუქალი, ნაწვიმარი, მღვრიე
თვალებით...
ვინ დამიჯერებს, რომ შენი შვილი ვარ, გაზაფხულო...

* * *

... მე დავიღალე...
ვხუჭავ თვალებს-ვხუჭავ ორივე ღია სამარეს და ვუცდი,
როდის შეიწოვს გული
ამ კიდევ ერთი ხრიოკი და ფერდაცლილი დღის პეიზაჟებს...
ხერხემალში კი უხსენებლის სახლდება სული
და უწვრილესი, უმხურვალესი ენით მილოკავს
მშიშარა ბეჭებს...
ვერ დავამშვიდე, ვერ შევარიგე გაყინული ხელის მტევნები —
გაუგონარი სისასტიკით სრესენ ერთმანეთს...
...ეს მე კი არა, სიცხიანივით ბოდავს ლოგინი...
და გულუბრყვილოდ ელოდება ბებერ მეზღაპრეს...
... მე დავიღალე...
მარმარილოს თეთრ საღამურში კივის სხეული...
გადამკვდრისფერდა მთელი სამყარო...
ხოლო ამ ძარღვთა ბნელ დერეფანში
სისხლის ნაცვლად მოწვეთავს სიტყვა „სიმარტოვე"..
... მე დავიღალე..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

მასალა აღებულია საოჯახო არქივიდან. ნარკვევში გამოყენებულია აგ გან ... ბული დების თინა და მზინ გოთუების ჩანაწერები და ნაამბობი.

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება ნათელი, წარუშლელი კვალია სამშობლოს სადიდებლად. ასეთი გახლდათ მწერალი ლევან გოთუა. მან თავის ცხოვრების ერთი მესამედი — 66 წლიდან 22 წელი სამშობლოს მიღმა პატიმრობაში, საკონცენტრაციო ბანაკებში, კატორღასა და, ეგრეთწოდებულ, გაწვალებულ თავისუფალ გადასახლებაში გაატარა.

მიუხედავად მისი უსამართლო დევნისა, დასჯისა, წვალება-წამებისა, რითაც ცდილობდნენ მის დაუძლურებას, დაბეჩავებას, სულიერად თუ ფიზიკურად განადგურებას, თვითმკვლელობამდე მიყვანას, ლევანმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა ადამიანობა, არ დაპკარგა სულის სიფაქიზე და სიკეთის რწმენა, ფიზიკური და მორალური სიძლიერე, შრომისუნარიანობა, სამშობლოს უზადო სიყვარული და ერისკაცობის ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობა.

ლევანის ბედი ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა და სრულიად შემთხვევით გადარჩენია სიკვდილს.

ადვილად შეიძლებოდა მისი ცხოვრება უდროოდ დასრულებულიყო პატიმრობაში. ამის პირობა ყოველმხრივ ხელოვნურად იყო შექმნილი. ვინ მოსთვლის, რამდენი უდანაშაულო პატიმარი შეეწირა უსამართლო განაჩენს. ლევანს კი გადასახლების მთელ ჯამს სიმართლის გამარჯვების იმედი ასულდგმულებდა.

„რატომ, რისთვის? სულ ამას ვფიქრობ! მე და სამშობლოს ღალატი? — ეს კითხვა ვერ ამიხსნია, ვერ გამიგია! სამშობლო იმიტომ მიყვარს ძალიან, რომ მისგან ასე შორსა ვარ! თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძლიერად მიყვარს! — ბოლომით იწერებოდა ის, თუმცა სწამდა, რომ: „ჩემს კისერზე იმდენი ორომტრიალი ამოგორდა და გადაიყარა, მჯერა, სადმე ცისარტყელა დამხედავსო".

ბორიტებასთან ბრძოლით, სიმართლის გამარჯვების, სიკეთის რწმენითა და მომავლის იმედით: განვლო ლევანმა პატიმრობისა და გადასახლების წლები.

„თუ ისევ მოვიხდა ცხოვრების თავიდან დაწყება, კიდევ მოვახერხებ მთელი გულით სიყვარული გადაგიშალოთ. ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მელოდეთ! უსათუოდ გამიმართლებს იმედი" — იწერებოდა იგი.

სოლოვეცკის მონასტრიდან ნარიმის ოლქიდან და ვორკუტადან (კომის რესპ.), იქიდან, სადაც ლევანი გადასახლებაში იმყოფებოდა, შემოინახა ოჯახში მის მიერ მოწერილი წერილები. მათში ასახულია ბანაკში ცხოვრების უკიდურესი ჭირ-ვარამი, უდანაშაულო პატიმართა არაადამიანური დამცირებები და მათი განცდები.

გადავწყვიტეთ ამ მასალის გამოყენებით, შეძლებისდაგვარად, საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას გავაცნოთ მწერალ ლევან გოთუას ცხოვრების ეს მძიმე და მრავალთათვის უცნობი მონაკვეთი.

ლევანის და-ძმა — თამარ და ალექსანდრე გოთუები.

პირველი ნაწილი

ლევან გოთუა დაიბადა 1905 წლის 10 მარტს ქალაქ თბილისში, საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ოჯახში. სანამ ლევანის ბავშვობის აღწერაზე გადავიდოდეთ, გვინდა რამდენიმე ცნობა მოგაწოდოთ ჩვენს ოჯახზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა — პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა, დაიბადა სოფელ ძიმითში 1873 წელს, წარჩინებულ ოჯახში. ჩვენი პაპა ალექსანდრე საშუალო განათლების მქონე, ფიზიკურად ახოვანი, წარმოსადეგი კაცი იყო, გამოირჩეოდა ენამახვილობით, სტუმარ-მასპინძლობით, ვაჟკაცობით და გამბედაობით. ოსმალებთან ბრძოლაში მონაწილეობისა და სიმამაცისათვის დაჯილდოებული იყო გიორგის ჯვრით.

ალექსანდრეს ძიმითში საკმარისად დიდი მამული ჰქონდა, დაწყებული მთის კორტოხიდან, გათავებული მდინარე სუფსის ნაპირებით. ეხლა იქ კოლმეურნეობის ჭალებია, მაგრამ გოთუების მერიას სახელწოდება მაინც შემორჩა.

ტყის მთის წვერზე კოხტად შემოსკუპული ნაბლის ხის ორ სართულიანი ოდა იდგა. გარშემორტყმული ხეხილით დაბურული ბაღჩა-ბაღებით, ხეხილზე ასული ადესით, რომელიც დიდ მარანს ავსებდა და მადლიანი ღვინოც ინურებოდა. გარშემო ყველაფერი მოვლილი და კარგად გაშენებული იყო. თუმცა დიდი ოჯახი, მატერიალურ ხელმოკლეობას მაინც განიცდიდა.

ალექსანდრეს მეუღლე გახლდათ დიდგვარიანი ქალი — მარინე ერისთავი რაჭალეჩხუმიდან. მათ ჰყავდათ 5 შვილი, 3 ვაჟი და 2 ქალი. შვილების სულიერ და პიროვნულ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი დედას — მარინე ერისთავს მიუძღოდა. მან შვილებს ბავშვობიდანვე ჩაუნერგა შრომა, წიგნის სიკეთე და ლექსის სიყვარული. სამწუხაროდ, ის გურიაში მაშინ მეტად გავრცელებულმა სენმა — მალარიამ იმსხვერპლა.

პაპამ მეორე ცოლი შეირთო, განათლებული, კეთილი და გულისხმიერი ქალი — გოგოლა (ჟორდანია, ცნობილი ჟორდანიების ახლო ნათესავი, მან ღირსეული დედობა გაუწია გერებს.

შვილებიდან — მამა ადრე წამოვიდა სოფლიდან და სწავლა განათლების გზას გაჰყვა. მან საშუალო განათლება მიიღო ჯერ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. მას, როგორც ნიჭიერ მონაფეს, უმაღლესი განათლების მისაღებად გამოეყო კავკასიის სტიპენდია, გაიგზავნა რუსეთში და ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

მწერლობასა და ჟურნალისტიკაში პ. გოთუამ ჯერ კიდევ გიმნაზიის პერიოდში მოსინჯა თავი. ის თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასა" და „მწყემსში", სადაც ბეჭდავდა პატარ-პატარა ლექსებს, მერე [illegible] ლიტერატურულ მოღვაწეობ[illegible] მოაქვეყნა მოთხრობები და თარგმანები ჟურნალ „კვალსა" და „ჯეჯილში".

1897 წ. მამამ უნივერსიტეტი ნარჩინებით დაამთავრა. მისი სადიპლომო შრომა „Дворянские наказы во Франции" დაჯილდოდა პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს medlit. უნივერსიტეტის დირექციამ მას შესთავაზა კათედრაზე დარჩენა და ცოდნის გაღრმავება, მაგრამ კავკასიის სტიპენდიანტი რუსეთში აღარ დატოვეს და სამუშაოდ ქ. ვლადიკავკაზში გაამწესეს. მამა იქ ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიას, პედაგოგიკასა და მეთოდიკას. პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ქ. ვლადიკავკაზში მან გამოაქვეყნა სხვადასხვა ხასიათის პუბლიცისტური წერილები.

ცოდნის გასაღრმავებლად მამამ იმოგზაურა ავსტრია-უნგრეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში (პარიზში), სადაც ოთხი თვე იმუშავა ლუვრის საპარლამენტო არქივში.

ქ. ვლადიკავკაზში მუშაობის დროს ის აქტიურად იღვწოდა ქართული განათლებისა და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. მისი თაოსნობით იქ გაფართოვდა ქართული სკოლის შენობა, აშენდა სათეატრო დარბაზი, ბაღი, შეიქმნა ქართველ მსახიობთა დასი და მომღერალთა გუნდი, დაარსდა ჭრა-კერვის კურსები და სხვა.

1902-1903 წწ. მამა გადმოვიდა საცხოვრებლად თბილისში და დაოჯახდა. ნაყოფიერად მოღვაწეობდა ბეჭდვითი სიტყვის დარგში. შემდეგ თვითონ დააარსა გაზეთი „ოზროჟდენიე" და საკმარისად დიდი ხანი მას რედაქტორობდა.

ეს იყო რუსულად გამოცემული ქართული მიმართულების პროგრესიული გაზეთი, რომელსაც იმ დროისათვის დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. გაზეთი საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხს აცნობდა ქართველი ერის მსოფლმხედველობას და მის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მეფის მთავრობის პოლიტიკას საქართველოში. ამიტომაც გაზეთის რედაქცია მრავალჯერ დაიხურა და მამა რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. იჯდა ქუთაისის და მეტეხის ციხეებში. ორჯერ დახვრეტასაც რაღაცა სასწაულით გადაურჩა.

გაზეთს სასტიკად სდევნიდა ალიხანოვის რაზმი, რისთვისაც „ოზროჟდენიემ" ბევრჯერ გამოიცვალა სახელწოდება: „ზაკავკაზიე", „ვესტნიკ ოზროჟდენიე", „პროგრესი", „ტიფლის", „ნოვაია რეჩ", „ნოვოსტი ზაკავკაზია", „ზნანიე", „ობნოვლენიე" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა. მის რედაქტორსაც უხდებოდა სხვადასხვა ფსევდონიმის მოგონება: „აკორდი", „იუნიუსი" და სხვა ან ზოგჯერ ფიქტიური რედაქტორის გვარს ამოფარებული ციხიდანაც კი რედაქტორობდა გაზეთს.

1907 წელს მამა ქალაქის საბჭოს ხმოსნად აირჩიეს, სადაც 14 წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმე წამოიწყო და გააკეთა — საქართველოსთვის. იგი აქტიურად ჩაება თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის აშენების სამზადისში და 1913 წელს წიგნიც გამოსცა ამ თემაზე. მამა აგრეთვე ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. დაწერილი ჰქონდა რამდენიმე დრამა და გამოცემული მოთხრობების კრებული გურიის ცხოვრებიდან.

შემდგომში პ. გოთუამ საფუძვლიანად შეისწავლა ფინანსურ-ეკონომიური დარგიც და დიდი მონაწილეობა მიიღო თბილისში ცენტრალური და საქალაქო ბანკის ჩამოყალიბებაში. შემდეგ კი თვითონვე ჩაუდგა მათ სათავეში. მამას კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი საქართველოს ეკონომიკის განვითარების დარგში.

მამა არჩეული იყო საურთიერთო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად და სხვ.

შემდგომში მამა ცხოვრების უკანასკნელ დღემდე მუშაობდა „სმუსში" — ეკონომისტ-ფინანსისტად, მამულიშვილურ ზრუნვას იჩენდა საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ის აქტიურად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საწარმოთა მასიურ დაფანტვას, რისთვისაც ჰყავდა ბევრი მონინააღმდეგე.

მამას პოლიტიკური მრწამსი ყოველთვის ნაციონალ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო და, როგორც ამ პარტიის ერთერთი წევრი, ძალღონეს არ იშურებდა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ მამის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა 63 წლის ასაკში — 1936 წელს.

გოთუების ოჯახში შემონახული არქივი მოწმობს პართენ გოთუას პედაგოგიურ, პუბლიცისტურ, ლიტერატურულ, ეკონომიკურ, ფინანსურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ფართო ასპარეზს.

მამასთან თანამშრომლობდნენ და მეგობრობდნენ ჩვენი სამშობლოს გამოჩენილი ადამიანები: ლ. ბოცვაძე, გ. ნათაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ი. იმედაშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. მდივანი, ა. ყანჩელი, ნატალია გაბუნია-ცაგარელი, ივ. გომართელი, გ. ლასხიშვილი, დ. მიქელაძე, შ. ამირაჯიბი, კ. გეგელია, შიო ჩიტაძე, ს. კანდელაკი, ს. იაშვილი, ა. ქუთათელაძე, ლ. ლოლაშვილი, ა. თავდგირიძე, თ. სახოკია [illegible]

ნიკო და იაკობ ნიკოლაძეები [illegible] ლოესი მეგობრები იყვნენ. გარდა სულიერი კავშირისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აერთიანებდათ ასევე ახლო ნათესაური კავშირი.

ჩვენი დედა, სოფიო გრიგოლის ასული კემულარია, საშუალო ტანის მოხდენილი ქალი იყო, ფუფუნებაში გაზრდილი. უყვარდა კარგად ჩაცმა-დახურვა და სტუმარმასპინძლობა. ამას ხელს უწყობდა მათი შეძლებული ოჯახი ქუთაისში.

პაპა — გრიგოლ კემულარია დაიბადა სენაკში, გაჭირვებული გლეხის ოჯახში. ბავშვობაში სწავლა-განათლების ნიჭი გამოუჩენია და 15 წლის ასაკში სენაკიდან ქუთაისში გამოქცეულა და იქ განთქმულ ვაჭართან დაუწყია მუშაობა შეგირდად. შემდგომში მას ისე წარმატებით წარუმართია საქმე, რომ მერე თვითონ დამოუკიდებლად საქმიანობდა. საბოლოოდ კი გილდიის მქონე ვაჭარი გამხდარა, გაუხსნია ქარვასლაც.

მის საქმიანობასაც გარეგნული აღნაგობაც ეხმარებოდა: ძალიან მიმზიდველი და წარმოსადეგი კაცი იყო, კარგი მომღერალი და გიტარაზე დამკვრელი, რაც მთავარია, დიდად ნიჭიერიც უცხო ენების შესწავლაში.

სავაჭრო კარიერის დასაწყისში ჯერ რუსეთის განთქმულ ვაჭრებს დაუახლოვდა, შემდეგ კი საზღვარგარეთთან გააბა კავშირი. დაიწყო ქუთაისში ვარშავიდან, ვენიდან, ბერლინიდან და პარიზიდან საქონლის შემოზიდვა. თავისი რუსულ, ფრანგულ, გერმანული ენის ცოდნით გაითქვა სახელი.

საფრანგეთში ბევრი მეგობრებიც გაიჩინა, ბევრი საინტერესო თავგადასავალიც გადახდა. ერთერთი მაგალითია 1871 წელს საფრანგეთში ყოფნის დროს, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, პარიზის კომუნაში მოხვედრა და ბარიკადებზე ყოფნა. ამის გარდა გ. კემულარია ეწეოდა ქველმოქმედებას სწავლა-მოწყურებულ ხელმოკლე ახალგაზრდობასთან. უნიშნავდა სტიპენდიებს საზღვარგარეთ განათლების მისაღებად.

ჩვენი ბებია, ნინუცა ნიკოლაძე განათლებული ოჯახიდან იყო. მისი ძმა საქართველოში განთქმული სკულპტორი იაკობ ნიკოლაძეა, ხოლო ბიძაშვილი — ცნობილი პუბლიცისტი, პატრიოტი და დიდად საქმიანი კაცი ნიკო ნიკოლაძე. თვითონ ბებიაც განათლებული, თავმდაბალი, კეთილი და საუკეთესო მეოჯახე ქალი იყო.

გოთუების ოჯახს შემორჩა მისი შედგენილი ხელნაწერი წიგნი საჭმლის დამზადების, ხელსაქმეობასა და გარჯის წესებსა და

აგრეთვე სხვადასხვა ბალახებიდან წამლის მომზადების შესახებ.

ქუთაისის საზოგადოება ამ ოჯახს დიდ პატივს სცემდა, მათთან იკრიბებოდნენ იმ დროინდელი ინტელიგენტები. თუ სწავლული საზოგადოების ნელერები, გრიგოლს და ნინუცას ჰქონდათ იმის საშუალება, რომ მათი 3 შვილისათვის — ანეტასა, სოფიოსა და იოსებისათვის ცხოვრებაში არაფერი შეეზღუდათ, იქნებოდა ეს სწავლა-განათლება თუ საერთო განვითარება.

საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობასთან ერთად კემულარიების მთელმა ოჯახმა მოინახულეს საფრანგეთი და პარიზში ეიფელის კოშკის გახსნაზე და მსოფლიო გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა. ბიძამ იოსებმა შეერთო ფრანგი ქალი და 1920 წელს გადასახლდა პარიზში. იგი მეტად საქმიანი კაცი გამოდგა. შემდგომ ქალაქ ბორდოში გახსნა საკუთარი ბანკი. მას ჰყავს შვილი, უაღრესად განათლებული და სწავლული კლოდი დე კემულარია, რომელიც საფრანგეთის სახელმწიფო აპარატში პასუხისმგებელ თანამდებობაზე მუშაობს. ის საფრანგეთის რესპუბლიკის წარმომადგენელია გაერთიანებული ერების საბჭოში ქალაქ ნიუ-იორკში. ამჟამად კი საფრანგეთის პრეზიდენტის ბატონ მიტერანის მრჩეველია.

დედამ სოფიო კემულარიამ ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ბესტუჟევის ორწლიანი რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური კურსები დაამთავრა. საკმაოდ განათლებული ქალი გახლდათ. კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და მღეროდა გიტარაზე, იცოდა უცხო ენა — ფრანგული.

ხასიათებით დედა და მამა ავსებდნენ ერმანეთს.

მამა — გარეგნულად მაღალი, წარმოსადეგი ტანის, ქერა თმიანი, ცისფერთვალება, შემკული წვერულვაშით, ურთიერთობაში დინჯი, ჩუმი, უწყინარი, მეტისმეტად კეთილი და ქველმოქმედი იყო. თავისი ხელფასიდან ყოველთვის გადადებული ჰქონდა ფული ღარიბი სტუდენტებისათვის, წლების მანძილზე მათ ინახავდა და სტიპენდიის სახით უგზავნიდა.

მას ყველაფერში უყვარდა წესიერება. ახალგაზრდასთან თუ მოხუცთან იყო თანაბრად თავაზიანი და ჭირ-ვარამის გამზიარებელი, საქციელით ყველასათვის სამაგალითო. ხშირად იტყოდა: „ყველას თავისი სახე, აზრი და გონივრული ქცევა უნდა გქონდეთო" და ამ შეგნებით ზრდიდა შვილებს. არც ერთ შვილს არ ახსოვს მამის წონასწორობიდან გამოსვლა ან დაყვავება, მაგრამ ბავშვები მეტად მორიდებულნი ვიყვნით მასთან. ის იყო გოთუების ოჯახის უფროსი ლესი ხელისუფალი და მის სიტყვას, ყველა სათვის კანონის ძალა ჰქონდა.

როგორც მამა ხშირად იტყოდა ხოლმე, მე მოწაფეობა და სტუდენტობა მეტად გაჭირვებული და მძიმე შქონდაო, მინდა ამ მხრივ ჩემს შვილებს უკეთესი პირობები შევუქმნაო. მამას საოცარი საამო ხმა ჰქონდა და ტკბილი მოლაპარაკე იყო ხალისიანი სიცილით. ამ მხრივ მას შვილებიდან ლევანი ჰგავდა.

მამა ფუფუნებას არ ეტანებოდა და არც შვილებს ზედმეტად ანებივრებდა. თავიდანვე ბავშვებს უნერგავდა ცოდნის და შრომის სიყვარულს, პატიოსნებას და სიკეთის რწმენას.

ბავშვებს არ გვანებივრებდა ზედმეტი ჩაცმულობით, უცხო საკვებით თუ ფუფუნებით. ყოველივე ეს არ მიაჩნდა საჭიროდ ბავშვების სწორად აღზრდაში.

მოწაფეს — მოწაფური, სტუდენტს — სტუდენტური, შემდეგ კი თავისი შრომით და გარჯით შექმნილი, თვითშეგნებით როგორც უნდათ, ისე გამოიყენონო.

დედას უფრო განსხვავებული ხასიათიც ჰქონდა და გარეგნულადაც განსხვავდებოდა. საშუალო ტანის, ეოხტა, ლამაზი ქალი იყო. დიდი შავი თვალ-წარბით და თეთრი პირის სახით, ჩქარი და სხარტი პასუხი იცოდა. უყვარდა კარგი საზოგადოება და მათი პატივისცემა. ყოველ შაბათს 1 საათით კლუბში ეტლით წასვლა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. დედა ძალზე ყოჩაღი ქალი იყო, ყველაფერს ასწრებდა.

9 შვილი გააჩინა, ყველას ძუძუ თვითონ ანოვა, არცერთი ბავშვი აკვანში არ ჩაანვინა: ბავშვს ვერ გავთოკავო.

დედა არასდროს სამსახურში არ ყოფილა: „ბავშვების აღზრდას ხელს ვერ დავაკლებო".

მარტო მამა იყო სახელმწიფო სამსახურში და ფულის შემომტანი და ზოგჯერ მრავალრიცხოვან ოჯახში ხელმოკლეობაც იგრძნობოდა, თუმცა არ გვახსოვს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი დაგვკლებოდა. ხშირად გულდაწყვეტილი დედა მამას მიმართავდა: როგორ გართულდა ცხოვრების პირობები, მე კი შენ ოჯახის რჩენაში ვერ გეხმარები, არ ვმუშაობ, გადავყევი ბავშვებსო. მამა ანუგეშებდა ბავშვების სწორი აღზრდა სამშობლოს წინაშე ყველაზე უფრო დიდი და კეთილშობილური მოვალეობის მოხდაიო. ოჯახს 9 შვილი ჰყავდა, ჯერ 4 ვაჟი და ერთი ქალი მიეცათ. ესენი იყვნენ: არჩილი, ლევანი, სანდრო, შალიკო, თინა. შალიკო ადრე გარდაიცვალა. მერე ოჯახს ორი ქალიშვილი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეწყო. ისინი სულ პატარები დაიღუპნენ, და ბოლოს 10 წლის შემდეგ კიდევ 2 ქალიშვილი თამარი და მზია.

გოთუას დიდი ოჯახი, მარტო თავიანთი შვილების აღზრდაც არ ეყოფოდა. ჩვენთან ცხოვრობდნენ დედას მამიდაშვილი ლუბა კემულარია, შემდგომში კემულარიანათაძე, მეტად სწავლული და განათლებული ქალი პროფესორი ბოტანიკაში, მამას ქვრივი დის მადია ჭყონიას მრავალშვილიანი ოჯახიდან გრიშა, დავითი და მარო. დანარჩენმა მამიდაშვილებმა ნიკოლოზმა, ფაციამ, გოგუცამ, თამარმა და სამურამ თვითონ გაიკაფეს ცხოვრების გზა, საუკეთესო სპეციალისტები გახდნენ და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს. სამშობლოსათვის, ფაცია კი 1937 წელს შეეწირა.

პართენ გოთუას მადლი, სითბო და დახმარება ყოველთვის წვდებოდა ყველა სხვა ნათესავებსაც. გრიშა და დათიკო ჩვენ ბიჭებზე უფროსები იყვნენ, მაგრამ ძმებთან ძალიან კარგად მეგობრობდნენ. მარო კი მათი თანატოლი იყო და ხშირად მესაიდუმლეც ხდებოდა. ოჯახში მარო უფროსი დის მოვალეობასაც ასრულებდა, უმცროსებს თავზე გვევლებოდა და გვანებივრებდა. მარო გაბჭრიახი, გონიერი და ლამაზი გოგონა იყო მეტად ნიჭიერი და მშრომელი. მშობლებს ის განსაკუთრებულად უყვარდათ სულ სამაგალითოდ პყავდათ. ხშირად იმასაც იტყოდნენ კიდეც, ჩვენი გოგონები მაროს რომ დაემსგავსონ, ბედნიერება იქნებაო.

ჩვენს ოჯახში ყოველ ხუთშაბათს იმართებოდა მეგობრული თავყრილობანი. სტუმრად მოდიოდნენ ოჯახის მეგობრები, ნათესავები, მამას თანამშრომლები, ახალგაზდა მწერლები და სხვადასხვა საინტერესო ადამიანები. ისინი დიდი ქეიფის გარეშე ერთ ჭიქა ჩაიზე მიუსხდებოდნენ მრგვალ მაგიდას და მსჯელობდნენ იმდროინდელი საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე, მწერლები კითხულობდნენ თავის პირველ ნაწარმოებებს, ხდებოდა პოლიტიკურ აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დედ-მამა ყოველნაირად ცდილობდნენ საუკეთესო აღზრდა-განათლება მიეცათ შვილებისათვის. სკოლის გარეშე გვასწავლიდნენ უცხო ენებს, მუსიკასა და ცეკვას. დედა საათობით იჯდა ფორტეპიანოსთან და თვითოეულ ჩვენთაგანს დაკვრაში გვავარჯიშებდა. ლევანსა და სანდროს ვიოლინოზე დაკვრას მამას მეგობარი, კომპოზიტორი ყარაშვილი ასწავლიდა. აკომპანიმენტს კი დედა ასრულებდა, რასაც დიდი გულისყურითა და მონდომებით ეკიდებოდა. ჩემ შვილებს მინდა მუსიკის და ხელოვნების სიყვარული ჩავუნერგო, ეს მათ ხასიათს უფრო გააკეთილშობილებსო.

მამა ხშირად ეტყოდა ხოლმე [illegible] შვებს ნურაფერს ყვირილით ნუ დაუშლი, მათ ხასიათი ტკბილად გაუსნორე, არცერთი ბავშვი სიყვარულში არ გამოჰყო, გულის სითბო ყველას თანაბრად გაუნაწილე. მაინც შეიმჩნეოდა დედის უაღრესად დიდი სიყვარული პირველი შვილის არჩილის მიმართ. თვითონ არჩილი ამას იმსახურებდა კიდეც, ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული ნიჭით, ნათელი გონებით, სწავლით თუ სილამაზით.

ყველა ბავშვი გარდა სწავლისა, სახლშიც დასაქმებული იყო საოჯახო საქმეებით. უფროსებს არჩილს და ლევანს რიგრიგობით უხდებოდათ — პურის ყიდვა, სუფრის გაშლა და თავისი სათამაშოების წესრიგში მოყვანა-დალაგება.

ყველასათვის სავალდებულო იყო თვითონ ჩაეცვა და თავისი ლოგინი გაეწყო, აგრეთვე პატარებს დახმარებოდა ჩაცმა-დახურვაში. უფროსი ბიჭების სწავლის შემოწმება მამას ეკისრებოდა. ბიჭები, განსაკუთრებით კი არჩილი, ძალიან კეთილსინდისიერად მეცადინეობდნენ. ის ყველას ეხმარებოდა, არა მარტო ჩვენებს, არამედ თავის თანატოლებს და სკოლის ამხანაგებს, მას განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა ენებში. შეეძლო ქართული ტექსტი მაშინვე რუსულად ეთარგმნა ან რუსული ტექსტი გერმანულად წაეკითხა. ეს კი დამსწრეთა შორის ინვევდა დიდ გაკვირვებას. ბიჭებმა კარგად იცოდნენ აგრეთვე ფრანგული ენა.

ასაკის მიხედვით არჩილსა და ლევანს შორის სულ 2 წლის განსხვავება იყო, აღნაგობით ორივე მოსული მაღალი, მაგარი თითქმის ერთნაირები იყვნენ. სილამაზით არჩილი საერთოდ გამოირჩეოდა ჩვენი ოჯახის ბავშვებისგან. მას სწორი ნაკვთები ჰქონდა. დიდი, ლამაზი, შავი, გონიერი თვალები და რომაული ცხვირი. სახეს ულამაზებდა ფერმკრთალობა. დინჯი იყო და მოაზროვნე.

ლევანი — ძლიერ ხუჭუჭა შავთმიანი, პირმრგვალი და მსხვილნაკვთებიანი, მუდამ თვალგაბრწყინებული, ღონიერი, ცქვიტი, ხუმარა და ენამახვილი ყოველთვის თამაშობის მომგონი და მოთავე. ბიჭებში გამოირჩეოდა ღონით, ყველას ერეოდა ჭიდაობაში. იცოდა ამბის საუცხოო მოყოლა. ბავშვებს ძალიან უყვარდათ მისი ფანტასტიკური ამბების თუ ზღაპრების მოსმენა, რასაც ყვებოდა, რასაც იგონებდა, ყველაფერი ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო და ბავშვები პირდაღებული ვუსმენდით.

ნანახს, გაგონილს ისე შეთხზავდა, გადააკეთებდა და გვიამბობდა, ხან გვაცინებდა და

ხან გვაცინებდა ხასიათით კი უფროსი ბიჭები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. არჩილი მეტად დინჯი, წყნარი, ნიჭიერი და გონიერი ბიჭი იყო, ადრე შეისწავლა წერა-კითხვა — გატაცებული იყო წიგნების კითხვით.

მამამ ის სასწავლებლად ადრე მიიყვანა ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. იქ ყველა ბავშვებისაგან განსხვავდებოდა, და მალე სკოლის პირველ მონაფედ აღიარეს. არჩილი ყველას სიყვარულს იმსახურებდა. გატაცებული იყო გეოგრაფიით და მსოფლიო ლიტერატურით.

ლევანი ცელქი, ჩქარი და დაუდგრომელი ბიჭი იყო. ის ადრე მომწიფდა, ნიჭიერი და გონება გახსნილი, ყველაფერში მოთავე გახლდათ. მშობლები და მის გარშემო მყოფნი მისი მეხსიერებით ამაყობდნენ. თუ რამე წაეკითხა ან გაეგონა, აღარ ავიწყდებოდა. ყველა იმას კვირობდა — ამდენი ძველი თუ ახალი ამბები ამ პატარა თავში როგორ ეტევა და სამუდამოდ რჩებაო.

ლევანი კომერციულ სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ მეცადინეობით თავს მაინც და მაინც არ ინუხებდა, თუმცა, ყველას გასაკვირველად დავალება ყოველთვის კარგად იცოდა და უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა. ესეც ალბათ მისი ხალასი ნიჭისა და კარგი მეხსიერების შედეგი იყო.

ლევანს ძალიან უყვარდა ძველი ქართული ლიტერატურა და გატაცებული იყო საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიით.

მამა განსაკუთრებით მოითხოვდა სწავლაში პატიოსნებას ყოველთვის უმონმებდა დავალებების შესრულებას, მაგრამ არასდროს არ ეხმარებოდა. თვითონ უნდა დამოუკიდებლად გაიგოთო. უფროსი ბიჭები მეტად ნიჭიერები იყვნენ, კარგად სწავლობდნენ, არც მამას და არც დედას ამ მხრივ სკოლიდან არ აწუხებდნენ.

როგორც დედა, ისე მამა ბავშვებისაგან მოითხოვდნენ სიმართლეს და სინმინდეს.

ერთხელ ლევანს დაავალეს კვერცხის ყიდვა, მან 10 კვერცხის ნაცვლად 9 მოიტანა. ბავშვებმა დავცინეთ თვალა არ იცი, მეორე დღეს ათი კვერცხის მაგივრად ლევანმა 11 მოიტანა, ამაზე კი დედა მეტად გაუჯავრდა, ოჯახის ყველა წევრის თანდასწრებით. მან ყველას აუხსნა, თუ რა იგულისხმებოდა ამ საქციელში. ზედმეტი კვერცხი ლევანმა დედას თანდასწრებით უკან წაიღო.

არც ნაკლები ან ზედმეტი ხურდის მოტანა არ შეიძლებოდა, ყველაფერს წინასწარ გაანგარიშება სჭირდებაო, თუ მოლარეს შეეშალა, შენ ხომ იცი ანგარიშიო — იტყოდა დედა.

სანამ მამა მოვიდოდა, ყველა დედას ეუჯერებდით, შემდეგ კი მამას [illegible] თვალებში. მამა რომ სახლ[illegible] ჩუმად ვიყავით, ჩურჩულით [illegible] და მუშაობას არ ვუშლიდით და როდესაც მამა ისვენებდა 3-დან 4 საათამდე, ყველა ჩვენთაგანი კითხულობდა ან ისვენებდა. არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. შემდეგ კი, თუ მამა გაგვეხუმრებოდა, ისეთ ალიაქოთს ავტეხდით, რომ ომიანობა გეგონებოდათ.

ჯერ მთანმინდაზე ნიალერის ქუჩაზე I სართულზე ვცხოვრობდით, აქ 5-ოთახიანი პატარა ბინა გვქონდა. სახლის წინ დახურული ეზოთი, სადაც ბიჭები დარბოდნენ და ჩილიკა ჯოხს, დაჭერობანას, ლახტს, დამალობანას და ფირალობას თამაშობდნენ.

1920 წელს კი მამამ იყიდა ბებუთოვის (ეხლა ენგელსის) ქუჩაზე მთლიანად მეორე სართული, უკვე შვიდოთახიანი დიდი და ნათელი ბინა გვქონდა. ცალკე თავისი სათავსოებით და დიდი აივნით, ბიჭებს გამოეყოთ თავისი ოთახები, გოგონებს თავისი, დიდი სასტუმრო, დედას და მამას საძინებელი, მამის სამუშაო ოთახი. მოვთავსდით ძალიან კარგად. სახლის წინ მშვენიერი სუფთა დიდი ეზოა, რომელიც სოლოლაკის მთის კლდოვანი ძირით მთავრდება. მთის იქით კი ბოტანიკური ბაღია.

მამა ხშირად ამბობდა, რომ ჩვენ აივანზე მიკრო კლიმატია, სუფთა პაერით, სიო ყოველთვის მოპქრისო კოჯრიდან.

ბიჭები რომ ნამოიზარდნენ, სპორტით დაინტერესდნენ, ჯერ ფეხბურთს თამაშობდნენ. მერე მამამ ისინი შეკარდენში მიიყვანა. იქ ჩვენი ახლო ნათესავი გიორგი ნიკოლაძე მოღვაწეობდა, მაგრამ ბიჭების სპორტული გატაცება ტანვარჯიშში ადრე დამთავრდა. არჩილს არ მოეწონა, ლევანი კი ტანვარჯიშისათვის საკმარისად მოუქნელი და მძიმე აღმოჩნდა. მამამ მათ ველოსიპედი უყიდა. ველოსიპედით არჩილი უფრო კარგად დადიოდა, ლევანი ხშირად ამბობდა, რომ „საკვირველია, სწორედ მაშინ როდესაც მინდა სწორედ გავიარო ან ვინმეს თავი მოვაწონო, მაშინ ჩემი ველოსიპედი გვერდზე გაუხვევს და ჩამომაგდებსო". შემდეგში მამამ მანქანა „მერცედესი" შეიძინა და მთელი ოჯახი ერთად დავდიოდით ქალაქში თუ აგარაკზე.

მამასთან ხშირად დადიოდა მისი ყოფილი სტუდენტი ალიოშა კალანდაძე. ყოველ მხრივ სასიამოვნოდ შემკული კაცი, გარეგნული აღნაგობით თუ სწავლა-განათლებით. მართალია ის ძმებზე უფროსი იყო, მაგრამ მათთან კარგად მეგობრობდა. ხშირად ესაუბრებოდა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე და პოლიტიკაზე. ბიჭები ამაყობდნენ მასთან მეგობრობით. ალიოშა კალანდაძე ჭეშმარიტი პატრიოტი კაცი იყო, აწუხებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ის ზოგჯერ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მსოფლმხედველობას იზიარებდა. კარგად იცოდა მარქსის მოძღვრება და ყველა როგორც ახალგაზრდა მარქსისტს ისე იცნობდა. ზოგჯერ მთავრობისაგან ბევრი უსიამოვნება ხვდებოდა. ზოგჯერ დევნიდნენ და აპატიმრებდნენ კიდეც. პერიოდულად უხდებოდა არალეგალურ ცხოვრებაზე გადასვლა.

ალიოშა და მაროც მეგობრობდნენ, მერე კი მათი მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. შემდეგ კი ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს შეუღლება. მამა ამის წინააღმდეგი იყო. თვლიდა, რომ მაროსთვის გათხოვება ჯერ ადრეა, მისგან მოითხოვდა უმაღლესი სწავლის დამთავრებას და რაც მთავარია აწუხებდა ალიოშას არასახარბიელო მდგომარეობა. ახალგაზრდებმა მაინც თავიანთი ამბავი გადაწყვიტეს.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭები ერთმანეთში აღელვებული ჩურჩულებდნენ: „მარო ალიოშამ წაიყვანაო“.

საღამოზე დიდი მოწიწებითა და ბოდიშებით მამას გამოეცხადა სიძე ალიოშა და მთელი ოჯახი მიგვიწვია ქორწილზე. ბიჭებს ქორწილისთვის ახალი ბლუზები შეუკერეს, გოგონებს კი მშვენიერი ახალი ჭრელი კაბები. ქორწილი ალიოშას მეგობრის ოჯახში, გოგოლის ქუჩაზე იყო. ჩვენი მთელი ოჯახი, დიდიან პატარიანად, ჩვენი მანქანით დანიშნულ დროს იქ ვიყავით, დიდი სუფრა იყო გაშლილი. ჩიტის რძეც კი არ აკლდა. ქორწილში ხალხმრავლობა და მხიარულება დაგვხვდა. თამადამ იმ წუთშივე გულმხურვალედ და დიდი მოწიწებით ჩვენი ოჯახის საღღეგრძელო დალია. მამაზე რა ქება და დიდება არ ითქვა, ვინ მოსთვლის! ყველა ვხარობდით, განსაკუთრებით ამაყობდნენ არჩილი, ლევანი და სანდრო. მარო სუფრის თავში მარტო იჯდა, ახალ, თეთრ კაბაში გამოწყობილი, დიდი სიყვარულით მას გარს უვლიდნენ არჩილი და განსაკუთრებით ლევანი, რომელიც ამ ქორწილით მეტად აღფრთოვანებული და აღელვებული იყვნენ.

— სიძე სად არის, სიძე არ სჩანს, ქორწილი უსიძოდ? — ისმოდა აქეთ-იქიდან შეშფოთებული ჩურჩული, რაც ჩვენ ყველას გვაღელვებდა. სიძე გვიან გამოჩნდა ახალ კოსტუმში, შავსათვალეებიანი. სტუმრები გადაკოცნა, მიიღო მილოცვები, აღუთქვა ყველას სამაგალითო სიძეობა და კარგი ოჯახის შექმნა.

შუა ღამეს მამამ და დედამ ბავშვების სახლში წაყვანა დააპირეს. ლევანი გაგზავნეს მანქანის დასახედად. ლევანი ქუჩიდან აღელვებული ამობრუნდა და მამას მოახსენა, ვიღაცა ხალხი ჩვენ მანქანასთან დგასო. მამა მიხვდა რაშიც იყო საქმე, აცნობა ალიოშას და ალიოშას, მაგრამ უკვე გვიანი იყო. 7 კაცი ოთახში უცებ შემოვარდნენ და ქორწილი შეაწყვეტინეს. ალიოშა და ორი სტუმარი დააპატიმრეს. სუფრა აირია, ხალხი შეწუხდა, ქალები აწიოკდნენ, ატყდა ერთი ალიაქოთი.

უცებ თამადამ მჭექარე ხმით დაიქუხა — „მე თამადა ვარ, ამ სუფრის ბატონ-პატრონი და ყველა შესდექით!“ ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ყველა დაიძაბა მოყვარე თუ მტერი გაშეშდა, ჩაჩუმდა.

— მოდით ნეფე-პატარძალს გაუმარჯოს. ისევ შევსვათ მათი სადღეგრძელო, ვინ იცის, იქნებ სიძეს შორი გზა ელის. აბა, მერიქიფეებო, ყველას დაუსხით ღვინო, მოყვარესა თუ მტერს. ნეფე-პატარძალს დღეგრძელობა და გამრავლება! ელვის სისწრაფით ჩეკისტების ხელში ღვინით სავსე ჭიქები გაჩნდა. ყველამ ნეფე-პატარძალი ადღეგრძელა. ღვინო დაილია.

— ეხლა შემოსწრებულების იყოს! — შემოსძახა როლში შესულმა თამადამ, — მართალია თქვენ მტრადა ხართ აქ მოსული, — მიმართა მან ჩეკისტებს — არაადამიანურად სხვისი ჭკუით მოქმედებთ, პატრიოტებს აპატიმრებთ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ სადღაც ადამიანები ხართ. მართალია გული და სიკეთე არა გაქვთ, ღმერთმა არ მოგცათ და თქვენი რა ბრალიაო.

ჩეკისტებმა ნათქვამი გადაყალპეს და ღვინოც დააყოლეს.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ამას რას ისმენს ჩემი ყურები! — შეძრწუნებით გაპკიოდა ვიღაც ხანში შესული სტუმარი, — მტერი და მოყვარე ერთად ადღეგრძელებენ დასაჭერ ნეფეს და პატარძალს. ისინი ხომ სწორედ ამ ახალი ოჯახის დასანგრევად მოვიდნენო. სად არის სამართალი? ეს არის ჩვენი ცხოვრება? ეს რა დროში ვცხოვრობთ?

პატიმრები წაიყვანეს. სტუმრები და ბინა გაჩხრიკეს, რის შემდეგ ხალხი სახლში გაუშვეს.

მერე ჩვენი მანქანით დედა და ჩვენ ბავშვები სახლში მიგვიყვანეს. მამა, არჩილი და ლევანი კი ჩეკაში ძერჟინსკის ქუჩაზე წაიყვანეს. მამა აწყნარებდა დედას: ნუ გეშინია, ყველაფერს გაარკვევენ და გამოგვიშვებენო. მათ ალბათ პოლიტიკური თავშეყრა ეგონათ და არ ელოდნენ ნამდვილი ქორწილის დახვედრას. მეორე დღეს საღამოზე მამა, არჩილი და ლევანი სახლში გამოუშვეს. მართალია ლევანი სრულიად ბავშვი იყო, ეს იყო მისი არა ხანგრძლივი, პირველი დაპატიმრება, მაგრამ „ჩეკაში“ სადღაც ჩაიწერა მისი სახელი და სადღაც აღინიშნა კიდეც.

მეორე დღეს მაროც სახლში დაბრუნდა ტირილით, თვალებ და სახე დასიებული.

თბილისში კი სასტიკი ხმები დაირხა: ახლანდელ დაჭერას ციმბირის აჩრდილი თან სდევსო, გამორიცხული არ არის სრულიად უდანაშაულო მსხვერპლიცო.

საბედნიეროდ ალიოშა რამდენიმე თვეში გამოუშვეს და მან დიდი სიხარულით თავის მაროს მოაკითხა. მათ შექმნეს მშვენიერი ქართული ოჯახი, და პატარა ლამაზი გოგონა ლეილაც შეეძინათ.

1937 წელს ოჯახის ბედი ისევ უკუღმა დატრიალდა, ოჯახი აირია. ალიოშა კალანდაძე ასეთი პრინციპული, საუკეთესო სპეციალისტი, ნიჭიერი, ნამდვილი პატრიოტი და მამულიშვილი, დააპატიმრეს და გააქრეს. ოჯახი დაარბიეს, ყველაფერი წაართვეს, მარო პატარა ლეილათი სარდაფში გადაასახლეს და დაპატიმრებითაც დაემუქრნენ.

ოჯახში ბავშვების აღზრდა მაინც ერთგვარ ჩარჩოში იყო მოთავსებული. მართალია ეზოში გვიშვებდნენ, მაგრამ უმეტეს დროს სახლში სწავლა-განათლების მიღებაში ვატარებდით. საზაფხულო არდადეგების დროს კი ნამდვილად გვქონდა სრული თავისუფლება და ბუნების წიაღში ვლაღობდით.

ბავშვები ზაფხულს ხშირად სოფელ ძიმითში ვატარებდით. იქ ჩვენს მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ბებია გოგოლა, ბიცოლა ნატაშა ღლენტი და ბიძაშვილები ქეთო, ვენერა და კიკა გოთუა. მომავალში სამივე შესანიშნავი მოქალაქეები, სწავლულები და სპეციალისტები იყვნენ. კიკა სამამულო ომში დაიღუპა.

ჩვენი კარმიდამო ყველას მოგვწონდა. ანკარა წყარო იქვე ბაღის ბოლოს მოჩუხჩუხებდა, ისეთი ცივი, რომ ღამე იქ დატოვებული ბოსტნეული დილას გაყინული გვხვდებოდა. სახლის წინ ბაღის შუა გულში მამას დარგული ულამაზესი მაგნოლიას ხე მუდმივად ჰყვაოდა, და ჩვენ ბავშვები ამით ვამაყობდით. სახლის უკან სულ ახლოს საკმარისად დაბურული უღრანი ტყე იწყებოდა. უფროსი ბიჭები იქ დარბოდნენ კურდღლებზე და ტურებზე სანადიროდ. ბიჭებში ლევანი ყველაზე კარგი მონადირე გახლდათ. ტყეში ულამაზესი ღელეც ჩამოდიოდა. ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩანჩქერქვეშ დიდხანს დგომაზე. აქაც ლევანი ყველას სჯობნიდა.

კარმიდამო მდინარე სუფსას გადაჰყურებდა, ბიჭები ყოველ დღე იქ დადიოდნენ სათევზაოდ და საბანაოდ. აქაც ლევანის გამძლეობა და ცურვა ყველას აკვირვებდა.

ჩვენი კარმიდამოს ბოლო ემიჯნებოდა გარე მამიდების — კატოსა და მარიამ გოთუას შესანიშნავ სახლკარს. ჩვენსა და მათ კარმიდამოს ჰყოფდა პატარა ლეღვნარი, [illegible] იყო გადებული. ამ ოჯახებს [illegible] ნათესაური კავშირი ოდითვე მოდიოდა.

თვითონ მამიდები ახოვანი ქალები იყვნენ, გურიაში განთქმულნი თავიანთი განათლებითა და ჭკუით. სოფელში ყველა ლაპარაკობდა მათ გულკეთილობაზე, შრომის მოყვარეობაზე და სტუმარ-მასპინძლობაზე.

მამიდებთან მაშინ ცხოვრობდა მათი ძმის გიორგი გოთუას ცოლ-შვილი. გიორგი გენერალი იყო, ის რუსეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. „კადეტების კორპუსში" სწავლობდა მისი უფროსი შვილი გიორგი (გიგულა). ბოლშევიკების შემოსვლის დროს მენშევიკებმა ეს კორპუსი სწრაფად საზღვარგარეთ გაიყვანეს. გიორგი ბიძიამ ვერ მოახერხა რუსეთში დარჩენა. შესძლო მარტო ოჯახის გურიაში დებთან გამოგზავნა, იმ იმედით, რომ ის და უფროსი შვილი შემდგომში თვითონაც საქართველოში წამოვიდოდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დედა და ოთხი შვილი, ელენე, ნინო, თამარი და კოტე გოთუა, დიდი წვალებისა და გაჭირვების შემდეგ სოფელში ძლივს ჩამოვიდნენ. მამა-შვილი კი სამუდამოდ საზღვარგარეთ დარჩა და დაიკარგა.

ბავშვები წამოიზარდნენ, გადმოვიდნენ თბილისში, მიიღეს უმაღლესი სწავლა-განათლება და საუკეთესო სპეციალისტები გახდნენ. მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს სასიკეთოდ ემსახურნენ.

გენერალი გიორგი გოთუა წესიერი სწავლული და მებრძოლი კაცი იყო, მარშალ მალინოვსკის თავის წიგნში ის ქებით ჰყავს მოხსენებული. იგი იუგოსლავიაში გარდაიცვალა, ისე რომ სამშობლოს სიყვარული და საქართველოში დაბრუნების ოცნება ჩაყვა საფლავში. გიგულამ კი 40 წლის შემდეგ თავისი ცოლ-შვილით პირველად შესძლო თბილისში ჩამოსულიყო და შეხვედროდა თავის და-ძმებსა და ჩვენ ნათესავებს.

მამიდებს განსაკუთრებით უყვარდათ ლევანის სტუმრობა, მას თვლიდნენ მეტად გონიერ და ნიჭიერ ყმაწვილად და ყოველთვის თანატოლივით ექცეოდნენ, უყვებოდნენ ძველ ამბებს გურიის ცხოვრებიდან და ლევანიც დიდი გულისყურით უსმენდა.

სოფელ ძიმითს ახლოს ემიჯნებოდა საკმარისად დიდი, ლამაზი ნაწილი ზემო ძიმითი. იქ ჩვენი მამიდა მინადორა (კაკია) ცქიტიშვილი ცხოვრობდა თავისი ქმარ-შვილით. ზაფხულობით ხშირად დავდიოდით სტუმრად.

ამ ოჯახში ყოველთვის სასიამოვნო ურიამული ტრიალებდა. უფროსები — ბიჭიკო, დურმიშხანი და მარიამი ჩვენ უფროს ბიჭებთან მეგობრობდნენ. განსაკუთრებით ლე-

ვანს უყვარდა მათთან ახლო ურთიერთობა. მარიამი განათლებული, მწიგნობარი, ჭკვიანი ქალი იყო, არჩილთან და ლევანთან საერთო ენას ყოველთვის პოულობდა. ბიჭებს ძალიან უყვარდათ ბიჭიკოსთან და დურმიშხანთან ერთად ნადირობა, თევზაობა, ცელქობა, ოხუნჯობა, და რაც მთავარია, პოლიტიკაზე საუბარი. ჟულეტა კი უფრო თინასთან მეგობრობდა.

სოფელ ზემო ძიმითში ბიძას ივანე ცქიტიშვილის კარმიდამო თავისი სილამაზით და ხილსავსეობით განთქმული იყო. მამიდას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ძმის შვილების სტუმრობისას.

ზემო ძიმითში ჩვენი ერთ-ერთი სტუმრობის დროს საშინელ ღამეს შევესწარით. ძლიერმა ჭექა-ქუხილმა ყველანი გაგვაღვიძა და ფეხზე წამოგვყარა. შემდეგ კოკისპირული წვიმა დაიწყო. ძლიერი ქარიც ამოვარდა, აქცევდა იქაურობას. წარღვნა გეგონებოდათ, შეშინებული გავყურებდით კარმიდამოს. მამიდამ ჭრაქი აანთო. ბიჭები თითქოს და უფრო თამამად იქცეოდნენ, გოგონებმა კი მამიდის ლოგინს მივაშურეთ. წვიმა და ქარიშხალი დიდხანს გაგრძელდა, ბავშვებმა ვერა და ვერ დავიძინეთ. მოულოდნელად ძაღლებმა ატეხეს საშინელი გაბმული ყეფა. წუთში ბიძია ივანე ლოგინიდან წამოხტა და საწვიმარი მოიხურა, — ალბათ ჭექა-ქუხილმა და ქარიშხალმა ტყიდან ან დათვი გამოაგდო, ან, შესაძლებელია, ფირალები არიანო, — ჩაფიქრებით თქვა მან.

— მაინძელო, მაინძელო, გამოგვხედე! — მჭექარე ხმით შემოგვძახა ვიღაცამ.

უეცრად ელვის სინათლეზე ბიძია ივანემ ღობის იქით ადამიანის ლანდებსაც მოჰკრა თვალი.

ისინი სინათლემ მოიყვანა ჩვენთან, თორემ ამ ბნელ ღამეში აქ რას მოგვაგნებდნენ. „ბავშვებო, აბა ჩქარა თვალები დახუჭეთ, არ გაინძრეთ და მძინარეთ მოაჩვენეთ თავი!“ რა გაეწყობა აქ წინააღმდეგობა არ შეიძლება. ღმერთო გვიშველე! ბიძიამ ძაღლები დაამწყვდია და სამი ახოვანი ვაჟკაცი, სულ მთლად თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული და წვიმით დასველებული, სახლში შემოიყვანა. სამივეს შავი ყაბალახით თავი ჰქონდათ გაკრული და ხელში შავი ნაბდები ეჭირათ.

— სახლში ვინ არიან? — იკითხა ერთ ერთმა, ალბათ მათი უფროსი იყო.

— ბავშვები, რომლებსაც სძინავთ, და მე და ჩემი ცოლი, — მიუგო შეშინებულმა ბიძიამ.

შემოსულებმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, ჩვენთან სულ ახლოს საწოლთან მოვიდნენ. ჩვენ ყველა გავინაბეთ. ამასობაში ბიძია ივანემ ბუხარი ააგუზგუზა მამიდაჩემი საწოლიდან სწრაფად წამოხტა, პატარა სანთელი ფეხა მაგიდა ბუხრის წინ დაუდგა, ლევანი სახელდახელო სუფრა გაუშალა. ჩვენი გემრიელი ვახშმიდან დარჩენილი შემწვარი წიწილები, მჭადი, ყველი, ხაჭაპური, მწვანილი და პატარა დოქით ღვინო დაუდო და სუფრაზე მოიპატიჟა.

— ჩვენ თქვენ არ გერჩით, — განაცხადა ალბათ უფროსმა, — ჩვენ „ყაჩაღები“ კი არა, პოლიტიკური ფირალები ვართ, ვერჩით ამ წყობას და არასწორ პოლიტიკას. მალე წავალთ, უამინდობამ თქვენთან შემოგვყარა, ცოტას დავისვენებთ და გარიჟრაჟზე აქედან წავალთ. ამისთანა ამინდში ძაღლსაც არ გააგდებენ გარეთ.

— ერთი ბიჭი გარეთ გააჩერეთ კარებში, არ დაიძინოს, თუ რამე საეჭვო, ნახოს გაგვაგებინოს, დანარჩენი ბავშვები და ეს დედაკაცი აქედან გაგვაცალეთ, ჩვენ ცოლ-შვილს გვაგონებს და დარდი ისედაც ბევრი გვაქვს.

მამიდამ უცებ ყველა ბავშვი წამოგვყარა და მეორე ოთახში შეგვიყვანა. ბიჭიკოს ცოტახანში ლევანიც გვერდში ამოუდგა, ჩვენი რაინდი ბიჭები ფირალებს დარაჯობდნენ. მოსულებმა და ბიძია ივანემ პოლიტიკურ თემაზე დიდხანს ისაუბრეს.

ბიჭიკოს და ლევანს ესმოდათ მათი გულისწყრომა მთავრობაზე, უსამართლობაზე და არეულ ცხოვრებაზე.

სოფელ ძიმითიდან მშობლებმა ბავშვები კურორტ ბახმაროზე წაგვიყვანეს. მაშინ ბახმაროსკენ მეტად ვიწრო საცალფეხო ბილიკი გადიოდა. ეს ვიწრო გზა პირდაპირ კლდეს ეკვროდა ცალ მხარეზე, მეორე მხარეს კი თვალუწვდენი ღრმა უფსკრული ჩაუდიოდა. ხუთ ჯორ-ცხენს შეკაზმავდნენ, ხის კოთხოებს გადაკიდებდნენ, როგორც საპალნეს, რომლებსაც ჩალანდრები ერქვა, კოთხოებში უმცროსი ბავშვები ვიჯექით ხოლმე. მამა, დედა, არჩილი, ლევანი, სანდრო და გამყოლები ფეხით მიჰყვებოდნენ ქარავანს. ლევანი აღფრთოვანებული იყო ბუნების სილამაზით, ის თავს ვერ იკავებდა და აღტაცებით ხან მამას და ხან დედას მიმართავდა.

მთის წვერზე ბახმარო მართლაც რომ საოცარი სილამაზის ადგილია, შესანიშნავ უმანკო ნაძვნარში ჩაფლული, ალაგ-ალაგ ყვავილოვანი ტაფობებით, სადაც აქა-იქ კოპწია სახლებია ჩადგმული. მათ შორის ერთ-ერთი ბაბუაჩვენის აშენებული აგარაკია.

კარგად მოვეწყვეთ, თითქმის ბახმაროს შიგ შუა გულში, ტყეში ვცხოვრობდით. დღე საამური სიგრილე იყო, საღამოობით კი აცივდებოდა ხოლმე, ინთებოდა ღუმელები. პატარებს სახლში შეიყვანდნენ, ბიჭები კი — არჩილი, ლევანი, ბიჭიკო, დურმიშხანი, კიკა

და სხვები დიდ კოცონს დაანთებდნენ სახლის წინ და მხიარული ჭიაკოკონა იმართებოდა, რომელსაც ხტუნაობა, ოხუნჯობა და ხუმრობა ემატებოდა. მოკლედ, ბიჭები იქ ისე მხიარულად იყვნენ ხოლმე, რომ უკან დაბრუნება აღარ უნდოდათ.

ლევანი იმდენად აღფრთოვანებული იყო ბუნების სილამაზით, რომ ფერად ფანქრებს მოიმარჯვებდა და ხატავდა. მას ეს საკმარისად კარგად გამოსდიოდა. მშობლები ხატვის ნიჭს ამჩნევდნენ, მაგრამ როდესაც ლევანმა იქ, ბუნების წიაღში, პატარა ლექსი დაწერა, მამა გაოცდა და სიცილით უთხრა — მომავალში ალბათ ჩემზე უკეთესი მწერალი იქნებიო. მშობლებს არჩილის მომავალი გადაწყვეტილად მიაჩნდათ, მას დიდი მეცნიერის სახელს უწინასწარმეტყველებდნენ. ლევანის მომავალზე კი ხშირად დაობდნენ. დედას ლევანის მხატვრობა მოსწონდა, მამა კი მწერლობისკენ იყო გადახრილი: ჯერ ადრეა ამაზე ფიქრიო ამბობდა, ნიჭი თვითონ გაიკაფავს გზასო.

რამდენიმე ზაფხული ზედიზედ სოფელ ერთაწმინდაში გავატარეთ. ამ სოფელს ჩვენი ოჯახი დაუკავშირა კომპოზიტორმა ია კარგარეთელმა, რომელიც მამას მეგობარი იყო.

მშვენიერი აღნაგობის ლამაზი კაცი ხეიბარი გახლდათ. მას ნატყვიარი ჰქონდა მარჯვენა ხელი და ფეხი.

ბატონი ია ხშირად უყვებოდა უფროს ბიჭებს, რომ ავაზაკებმა შვიდი ტყვია დაახალეს, მკვდარი ეგონათ და ხევში გადააგდეს. გადარჩა. მართალია მარჯვენა ხელით ვეღარ უკრავდა, მაგრამ შესანიშნავი წკრიალა ხმით მღეროდა თავის ნაწარმოებებს.

ერთაწმინდაში ჯანმრთელი კლიმატია და კეთილშობილი გლეხები არიანო, — აგულიანებდა ხოლმე ბატონი ია მამას. ერთ ზაფხულს მასთან დაგვპატიჟა სუყველა.

სოფელი ერთაწმინდა ქართლში მდებარეობს, სოფელ ნოსტეს ზევით, თეძამისა და ალგეთის ხეობის შუა გულ ტაფობში. გარშემორტყმულია შერეული ტყით დაფარული მთებით. მთის მწვერვალიდან ამაყად გადმოიყურებიან მრავლის მთქმელი ციხე-კოშკების ნანგრევები, სადაც შემორჩა თამარ მეფის ციხის ნაშალიც.

ჩვენ მატარებლით მეტეხის ან გრაკლის სადგურამდე მივდიოდით, იქ ერთაწმინდაში მიმავალი ჩარდახიანი ურემი გვხვდებოდა, გადავივლიდით მდინარე მტკვარზე ხის ხიდს, ახალქალაქს, ნოსტეს და შემდეგ ერთაწმინდასთან მისასვლელ დაკიდულ აღმართს შევუდგებოდით.

ხშირად ბარგით დატვირთული ურემი, რომელზედაც აგრეთვე დედა, ტასო და ჩვენ, პატარა ბავშვები ვისხედით, ტალიტ-ტალიტ მიდიოდა და უჭირდა კიდეც.

მამა, უფროსი ბიჭები — არჩილი, ლევანი, სანდრო და გამცილებლები ფეხით მოდიოდნენ.

დილით გამოსულები საღამოს შებინდებისას ძლივს მივაღწევდით ხოლმე სოფელს, მაგრამ დაღლას არ ვგრძნობდით, ეს დიდად სასიამოვნო მოგზაურობა იყო. ხშირად გზას გადავუხვევდით, ტყეში დავრბოდით, პეპლებს და ჩიტებს ვიჭერდით, ყვავილებს ვკრეფდით, ვსაუზმობდით და მთელი ეს ჩვენი მოგზაურობა ღირსშესანიშნავი ექსკურსიაც იყო. მამა ყველაფერზე ყურადღებას გვაქცევინებდა: ბუნების სილამაზეს, ხეს, ბუჩქებს, ყვავილს თუ წყაროს ყველაფერს ახსნა-განმარტება და ანდაზა-ლექსი მოპყვებოდა. ასეთი პატარა მოგზაურობა დიდ მხარეთმცოდნეობის გაკვეთილად გადაიზრდებოდა ხოლმე, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ არჩილი და ლევანი, მათ უკვე თავისი შეხედულებანი ჰქონდათ ბუნებაზე, ხალხზე, და გარემოცვაზე.

ერთაწმინდიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით კი სოფლის გოგო-ბიჭები გვხვდებოდნენ, ატყდებოდა ჟრიამული და ყიჟინა. ყველა ხარობდა. ჩვენ ყოველთვის ჯავრიშვილების სახლის მეორე სართულზე ვთავსდებოდით, საკმარისად კარგად. მთელ დღეს კი ბაღ-ბახჩებში და სოფლის განაპირას ვატარებდით. სოფლის შუა გულში წმინდა ესტატეს შესანიშნავი დიდი ეკლესია არის აღმართული, დიდი გალავანით და ეზოში სასაფლაოთი.

გალავანს გარედან მჭიდროდ გარს ეკვროდა ურთიერთ ზურგ შექცევით აშენებული ქოხმახები.

ერთაწმინდიდან რამდენიმე კილომეტრზე ზევით კი სრულიად დაბურული წიწვნარი ასწლოვანი ფიჭვნარის ტყეა, აქ კი დგას საქართველოს საუკეთესო ისტორიული ძეგლი — რკონის მონასტერი, თავისი ნატვრის ხით, გარშემორტყმული ულრანი ფიჭვნარით და ყოველ ციცაბოზე ციხე-სიმაგრეებითა და ბაზილიკით. სად არ იხეტიალეს ბიჭებმა, რა ისტორიული ადგილები არ ნახეს.

ერთაწმინდის გარშემო უამრავი წყაროებია, აქვეა უსტარაულის წყაროც, მაგრამ სოფელში წყალი არ არის. სოფელში არც სკოლა იყო, არც რაიმე ახალგაზრდების გასართობი. ამიტომ მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ჩვენი ოჯახის იქ გამოჩენას დიდი სიხარულით და იმედით უცდიდა. წლების გავლასთან და მომატებასთან ერთად იზრდებოდა და იცვლებოდა ჩვენი ინტერესები და გართობები, განსაკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრებით ყალიბდებოდა ლევანის ხასიათი.

უფროსი ბიჭები — არჩილი და ლევანი, დაუმეგობრდნენ ჩაჩანიძეების ოჯახს — გაბოს, ლევანს, კარგარეთლებს, ჯავრიშვილებს, სოფელში სცენა გამართეს და დაიწყეს წარმოდგენების დადგმა. გარდა ტაშ-ფანდურისა და დოლზე ცეკვისა, ზეპირსიტყვაობის სხვადასხვა ნიმუშებს, ლექსებს ასწავლიდნენ თანატოლებს და თავის ცოდნას უზიარებდნენ. ღონისძიებებში ხშირად უფროსებიც ერეოდნენ, ამიტომ ამ სოფელში ცხოვრება ყველასათვის საინტერესო ხდებოდა. მამა ხშირად დაგვყვებოდა, სოფლის ბავშვებთან ერთად, ჩვენს ექსკურსიებზე და გვიხსნიდა ისტორიული ადგილების მნიშვნელობას.

ერთ წელიწადს მამამ თავისი ხარჯით სოფელს წყალი გამოუყვანა. რა სიხარული იყო, როდესაც ჩამოსულ მუშებს მთელი სოფლის მამაკაცები და მოზრდილები დაეხმარნენ და წყალი ძალიან სწრაფად გამოიყვანეს! წყაროს დიდი ხნის განმავლობაში გოთუას წყარო ერქვა.

უფროსი ბავშვები შეუდგნენ წერა-კითხვის სწავლებას თავისი ამხანაგებისათვის. ასწავლიდნენ ლექსებს, ანვითარებდნენ ქართულ ლიტერატურაში. გლეხებმა შეარჩიეს ადგილი სცენისათვის და ხე-ტყე მოზიდეს, მერე პატარა კლუბიც მოეწყო, სადაც განსაკუთრებით ლევანი და გაბო ჩაჩანიძე აქტიურობდნენ. ლევანმა რამდენიმე პატარა პიესაც კი შეთხზა, თვითონ დადგა, მამა ამაყობდა ამით. ყოველივე ეს ჯერ ბავშვურ გატაცებად მიაჩნდა. ლევანს ერთაწმინდის ეკლესიის სავალებიცა და ხვრელებიც აინტერესებდა და შეეძლო მთელი დღე სამრეკლოზე გაეტარებინა.

ტასო ფოჩხიძემ, 35 წლის ქვრივმა რაჭველმა ქალმა, ჩვენს ოჯახში 40 წელიწადი დაპყო. ყველა შვილის აღზრდაში უდიდესი ღვაწლი ჰქონდა. ბავშვებს შორის განსაკუთრებით და თავდავიწყებით უყვარდა ლევანი, რომელსაც სამი თვიდან ზრდიდა. ჩვენ ოჯახს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა.

დედა წშირად ეჭვიანობდა კიდეც — ტასო უფრო უყვართ ბავშვებსო. ტასო კი გადაფაფრული იყო ბავშვებზე, განსაკუთრებით კი ლევანზე. როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდა.

ხშირად ბავშვები ტასოს სიყვარულით ვაწვალებდით, ვცელქობდით და გვიხაროდა როდესაც ის გაცხარდებოდა და მოგვაძახებდა: „შავი ქვის ნატეხი, ცეცხლი მუგუზალი!". ამავე დროს, ლევანის ცელქობას, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო, პატიობდა.

მამა ყოველ უქმე დღეს ბავშვებს, ვისაც კი სიარული შეეძლო, გვასეირნებდა ბოტანიკურ ბაღში, ფუნიკულიორზე და ხან ასტრ-მრად ახლო ნათესავებთან.

თუ სადმე გამოცხადდებოდა ცირკი, ატრაქციონი, ყოველთვის იქ ვიყავით. მშობლები არ იშურებდნენ ჩვენთვის არაფერს. გვასეირნებდნენ, გვანვითარებდნენ და გვასწავლიდნენ. ჩვენც, ბავშვებს, ძალიან გვიყვარდა მამასთან ერთად სეირნობა.

ახალ ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით ოჯახში დაისვა საკითხი ახალი ავეჯის შეძენისა. სასწრაფოდ პირველ რიგში შეძენილ იქნა მამას სამუშაო ოთახისათვის საუკეთესო ავეჯი. მუხის ხის ჩუქურთმებიანი საწერი მაგიდა თავისი მაღალი სკამით, წიგნების კარადებით და დიდი ღრმა სავარძლებით. მამას სამუშაო ოთახის შესასვლელს ამშვენებდა და ამდიდრებდა ჭერამდე აზიდული შავი ხის ჩუქურთმებიან ჩარჩოში ჩასმული შესანიშნავი სარკე, რომელსაც დატანებული ჰქონდა მარმარილოს მაგიდა. ძლივს არ მეღირსა ცალკე სამუშაო ოთახი, — იტყოდა მამა და მუშაობაში ღამეებს ათენებდა.

მამას ბანკის დიდი სიმდიდრე ებარა. იმ არეულობის დროს სხვა მოიხმარდა კიდეც. მამას კი ეს გულშიაც არასოდეს გაუვლია.

უფროს ბიჭებს ისიც ახსოვთ: საქართველოს გასაბჭოების წინა დღეებში თბილისში ფულის ფასი ძლიერ დაეცა, პური არ იყო, საჭმელი შემცირდა. ზამთარიც დიდ თოვლიანი გამოდგა. ჩვენ ოჯახს საგრძნობლად გაუჭირდა.

ცოტა ხანში ფული საერთოდ გაქარწყლდა. ჩემთვის გაუგებარი იყო, — იხსენებდა თინა, — მამამ დიდი ფული მაჩუქა წინა დღეს, იმით ბევრი რამის ყიდვა შემეძლო, დღეს კი მარტო ერთი ჭიქა მზესუმზირა მომივიდა. იმ წელს აგარაკზე რომ მივდიოდით, იმდენი ქაღალდის ფული გვქონდა, სამი დიდი ტომარა გაივსო. ძლივს ავაგდეთ რონოდას მესამე თაროზე. დაკარგვისა არ გვეშინოდა, ამდენ ფულს ფასი არ ჰქონდა.

როგორც ცნობილია, 1918 წელს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამაზე ლენინმაც მოაწერა ხელი. ევროპის ბევრმა სახელმწიფომ იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, ელჩებიც კი გაიცვალა — საქართველოში კიროვი ჩამოვიდა, მოსკოვს კი გრიგოლ ურატაძე გაიგზავნა. საქართველოს დამოუკიდებლობამ დიდხანს ვერ გასტანა, თვითონ რუსეთმა დაარღვია ის ხელშეკრულება და გამოგზავნა დიდძალი რუსის ჯარი.

წითელმა არმიამ ჯერ 1919 წელს აზერბაიჯანი გაასაბჭოვა. მერე 1920 წელს გასაბ-

ჭოვდა სომხეთი და 1921 წლის თებერვალს კი — საქართველო.

საქართველოში ამ პერიოდში დიდი არეულობა ტრიალებდა. ქართველი საზოგადოების უმრავლესობა სხვადასხვა პარტიებში იყვნენ დაქსაქსული. ამ პარტიებს მართალია ჰქონდათ თავიანთი აზრი და მსოფლმხედველობა, სხვადასხვა მოთხოვნილებები და მომავლის რწმენა, მაგრამ ყველა მათ აერთიანებდათ ერთი უდიდესი მიზანი — საქართველოს მომავალი ბედ-იღბალი, მისი სიკეთე, მისი თავისუფლება.

განსაკუთრებით ძლიერი იყო მენშევიკური პარტია ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით.

იმჯერად საქართველოს მთავრობასაც ჰყავდა საკმარისად მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა. აქ გაერთიანებული იყვნენ საქართველოს საუკეთესო მებრძოლები, პატრიოტები, ომში გამობრძმედილი ვაჟკაცები.

საქართველოში დიდი ბრძოლებით, ყოველ მხრიდან შემოდიოდა მე-11 წითელი არმია სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით. საქართველოს ჯარი მათ დიდ წინააღმდეგობას უწევდა, თბილისში შემოსვლის საშუალებას არ აძლევდა.

განსაკუთრებით დიდი ბრძოლები მძვინვარებდა კოჯრისა და უძოს მიდამოებში. აქ რუსის დიდძალ ჯარს მოეყარა თავი. ქართველებს არმიელები მარტო სიმრავლით სჯობდნენ და მძაფრად უტევდნენ. ბრძოლაში ბევრი ქართველი პატრიოტი დაეცა.

ამ ქარიშხლიან დღეებში მთავრობა მოუწოდებდა ქართველ ხალხს, პროგრესულ საზოგადოებას და საერთოდ ყველა იმათ, ვისაც კი იარაღის ხელში დაჭერა შეეძლო, მოხალისედ წასულიყო ფრონტზე, მიშველებოდნენ ქართულ ჯარს და არმიელების შემოტევა შეეჩერებინათ. მართლაც ბევრი ახალგაზრდა, სტუდენტი, მოსწავლე თუ ხანდაზმული მოხალისედ წავიდა კოჯრის მიმართულებით საბრძოლველად. მიუხედავად იქ შმაგი ბრძოლებისა, ერთ დღეს, დილაადრიან, კოჯრის მთიანეთიდან ზარბაზნების გრგვინვა თბილისში ძალიან მკაფიოდ გაისმა. ეს არმიის მოახლოების მაუწყებელი იყო.

ხალხი ღელავდა, განიცდიდა, არავინ არ იცოდა და ვერც წარმოედგინა არმიის შემოსვლის შემდეგ ქალაქში რა მოხდებოდა, ბოლშევიკური მთავრობა რას მოიმოქმედებდა. როგორ წარიმართებოდა ცხოვრება? წითელი არმია რა სიკეთეს მოიტანდა?

ჩვენ ოჯახში არჩილსა და ლევანის გარშემოც შემოკრეფილი იყვნენ სტუდენტი და მოსწავლე ამხანაგები. სულ რაღაცაზე ჩურჩულებდნენ. მეორე დღეს დაფიკო არჩილი და ლევანი სახლიდან გაიპარნენ. ბაბა და დედა საშინლად აღელდნენ. სახლიდან ბიჭების ღელვას ვერ გაუძღო, თანაც ნაწყენი იყო ბიჭებზე, რომ ის თან არ წაიყვანეს და საიდუმლოება გასცა.

მოსწავლე ბიჭები შეუერთდნენ უფროსებს, მიიღეს იარაღი და მოხალისედ საბრძოლველად წავიდნენ.

მშობლები საშინლად შეწუხდნენ, ბიჭებს ჯერ კიდევ ბავშვებად სთვლიდნენ, ვერ წარმოედგინათ მათი ჯარისკაცობა, შიშობდნენ რამე მარცხს არ გადაყროდნენ. აგრეთვე არც სათანადოდ თბილად იყვნენ ჩაცმულნი, რომ ამ სიცივეში გაეძლოთ სანგრებში ყოფნა.

ერთ დღეს მამა მათ საძებნელადაც კი წავიდა, დედას დაჟინებულ თხოვნას უარი ვეღარ უთხრა.

მამას უკვირდა ბიჭების საქციელი, ჯერ კიდევ მათ ბავშვებად თვლიდა. მეორეს მხრივ კი გულში რაღაცა სიამაყის გრძნობაც უღვიოდა. — თურმე როგორ შეუმჩნევლად წამოგვეზარდა და დაგვივაჟკაცდა ბიჭები, ჩვენი პატარა პოლიტიკური მოღვაწეები, სამშობლოს საკეთილდღეოდ როგორ ბრძოლის სულისკვეთებით ამოქმედდნენ, ხასიათიც კი ჩამოუყალიბდათ. ნამდვილი პატრიოტები არიან, — ხშირად იმეორებდა მამა. ბიჭები ხუთი დღის შემდეგ დაბრუნდნენ სახლში. არჩილმა ავადმყოფი ლევანი ძლივს მოიყვანა. ის სანგარში გაციებულა და მაღალი სიცხეები დასწყებია. თან ძველი ყაიდის თურქული შაშხანა მოიტანეს.

ბიჭებს სულ ეკითხებოდნენ, ომში რა ნახეთო. ომი ვნახეთო, სისხლის ღვრა და საშინელი ბათქიო, გაიძახოდა ლევანი. ვნახეთ ძმათა სასაფლაო, სადაც 12 საუკეთესო ქართველი ვაჟკაცი ერთად ჩაასვენეს. საშინელ სროლაშიც მოვხვდით, ბენზეზე გადავრჩით. გვციოდა და ვიშიმშილეთ, ამასაც გავუძელით. ვნახეთ როგორ თავგამოდებით იბრძვის ქართველი ჯარი. ვნახეთ, როგორი პატრიოტი, სულით ძლიერი გმირები და მებრძოლები არიან ქართველები. ყოველ მათგანში მიჯაჭვული ამირანი ამჯერად ჯაჭვ ახსნილი იბრძოდა.

თბილისში დღითი დღე მდგომარეობა მწვავდებოდა. ფრონტი გვიახლოვდებოდა. ამ დღეებში მამაც დაიკარგა. მან ოჯახი დროებით იძულებით დატოვა და ბათუმში წავიდა, ბევრი სახელმწიფოს სიმდიდრე მაქვს ჩაბარებული და არ ვიცი როგორ მოვიქცეო, მეშინია არ დამეკარგოს, ბათუმში ამ საკითხში უფრო გავერკვევი, გადავწყვიტავ და ვეცდები მალე დავბრუნდეო. ეს მხოლოდ დედამ იცოდა. მამა მაშინ უკვე ფინანსურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობით იყო დასაქმებული, საქართველოში ბანკი დააარსა, კონსტანტინოპოლში და სხვა სახელმწიფოებში მისი ფილიალიც გახსნა.

თბილისში ხალხი არეული და შეშინებული იყო. ათასი ჭორი და მართალი ისმოდა, ცხადია, რომ მომავლის არავინ არაფერი იცოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა დაბრუნდა — თუ მოვკვდები, ისევ აქ, თქვენთან მოვკვდე. ჩემი სამშობლო, ხალხი და ქართული მიწა ყველაფერს მირჩევნიაო. წაღებული ბანკის დანაზოგი ქონება უკან ჩამოიტანა, საქართველოში რომელი მთავრობაც დარჩება და გაიმარჯვებს, იმას ჩავაბარებ საქართველოს ასაყვავებლადო.

მართლაც, საქართველოში როგორც კი საბჭოთა მთავრობა ჩამოყალიბდა, მამამ ხელწერილით ეს ქონება მათ ჩააბარა. საქართველოს დანაზოგი ისევ საქართველოს მოხმარდესო, არ განიავდებაო.

ქართული ჯარი უკან იხევდა, რუსთა შემოტევას ვეღარ უძლებდა. ისინი ბათუმის მიმართულებით მიდიოდნენ და გზაში აფეთქებდნენ ხიდებს და გზებს, რომ რითიმე შეეფერხებინათ მტრის დევნა.

მთავრობამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასვლით თავს უშველა. მაშინ დიდძალი ინტელიგენცია გაიქცა საზღვარგარეთ, მაგრამ იყვნენ ქართველ საზოგადოებიდან და სტუდენტებიდან ისეთებიც, რომლებმაც იმედის თვალით შეხედეს ახალ მთავრობას, სამშობლო ვერ დატოვეს, ემიგრაციაში არ წავიდნენ და თბილისში დაბრუნდნენ.

პირველ რიგში სწორედ მათ დაადგათ მძიმე დღე, თითქმის ყველა დააპატიმრეს, ბევრი დახვრიტეს და ბევრი გადაასახლეს უგზოუკვლოდ. იმ დღიდან დაიწყო საქართველოში საშინელი ტრაგედიის დღეები და წლები, რეპრესიები, დაჭერები, დახვრეტები, ოჯახების დარბევები, რაც დიდხანს გაგრძელდა; ხან გაალდებოდა და ხან შენელდებოდა, ეს იყო უმძიმესი წლები საქართველოში.

მძიმე გზა გამოიარა ქართველმა საზოგადოებამ. წინა თაობას კარგად ახსოვს მაშინდელი ჭირ-ვარამი და უდანაშაულო მსხვერპლი. საქართველოს გასაბჭოებასთან დაკავშირებით თბილისში უამრავი ჯარი და განსაკუთრებით „ჩეკისტები" შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ. დაიწყო ოჯახების აწიოკება, დარბევა, ბინებისა და ავეჯის ჩამორთმევა, „ჩეკისტების" შესახლება, ყველაფერ მზამზარეულოზე მათი ბატონივით დაბინავება. მთავარი უბედურება ის იყო, რომ უმრავლესობა მათ შორის უცოდინარი, თავდიდა, უხეში, არაფრის მაქნისები, ოჯახებიდან ისინი დაწინაურდნენ და დიდი ბელადების პირები გახდნენ საქართველოს მართვაში. ყველასათვის ნათელია ის „საქმენი საგმირონი", რაც მაშინ ხდებოდა.

როგორც ბევრი სხვა, არც ჩვენი ოჯახი წარმოადგენდა გამონაკლისს. ჩამოგვართვეს ორი დიდი საუკეთესო ოთახი, მამას სამუშაო და სადარბაზო, ახლად შეძენილ ავეჯიანად. დიახ, მრავალშვილიანი ოჯახის, მამის თითქმის ცხოვრების მთელ მანძილზე ოფლითა და შრომით შეძენილი ქონება ერთ წუთში სხვის ხელში გადავიდა. რატომ? რისთვის? მათთვის წინააღმდეგობის გაწევა კი არ შეიძლებოდა. იმ დროს ეს ოჯახის მთლიან განადგურებას უდრიდა. მშობლებმა იმ ოთახებიდან შემთხვევით შესძლეს მარტო მამას საწერი მაგიდის და დედას პიანინოს გამოტანა, რისთვისაც დიდი ჩხუბი, გინება და უსიამოვნება შეხვდათ. სასამართლოშიაც კინაღამ გვიჩივლეს ჩვენი ავეჯისათვის. წარმოგიდგენიათ, რა უსამართლობა დატრიალდა საქართველოში, როგორი უსინდისობა იყო ჩადენილი და როგორ შერჩათ ეს უმსგავსი საქციელი!

ჩვენი ცხოვრება ძლიერ გართულდა, მით უფრო, რომ ყოველი ნაბიჯის მეთვალყურეობა სწორედ ჩვენს ბინაში შემოსახლებულებს დაავალეს. მშობლები და უფროსი ბიჭები აღშფოთებული იყვნენ ამ უსამართლობით. ხშირად ამას ხმამაღლაც კი გამოთქვამდნენ, ამით შეწუხებული მამა სულ არჩილისა და ლევანის გაფრთხილება-დარიგებაში იყო. მომავლის აღარ სჯეროდა.

— შვილები სწავლული და განათლებული გვყავს. — აწყნარებდა დედა მამას, — ეს კი კარგი მომავლის მომასწავებელიაო.

ასე თუ ისე, ცხოვრება გრძელდებოდა.

ბიჭები კოჯრიდან წამოღებულ თოფს ზედ დასტრიალებდნენ და ფირალობანას თამაშობდნენ, გაწმინდეს, გააწკრიალეს. დედამ თვალი რომ მოჰკრა იარაღს, ბავშვებს კატეგორიულად აუკრძალა თოფის სახლში დატოვება. ღამით არჩილმა და ლევანმა თოფი ჩუმად წაიღეს და მთის ძირში მიწაში ჩაფლეს.

ყველაფერი მიწყნარდა, თოფი ყველამ დავიწყა. ერთ დღეს თბილისის ქუჩებში გაიკრა განცხადებები, რომ ვისაც ციცი ან ტყვიამსროლელი იარაღი გაქვთ სახლში, ჩაგვაბარეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაისჯებითო. აბა ბიჭებს რა მოასვენებდათ, თოფი თურმე ამოუთხრიათ და სახლში ამოუტანიათ.

განახლდა ოჯახში ჩხუბი თოფის ირგვლივ, დედა თოფის გადაგდებას ან ჩაბარებას მოითხოვდა. მამა კი ამას სერიოზულად უკვე აღარ უყურებდა, მით უფრო, რომ თოფი

წყობიდან გამოსული იყო და ბიჭების გატაცებას აჰყვა. ბოლოს და ბოლოს დედის დასაწყნარებლად ბიჭებმა თოფი სახლის სხვენზე აიტანეს და იქ დამალეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბიჭებმა თოფი სათამაშოდ ისევ სახლში მოიტანეს. ამხანაგებში ამით ტრაბახობდნენ კიდეც, ხშირად ომში მონაწილეობასაც უყვებოდნენ, არავინ უკვე ამას ყურადღებას არ აქცევდა და თამაშის შემდეგ თოფს ხან სად და ხან სად შეაგდებდნენ.

იმ საბედისწერო დღეს თოფი კარადის უკან კუთხეში ისე შეაგდეს, რომ ლულა კარგად მოჩანდა, სრულიად მოულოდნელად შუა ღამეს ჩვენს შემოსასვლელთან ჯერ ჩოჩქოლი ატყდა, შემდეგ ძლიერმა ბრახუნმა მთელი ოჯახი შეშინებული ფეხზე წამოგვახტუნა.

„ვინა ხართო", შესძახა მამამ. „ჩეკა" არისო, — მივიღეთ პასუხი, ლევანს იმწუთშივე გაახსენდა სახლში თოფის არსებობა, მისი გადამალვის და გადაგდების საშუალება უკვე აღარ იყო, ამიტომ კუთხეში კარადის უკან თოფს ლულა დაუმალა და უფრო მოხერხებულად ააყუდა. მამა მეტად აღელდა. — შეიძლება სულაც თოფის თაობაზეა ყველაფერიო, ვინმემ ხომ არ დაგაბეზღათო. მერე დედას მიუბრუნდა და უთხრა: არაუშავს, არჩილი და ლევანი ჯერ ყმაწვილები არიან, მე დამბრალდება ყველაფერი, რა ვქნათ, რაც იქნება-იქნებაო. დედას სიბრაზისა და აღელვებისაგან ქვედა ყბა უკანკალებდა. ყველას ესმოდა, რომ სახლში იარაღის არსებობა მამისათვის უკვე სერიოზული ბრალდება იქნებოდა.

კარი გაიღო, შემოვარდა ხუთი კაცი და მამას წარუდგინეს ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი.

ჩხრეკა მეტად გულდასმით მიმდინარეობდა. მთელი სახლი გადაატრიალეს. ბავშვები შიშით და გულის ფანცქალით კარადას შეცქეროდით. ჩეკისტებმა თოფი ვერ ნახეს, თუმცა კარადის უკან რამდენჯერმე შეიხედეს. მერე მამას ჰკითხეს — სახლში გაქვთ თუ არა იარაღიო. მამა შეწუხდა, აბა ტყუილს როგორ იტყოდა, ისიც შვილების თანდასწრებით. მამა მიუბრუნდა ლევანს და ჰკითხა: სახლში, ბიჭებო, გაქვთ იარაღიო? ლევანმა უარის ნიშნად აღელვებულმა ხელები გააქნია. მოხდა სასწაული, ჩხრეკამ ასე უბრალოდ დამალული თოფი ვერ აღმოაჩინა.

მამას მაინც აჰკიდეს ზურგზე პატარა საბანი, საჭმელი და წაიყვანეს. უფროსები მამას გაშეშებული შესცქეროდნენ, ბავშვებმა კი ბღაკილი ავტეხეთ.

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, აქ რაღაც გაუგებრობაა, დარწმუნებული ვარ, მალე დავბრუნდები, — გვანუგეშა მამამ, — გადაგვკოცნა და წავიდა.

არჩილი და ლევანი დაბნეულები შეჰყურებდნენ დედას, რომლის კივილმა ისინი გამოაფხიზლა. ეხლავე სახლიდან მოაშორეთ ეს თოფი, კინაღამ მამა დავღუპეთ. ბიჭებო, ხომ დაინახეთ, ვიღაცამ გასცა ჩვენთან თოფის არსებობა, გვეყოფა ცეცხლთან თამაში, მეტი ეს თოფი სახლში არ ვნახოო.

ლევანმა და არჩილმა თოფი ნაჭერში გაახვიეს და დიდი სიფრთხილით შუა ღამეს სახლიდან კარგად მოშორებით ქუჩაში გაიტანეს და იქ კედელს მიაყუდეს.

დილას ქუჩიდან ხმაური შემოგვესმა. ბიჭებმა ამბავი მოიტანეს. ჩვენი თოფის გარშემო უამრავი ხალხი შეგროვილა. შემდეგ მოსულა სამი მილიციელი და თოფი დიდი სიფრთხილით წაუღიათ.

დედამ მიაკითხა მამას ამხანაგებს, გააგებინა მისი დაპატიმრების ამბავი. „ჩეკაშიაც" წავიდა, მამა ამჯერად საპატიმროში დიდხანს არ გააჩერეს, ვინაიდან დაპატიმრების მიზეზი ვერ დადასტურდა; ბინის ჩხრეკის დროს იარაღი ვერ აღმოაჩინეს. ყველას აინტერესებდა, ნეტა ვინ იყო ჩვენი ოჯახის მტერი და ასეთი ენატანიაო. მაინც „ჩეკას" მოსვლამ ჩვენს სახლში და მამას დაპატიმრებამ ბიჭები ჩააფიქრა, ამხანაგების და მეგობრების შერჩევაში უფრო ფრთხილები გახდნენ.

წლები სწრაფად გარბოდა, ბავშვები წამოვიზარდეთ, ოჯახის უფროს ვაჟიშვილებმა საშუალო დაამთავრეს. მამამ, უნივერსიტეტში ისეთი ფაკულტეტი შეურჩია, რომ მომავალში სამშობლოს გამოდგომოდნენ. ორივე, არჩილიც და ლევანიც, უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე შევიდნენ.

ბიჭებმა სწავლას ძალიან სწრაფად და კარგად აუღეს ალღო, საუკეთესო სტუდენტები გახდნენ. გამოირჩეოდნენ თანატოლებიდან ნიჭით თუ განათლებით, ხშირად იღებდნენ მონაწილეობას სტუდენტთა კონფერენციებში. პოლიტიკურ კამათში და სტუდენტურ გამოსვლებში.

მშობლებმა, რათა თავისი უფროსი ვაჟიშვილებისათვის ცოდნა-განათლების უფრო ფართო გაქანება მიეცათ, გადაწყვიტეს უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად მათი საზღვარგარეთ — ბელგიაში გაგზავნა. მით უფრო, რომ ორივენი საკმარისად კარგად ფლობდნენ ფრანგულსა და გერმანულ ენას. ჩვენთან ოჯახში გერმანულ ენას გვასწავლიდა ნინო ალექსანდრეს ასული, ცოლი გენერალ ვარლამ თაყაიშვილისა (ძმა ექვთიმე თაყაიშვილის), რომელიც ჩვენ გვენათესავებოდა. ვარლამის დაპატიმრების შემდეგ ეს ხანდაზმული სათნო ქალი უსახლკაროდ და

უპატრონოდ დარჩა. მშობლებმა ის ჩვენს ოჯახში შემოიკედლეს. მამამ შეძლო ბიჭებისათვის თბილისში ვიზის მიღება, საჭირო იყო მოსკოვის დასტური.

1922 წლის ნოემბერში ბიჭები მოსკოვს გაემგზავრნენ.

სწორედ იმ წელიწადს იქ დიდი შიმშილი და საშინელი ცივი ზამთარი იდგა. საკვები არ იშოვნებოდა. ბიჭებს მოსკოვში ძალიან გაუჭირდათ. დაპირებულ ვიზას 4 თვე უშედეგოდ ელოდნენ. ამასობაში არჩილს ყინულზე ფეხი დაუცდა და საბედისწეროდ ბარძაყში მოიტეხა. მამამ ისინი დიდი გაჭირვებით თბილისში ჩამოიყვანა და უნივერსიტეტში აღადგინა. მერე გამოირკვა, რომ საზღვარგარეთ წასვლის ნებართვა რომელიც თბილისში იყო გაცემული, თბილისშივე გაუუქმებიათ, ეს კი მამას საშინლად ცუდად ენიშნა.

არჩილს ფეხი გაუმიზეზდა, ჭრილობა დაუჩირქდა, მდგომარეობა დაუმძიმდა. მამამ საუკეთესო ექიმები დაახვია. მათ შორის იყო საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ცნობილი პროფესორი დავით იოსელიანი.

ლევანი უნივერსიტეტში დადიოდა, აქტიურობდა, იქიდან არჩილისათვის მოჰქონდა დავალებები. არჩილი კი მარტო გამოცდების ჩასაბარებლად გადიოდა სახლიდან. თავისი ნიჭით პროფესორ-მასწავლებლები განცვიფრებაში მოჰყავდა. სანდრო და თინა კი უკვე სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ასე გაჭირვებაში გაირბინა ამ სასწავლო წელმაც.

მშობლებს ურჩიეს, არჩილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, ზაფხული კურორტ აბასთუმანში გაგვეტარებინა.

აბასთუმნის პოპულარობას, გარდა მისი არაჩვეულებრივი კლიმატური პირობებისა, გამაჯანსაღებელი ნაძვნარისა, ჟანგბადით გაჟღენთილი მდიდარი სუფთა ჰაერისა და კაშკაშა მზისა, ხელი შეუწყო ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრის გასტროლებმა, რომელიც ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა ამ მოდურ კურორტზე, სადაც მთელი საქართველოს კულტურული საზოგადოების ოჯახები გროვდებოდნენ. ქვემოთ აბასთუმნის პარკის პატარა სცენაზე არაჩვეულებრივად კარგი და დიდი კონცერტები იმართებოდა, მუსიკის ჰანგები არემარეს მოედებოდა ხოლმე და შორს, შორს, ცხრა მთას იქით გადადიოდა. აქ იყვნენ საუკეთესო დირიჟორები — ძმები ფალიაშვილები, ი. ტუსკია და სხვები.

იმართებოდა საქველმოქმედო კონცერტებიც ღარიბ ავადმყოფთა დასახმარებლად. ჩვენ იქ ყოფნის დროს, მაგალითად, ასეთი ერთერთი კონცერტი გაუმართეს სტუდენტ არკადი მამფორიას, რომელიც მძიმე ავადმყოფი იყო და ხელმოკლედ ცხოვრობდა. მთელი კონცერტის შემოსავალი ავადმყოფს მიეცა. ამ ღონისძიებაში დიდ აქტიურობას იჩენდა ქალბატონი ნადეჟდა ბუზოღლი.

როგორც აღვნიშნეთ, აბასთუმანში საუკეთესო ოჯახები იკრიბებოდნენ, მათ შორის იყვნენ: აბაშელები, ხმალაძეები, კოპაძეები, მიქელაძეები, ასათიანები, ვარდიაშვილები, ზანდუკელები, ფრანგულიანები, კახიანები, კვინიხიძეები, კუჭუხიძეები, ქებაძეები, მამულიები, ბიბინეიშვილები, ჩიხლაძეები და ბევრი სხვა.

აბასთუმანში ცხოვრობდა აგრეთვე განთქმული მწყემსი გუჯი მესხია, რომელსაც მის შვილებთან ერთად მთაში დაჰყვებოდნენ სტუდენტები და ახალგაზრდობა, მათ შორის — ნიჭიერი სტუდენტი ლადო ნორაკიძე, აგრეთვე ბიძინა დედაბრიშვილი და სხვანი.

მოყოლებული 1921 წლიდან საქართველოში ეროვნული სულისკვეთების გაღვივება იგრძნობოდა. შემდგომი წლების განმავლობაში ეს მოძრაობა მომწიფდა კიდეც. საქართველოს ყოველ კუთხეში დაძაბულობა შეიმჩნეოდა. უნივერსიტეტში დაიწყო სტუდენტთა დიდი გამოსვლები. თითქმის ყველა სტუდენტი ჩართული იყო ამ მოძრაობაში, არჩილი და ლევანი ძალიან აქტიურობდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ. თბილისში გაჩნდა პროკლამაციები, რომლებიც ისევ და ისევ თავისუფალი, დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენისაკენ მოუწოდებდნენ.

ყველა მებრძოლი ორგანიზაცია გადავიდა არალეგალურ იატაკქვეშა მუშაობაზე, დაარსდა პარიტეტული კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ არალეგალური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მათ დაიწყეს საქართველოში საყოველთაო აჯანყების მომზადება. აჯანყების მიზანი იყო რუსი ჯარის საქართველოდან განდევნა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა, აჯანყების კომიტეტის სხდომები არალეგალურად იმართებოდა შიო მღვიმის მონასტერში. იყო დათქმული აჯანყების დროც — ოცდაცხრა აგვისტო. აჯანყება უნდა მომხდარიყო ერთობლივად მთელ საქართველოს ყველა ქალაქსა, რაიონსა თუ კუთხეში. ყველა მხარეს ჰყავდა თავისი თავკაცები.

აჯანყება ძალიან სერიოზულად, გადამწყვეტი სულისკვეთებით მზადდებოდა, მაგრამ მიზანს ვეღარ მიაღწია, დატრიალდა საშინელი ტრაგედია, დაიწყო სისხლიანი რეპრესიები. გარდა მონაწილეებისა, დაიხვრიტა სრულიად უდანაშაულო ხალხი, იმ დროინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი საუკეთესო ინტელიგენცია, სწავლული ახალგაზრდობა.

ჩვენ, იმ ზაფხულს აბასთუმანში ვისვენებდით. მამას ჯერ შვებულება არ ჰქონდა, ამიტომ ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა. იწყებოდა ზღაპრული მოგზაურობა-ექსკურსიები აბასთუმანის შემოგარენში. დილა ადრიან ჯოხებით ხელში, თავზე ქუდ ჩამოფხატული პატარები და დიდები გზას ვადგებოდით. მამა ყველა ბავშვს დაგვთვლიდა ხოლმე, ყოველ შემთხვევისათვის. დედა ტასოსაც გვატანდა, ბავშვები არ დაიბნენო. თვითონ და არჩილი კი სახლში რჩებოდნენ.

სად არ ვიყავით, რა სილამაზე არ ვნახეთ — ულამაზესი ზეკარის გადასასვლელი, ობსერვატორია ყანობილში, — ის ადგილები, სადაც მეფეს გაევლო — და სხვა მრავალი. ბავშვები ვხარობდით ბუნების სილამაზით და სიდიადით.

ლევანიც სულ უკეთეს და უკეთეს ლექსებს წერდა.

მამა ძლიერ კმაყოფილი იყო ლევანის ლიტერატურული ნიჭის გაფურჩქვნით, შეაქებდა ხოლმე, მერე კი, არჩილი რომ არ ჰყავდა გვერდზე, გულის ტკივილით იმაზე ლაპარაკობდა:

კვირას საღამოს ყველა მამას გასაცილებლად მივდიოდით. მამა თბილისში დაწყნარებული ბრუნდებოდა, ვინაიდან არჩილის ფეხს მზის აბაზანები ძალიან რგებდა და ჩვენც, ბავშვები, ყველა ჯანმრთელად ვიყავით ამიტომ ჩვენი აბასთუმანში ყოფნა ოჯახს გამართლებულად მიაჩნდა.

1924 წლის ოცდაცხრა აგვისტოს საღამოს ჩვენ აივანზე დიდი ჟრიამული იყო, ჩვენი უფროსი ბიჭები არჩილი, ლევანი, სანდრო და მათი თანატოლი მეზობლები გვიანობამდე ბანქოს თამაშს შეყვნენ, „დურაკად" დარჩენილს შუბლზე მურს უსვამდნენ, რასაც დიდი სიცილი და ყიჟინა მოსდევდა.

დედას და ოჯახის უმცროს გოგონებს გვეძინა. დედა ჩვენ წინ ტყიდან მომავალმა უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა. ველარ დაიძინა და მთელი ყურთა სმენა იქითკენ ჰქონდა. მერე გამოირკვა, რომ ტყეში თურმე „ჩეკისტები" იყვნენ, ისინი 2 საათზე მეტხანს იქიდან ჩვენს ბიჭებს თვალყურს ადევნებდნენ და ზვერავდნენ. ბავშვების შეკრებას და ბანქოს თამაშს ეჭვის თვალით უყურებდნენ. პოლიტიკურ კრებად თვლიდნენ.

თამაში დასრულდა თუ არა, ბავშვები წავიდ-წამოვიდნენ, ჩვენს ბინაში ჩაქრა სინათლე და ყველა ძილს მიეცა.

ცოტახანს შემდეგ ხუთი კაცი თავს დაგვესხა. დედას წარმოუდგინეს ჩვენი ბინის ჩხრეკის და ლევანის დაპატიმრების ორდერი. დედას თავზარი დაეცა. ჩვენ ყველა შეშინებული წამოგვახტუნეს, აკანკალებული შევცქეროდით დედას.

— რას ერჩით, რა ჰკიოდა დედა. ხუთმა კაცმა მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა. ყველაფერს იატაკზე ყრიდნენ და საერთოდ უდიერად იქცეოდნენ. მერე ოთახების და აივნის კედლები კაკუნით და ბრახუნით შემოიარეს, ვერაფერი იპოვნეს. რაში იყო საქმე, არავის გვესმოდა.

ლევანი ფერწასული, შეწუხებული, გაკვირვებული და გაყუჩებული იდგა. მამაც მოიკითხეს. ამან ყველა საშინლად ააღელვა. ჩვენ რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს, თბილისში, ჩვენს ბინაშიც ჩხრეკა იყო თურმე და მამა უკვე დაეპატიმრებინათ. გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა დედა, დილის ხუთ საათზე ლევანი წაიყვანეს. აბასთუმანში მაშინ არც ციხე იყო და არც „ჩეკა", ამიტომ ლევანი რომელიღაც საწყობში დაამწყვდიეს.

დილაუთენია დედა და ბავშვები ლევანის საძებნელად წავედით. მოსახლეობამ უკვე იცოდა, ვინ სად იყო დამწყვდეული.

ლევანი მალე ვიპოვეთ. სადაც ლევანი დაამწყვდიეს, კარებს მართალია გარედან დიდი ბოქლომი ედო, მაგრამ სრულიად ღია ფანჯარა ჰქონდა, ვიღაცას ფანჯრის ჩარჩოც კი გამოეღო, ამიტომ ლევანის ფეხის გადმობიჯება და გაქცევა ერთი იქნებოდა

ლევანს საჭმელი გადავეცით. მერე დედა ძალიან სერიოზულად შეეკითხა, ხარ თუ არა რამეში ჩათრეულიო. პოლიტიკური აჯანყების გაერთიანებულ ორგანიზაციაში არა ვარ მაგრამ მეც აქტიური მომხრე ვარ თავისუფალი საქართველოსი, სტუდენტურ შეკრებებზეც ხშირად ვყოფილვარო, უპასუხა. დედამ დაარიგა, რომ ზედმეტი არაფერი ეთქვა. ლევანმა დედა და ჩვენ დაგვამშვიდა, მამა დაიფიცა, რომ ოფიციალურად არაფერში ჩართული არ იყო და იქ გონიერად იქნებოდა. რახან ლევანმა მამა დაიფიცა, ე. ი. მართალი იყო. საერთოდ, ტყუილი ჩვენ სახლში არავინ იცოდა.

იმ ღამეს გარდა ლევანისა, აბასთუმანში 200-ზე მეტი სტუდენტი, უფროსები და ინტელიგენცია დაეპატიმრებინათ, განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა. ისინი მილიციის დიდ ეზოში მოეგროვებინათ და განაჩენის შესასრულებლად ემზადებოდნენ. იქ იყვნენ აბაშელი, რ. ვარდიაშვილი, პროფ. სერგო დანელია, გრიშა ხმალაძე, ლადო ნორაკიძე, კოწია კახიანი, საულ კვინიხიძე და ბევრი სხვა.

მიუხედავად ხალხმრავლობისა, ეზოში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ყველა, გუ-

ლის ფანქალით უცდიდა განაჩენს. ბევრ ვერც გარკვეულიყო, რაში ედებოდათ ბრალი.

ამასობაში მილიციის მეორე სართულზე „სამეული" მბრძანებლობდა ადგილობრივი მილიციის უფროსი სირაძე, ერთი ოსი და ერთიც სომეხი. მათ უნდა გადაეწყვიტათ ამ ტუსაღების ბედ-იღბალი. ამ სამეულის ხელში იყო ქართველი ინტელიგენციის ბედი. თბილისიდან მიღებული მითითება იუწყებოდა, რომ თბილისში ციხეების გადატვირთვის გამო, იქ პატიმრები უნდა გადაეგზავნათ თანდართული სიის მიხედვით, დანარჩენების ბედი კი ადგილზე — დახვრეტით გადაეწყვიტათ.

ასე შემზარავად, ყოველგვარი გასამართლების, დაკითხვის და საქმის გარჩევის გარეშე ამ „შესანიშნავმა სამეულმა" პირდაპირ ადმინისტრაციული წესით ყველას დახვრეტა მიუსაჯა, როგორც სამშობლოს მოღალატეებს და პოლიტიკური აჯანყების მონაწილეებს. საუბედუროდ ამ პერიოდში ადგილზე დახვრეტა „სამეულის" გადაწყვეტილებითქოსდა დაკანონდა კიდეც და ზოგიერთ რაიონში ეს საშინელება სისრულეშიც მოუყვანიათ, როგორც შორაპნის რაიონში მოხდა.

საცოდავი ხალხი უცებ წამოიშალა, აბობოქრდა, ზოგმა ყვირილი მორთო, რომ ის უდანაშაულოა და საერთოდ აჯანყების არსებობა არ იცის, ზოგმა ხმამაღალი ტირილი და მოთქმა დაიწყო, ზოგი კი ამ ცნობის შედეგად იმდენად შეშინდა, რომ გაშეშდა — არაფრის თავი არ ჰქონდა და ბედს მიენდო. საშინელი შიშის ზარი და ელდა დაეცა ყველას.

ასე უეცრად მძიმე ტრაგედია დატრიალდა. პატიმრებს გარშემო საკმარისად ბევრი ხალხი — მშობელი თუ ნათესავი შემოეხვია. შიში, შეძახილები, უკმაყოფილება და გოდება ერთდროულად გაძლიერდა, კვილი ცას წვდებოდა. როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი, არავინ იცოდა, ყველა შეძრწუნებული და გაგიჟებული იყო, ამ საშინელ ამბავს სულზე ჩამოუსწრო ახალციხის მაზრის მილიციის უფროსმა ღვამიჩავამ.

ყველას გასაკვირველად იგი კეთილი და ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა. ხალხი დაანყნარა. არავის არ სჯეროდა, რომ ამ დაწყევლილ დროს, იმ საშინელ დანესებულებაში, შესაძლებელია ვინმე ადამიანი, პატრიოტი და კაცური კაცი ყოფილიყო. „ჩეკაში" იმდენი უსამართლობა და წამება მძვინვარებდა, რომ ამის ჩადენა მარტო ჯალათებს შეეძლოთ. ხალხის მიერ ყველა მართებულად ჯალათებად იყო მონათლული.

ღვამიჩავამ დასახვრეტად გამზადებული პატიმრების საქმეები მოითხოვა. აბა, სად [illegible] ნებოდა ეს საქმეები, როდესაც არავინ [illegible] იყო დაკითხული. მხოლოდ სია [illegible] დასახვრეტად გამზადებულების. ეზოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა პატიმრის თვალი ზეკით იყო აპყრობილი. სირაძის კაბინეტიდან კი ჩხუბი და გინება ისმოდა, შემდეგ ღვამიჩავამ იქვე დაიწყო საქმეების გამოძიება და გარკვევა. ამას მოჰყვა პატიმრების უმრავლესობის განთავისუფლება. აბასთუმანში მყოფი მშობლებიც დაეხმარნენ თავიანთ შვილებს. ბევრი არა სრულწლოვანიც იყო. პატიმრობაში დატოვეს მხოლოდ 17 კაცი, მათ შორის ლევანიც. დედა ბევრს ეცადა ლევანის გასანთავისუფლებლად, უმტკიცა, რომ ლევანი ჯერ ბავშვია, არავითარ აჯანყებულთა ან სხვა ორგანიზაციის წევრი არ არის, ღვამიჩავასაც ძალიან უნდოდა მისი განთავისუფლება, მაგრამ ვერაფერს გახდა, ვინაიდან დასატუსაღებელთა სია თბილისიდან იყო მიღებული, აბასთუმანში მათი გაშვება-განთავისუფლება ველარ მოხერხდებოდა. ისინი თბილისში გასაგზავნად მოამზადეს.

თბილისში ამ დროს კი საყოველთაო დახვრეტა მძვინვარებდა, როგორც მთლიანად საქართველოში, ადმინისტრაციული წესით, ყოველგვარი საქმის გარჩევის გარეშე, ვიღაც „სამეულის" ხელის მოწერით.

დედამ ლევანის დასახმარებლად სასწრაფოდ მამას სამსახურში დაურეკა. იქიდან კი ცუდი ამბავი აცნობეს, რომ მამაც სნორედ ამ პერიოდში დააპატიმრეს.

პირველ ხანებში დედა საშინლად შეწუხდა, დაიბნა კიდეც, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და რა ექნა, მაგრამ მერე ჩვენ, ბავშვებს გადმოგვხედა, გამაგრდა და წამოიძახა: — ბავშვებო, გამაგრდით! ეხლავე უნდა ვიმოქმედოთ და უნდა ვუშველოთ ორივესო.

აბასთუმანში პატიმრებს შეძლებისდაგვარად ყველა ეხმარებოდა. ამ განწირულების თბილისში ადრე ჩასვლა სიკვდილს ნიშნავდა, ამიტომ ყველა ურჩევდა მშობლებს, როგორმე დრო მოეგოთ. ეტაპი ახალციხეში როგორმე რამოდენიმე დღით შეეჩერებინათ, ამ პერიოდში კი შესაძლებელია დასჯა-დახვრეტაც შეწყვეტილიყო.

ახალციხეში ტუსაღები ღვამიჩავამ სამი დღე გააჩერა. როდესაც თბილისიდან ცნობა მოვიდა დახვრეტის შეწყვეტის შესახებ, მერე ეტაპი ბორჯომში გადაიყვანა. იქ კი პატიმართა მშობლებმა ივაჟკაცეს მემანქანესთან შეთანხმებით. ვითომ შეშა არ იყო საკმარისი მატარებლის წასაყვანად და მემანქანე თვითონ გაიქცა ტყეში შეშის მოსაჭრელად. ამ ბავშვების ცოდვაში ვერ გავერევიო. პატიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებმა ბორჯომში 2 დღე და ღამე დაჰყვეს. ამასობაში ცენტრში მასიური დახვრეტა შეწყდა. რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი გაიღო მაშინ საქართველომ, ვინ მოსთვლის?

რამდენიმე დღე გზაში ყოფნამ ეს ახალგაზრდები და მათ შორის ლევანიც დახვრეტას გადაარჩინა.

თბილისში რომ ჩავედით, ქალაქში საშინელი ამბები ხდებოდა. ყველგან შეშინებული და განადგურებული ხალხი გვხვდებოდა, მძიმე მწუხარებისაგან სახე გაშეშებული ხმას ვერ იღებდნენ, ან ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას?

სახლში რომ მივედით, კარები დალუქული დაგვხვდა. მეზობლებმა გვიამბეს ჩხრეკის ამბავი. ისიც გვითხრეს, რომ ჩხრეკის დროს ვერაფერი ვერ ნახეს, მაგრამ მამა მაინც დაატუსაღეს და ციხეში წაიყვანეს.

ძალიან ცუდი სახლის რწმუნებული გვყავდა, მრისხანე „ჩეკისტის" თვისებები ჰქონდა. ლევანმა მას რატომღაც „ვირთხა" შეარქვა. რწმუნებულს არაფრის გზით ჩვენი სახლში შეშვება არ უნდოდა. გვიყვიროდა, რომ ჩვენ სამშობლოს მოღალატენი და მტრები ვიყავით.

დედამ მას არ მოუსმინა, გათამამდა, კაცი კარებს მოაშორა, ლუქი ააგლიჯა და ბავშვები სახლში შეგვიყვანა. კარები შიგნიდან მაგრად ჩაკეტა. ის კაცი აივანზე დიდხანს ჯავრობდა და ყვიროდა, აბა, ვის ჰქონდა მისი მოსმენის თავი! სახლში საშინელება დაგვხვდა, თითქოს აქ ადამიანები კი არა, ბარბაროსები ყოფილიყვნენ.

ყველაფერი იატაკზე იყო გადმოყრილი, ერთმანეთში არეული, დაჭრილი ლეიბებიდან გადმოყრილი მატყლი, გაგლეჯილი ბალიშებიდან გამოცვენილი ბუმბული, საცვლები, გადახეული წიგნები, დამტვრეული ჭურჭელი, მთელი ავეჯი ზედაპირ გადახეულ-დაპტვრეული. დედა ცხარობდა — ნეტავ ვიცოდე, რას ეძებდნენ ჩვენ სახლში, რომ ასე შეუბრალებლად გააპარტახეს ყველაფერიო.

— როგორ ვიცხოვროთ? — აღელვებული დედა ჩაგლეჯილ სავარძელში ჩაჯდა, ძალამ უღალატა, თვალები დახუჭა. უცებ წამოხტა დაგლეჯილი სავარძლიდან თურმე ზამბარა შეერჭო, ამან გამოაფხიზლა. მერე ჩვენ შემოგვხედა, შეეცოდეთ და, რომ არ გაგვემართა სასონარკვეთის „კონცერტი", რომლისთვისაც თვალცრემლიანი უკვე მომზადებული ვიყავით, დაგვაწყნარა.

— ნუ გეშინიათ, ბავშვებო, მთავარია, რომ მამა და ლევანი სიკვდილს გადაურჩნენ და ცოცხლები არიან. ჩვენც ჯანმრთელად ვართ, არჩილს ფეხი ნაკლებად სტკივა, ეხლა ეს მივალაგოთ. მამა რომ გამოვა, სუყველაფერს ახალს შევიძენთო.

მეორე დღეს დედა „ჩეკაში" ამბის გასაგებად წავიდა. ჩუ ვერაფერს ეტყვნენ, ოთხ კვირა მამის სამსახურს და ნაგვარ[illegible] არნახული, საშინელი შეშფოთება და მწუხარება მეფობდა, ხალხს ეშინოდა გარეთ გამოსვლა, ყველგან მწუხარება, გოდება და ვარაში იდგა.

დედამ ძლივს გაარკვია, რომ მამა თურმე მეტეხის ციხეში იჯდა, ლევანი კი „ჩეკაში". ცოტახანში ლევანიც მეტეხის ციხეში გადაიყვანეს. ციხეში საშინელ პირობებში მოხვდნენ. პატიმრების ტევა არ იყო. თვითეულ პატარა საკანში 8-9 კაცი იჯდა. ნარებზე 2-3 ტუსაღი ერთად იწვა. ეძინათ რიგრიგობით. საშინელი ჭუჭყი, ტილიანობა, შეხლა-შემოხლა. საკვების მხრივადაც ძალიან ცუდათ იყო საქმე. იყო დღეები, როდესაც შიმშილობდნენ. ასე გაგრძელდა 3 თვე, მერე საჭმლის გადაცემის ნება მოგვცეს. შემდეგ მამასაგან პატარა მანუგეშებელი ბარათიც მოვიდა, რომელმაც დედა დაანყნარა.

მძიმედ გავიდა 6 თვე, აღსავსე მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური გაჭირვებით. მაგრამ დედა სულ იმას ამბობდა, — ჩვენი ოჯახი ბედნიერია, დიდ ვაიუბედურებას გადაურჩაო. ორივე — მამაც და ლევანიც, ცოცხალია, ეს კი გვანუგეშებს მთელ ოჯახს. მთავარია სიცოცხლე იყოს, თორემ დანარჩენი ყველაფერი ასატანია. ცოტაც მოვითმინოთ. ჩვენც ხმას როგორ ამოვიღებდით, ვითმენდით ყველა გაჭირვებას.

სრულიად მოულოდნელად და ყველას გასაკვირველად მეშვიდე თვეზე მამაც და ლევანიც ერთდროულად ციხიდან გამოუშვეს. ალბათ მათ ვიღაცა დაეხმარა, ეჭვობდა დედა.

წარმოუდგენელი სიხარული დატრიალდა ჩვენთან სახლში. ყველა თავს დავტრიალებდით ორივეს. ძალიან გამხდრები იყვნენ, ჭუჭყიანები, ტილიანები და ჩამოფლეთილები, სხვის ტანსაცმელში გამოწყობილნი, რადგან მამამ და ლევანმა თავისი ტანსაცმელი გადასახლებაში გასაგზავნ პატიმრებს დაუტოვეს. მამა მეტად მოხუცდა, თვალები ჩაცვენილი, სიგამხდრისაგან სახე დანაოჭებული, წვერი და თმა ძალიან გაუჭაღარავდა და გაეზარდა, უძლურ მოხუცს დაემსგავსა. ეტყობა, რომ ციხეში ბევრი განიცადა. მამა ამბობდა: — მე ლევანის ამბავმა დამაბერა და მომკლა კიდეც, თორემ იქაურ გაჭირვებას გავუძლებდიო. სიცოცხლე დამელია, სანამ მის დახვრეტისაგან გადარჩენას გავიგებდიო.

„ჩეკაში" თურმე ორჯერ ზედიზედ შუა ღამისას მამა გააღვიძეს, წამოახტუნეს და შეცდომით წაიყვანეს დასახვრეტად ლევანის მაგივრად.

ჯალათები საშინლად ჯავრობდნენ, რომ მე შეეხვედი. ჩვენ ახალგაზრდა ლევან გოთუა გვინდა და არა მოხუცი. იმას აქვს დახვრეტა მისჯილიო. რომ გავიგე ასეთი განაჩენი, სიცოცხლე გავათავე. ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა, ნამდვილად გონება დამებნა, ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდიო. გავშეშდი, ხმას ვერ ვილებდიო. მერე სულ ჩემს თავს ვადანაშაულებდი, როგორ ენა ჩამიწყდა და ვერაფერი ვთქვი-მეთქი. მეორედ რომ იგივე გამეორდა და გამომიძახეს, მაშინ ხმა ავიმაღლე, ჩეკისტებს ვემუდარებოდი — ხომ თვლითა გაქვთ განსაზღვრული, რამდენი კაცი უნდა მოკვდეს. თქვენთვის სულ ერთი არ არის, მე მომკლავთ თუ ჩემ შვილს? მის მაგივრად აგერ არა ვარ, მე მომკალით, ის ხომ ჯერ სულ ახალგაზრდაა და ამ ცხოვრების არაფერი იცისო. რატომ, რისთვის მიესაჯა მას დახვრეტა? ვლრიალებდი და ვყვიროდი რაც ძალი და ღონე მქონდა! ჩვენ სუყველა გაშეშებული ვუსმენდით ამ ამბავს. საწყალი მამა! რამდენი მძიმე ამბავი გადახდა თავს. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ცოტახანში ჩვენი ცხოვრება ისევ ჩადგა კალაპოტში.

გადავაგორეთ ასეთი საშინელი მძიმე 1924 წელი. უფროსი ბიჭები სტუდენტობდნენ, ჩვენ, გოგონები, ვცხოვრობდით ლაღად დედისა და მამის განსაკუთრებული მოფერებითა და სიყვარულით.

მამა ხშირად არჩილს და ლევანს ესაუბრებოდა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. აფრთხილებდა ბიჭებს არავითარ ორგანიზაციაში არ გახვეულიყვნენ, რეპრესიები და გადასახლებები თბილისში კვლავ მძვინვარებს და უბრალო ეჭვიც კი საკმარისიაო. მამას არჩილის არ ეშინოდა, ვინაიდან ფეხის ტკივილის გამო ის სულ სახლში იჯდა ნიგნებში გადავარდნილი. ლევანი კი თამამობდა, სტუდენტებთან და ამხანაგებთან გადაკარგული აქტიურობდა. გარემოცვას ძლიერი აღელვებით გრძნობდა და განიცდიდა. მას სხვანაირად არ შეეძლო. სახლში არჩილს სულ რაღაცას ეჩურჩულებოდა.

გაზაფხულმაც უფერულად ჩაიარა. არჩილის ფეხის ტკივილი, პერიოდულად მისი გამწვავება, ყველას და განსაკუთრებით კი მშობლებს აწუხებდა.

ბიჭებმა კარგად ჩააბარეს საზაფხულო გამოცდები და ოჯახმა ზაფხულის არდადეგების გატარება ისევ აბასთუმანში გადაწყვიტა, მით უფრო, რომ არჩილის მტკივან ფეხს აბასთუმნის მზის აბაზანები ძალიან უხდებოდა.

ისევ ჩვენ ძველ აგარაკზე, ქვემო აბასთუმანში მოვეწყეთ, ძალიან კარგად.

არჩილი ფეხს მკურნალობდა. ლევანს და სანდროს ახალი გატაცება დაეწყოთ ხიობობა. ამ წელს აბასთუმანში იყვნენ ელო ანდრონიკაშვილი და შალვა დადიანი, რომლებიც პატარა სცენაზე დიდ და კარგ წარმოდგენებს დგამდნენ. ბიჭები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ წარმოდგენებში, ხან პატარ-პატარა როლებს ასრულებდნენ, ხან სტატისტებად იყვნენ და ხან კენჭის ყრით, ვისაც შეხვდებოდა მოკარნახეებად სხდებოდნენ. აბასთუმანში ყველაფერი მშვიდად და კარგად მიდიოდა.

დახეთ უბედურებას, ისევ ლევანის უიღბლობა! აგვისტოს ერთ ღამეს კვლავ გაჩხრიკეს ჩვენი სახლი. დაგვადგა ოთხი „ჩეკისტი" და ისევ აგვაწიოკეს. ჩხრეკა 3 საათი მიმდინარეობდა, მაგრამ ვერაფერი იპოვეს, ან რა უნდა ეპოვნათ, არ ვიცოდით. მიუხედავად ამისა, ლევანი ისევ დააპატიმრეს და იმავე ღამეს თბილისისაკენ წაიყვანეს.

დედას ისევ თავზარი დაეცა. ბავშვებს დაგვტაცა ხელი და დრჩზე ადრე თბილისში დავბრუნდით.

ლევანი ამბობდა: — ეს რა ჭირი მჭირს, ჯავახეთში ჩემი ჩამოსვლა ყოველთვის მარცხით მთავრდება, იქედან სულ მთავრობის ხარჯით ვბრუნდები თბილისშიო! ეს ნამდვილად სიმართლეს წარმოადგენდა, ასე იყო 1924 და 1925 წელს და ასე მოხდა აგრეთვე 1946 წელსაც. ამის შესახებ დაწვრილებით ქვევით შევჩერდებით.

ლევანი თბილისში არ გაუსამართლებიათ. სერიოზულად არც უთქვამთ, რაში ედებოდა ბრალი, სამეულმა მას 3 წლით ციხე მიუსაჯა შორეულ ციმბირში გადასახლებით.

ამჯერად რომელიღაც სტუდენტთა ოფიციალური ორგანიზაციის თავმჯდომარეობა დაბრალდა და როდესაც ამაზე ლევანმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია, ძალიან უბრალოდ უთხრეს: — შენ, ბიჭო, არაფერში სანდო არა ხარ, სამშობლოს მტერი ხარო. ასე უდანაშაულოდ საკუთარ საყვარელ ქვეყანაში მტრად გამოაცხადეს და გულში დიდი მწუხარება დაუტოვეს 19 წლის ბიჭს.

მამამ ბევრი იღონა, რომ ლევანისთვის ეშველა. სად არ მიაკითხა, ვის არ ეხვეწა. მაშინდელ მთავრობაში ბევრი კარგი ნაცნობიც ჰყავდა, სადაც სიმართლის მოძებნას ლამობდა. დაპირება მარტო დაპირებად რჩებოდა. მამა დარწმუნებული იყო რომ ლევანი უსაფუძვლოდ ისჯებოდა. გაიგო კიდეც, რომ მას არავითარი სერიოზული ბრალდება არ ჰქონდა დამტკიცებული. არც ჩხრეკების დროს უპოვნიათ რაიმე საეჭვო, ოჯახში მამა ლევანს დიდად ცელქ გამბედავ ბავშვად თვლიდა. ისიც იცოდა დაბეჯითებით რომ ლევანი, როგორც უმრავლესობა ქართველი

სტუდენტებისა, პატრიოტი იყო. ოფიციალურად პოლიტიკურ ორგანიზაციაში არ იყო გაერთიანებული მაგრამ მას, ამოძრავებდა ბრძოლის სულისკვეთება იმ უსამართლობის წინააღმდეგ რაც იმჯერად საქართველოში ტრიალებდა. უკმაყოფილებას ხშირად ხმამაღლაც გამოხატავდა სტუდენტურ შეკრებებსა თუ მიტინგებზე.

მამა თბილისში ვერაფერს გახდა. გაიგო რომ სამეულის გადაწყვეტილებას მარტო მოსკოვი თუ შეცვლიდა. ამრიგად ლევანის ბედი რუსეთის ხელში გადავიდა. ამ პერიოდში კი ძერჟინსკის პოლიტიკური ციხეების რეჟიმის გამკაცრებაზე დიდი მითქმა-მოთქმა ტრიალებდა. იქ მოხვედრას სიკვდილი სჯობიაო, წამების ახალი ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით ძლიერ დამძიმდა პატიმართა პირობებიო.

საშინელ მდგომარეობაში ვიყავით. არჩილს ფეხი გაუმიზეზდა და დიდი სიცხეები დაეწყო, ლევანი კი ასეთ დღეში იყო. მშობლებისთვის ორივე უფროსი ვაჟიშვილის ბედი გაურკვეველი ხდებოდა, ლევანი თბილისში დიდხანს არ გააჩერეს და სრულიად მოულოდნელად, ეტაპს რუსეთისაკენ გააყოლეს, როგორც საშიში პოლიტიკური მოღვაწე. ვერ მოხერხდა ვერც მისი ნახვა და ვერც თბილი ტანსაცმლის გადაცემა. ამრიგად 1925 წელს, 19 წლის ლევანისათვის დაიწყო მძიმე ტრაგედია, ის პატიმარია, ასე სასტიკად დასჯილი. დედა იმასაც კი ეუბნებოდა მამას, შესაძლოა ვიღაცას ჩვენი ოჯახის ჯავრი სჭირს და ამ ჯავრს ლევანზე იყრისო. მძიმე დარდი დაგვანვა, წარუშლელი დაღი უსამართლობის გამო, საშინელი განცდა, გულის ტკივილი. იმედი საბოლოოდ საქმის გარჩევისა დარჩა მხოლოდ იმედად.

საწყალი ჩვენი მშობლები [illegible] ლევანს პოულობდნენ, დედა სულ თვალცრემლიანი იყო. მამა ცრემლს მალულად იწმენდდა, აღშფოთებული და მთავრობაზე გულგატეხილი.

სახლში დიდი მღელვარება იყო, ყველა ლევანის წერილს უცდიდა.

1925 წლის სექტემბრის ბოლოს ძლივს მოვიდა მოსკოვის ციხიდან ლევანისგან გამოგზავნილი ღია ბარათი.

21/IX-1925 წ. მოსკოვი.

„ჩემო კარგებო! მოვაღწიე მოსკოვს ОГПУ-დან გადმოიყვანეს ბუტირსკის ციხეში, საიდანაც როდის, არ ვიცი, ალბათ გრძელი გზა მელის. აქ რამდენ ხანს დავრჩები, არაფერი არ ვიცი, არ გამოუცხადებიათ. აქ უკვე სიცივემ დაჰკრა, იქით დიდი ზამთარი მელის, ამიტომ სასწრაფოდ გამომიგზავნეთ თბილები, შინელი, ყაბალახი, ჩემი თბილი ბლუზა და უბრალო ჩექმები. ვნუხვარ თქვენზე. შემომითვალეთ როგორ ხართ?

გზიდან მე შევძელი სამი წერილის გადმოგდება, ერთი ნავთლულიდან, როსტოვიდან და მოსკოვიდან. პასუხი არ არის. ალბათ ვერ მიიღეთ. ჯანმრთელობით კარგად ვარ. მხოლოდ ვგრძნობ, რომ სიცივეს ჩრდილოეთში ვერ გავუძლებ თბილი ტანსაცმლის გარეშე, ამიტომ თბილების გამოგზავნას ნუ დააყოვნებთ, იქნებ მომისწროს, თორემ ასე ჩაცმული გავიყინები ალბათ. მოკითხვა ყველას. პასუხი დააჩქარეთ.

21/IX-1925 წელი".

ნერილი შემოწმებულია ბუტირსკის ციხის ცენზურით.

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

მონოლოგი დიალოგიდან

ქართველ მწერალთა ერთ ნაწილს მივმართეთ შეკითხვებით, ვთხოვეთ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ლიტერატურისა და კულტურის, აგრეთვე ცხოვრებასთან მათი მიმართების შესახებ.

რადგან ქართველი მწერლებისათვის ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები თვით პასუხებიდანვეა თვალსაჩინო, გადავწყვიტეთ, პასუხების გაერთიანება და მათი ცალკეული მონოლოგების ფორმით წარმოდგენა.

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში გესაუბრნენ აკაკი გაწერელია, ჯემალ ქარჩხაძე, გურამ გეგეშიძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ბიბილური და ჯანსუღ ჯარკვიანი. ამჯერად გთავაზობთ გრიგოლ აბაშიძის „მონოლოგს".

მწერლობისა და მწერლის დანიშნულებაა, შექმნას მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელიც გაუძლებს დროის გამოცდას და მკითხველთა მომავალ თაობებს ცოცხლად გადაცემს ავტორის თანამედროვეთა გულის მღელვარებას, მათს ფიქრსა და ოცნებას.

მაგრამ ეს საერთოდ, პატარა ერის, ჩაგრული ერის მწერლობას მეორე კეთილშობილი ვალდებულებაც აკვს — ემსახუროს მშობელი ხალხის თავისუფლებას და აღორძინებას, არა მარტო თავისი შემოქმედებითი, არამედ სამეგალითო ზნეობითა და ღვაწლითაც და თუ საჭირო იქნება, თავიც დასდოს ხამშობლის ბედნიერებისათვის...

ის აზრი, რომ მწერლობა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და ხალხი — თავისი ცხოვრებით, არ მიმაჩნია სწორად საქართველოს მაგალითზე. დღევანდელი ქართული მწერლობა, შეიძლება ზედმეტ აქტიურობასაც იჩენს, როცა იგი ერევა ხშირად ისეთი პრობლემების დასმასა და გადაწყვეტაში, რომლებიც შორს არიან მისი მოწოდებისაგან. თუ საერთოდ მივალთ იმის აღიარებამდე რომ „ჩვენი ლიტერატურა კარგავს ზემოქმედების ძალას ხალხზედ, ხალხი რწმენას მწერლობისადმი", ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლებოდა, რომ დღეს დღეობით არ იქმნება ჩვენი დროის შესაფერისი შედევრები, იმ მასშტაბის ნაწარმოებები, რომლებიც მხარს გაუსწორებდა ჩვენი კლასიკის უდიდეს მიღწევებს.

ხალხი, რომ კრიზისს არ განიცდის, ეს აშკარად გამოჩნდა ეროვნული მოძრაობის ფართო გაჭანებაში, არნახულ აღმავლობაში, რომლის მოწმენი და მონაწილენი ჩვენ ვართ.

„სამყაროს სილამაზე იხსნისო" — ეს მეტისმეტად ოპტიმისტური განცხადება მის ავტორს მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ძეგლით აღფრთოვანებამ გააკეთებინა.

ეკოლოგიური და ატომური კატასტროფის წინაშე მდგარი დღევანდელი კაცობრიობა ამგვარი პოეტური დაიმედებით ვერ დამშვიდდება, მას მხოლოდ პრობლემების პრაქტიკულად, და რაც შეიძლება დროზე გადაწყვეტა უშველის და, რაც უნდა მაღალი აზრისანნი ვიყოთ ლიტერატურის ან ხელოვნების რომელიმე უდიდეს მიღწევაზე, მის როლზე ჩვენი პლანეტის გადარჩენაში, დღეს ჩვენ უკვე ვიცით, რომ სამყაროს მხოლოდ ბირთვული სრული განიარაღება და ეკოლოგიური გაჯანსაღება იხსნის. ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტაში „სილამაზეც" (ხელოვნება და ლიტერატურა), რა თქმა უნდა, თავის წვლილს შეიტანს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, მოდით, ნუ ვიქნებით მარტოდენ ოპტიმისტური ჰიპერბოლების იმედით.

* * *

ყველა კარგი ლიტერატურა თანამედროვეა ყველა დროისათვის. თანამედროვეა დღევანდელი ქართული ლიტერატურის ყველა საუკეთესო ნიმუშიც. ცუდი ლიტერატურა არცერთი დროისათვის არ არის თანამედროვე. უცხოური ლიტერატურისადმი ახალგაზრდა მკითხველების ინტერესის გაცხოველება ალბათ აიხსნება იმითაც, რომ განათლების დონე ახალგაზრდობისა ამაღლდა. მათ შორის ბევრია უცხო ენების მცოდნეც.

სტალინის დროს ჩვენი ქვეყანა მოწყვეტილი იყო რკინისფარდის მიღმა სამყაროს. ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა ცოტა და, ისიც უმთავრესად ე. წ. „პროგრესული მწერლების" არც თუ ისე მაღალმხატვრული ნაწარმოებები. დასავლეთის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების წიგნები ჩვენი მკითხველისათვის მიუწვდომელი იყო. როცა, ბოლოსდაბოლოს, აკრძალვა მოიხსნა და ჩვენი დროის უცხოეთის დიდ ლიტერატურას გზა გაეხსნა, ამას ბუნებრივად მოჰყვა ამ ლიტერატურისადმი მკითხველის ინტერესის გაფართოება. მკითხველი დაეწაფა დიდიხნის აკრძალულ ლიტერატურას, დარწმუნდა რა იმაში, რომ „იდეურად და მხატვრულად ყველაზე მოწინავე საბჭოთა მწერლობა" ყოველთვის ვერ მდგარა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების დონეზე. ჰემინგუეის და მარკესის, სარტრისა და კამიუს პოპულარობამ ჩვენში მშობლიური ლიტერატურისადმი ინატერესი კი არ შეანელა, არამედ მკითხველის მომთხოვნელობა გაზარდა. მკითხველს გული გაუცივდა იმ ლიტერატურაზე, რომელიც შეღავათს თხოულობს მისი „იდეურობის" ან „მშობლიურობის" გამო. ხოლო ჩვენი მწერლობის საუკეთესო მიღწევები კვლავაც ქართველი მკითხველის ყურადღების ცენტრში რჩება და მათ მიმართ ინტერესიც დიდია, ოღონდ სამწუხარო ისაა, რომ ამ ნამდვილი მიღწევების რაოდენობა განსაზღვრულია და სრულიად არ არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა რაოდენობის პროპორციული.

* * *

ჩვენს სამშობლოს, ქართველ ხალხს განხაცდელის დღეები უდგას. თავის ხანგრძლივი ისტორიის გრძელ გზაზე, იქნებ არც მდგარა ჩვენი ერი ასეთი მძიმე გამოცდის წინაშე. მე მაინც მჯერა, რომ იგი თავისთავში იპოვის ძალებს, რომლებიც მას შეუნარჩუნებენ ენასა და მიწა-წყალს, სარწმუნოებასა და სულის სიმხნევეს. ქართველი კაცის ბუნებასა და ხასიათში ყოველთვის სჭარბობდა ოპტიმიზმი. მისი ცხოვრების დევიზი იყო „ჭირსა შიგან გამაგრება". უკანასკნელი შვიდი ასეული წელი ქართლის ცხოვრებისა ხასხვა დრამატიზმით. დატრიალებული ტრაგედიის ... ხმაურებული გმირები ხშირად იყვნენ ჩვენი თანამემამულენი. ჩვენი ხალხი ... ტრაგიკული თავგადასავალი ახალ რუსთაველსა და გურამიშვილს, ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა-ფშაველას ელის და, მე მწამს, რომ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი", მოვლენ ქართველ გენიოსთა ახალი თაობები, რომლებიც თავის ქმნილებებში უკვდავყოფენ მშობელი ხალხის გმირულ ბრძოლას, მისი საუკეთესო შვილების თავდადებასა და კეთილშობილებას.

დიახ, მე მჯერა, რომ ქართული მწერლობა კიდევ იტყვის ისეთ სიტყვას, რომელიც იქნება „აღმატებული ყოველივეზე, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში აქამდე შექმნილა". ვინ მოახდენს ამ სასწაულს და როდის მოგვევლინება იგი, ამის პროგნოზირება ძნელია, მაგრამ მე მჯერა, როგორც მორწმუნეებს სჯეროდათ მესიის მოსვლისა, მჯერა, რომ ქართველი ხალხი მზად არის ამ სასწაულისათვის, მისი „გატანჯული" სულის წიაღში მწიფდება ლიტერატურული სასწაული, რომელიც იქნება „ყოველივეზე აღმატებული".

* * *

დასავლეთში ხელოვნება და პოეზია ძალიან დაშორდა მასობრივ მსმენელს — მაყურებელსა და მკითხველს. ხედვისა და წარმოდგენის აბსტრაქტირებამ, ე. წ. ინტელექტუალურმა, გართულებულმა პოეზიამ ძალზე დააავიწროვა მკითხველთა წრე.

პოეტი მოსწყდა მიწას, იმ ნიადაგს, რომელიც ტრადიციულად ასაზრდოებდა მის შთაგონებას.

მკითხველი აუდიტორიის მაქსიმალურად შემცირებამ პირდაპირ იმოქმედა ლექსების წიგნების ტირაჟზე. საფრანგეთში კარგი პოეტების წიგნებიც კი ძლივს 500-დან 1000 ეგზემპლარამდე იბეჭდება და მხოლოდ მაშინ სცემენ მათ ასე თუ ისე ხოლიდური ტირაჟით, როცა მწერალს უკვდავთა აკადემიის წევრად ირჩევენ, ან ნობელის, ან კიდევ გონკურების პრემიის ლაურეატი ხდება.

პოეტისა და მკითხველის ურთიერთგაუტბოება დღემდე გრძელდება და არიან ლიტერატორები, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ, ევროპის უკანასკნელი დიდი პოეტი კიპლინგი იყოო.

ჩვენში, როგორც ჩანს, ჯერ არ დამშრალა პოეზიის ის მადლი, რომელმაც ჩვენს საუკუნეში ვაჟა-ფშაველასა და ფიროსმანის შთაგონებას შეასხა ფრთები.

მაგრამ რაც სხვაგან ხდება, ის ჩვენთანაც უნდა მოხდეს, რადგანაც განახლების წინააღმდეგობა ვერც ყოფაცხოვრებაში იმარჯვებს და ვერც ხელოვნებაში. პოეზიაში, ხელოვნებაში ყოველთვის რაღაც ძველდება და რაღაცის განახლება ხდება. ამის ნიშნებმა ჩვენშიაც ხა-

ქმნა ძალითა და ნიჭიერებით, იჩინა თავი და ახლო მომავალში, ალბათ, ამ პოეტურ ნაკადს კიდევ ბევრი ახალი სახელი შეემატება.

* * *

ჩაგრული ერის პოეტს, როგორც უკვე მოგახსენეთ, გარდა მუზების სამსახურისა, მეორე დიდი ვალდებულებაც აქვს. ეს ვალდებულება სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაა. ასე იბრძოდნენ ილია, აკაკი და ვაჟა, შევჩენკო და მიცკევიჩი, პეტეფი და ბოტევი... ზოგმა მათგანმა არა მარტო შემოქმედება, არამედ სიცოცხლეც კი მამულის საკურთხეველზე მიიტანა მსხვერპლად. ჩემს იდეალად მუდამ ასეთ პოეტებს ვსახავდი, ყველგან მათ ვეძებდი და შორეულ ფილიპინებზეც კი მოვნახე ტაგალის ტომის შესანიშნავი პოეტი, ბოხე რიზალი, რომელიც ესპანელმა დამპყრობლებმა დახვრიტეს იმის გამო, რომ თავისი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა.

ინგლისის და საფრანგეთის, ესპანეთისა და გერმანიის პოეტების წინაშე არც მდგარა და, ალბათ არც დადგება ის საპატიო ამოცანა, რომელსაც ზემოთდასახელებული პოეტების წინაშე აყენებდა მათი სამშობლო. დიდი ქვეყნების ბედით განებივრებულ პოეტებს არასოდეს არ აწუხებდათ ის საზრუნავი, რომელთაც ჩაგრული ერების პოეტების ცხოვრებასა და შემოქმედებაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, არამარტო ექსტრემალურ სიტუაციაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც...

* * *

ტრადიცია სრულიადაც არ არის ერთხელ ჩამოყალიბებული და გაყინული მოვლენა. ტრადიციაც განიცდის ცვლილებასა და განახლებას. ზოგჯერ ტრადიციის გამგრძელებლებად სწორედ ის პოეტები გვევლინებიან, რომლებიც ტრადიციის დამრღვევებად, ძველის განმაახლებლებად მოდიან მწერლობაში, რადგან დაკანონებულის ნიჭიერად ხელყოფა თუ უარყოფა უკეთ აგრძელებს ტრადიციას, ვიდრე ძველის უცვლელად განმეორება. ისინი, ვინც ტრადიცია შექმნეს, თავის დროზე ნოვატორებად და ზოგჯერ რეფორმატორებად შემოდიოდნენ ლიტერატურაში. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ვლ. მაიაკოვსკის და გ. ტაბიძის შემოქმედებაც კმარა. ერთიცა და მეორეც ლეკსის გაყინული ფორმების უარმყოფელებად მოგვევლინენ და თავიანთი შემოქმედებით ახლებურად გააგრძელეს ტრადიცია რეფორმისა და განახლებისა. რაც შეეხება ჩემს შემოქმედებას, მე იგი ეროვნული ტრადიციის გაგრძელებად მიმაჩნია.

* * *

ჩივილი იმის თაობაზე, რომ ბევრ [illegible] და რომ ლიტერატურაში მომრავლებულ [illegible] ნიჭიერი მწერლები, არ ახალია. ძველია. ჯერ კიდევ პეტრარკა წერდა, ლამის წაგვლეკოს მდარე ლიტერატურამ. გავიხსენოთ, როგორი იყო საერთო ფონი პუშკინის დროს. ლიტერატურის ისტორია გვარწმუნებს, რომ დიდი ნაწარმოებები მაშინ იქმნებიან, როცა საერთოდ ბევრი იწერება. გენიოსებს ხელს არ უშლით თანამედროვეთა უნიჭობა. ისინი ამ ფონზეც პოულობენ საუკეთესოს და კარგადაც იყენებენ მათ მიღწევებს, რომელთა სახელები დავიწყებისათვის არიან განწირულნი.

საინტერესო ნაწარმოებების სიმცირის მიზეზი, რა თქმა უნდა, ტალანტების სიმცირეა. საქართველოს მწერალთა კავშირის 600-მდე წევრიდან ალბათ ოცდოდე მწერალი ქმნის ნამდვილ ლიტერატურას, ის ოცდოდე ავტორი აგებს პასუხს ჩვენი მწერლობის დონისათვის. დანარჩენები თავიანთ ჭიას იკლავენ, მხოლოდ ფონს ქმნიან და ლიტერატურას ვერაფერს ხძენენ. რედაქტორების გაუბედაობა მოსატანი ალარ არის, რადგანაც ცენზურა თითქმის ალარ მოქმედებს და გასაბედავიც ალარაფერია. ნიჭიერი მწერლისათვის ცხოვრების გაპროზაულება თუ არაპოეტურობა არასოდეს არ ყოფილა ხელისშემშლელი, რადგან ყველა დროს აქვს თავისი ჩრდილიცა და ნათელიც და ნიჭიერი მწერლები დამდგარ ცხოვრებაშიც არაერთხელ პოულობენ თავიანთი შთაგონების წყაროს.

* * *

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთაგან, პროზაში საუკეთესოდ მიმაჩნია, ჩ. აიტმატოვის „Плаха" და გროსმანის „В сёмечёт".

აიტმატოვის ეს რომანი დიდად პოპულარულია და ჩემი რჩევის გარეშეც ბევრს აქვს წაკითხული. გროსმანის ნაწარმოები კი ჯერ მხოლოდ ჟურნალ „ოქტიაბრშია" დაბეჭდილი. ეს ვრცელი მოთხრობა თავის პირველ ნაწილში შეუდარებელი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს უდანაშაულო ქალის არაადამიანურ განსაცდელს გადასახლებაში, აგრეთვე 1929 წლის შიმშილს უკრაინაში, რომელმაც მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, განკულაკების დროს დატრიალებულ ტრაგედიას, სოფლის მეურნეობის მოშლასა და მწარმოებელ, შრომისმოყვარე გლეხობის განადგურებას.

მოთხრობის მეორე ნაწილი კომპოზიციურად და ჟანრობრივად წინა ნაწილისაგან განსხვავებულია. იგი უფრო პუბლიცისტურ-პოლიტიკურ ესსეს წარმოადგენს ლენინსა და სტალინზე. მწერალი მეტად საყურადღებო თავისებურ ანალიზსა და შეფასებას გვთავაზობს.

ამ ნაწარმოებმა რუსული ლიტერატურის ერთ

8. „მნათობი", № 1.

ნაწილში დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო მეორე ნაწილის დიდი გაღიზიანება და აღშფოთებაც გამოიწვია.

ვფიქრობთ, გროსმანის ეს ნაწარმოები უმნიშვნელოვანესთაგანია დღევანდელ რუსულ მწერლობაში.

უკანასკნელი წლების ქართულ ლიტერატურაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია გრიგოლ რობაქიძის „დაბრუნება", მისი სახელის „რეაბილიტაცია".

მე ჩვენი დროის ყველა თაობის მწერალთა შემოქმედებას ვიცნობ, ინტერესით ვადევნებ თვალს მათ მუშაობას. დედაენაზე ნათქვამ მხატვრულ სიტყვას, მშობლიურ ენას რაღაც მაგიური ძალა აქვს მწერალზე. ცალკე სიტყვა, ფრაზა, კონტექსტი, ან წაკითხვისთანავე პოულობს წამკითხველის ფიქრსა და გონებაში გამოძახილს, ან სადღაც მეხსიერების რომელიღაც შორეულ ფენაში მიმალული, ისეთ დროს ამოტივტივდება და აგეკვიატება, რომ აღარც გახსოვს, სად და როდის გაქვს წაკითხული. ეს, ალბათ, ქვეცნობიერად ხდება. ყველა როდი აბერხებს აკვიატებული ფრაზისა თუ მეტაფორისაგან თავის დახსნას და, აი, მაშინ „წაუცდებათ" ხოლმე ხელი სხვათა აღმოჩენის მიმბაძველებსა თუ მიმთვისებლებს.

ნამდვილი გავლენა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა. ლიტერატურა დასაბამიდან გავლენებით საზრდოობს და არაფერი ფასეული არ შექმნილა, რასაც პარალელი ან წინაპარი არ მოეძებნოს. მახსენდება ფრანგი მწერლის — ანდრე ჟიდის მშვენიერი ესსე „გავლენის პოლოგია".

იგი წერს: „ვთქვათ, წავიკითხე რომელიმე წიგნი. წავიკითხე, დავბურე და ჩემი ბიბლიოთეკის თაროზე დავდევი უკანვე. მაგრამ ამ წიგნში იყო სიტყვები, რომლების დავიწყება ველარ შევძელი. ისინი ისე ღრმად ჩაიბეჭდნენ ჩემში, რომ მათ ჩემი პიროვნებისაგან ველარ გამოვყოფ. ამიერიდან მე უკვე ის აღარ ვარ, რაც ვიყავი, როცა ეს სიტყვები არ ვიცოდი. დე, დამავიწყდეს, რომ ისინი წაკითხული მაქვს, დე, ზუსტათაც არ მქონდეს დამახსოვრებული... მერე რა? მე უკვე აღარ შემიძლია ვიყო ის, რაც მათ წაკითხვამდე ვიყავი. როგორ უნდა აიხსნას მათი ძალა? მათი ძალა განაპირობა იმან, რომ მათ წარმოაჩინეს, მანამდე თვითონ ჩემთვისაც უცნობი ჩემი მეს ნაწილი... რომში, კიტსის განმარტოებულ, მოკრძალებულ საფლავთან მე წავიკითხე ამ პოეტის გასაოცარი ლექსები და მაშინვე, ჩემდა უნებურად მოვეჭეცი მათი ნაზის გავლენის ქვეშ, დავმორჩილდი, შემოკრილიყო იგი ჩემში, ფაქიზად შემხებოდა, გავეგე და დაახლოებოდა ჩემს დაეჭვებებს, ჩემს ყველაზე ინტიმურ ფიქრებს".

დიახ, ნამდვილ და ნაყოფიერ გავლენასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა წაკითხული, [illegible] ბული შთაბეჭდილება [illegible] დში აღმოაჩენს ან წარმოაჩენ[illegible] ში ყოფილა და მანამდე თავ[illegible] ნია.

ასეთი გავლენა არის ის ბიძგი, რომელიც მოქმედს თავისსავე თავში აპოვნინებს იმას, რაც ახალ ნაწარმოებში უნდა გაცხადდეს, რაც მისივე ფიქრების დაძირული ფენებიდან წარმოჩინდება წაკითხულის გამოწვევითა და თანხმიერებით.

* * *

ცოტა არ იყოს, უხერხულად მეჩვენება არა მარტო იმ ავტორების დასახელება, რომელთა შეფასებას არ ვეთანხმებოდი ან იმ წერილებზე საუბარი, რომელთა დონე იმდენად დაბალი ყოფილა, რომ მათი გახსენება არც ღირს.

დიახ, ხევრჯერ ვყოფილვარ არაობიექტური კრიტიკის თავდასხმის ობიექტი, არაერთხელ მომხვედრია ჩემი ნაწარმოების „აპოლიტიკურობის", „არა აქტუალურობის", ისტორიზმით გატაცების გამო.

ასეთი წერილები უფრო კონიუნქტურით იყო განპირობებული და მათ ნამუსზე იყოს, რომელთა სახელების გახსენება აღარ ღირს.

სამართლიანი შენიშვნა, დასაბუთებული მითითება ამა თუ, იმ ნაწარმოების ნაკლზე ყოველთვის სასარგებლოა მწერლისათვის, მით უფრო, ისეთ შემთხვევაში, როცა შემფასებელი გულწრფელია და ობიექტური. კომპლიმენტური კრიტიკა, თუ შეფასებული ნაწარმოები ამის საფუძველს არ იძლევა, მხოლოდ თავისთავზე უსაშველოდ შეყვარებულ მწერალს ეამება, მიუკერძებელ მკითხველს კი ვერ დაარწმუნებს და ზოგჯერ საპირისპირო ემოციებსაც აღუძრავს. ისე, დასაბუთებული მაღალი შეფასება ყველა ავტორს სიამოვნებს. პ. ინგოროყვას უყვარდა თქმა: „გამხნევება თვით ღმერთებსაც სჭირდებათ".

ჩემთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია გულწრფელად და სიყვარულით, საქმის ცოდნითა და ობიექტურობით დაწერილი ყველა წერილი, რა ენაზედაც არ უნდა იყოს. ქართულად ასეთი არაერთხელ დაწერილა, უცხოურ ავტორთაგან ჩემთვის განსაკუთრებით სამახსოვროა ნ. ტიხონოვისა (რუსულად) და რ. მ. კიფერის (გერმანულად) წერილები. შესანიშნავი რუსი პოეტის ნ. ტიხონოვის ესსე ჩემს პიროვნებასა და შემოქმედებაზე გამოირჩევა გულითადობითა და კეთილმოსურნეობით, შეფასების მასშტაბით.

რ. მ. კიფერის წერილი ჩემს ისტორიულ რომანზე (გერმანულ ენაზე გამოსული თარგმანების გამო) საინტერესოა ანალიზის სიღრმითა და დასავლეთის ლიტერატურის ნიმუშებთან მოძებნილი პარალელებით.

საერთოდ, ჩემს შემოქმედებაზე გამოთქმულ

შენიშვნებს სხვადასხვაგვარად აღვიქვამ: ხამართლიან შენიშვნებს ანგარიშს ვუწევ, ბოლო დაუსაბუთებელსა და უსაფუძვლოს არ ვღებულობ.

ხაქმე ხულ იხეც არ არის. ხაიუბილეო წერილების გარდა არაერთი წერილი დაწერილა ამა თუ იმ მწერლის ახლად გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე.

როცა ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვანი იყო და მათზე გამობმაურება — გულწრფელი, ასეთი წერილები ინტერესით იკითხებოდა, მისაგან დამოუკიდებლად, დადებითი იყო თუ უარყოფითი მათი შეფასება.

რაც შეეხება გამოკვლევებს, მწერლის მიერ მეორე თანამედროვე მწერალზე დაწერილ მონოგრაფიებს, ხამწუხაროდ, ასეთი არ მაგონდება. არა და როგორი მნიშვნელობა აქვს დიდი მწერლის მიერ მეორე დიდი მწერლის შემოქმედების პროფესიულ გარჩევასა და შეფასებას!

თავისი დიდი თანამედროვის ამგვარი შეფასების საუკეთესო ნიმუშებად მიმაჩნია დოსტოევსკის სიტყვა პუშკინზე და ბალზაკის წერილი სტენდალზე.

* * *

ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი ანომალია ისიც არის, რომ მწერლები თვითონ, საკუთარი ინიციატივით იხდიან იუბილეს. იმის წინააღმდეგი არავინ არის მწერალთა ორგანიზაციამ, თავის წევრს დაბადებისა თუ მოღვაწეობის რომელიმე მრგვალი თარიღი რომ მიულოცოს. ის კი არა, ვალდებულიც არის მწერალთა კავშირი აღნიშნოს ასეთი თარიღი. მაგრამ აღნიშვნაც არის და აღნიშვნაც! თავის ნება-ხურვილზე მიშვებული იუბილარები ზოგჯერ ზომიერების გრძნობას კარგავენ და საკუთარი პერსონის განდიდებისათვის ყოველგვარ საზღვარს ივიწყებენ.

მე ჩემი ცხოვრების გრძელ გზაზე არაერთხელ მჭონია შემთხვევა ფართოდ აღნიშნულიყო ჩემი იუბილე. ხაბედნიეროდ, ზომიერების გრძნობას ჩემთვის არასოდეს უღალატნია და იუბილარის ხავარძელში არასოდეს ჩავმჯდარვარ.

როცა 70 წელი შემისრულდა, მთავრობის დადგენილებით გამოიყო ხაიუბილეო კომისია მთავრობის თავმჯდომარის მეთაურობით.

მე უარი ვთქვი ოპერის თეატრში ხაიუბილეო ხალამოზე და, როცა ჩემმა დასაბუთებამ არ გასჭრა, ძლივს, ავადმყოფობის მოძიზეზებით ვიხსენი თავი. ერთ ჩვენს მხცოვან მწერალს ჰკითხეს, რატომ იმართავ ახე ხშირად ხალამოებსო. მან გულწრფელად უპასუხა: რა ვქნა, მიყვარხო.

ზოგს მართლაც უყვარს ასეთი ხალამოები, მე კი ჩვენი მწერლების იმ რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც პროვინციულ იუბილეებს, ხავალდებულო ადრესებითა და ყალბი ხახოტბო მიმართვებით, თავს არიდებენ...

მოითხოვნა მხატვრული ლიტერატურისადმი — ეხმაურებოდეს მიმდინარე პროცესებს, ტენდენციებს, მოვლენებს ჩვენს ხ[illegible] ცხოვრებაში, — ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მწერლობა ვალდებულია ყოველდღიური ცხოვრების ახახვას გადაეგოს. ამას ჟურნალისტიკაც აკეთებს. მწერლობის ამოცანაა ფაქტის, მოვლენების განზოგადება, ადამიანების ფსიქიკის ანალიზი, ვნებებისა და ხახიათების ხატვა, და თუ ყოველივე ეს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებსაც ეხმაურება, ეს კიდევ უფრო ზრდის ნაწარმოების მნიშვნელობას.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ მცირერიცხოვანი ერის მწერლის კეთილშობილ ვალდებულებებზე — თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ემსახუროს მშობელი ქვეყნის აღორძინებას, თავისუფლებასა და ბედნიერებაზე მისი ოცნების განხორციელებას.

მაგრამ ყველა ვალდებულებას აქვს თავისი ხაზღვრები. არც ის უნდა დავივიწყდეს, რომ ისეთი დიდი პოეტი, როგორიც აკაკი იყო, ხინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ თავის დროზე, მან შთაგონების დიდი დრო ყოველდღიურ თემატიკაზე დახარჯა, რომელთაც ჭეშმარიტი პოეტისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და მის შემოქმედებას არაფერს მატებდა.

* * *

მკითხველებთან შეხვედრისას მწერლებს პრეტენზიებს უყენებენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები (ინჟინრები, ექიმები, მუშები, გლეხები), — ჩვენი შრომა და ცხოვრება რატომ არ ახახეთო. რაც უფრო დედა ლიტერატურა, რაც მეტი წიგნი იწერება და, რაც უფრო მნიშვნელოვან როლს ახრულებენ ამა თუ იმ პროფესიის ადამიანები ერის ცხოვრებაში, მწერლობაში ამის კვალობაზე ჩნდებიან სხვადასხვა პროფესიის პერსონაჟები, გმირები.

პრობლემებსაც თვითონ ცხოვრება აყენებს მწერლობის წინაშე და არ შეიძლება წინასწარ განვუსაზღვროთ მწერალს, აი ეს პრობლემები არ ახაბულა და შენ უნდა ახახო, გინდა თუ არაო.

პრობლემებიდანაც — ზოგი ღრმაა და ცხოვრებისეული, ზოგი — მოხაჩვენარი და უდღეური. მწერალი თავისი შეხაძლებლობის ნიგის, განათლების, აზროვნების ხიღრმის მიხედვით ირჩევს და ამუშავებს პრობლემებს და ამავე შეხაძლებლობათა მიხედვითვე იძლევა მახზე პასუხს — ან ღრმა აზროვანსა და განზოგადებულს, ან ზერელესა და დღემოკლეს.

* * *

მხატვრული ნაწარმოების თავისუფალი კრიტიკული განხილვა ლიტერატურული ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად რომ იქცეს, ამისათვის ხაჭიროა თვითონ ლიტერატურული ცხოვრების ნორმალიზაცია. ერთი უმთავრესი პირობათაგანი — ცენზურის ხიმკაცრე, თითქმის უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხსნა; მეორე — ზემოდან კარნახი იმისა, თუ რომელი „მწერალი როგორ შეფასებას იმსახურებს, თავის ძალახა და გავლენას კარგავს.

ლიტერატურული ცხოვრება ნელა, მაგრამ თანდათან დგება ნორმალურ კალაპოტში. კრიტიკოსები თანდათან თავისუფლდებიან სხვადასხვა დამოკიდებულებისაგან და მაღალი ზნეობა, რასაც ისინი ქადაგებენ, თვითონ მათ მუშაობაშიც იკიდებს ფეხს.

იდეალური, ალბათ, ისეთი კრიტიკული წერილია, რომელიც პრინციპულ პოზიციას ემყარება და რომელშიაც კრიტიკოსის მაღალი გემოვნება და განათლება მეღავნდება. ასეთი წერილი არც კონიუნქტურით არის ნაკარნახევი, არც პირადი ანგარიშებით, მის ავტორს მხოლოდ ლიტერატურის სიყვარული, პატივისცემა და პასუხისმგებლობა ამოძრავებს.

ჩემს შემოქმედებაში უმთავრესია ხამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი. ხამშობლოს ბედზე ფიქრი, მის წარსულსა და მომავალზე ფიქრი და ოცნება შთამაგონებდა ლექსებსა და პოემებსაც, რომანებსაც და დრამებსაც. რა თქმა უნდა, ჩემი შემოქმედება ამით არ შემოფარგლულა. ჩემთვის უცხო არ იყო ე. წ. „მარადიული" თემატიკაც, და საერთოდ, ის პრობლემები, რომლებიც ჩვენი დროის მწერლობის წინაშე იდგა.

* * *

მატერიალურ უზრუნველობას მწერლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მწერალს არ უნდა ართმევდეს შემოქმედებისათვის ღვთისგან განკუთვნილ მცირე დროს თავისა და ოჯახის შენახვაზე ფიქრი. ეს კარგად იცოდნენ როგორც აღმოსავლეთის შაჰებმა და სულთნებმა, ისე დასავლეთის მეფეებმა და მერცოგებმა, რომის განათლებულმა პაპებმა, რომლებიც მათ მიერ დაკვეთილ ნაწარმოებებზე მომუშავე მწერლებსა და მხატვრებს უხვად აჯილდოვებდნენ და ეკონომიურად სრული უზრუნველყოფის პირობებს უქმნიდნენ.

სხვანაირად ვერც „შაჰ-ნამე" დაიწერებოდა და ვერც პეტრეს ტაძარი აშენდებოდა. იყო გამონაკლისებიც — პუშკინი, ბალზაკი, დოსტოევსკი, რომელთაც პერმანენტული „ხელმოკლეობა" აიძულებდათ, ბევრი ეწერათ, თავაუღებლად ემუშავათ. მაგრამ როცა დღევანდელი შემოქმედის შემოსავალს ვუდარებთ მათ, „ხელმოკლეობას", ვრწმუნდებით, რომ ის „ხელმოკლეობა" ჩვენი დროის მწერლისა თუ ხელოვანისათვის ხაოცნებოა და მიუღწეველი.

* * *

შემოქმედება ძირითადად გაცნობიერებული პროცესია, მაგრამ მასში გაუცნობიერებელს, ქვეცნობიერსაც დიდი ადგილი უჭირავს. მას შემდეგ, რაც ფროიდის წიგნები დაიწერა, ცხადი გახდა ბევრი დიდი მწერლის შემოქმედებაში ქვეცნობიერი ნაკადის როლი და მნიშვნელობა.

* * *

როცა პირველ ლექსს წერს ბავშვი თუ ყმაწვილი, მან არ იცის, რისთვის და რატომ. ბიძგის მიმცემი ზოგჯერ რაიმე შემთხვევაა, ან რაღაც დიდი მოვლენა, მაგრამ რატომ მაინც და მაინც ლექსად მოუნდა ხათქმელის გამოთქმა? ამის ახსნა ისევე ძნელია, როგორც იმის დადგენა, თუ რატომ მოუნდა ემღერა ადამიანს პირველად.

ეს სურვილი ხათქმელის ლექსად გამოთქმისა, ან პროზად მოთხრობისა, უმრავლესობას ადრევე უკრება და მხოლოდ მათ უვითარდებათ, ვინც მოწოდებულია (თუ გაწირული) იმისათვის, რომ მთელი სიცოცხლე ხათქმელის ამ ფორმით გამოთქმაზე იფიქროს.

ასაკთან ერთად ეს მოთხოვნილება ჩვეულებად და პროფესიადაც იქცევა და ძალიან იშვიათად ხდება სიცოცხლის ბოლომდე „დაჩვეულის გადაჩვევა", პროფესიის შეცვლა.

* * *

იაფფასიანი პოპულარობის მოსაპოვებლად არასოდეს წავსულვარ კომპრომისზე, — არც გამოთქმის ხალხური ფორმებისათვის მიმიმართავს და არც ისეთი თემატიკისათვის, ტაშისათვის რომ არის გათვალისწინებული. და თუ მაინც პოპულარობას მეც ვარ ნაზიარები, ეს, ალბათ, ჩემი ნაწარმოებებისადმი სხვაგვარი ინტერესით უნდა აიხსნას. ჩემი პოპულარობაც ზოგიერთი მწერლის არაჩვეულებრივ პოპულარობას არ ჰგავს და, მით უფრო, არც კინოვარსკვლავისას, ამდენად, მას ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებაში არაფერი შეუცვლია და ვერც შეცვლიდა, რადგანაც ხალხის უსაშველოდ განთქმისთვის არასოდეს მიბრძოლია.

ყველაზე ღრმად ჩემს ხამყაროს გამოხატავენ ლირიკული ლექსები, პოემებიდან — „გიორგი მეექვსე", „ზარზმის ზმანება", პროზიდან — „ცოტნე", „ყორნალი", „ლაშარელა".

* * *

ჩვენი დროის შესანიშნავი მოაზროვნის, ხარტრის დაკვირვებით ყველა მწერალი მეტნაკლებად ანგაჟირებულია, რაც ვნებს შემოქმედებას. მე დავუმატებდი — მცირერიცხოვანი ერის მწერალი სხვაზე მეტად ანგარიჟებულია მისი პატრიოტულ-მოქალაქეობრივი ვალდებულების გამო.

მართალია გოეთე, ბავშვობის შთაბეჭდილებებს მწერლის შთაგონების მახასრდოებელ წყაროდ რომ თვლის.

ჩემს ბევრ ნაწარმოებში (განსაკუთრებით — პროზაში) იგრძნობა ამ შთაბეჭდილებათა ცხოველმყოფელობა.

* * *

ქართველი მწერლებიდან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა პირველ რიგში — „ვეფხის-

ტეპოსამდე", „დაკითხვიდან", „ბედისწერა", „გამდეგილმა" და მოთბრობამ „სარჩობელაზე", ვაჟაფშაველას პოემებმა.

* * *

ჩემი ძველი ნაწარმოებების გადაკითხვა მიხდება მაშინ, როცა მათ მთარგმნელთან ვმუშაობ, ან რომელიმე კრებულში შესატანად ვამზადებ, ზოგჯერ — მათი გამოცემის დროსაც...

ახალი ნაწარმოების გამოქვეყნებისას იმ სიბარულს აღარ განვიცდი, რომელიც ახალგაზრდობისას განმიცდია. მაგრამ არის სხვაგვარი განცდაც, გინდა დარწმუნდე იმაში, რომ ძველებური ძალით წერ, რომ შთაგონების ფრთები არ დაგსუსტებია. ამაში კი მკითხველის გამოძახილი გეხმარება, მკითხველის გულწრფელი, პირუთვნელი რეაქცია.

* * *

მწერალი თუ იმას იფიქრებს, რომ უკვე დაწერილი აქვს ნაწარმოები, რომლის უკეთესსაც ვეღარ შექმნის, მას ახლის დაწერის სურვილი გაუნელდება. [ისევ გოეთე უნდა გავიხსენო — მან „ფაუსტის" ყველაზე პოეტური თავები თავისი ცხოვრების ყველაზე ხანდაზმულ ასაკში დაწერა.

ასეთი მაგალითები იმედს გვიმტკიცებენ, რომ კიდევ შევძლებთ ახალი ნაწარმოების დაწერას, რომელიც ადრინდელს აჯობებს, ძველზე უკეთესი იქნება.

როცა პროზას ვწერ, ყოველდღიურად ვუზივარ მაგიდას, 4-5 საათს მაინც. მწერლის სამუშაო დრო ნორმირებული არ არის, იგი ყოველთვის, მაგიდას რომ შორდება, მაშინაც შინაგანად აგრძელებს მუშაობას, ხშირად ძილისწინაც, ლოგინშიც; ზოგჯერ ქუჩაშიაც მარტო რომ მიაბიჯებ, მაშინაც. მიდიხარ და ფიქრობ, ნელნელა ლაგდება „თავში" ლექსის სტრიქონები, ან სიტუაციები და სიუჟეტური სვლები (თუ პროზას წერ). ზოგჯერ სტრიქონი აგეკვიატება და ძილს გაგიტეხავს, ვერ მოისვენებ, ვიდრე არ დაიწყობ ქაღალდზე გადასატანად.

შრომის დისციპლინა ადრევე გამომიმუშავდა. თითქმის ყოველდღე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ვჯდები მაგიდასთან; ჯერჯეროობით ვერა ვგრძნობ წერის გაძნელებას; ძველებურად „მემღერება და ვიმღერი". თუ მხატვრულ ნაწარმოებებს არ ვწერ, ვთარგმნი, ან ლიტერატურის რაიმე პრობლემაზე ვწერ წერილს.

ჩემი სამუშაო დღის მეორე ნახევარში დიდი ადგილი კითხვას უკავია. ვკითხულობ ბოლო დროს მოძალებულ მეტად საინტერესო პოლიტიკურ პუბლიკაციებს, ახალ რომანებს ქართულ და რუსულ ჟურნალებში, ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან ავტორების მიერ ჩემთვის გამოგზავნილ წიგნებს, ყოველგვარ ლიტერატურას (რელიგია, ფილოსოფია, ზელოვნება, პოპულარული სამეცნიერო ლიტერატურა).

* * *

არა მგონია, ავტორზე უკეთ რომელიმე მკითხველს ეხმოდეს ნაწარმოები, [illegible] ლებელია, მკითხველებმა სხვადასხვაგვარად გაიგონ ნაწარმოები. ეს „უკეთ" გაგებას კი არ ნიშნავს, არამედ რთულ ნაწარმოებში ისეთი წახნაგის აღმოჩენას, რომელზედაც ავტორს იქნებ არც უფიქრია, მაგრამ ამგვარი ამოხსნა თავისთავად საინტერესოა. ასეთი ახსნის, თავისებური გაგების ნიმუშია, მაგალითად ვაჟაფშაველას „გველის მჭამელის" გაგების სხვადასხვაგვარობა.

* * *

ჩემი ნაწარმოების გმირებიდან სხვაზე მეტად, ალბათ, სულიერად ახლო არიან „ცოტნეს", „ლაშარელას", „ყორნალის" და „ხამძიმრის" მთავარი პერსონაჟები.

* * *

სტილის ბელოვნურობა ან ერთგვარი ექსცენტრიულობა არც კარგი გემოვნების, არც ჭეშმარიტი ორიგინალობის გამოვლენად მიმაჩნია. კარგი სტილი ის არის, რომელიც არ ყვირის, თავს არ იწონებს და ენის ძირითადი კანონების კალაპოტში მიედინება, მაგრამ ავტორის მხატვრული აზროვნების, მისი ხედვისა თუ ხილვის თავისებურებით გიზიდავს და გიპყრობს.

* * *

ოცი წლის განმავლობაში ვიყავი საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის კომისიის თავმჯდომარე. „მუშაობდი ჟურნალ დროშის" და „მნათობის" რედაქტორად. სწორედ იმ წლებში მოვიდა მწერლობაში ახალგაზრდა მწერლების ის მძლავრი ნაკადი, რომელიც დღეს ქართული მწერლობის სახეს წარმოადგენს.

ჩემი საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ახლო ურთიერთობა მქონდა მწერლობის ამ ნიჭიერ თაობასთან. მათ შემოქმედებას დღესაც ინტერესით ვადევნებ თვალს. მომაჩნია, რომ მათ ქართულ მწერლობაში ბევრი სიახლე მოიტანეს და შეძლეს მოსაწყენი ეროფეროვნების დაძლევა. ჩემი თაობის შემოქმედებითი აქტივობის საუკეთესო წლები პიროვნების კულტის პერიოდს დაემთხვა. თემატიური შეზღუდულობა, ცენზურის სიმკაცრე, კრიტიკის დაუნდობლობა ბორკავდა მწერლის შემოქმედებას და ჩვენი შთაგონება ხშირად სასტიკი დროის მოთხოვნების რეალიზაციაზე იხარჯებოდა. მე ამ ბორკილების მსხვრევას მხარი ავუბი იმ ძნელ დროს და ყველა იმ მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რომელთა გამოქვეყნება მაშინ დიდ გაბედულებად ითვლებოდა „მნათობის" ფურცლებზე გავუხსენი გზა ხიმართლეს მოწყურებულ მკითხველისაკენ. ახალი ქროლვა დიდ წინააღმდეგობას

ბედებოდა და ავტორებთან ერთად „მნათობის" რედაქტორსაც უბედებოდა ნერვებისა და ნებისყოფის ხიმტკიცის გამოცდა.

* * *

მწერლები ერთნაირად როდი უთავსებენ ერთმანეთს შემოქმედებასა და სამსახურს.

ბარათაშვილისათვის „სტოლნაჩალნიკობა" წყეული და ბედის დაცინვა იყო, მაგრამ ილია ჭავჭავაძისათვის ბანკის დირექტორობა თუ სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა, არა მარტო დიდი შემოქმედებითი ენერგიის ხარჯვას ნიშნავდა, არაშედ სამშობლოს აღორძინებისათვის საპატიო ვალის მოხდასაც.

აკაკის უარი თქვა ყოველგვარ სამსახურსა და თანამდებობაზე და იმ ძნელ პირობებში შეძლო პროფესიონალი პოეტის დამცირებულ მდგომარეობასა და პერმანენტულ უფულობას შეგუებოდა.

ვაჟა-ფშაველამ, სადაც არ სცადა სამსახური, ყველგან სკანდალით დაამთავრა და ბოლოს თავის ფშაველ წინაპრებსავით, ხვნა-თესვითა და მონადირეობით გაძღონდა თავი.

პოეტობა, მწერლობა პროფესიად ჩვენს დროში იქცა. მწერლებს ჩვენს დროში შეექმნათ ერთგვარი მატერიალური უზრუნველყოფა, ლიტერატურული შრომით ცხოვრების პირობები.

როცა მწერალი თავისი დროის უდიდეს ნაწილს შემოქმედებას ანდომებს, ეს დიდი ბედნიერებაა და ამ ბედნიერებით სარგებლობს ჩვენი ხაუკეთესო მწერლების უმეტესობა. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, პაოლო იაშვილი, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე და ბევრი სხვა, ჩემს მახსოვრობაში, არ მსახურობდნენ, მხოლოდ ლიტერატურული შრომით ირჩენდნენ თავს.

გალაკტიონმა ერთხანს სცადა რედაქციაში მუშაობა, მაგრამ შეატყო რომ ამ მუშაობას არც სხვისთვის მოჰქონდა დიდი სარგებელი და ვერც მისთვის — მატერიალური ან სულიერი დაკმაყოფილება; ამის გამო მალე მიანება და თავი გაინთავისუფლა მისთვის დამთრგუნველი ვალდებულებებისაგან.

ერთხელ ჩვენ შესანიშნავ მეგობართან ნიკ. ზაბოლოცკისთან და მიკოლა ბაჟანთან ხაუბარში სიტყვა სწორედ ამ თემაზე ჩამოვარდა.

— რა ტყუილად ჰკარგავთ ძვირფას დროს სამსახურში. იმ ექვს თუ რვა საათს, რომელსაც დაწესებულებაში ატარებთ, შინ რომ იყოთ და შემოქმედებაზე სარჯავდეთ, განა სულიერად და მატერიალურად მეტ სარგებელს არ მოგიტანდათ? — მოგვმართა ზაბოლოცკიმ, — ამით ხომ თქვენს თავსაც აკლებთ და ჩვენს ლიტერატურასაც.

—ნამდვილად ეგრეა, — ხინანულით თქვა ბაჟანმა, — ეგრეა, მაგრამ მე სიყრმიდანვე შეჩვეული ვარ გარეთ მუშაობას [illegible] ჩვეულება მოთმოვნილებად მაქვს, [illegible] და უსამსახუროდ, მთელი დღე [illegible] ვერარც წარმომიდგენიაო.

უფრო გვიან კიევში ვინახულე ბაჟანი, ბანდაზმულობისგან გატეხილი, დასუხტებული. მეუღლემ შემომჩივლა, არ მიჯერებს, სამსახურს არ ეხსნება, არა და, აღარ შეუძლიანო.

— რა ვქნა, ისე ვარ დაჩვეული სამსახურს თავი რომ დავანებო, სიკვდილს დავიჩქარებო — ამიხსნა მიკოლამ.

მეც ჩვეულებად მაქვს, ახალგაზრდობიდან ხულ ვმსახურობდი. ალბათ, მეც გამიძნელდებოდა მთელი დღე შინიდან გამოუსვლელობა ჩვენთან კლუბები არ არის, რომ საღამოობით გავიდე, მეგობრებს შეხვდე, ქვეყნის ამბებზე, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე საუბარში ჭიქა უავაზე დრო გაატარო, მუსიკა მოისმინო, საინტერესო ფილმი ნახო, ივაბშმო.

ლირიკულ ლექსს წინასწარ დაგეგმვა არ სჭირდება, იგი მეტწილად განწყობილებით იწერება. ხოლო, როცა პოემას, დრამას ან რომანს ვწერ, წინასწარ იგეგმება და ლაგდება ბევრი რამ ფაბულა და სიუჟეტი, ტიპაჟი და სახიათები და სხვა. მაგრამ მოფიქრებული ხაზები და ჩარჩოები, ხშირად, მუშაობის პერიოდში, იცვლება. სახეებსა და სახიათებს ახალი შტრიხები ემატება. ახალი განათება ეძლევა.

* * *

მხატვრულ ნაწარმოებში თითქმის ერთდროულად ხდება შინაარსისა და ფორმის მოფიქრება. შინაარსი თავის ფორმას თხოულობს: განწყობილება — ლექსად გამოთქმას, სახიათები და ვნებები, ქვეყნის ან ადამიანების ბედზე და ფსიქიკაზე დაკვირვება — პროზას ან დრამატურგიულ ფორმას. მწერალი ასაკში შესვლასთან ერთად იწყებს სხვადასხვა ჟანრში თავის გამოცდას, მეტწილად პოეტები, — ისინი ადვილად გადადიან ლექსიდან პროზაზე ან დრამაზე. პირიქით კი, თითქმის არ ხდება. ჩამოყალიბებულმა ბელეტრისტმა მწერალმა, ლექსების წერას რომ მიჰყოს ხელი, ეს იშვიათია. ამ იშვიათ მაგალითთაგან უნდა გავიხსენო შესანიშნავი ინგლისელი მწერალი — ტომას ჰარდი. მან ლექსებით დაიწყო, მერე პროზაზე გადავიდა და სიბერეში, 70 წელს, რომ გადაცდა, ისევ ლექსებს მიუბრუნდა.

* * *

ინტელიგენციის როლი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდია და მნიშვნელოვანი. იგი უნდა გამოხატავდეს თავისი ხალხის ხაუკეთესო მისწრაფებებს, მოწინავე იდეების გამავრცელებლად და განმახორციელებლად უნდა უძღოდეს მშობელ ერს. ეს, ხაერთოდ მცირერიცხოვანი ერის ინტელიგენციას კი ის კეთილშობილი ვალდებულებაც აკვს, რომელზედაც

ზემოთ ვსაუბრობდით, როცა ჩაგრული ერის მწერლობის ამოცანებზე ვლაპარაკობდით.

ვინ არის ინტელიგენტი? ინტელიგენტი, უპირველეს ყოვლისა, გონებით (ინტელექტით) ამაღლებული, გამორჩეული ადამიანია. ზრდილობა და დარბაისლობა, კარგი ტონი და კეთილშობილება ამშვენებს ჭეშმარიტ ინტელიგენტს. მაგრამ ინტელიგენტობის უმთავრესი ნიშანი მაინც ინტელექტი, გონება და განათლებაა.

გიგანტები (რუსთაველი, შექსპირი, სერვანტესი), კონკურს გარეშე არიან. ხალხის, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილთაგან, თავისუფლებისათვის თავდადებული პოეტები არიან მიცკევიჩი და პეტეფი, შევჩენკო და ილია ჭავჭავაძე. მათი ბიოგრაფია და შემოქმედება ერთმანეთისაგან განუყოფელი მთლიანობაა, სამშობლოს საკურთხეველზე მიტანილი მსხვერპლია.

ილია ჭავჭავაძის სტრიქონები — „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმატკბილი გამგონე ჩემს მამულში", ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ქართველ კაცს აუბდენელ ნატვრად და კიდევ ბევრჯერ შესძრავს მის სულს სამშობლოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ურბანიზაციას, მართლაც, აქვს რაღაც ანტაგონისტური შემოქმედისადმი. უპირველეს ყოვლისა, იგი მტერია განმარტოებისა, მყუდროებისა და სიჩუმის, ბოლო უამათოდ შემოქმედს უქირს. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეგუება და, როგორც ჩანს, შთაგონებაც ეჩვევა დიდ ქალაქების ხმაურს, მანქანებით გაჭედილ ქუჩებს, სადაც ადამიანს ფეხის დასადგმელი მიწის მტკაველიც აღარ რჩება. ამის მაგალითად ამერიკაც კმარა, სადაც სწორედ ჩვენს დროში, უკიდურესი ურბანიზაციის პირობებში იქმნება შესანიშნავი ლიტერატურა და ხელოვნება.

* * *

მწერლობას ჩვენს ახლო წარსულში იმაზე მეტს თხოვდნენ, რაც მას შეუძლია და, რაც მისი უშუალო მოვალეობაა. როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახმატოვას ლექსზე მკაცრ დადგენილებას მთელი სერიოზულობით ღებულობდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სტალინს და ჟდანოვს სჭეროდათ, რომ ერთ უწყინარ ლექსს შეეძლო, საბჭოთა წყობილების დანგრევა გამოეწვია.

მაგრამ არის სხვაგვარი შემთხვევებიც და მე მაგონდება ჩვენი დროის დიდი ამერიკელი მწერლის სტეინბეკის ჩამოსვლა თბილისში. ქართველ მწერლებთან შეხვედრისას, როცა იგი ლაპარაკობდა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში მწერლის როლზე, გიორგი შატბერაშვილმა იკითხა: მწერლობას რა შეუძლიაო. სტეინბეკმა მოკლედ უპასუხა:

მწერლობას ბევრი რამ შეუძლია და ამის მაგალითი ბიჩერსტოუს წიგნია — „ბიძია თომას ქოხი", ამერიკის რევოლუციაც ამ წიგნმა მოახდინაო.

როგორც ჩანს მწერლობას მარტო[illegible] რამ შეუძლია, მაგრამ მწერლობის გავლენის არც უკიდურესი გაზვიადება იქნება სწორი, არც შეუფასებლობა.

შორს რომ არ წავიდეთ, განა ქართველი ხალხის ეროვნული გამოღვიძება ილიასა და აკაკის, ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებისა და ღვაწლის ნაყოფი არ იყო?!

* * *

იდეალური მკითხველი ის არის, ვისაც ნამდვილად უყვარს ლიტერატურა, ფართო განათლება და კარგი გემოვნება აქვს და ხედავს მხატვრული ნაწარმოების არა მარტო სილრმეებს, ავტორის სტილის თავისებურებასაც აფასებს და გრძნობს იმ ნატიფ ნიუანსებსაც, რომლებიც ზოგჯერ მასიური მკითხველისათვის შეუმჩნეველი და არაფრის მთქმელია.

ჰემინგუეი ამბობს ერთგან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გადავიკითხო შექსპირიო.

შექსპირს გარდა, მე ანტიურ ავტორებსაც (ტაციტუსს, ციცერონს, პლინიუსს) ხშირად ვუბრუნდები. დრო და დრო მონტენსაც ვფურცლავ. ერთი სიტყვით, ჩემი „დროსტარება", კარგი წიგნების კითხვაა.

საყვარელი წიგნის ყოველი ხელახალი გადაკითხვა, რაღაც ახალს წარმოგიჩენთ, რაც მანამდის არ შეგიმჩნევია და ესთეტურ კმაყოფილებასთან ერთად, ატყობ, პროფესიულადაც გწრთვნის.

* * *

სახეებისა და მეტაფორების განმეორება მხოლოდ იმ შემთხვევაში ღირს, თუ ისინი თავისთავად ძალზე ორიგინალურნი არიან და ერთხელ ისეთი სიხრულით ვერ გამოთქვი, როგორიც მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევდა და შენც (ავტორს) დაგაკმაყოფილებდა.

თემისა და მოტივების განმეორება, ახალი საინტერესო ვარიანტებით პრობლემის დამუშავება, გაღრმავება, სულაც არ არის ხარვეზი. ზოგი დიდი მწერალი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთი თემის ტყვეობაშია, მაგრამ ვარიაციების სიახლითა და ხედვის ორიგინალური რაკურსებით, არათუ თავისთავის განმეორების შთაბეჭდილებას ახდენს, არამედ ინტერესს ზრდის იმისადმი, რის მიმართაც ერთგულებას იჩენს.

თუ განგებამ მაცალა, მინდა დავწერო მოგონებების წიგნი, რომელიც ავტობიოგრაფიულიც იქნება და ერთგვარად შეაჯამებდა ჩემს გამოცდილებას, დაკვირვებებსა და მოსაზრებებს (ეს მოთხოვნილება კარგა ხანია გამიჩნდა). ჩემი ცხოვრების ძნელსა და გრძელ გზაზე ბევრი მიმოგზაურია, ჩვენი დროის ბევრ „გამოჩენილ

ადამიანთან მჭონია შეხვედრა, ურთიერთობა. არაერთხელ ვუოფილვარ გართულებული ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში და ბევრი ღირსახსოვარი მოვლენის მონაწილე.

ყოველივე ეს დავიწყებას არ მინდა მივცე და როგორმე ქაღალდზე გადატანა უნდა მოვასწრო.

* * *

სიუჟეტი ჩემი ზოგიერთი ნაწარმოებისა ჩემი მოგონილია, მაგრამ ისინიც ცხოვრებისეულია და მაშინაც კი, როცა ისტორიულ ნაწარმოებს ვქმნიდი, ჩემი გმირების ხასიათს ჩემს თავზე ან ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანების ურთიერთობაზე, ხასიათზე, თვისებებზე დაკვირვებით ვხატავდი.

მაგრამ მე არ მაქვს ნაწარმოები, რომელზედაც ფლობერივით ვიტყოდი — „ბოვარი, ეს მე ვარ".

უცხო ენების ფლობა სასურველი და აუცილებელიცაა. ტუუილად კი არ ამბობენ, „რამდენი ენაც იცი იმდენი კაცი ხარო". მე ფრანგული ენა ვიცი, როგორც იტყვიან, სალაპარაკოდ და სამუშაოდ. უცხო ენის ცოდნით ბელმისაწვდომი მანამდე ხდება ახალი ნაწარმოები, ვიდრე მას თარგმნიან.

ორიგინალში ნაწარმოების წაკითხვას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მკითხველი ეცნობა ავტორის სტილის იმ თავისებურებებს, რომლებიც თარგმანში იკარგება, ყოველთვის არ გადაიტანება...

ჩემი ბევრი ნაწარმოები თარგმნილია არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე, არამედ ისეთ ენებზეც, რომლებზეც მხოფლიოს ხალხების დიდი უმრავლესობა ლაპარაკობს და კითხულობს — ინგლისურად, ფრანგულად, ესპანურად, გერმანულად, ჩინურად, პოლონურად, უნგრულად, ბულგარულად, რუმინულად და სხვა.

სხვა ენებზე წიგნის თარგმნა ავტორისთვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყოს ყოველთვის, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ თარგმნა მისი შემოქმედებისადმი ინტერესსა და ერთგვარ აღიარებასაც ნიშნავს.

მეორე ის გახლავთ, რომ ამ თარგმანებზე იწერება გამოძახილი, უცხოელი ლიტერატორის შეფასება, უცხოს თვალით დანახული და გარჩეული ნაწარმოების ავკარგი, ორიგინალის ავტორისათვის სასიამოვნოა და სასარგებლოც.

ჩემი ნაწარმოების თარგმნისას საკუთარი ინიციატივა გამორიცხულია. მე ჩინეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში, რომლებშიც ჩემი წიგნი გამოსულა, არ ვყოფილვარ და არც ვინმეს ვიცნობ იქ. ზოგჯერ ფოსტით ვღებულობ რომელიმე უცხო ენაზე გამოსულ ჩემ წიგნს, ისე რომ მისი თარგმნის შესახებ არავითარი ცნობა არ მქონდა. ეს, რა თქმა უნდა სასიამოვნო სიურპრიზია.

* * *

ჩვენს ლიტერატურას „წიგნურობა" [illegible] არ ვნებს, როგორც „უწიგნურობა" [illegible] რობად" ზოგჯერ რთულ, თავისებურად საინტერესო ნაწარმოებებსაც ნათლავენ ხოლმე (მაგ. თომას მანის ზოგიერთ რომანს), მაგრამ ეს შეცდომაა, ან უკეთ რომ ვთქვათ, სადავოა. „წიგნურობა" კარგ ლიტერატურას არც ისეთ ჩრდილს აყენებს, უწიგნურობა კი ხირცხვილია, უბრალოდ.

მწერალი კალამს ხელიდან გაადებდა, იმის რწმენა თუ არ ექნებოდა, რომ მის ნაწარმოებს მომავალი თაობები წაიკითხავენ. კარგი მწერლები მომავალი თაობების მკითხველებზე ილებენ ორიენტაციას, როცა ისინი თავის დროს უსწრებენ, ან როცა თანამედროვეთაგან მათი ნაწარმოების არასწორ შეფასებას არ ეთანხმებიან და ობიექტური მსჯავრის იმედს მომავალი თაობების პირუთვნელობაზე ამყარებენ.

* * *

ძველი და ახალი აღთქმის წიგნები უდიდეს შთამაგონებელ გავლენას ახდენენ ყველა დროის დიდ შემოქმედებზე. რენესანსული ლიტერატურა და ხელოვნება ამ გავლენის ცხოველმყოფელობით ამაღლდა. ჩვენს დრომდე ამ წიგნებს შთამაგონებელი ძალა არ დაუკარგავს და არც არასოდეს დაკარგავს. ბიბლია ჩემი სამაგიდო წიგნია, მათი კითხვა ესთეტურ სიამოვნებასთან ერთად ჩემში ყოველთვის იწვევს განცვიფრებას: იგი მართლა მგავს უნაპირო ოკეანეს, რომლის სიღრმეები, თავისთი მრავალნაირობითა და შთაუწვდომლობით, არასოდეს დაკარგავენ ადამიანის გონებისათვის მიზიდულობის ღვთაებრივ ძალას.

ჩემი ინტერესი ბიბლიისადმი უნივერსალურია (მხატვრულიც, თეოლოგიურიც, ფილოსოფიურიც...) ბიბლიის კითხვა გვარწმუნებს, რომ ადამიანი არ იცვლება, იცვლება მხოლოდ გარემო ხაუკუნეების მანძილზე; არსი ადამიანის ადამიანობისა ყველა დროში უცვლელია. ამას გვაჯერებს არამარტო ადამიანის სულის სწრაფვა დაუსაბამოსა და დაუსრულებელთან ერთობისაკენ, არამედ ცხოვრებისეული, ყოფისეული მოვლენების სასტიკი რეალიზმით წარმოდგენა და ისეთი დეტალებით გადმოცემა (განსაკუთრებით ძველ აღთქმაში), რომელთა დავიწყება შეუძლებელია.

* * *

დრო და ადამიანი, — აი, ის პრობლემა, რომელიც ყოველთვის მაფიქრებდა. ამ პრობლემას მივუძღვენი პიესა „მოგზაურობა ხამ დროში". ამ პიესის გმირი აწმყოს, — ჩვენ დროს გაეჭცევა. ცხოვრებას გამოცდის წარსულში (ხუთასი წლის წინ) და მომავალში (ხუთასი წლის შემდეგ). ვერცერთ დროში თავის ადგილს ვერ პოულობს, წარსულსაც და მომავალსაც გააჩნია ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ნაკლი, რომელთაც იგი ვერ ეგუება და ისევ ჩვენს დროში ბრუნდება იმის რწმენით, რომ არ არსებობს ცუდი და კარგი დრო, დრო ისეთია, როგორსაც ადამიანები ქმნიან. შენს დროს კი არ უნდა გაექცე, არამედ უნდა გიყვარდეს იგი და უნდა იბრძოლო მისი ნაკლის გამოსახსნელად.

გარდაქმნისა და საჯაროობის პროცესი ლიტერატურულ ცხოვრებასაც შეეხო. ეს პროცესი ჯერ დადუღებული არ არის, იგი ღრმავდება და არავინ იცის, როგორ ჩამოყალიბდება მწერალთა ორგანიზაციის, ლიტერატურული პერიოდიკისა და გამომცემლობის როლი და ადგილი ახალ პირობებში. ეს კი უეჭველია, რომ საზოგადოების დემოკრატიზაცია ამ სფეროზეც მოახდენს კეთილმყოფელ გავლენას.

* * *

ამ ერთი წლის განმავლობაში, მართლაც, დიდი ამბები მოხდა. უსამართლობაზე დაფუძნებული სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პირმშო — სსრ კავშირი — გარდაქმნის უპირველესი ობიექტი აღმოჩნდა. ძალადობაზე დამყარებულმა ხალხების კავშირმა, [illegible] ლებითმა ფორმამ მრავალრიცხოვან [illegible] გაერთიანებისა, ბევრი ისეთი შეუთავსებლობა, შინაგანი წინააღმდეგობები გამოავლინა, რომელთა შენარჩუნება, გადაუწყვეტლად დატოვება შეუძლებელი შეიქმნა.

ეს პროცესი საქართველოშიც მწვავედ განვითარდა. ეროვნული გამოფხიზლების, განახლების ხიომ ჩვენშიაც მძლავრად დაბერა და დღის წესრიგში დააყენა ჩვენი ერის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების აღდგენა.

ამ სახიხარულო ამბებს ცხრა აპრილის ტრაგედიაც მოჰყვა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა თავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი შეუპოვრობა გამოავლინა. ამიტომაც ჩვენ არა გვაქვს საფუძველი, რომ ეროვნული აღორძინების პროცესის გონივრულად წარმართვის სიკეთეში ეჭვი შევიტანოთ და ჩვენი ხამშობლოს ხვალინდელი დღის მიმართ ოპტიმისტურად არ ვიყოთ განწყობილი.

ესაუბრა კრიტიკოსი **აკაკი მინდიაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა ონაშვილი

„ნატვრის ხე"

ხახელი მამულიხათვის ზრუნვაში მოიპოვება. ხაზრუნავ-ხაამაგდარო კი ბევრი სჭირს მამულს. მოყვრად მოხული მტრის ვერაგულად დაგებულ მახეში ღაფავს ხულს თავისუფლების წყურვილი, ილახება ენა ქართული, იბღალება ეროვნული ხიწმინდე, ითრგუნება ბრძოლის წადილი, უქმად გდებით ეანგდება მტრის ხისხლში ნაწრთობი ხმალი, „იმარხება ხაქართველო; იმარხება ქრისტეს კუნძული!"

ეს ხევდა ცოფიანი მგელივით ღრღნის და აწამებს გიორგი ლეონიძის გმირებს, ხამშობლოს ბედით მზუნვარე, გულდაღამეულ, ძველი ხაქართველოს დიდებით პირაკვამლებულ, მისი დარდით მოავადე, მახზე ზრუნვაში დამწვარ-დანაცრებულ ქართველ კაცებს. მათ ხულის ხიღრმეში სტკივათ მამული, „ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, დაჭრილი არწივი, ვეფხვი უხულოდ დანარცხებული", სტკივა, რადგან „პატარა ერი ვართ და, რაც თავი გვახხოვს, ხისხლი ავდრობდა ჩვენს მიწაზე. მარწყვიც კი ჩვენი წინაპრების ხისხლის წვეთია. ჩვენში პატარა გორაკიც არ არის, ზედ ტაძარი, ციხე, კოშკი ან ხიმაგრე რომ არ იდგეს" (მოთხრობიდან „ჩორეხი"). ვაი-უბედურებით მოვიტანეთ ხული დღემდე და განა იმიტომ, რომ თავისუფლების ბედნიერებას ვერ ვღირხებოდით? გარეშე მტერი ვერასოდეს ვერაფერს დაგვაკლებდა, შინაური თუ არ გაგვწირავდა, პირადი კეთილდღეობის მაძიებელი უფლებამოხილი გაქსუებული, მაძღარი ქართველი მის წიხქვილზე თუ არ დაახხამდა წყალს. ხწორედ მათი მიზეზითაა, რომ

„შავ ზღვაში ჩავარდა მზე ხაქართველოხი! რაღა ამოიყვანს?"

დღედაღამ მოთქვამს, დღედაღამ იგლოვს. დღედაღამ რეკავს განგაშის ზარივით:

„ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, ხისხლით შეღებილო, აკლებულო, დამწვარო, ტყვედქმნილო, იავარქმნილო, ვაი, ძნელბედო, ვაი, მამულო, გამეხამედებულო!"

ქვეყნის ეს გულდამწვარი ჭირისუფალი გამახვილებული ალღოთი გრძნობს მამულის ჭრილობებს და მათზე ხაუბრისას ისე თრთის და კანკალებს, თითქოს ხელით ეხებოდეს თითოეულ მათგანს. ხწორედ ეს ჭრილობებია მისი უსაზღვრო სიყვარულის წყარო. ხამშობლოზე ძვირფასი და ახლობელი ქვეყნად არავინ და არაფერი გააჩნია. ნიკო ლორთქიფანიძის ერთი დიდებული პერსონაჟივით მუხლმოდრეკილი, ცრემლით დაწვიმული ხახოებით შეჰღაღადებს განგებას.

„ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფებზე აყენე ჩვენი მამული, ჩვენი შემფერხებელი ისტორია მოგვეც განახლების ძალთა ღონიერება! ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთულაპია!"

დაღლილი ფიქრის ჰორიზონტზე ერთადერთი ნათელი მოჩანს. ეს მომავალი თაობაა, რომელმაც უნდა მიიღოს ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის ესტაფეტა, განახლების ძალა და შესაძლებლობა მასში ინახება. ხწორედ მისი შეგნების ნედლ, ნოყიერ ნიადაგში უნდა ჩაეყაროს მამულის სიყვარულის ჯანსაღი და გამძლე თესლი. ეს იცის ჩორეხმა და ამიტომ სკოლიდან მხიარული ყივილ-ხივილით გამოცვენილ ბავშვებს სოფლის დიდ ცაცხვებთან ხვდება, რამდენიმეს ბატკნებივით გადაარჩევს და გატაცებით მოძღვრავს, წვრთნის, შთააგონებს, ასწავლის, აცნობს საქართველოს ისტორიას, ლოცვახავით ზეპირად უკითხავს ადგილებს „კალმასობიდან".

„ქართველნი წინაპარნი ჩვენნი იყვნენ თუმცა კირთებასა შინა ხხვათა და ხხვათა მპყრობელთა მიერ, — მაკედონელთაგან, რომაელთაგან, ბერძენთაგან, ეგვიპტელთაგან, ხპარხელთაგან, ხკვითთაგან, ოსმალთაგან და ჩინგიზთაგან, მაგრამ სიყვარული მამულისა და სიმაგრე სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა ვერა დაატოვებიეს, იძლეოდნენ და ხძლიეს, იდევნენ და განდევნეს და ესრეთ მოიგეს უკვდავებისა სახელი!“.

და მეოცნებე ყმაწვილთა გალიზიანებულ წარმოსახვაში მთელი თავისი გრანდიოზულობით ცოცხლდება და სულს იდგამს ვეებასა და დელგამში გამოვლილი ჩვენი ისტორია. ბრძოლის ყიჟინა აზანზარებს ციხე-კოშკებს. ხმალშეუხსნელ წინაპართა გოლიათური ნაბიჯით ტორტმანებს სამყარო. თითქოს წარსულის ლაბირინთებიდან აღწევს ჩორეხის შთამბეჭდავი ხმა:

„— ერთხვიენით ქართულ მიწას!

— აკოცეთ წარსულის ნაშთებს!“ — და ყმაწვილებიც. მუხლმოყრილნი, პატრიოტული გრძნობით გაბრუებულნი, სახიერით კოცნიან წამებული მშობლიური მიწის დაშაშრულ ბელტებს, ძველი ციხის ხავსიან ნანგრევებს, აქედან ისრუტავენ მოკალაკეობრივი შეგნების დვრიტას. ჩორეხია მათი ნამდვილი მასწავლებელი და არა ის, ვინც მარტოოდენ თავისი საგანი იცის. შფოთავენ, ბორგავენ, ბობოკრობენ ყმაწვილები, მამულის კვამლი ალმურად ედებათ ახლად შეგინგლულ სახეებზე. ამ შფოთვის ცეცხლში იტვედება მათი სული, ყალიბდება მათი ხასიათი, იკვეთება სამომავლო მიზნები და მისწრაფებები. მათ ნებისყოფას სამი რამ აწრთობს:

„დედა-ენა“, „ჯეჯილი“ და რუსთა მეფის სიძულვილი“.

ამიტომაც მათთვის იმედიანად შრიალებს ბაზალეთის ლერწმიანები.

რამდენჯერ იხსნა, განწმინდა და აამაღლა უფსკრულის პირს მიმდგარი ჩვენი ზნეობა ამგვარ მოძღვართა უანგარო ღვაწლმა და თავდაცემამ! დღეს, როგორც არასდროს, ეროვნული სულის დაკნინების, ეგოიზმის, მომხვეჭელობისა და პირადი კეთილდღეობის ძიების ამ ხაშინელ ატმოსფეროში, რარიგ გვჭირდება ხაქმისათვის თავდადებულ, უჩრდილო, უშაკო მასწავლებელთა პირადი მაგალითი, მაგრამ ვაი, რომ ცოტა ცდილობს ამ შეგნების აღდგენასა და გათავისებას!

ჩორეხი კი... „წოწოლა, წვერულვაშიანი, სათვალიანი, გამხდარი, ახოვანი, მკაცრი შეხედულებისა, თმაგაბურძგნული, უქუდო, მტვრიანი, გაოფლიანებული“, ძველებურ მასრებიან ჩობასა და ხარაზულ წაღებში გამოწყობილი, ეს პრაქტიკულ ცხოვრებაში გაუწაფავი კაცი, მხოლოდ წარსულით ხუნთქავს და არსებობს. მას სწამს, რომ ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც წარსულის ხსოვნა თავდება, ამიტომ დადის ტყე-ღრეში, ბრამებსა და ღრანტეებში, თხრის, ეძიებს, აგროვებს, სწავლობს წარსულის ნაშთებსა თუ ბუნებრივ მინერალებს, ვახუშტის მგზნებარე თაყვანისმცემელი და მიმდევარი, დაუღალავად ქადაგებს იმას, რომ ეროვნული ხაბის შეხანარჩუნებლად მუდამ უნდა გვახსოვდეს, ვინ იყვნენ ჩვენი მამა-პაპანი. მათი ხისხლისა და ოფლის მადლი არ ივიწყოს ქართველობამ. მათი სულიერი ... ხაც ტრიალებს ჩვენს შორის, პატიოსნების, კეთილსინდისიერების, ერთგულებისა და თავგანწირვის შეგნებას გვიღვიძებს, ე. ი. ისევ მუშაობს მომავლის გადახარჩენად, ამიტომ ჩორეხს ძილშიც ნადარბაზევი, ნაპალატევი, ნაჭალაჭარი, ნაკოშკარი, ნარუჯები, ნაოხრები, ნალეწები აკერია პირზე. როგორც ჩვილი — მაწოვარ დედას, ისე მისტირის ხაქართველოს წარსულს. მეხეთი, ხამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ერუშეთი, ჭანეთი, — სულ ერთნაირად სტკივა ხაქართველოს ეს ნატამალი.

„არ დავივიწყოთ ხაქართველოს მოკრეული ძუძუ! ჩვენი აკვანი! ქართული ხალამანი, ... იქ მზე!“

მშობელი ქვეყნისა და ხალხის უზომოდ მოყვარულ ამ უჩინარ, უხმაურო და უპრეტენზიო კაცს არ სურს თანამემამულეთა ჩრდილოვანი მხარეების დანახვა, ამიტომაც, სოფლის უძღები მღვდლის მაბეზღრობით რამდენიმე თვის მანძილზე ციხენალესს, მოტეხილსა და განადგურებულს, ხაკუთარ ბედსა და მდგომარეობაზე უფრო ქართველი კაცის მუხანათობა, გაუტანლობა და ღალატი აშფოთებს. თავად ხპეტაკად და უანგაროდ ცხოვრობს და ახლა მიდის ამა სოფლიდან, — კეთილი, მამულზე უღვთოდ შეყვარებული, მასზე დარდით ჩაღამებული. მიდის და ტოვებს აურაცხელ სულიერ თუ მატერიალურ განძს, მაგრამ ვაი, რომ სულიერი კულტურის ამ სიმდიდრეს უბირი, უვიცი და უგნური ადამიანის მსახვრალი ხელი ანადგურებს. ხადღაც, ნაგავზე იყრება მისი მონაპოვარი ფაქიზად მოვლილ-ნახათუთები ხმლები, ხანჯლები, ხამკაულები, მინერალები თუ ხელნაწერები. უძველეს და უმშვენიერეს მძიებსაც კი არავინ იკარებს, ნამკვდრევიაო. ვიღაცას ხამადლოდ მიაქვს ვახუშტის ხურათის ჩარჩო, თავად ხურათს კი, ჩორეხისაგან დიდი რუდუნებით შეხრულებულს, მისი ცოლი გატეხილ ხარკმელში ხვამს მინის მაგიერ. ჭუჭყიანი ფანჯრიდან ხევდიანად იყურება დაღვრემილი ბატონიშვილი, თითქოს ქვეყნის დიდი გულშემატკივრის დაკარგვას იგლოვსო. ეს მწვავე ხატირაა ყველას მიმართ, ვისაც ვერ შეუგნია წარსული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი ღირებულება, ვინც არ იცის, რომ გარდასულ დიდებაზე მეტყველი ხაგნობრივი თუ ხიტყვიერი განძი პატრიოტული გრძნობის ნაკადად იეღინება შემდგომი დროის მფეთქავ ხხეულში. წარსული, აწმყო და მომავალი ხომ დიალექტიკური ერთიანობაა, ხაიდანაც რომელიმეს ფამოთიშვა, უგულვებელყოფა უმალ დაარღვევს მარმონიას. წარსულის ჭაქვის გაწყვეტა ფაქტიურად მომავლისაკენ მოკრილი გზაა. ჩორეხის ხახით მწერალმა უკვდავების ძეგლი აუგო იმასაც, ვინც

უკვე წავიდა ღვაწლმოსილი, მაგრამ დაუფასებელი, და იმასაც, ვინც შემდგომ მოვა, არა დიდებისა და პატივის მაძიებელი, არამედ თავგანწირული, ძლიერი, გმირული შემართებით ჩაუდგება კვალში ყოველივე ეროვნულს, ვინც სიკეთის თესვაში უანგაროდ დახარჯავს თავის თავს და დიდების კვარცხლბეკს არ მოითხოვს ამ გარჯის საზღაურად და სამაგიეროდ.

ხშირად ტრაგიკულია ამგვარ მოღვაწეთა ბედი. ისინი, უჩინარნი, უხმაურონი, ამ ძნელ გზაზე უმეტესად მარტოხულნი და ეულნი რჩებიან, რადგან პრაქტიკული საზრუნავის შებოჭილ, ყოველდღიურობის წვრილმანებში ჩაფლულ საზოგადოებას არც სურს და არც შეუძლია მარადიულზე ფიქრი. საამისოდ მხოლოდ რჩეულნი არიან მოწოდებულნი (მათ შორისაა ფორე — ქრისტეფორე თამარიძე მოთხრობიდან „ნიშარძეულის წყალი").

* * *

გიორგი ლეონიძის მოთხრობების პრესონაჟები ხულისშემძვრელად წრფელნი და უშუალონი არიან. ცხოვრება მათ არასოდეს აჩერებს ნიღბებს, ამიტომ ზუსტად ამ სახით გამოიყურებიან, როგორადაც ღმერთმა მოავლინა ამქვეყნად, ალალ-მართლად ამზეურებენ დიდ სულიერ განძსაც და ნაკლოვან მხარეებსაც (თუ, საერთოდ, აქვთ ნაკლი). მათთვის უცხოა მოჩვენებითობა და ყალბი პოზა. ვერც განვლილი წლების სიმძიმე, ვერც მწარე გამოცდილება, ვერც ცხოვრების საჭიროება, ვერც კეთილდღეობის წადილი ვერ აიძულებთ მაღალი ზნეობის ნორმებიდან სულ მცირე გადახვევასაც კი, არ თვალთმაქცობენ, არ პირფერობენ უკადრისს არაფერს კადრულობენ. მაშინაც კი, როცა მკაცრი სინამდვილის წინაშე უძლურნი აღმოჩნდებიან, არ მრისხანენენ, არ ბოროტდებიან, შურისა და სიძულვილის ღვართქაფად არ ატყდებიან ჯოჯოხეთად ქცეულ გარემოს. ოცნებადამსხვრეულნი, რწმენაშერყეულნი, გულგატეხილნი, ისინი უსიტყვო მორჩილებით უღრმავდებიან თავიანთ სატკივარს, არა მონური თავმოდრეკით, არამედ — საკუთარი ღირსების შეგნებით. მათი სიმართლე ბავშვურად წრფელი და მართალია, მათი სული — წმინდა და უხინჯო, მიზანი — ღიმილისმომგვრელად მიამიტი.

ადამიანს თავისი სამყოფი, იქნებ, ქვაც ჰქონდეს და კაკალიც, მაგრამ ყველა ხომ ვერ შეიბუდებს პირადი სურვილების ნაჟუჟში? ზოგჯერ საქვეყნო დარდიც შეუჩნდება ჭიანავით და გაუბზარავი რწმენით გადადგამს სისულელემდე გულუბრყვილო ნაბიჯს: უცებ განიზრახავს მსოფლიოს გადარჩენას. ეს დონკიხოტური ლაშქრობა მისი გონებრივი სისუსტის კი არა, რომანტიკული სულისა და უზადო, მიმნდობი ბუნების შედეგია. თვითონ უმალ მიიღებს სხვის გონივრულ, კეთილ რჩევას, მაშ, რატომ არ უნდა მიიღოს სხვამაც. თუნდაც ეს ზეციერ წიფე იყოს?!

დალაქი ბუნებულა ფანტ[illegible] ჩვილი, გულნაზუქა, მოხიყვარულე, უწყინარი, ძვირუხსენებელი, მეგულკეთილე, თან გაგებული, შესმენილი" კაცია.

ამ შესანიშნავად შერჩეული, მსუყე, ხორციანი ეპითეტებით რელიეფურად იკვეთება სახე ხოფლის დალაქისა. ამ უბოროტო, უჩრდილო, უანგარო კაცს ღრმად შეუგნია ცხოვრების ნამდვილი აზრი. მისი ძალზე მარტივი, ნათელი და ჭეშმარიტი ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანურ ვნებათა უსაზღვროებას სამოლოოდ წერტილს უსვამს სიკვდილი, რომლის შავ-ბნელ წყვდიადში გათანაბრდება სუსტი და ძლიერი, მდიდარი და ღარიბი, ამიტომ კაცის ყოველ მოკმედებას, სწორედ ეს შეგნება უნდა ედვას საფუძვლად. „არავის აწყენინო, მოშიშება უნდა გქონდეს, ჩვენი ბოლო სამი ფიცარია!" — აქ „სამი ფიცარი" მოჩანს, როგორც უსახტიკესი გაფრთხილება მათ მიმართ, ვინც არ აფასებს ღვთით ბოძებული სიყვარულიანი დამოკიდებულების ნიჭს, სიცოცხლის ამ უდიდეს ჯილდოს.

„სინდისის დარზე ვიდგეთ, და-ძმობაზე ვიაროთ!" — აი, ყველა დროისათვის სახმენი მისი დევიზი!

დალაქის აზრით, „თავი და თავი გულის მოსავალია! ჯერ გულის მოსავალი მოირეწე და მოკრიფე, მერე მიწისა!"

აქ გამორიცხულია პრაქტიკულად დაგეშილი ჭკუა და მომხვეჭელობის ალღო, ამიტომაც ჩანს ეს უბრალო დალაქი ასეთ მომხიბლავ პიროვნებად, ამიტომაც გვჯერა მისი, რომ „სივაჟის მოგებული არაფერია სინდისის მოგებულთან! ადამიანს რომ შეხვდები, მარტო ხაქმეზე არ უნდა ელაპარაკო, გუნებრივად მოიალერსე, გუნება მოიმყუდროვე, ორივეს ჯანი და აგებულება დაგიმშვიდდებათო".

დალაქის პორტრეტს სრულყოფს მისი პროფესიული შტრიხებიც: დილეტანტის ავტორიტეტული, პრეტენზიული, მაგრამ ყოველად უბოროტო და მიამიტი მსჯელობა ხაკაცობრიო პრობლემაზე. დალაქი და მისი სამფლობელო ხომ თავისებური საფიხვნოა, სადაც განიხილება და წყდება ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საკითხები, „სტარტი ეძლევა" ბორხა თუ მართალს.

ბუნებულას „სადალაქოში პოლიტიკაზე ლაპარაკი უყვარდა, პოლიტიკოსებს საქმიანობას უწუნებდა, თუ კი ხალხია, ომი რად უყვართო, ომს რად აჩენენო! ნაპოლეონიც მიყვარს, გიორგი სააკაძეც, მაგრამ ომები იმათ მოიგონეს, მათი ძვლები ხალხის ცოდვით ვერ მოიხვეხენენო!"

სწორედ ეს მშვიდობისმოყვარე სული, სიკეთის ქმნის, ხალხისათვის რისიმე რგების სურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი უბიძგებს „დიპლომატიური" ნაბიჯის გადადგმისაკენ მსოფლიოს გადასარჩენად. თავად პატიოსანსა და გულმართალს, ნამდვილად სჯერა, რომ საკმარისია, ხელმწიფეესთან მივიდეს და შინაურულად უთხრას, — თუ კაცი ხარ, ნუ იომებ, სისხლისღვრა საჭირო არ არისო, ხელმწიფე მაშინვე სირცხვილით დაიწვება, თავს მორჩილად დაბრის და, უსერხულობისაგან ენადაბორკილი, ძლივს წაილუღლუღებს, — კარგი, ბუნბულა, შენ როგორც გინდა, ისე იყოს, ოღონდ გული ნუ დაგწყდებაო. ამ ოცნებით ფრთაშესხმული მიდის ქალაქში კეთილი კაცი, რომელსაც ეს სიკეთე მთელი დედამიწისათვის ემეტება, და რაოდენ სახაცილოდ საყვარელია იგი, მკაცრი სინამდვილის პირისპირ მდგარი, უღმერთოდ დამარცხებული, განადგურებული, ადრე საქვეყნო საზრუნავით გულანთებული, შემდეგ კი კოპიტის ნაღვერდალივით ჩაფერფლილი, უმწეო და საცოდავი, რომელსაც თავის სიცოცხლეში პირველად და ერთადერთხელ ეცოტავა სადალაქოს ვიწრო კედლები და დიდმა ხულმა დიდი ახპარეზისაკენ გაიტაცა, მაგრამ მალე დაარწმუნა, რომ ეს ახპარეზი მისთვის არ იყო განკუთვნილი. დაჩიავებული, დამღიერებული, შეურაცხყოფილი. იგი ველარ ენახვება ხოფელს, თითქოს ფუნქცია დაკარგა, როგორც ადამიანმა, როგორც ამ ხაზოგადოების წევრმა. მკაცრმა სინამდვილემ უღმერთოდ დათრგუნა მისი მეოცნებე ხული. ეს არ არის მარტო მისი უბედურება. ეს ტოტალური ტრაგედიაა, ბუნბულასათვის, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებული. რა შეუძლია ერთან, თუნდაც მეტ, პიროვნებას, როცა ერთმანეთს ეჯახება დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური ვნებები?! მსოფლიოში უწყალოდ იღვრება უდანაშაულო ხალხების სისხლი. დამპყრობელი ქვეყნები უძლები მადით ებლაუჭებიან მსოფლიო ბატონობის შესაძლებლობას. რა ესაქმება ამ გააფთრებულ აგრესიასთან პატარა ხაქართველოს და მის ერთ პატარა ხოფელს, რომლის ღარიბული ქოხმახებიდან წარა-მარა გაისმის ხულისშემძვრელი შეკივლება, რომლის ეგზოტიკურ ორღობეებში თანდათან მრავლდებიან მოუნელებელი ტკივილით დათრგუნული, მძიმედ დათალხული, უშთამომავლოდ დარჩენილი, ადრე დაბერებული დედაკაცები: ჩაბტაურები, დეიდა მაიკოები, თბილ კალთაში წვითა და დაგვით რომ გამოუზრდიათ მამით ობოლი ჩვილები, გვარის გამგრძელებლები, ერის ხულის შემნახველნი, მაგრამ ვერ ღირსებიან მათ გამრავლება-გაფუფუნებას. ხადღაც, ცხრა მთას იქით, უცხო მხარეში ყრიან ძვლებს მათი კერკეტა ვაჟები, თითქოს საქართველოს მოსჭარბებოდეს დამცველი და შემნახველი. ხად და რატომ იღვრება მათი წმინდა სისხლი, ვის ინტერესს ეწირებიან მამულის მხსნელად გაჩენილი ტალიკ-ტალიკი ბიჭები? სხვისი ბოროტი მიზნებისათვის ბრძოლაში [illegible] დემდე უნდა იცლებოდეს სისხლისგან [illegible] თველო? სარკასტული ნობათივით [illegible] მოსდიოდეს ქართულ ოჯახს სხვის ომში ყოველად უაზროდ დაღუპული შვილის დაბეჭდილი კუბო? განა არ ყოფნის მამულს თავისი ხატკივარ-ხაწუხარი?

* * *

გიორგი ლეონიძის პერსონაჟები — ელიოზი, თაღრია, ფუფალა, — ერთი შეხედვით, ძალზე ჩვეულებრივი, უბრალო, გლეხის ტყაპუჭში გაზვეული, ღარიბი, უქონელი, სინამდვილეში კი „ნაზი გულის", „ცხარე მეოცნებე" ადამიანები არიან. ყოველ მათგანს ხულში დიდი ხანთელი უნთია, ხაკუთარი სიმართლის ხანთელი. დადიან მწუხარებით დაზაფრულნი, დარდით გათანგულ მკერდზე დაძარღვული ხელი აუფარებიათ, ზოგს მარტოობის სევდისაგან ენა მუცელში ჩავარდნია და შედედებული ტკივილი სისხლიან ნაწიბურად დასდებია გულის ჭრილობაზე, ზოგს მოჭარგული ენა ამოუდგამს, ხაკუთარი ოცნება რეალურ ფაქტად წარმოუდგენია, ფიკრში გავლებული თავის თავგადასავლად დაუსახავს...

მათთვის წაშლილა ზღვარი ნამდვილსა და გამოგონილს შორის. ისინი მხოლოდ ოცნებით ცოცხლობენ და არსებობენ, ოცნებით იდგამს ხულს მათი უდიმდამო ყოფა. მძიმე ცხოვრების ბრიოკზე ისინი წარმტაცი იებივით არიან ამოხულნი და ნათელს ფენენ გარემოს.

იგონებენ, თხზავენ, აფერადებენ ხაკუთარ წარხულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც: სხვა რა გზა აქვთ, როცა ასე უჭირთ სინამდვილისათვის თვალის გასწორება, ეს სინამდვილე კი აი, როგორ გამოიყურება:

„სინათლე გაგვდის ფერდებიდან, შიმშილით ნაწლავები გვეწურება"... „ნეტავ როდის ამოხულა მთვარის ადგილს მზე („თაღრია")". ამ ჭირსა შიგან ისინი მაინც პოეტურად აზროვნებენ, პოეტურად მეტყველებენ, პოეტებად რჩებიან.

ვეშა-წყარო უკვდავების წყაროა და იქ, მართლაც, არ მიესვლებათ ელიოზსა და მის ბედში მყოფთ. არც ოცნებობენ ამაზე. ბედნიერებაზე ხელი არ მიუწვდებათ, ამიტომ არც უკვდავება სწადიათ, რადგან მძიმე და აუტანელია ცხოვრების ტვირთი.

ელიოზი ისეთი ლატაკია, მშიერი ძაღლი ლუკმაში რომ არ შეეცილება. ამ უმამულო, უსარჩოო კაცის ჩამონგრეული მიწურის წინ მუდამ მყრალი გუბე დგას, მწვანე ბუზებით დახუნძლული ძონძები, ჩვრები, ჭუჭყი მოსდებია იქაურობას. აბა, რად უნდა ელიოზს ხაზიზღარი სილარიბის უკვდავება? ერთი კია, „ცხოვრების სისასტიკეს ვერ ჩაეკრო მის ხულში ოცნების ნაპერწკალი და თავისივე შეთბზული

უცნაური ოცნებებით იფარავდა თავს მხეცივით შემოტეული ხანიმდვილისგან".

რა გასაოცარი დინამიკდ, რა მოძრავი პასუხებით, რა ცოცხალი თხრობით გადმოგვცემს მწერალი ელიოზის დაუოკებელ ლტოლვას ბედნიერებისაკენ:

„ჯერ ოქროკვერცხას, ოქროსმდებელ ქათამს ეძებდა ბუჩქნარში, მერე დაიეინა ნათელთევზას დაჭერა და მთელი დღეები დაკარწახებული იდგა იორში. მოჩხრიკა, ამოხაპა იორი, დაღალა ბადე. ჩანგალი: წყლის ტოტებიც დაწურა, ხელაობასაც გადაეკვდა, მაგრამ არ იკნა, ნათელთევზა ვერ იგდო ხელთ და ვერა".

რას იზამ, ბედნიერება იოლად არ მოიპოვება. მას დიდი გარჯა და მცდელობა სჭირდება. მთავარია, ნებისყოფამ არ უღალატოს, თორემ „იანვრის სასტიკ ყინვიან ღამეში თუ შუაღამისას მოხვდი ტყეში და თუ ცის გასხნას შეესწარ, მაშინ დაინახავ ტყრფად აყვავებულ ჯადოსნურ ხეს. არა მშვენიერება მას არა ხჯობია! ის ხე თურმე ერთ საათში კიდეც აყვავდება, კიდეც ნაყოფს მოიხამს. თუ მისი ნაყოფი ხელთ იგდე, ერთი გაკვნეტა და მორჩა! ხილარიბე იმ წამსვე ჩამოგეცლება ხამუდამოდ!"

ხაოცარია, ეს მისთვის არავის უთქვამს, არავის ჩაუგონებია. მისმა მეოცნებე, პოეტურმა ბუნებამ თავად შეთხზა და შემდეგ თავადვე დაიჯერა მშვენიერების ეს ხასწაული, ამიტომაც იანვრის ცივ ღამეში, „როცა ყინვით ცა გასკდომაზეა", დაკონკილ-დაძონძილი, შილიფად მოხილი დაეხეტება იგი ტყე-ღრეში ცის გახსნისა და აყვავებული ტყეტვრის ხის ხილვის წადილით აღგზნებული. ეარც ყინვის, არც ნადირის შიში ეკარება, რადგან სული პირთამდე აქვს გალიპლიპებული ოცნებიანი სურვილით. ფიქრის თვალით მხოლოდ წითელ-ყვითლად აბრიალებულ ხეს ხედავს. მეზობლები ირონიანარევი თანაგრძნობით ეკითხებიან:

— რა ჰქენი, ელიოზ, იპოვე შენი ნატვრის ხე?"

იგი ვერც კი ამჩნევს ამ ოდნავ დამცინავ კილოს და გულდადებით პასუხობს:

„— ვერა; მაგრამ ვნახავ!

— ტყეში რომ ცივა, რომ ბაბანებ და თრთი ამ ფიცხელ სიცივეში?

— მაშ, როგორ გინდა, შე ოჯახაშენებულო?"

დიახაც, იცის, რომ ბედნიერება იოლად ვერც მოიპოვება და არც ფასი აქვს იოლად მიღწეულს. გზა ძიებისა ბეწვის ხიდზე გადის. ვაი მას, ვისაც ამ ხიდზე გაგლის სურვილი დაეშრიტება ან იმედის ვარსკვლავი ჩაუქრება, თორემ მიზნის ძიებაში გაუბზარავი რწმენით სიკვდილიც ბედნიერებაა.

ზამთრის ერთ დილას, როცა „ყინვას ქახქახი გაუდის", ტყიდან მარხილით მოახვენებენ „ყინვით აყვავებული" ხის ქვეშ გაფიჩხულ ელიოზს. „მართლაც ისეთი ლამაზი ხე ამბავია ჩია ხაწყალს, რომ იმის ლამაზას ამოფერა სჭობდა. ყინვას მოერთო [illegible] ბით, არშიებით, რუშებით, ჯინჯილებით, სულ დახურათებული იყო".

ამ დიდებულ მეოცნებეს კუბოსაც თავისი ფარღალალა ხაბძლის ფიცრებიდან უკრავენ, რადგან სხვა ხასხარი არ გააჩნიათ. თან მიაქვს, რაც ყველაზე ძვირფასი და ხანუკვარი ჰქონდა — დიდი, უკიდეგანო ოცნება. ესეც მისი ერთი ლექსია, ქაღალდზე დაუწერელი, ზეპირად უთქმელი, მაგრამ სულის უნაზეს ხვეულებში იდუმალი ნეტარებით ჩალექილი.

* * *

ოცნება აძლებინებთ ამ მრუდე წუთისოფელში, ოცნება აძლევინებთ არა მარტო სიღარიბის, არამედ უიღბლო სიყვარულის ხიძნელესაც და როცა ამ ოცნების ხაყრდენი დამეწყვრილ მიწასავით ეცლებათ, ისინი მაერში გამოკიდებულნი რჩებიან, უმწეოდ ასავსავებენ უძალო ხელებს, შემუსვრილი რწმენა თუ მცნება მტკივნეული სიცარიელით ავსებს მათი ჩაფერფლილი სულის ყოველ კუთხე-კუნჭულს.

სოფლის შარაზე, გაგონია შუადღეს, როცა თაკარა სიცხეს [illegible] აკომპანემენტად გახდევს ბრიკინინბელების გაბმული კრუალი, მტვრის კორიანტელში უდაბნოს მირაჟივით ილანდება ლურჯი ხატინის ხალათით მოსილი, წელზე აბრეშუმის ღვედშემოკეედილი ყოფილი ხემანარიელი ანარქისტი იორამი („სოფლის შარაზე"). მას ზამთრობით პალტოს ხაყელო ყოველთვის მაღლა აქვს აწეული, თავზე კი შავი „შლიაპა" ახურავს. ლაბორაკისას ჭუჭს უთუოდ მოიხდის, შავ ფაფარს თავის აქნევით გადაიყრის უკან და სიცოცხლეს უმწარებს გზაზე შემოყრილ სოფლის მღვდელს, თან ისეთი რობრობითა და მგზნებარე პათოსით ლაპარაკობს, გაღმა სოფელშიც კი ესმით მისი ხმა:

„ანარქიზმის მეტი არა გვიშველის რა! ხალერთმანეთო, ხამთელქვეყნო, დიდი აზრი, დიდი ცეცხლი უნდა გავაღვივოთ! კასპიის ზღვა შავ ზღვას ვმკრათ, ძველი ქვეყანა უნდა ავაფეთქოთ დაუყოვნებლივ, რაღას ვუცდით!"

ხან წვრილფეხობას შეკრებს და ხმამაღლა ამეორებინებს:

„ძირს მეფე, ბატონი, მღვდელი, პოლიციელ!"

ამ რამდენიმე შტრიხით რელიეფურად იკვეთება უაღრესად კოლორიტული ტიპი მთელი თავისი სულიერ-ინტელექტუალური ავლადიდებით.

ეს ხელისუფლების მოძულე და მეამბოხე სულის კაცი, რა თქმა უნდა, ბუბართან თვლემის იდილიასა და რომანტიკულ წუხილს ვერ დასჯერდება, ამიტომაც ზვირთშეზვინულ, ლაგამმოშვებულ იორს დამეგობრებია და მღელვარებაში ჩაზიარებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლობა, ეს ინტერესი ... ეგრე იბრძოლე, სიცოცხლე მაგრძნობინე, უკ. შენი ჭირიმე!“

თავადაც ოორივით ბორგავს, ბობოქრობს, ოთხანებს, ბრდღვინავს, ემუქრება ცახა და მიწას. სინამდვილეში კი ... სულაც არ არის რომელიმე პოლიტიკური სიხტემის თანმიმდევრული დამცველი, სოციალური ვნებებით შეპყრობილი პიროვნება, თუმცაღა მგზნებარედ ქადაგებს ანარქისტულ იდეებს. ხალხში შემაშფოთებელი ხმა დადის, — ოორამი ჩუმ-ჩუმად ბომბებს ამზადებსო, არადა, ალბათ, ჩიტსაც ვერ ესვრის ხაფანტს. უბრალოდ, მისი აფორიაქებული სული აჯანყებულ სხეულში ვერ ეტევა სრულიად მარტივი და ბუნებრივი მიზეზის გამო. ეს მიზეზი „მამახახლისის ქალი, ძუძუმკერდა მერციაა“, ამ ბორგნეულ ატმოსფეროში ყამირზე ამოსული ჩახჩახა ვარდივით რომ ამობრიალებულა. ცეკვა-ხიმღერის მოყვარული, ეს „ბორციელი, ხაღერღელაშლილი“ გოგო ჩუმი და უნაზესი ხიყვარულით შეპყვარებია გარეგნულად უხეშ და ხასტიკ ოორამს, და თუმცა მწერალი ამის თაობაზე არაფერს ამბობს, მოთხრობის სტრიქონთა გამქვირვალე გარსში მაინც თვალნათლივ მოჩანს, მერციას ცეცხლოვანი ენერგია როგორ გადადის ოორამის არსებაში, როგორ ავსებს მას ნაპერწკლიანი მუხტებით. სწორედ ეს ქალია ანარქისტის ფეთქებადი მასალა, თორემ ხად ბომბები და ხად სიყვარულით აგიზგიზებული მიჯნური, ხატრფოს მოულოდნელი გათხოვება უცებ რომ ჩაუღამებს სამყაროს, ჩაფერფლავს, ჩანავლავს, ღვინოგამოცლილი ტიკივით ჩაჩუტავს, წაართმევს სიცოცხლის ყოველგვარ ხალისს.

ანარქიზმი ოორამისათვის მხოფლმხედველობა კი არა, განწყობილებაა, რწმენა კი არა, გრძნობაა, ამიტომაც არის, რომ გოგოს გათხოვების შემდეგ იგი ხაშინლად დუნდება, იფიტება, დაფლეთილ აფრასავით ეშვება.

მოთხრობის ბოლოს, როცა უზომოდ მოლოთავე და მღვდელთან უკვე ინერციით, უნდილად მოკამათე ოორამს ვუმზერთ, გული ბრალით გვევსება. აღარც მიზანი, აღარც სურვილი, აღარც ლტოლვა, აღარც მისწრაფება მხოლოდ მრუმე, ნისლიანი შემოდგომის გულის გამწვრილებელი წვიმა, როცა მზადა ხარ, თავში ხელი იტაცო და ქვეყნიერების გასაგონად ილრიალო:

—მიშველეთ!

— მიშველეთ!

* * *

გიორგი ლეონიძის მოთხრობათა თითქმის ყველა პერსონაჟი ხაზე-იდეაა, მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილი, ყველა დროის კუთვნილება, ამიტომ მათი ხაბით ამ მხატვრულ ხამყაროში თავს იყრის არა უბრალოდ, ხხვადასხვა ხასიათი, არამედ ხორცშესხმული ცნებები: ოცნება, მშვენიერება, სიკეთე, ბუმანი ... მომრეობა, ეგოიზმი, ერთი სიტყვით, განაც შედგება ადამიანთა ცხოვრების ყოფითი სფერო თავისი დადებითით და უარყოფითით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, მეტ-ნაკლებობის ხახწორი აშკარად დადებითისაკენ იხრება. მაშინაც, როცა ავი ზრახვა ხორციელდება, ეს ავი თავისებურად უბოროტოა, უნებური, წინასწარგაუმიზნავი. აკ თითქოს ავტორის სულში დახვავებული სიკეთის ულევი მარაგი დომინირებს, სიკეთისა და უკიდეგანო ოცნების აურაცხელი განძი. სწორედ ამ ოცნებიანი ბუნებით გვიპყრობს და გვაჯადოებს ფუფალა, ეს მახინჯი ანგელოზი, მომსხვრეულ ფრთებკვეშ მთელი ქვეყნის უიღბლო ქალთა ხევდის დამორგუნველ ტვირთს რომ ატარებს. არის რაღაც საერთო მის ღრმა ტრაგედიასა და „ოლეს“ ცრემლიან მდუმარებას შორის, ისიც ოლესავით ფრიალო კლდეზეა ამოსული ცალად და ეულად, მასაც მგელივით ღრღნის მარტოობისა და მიუსაფრობის ტკივილი.

მოთხრობა იწყება ხიმბოლური სურათით, რომელშიც იდუმალად იგულისხმება ხორშაკიანი ქარებით გამოფიტული უდაბნო, დამეხილი ოცნება და უკმარობის შედეგებული ნაღველი:

„მკათათვე... გზის პირას მდუმარედ იდგნენ ამრეშებული ყანები. თავდაზნეკილი თავთავები ფხიან ნამგალს უცდიდნენ. ნიავი ხადღაც გახიზნულიყო. გზა დაბეთქილი, მტვრიანი... ირგვლივ მხოლოდ ხევდა და თვლემა“...

აკ მოხილული ხაგნები და მოვლენები მარტოობით დაშრეტილ სულზე მიგვანიშნებენ. აკ ბაერიც კი უსახოო მოლოდინითაა გალურსული... სწორედ ამ მწუხარე გარემოდან, როგორც ცეცხლის ალიდან მისტიკური მოჩვენება, ახე ამოიზრდება საფრთხობელასავით აჩონჩხლილი მოჩვენება — ზიზილ-პიპილებიანი ბერიქალა, ახაკისათვის სრულიად შეუფერებლად ჩაცმული, ათასფერი ნაკუწებისაგან შეკერილი ჭრელა-ჭრელა კაბით, ხიძველისაგან დაცხრილული შავი თათმანებით, ცალ ხელში გაკუცული ქოლგით, მეორეში — ჭრელი ბოხჩით, ადამისდროინდელი მაღალყელიანი, ჭუსლმომტვრეული ფეხსაცმლით. მოდის იგი გატანჯული სახით, სიცხით, მომტვრეული ჭუსლითა და თავისი ბედით უზომოდ შეწუხებული.

ეს არის მაღალმხატვრულად შესრულებული ფერწერული პორტრეტი, რომლის ბადალი ქართულ მწერლობაში ბევრი არ მოიპოვება.

ამ პორტრეტში გამოყენებული ტრაგი-კომიკური აკსესუარი იმის დასტურია, რომ ბერიქალას გემოვნება და მისწრაფება ჩვეულებრივი სოფელი დედაკაცის ბუნების ჩარჩოებში ვერ ეტევა და რაღაც უფრო მაღალსა და მიუწვდომელს ელტვის. ხითბოსა და ალერსს დანატრებულ, თუნდაც ციცქნა ბედნიერების მა-

ძიებელ ამ მიუსაფარ არსებას ბედმა არც მომზიბლავი გარეგნობა არგუნა, არც სიყვარული, არც ოჯახი, სამაგიეროდ, უბვად დააჯილდოვა (თუმცა, ვინ იცის, ეს ჯილდოა უფრო თუ — სასჯელი), მეოცნებე ბუნებითა და არტისტული სულით, რის წყალობითაც იგი საკუთარი პიროვნების წარმოსაჩენად ეგზომ თეატრალური სამოსელით გვევლინება. იმდენად დიდია მისი ლტოლვა მშვენიერებისაკენ, ისე მწყურვალედ ესწრაფვის თავისივე გამოგონილ ბედნიერებას, რომ იძულებულია, ჯიუტად მოუხუჭოს თვალი სინამდვილეს და თავი წარმოიდგინოს უბადლო მზეთუნახავად, რომლის ფერხთა ქვეშ მასზე უიმედოდ შეყვარებულთა მთელი არმიები ემხობიან, სახოებით ავედრებენ მიჯნურობით დაბზარულ გულებს, ის კი ამაყი მედიდურობით გადმოსცქერის სიყვარულის ცეცხლით დადაგულთ და არავის აღირსებს წყალობას, თვით იმ ერთადერთსაც კი ვისთვისაც მიუძღვნია ყმაწვილქალობაცა და სიცოცხლეც.

„ეჰ, წავიდა, გული წაიღო შიოლამ! — და თითქოს შიოლას ესაუბრებოდა — ერთი იყავი, რათ მოკვდიო?"

ეს არ არის ცრუპენტელას სიყალბე. აქ ხაოცნებო, სასურველი, მიუღწეველი ნამდვილის, რეალურის უსუსური პრეტენზიით გვევლინება და ამიტომ იწვევს არა დაცინვას, არამედ ცრემლიან, სულისშემძვრელ თანაგრძნობას. ამასთან, რა უხვი, მდიდარი და ფერადოვანია მისი ფანტაზია. განა მწირი, ღარიბი სურათებით წარმოიდგენს თავისივე შეთხზულ წარსულს? ამ სურათებზე შუასაუკუნეობრივი რაინდულ-საბიჯნურო დრამა თამაშდება მთელი თავისი სიდიადითა და ამაღლებულობით. განა ფუფალასათვის არ იყო, თავზე ხელაღებული დოლენჯი შვიდ ნაბადს რომ გადაახტა ცხენით? დარდიმანდი ზაზუნა კი გაოცებული ეკითხებოდა, მზეღმერთი ხარო თუ ვინაო? აჩრდილივით თან დასდევდა არდაშელი, შენს იქით გზა არა მაქვს, შემრისხე და შემიწყალეო. შიოლა რომ შიოლაა, მისი ოცნების რაინდი, მისი გულის იდუმალი მეუფე, ისიც კი მუხლმოყრილი ევედრებოდა, „ერთი დღე შენთან მამყოფა და უკვდავება დამალევინაო", მაგრამ ქვაქალი იყო ფუფალა, ნეტავ ვიღას ელოდა?

როგორც ვხედავთ, მისი მღელვარე ოცნება უბრალო სოფლელი ბიჭების მორიდებულ, უთქმელ სიყვარულსაც კი ვერ ეგუება. ის მხოლოდ გამოჩინებულ, ხანაქებო რაინდთა თაყვანისცემას იფერებს. ძალზე შთამბეჭდავია ისიც, რომ ფუფალა ამ გამონაგონის რეალურობაში მარტო სხვებს კი არა, საკუთარ თავსაც არწმუნებს. ამითლა ცოცხლობს იგი. იმდენად სწყურია თავისი შეთხზულის დაჯერება, რომ მაშინაც კი, როცა მარტოდმარტო რჩება, საკუთარი სულისაკენ წამითაც არ აპარებს მზერას, წამითაც არ ცდილობს [illegible] თვალის გახწორებას. ამ [illegible] რბის, როგორც შხამით სავსე ფიალას. ხინამდვილე მისთვის კეთროვანთა კუნძულია, სადაც თავისი ნებით ფეხს არ შეადგამს და თუ ვინმე ულმობელი, უგულო, ენაჭარტალა ძალით უბიძგებს იქით, იგი რისხვით, მძვინვარებითა და წყევლა-კრულვით იგერიებს მოძალადეს, რომ როგორმე შეინარჩუნოს თავისი ოცნების ხაუფლო.

ფუფალას ერთნაირად აკლია ფიზიკური და სულიერი ხაზრდო. ფიზიკურის ნაკლულობას რადაცნაირად უძლებს, სულიერისას კი — ვერა, რადგან ბუნებით არტისტია, ეხოტი, მშვენიერების ტრფიალი, რომანტიკოსი, მეოცნებე. პოეტურია მისი თავგანწირული ერთგულება არარსებული შიოლასადმი, პოეტური და ბატოვანია მისი საწყევარი საეკლესიოშიო თუ საალერსო ლექსიკონიცა და საგნობრივი ფაქტურაც. აი, რა სახეობრივად იწყევლება:

„მგლის პირი შენ და ჭორის კლანჭი!" „მიწამ კი დაგიკეტოს კარი, შე ულმინებელო! ფრინველს მიმჭონდეს შენი თმები თავისი ბუდისათვის!" „უფალო, შენ დაამხე, დაწვი, დანაცრე ჩემი მტერი! უძილო მატლი სჭამდეს ჯოჯოხეთში!" მაგიური ბუნდოვანება და, ამდენად, შთამბეჭდავი ძალა აქვს მის ეკიმბაშურ რეცეპტებსაც:

„— ყვავი მოხარშე ისე, რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, იმისი წვენი დალიე!

— მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე!

— მუხის ხის წყალი, მიმინოს ჭონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩაადგე!"

მშვენიერია მისი ალერსიც:

„ისე შეგეწიოთ მზე, დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ!"

„ბოლოს და ბოლოს, მიწა ვართ, დავითრგუნებით! მაგრამ ძმაო, გენაცვალოს შენი დის თვალები, ჩემო ჩამოჭნილო ხანთელო, რათ უნდა მაწყენინო?"

მისი აკიმობისა ბევრი არაფერი სჯერათ, ლუკმას მაინც არ იშურებენ. ისევ მკურნალის სახელით ირჩენს თავს. უღიმიან, უსმენენ, პირში აქებენ კიდეც. იმასაც უდასტურებენ, ძალიან ლამაზი იყავიო, აღარ ვიცოდით, შენ იდექი ჩვენს წინ, ვარდი თუ ბროწეულიო, მაგრამ გულში მაინც დასცინიან, რადგან იგი სოფლის დედაკაცების სტანდარტს არ ეხადაგება, რადგან საკუთარი სამყარო აქვს, თავისი ფიქრის ქვეყანა, სადაც არაფერი ესაქმება მიწიერ ჩვეულებრიობას. ეს არის მისი ტრაგედიის წყარო და სათავე. ეს უპატრონო, უპირისუფლო, მარტოსული მეოცნებე დაწანწალებს სოფლიდან სოფელში, კარიდან კარზე, ღამეს ნათლიდედას ქობში ათევს, მაგრამ არა თბილ ლოგინში, არამედ მიწაზე დაგებულ ხმელ ჩალაზე. ხაოცარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ულამაზეს ხიზმრებს ხედავს. ეხიზმრება ლოგინთან ჩამომჯდარი დედა, რომელიც სიყვარულით დაჭიღინებს:

„ელი ელამდა, ზღვა ბიბინებდა; ზღვის პირსა კარავი იდგა. შიგ ქალი იწვა, ფარჩა ეხურა. ფარჩა ავბედე, ხამი ვაკოცე, ხამმა კოცნამ ფერი უცვალა. ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა. ვის გაუგზავნა?“

ვის გაუგზავნის? სულხანს, არჩილს, რამაზს თუ შიოლას? არა, არცერთს, რადგან მკაცრია ხინამდვილე. რომელშიც ავეია ნათლიმამის შეურაცხმყოფელი სიტყვები და ენაკარტალა ხოფლელების დაუნდობელი ჭილიკი ამრუნებს.

ახლოვდება ნაღამოს ბინდი, როცა ჩიტმაც თავისი ბუდე იცის, ყველა ნაკუთარ ჭერქვეშ მიეშურება, ყველას თავისი კერა ელოდება, თავისი ბუბარი, სითბო და მუუდროება, გაჭირვებული, მაგრამ მაინც ოჯახური ცხოვრება, მარტო მას არა აქვს თავშესაფარი, მარტო ის არის ეული და უსახლკარო, ვის გაუწოდოს ხელი, ვის სთხოვოს შველა, ვის მიეკედლოს, ვის ჩაუდოს თავი კალთაში, ვის მუხლებთან ატირდეს ისე, რომ ცრემლს გაეყოლოს გულში დაგუბებული დარდის მორევი?!

აქამდე ჭიუტად არიდებდა თავს ამაზე ფიქრს, ახლა კი... და აქ იწყება მოთბრობის ხევდიანი ამოგება. ფუფალას თვალწინ მთელი სიმწვავით ცხადდება საკუთარი ყოფის ჭოჭოხეთი. მარტოობისა და მიუხაფრობის ამ უკიდეგანო ოკეანეში იგი დახახრჩობად განწირულივით ახავსავებს უძალო ხელებს და უმწეო ბავშვივით უნებურად ეხვევა ნინუცას, სხვებზე უფრო თანაგრძნობიანსა და გულისხმიერს. როგორც ყრუ უდაბნოში გზააბნეული მგზავრის ამაო ძახილი, ისე ხმიანდება მისი განწირული ვედრება:

„— ნინუცი ერთი უმფარველო გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები?

— არა, ბომ დამიტირებ შენი ლამაზი თვალებით? ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით, ხომ ლოყას ჩამოიხოკავ?“

თანდათან მძაფრდება განცდა, გულის ხაწყაული თანდათან ივსება ცრემლის ნიაღვრით. სიცოცხლეში არ ეღირსა თბილი თანაგრძნობა, ნუთუ სიკვდილითაც უპირისუფლოდ არის განწირული? ამ უბედურების შეგნება ჩრდილავს გარეხამყაროსთან მიმართების აქამდე დამკვიდრებულ ჩვევას. ახლა უკვე ხულერთია, უცქერს თუ არა ვინმე, ამიტომ არტისტული ნიღაბი მოხსნილია და მგლოვიარე სული მოთქვამს ნაკუთარი ცხედრის წინაშე:

„ჩემო მიწის დამურელო, ჩემო დამხუდრებელო, ჩემო მოკეთეე, ხულ ლექსით დამიტირე, შენ გენაცვალე, ცრემლში გატარებული სიტყვით.

ხულ ცაში ადიოდეს შენი ტირილი, ხომ იცი, უპატრონო ვარ, ლიტო. არავინა მყავს გულშემატკივარი!“

ეს ერთადერთი უღიმღამოდ გამკრთალი იმედი დიდა უბრუნებს გონს, ისევ უნდილად ფლობს დაცხავებულ ქოლგას და დაუძლურებელ ხლების კანკალით მისდევს წამების გზას გულმოკლული და ნაცოდავი, მიდის, მაგრამ ხაით? თავადაც არ იცის. ჭოჭოხეთურად მტკივნეულია ეს წუთები, მაგრამ ნამდვილი ჭოჭოხეთი ჯერ კიდევ წინ არის...

ამ ამაღლებულად მწუხარე მომენტში ვიღაც გაქსუებულს, თავქარიანს ყოფნის გულქვაობა და ხაშკარაოზე განხაკიკებლად გამოაქვს ფუფალას წმიდათაწმიდა, ხოფელს უმხელს, რომ არც შიოლა არსებულა ოდესმე ამქვეყნად და იმ ჭრელი ბოხჩითაც ფუფალას წამლები კი არა, პირისახეზე წახათხაპნი ფერუმარილი დაქვს. მაშახადამე, ის არც ეკიმბაში ყოფილა და არც მშვენებაგარდახული მზეთუნახავი, შიოლას სიყვარულით ჩაღამებული.

ეს ინფორმაცია ხაკმარისზე მეტია იმისათვის, რომ ხოფელმა ფუფალა თვალთმაქცად და მატყუარად ჩათვალოს და ისევაც ბუჩად აგდებული კიდევ უფრო ითვალისწუნოს.

ფუფალა კი მილახლახებს მშიერი, ნაგვემი, ნაწამები და ჯერ არ იცის, რომ მისი დიდი ხაიდუმლო ვერაგულად არის გამხელილი, რომ „ხვალიდან უკვე მზადდება მისთვის ახალი გოლგოთა, ახალი ჯვარცმა“.

„ფუფალა“ კიდევ ერთი ნათელი გამობრწყინებაა ბუმბანიზმის, თანაგრძნობის, თანადგომისა და ტკივილში ჩაზიარების იმ სულისკვეთებისა, ეგზომ ნიშანდობლივი რომ არის გიორგი ლეონიძის მთელი შემოქმედებისათვის. ეს არის კაცთმოყვარეობის შთამბეჭდავი და დიდებული გაკვეთილი, ვერახოდეს რომ ვერ დატოვებს მკითხველს გულგრილად.

* * *

ოცნებაა გიორგი ლეონიძის პერსონაჟთა არსებობის დვრიტა. ისინი არასოდეს დაეძებენ ოჯროს ხაბადოებს, რადგან ბუნების მშვენიერებაში ეგულებათ ყველაზე დიდი სიმდიდრე, მათი სული ყვავილებშია გაბვეული, ამიტომაც ბავშვებივით შებმარიან ყვავილოვან ხამზეოს, ერთნაირად ეხიყვარულებიან მცენარეცა თუ ცხოველს, ფრინველსა თუ მწერს, ხის ნაკოდი ეცოდებათ, — ეური მოიმბვილე, ყველა ხულიერია, ყველა თავისას ამბობხო. მათი რწმენით, მიწამაც იცის ტირილი, ოღონდ, ძნელია გაგება, რა ატირებს: ადამიანთა ცოდვა თუ მზის ამოსვლის სიხარული? უამრავ განხაცდელსა და გასაჭირში გამოვლილი ეს რომანტიკული ბუნების ადამიანები გულადმა მწოლიარენი ვარსკვლავებივით დახუნძლულ ღამეულ ზეცას რომ ახედავენ, გულწრფელად აღმობდებათ, — ეს ირმის ნახტომი რომ არ არსებობდეს, ცხოვრება ჩალადაც არ ეღირებოთ („ორი შემოხედვა“). ხევში ამოხულ ჭრიხტეს ბალა-

ხან" ელოლიავებიან. მის ფოთლებზე ქრისტეს ტირილს წიგნივით კითხულობენ. მოწყალების სათხოვნელად ხელს არავის გაუშვერენ, ვაჟკაცურად კი გაუზიარებენ თავიანთ გასაჭირს, მაგრამ თუ ამის პასუხად მდაბიოთათვის განკუთვნილ სიბრალულს მიიღებენ, საკუთარი ღირსების შეგნებით ამაღლებულნი, გაყიდული ხარებივით ნისლიანი მზერით გადმოიხედავენ და ამ მზერის სამდურავს სამარადჟამოდ დაუტოვებენ ავტორსაც და მკითხველსაც.

გიორგი ლეონიძის გმირებს საკუთარი მორალური კანონები აქვთ, საკუთარი ზნეობრივი კრედო, ეთიკური ნორმა, მტკიცე და შეუვალი, ნათელი და დაუჩრდილავი და, რაც უმთავრესია, — ძალზე ქართული, ეროვნული, მშობლიური. მათ არხებაში მყარად არის გამჯდარი საკუთარი მოვალეობის შეგნება ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

* * *

გიორგი ლეონიძის მიერ ჩვენამდე ცოცხლად მოტანილ სოფელს, ისევე, როგორც ყოველ ორგანიზებულ საზოგადოებრივ ერთეულს, ჰყავს თავისი პატრონი და თავკაცი, რაღაც შინაგანი ძალის კარნახით რომ მიიკვლევს გზას სოფლის განმგებლობისაკენ და თავის ნებაზე მართავს ცხვრის ფარასავით თვინიერ, მკაცრად დამორჩილებულ მრევლს.

მისი მიზანი ეგოიზმითა და პირადი კეთილდღეობის ან განდიდების წყურვილით არ არის ნაკარნახევი. უფრო მეტიც, — ის კეთილშობილურიც კია, რამეთუ საზოგადოების ინტერესების დაცვას გულისხმობს, სამაგიეროდ, ამ მიზნის მიღწევის გზაა მკაცრი. განმწვრთნელის მორალური ნორმების მიხედვით უნდა მოიქცეს ყველა. არავის აქვს უფლება თუნდაც მცირე გადახვევისა. ეს ნორმები ეროვნული ტრადიციებისა და საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული, მამა-პაპათა ნაანდერძევი ზნეობის დაცვასა და შენარჩუნებას გულისხმობს, რაც მთლიანად ემთხვევა ხალხის სულისკვეთებას. მაშ, რა აღიზიანებს ხალხს? ის, რომ მუდმივი კონტროლი და ყოველ წვრილმანში ხელისჩარევა ძალზე ძნელი ასატანია. სოფელი გამუდმებით გრძნობს ვიღაცის ძლიერ ხელს, ვიღაცის შეუვალ გავლენას, რაც ბოჭავს მის თავისუფლებას და ულახავს თავმოყვარეობას. აქედან მოდის ჭერ რიდი და კრძალვა, ხოლო შემდეგ სიძულვილამდე მისული შიში („ციციკორე").

ციციკორე გიორგი ლეონიძის მარტო ერთი ნაწარმოების გმირი არ არის. ის იმავე სახელწოდების მოთხრობაში იწყება, სხვა პროზაულ ქმნილებებშიც იდუმლად იგულისხმება და ბოლოს „მარიტაში" სრულყოფილად ავლენს თავის ნამდვილ სახეს. ეს სახე ეროვნულ საზღვრებს სცილდება და გლობალურ მნიშვნელობას იძენს, როგორც საუ[illegible]ა.

ციციკორე, როგორც სახელი იკითხება, ერთი მხრივ, ის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული ადამიანია, სოფლის ზნეობრივი ეტალონი. მისთვის თავგადაკლული, მზრუნველი და მოამაგე, ბოლო, მეორე მხრივ, — სასტიკი, დაუნდობელი, გულქვა, უფლებამოსილი, უკომპრომისო, რომელსაც შეუძლია თვალის დაუხამხამებლად უცქიროს მშვენიერი ახალგაზრდა ქალის წამებას, უფრო მეტიც, — აქტიურადაც მონაწილეობდეს ამ საზარელ საქმეში.

პერსონაჟის შეფასების ამ ორი პოზიციიდან რომელია უფრო სწორი?

რა თქმა უნდა, პირველი, თუმცა აქ არც მეორის ელემენტები გამოირიცხება.

...ციციკორეც, ისევე, როგორც ყოფილი სემინარიელი ანარქისტი ეიორამი, მოთხრობაში პირველად სოფლის შარაზე გამოჩნდება. ახოვანი, ბრგე, სახიერი, თეთრულვაშა, დარბაისელი, სერიოზული, ღრმად დაჯერებული იმაში, რომ სოფლის ბელადად არის მოწოდებული და მაინცდამაინც მას აბარია ხალხის ბედ-იღბალი. ეს როლი მას არც მემკვიდრეობით რგებია და მით უფრო — არც ხალხის ნება-სურვილით, ეს მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი თავად იტვირთა ისე, რომ ამის სანაცვლოდ არც მდიდრული აპარტამენტი მოუთხოვია, არც გამორჩეული მდგომარეობა. ერთადერთი, რასაც გარდუვალ აუცილებლობად მიიჩნევს, — ესაა მის მიმართ რიდი, კრძალვა და მორჩილება. სხვაფრივ ძალზე უბრალოდ ცხოვრობს, მთელ სიცოცხლეს ბნელ მიწურში ატარებს, საკუთარი მარჯვენით ირჩენს თავს. იგი გამუდმებით ხალხში ტრიალებს, ხალხს აბმარს სულიერ თუ ფიზიკურ ძალებს.

როგორც გამოცდილს, გონიერსა და კითხულს, სოფლის დიდი ნაწილი, მართლაც, მორიდებითა და მორჩილებით ეკიდება, რაც საამოდ ესალბუნება მის უბოროტო თავმოყვარეობას, ნაწილი კი ზოგჯერ შიშნარევ წინააღმდეგობას უბედავს, თუმცა მაშინვე თმობს პოზიციებს საკუთარი უგუნურებისა და უძლურების რწმენით დათრგუნული.

სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სოფელზე გაწეული დიდი ამაგის მიუხედავად, მისი გავლენის ძალა სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით არ ჭილდოვდება. პირიქით, ხალხს გულის სიღრმეში სძულს კიდეც იგი, როგორც თავისუფალი აზრის მარწუხი, როგორც შეუზღუდავი ქცევის მუბრუკი.

„კერპი, შეუპოვარი, ხერკინა სიტყვით მტეხელი" კაცია ციციკორე, მაგრამ მისი ფიქრი და ოცნება, მისი მოკმედების ყოველი ნიუანსი ქვეყნისა და ხალხის განუზომელი სიყვარულით არის შთაგონებული. „დიდი სიტყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი უყვარდა ხამშობლო ციციკორეს, დიდი, გამოთქმული ალერსით". — გვარწმუნებს მწერალი და, მართლაც, ამ მკაცრი და ზვეთიანი კაცის მუდმივ ხადარდელ-ხაზრუნავს ხაკართველო წარმოადგენს. ყველგან, ყოველ სიტუაციაში, ის გულმოდგინედ ცდილობს ხალხში პატრიოტული გრძნობისა და მებრძოლი სულიხკვეთების გაღვივებას.

„გაიგონე, რა გითხრა, ხაკართველოს ცხრა კარი აბია! ეს დაიხსომე კარგად... ომში სიმღერით უნდა შეხვიდე, ნატყვიარი არ ინაღვლო!"

მაშინაც კი, როცა თითკოს თავისთვის ზის და უბრალოდ, კოხის თლით არის გართული, ხაგმირო-ხავეკაცო ლეკსებს ღიღინებს, რადგან ამბლოს ბავშვები თამაშობენ და იცის, რომ ამ ლეკსების დვრიტა ღრმად დაილეკება მათ სულში. მეფანდურესაც იმას შესძახებს, რომ ხაგმირო იმღერე, რომ ლაჩარიც გამამაცდესო. სიტყვას დიდი ძალა აკვს, მის ფრთების გამოხხმა შეუძლიაო. მისი მართებული აზრით, ნამდვილი მამულიშვილი თავის კვეყანას ვითარების შესაფერისად უნდა ემსახუროს. მტერთან ურთიერთობის ერთადერთი ხაშუალება ყოველთვის ხმალი არ არის". მარტო ხმლის ქნევა რა ბედნაა, მერე ისიც ამ დროში, როცა ლეკი და თათარი აღარ გვაწუხებს, როცა დამპყრობელი მოყვრის ნიღაბს ამობფარებია და ნელ-ნელა გვიხრუკავს თავის უძლებ არსებაში. აკ არ არსებობს დიდი და პატარა ხაქმე. მთავარია, ყველა ჩვენგანმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს და რაც ყველაზე უკეთ ხელეწიფების, ის ნიჭი მიიტანოს ქვეყნის გადარჩენის ხამსხვერპლოზე. მკაცრი და უკომპრომისო ციციკორე მუდამ სიმღერაში ჩაძირულ ფადლაურაზეც კი ეუგს არავის ათქმევინებს:

„ფადლაურას ხმა ღვთიდან არი, პატივისცემა გვმართებს, თავისი ხმით ემსახურება ქვეყანას, რას ერჩითო!"

სოფელზე დღენიადაგ მშობელივით ზრუნავს, ხიხარულში მხარს უბამს, ჭირსა და განსაცდელში ეზიარება, ამხნევებს, ამაგრებს, ანუგეშებს. ცა რისხვით რომ ჩამოდის დედამიწაზე და ქვეყნიერებას წალეკვით ემუქრება, იგი, თავზე ტომარაწამოფარებული, ღვთის მოციქულივით დაადგატებს დატბორილ ორღობეებში, დაფეთებულ, შიშით თავგზაბნეულ ბერებობას ომამით შესძახებს:

„ნუ გეშინიათ, გამაგრდით, გადაივლის ავდარი! ამისთანები უნახავს ჩვენს ხალხს! ნუ შეშინდებით, გამაგრდით!"

მის სიტყვას მაგიური ძალა აკვს, მის სიბრძნეს დიდი გამოცდილება ახაზრდოებს. ის ადრევე ამჩნევს, რა პირი უჩანს ნათესს, იცის, რა გზითა და ხაშუალებით უნდა გადარჩეს დასადუპად განწირული მოხავალი. ამიტომ ყველა უსიტყვოდ იზიარებს მის რჩევა-დარიგებას. მასთან უდიერი, უკადრისი სიტყვა არავინ ალაპარაკდება. მისი ძლიერი ნებისყოფა არავინ [illegible] არამედ შიგნიდან მართავს. სოფელს. თითქოს შეუვალია მისი უფლებამოსილება, მაგრამ ერთხელ მაინც შებედავენ მის სიმკაცრეს, მაინც შელახავენ მის ღირსებას. ქალაქიდან ჩამოსული მუშა-გარსია ყველას თვალწინ მოურიდებლად მიაბლის პირში:

„ძია კაცო, შენ ვინა გკითხავს სოფლის ხაქმეს, რა პირისა და პახუნის გამცემი შენა ხარ? ქვეყანა წინ წავიდა, შენ კი ადამის ეპოქის ამბებს გველაპარაკები! ვისაც უნდა, იცხოვროს ძველ ჭკუაზე. წავიდეს ხახაფლაოზე, იქ უქადაგოს მკვდრებს, ჩვენ კი ჩამოგვეცალოს თავიდან!"

ამ მომენტში ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ სოფელს უხარია თავისი კითხულის ეგზომ გაბიაბრუება.

მო, მოდის ახალი ცხოვრება ახალი მიზნებითა და მიხწრაფებებით, მაგრამ თავის დროზე ძველი ხომ დაიცვა და გაამაგრა ვილაცამ, ხომ შეინახა სოფლის ნამუსი და პატიოსნება, ხომ იხსნა ათახი ჭირისა და განსაცდელისაგან? იქნებ ყველაფერს ისე ვერ აკეთებდა, როგორც ხაჭირო იყო, როგორც დღეს ეხმით, იქნებ მის სიმკაცრეს მხხვერპლიც მოსდევდა, დროთა და ვითარებით ნაკარნახევი მსხვერპლი, მაგრამ მას ხომ სჯეროდა, რომ მაინცდამაინც ასე იყო ხაჭირო, რომ დიდ ხაქმეს ემსახურებოდა, ხოლო დიდი ნაცარი დიდმა ცეცხლმა იცის. თავი ხომ არაფერში დაუზოგავს, ნეტარებისა და ფუფუნების ძიებას ხომ არ გადაჰყოლია, ხათავისოდ ხომ არაფერი მიუთვლია, პირადულისთვის ხომ არ შეუწირავს ხაზოგადო, მაშ, რას ერჩიან, რას ემართლებიან, ერთნაირად რად უგინებენ ავსაც და კარგსაც? როგორც იცოდა, როგორც ეხმოდა, როგორც შეეძლო, ისე ემსახურებოდა სოფელს, ერთგულ დარაჯად ედგა მის მშვიდობიან ყოფას, განა იმიტომ, რომ ყველაფერი უღმერთოდ გადაეყარათ წყალში და უანგარო ამაგის წილ დაგმობა, უარყოფა და ხიძულვილი მიეგოთ? თუ რამ არ მოსწონდათ, თუ რაიმეში არ ეთანხმებოდნენ, რატომ მაშინ არაფერი თქვეს, რად გაუჩუმდნენ, მონურად რად მოუდრეკეს ქედი, ნუთუ მაშინ ამდენ ხალხში არავინ გამოჩნდა, მისთვის პირდაპირ და მოურიდებლად რომ გაენდო ხალხის გულისხმიერები? რაღა ახლა მოსდგნენ მობუცსა და დაუძლურებულს? თანაც ვინ შებედა, ვილაც გადამთიელმა მატრაკვეცამ, ამ სოფლისა რომ არაფერი გაეგება და მარტო ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით აბრუებს მიმნდობ, თვინიერ მსმენელს!...

უმადურობისა და დაუფასებლობის ამ მძიმე ატმოსფეროში ციციკორემ უცებ ფუნქცია დაკარგა. მის არსებობას აზრი და შინაარსი გა-

მოეცალა, ჩაკრა, ჩაიფერფლა კაცი. „მის სულს შავები ემოსა! გულზე თოვლი ედო, ტვინს ნისლი ეხვია, უარსებოს დაეშგვანა! გეგონებოდა, სიტყვის ხაცეხვი გამოელიაო, კბილი დაკეტა. ნამდვილად თქვენს წინ კაცი აღარ იდგა, არამედ დაკემსილი, გაცრეცილი ღამე!"

აღარც ბუნებამ იგლოვა იგი:

„ციციკორეს სიკვდილის ღამით, თურმე არც ვარსკვლავები ჩამოცვენილა, არც წყლები შხუოდნენ, არც ქარი გრიალებდა, როგორც სცოდნია ხალხის სიტყვით, დიდი კაცის სიკვდილის დროს, არც ძაღლებს უუყმუვლიათ მთელი ღამე! არაფერიც არ მომხდარა ამის მსგავსი!"

ისე მიდის ამ უმადური ქვეყნიდან, როგორც ვინმე უჩინოთაგანი, თან არც ვინიმე ცრემლი მიაქვს, არც გულისტკივილი. იქნებ სიმკაცრის გამო ეს კიდეც დაიმსახურა, მაგრამ სიკეთე? სად გაქრა მისი სიკეთის კვალი? ან იქნებ ბრმად დაგმობა უფრო ადვილია, ვიდრე ცოდო-მადლის ანაწონად თემიდას მოხმობა?

ამ მოთხრობაში ავტორი ბოლომდე არ ხსნის ციციკორეს ხასიათს. არაფერს ამბობს მის კიდევ ერთ გამორჩეულ თვისებაზე — განუსჯელ სიახასტიკეზე, რასაც ხანდისწერო შედეგი მოხდევს. ამიტომ მისი მარცხიცა და ხაცოდავი სიკვდილიც ჩვენში სინანულს იწვევს. ზღაპარში ჯადოქარი თავისი ხამყოფელის ყველა კარს რომ გვიხსნის, გარდა ერთისა, სადაც მისი უმთავრესი ხიდუმლო ინახება, ისე ინახავს გიორგი ლეონიძეც ციციკორეს ამ ნიშანდობლივ თვისებას, რომ შემდეგ „მარიტაში" გახსნას ეს ცხრაკლიტული და მთელი სისრულით წარმოაჩინოს მისი ნამდვილი სახე. ციციკორე ხელმძღვანელობს მარიტას დასჯის ხაზარელ ცერემონიალს ისე მშვიდად და გულცივად, რომ მის არსებაში ერთი ნერვიც არ თრთის, სული არ ეხუთება, გული არ ეკუმშება ამ შემაძრწუნებელი სანახაობით. არც სიბრალული, არც სინანული, არც სინდისის ქენჯნა, არც დაეჭვება... იგი ბრმად ახორციელებს ამ უმართებულო მსჯავრს და არც კი ცდილობს მისი შედეგების გათვალისწინებას. მარიტას სიკვდილიც კი ვერ თრგუნავს მის მძვინვარე სასასტიკეს.

ციციკორე ბნელი ძალაა, მაგრამ ამ გარემოებას განაპირობებს არა მისი შინაგანი ბოროტება, არამედ კონსერვატული ბუნება. ის არავითარ შემთხვევაში ბოროტი არ არის, უბრალოდ, ერთხელ შეუმუშავებია მრწამსი და აზრადაც არ მოსდის მისგან თუნდაც მცირე გადახვევის ღაშვება. რაოდენ ძნელი და უხერხულიც უნდა იყოს ამის აღიარება, ციციკორე მაინც ხოფლის ხინდისი და პატიოსნებაა, ოღონდ სასტიკი და დაუნდობელი პატიოსნება. მისი ქმედება მხოლოდ ერთი შეხედვით აღიქმება ბოროტებად და დანაშაულად. ციციკორე თავის თავთან არის მართალი, და [illegible] ნაზე. მას ღრმად სჯერა, [illegible] ჯელობით შეირყვნება [illegible] იბილწება ნათელ-მირონი, შეილახება ქართული ტრადიცია, ეს კი, საბოლოო ჯამში, ეროვნული სულის შელახვაა, ხოლო ეროვნულის ხელყოფას არავის აპატიებს ციციკორე. გავიხსენოთ მისი სულიერი მდგომარეობა, როცა მის უურამდე ხოფელში დარხეული ბორი მოაღწევს. წამითაც არ გაუელვებს სიმართლეში გარკვევის სურვილი. მან მხოლოდ ერთი იცის, რომ „ღობეხაც თვალი აქვს, კედელსაც, ჯამ-ჭურჭელსაც", ხოლო „ქალი ეშმაკის თვალია". ამ რწმენით უკიდურესად შეძრულ მის არსებას რისხვა ბოკავს, გულზე ცეცხლი ეკიდება, ხოფლის შერცხვენის შიში ტვინს უბურღავს, ამიტომ თავზე ცივ წყალს ასხამს, ის ხოფლის მეუფროხეა და პირნათლად უნდა იყოს ხალხთანაც და ღმერთთანაც, ამიტომ ბრდღვინავს, თრთის, გმინავს, ოხრავს და ლამის ცრემლებით მოთქვამს:

„მირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში! მე მომთხოვს პასუხს ქმარიც, ხოფელიც, ჩამომავლობაც!

ვაი, თემო და ხოფელო!"

ამ შეგნებიდან მოდის მისი უმკაცრესი მსჯავრიც და რაოდენ შემაძრწუნებელიც უნდა იყოს ამ მსჯავრის შედეგი, მას ხელაღებით უარყოფა და დაგმობა კი არა, სიღრმეში წვდომა და ძირფესვიანი განსჯა-გაანალიზება სჭირდება.

ციციკორეს დანაშაულის წყარო ბრმა ფანატიზმია. უბედურება ის არის, რომ ამ ფანატიზმით მსჭვალავს იგი ხოფელსაც, რომელიც მარიტას სახით სიკეთეს, მშვენიერებასა და თავისუფლებას თრგუნავს რაღაცნაირი სადისტური ეკსტაზით.

სიცარიელეა დასჯის ცერემონიალის ემოციური ფონი, რომელსაც ანტიკური ტრაგედიის მონუმენტურობა ახლავს...

ზაფხულის დღე უჩვეულოდ ნაცრისფერი და ულიმღამოა, გარეგნულად — მშვიდი, შინაგანად — ელდითა და დაძაბულობით დამუხტული. მკრკალ ნისლში ბუნდოვნად იხატება სახედარზე უკუღმა შეხმული ხოფლის წამებული. არც ხორხოცი, არც ერიამული, არც აღშფოთების ყიყინა, არც შეძახილი, არც ლანძღვა-გინება, არც წყევლა-კრულვა, არც ლოცვა-ვედრება, და რაც ყველაზე შემზარავია, არც ტირილ-გოდება... მარტოოდენ „ხიჩუმე ხმაურობს ხაზარლად". სწორედ ეს მომენტი ანიჭებს ამ ხცენას შემაძრწუნებელ ხიდიადეს, რასაც ალბათ, ვერავითარი ხმაური ვერ გამოხატავდა ასე სრულყოფილად და სულიხშემძვრელად. ირგვლივ ყველაფერი კარგავს ხმას, ბუნებაც მუნჯდება და ადამიანიც, ჯალათიც და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაუურებელიც. ამ სიჩუმეს ფოსტეს ტალახითა და ხაჭონლის ნაკელით იბილწება მინაცრებული. გამტკნარებული მშვენიერება სოფლისა. ეს მუნჯი, მდუმარე, უპროტესტო ძალმომრეობა დროით, ეპოქით, საზოგადოებრივი წყობით გაპირობებული ფენომენია და არა ერთი პიროვნების ბნელი ნების პროდუქტი.

აქ დამსჯელ ძალად ბრბო დომინირებს, ბრბო და სოფლის თავკაცობა. მან თვალწინ, მათივე უშუალო მონაწილეობით, საშინელი ტრაგედია მზადდება. რატომ არავინ იმაღლებს ხმას, რატომ ვერავინ ვერაფერს უბედავს სოფლის მეუფროსს, გულში ხომ არ ეთანხმებიან, შინაგანი ხმა ხომ საწინააღმდეგოს ჩასძახით? რატომ ხდება, რომ „ვინც კი თავდაპირველად გაიკმარა, ბოლოს იმანაც კი ციციკორეს მბარი მოაბა მკაცრ გადაწყვეტილებაში!"

შიშით დათრგუნული, კრიტიკულ აზროვნებას მოკლებული საზოგადოება, რომელიც მოვლენის ბახიათის შესაბამისად არ რეაგირებს, არ არის კანმრთელი და, ამრიგად, არც აქვს არ სებობის უფლება.

სოფელს მარიტას სიკვდილით ბუმერანგივით უბრუნდება ამ უცოდველი არსებისადმი ნასროლი კუჭკი და ტალახი. მას ამლაღა რცხვენია თავისი ხაქციელის, რცხვენია, განიცდის და დასტირის არა მას, არამედ საკუთარ უგუნურებას, მაგრამ ამ განცდას მაშინღა დაედება ფასი, როცა სოფელი საბოლოოდ შეიგნებს საკუთარ ძალას, შეხაძლებლობასა და დანიშნულებას, რისი წყალობითაც ყოველი ამაღლი მეუფროსეს ხელში არ იქცევა ბრმა იარაღად. რომელსაც, სათოაც ნებავთ, იქით შიმარ თავენ. მან უნდა იცოდეს, რომ ეს უენო მორჩილება და მძლავრის წინაშე პირუტყვული შიშია წყარო და ხათავე იმ ბოროტებისა, რომელსაც მარიტას ხასით სიკეთე, მშვენიერება და თავისუფლება ეწირება.

სწორედ ამ სიკეთის დაცვასა და დამკვიდრებას ემსახურება გიორგი ლეონიძის მხატვრული სიტყვის ძალა, მარიტას ჯოკობეთური ტანჯვაც ამიტომ ჯილდოვდება უზენაესის წრფელი თანაგრძნობით. იქ, სულის მარადიულ სამყოფელში, ამ წამებულ მშვენიერებას თვით ქრისტე ღმერთი მოიხვეჭს გვერდით მანათობელ ვარსკვლავად. ბოლო დედაღვთისა, ქართველთა რწმენისა და სინდისის ეს უპირველესი მეუფე, ალერსით მიეგებება.

გიორგი ლეონიძის მოთხრობებში ძალზე ჭირს იმის დადგენა, სად გადის ზღვარი ერთ-ზახა და პოეზიას შორის, ან საერთოდ, ეს საჭირო ამის ძიება? ეროი ხომ ცალკეა, მხატვრული პროზის საგანი — ობიექტური სინამდვილე — ჩვენამდე უალრესად გაფაკეზებული პოეტური გაგნწყობილებით მოდის, რადგან ის ავტორის ლირიკული ბუნების წიაღს არის ნაზიარები და იქ არეკლილი გამოსახულებით იძენს მონუმენტურობას. ეს არც პოეტური პროზაა და არც — პროზად დაწერილი ლექსი. ეს მეარ, რეალისტურ სახეთა მთელი გალერეაა, სადაც მეგზურობას ავტორის ცოცხალი, გამჭვირვალე, ღრმა შინაგანი სუნთქვით გამთბარი, მოქნილი, დინამიური სიტყვა გვიწევს. თუმცა ამას მარტო სიტყვაც არ ეთქმის. ეს კახეთის მსუეე, ბარაქიანი მიწა სუნთქავს გოლიათი ფილტვებით და ეს სუნთქვა ხან უეცრად ამოვარდნილი ჭარიშხალივით მოაწყდება ჩვენს დაძაბულ წარმოსახვას, ხან ნაკადულის ზედაპირზე მოლივლივე სიოსავით მოგვათქმევინებს ათასი სატკივრით დამეწყრილ სულს.

„ნატვრის ხის" მთელი წიგნი — ეს არის ბავშვის უღურბლო თვალით დანახული, მოწიფული კაცის სულის უსათუოეს შრეებში რუდენებით გამოტარებული და ჭარმაგი, დაბრძენებული დიდოსტატის ჯადოსნური ზელით ნაგები მშვენიერი ქვეყანა, სადაც მახალად ადამიანისადმი უკიდეგანო, უსინჯო, უჩრდილო სიყვარულია გამოყენებული, ბოლო ამ მახალის შემკვრელად — ღრმა პოეტურობა და სულის შემძვრელი ლირიზმი.

ამ მომბიბლავ ქვეყანას უკვე წლებით დამძიმებული შემოქმედი მაინც შთაგონების პირველწყაროთი — ბავშვის თვალით დაჰყურებს და შესტრფის.

ეს წრფელი, ხალასი, ანგარიშიანობით დაუჩრდილავი, პრაქტიკულ გამჭრიახობას მოკლებული, პოეტური უშუალობით დამშვენებული ფერადოვანი ბავშვობა შერჩა მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე — სწორედ ეს არის მისი პიროვნებისა და მხატვრული მემკვიდრეობის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი თვისება, რის მეოხებითაც ის ყველგან და ყოველთვის — თავისი საქმიანობისა და მოქმედების ყოველ ნიუანსში, პოეზიის ცისფერი ალით გაცისკროვნებული შემოქმედი იყო და ასეთსავე შემოქმედად დარჩება ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საგანძურში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ჩხაიძე

წიგნი ილიასა და აკაკის თანამებრძოლზე

ეს წიგნი, გინდაც იცოდე ძირითადი ფაქტები ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, მაინც შეუნელებელი ინტერესით გაკითხავს თავს. ინტერესიცაა და ინტერესიც. ზოგჯერ ამ ინტერესს უფრო ცნობისმოყვარეობა ეთქმის. ‘ცნობისმოყვარეობის’ (დაკმაყოფილების პრინციპით წიგნის ასაგებად უბე მასალას იძლეოდა ხაოცრად მდიდარი ბიოგრაფია იმ კაცისა, ვინც ხულ მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის ბევრ გამოჩენილ ქართველ, რუს თუ ევროპელ მოღვაწეებთან, ვინც მოესწრო ხამ რევოლუციისა და პირველ მსოფლიო ომს, დაიბადა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ გადავარდნილიყო ბატონყმობა, ხოლო გარდაიცვალა მაშინ, როცა ის იყო მოლიანი კოლექტივიზაცია იწყებოდა. აკ. ბაკრაძის წიგნი სხვაგვარ პრინციპზეა აგებული, სხვაგვარი უაიდისაა. იგი თანამედროვე ქართველი მკითხველის გონებრივ ინტერესს უპასუხებს. მისი მიზანია დაგვანახოს, რა მისცა თავის ქვეყანას ნიკო ნიკოლაძემ როგორც მამულიშვილმა, რითი დაიმსახურა უდიდესი პატივი, იხსენიებოდეს ქართველი ხალხის ხათაყვანო ადამიანების — ილიასა და აკაკის — გვერდით. წიგნის ფურცლებიდან ნიკო ნიკოლაძე ჩვენ წინაშე წარმოხდგება როგორც მოაზროვნე — პრაქტიკული მოღვაწე — პიროვნება. ამისდაკვალად, ძირითადად გაირჩევა ორი შრე. ერთია საკუთრივ ბიოგრაფიული ნაკადი, რაც, ცხადია, მოიცავს ქართველი პუბლიცისტის საზოგადოებრივ საქმიანობასაც, აქვე წარმოჩენილია ნიკოლაძის პიროვნული თვისებები, პიროვნული რობა, იკვეთება მისი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური სახე. მეორე შრეა ილიასა და აკაკის თანამებრძოლის შეხედულებათა გარკვევა, მისი მსოფლმხედველობის ანალიზი. ხაცნაურია მესამე ფენიც: ხულიერი ატმოსფერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო, რომელშიაც ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა ნიკო ნიკოლაძეს. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და ამ საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო-რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცითარების თუ ფართო სურათი არა, ყოველ შემთხვევაში, საინტერესო მიკროპანორამა მაინც. ამ ზღვა მასალის დასაუფლებლად სხვა ავტორს, ალბათ, უზარმაზარი მონოგრაფიის დაწერა დასჭირდებოდა. აკ. ბაკრაძემ თავისი საოქმელი შედარებით მომცრო, ხულ დაახლოებით ცამეტი ხაავტორო თაბახის მოცულობის მქონე წიგნში ჩასტია. ამ კომპაქტურობას ავტორი მოკლე, სხარტი, მკაფიო წერის მანერით აღწევს. თანაც, ეტყობა, ანგარიშს უწევს იმ ლიტერატურულ პრინციპს, რასაც ე. წ. „ინსბერგისებური წერის“ პრინციპი ეწოდება. მკითხველი გრძნობს, რამოდენა შრომა გაუწევია, რა დიდძალი მასალა დაუმუშავებია ავტორს ამ შედარებით მომცროტანიანი წიგნის შესაქმნელად. იმასაც ატყობ, ბევრი რამ ავტორს შეგნებულად გამოუტოვებია, გამოუტოვებია ის, რაც არაარსებითი იყო, ანდა გარკვეული კატეგორიის მკითხველს ისედაც ეცოდინებოდა. მაქსიმალურად, მტკიცე ნებისყოფით დაუწურავს მასალა და მთავარი, არსებითი მოუწოდებია ჩვენთვის. წიგნს რომ დახურავთ, ამით არ მთავრდება თქვენი ‘ინტერესი’ ნიკო ნიკოლაძისადმი. მეტიც, გიღვივდებათ სურვილი, უფრო ფართოდ გაეცნოთ გამოჩენილი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამ მხრივაც განსხვავდება ეს წიგნი აღწერილობითი ბასიათის სქელტანიანი ნაშრომებისაგან, რომლებიც ბშირად უფრორე გიკლავს, ვიდრე გიცხოველებს ინტერესს გარკვეული თემისა და საზოგადო მოღვაწისადმი. წიგნი ეხება გარდახულ ხანას, გარდახული დროის მოღვაწეს, მაგრამ ეხმიანება თანადროულობას, თანამედროვე ქართველი საზოგადოების წინაშე წამოჭრილ კითხვებს. ნიკო ნიკოლაძე აქ მკვდარი ისტორიის კუთვნილებად კი არ გვევლინება, არამედ ჩვენს ცოცხალ თანამედროვედ, რომლის არაერთი აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, შეხედულება დღესაც საგულისხმიერო და ანგარიშგასაწევია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ორი თავი — „მრწამსი" და „ოთხი პრინციპი", რომლებშიაც განხილულია ჩვენი ხალხელოვანი წინაპრის მსოფლმხედველობა და მისეული სამოქმედო პროგრამა. ოღონდ, ვიდრე ამ საკითხზე შევაჩერებდე მკითხველის უურადღებას, საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდე სიტყვა ვთქვა წიგნის ლიტერატურულ ფორმაზე.

„ნიკო ნიკოლაძეში" ერთმანეთს ერწყმის ორი საწყისი: ბელეტრისტიკის ელემენტები ან, თუ გნებავთ, ერთგვარი ბელეტრისტული ნაკადი (ოღონდ მთლიანად დოკუმენტურ მასალას დამყარებული, მხატვრული გამონაგონის მოუშველიებლად) და პუბლიცისტურ-ესეისტური სჯა, კვლევა. მთლიანად წიგნის სტილისტიკას აუდიტორიასთან შინაგან დიალოგურ ურთიერთობაზე ორიენტირებული, ხატოვანი, ემოციონალურად მრავალფერი, იუმორ და ირონიანარევი ხასიათი თხრობა განსაზღვრავს. აკ. ბაქრაძეს არ უყვარს შაბლონი. აქაც გარკვეულწილად არღვევს ბიოგრაფიული ჟანრის დამკვიდრებულ ტრადიციას. ამ ტრადიციის მიხედვით თხრობა, ჩვეულებრივ, გმირის დაბადებისა და ბავშვობის ხანის, ანდა სულაც გენეალოგიის აღწერით იწყება. აკ. ბაქრაძე თხრობას ეფექტური მომენტის არჩევით, თავისი გმირის ცხოვრების ერთი უველაზე უფრო დრამატული ეპიზოდით იწყებს: ჯაბუკი ნიკო კრონშტადტის ციხესიმაგრის ხაკანში ზის სტუდენტთა შფოთში მონაწილეობის გამო და ბედის განაჩენს ელის. ის, რაც აქამდე მომხდარა, მოყოლებული გამოცდების ჩაბარებიდან და უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან, გადმოცემულია რეტროსპექტულად, მოგონება-ფიქრის სახით, იმ ლიტერატურული საშუალებით, რაც ახლო დგას შინაგან მონოლოგთან, ოღონდ თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს. გამოყენებულია ე. წ. „წრიული სიუეეტის" ხერხი, აწმყო ვითარებიდან თხრობა გადადის წარსულში, თანდათან შუქსა ჰფენს არსებულ ვითარებას და ისევ უბრუნდება საწყის სიტუაციას. მერმე ქრონოლოგიურად მიჰყვება ამბის მსვლელობას. შემდგომ კიდევ არის გამოყენებული იგივე ხერხი, რაც მოულოდნელობის ლიტერატურულ ეფექტსა ქმნის. ეპიზოდი იწყება უშუალოდ სცენით, როცა ერთიმეორის პირისპირ დგას ორი დუელისტი — ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე. მკითხველს, შესაძლოა, არც სცოდნოდა, თუ ამ ორმა ხასიათადულო ქართველმა დუელში გამოიწვია ერთმანეთი. თხრობა გადასწვდება წარსულს, გადმოცემულია საგაზეთო პაექრობის შეკუმშული ისტორია, ამ ნიადაგზე ურთიერთობის დაძაბვა. თანდათანობით თხრობა ისევ უბრუნდება საწყის ვითარებას. ამას მოჰყვება ამბის შემდგომი განვითარება, აღწერა იმისა, მოხდა თუ არა დუელი, ან როგორ მოაბერხეს სეკუნდანტებმა მოწინააღმდეგე მხარეთა შერიგება.

ნიკო ნიკოლაძემ მოგონებებში თვითონვე გვიამბო თავისი სტუდენტობის ხანა, სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობა, დაპატიმრება, პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხიდან კრონშტადტის ციხე-სიმაგრეში გადაყვანა. და მაინც იგივე ამბები, მოთხრობილი აკ. ბაქრაძის მიერ, ინტერესით იკითხება. არა მხოლოდ ცოცხალი, დინამიური თხრობის წყალობით, არამედ იმიტომაც, რომ ავტორს ეხერხება იმგვარი კუთხით შეხედოს გარდახულ მოვლენებს, იმგვარი აზრობრივ-ინტონაციური მახვილი დაუსვას მოთხრობილ ამბავს, უჩინარი ხიდი გახდეს წარსულსა და აწმყოს შუა, აღგვიძრას თანადროულობის მრავლისმეტყველი ასოციაცია. აკ. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს სტუდენტ ახალგაზრდობასა და მთავრობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის, თავისუფლებისაკენ ლტოლვის სულისკვეთების, მაშინდელი საზოგადოებრივი ატმოსფეროს გადმოცემის მანერა.

რაკი წიგნის ბელეტრისტული ფორმის ელემენტებს შევეხე, ბარემ იმასაც დავსძენ, რომ იმავე პირველ თავში, რომელსაც „მეამბოხე" ჰქვია, უნარიანად არის გამოყენებული, თუ კინოტერმინს მოვიშველიებთ, ე. წ. „პარალელური მონტაჟის" ხერხი. პეტერბურგში სტუდენტთა შფოთია. ამ დროს მეორე მთავარი სუბიექტი დატრიალებული დრამისა, მეფე ალექსანდრე მეორე, საქართველოში იმყოფება და ჭერჭერობით არაფერი იცის სატახტო ქალაქში დაწყებული არეულობისა. აკაკი ბაქრაძეც უცებ ცვლის მოქმედების ადგილს და თხრობა საქართველოში, მეფის დროებით სადგურში გადმოაქვს. შინაარსობრივად, შინაგანი დრამატიზმით დაკავშირებული, ხოლო სივრცით დაშორებული ამ ორი ეპიზოდის დახაზულებლად ბიძგს თვით ნიკო ნიკოლაძის მოგონებები იძლევა. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, როცა პეტერბურგში სტუდენტთა მღელვარება დაიწყო, ვერავინ იდო თავს რაიმე გადაწყვეტილების მიღება, რადგან მეფე იმ დროს იქ არ იყო, საქართველოში იმყოფებოდა. ქართველ თავადთა მამულებში შინაურ ჭეირნებზე ნადირობდაო. აკაკი ბაქრაძე კარგად იუენებს ამ შემთხვევას, შემდგომ თვითონ გვიბატავს სცენას, როგორ მოახსენებს ბარიატინსკი სტუდენტთა შფოთის ამბავს ალექსანდრე მეორეს და როგორ იმოქმედებს ამ ამბის შეტყობა მეფეზე, ბელეტრისტული მანერით შესრულებულ ამ ეპიზოდში იგი ქმნის ალექსანდრე მეორის დასამახსოვრებელ ფსიქოლოგიურ პორტრეტს. აქვე დავსძენ: წიგნის აზრობრივ-ხიუეეტური მთლიანობის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ იქ გაშლილი თხრობისას ხსვადასხვა დროს სამჯერ გამოდის ავანსცენაზე რუსეთის თვითმპყრობელი მონარქი. პირველად იმ დროს, როცა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ტალღა ის არის აგორდება, თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ ურყევ, ბასტიონად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყურება, და ჯაბუკ ნიკო ნიკოლაძის ამბობი, მსგავსად მისი კბილა თანამოაზრეებისა, ჰგავს დონკიხოტურ საქციელს. ეს გახლავთ წიგნის პირველი თავი. მეორედ მაშინ, როცა რევოლუციონერ-ტერორისტები აღარ ეპუებიან მეფეს და 1881 წლის 1 მარტს სიცოცხლეს გამოასალმებენ ალექსანდრე მეორეს. წიგნის ბოლო თავში კიდევ ერთხელ გამოჩნდება რუსეთის იმპერატორი, ამჯერად ნიკოლოზ მეორე, გამოჩნდება, რათა მოწმენი შევიქნეთ, რა ნაყოფი გამოიღო იმ პირვანდელი ტალღის აზვირთებამ, დავესწროთ ნიკოლოზის ტახტიდან გადადგომის ისტორიულ მომენტს, რომანოვების ხამასწლიანი დინასტიის აღსასრულს.

დასრულდა სტუდენტური ხანა, რუსეთსა და ევროპაში მოგზაურობისა და განსწავლის წლები, ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე 1870 წლის დამდეგს საქართველოში ბრუნდება და აქტიურ, ძალზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გაზეთ „დროებაში", აგრეთვე — სულ მალე დაარსებულ ჟურნალ „კრებულში". იწყება მისი ჟურნალისტური საქმიანობის საუკეთესო ხანა — მოღვაწეობა რედაქტორ-გამომცემლისა, პუბლიცისტისა, ლიტერატურული კრიტიკოსისა. საამდროოდ იგი უაღრესად განათლებული, მეტად ფართო, მრავალმხრივი ცოდნის პატრონი და მსოფლმხედველობრივად უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა. და აი აქ, ვიდრე უშუალოდ ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე გვიამბობდეს, აქ. ბაქრაძე გვთავაზობს ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის საინტერესო ანალიზს. ეს თავი — „მრწამსი" — წიგნის ბოლო თავთან — „ოთხ პრინციპთან" — ერთად გვაცნობს დიდი ქართველი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის შეხედულებებსაც და საოქმედო პროგრამასაც, თანაც იმგვარი კუთხით გვაცნობს, რომ ზოგ რამეს სადღეისოდაც საგულისხმიეროდ მივიჩნევთ. რაკი წიგნის აზრობრივი დატვირთვა ძირითადად ამ ორ თავზე მოდის, მკითხველის ყურადღებასაც მათი მნიშვნელობის რაობაზე შევაჩერებ.

მსოფლმხედველობის საკითხის გარკვევა, ისიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და ამ საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწისა, და ისიც ჩვენში, ფრიად რთული რამ გახლავთ. ერთი იმიტომ, რომ ეს ის ხანაა ევროპულ-რუსული კულტურულ-იდეოლოგიური რეგიონისა, სადაც ერთმანეთშია გადახლართული ათასნაირი ფილოსოფიურ-თეორიული და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულება. და ჭერ ის უნდა გაარკვიო კაცმა, ვინ ნამდვილად ორიგინალური მოაზროვნეა და ვინ კიდევ ეკლექტიკოსი ან ეპიგონი. ხოლო თუ ორიგინალურ მოაზროვნესთან გაქვს საქმე, ჭირს, ზუსტად განსაზღვრო, სახელდობრ რა შეირწყა, რა იდეურ მიმდინარეობათა სინთეზი მოხდა მასში და რითია თვისებრივად ახალი ან კიდევ ახლებური ელფერის მქონე მისი მრწამსი. მეორეც ისაა, რომ ჩვენს ოფიციალურ ისტორიოგრაფიას საშუალებ[illegible]ბული პოლიტიკური და ი[illegible] გამო, დაეწერა ახალი და [illegible] ობიექტური, შეულამაზებელი ხამამულო ისტორია, ისტორია საზოგადოებრივი აზრის განვითარებისაც და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაც. თუ, ვთქვათ, ავიღებთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულს, რომელიც ოფიციალური იდეოლოგიის გამომხატველი კოლექტიური ნაშრომია, იქ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორია, მე-19 საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, უკეტურად, წყდება, წყდება იმ პერიოდიდან, როცა ახპარეზზე გამოდის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მემარცხენე ფრთა, რომელიც, არსებითად თუ ვიტყვით, მიჩნეულია საზოგადოებრივი აზრის მონოპოლიური უფლების მქონედ. აღიარებულია ერთადერთი და უმაღლესი ჭეშმარიტების მფლობელ ინტელექტუალურ ძალად. შედარებით უფრო ობიექტურადაა გაშუქებული საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორია 90-იან წლებამდე, თუმცა აქაც შეიმჩნევა ფრთხილად გამეღავნებული ტენდენცია პიროვნებისა თუ მოვლენის პროკრუსტეს ხარეცელზე გაჭიმვა-გამოჭიმვისა, კერძოდ, ნიკო ნიკოლაძის ძალად გასოციალისტებისა.

ერთბაშადვე მოგზვდებათ თვალში, რომ აკაკი ბაქრაძე ნიკო ნიკოლაძის მრწამსის წარმოჩენას არ უდგება წინასწარ აკვიატებული სქემით, არ უდგება დოგმატურად. ბაქრაძის, როგორც პუბლიცისტისა და კრიტიკოსის, ერთ-ერთი მთავარი თვისებაცა და ღირსებაც სწორედ უდოგმატო, უფრო სწორად, ანტიდოგმატური აზროვნებაა. დღესდღეობით უკვე ველარავის გააკვირვებ ჩვენში ანტიდოგმატური აზროვნებით. მეტიც, თავს იჩენს გარკვეული მიდრეკილება მეორე უკიდურესობისადმი, ზოგიერთნი მიესწრაფიან ორიგინალობანასა და სენსაციურობას. აკაკი ბაქრაძის მიმართ კი მოვალენი ვართ ვთქვათ, თუმცა ეს ქართველ საზოგადოებას ისედაც მოეხსენება, რომ ის არის ჩვენში უდოგმატო, თავისუფალი აზროვნების ერთ-ერთი პირველი ამაღორძინებელი. ამაღორძინებელი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თავისუფალი , ინტელიგენტური აზროვნების ძაფი კონიუნქტურულ-დოგმატური აზროვნების ბატონობის ხანაშიც არ გამწყდარა. ამის მაგალითი გახლავთ გერონტი ქიქოძე, რომელმაც თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური კრედოც შეინარჩუნა და მწერლურ-მოქალაქეობრივი პატიოსნებაც. აიღეთ, თუნდაც, მისი წერილი იმავე ნიკო ნიკოლაძეზე, დაწერილი 1940 წელს. გაიხსენეთ, რა ზომიერებითა და თავშეკავებით ლაპარაკობს იგი ნიკო ნიკოლაძის პირით საზოგადოების ისტორიაში რევოლუციის მნიშვნელობაზე იმ დროს, როცა რევოლუციის ცნება გაფეტიშებული იყო. დიახაც მოქალაქეობრივი გამბედაობა გმართებდა ქაცს, გეთქვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ნიკოლაძეს გაუმართლებლად მიაჩნდა თავადაზნაურობის მოკვეთა, რადგან ეს წოდება მრავალრიცხოვანი იყო. ქართველობის მეათედს შეადგენდაო. გეთქვა იმ დროს, როცა სულ ხამოდე წლის წინათ პარტიული ფორუმის ტრიბუნიდან მაშინდელი მრისხანე ბატონი რესპუბლიკისა ტრაბახით აცხადებდა, ჩვენ შევძელითო 80 პროცენტით გადაგვეხალისებინა ქართველი ინტელიგენცია, და ამ რაოდენობრივი თანაფარდობის ესოდენ მკვეთრ ცვლილებაში იგულისხმებოდა არა მხოლოდ მუშებისა და გლეხების შვილებით შეკსება ინტელიგენციის ფენისა, არამედ ძველი ინტელიგენციის დიდი ნაწილის ლიკვიდაციაც. უფრო სწორად, მოკვეთა. ანდა, ავიღოთ, აკაკი გაწერელია, თუნდაც მისი წერილი, მიძღვნილი ანდრეი ბელისადმი. ახალი ტოლერანტული სულით გამსჭვალული, ინტელიგენტური წერილის 1940 წელს დაბეჭდვა რუსული დეკადენტური (იმ დროის ტერმინი რომ ვიხმარო) ერთ-ერთ ბურჯზე შეეძლო მხოლოდ იმ პიროვნებას, ვინც ერთგული გახლდათ მწერლური კეთილსინდისიერებისა, ლიტერატურის ინტერესებისა და არ ემორჩილებოდა გაბატონებულ კონიუნქტურულ-დოგმატურ აზროვნებას ამ ფაქტებს იმიტომ შევახსენებ მკითხველს, ხელოვნურად რომ არ გავიღარიბოთ თავი. კეთილის კეთილისა მივაგოთ...

აკაკი ბაქრაძის წიგნში უდოგმატო პიროვნებად წარმოჩნდება მარტოოდენ ავტორი კი არა, მისი მთავარი პერსონაჟიც. ჯერ კიდევ გეორგტი ჭიჭოძემ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის ეს თვისება. იქვე დახძინა, — ის იყოო „უველაზე თავისუფლად მოაზროვნე ხამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის. უარმყოფრა მამა-პაპათა დრომოჭმული რელიგია, მას არც ნაციონალიზმი, არც სოციალიზმი, არც თვით რევოლუციის იდეა ახალ რელიგიად არ მიუღია, არც ჩერნიშევსკი, არც გერცენი, არც ლუი ბლანი და არც გამბეტა ახალ ალლაჰად არ უცნია და თავის თავი მათ წინასწარმეტყველად არ გამოუცხადებია". ეს დებულება ბაქრაძის წიგნში გაშლილი და გაფართოებულია, აქ უკვე კონკრეტული ანალიზის საფუძველზეა დასაბუთებული, რომ ნიკო ნიკოლაძე რაიმე ერთხელ და ხამუდამოდ ამოჩემებული თეორიისა თუ მოძღვრების ბრმა, განუსჯელი მიმდევარი არ ყოფილა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მყარი ნიადაგი არ გააჩნდა ფიზიკურ და შეხედულებებს წარამარა იცვლიდა. აკ. ბაქრაძე გამოაყოფს ორ ძირითად პრინციპს, ორ საყრდენს, მისივე სიტყვით თუ ვიტყვით, რაიც მყარ საფუძველს უქმნის ნ. ნიკოლაძის მრწამსს. მომაქვს ავტორის სიტყვები: „უკვე გამოიკვეთა ნ. ნიკოლაძის მრწამსის ორი საყრდენი: პირველი — რა გამოადგება და რა არა საქართველოს და მეორე — საჭიროა არამეტაფიზიკური აზროვნება. ვარგია აზროვნება, რომელიც სინამდვილის მოთხოვნებს უპასუხებს და დაეკმაყოფილებინა ორი მთავარი დასკვნა. ერთი ის, რომ ნიკო ნიკოლაძე, უპირველეს ყოვლისა, პატრიოტი იყო. კალმითაც და საქმითაც თავის ერს ემსახურებოდა და ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ პრობლემას წინა რიგზე აყენებდა. ამის ხაზგასმა იმიტომაც არის საჭირო, რომ ზოგჯერ უსაყვედურებდნენ, დიდბანს ხამშობლოს გარეთ მოღვაწეობდა. რუსულად და ფრანგულად უფრო მეტი უწერია, ვიდრე ქართულ ენაზეო. ამ საკითხს დელიკატურად ეხება აკ. ბაქრაძეც. მოაქვს თვით ნ. ნიკოლაძის პასუხი ამგვარ ბრალდებაზე, და რადგან შეიძლება დღესაც ვინმეს გულში უტრიალებდეს ეს სამდურავი, მიზანშეწონილად მიმაჩნია ნიკო ნიკოლაძის ორი ციტატა მოვიტანო ბაქრაძის წიგნიდან.

ნიკო ნიკოლაძე ასე მიმართავს თავის ხამშობლო საქართველოს: „მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ უველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის ხამსახური, შენი ხარგებლობა. არც საფრანგეთის ამაღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურღის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას, არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუბიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვებისავით დამეკიდა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა. ჩვენი უველასგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა..."

„ხიბრიყვეა, ერთი რომელიმე ურიგო და უნიჭო კაცი თფილისის მოედანზე უსარგებლოდ დაეთრეოდეს და თან ვინმე მშრომელს და ბერიან პირს, რომელიც პარიეის ბიბლიოთეკაში მუშაობს, მამულის უსიყვარულობას აბრალებდეს მარტო იმისათვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოთ რატომ არ დაღოღიალობსო."

მე მგონი, აქ უველაფერი ნათლად და გულწრფელად არის ნათქვამი და რაიმე დაცვა თუ გამართლება ნიკო ნიკოლაძეს ჩვენგან არ სჭირდება.

მეორე დასკვნა ის არის, რომ უნაყოფოა აბსტრაქტული აზროვნება, რომანტიკული ქვრეტა, საჭიროა საგნებსა და მოვლენებს ხალად, რეალისტურად ვუყურებდეთ და ვაფასებდეთ. რევოლუციის მომხრე იყო ნ. ნიკოლაძე თუ ევოლუციისა? — სვამს კითხვას აკ. ბაქრაძე და ხამართლიანად უპასუხებს — ერთისაც და მეორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც, ოღონდ გაიჩნდა ქვეყანას, ხალხს და ვითარებას. ისე კი ევოლუციური განვითარების გზა ერჩივნა. ამასთან დაკავშირებით აკ. ბაქრაძე წერს: „იმის ნიშუშად, რომ ქვეყანას შეუძლია რევოლუციის თვინიერ აღორძინდეს ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკურად, ნ. ნიკოლაძე ახახელებდა იაპონიას. მან 1894 წელს ეურნალ „მოამბის" მეცხრე წიგნში გამოაქვეყნა წერილი — „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან." ქართველ მკითხველს უამბო — როგორ აღორძინდა იაპონია განათლებით, ცოდნით, შრომით, დისციპლინით და დასკვნა: „ძალა და ძლევა რიცხვს და სიერცეს კი არა, ცოდნას და ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს, დისციპლინას."

იმის საილუსტრაციოდ, როგორი გზა ესახებოდა ნ. ნიკოლაძეს უმჯობესად ეროვნული ხუვერენიტეტის მისაღწევად, აკაკი ბაქრაძე უთითებს ეურნალ „მოამბეში" დაბეჭდილ წერილს — „კოშუთი და დეკი". ნიკო ნიკოლაძე ერთიმეორეს შეუპირისპირებს ამ ორ უნგრელ მოღვაწეს, მათს ტაქტიკას. კოშუთი იარაღით, აჯანყების მეშვეობით ცდილობდა სამშობლოს განთავისუფლებას. ამას უშედეგო სისხლის ღვრა, დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა. წარმატებული გამოდგა დეკის ტაქტიკა, მშვიდობიანი ბრძოლის გზა, რამაც უნგრეთს ეროვნული ხუვერენიტეტი მოაპოვებინა. ნიკო ნიკოლაძე ისტორიის ამ გამოცდილებას ჭკუის სასწავლად და გასათვალისწინებლად აცნობდა თავისდროინდელ ქართველ მკითხველს.

არამეტაფიზიკური აზროვნების კარგი ნიმუშია ნიკო ნიკოლაძის ის გამონათქვამი, აკ. ბაქრაძეს რომ მოაქვს: „ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი. ყოველი ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა ერთისთვის და ზოგჯერ მავნებელი. მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია. მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში საწამლავიც კი მკურნალობს და უტკენო ბავშვი რძის საჭამანდშიც კი დაიხრჩობა."

დღეს ფრიად აქტუალურად ეღერს ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვები, აკ. ბაქრაძის წიგნში მოტანილი: „როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და მოუხდება, საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი, ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისათვის ჭკუა-გონება არ ეოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაეხესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება. თუ ამას ვერ მიხვდა, ისე მოუვა, როგორც იმ ადამიანს, ვინც მოდას აჰყვება, შეუფერებლად მოირთვება, მოიკაზმება და ხალხის თვალში სასაცილო გახდება ერიც ასევე შეიძლება მასხარა გახდეს კაცობრ[illegible] ეროვნული ერიგი რევოლუციისა და კლ[illegible] მოდას გამოდევნებული, სხვას ჩაბაძავს, სხვის დუდუკზე იცეკვებს".

ამ კონტექსტში ერთობ საგულისხმოა ნიკო ნიკოლაძის ეს შეხედულება: „ჩვენში, განსაკუთრებით განათლებულ საზოგადოებაში, ის შემცდარი აზრი მეფობს, ვითომ აზნაურობაზე სჯა და ცდა „მოდაა" როდიაო. ეხლა „მოდაა" თურმე ქარხნების მუშებზე ზრუნვა ყოფილა. წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება: ქარხნების მუშებზე უნდა ვიზრუნოთ, არც ქარხნები გვაბადია, არც ქარხნის მუშები."

აქ ტექსტზე გაცილებით უფრო მეტს გვეუბნება ქვეტექსტი. აქ გამეღავნებული ირონია მარტო იმდროინდელ განათლებულ საზოგადოებას კი არ უნდა ეუმისამართოთ, არამედ მესამედ-ხელებსაც. სოციალიზმის თეორიის, უფრო ზუსტად, პროლეტარული სოციალიზმის თეორიის, ქადაგებას ჩვენში იმთავითვე მოჰყვა კრიტიკაც. მაგალითად, ამ საუკუნის დამდეგს პრესაში გამართული კამათისას ქართველი ანარქისტები (კროპოტკინისდაკვალად) სოციალ-დემოკრატებს უკიეინებდნენ, თქვენს მიერ აშენებულ მომავალ საზოგადოებაში სახელმწიფო კაპიტალიზმი გაბატონდება, მეკატრონის ადგილს იქ მთავრობა დაიკავებს, ბალბის ექსპლოატატორად ის მოგვევლინებაო. მაგრამ ეს, ახე ვთქვათ, უფრო კერძოობითი ხასიათის კრიტიკა. ნიკო ნიკოლაძის ზემომოტანილი გამონათქვამი უფრო ფუნდამენტურ კრიტიკას მიანიშნებს, არსებითად იმას გულისხმობს, რასაც შემდგომ პლეხანოვი განაცხადებს რუსეთში. ცნობილია: ოქტომბრის გადატრიალებასთან დაკავშირებით პლეხანოვმა განაცხადა, ეს ფაქტი ისტორიის უველა კანონის დარღვევით მოხდაო. პლეხანოვის ეს თვალსაზრისი, რასაც ნიკო ნიკოლაძის შეხედულება, ახე უშუალოდ ეხმიანება, დღეს ჩვენს წინაშე ჩამოჭრის ერთ გასარკვევ საკითხს:

თუ ოქტომბერი ისტორიის კანონის დარღვევა, მაშ არსებობს თუ არა ისტორიული აუცილებლობა, თუ ისტორიაში შემთხვევითობა ბატონობს? თვითნებურია ისტორიის განვითარების პროცესი თუ გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება? ამ საკითხის გაურკვევლად ფუჭი იქნებოდა ხამოამავლო იდეალის ძიება. აქ დასმულ კითხვაზე უველა თუ არა, მე მგონი, უმრავლესი ჩვენგანი ახე უპასუხებდა: ისტორიული კანონზომიერების ბედი-მდევარი ადრე თუ გვიან, თვითმფრინავით იქნება თუ ურმით, ბოლოს მაინც დაეწევა შემთხვევითობის ნიადაგზე აშენებულ საზოგადოებრივ სტრუქტურას. აქედან კი იმ დასკვნის გამოტანა გვმართებს, რომ უნდა ვეცადოთ, გამოვიცნოთ ისტორიული აუცილებლობის ნაკარნახევი და ჩვენდაუნებურად შემთხვევითობის წისქვილზე არ მივუშვათ წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე გამბატონებული სტერეოტიპების წინააღმდეგ მებრძოლი პიროვნებაა, წარმატებით ეწევა ხოლმე ამ ბრძოლას. ერთ-ერთი სტერეოტიპის არსი, სტერეოტიპისა, რომლის დანერგვაზაც ჩვენივე ოფიციალური იდეოლოგიის წარმომადგენელნი უწყობდნენ ხელს, ერთი სიტყვით თუ მოვჭრით, ისაა, რომ ჩვენ „უფროსი ძმის" ინტელექტუალური ვახალები ვართ. ამას, ცხადია, ხაზგასმით არ ამბობდნენ, ამ აზრს ფრთხილად, შეპარვით, ასე ვთქვათ, „ჩაწვეთებით" გამოთქვამდნენ. ეს, ეტაპობა, ინტერნაციონალიზმისა და ძმობის თავისებურ დადასტურებად მიგვაჩნდა, სინამდვილეში კი ველიკორუსულ-შოვინისტური აზროვნების გამოძახილია. ჩვენი გამოჩენილი მოაზროვნენი წარსულისა მოიხსენიებიან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა უბრალო მოწაფეებად. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძეზე მისეულ თხზულებათა სამტომეულის წინასიტყვაობაში ნათქვამია:

„რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე იგი (ე. ი. ნ. ნიკოლაძე) გავიდა როგორც გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნიჭიერი მოწაფე და თანამებრძოლი." (ხაზგასმა ჩემია — თ. ჩ.).

ხოლო ილია ჭავჭავაძე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-5 ტომში ასე კვალიფიცირებული:

„... რუსოიველისა და სულხან-საბას, გურამიშვილისა და ბარათაშვილის უპირველესი მემკვიდრე, ლესინგისა და გოეთეს, დიდროსა და რუსოს, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის უაღრესად თავისებური მოწაფე."

ეპითეტი „უაღრესად თავისებური" აქ საკმეს ვერ შველის, ისევე როგორც ვერ შველის ნიკო ნიკოლაძის მიმართ ნახმარი სიტყვა „ნიჭიერი". თუ ადამიანი შეგირდობის ბანას ვერ გასცდა, თუ ბოლომდე მოწაფე დარჩა, იგი სხვა არა არის რა, თუ არ ეპიგონი. ტერმინოლოგიური საფარველი აქ ვერავის აუბნევს თვალს. აკ. ბაქრაძე საგანგებოდ აანალიზებს ამ საკითხს და, ჩემი აზრით, დამაჯერებელი არგუმენტებით ცხადყოფს, რომ, თუმცა ნ. ნიკოლაძე დიდ პატივს სცემდა გერცენს და, განსაკუთრებით, ჩერნიშევსკის, კარგადაც იცნობდა ორივე მათგანის ნააზრევს, იმათ მიმდევრად მაინც ვერ ჩათვლება. აკ. ბაქრაძის მიერ მოხმობილ არგუმენტთაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო ანგარიშგასაწევი არგუმენტია ძირეული განსხვავება ნიკო ნიკოლაძისა და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს შორის თემისა და სათემო მიწათმფლობელობისადმი დამოკიდებულების საკითხში. „რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ერთ-ერთი ძირითადი იდეალი (თემური სოციალიზმი) ნ. ნიკოლაძისათვის მიუღებელი იყო, რაღა მიმდევრობაზე შეიძლება ლაპარაკი?" — სამართლიანად აცხადებს წიგნის ავტორი. ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისა, ვერ ავერდს ვერ აუვლის, ვერ უგულებელყოფს ბაქრაძის არგუმენტაციასა და პრინციპული მნიშვნელობის მქონე მის ამ დასკვნას.

ნიკო ნიკოლაძე ერის აღორძინების პროგრამას ოთხი ძირითადი პრინციპით გამოხატავდა. რარიგ აქტუალურია ეს პრინციპები დღესაც, ამის დასტურად მათი ჩამოთვლაც კმარა: ერთობა, თვითმოქმედება, თვითმმართველობა, რუსეთის მოწინავე ნაწილთან ერთად. აქვე შევნიშნავ: თვითმოქმედებაში, აკ. ბაქრაძის განმარტებით, იგულისხმება თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობა. ამ ოთხი ცნებიდან ერთობის ცნება ძირეული კატეგორიაა, დანარჩენი სამი კატეგორიის განმსაზღვრელია. თუ ერთობა არ იქნება, თუ გათიშულობა იძალებს, გამარჯვება ვერ მოხერხდება. ეს უდავოა. ოღონდ ვის როგორ ესმის საკუთრივ ერთობის ცნება, ვინ რას თვლის საამისოდ საჭირო პირობად, ან ვინ რაში ხედავს გათიშვის მთავარ საფრთხეს, ამის თაობაზე, ალბათ ყველას ერთნაირი აზრი არ ექნება, და აქ საჭიროა ზოგი რამის გარკვევა, დაზუსტება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ აზრს თანამედროვე სამამულო ისტორიული მეცნიერება შემდეგ მიმართულებებად ყოფს:

ჰუმანისტ-დემოკრატები, იგივე პირველი დახი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა).

რადიკალ-დემოკრატები, მეორე დახი (გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი).

მერე მოდიან ხალხოსნები და ბოლოს — მეხამედახელები.

აკ. ბაქრაძის თვალსაზრისი ძირითადად თანხვდება ამ კლასიფიკაციას, განსხვავება მხოლოდ ის არის, პირველ-მეორე დახს ცალ-ცალკე არ ასახელებს, საერთო სახელით — თერგდალეულებად მოიხსენიებს. აკ. ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ არსებით მხარეზე. იგი სვამს კითხვას: რითი ავხსნათ, რომ თერგდალეულთათვის უპირველესი იყო ეროვნული თავისუფლების იდეა, ხოლო შემდეგ ხალხოსნებმა, განსაკუთრებით კი მესამედახელებმა ეს იდეა სოციალური თავისუფლების იდეით შეცვალეს? იგი ამ კითხვას ასე უპასუხებს: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაძლეული არ იყო ეროვნული ნიჰილიზმი და იმით აიხსნებოდა. ამას კვლავ მოსდევს კითხვა: რატომ ვერ იქნა დაძლეული ეროვნული ნიჰილიზმი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში? პასუხი: ეროვნული შეგნების განვითარებას ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა უშლიდა წინააღმდეგობას და იმიტომ. ეს არგუმენტი არ არის დაჭკმაყოფილებელი. იგი შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას და ვერც მოვლენის ნამდვილ მიზეზს გვიხსნის. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ცარიზმი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ეროვნული თავისუფლების იდეა ბატონობდა, როცა თვით მომავალი თერგდალეულნი ხულიერად ყალიბდებოდნენ, უფრო შეღავათიანად ახორციელებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას? პირიქით. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც შესუსტდა პოლიტიკური რეჟიმის დესპოტიზმი. უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნა ეროვნული შეგნების განვითარებას ქართული ეურნალ-გაზეთების დაარსებით, ქართული წიგნის გამოცემით, ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა შექმნით. მაშ, რატომ იჩრდილება ეროვნული იდეალი სოციალური თავისუფლების იდეით და რაც უფრო ვუახლოვდებით მე-19-მე-20 საუკუნეთა მიჯნას, რატომ ძლიერდება ტენდენცია სოციალური თავისუფლების იდეის გაბატონებისა? ყველაფრის გადაბრალება ნოე ეორდანიასა ან კარლო ჩხეიძის წამბაძველობისა თუ უგუნურებისათვის, აქაოდა, მარქსის დებულებებს თუთიყუშივით იმეორებდნენო, უთუოდ საკითხის მეტისმეტი გაუბრალოება იქნებოდა. ამ კითხვის ერთადერთი პასუხი მოეძებნება და ეს პასუხი, როგორც ჩანს, ის არის, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ხეწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ხაზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი, ხოლო ამის პროპორციულად ხდებოდა სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, რასაც ზედ ერთვოდა ფსიქოლოგიური ფაქტორიც — თვით ამ პროცესის გაცნობიერება. ორ თანაბარ პირობებში მყოფი ადამიანიდან ის უფრო მეტად განიცდის უსამართლობას, ვიდაც შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა. ყმას ასე თუ ისე კანონიერად, ღვთისგან დაწესებულად მიაჩნდა არსებული წესწყობა. ნაყმევს უკვე თვალები ეგზილა, სამართლიანობისა და უსამართლობის გარჩევა ისწავლა, და ეს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებდა სოციალური დიფერენციაციით აღძრულ უსამართლობის გრძნობას. ეს იყო ყველაზე უფრო ღრმა მიზეზი იმისა, რომ ეროვნული იდეალი სოციალური თავისუფლების იდეამ დაიჭვემდებარა; დაიკარგა, მეტიც, უარყოფილ იქნა ე. წ. „ერთიანი ნიადაგის" თვალსაზრისი თერგდალეულთა თაობისა; ერის გათიშულობა მე-19 მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე განხეთქილებამდე მივიდა, ეროვნული ძალები ქუცმაცდება, ერთიმეორეს უპირისპირდება, ხაზოგადოების სხვადასხვა ნაწილი ერთმანეთის სიძულვილით იფლეთნება.

თუ წარსულს აწმყოს არ დავუკავშირებთ, ისე წარსულზე წერახა და მსჯელობას აზრი არა აქვს. ზემოთ გამომეღავნებული ჭეშმარიტება ამეამადაც გასათვალისწინებელია, როცა ქართველი ხაზოგადოება ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზეა შენდგარი ანის თუ არა ამეამად სოციალური დიფერენციაციის ღრმავების. თანაც მკვეთრი [illegible] ეროვნულ [illegible] ერი შეიძლება წუთიერად [illegible] გაერთიანდეს, თუ რაიმე გარეშე საფრთხე ემუქრება. ეს, მოგეხსენებათ, ჯოგის ინსტინქტია. გაიგლის საფრთხე და გათიშულობა კვლავ იჩენს თავს. ერის ერთიანობა უფრო მკვიდრ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ვიდრე ჯოგური ინსტინქტია. ამიტომ, გავიმეოროთ კითხვა: არის თუ არა ახლა, გარდატეხის ეამს, სოციალური დიფერენციაციის მკვეთრი გაღრმავების საშიშროება? თუკი ვაღიარებთ, ჩვენში პლუტოკრატია არსებობსო, თუკი ვამბობთ, შედარებით მცირერიცხოვანი ფენის ხელში დაგროვილი ფულადი სიმდიდრე ბევრად აღემატება მთელი საქართველოს ბიუჯეტსო, დასმულ კითხვას თავისთავად ეცემა პასუხი. რაკი ასეა, მორალური უფლება გვაქვს, ვიკითხოთ, რას უწყობს ხელს ამგვარ ვითარებაში ზოგი ჩვენი სწავლულისა და ზოგიერთი ჩვენი ხაზოგადოების ლიდერის მოთხოვნა ეროვნული სიმდიდრის დენაციონალიზაციისა, ზემოხსენებული საშიშროების შესუსტებისა თუ გაძლიერების? ხერთ ეს თუ არა ხერთ, შეგნებული აქვთ თუ არა აქვთ შეგნებული, დენაციონალიზაციის მომხრენი, არსებითად, მოითხოვენ ჩრდილოეთანი ეკონომიკის დაკანონებას, ითანგვარი მამაძაღლური გზით ჯიბეგასქელებულთა ლეგალიზაციას, მათი არაოფიციალური მდგომარეობის ოფიციალურად ცნობას. რა თქმა უნდა, თავისთავად ხერეული, განზრახვა მათი კეთილია. დენაციონალიზაცია გასაკირისაგან თავდებსნის უეცარ ხაშუალებად მიაჩნიათ. მე მგონი, ისინი ვერ ითვალისწინებენ ერთ რამეს: უბედურება მოიტანა თავისთავად ეროვნული სიმდიდრის ნაციონალიზაციამ კი არა, არაშედ იმან, რომ ნაცვლად ხალხის საკუთრებისა ეროვნული სიმდიდრე გახდა სამთავრობო საკუთრება, ამან ხელისუფლების მრავალრიცხოვან ბიუროკრატიულ აპარატს ხაშუალება მისცა, ხალხი დაემონებინა და ეყვლიდა. არსებული სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნამ — დემოკრატიული, პარლამენტური რესპუბლიკის შექმნამ მთავრობის საკუთრება ერის კუთვნილებად უნდა აქციოს; მთელ ერს უნდა ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს ეროვნული სიმდიდრის ნაკეთით, უპირატესი სარგებლობის უფლება არ უნდა მიეცეთ, არ უნდა დაუკანონდეთ თანამედროვე დამპატიჟეებს, ჯაუოებსა და კვაჭი კვაჭანტირაძეებს, თუ მაინც ჩვენსას დავიუნებთ, მაშინ წარსულის მწარე გაკვეთილს ვერაფერი უსწავლებია ჩვენთვის და ეს არის, მაშინ ტყუილად ვაცოცხლებთ წინაპართა აჩრდილებსაც. რომელთა ბრძნულ სიტყვას თავის დროზე ყური არ ვათხოვეთ.

წიგნის საგანგებო თავი ეძღვნება ნიკო ნიკოლაძეს — ლიტერატურულ კრიტიკოსს. არ შეეუდგები ნიკო ნიკოლაძის როგორც კრიტიკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის დახასიათებას. მაშინ ამ თავის მოკლე შინაარსის გადმოწერა მომიხდებოდა, ეს კი მკითხველს არ ხვირდება. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ თვისებას, რასაც აკ. ბაქრაძე ხაზს უსვამს, კერძოდ იმას, რომ ნიკო ნიკოლაძე გახლდათ პრინციპული კრიტიკოსი, ლიტერატურის ინტერესებს ყველაზე უფრო მაღლა აყენებდა და აშრის გულახდილად გამოთქმას არ ერიდებოდა იმის შიშით, ვითუ ვინმეს რამე ეწყინოსო, გინდაც ის ვინმე ახლობელი ყოფილიყო. გ. წერეთელი მისი დის ქმარი გახლდათ, მაგრამ „ციკლოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკას" განხილვისას ხიძეს არ მიმფერებია, კრიტიკული შენიშვნის გამოთქმას არ მორიდებია. ნიკო ნიკოლაძის ეს პირუთვნელობა დღესაც მისაბაძი თვისებაა. კრიტიკის გადაჭცევა კრიტიკანობისა და პირადი ანგარიშსწორების იარაღად შეუწყნარებელია. ბოლო პირუთვნელი მსჯელობისას რაიმე განხვავებული აზრისა ან კრიტიკული შენიშვნის გულახდილმა გამოთქმამ არ უნდა აღგვიძრას წყენის გრძნობა, მერე ეს წყენა პირად ურთიერთობაზე არ უნდა გადავიტანოთ, თორემ გაგვიჭირდება, დავამკვიდროთ დიალოგური ურთიერთობის კულტურა, თავისუფალი სჯა-ბაასის ატმოსფერო.

ნიკო ნიკოლაძე მე-19 საუკუნის ღვიძლი შვილი გახლდათ და ამრიგად — პროგრესის იდეის გულმხურვალე მოტრფიალეც. ძლიერ განმანათლებლურ ნაკადს მის მსოფლმხედველობაში ერწყმოდა პოზიტივიზმისა და საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის ნაკადიც: ეს მას მსოფლმხედველობრივად აახლოებდა სციენტიზმთან, ე. ი. არსებითად — ტექნოკრატიულ აზროვნებასთან. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს დიდი იმედით შეჰყურებდა, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამქმნელ ძალად მიიჩნევდა. ამ მხრივ, ზოგიერთი მისი წინასწარმეტყველება დღესაც ყურადღების ღირსია.

ნიკო ნიკოლაძე იყო, ვგონებ, პირველი მერცხალი, ევროპულ კულტურასა და მეცნიერებას პირდაპირ, უმეშვეოდ რომ ეზიარა. აქტიურად უწყობდა ხელს ევროპეიზაციის იმ პროცესს, რასი განმორციელების მისიაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში თეგრდალელთა საბელოვანმა თაობამ იტვირთა. მეორედ მე-20 საუკუნის 10-20-იან წლებში ხდებოდა ჩვენი კულტურის განაბლება-აღორძინება, ანუ საქართველოს რენესანსი, როგორც უწოდა ამ მოვლენას ერ-რობაქიძემ, თავად ამ რენესანსის ხელადმყ. მე-სამედ კი ავერ ჩვენს თვალწინ, 60-ა[illegible] დან მოყოლებული მიმდინარეობს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, ქართული კულტურის გადახალისება და აღმავლობა. ამ აღორძინების ესტაფეტის მიღება ქართველ ახალგაზრდობას ხვდება წილად. აქ მათ ნიკო ნიკოლაძე სულიერ წინაპრად გამოადგებათ, როგორც მაგალითი ევროპული კულტურისა და მეცნიერების უმეშვეო ათვისებისა და ნიჭით, ცოდნით, შრომისმოყვარეობით, კალმითა და საქმით სამშობლოს მსახურებისა.

აკაკი ბაქრაძეს მუდამ „მოყვარეს პირში უძრახე"-ს პოზიცია ეკავა. არც ამ წიგნში ღალატობს თავის პრინციპს. ჩვენი ნაკლის სამხელად იყენებს ქართველი პუბლიცისტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ფაქტს. განსაკუთრებით გულსა გტკენთ, როცა ხედავთ, რა უმადურობას იჩენს ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ნიკო ნიკოლაძისადმი, როგორც ფოთის ქალაქისთავისადმი, არადა ცნობილია, რა დიდი ამაგი დასდო მან ამ ქალაქს. აკ. ბაქრაძე ეროვნული ხასიათის თვითკრიტიკისას ავლენს გონივრულ ზომიერებას — იმასაც გვიჩვენებს, რა თანადგომას გამოუცხადებს ქართველი საზოგადოება ნიკო ნიკოლაძეს, როცა ეს უკანასკნელი დუელში გამოიწვევს ბებურიშვილს. რა გულმგრძნობიარე წერილებს უგზავნიან, სთხოვენ, დუელში ნუ გაბვალო, თქვენი თავი საქართველოს სჭირდებაო, ზოგი იმასაც სთავაზობს, თქვენ მაგიერ დუელში მე გავალო. კითხულობ ამ ადგილებს წიგნისას და ხედავ: მართალია, ქართველებს გვჩვევია ერის ღირსეული შვილების დაკორტნა და მტრობა, მაგრამ ქართველმა ხალხმა იცის იმავ თავისი ღირსეული შვილის მხარდაჭერაც, მადლიერების გამოხატვაც და დაფასებაც.

ბიოგრაფიულ ეპარს, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების მხატვრულ-დოკუმენტური ფორმით ამსახველ ლიტერატურას უკვე გარკვეული ტრადიცია შეექმნა ჩვენში. გამორჩეული ქმნილებებიც მოგვეძევება. მათ რიცხვს შეემატა ორი ჩინებული წიგნი აკაკი ბაქრაძისა — „ნიკო ნიკოლაძე" და ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემული „ილია ჭავჭავაძე".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გურგენიძე

ქამი ნგრევისა

ეს მობდა ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. „კანონით შეუზღუდავი და ძალადობაზე დამყარებული სახელმწიფო" — პროლეტარიატის დიქტატურა ულმობლად გაუსწორდა წარსულს. ნანგრევებად აქცია ყველაფერი...

ვანადგურებდით ყოველივე მეფისდროინდელს. ვხპობდით „დამპალ, ნაციონალისტურ ინტელიგენციას", ეკლესიიდან, ოჯახიდან, ცხოვრებიდან განვდევნეთ ღმერთი, — არარაობად ვაქციეთ ეროვნული სულის გადამრჩენელი მთავარი კერები.

„ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის", რუსეთშიც და ჩვენშიც ინგრეოდა ხამლოცველოები, ეკლესია-მონასტრები, რაც ვერ დავანგრიეთ, ახინი გამოვიყენეთ საწყობებად, კლუბებად, სამხედრო ყაზარმებად, თავშესაფრებად, ციხეებად, დუქნებად, ბებანოებად, ხაპირფარეშოებადაც კი. სხვებთან ერთად გაუხამართლებლად ვხპობდით და ციხეებსა და გადასახლებებში სულს ვხდიდით ეკლესიის ყოფილ მსახურებსაც. ცნობილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი ვლადიმერ სოლოუხინი თავის კორესპონდენციაში — „რატომ არ მოვაწერე ხელი იმ წერილს?", — გვაცნობს რევოლუციის პირველ პერიოდში დაღუპულ 15-17 მილიონიან მსხვერპლში სამღვდელოების წილსაც. „რომ რუსეთში რევოლუციამდე არსებულ 800 ათას ეკლესიის მსახურიდან უკვე 1919 წელში განადგურებულ იქნა 320 ათასი". უარესი მდგომარეობა იყო საქართველოში. დაპატიმრებული იქნა თვით კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია. ეკლესიების განადგურებასა და მათ გაძარცვაში ჩვენ გადავაჭარბეთ ერთმორწმუნე რუსეთს.

მივმართოთ უტყუარ მოწმეებს, — ისტორიულ ფაქტებს. რას გვამცნობს ახინი?

გურიიდან:

— „საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ოზურგეთის მაზრაში ამბ. ივლიანე სურგულაძე სამაზრო აღმასკომის განკარგულებით მიეგზავრება ქ. თბილისში სახალხო კომისართა საბჭოში და სხვა დაწესებულებებში (ცენტრალურში) და მიაქვს თან ძვირფასი განძეულობა — ნივთები სარეალიზაციოდ: ორ ფუთამდე გადამდნარი ვერცხლი, ერთ გირვანქამდე ოქრო და რვაასამდე სხვადასხვა თვლები, ვერცხლის ფულები და სხვა" (ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცხა. ფონდი 284, აღწ. 1, საქმე № 215, გვ. 55).

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ამ ნივთების გადადნობასა და მის რეალიზაციას წინ უძღოდა ეკლესია-მონასტრების ჯერ „დაკეტვა" და შემდეგ ფაქტიური გაძარცვა. მოვუსმინოთ იგივე სამაზრო კომიტეტის ერთ დოკუმენტსაც:

— „ამა მანდატის მქონეს ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის წევრს და საქართველოს სოციალ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ოზურგეთის მაზრაში ამბ. ივლიანე სურგულაძეს ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის განკარგულებით მინდობილი აქვს გაეგზავროს თემებში, დაგროვოს გაუქმებულ ეკლესიებში (187 ეკლესია იქნა გაუქმებული ოზურგეთის მაზრაში. — ვ. გ.) ძვირფასი განძეულობა და ნივთები თანახმად იმ ეკლესიაში არსებული ხიბისა და აღწერისა და ეს ნივთები და ძვირფასი განძეულობა წარმოადგინოს სამაზრო აღმასკომში" (იქვე, გვ. 58).

ვის განკარგულებას ახრულებდნენ საქართველოს სამაზრო კომიტეტები? ვინ უდგა ამ ვანდალიზმს სათავეში? ვინ იყო ეს ბარბაროსი?

იგი იყო იმდროინდელი სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე უილიპე მახარაძე. სწორედ მას, 1925 წლის 8 აგვისტოს ცაკ-ის სხდომაზე განსაბილველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაქვს საკითხი: — „ხალკლესიო განძეულობის შესახებ" (მოძმ. ამბ. ფ. მახარაძე). დადგენილებაში ვკითხულობთ: „წინადადება მიეცეს ა/კ ფინანსკომის რწმუნებულს საქართველოში, ქალაქ ტფილისის აღმასკომს და ყველა მაზრ. აღმასკომს სასწრაფოდ წარმოადგინოს ს.ს. ცაკ-ში დაწვრილებითი ცნობები, თუ რომელ ეკლესიიდან რამდენი განძეულობა იქნა გამოტანილი, სად იმყოფება დღეს ეს განძეულობა, თუ გაუკეთდა ამ განძეულობას რეალიზაცია, რა დანიშნულებას მოხმარდა რეალიზაციიდან მიღებული თანხები და საერთოდ მოაწოდონ ს.ს. ცაკ-ს სრული ცნობები ამ საკითხის შესახებ". ხელს აწერენ ცაკ-ის თავ-რე ფ. მახარაძე, მდივანი სილ. თოდრია (იქვე, გვ. 171).

როცა კითხულობთ ამ „ბრალდებებს", ვერ დაგიჯერებიათ. თუ როგორ შეიძლება ქართველმა კაცმა მოსპო საუკუნეების მანძილზე გადარჩენილი შენივე წინაპრების ხელით ქვაში, ოქროში, ვერცხლში, ხელნაწერ-ეტრატებსა თუ სხვა ნივთებში ამეტყველებული „ქართლის ცხოვრების" სიხბლით ნაწერი ფურცლები. ასეთი რამ არ გაუკეთებიათ საქართველოსთვის ერთად აღებულ ყველა დამპყრობელს.

ვინ იყვნენ შემსრულებლები ამ დავალებადადგენილებებისა? — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომუნისტი-აქტივისტები — ყოფილი „წითელრაზმელები", ტერორისტები, — „ბერბიჭაშვილები", „კომუნიზმისათვის თავდადებული მებრძოლები".

მოვიტანოთ რამდენიმე ფაქტი — „ბრალდება" ქართლის პროვინციიდანაც, თუნდაც თვით გიგლა ბერბიჭაშვილის „მოღვაწეობიდან".

მუხრანის ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზის გიორგი მარინდაშვილის წერილი დუშეთის მაზრის რწმუნებულისადმი: „გაცნობებთ: 1) მუხრანში არის ორი ეკლესია ა) ღვთისმშობლისა და ბ) ქეთევანისა. 2) ღვთისმშობლის ეკლესიაში (ამბალია) სრულდება წირვა-ლოცვა და ქონებაც უკლებლივ არის, გარდა ორი ხალიჩისა 63 მანეთად ღირებულის. 3) ეს ხალიჩები ორი წლის წინათ წაიღო დუშეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ ითხოვ ბრეგაძემ. 4) ქეთევანის ეკლესია არის ძველი, შიგ იყო მრავალი განძეულობა და ძველი წიგნები (ხალკლესიო და საერო). 5) განძეულობა იყო სულ ვერცხლის, ოქროთი დაფერილი. 6) განძეულობა და წიგნები ბევრი შეტანილი იყო მუხრანიანთ სახლიდან და წიგნთსაცავიდან. 7) ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღარ სრულდებოდა დღიდან მღვდლის ლომაძის წასვლისა. ეკლესიის გასაღები კი ჰქონდა ძმათე ივანე ხენნიაშვილს. 8) არ მახსოვს, ორ წელზე კი მეტია, რომ მუხრანის აღმასკომის თავმჯდომარემ გიგლა ბერბიჭაშვილმა დაგვიბარა მე და ძმათე და ჩამოგვართვა გასაღები დაპირებით, რომ დუშეთიდან უნდა მოსულიყო კომისია და მიეღო ქონება. 9) მას შემდეგ არა ვიცი რა იყო კომისია თუ არა და განძეულობა. ... მხოლოდ ამ ბოლო დროს თქვენგან ... ვნახეთ, რომ ეკლესიაში აღარაფერია".

1926 წ. თებერვლის 17. დეკ. გ. მარინდაშვილი (ორცხა, ფონდი 284, აღ., 1, ხაქმე 215, ფურც. 60).

სად წაიღო ბერბიჭაშვილმა მითითებული განძი? ამის შესახებ „არაფერი იცის" სახალხო განათლების კომისარიატის ხიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებულმა დუშეთის მაზრაში. იგი, 1926 წლის 18 თებერვალს კვლავ ატყობინებს ფ. მახარაძეს:

— „დამატებით ჩემი მოხსენებისა 11 ამავ თებერვალს № 20, ამასთანავე გირდგენთ განცხადებას მუხრანის ეკლესიის მღვდლის გიორგი მარინდაშვილის მუხრანის ეკლესიებიდან განძეულობის გატანის შესახებ" (იქვე, ფ. 59). რამოდენიმე დღის შემდეგ — 27 თებერვალს კი, იგივე რწმუნებული სწერს ცაკ-ის თავ-რეს:

„მოხსენებული ბრეგაძე იყო დუშეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ და ეხლა მსახურობს ქ. ბათუმში თავმჯრომარედ აკარიტანის, (ბოლო) გ. ბერბიჭაშვილი ახლაც იმყოფება სოფ. მუხრანის აღმასკომის თავმჯდომარედ" (იქვე, ფ. 68). იმავე პერიოდში „ფრ. ხაჩაროთ" წერილი ეგზავნება ბერბიჭაშვილსაც:

„დამატებით ჩვენი მოწერილობისა, გევალებათ, რაც შეიძლება დაჩქარებით გვაცნობოთ, სად იმყოფება, ან ვის განკარგულებაშია ამ ეამად თქვენს მიერ მუხრანის ხომხის ეკლესიიდან გატანილი ნივთები: პაპის ხახარება ვერცხლის ყდით და დიდი ჭაკვი ათ არშინიანი" (იქვე, 88).

საარქივო საქმეში დაცულია გ. ბერბიჭაშვილის პასუხიც, სადაც მითითებულია, რომ „ეკლესიებიდან ნივთების გამოტანას როგორც ხომხეთის ისე სხვებისა ჩემს მიერ არასოდეს ადგილი არ ჰქონია და არც ვიცი, ვინ ან როდის გაიტანეს თქვენს მიწერილობაში აღნიშნული ნივთები, რომელიც გატანილი ყოფილა ხომხის ეკლესიიდან" (ფურც. 87). აქვე ინახება მღვდელ ტერ ხაჩატურ ეზიკიანცის დუშეთის მაზრაში გაგზავნილი წერილიც, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა გაიტანა ეკლესიიდან დუშეთის მაზრის აღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ ბრეგაძემ და მისმა მოადგილემ დუმბაძემ. აქაც პირდაპირ მითითებულია, რომ გიგლა ბერბიჭაშვილის მიერ წაღებულია „პაპის ხახარება ვერცხლის ყდით და დიდი ჭაკვი — 10 არშინიანი. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები სად იმყოფება ან რას მოხმარდა, ამის შესახებ არაფერი ვიცით"-ო (ფურც. 89).

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ზემოთქმული ეხება ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკას, სადაც მოქმედებენ ამიერკავკასიის ცაკ-ის თავმჯდომარის ს. ორჯონიკიძის დირექტივებითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებებით. მიზანი: „დაარჩარონ ეკლესიებიდან ძვირფასი ნივთების გამოტანა".

არსებობს ფ. მახარაძის საქართველოს უველა სამაზრო კომიტეტებისა და რაიონებისადმი რუსულად და ქართულად გაგზავნილი ზემოთ მითითებული 1925 წლის 8 აგვისტოს № 20 დადგენილება (დასახ. საქმე, გვ. 105, 106, 107...). სისტემატური და კატეგორიული მოთხოვნებიც: „რაც შეიძლება სასწრაფოდ წარმოადგინოთ სს ცაკ-ში დაწერილებითი ცნობები, თუ რომელ ეკლესიიდან რა განძი გაიტანეს და რა დანიშნულებას მოხმარდა რიალიზაციიდან მიღებული თანხები..." აკ არაფერს ვამბობთ იმ „მეორეხარისხოვან" ნივთებზე, ფიცარზე — ხეზე და ტილოს ხატებზე და მათ წარწერებზე, ხელნაწერებზე, რომლებიც გამოჰქონდათ ეკლესიიდან და სწვავდნენ.

დიახ, შემაზრზენ შთაბეჭდილებას სტოვებს საარქივო დოკუმენტებში არეკლილი ეს ვანდალიზმი (საარქივო ფონდი № 284, საქმეები: №№ 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, აგრეთვე №№ 100, 215 და ა. შ.). მოვიხსენიოთ მათი, — 1921-1925 წლებში შეკმნილი „საქმეების" სახელწოდებებიც: ახალქალაქის მაზრის ეკლესიების ნივთების აღწერილობა; ზუგდიდის მაზრის ეკლესიების განძეულობათა აღწერილობა; თიანეთის ეკლესიების ქონებრივი სიები; თელავის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ქარელისა და საქართველოს სხვა რაიონების ეკლესიებში დაცული განძეულობათა აღწერილობა; რაჭის მაზრის ეკლესიებში დაცული განძეულობათა სიები; სამტრედიის რაიონის ეკლესიებში დაცულ განძეულობათა აღწერები; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალციხის, სიღნაღის და სხვა მაზრების ეკლესიების განძეულობათა სიები; სენაკის მაზრის ეკლესიების ნივთების აღწერილობები; ქუთაისის მაზრის ეკლესიებში დაცულ განძეულობათა აღწერილობები; რესპუბლიკის სამლოცველოების ქონების აღწერების სიები; საეკლესიო კომისიების მიერ ჩატარებული კომპანიის შედეგები (მოხსენებები, აქტები, აღწერილობები).

მადლობა როგორ არ უნდა ვუთხრათ ღმერთს, რომ ნაწილობრივ მაინც გადაგვარჩა ამ ბარბაროსების ხელიდან ის განძი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ხაფრანგეთში გადახვენის დროს თან „გაიტაცა"... ასევე მადლობა ეკუთვნის სვანებს საეკლესიო განძების „გადარჩენისათვის".

აქვე რამოდენიმე ფაქტიც („ბრალდებაც") იმის შესახებ. თუ ეკლესიებიდან ხარეალიზაციოდ რა ძვირფასი განძია წაღებული (ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ თავად-აზნაურთა ბინებიდან გატანილ ნივთებზე არ დგებოდა არავითარი აღწერა ან აქტი. „რევოლუციონერებს" ამ სახახლეებიდან ძვირფასი ნივთები მიჰქონდათ უმეტესწილად თავიანთ სახლში, ხოლო წიგნებს, სიგელ-გუჯრებს, არქივებსა და სხვ. როგორც აღვნიშნეთ, იქვე [illegible] თავლწინ, სწვავდნენ).

საქ. № 215 (მასალები საეკლესიო განძეულობის შესახებ):

— ფურცელი № 24, — ახალქალაქის ეკლესიებიდან, სხვა ნივთებს შორის, 9 ფუთი ვერცხლი გადაუცია პოლიტგანათლებისათვის გამოსაყენებლად;

— ფ. 28-29, — თელავის ოთხი ეკლესიის უძვირფასესი განძეულობა (ოქრო, ვერცხლი, მარგალიტები) ბუთი „მეშოკით" წაღებული იქნა თელავის ბაზინაში;

— ფ. 32-33, — აღმასკომს გადაეცა ხურამის თემის ეკლესიების „მეორეხარისხოვანი" ნივთები, რომელთა გადადნობა არ შეიძლებოდა (21 ცალი „ვენოკი", 84 ძველი წიგნი, 75 ხატი წმინდანებისა, 12 საკორწინო გვირგვინი, 85 ტრაპეზზე გადასაფარებელი და სხვ.);

— ფ. 87-89, — „გრუზჩეკიდან" მოხულებმა კ. ჯაფარიძემ და ა. კუჩაროვმა სოფ. წილკნის ეკლესიიდან წაიღეს: 12 ოქროს სამაჯური, ერთი ოქროს ძეწკვი, 12 ოქროს საყურე, 6 ოქროს ღილი, 13 ოქროს ჯინძისთავი დიადემით, 57 ბეჭედი ოქროსი, გულის ტილო მარგალიტებით, ჭვრებითა და ბეჭდებით, 23 წყვილი ბალის ოქროს საყურე, 5 წყვილი თვლებიანი ოქროს საყურე, 11 ჭვარი მთლიანი ოქროთი მარგალიტის ძეწკვებით და სხვ. (იტყობინება წილკნის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ლევან ზაქარიაშვილი);

— ფ. 42, — ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის ცნობით, წაღებულ იქნა ვერცხლი 5 ფუთამდე, ოქრო ორი გირვანქა, ძვირფასი თვლები ათასამდე. დანარჩენი, „მეორეხარისხოვანი" ხელნაწერები, ძველი ხატები უბრალო თვლებით და სხვ., რომლებიც „არ ეოფილა გაყიდული, როგორც ისტორიული განძი... გადაუცია ნიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებულებისათვის პროფ. ა. შანიძისა და ზ. ამირანაშვილისათვის. (აქვე, 47-ე ფურცელზე აღნიშნულია, რომ ზემოთ მითითებულ ნივთებიდან გადაუდნობი დარჩა „დამტვრეული ვრეცხლი 7 გირვანქა, მარგალიტის თვლები 811 ცალი, ოქროსა და ვერცხლის ფულები");

— ფ. 86-98, — სიღნაღის სამაზრო კომიტეტიდან აცნობებენ ცაკ-ს, რომ ბოდბის მონასტრიდან, შუკუზანის, ველისციხის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ახაშენის, კაკაბეთის და სხვ. ეკლესიებიდან გამოუტანიათ 426 სხვადასხვა დასახელების ნივთი, ზოგიერთი 3, 5, 20 და ა. შ. ცალი, რომლებიც რეალიზებული იქნა 4756 მანეთად და მოხმარდა უღარიბეს გლეხობასო (აქვე მითითებულია ს. „შუკუზნის სვეტიცხოვლის ეკლესიის ძველი არქივი", „16 — უდიანი წიგნი" და მრავალი სხვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ „ᲮᲐᲥᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ დაცული. დოკუმენტები, ეგრეთვე მიუთითებენ ქუთაისის, ზუგდიდის მაზრებიდან გატანილ განძზე (ფურც. 98-99), რომელიც კრებების „დადგენილებებით“ იყიდებოდა და ბმარდებოდა კლუბებს, სახალხო სახლებს, სკოლებს, დიდი ნაწილი კი (გადახადნობი) „შენაბულია“ პარტკომებსა და თემაღმასკომებშიო. სიებში ასეთი წარწერებიცაა: „აღნიშნული ნივთები ოქროს და ვერცხლის თვისების არ არიან“; „აღნიშნული ეკლესიებიდან გამოტანილი განძეულობა წარმოდგენილია მაზრაში“; „ღვთის მსახურთა ტანსაცმელი დაურიგდათ თემის ღარიბებს“. იგივე ითქმის რაჭა-ლეჩხუმის, შორაპნის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის რეგიონებზე. მაგალითად, ახალციხიდან ოქროულობა, ვერცხლეულობა და სხვა ძვირფასი ნივთები იგზავნება „იაშიკებით“ (ფურც. 122).

ზემოთ მითითებული შავბნელი მოვლენების კიდევ უფრო ნათელსაყოფად მოვიტანოთ ვანდალიზმის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია „ქრონიკის“ სახით ისტორიკოს გიორგი ბოკორიძის მიერ 1925 წლის 10 აგვისტოს:

I ᲙᲐᲠᲘ

1918-1921 წ.წ. ყარაიისა და შიბილოს თათრის მოსახლეობამ გაანადგურა, დაარბია, აიკლო და გაძარცვა დავით გარეჯის შესანიშნავი 12 უდაბნო.

1921 წ. ყარაბულაღის მცხ. თადო ჩოლოყაშვილის სახლიდან დაიღუპა მრავალი ისტორიული ნივთი (ხელნაწერები და სხვ.).

1921 წ. ალვანის ე. წ. „კაკლიანის ნახაყდრალებთან“, სადაც სხვათა შორის დგას შესანიშნავი სახახლის ნანგრევი, რომელიმე პირთ დაანგრიეს და ხაშენებელ მასალად წაიღეს ორი ძველი შენობა.

1928 წ. ძველი გავაზის VI ს. ღვთისმშობლის შესანიშნავ ეკლესიას ადგილობრივი აღმასკომის ხელისუფალმა პატაშურმა გუმბათის ხაბურავზე ააგლიჯა თუნუკი. მანვე ხამგზის განიზრახა ამ ძეგლის ამბანოდ გადაკეთება (მილები უკვე მიტანილი ჰქონდა ეკლესიასთან) და ხამგზისვე შეჩერებულ იქნა სიძველეთა დაცვის რწმუნებულის გ. ბოკორიძის მიერ.

1928 წ. კურდღელაურის ღვთისმშობლის დიდი ხამხროებიანი უძველესი ხანის ეკლესია კლუბად გადააკეთეს.

1928 წ. ფიჩხოვნის ნათლისმცემლის ფრესკიანი ეკლესია ხაჭონლის ბაკად აქციეს.

1928 წ. დაკეტეს უმეტესი ნაწილი ეკლესიებისა: მრავალი ეკლესიიდან გამოიტანეს ქონება და მაზრის ხაზინასა, აღმასკომსა და რაიკომებში მოუყარეს თავი. ამ გამოტანის დროს მრავალი ისტორიული ნივთი განადგურდა: თელავის ხაკრ. ტაძრის თორმეტი მინაზე ნასატი ხატიდან ექვსი აღარ აღმოჩნდა. [illegible] აყრილი ჭქონდა ვერცხლის [illegible] ლთოს მაცხოვრის ხატს. ზამთარეულ ვეფხიას მიერ 1754 წ. შეწირულს) და გადატანილ იყო მაზრაში. მრავალი ხელნაწერი წიგნი უბრალო ქაღალდად დახეულ იქნა და სხვ.

1928 წ. ლალიხუორის ნიკოლოზის ეკლესიიდან ქონების გამოტანის დროს ხამუდამოდ დაიკარგა ტრაპეზის ფიცრის ქვეშიდან ჩამოყრილი ძველი ხუცური ხელნაწერი ორი თუ ხამი გრაგნილი ეტრატისა თითოეული თითო ხაეენის სიგრძისა. ფშავლის აღმასკომის წინ დასწვეს ნაწილი /წიგნებისა და ხელნაწერებისა, ხოლო მეორე ნაწილი დაურიგეს აბრეშუმის ჭიის დახაფენად ერთ წრეს.

1928 წ. ზემო ხოდაშნის ხარების მონასტრის ბერძნულ-ქართული XVIII ს. სიგელებიდან მხოლოდ ოცი ცალიღა აღმოჩნდა, დანარჩენი პაპიროსის ქაღალდად ებმარათ.

1928 წ. ძველი გრემის ანუ ნაჭალაქევის ისტორიული შენობები იქ დასახლებულ რამდენიმე კომლ გამოქცეულთა მიერ დაზიანებული აღმოჩნდა, შენობები შეებოლათ შიგნით და გარეთ. ძველ შენობებიდან ეღოთ ქვები და ცალკე ბინები ეშენებინათ.

1928 წ. თელავის მაზრის მილიციის უფროსის ჯაფარიძის მიერ გამოტანილ იქნა თელავისავე ე. წ. პატარა ეკლესიაში თავმოყრილი შესანიშნავი ხელნაწერები მე-18 ს. (დაფარნები დარეჯან დედოფლის ხელით ნაკერი, შესანიშნავი ხელოვნების და სხვ.) და დარიგებულ იქნა თელავის კლუბებსა და სხვა დაწესებულებებში, ხაიდგანაც რწმუნ. გ. ბოკორიძის მიერ გამოკრებილი იქნა და ტფილისში გადმოტანილი.

1928 წ. თელავის აღმასკომის დადგენილებით განათლ. განყოფ. გამგემ თელავის აღმასკომისა შ. პაატაშვილმა გაიყიდა ეკლესიებიდან მოგროვილი 41/2 ფ. ვერცხლი, რომლებშიაც იყო მრავალი ისტორიული ნივთი: ა) თელავის ხაკრებულო ტაძრისა — ბაჯაღლო ოქროს ხატი ასომთავრული წარწერით მე-16 ს.: ვერცხლის ხომლი შეწირული ირაკლი მეორის მიერ და სხვ., ბ) შუამთის ეკლესიისა — ბარძიმი, ფეშხუმი, კანდელები ვერცხლისა, შეწირული ირაკლი მეორის მიერ; ჯვარი ათონის ხელოვნებისა ვერცხლის გარემოთი; ხომლი ვერცხლისა შეწირული 1768 წ. წარწერით; ტრაპეზის ჯვარი ოქროს წუალში დაფერილი ვერცხლისა, შეწირული არხიეპ. რუსთველის მიერ 1784 წ .წარწერით და მრავალი სხვა.

1928 წ. სიძველეთა დაცვის განყოფ. რწმუნებულმა გ. ბოკორიძემ ს. გურჯაანში მცხოვრებ პოლ. კარბელაშვილისაგან ჩაიბარა 2700 სიგელ-გუჯარი და სხვა საისტორიო მასალა. ხუთმეტამდე ხელნაწერი წიგნი, ჩამოტანა იგინი

ტფილისსა და გადასცა ცენტარქივს; მანვე კერძო პირთა შორის მოაგროვა და იმავე დაწესებულებას გადასცა 200-ზე მეტი სიგელ-გუჯარი და 80-მდე ხელნაწერი წიგნი ისტორიული, ფილოსოფიური, სამკურნალო, ლიტერატურული და სხვა შინაარსისა.

1923 წ. სიძველეთა დაცვის განყ. რწმ. გ. ბოკორიძემ კახეთიდან ჩამოიტანა და სამეცნ. დაწეს. მთავარ მართველობას გადასცა 88 ნომრით აღწერილი ხელნაწერი წიგნები (შემდეგ იგინი გადაეცნენ უნივერს. მუზეუმს).

1923 წ. ვაქირის ნათლისმცემლის სამხროებიანი ეკლესია თეატრად გადააკეთეს.

1923 წ. ყარაბულაღის მცხ. თადო ჩოლოყაშვილის კარის ეკლესიიდან გატანილ იქნა და დაიღუპა მრავალი ისტორიული ნივთი (ხაეკლ. სამკაულები ნარწერებით უძველესი დროისა, ხელნაწერები და სხვა).

1924 წ. ალვანის ცხრაკარას თაღებს რომელიმე პირთ მოაცალეს აგურის ნაწილი და ხაშენებელ მასალად წაიღეს; განზრახვა ჰქონდათ ამავე მიზნით კაკლიანის ნახაყდრალების მახლობელი სასახლის დანგრევა, რაც შეჩერებულ იქნა რწმუნებულის გ. ბოკორიძის მიერ.

1924 წ. ახმეტის რაიაღმასკომის თავმჯდომარე თენეიშვილმა გამოიტანა ახმეტისა და მატანმარელისის ეკლესიებიდან ისტორიული ნივთები (დიდი ჯვარი ვერცხლით შეკედილი და შემკული ასომთავრული თუ ხუცური წარწერით — ახმეტის ეკლ. ხელნაწერი სახარება ვერცხლის ყდით — მატნის ეკლ. და სხვ.), აპყარა ვერცხლი და გაჰყიდა იგი (თელაველ ოქრომჭედელ გასანბეგოვზე).

1924 წ. ყვარლის ნათლისმცემლის ეკლესია (აღშენ. 1890 წლებში), სადაც დასაფლავებულნი არიან ილია ჭავჭავაძის მშობლები, ადგილ. აღმასკომის მიერ გადაკეთებულ იქნა აბანოდ, რაც რწმუნებულის გ. ბოკორიძის მოთხოვნით მოშლილ იქნა.

1924 წ. ვეჯინის ამაღლების ფრესკებიან ეკლესიას ადგილობრივმა რწმუნებულმა აღმასკომისა ლადო ნარსიძემ ჩამოჰგლიჯა შიგნით მორთულობა, გამოიტანა და ეზოზე დასწვა; მანვე განძის პოვნის მიზნით მოიყვანა ათი კაცი და გათხარა აღნიშნული ეკლესიის გვერდით მდგომი ძველი ღვთისმშობლის ეკლესიაში იატაკი და აკლდამები.

1924 წ. კუპატანის შესანიშნავ სამხროებიან ეკლესიას სამხრეთის მხრიდან აჰხადეს კრამიტები სკოლად გადაკეთების მიზნით.

1924 წ. წინანდალში რაიაღმ. თავმჯდ. აჯიმამუდოვის დროს დაიღუპა ქართული ეკლესიის ხელნაწერები: პარაკლიტონი (ოშვიათი ხელით ნაწერი), დაბადების რამდენიმე რვეული (ხუცურად ნაწერი) და სხვ.

1924 წ. შილდაში კერძო პირით სახლის გაკეთებლად მოაკლიეს დიდი ციხე-კოშკების სამხრეთის კედლის და ბურჯების [illegible]

1924 წ. სიძველეთა დაცვ. [illegible] გ. ბოკორიძემ კახეთიდან [illegible] ვერხიტეტის მუზეუმს ჩაბარა ისტორიული ნივთები.

1924 წ. მანვე კახეთიდან ჩამოიტანა და საისტ.-საეთნ. საზოგ. მუზეუმს გადასცა ს. ვეჯინში ბაქსიმის ზევის პირას გამოჩენილი სპილენძის ფული თამარ მეფისა 30 გირვანქა.

1924 წ. მანვე მოახდინა ნაწილობრივი რეგისტრაცია კახეთის ისტორიული ძეგლებისა.

1925 წ. საგარეჯოს გალავანი ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ საშინლად დაზიანებული აღმოჩნდა.

1925 წ. მანავის ზევით ე. წ. წიტინინნის ეკლესიისათვის ვინმე პირს საშენებელ მასალად გამოყენების მიზნით შემოუცლია შიგნიდან და გარედან თლილი შირიმის ქვა და შესანიშნავი შენობა საშინლად დაუმახინჯებია.

1925 წ. ნინოწმიდის ეკლესიის გალავანში მდგომი სამიტროპოლიტო სახახლის განჯინის ძველი ხელოვნ. კარები და ძველივე ხელოვნების ჭერის ერთი ნაწილი უმტვრევიათ და დაუწვავთ.

1925 წ. ხიღნაღში სამღვდელოების საწინააღმდეგო კარნავალის მოწყობის დროს დალეწეს ორი კვერთხი XVII-XVIII ს.ს., ხოლო ბოდბელი მიტროპოლიტის დროშა დაშალეს.

1925 წ. ზემო ოირმუღანლოს სახაფლაოსთან გათხრილი აღმოჩნდა ძველი აკლდამები, იგინი გაუთხრიათ სართიჭალელ გერმანელებს დიდი ქვების ამოღების და გამოყენების მიზნით.

1925 წ. ხიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. ჩაბანაშვილმა სიძველეთა დაცვის რწმუნებულს ბოკორიძეს მუზეუმისათვის გადასცა ს. კარდანახიდან აფხაზის ოჯახიდან წამოღებული 4 ცალი ძველი ტალიანი თოფი შემკული ვერცხლითა, სადაფითა, ძვლითა, ოქროს ზარნიშნით და ზოგიერთი წარწერითაც.

1925 წ. თელავის აღმასკომმა ვინმე ხითარ ხითაროვს ჩამოართვა და სახალხო საკუთრებად გამოაცხადა მის მიერ უწესოდ მითვისებული თელავის განაპირას მდგომი ხეარსული ნამაზგითარი XVI-XVII ს.ს.

1925 წ. თელავის აღმასკომმა დაანგრია თელავის ხომ. წმ. გიორგის (თელეთის) სამხროებიანი დიდი ეკლესია აღშენებული 1780-იან წლებში.

1925 წ. გარეკახეთის სიძველეები ჩამოიტანა სიძველეთა დაცვის განყოფ. რწმუნებულმა გ. ბოკორიძემ.

1925 წ. აპრ. 15. წინანდლის მამულის გამგე თუშმალიშვილმა სიძველ. დაცვის რწმუნებულს გ. ბოკორიძეს გადასცა მუზეუმისათვის მამულში თხრის დროს ამოყოლილი არქეოლოგიური ნივთები, რომელნიც გადაეცა საქართველოს მუზეუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

1922-1924 წ.წ. გაძარცულ იქნა და დაიღუპა ისტორიული ნივთები ბელოთის ეკლესიისა.

1923 წ. ყანჩავეთის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი (იხ. ეკ. თაყაიშვილის ნაშრომი) გაანადგურა ვინმე ადგილობრივმა პირმა (ვერცხლი ამყარა, ხოლო ფიცარი დახწვა).

1923 წ. მაიხის პირველ რიცხვებში ლარგვისის, წირქოლის და საერთოდ ქსნის ხეობის ეკლესიათა უმრავლესობა გაძარცვულ და აკლებულ იქნა რომელიმე პირების მიერ.

1923 წ. ცხინვალის აღმასკომის დადგენილებით დაჭრეს შესანიშნავი ფრესკებიან-ჩუქურთმიან-წარწერებიანი ტბეთის ეკლესია, მისი მახალა ცხინვალში ჩამოიტანეს და ახლანო აშენეს.

1924 წ. ყორნისში დაანგრიეს ორი ძველი შენობა და მისი მახალა სკოლის ასაშენებლად წაიღეს.

1924 წ. რუსთავში დაანგრიეს ძველი ეკლესიის გალავანი და მისი მახალაც სკოლის ასაშენებლად წაიღეს.

1924 წ. ერედვის ბოლოს ე. წ. წითელი საყდრიდან, სადაც მრავლად იყო წმიდანთა, ფრინველთა, ცხოველთა სახეებიანი და წარწერებიანი ქვები, ერთი ნაწილი წამოიღეს და ერედვის წყაროს შენობას მოახმარეს.

1924 წ. ს. ხაბელაანთუბნელებმა დაჭრეს ატოცის აღმოსავლეთით 1 ვერსის მანძილზე ტყეში მდგომი წმ. გიორგის ეკლესია და მისი მახალა სახლების ასაშენებლად წაიღეს.

1924 წ. იკორთის შესანიშნავი ეკლესია კლუბად გადაკეთეს, მოაქციეს საფლავის მოწყობილობა ისტორიული პირებისა: შალვა, ბიძინა და ელიზბარისა, სახურავიდან აყრილი თუთიის ფურცლები ცხინვალში გადაიტანეს. აქვე ვინმე ბოროტმოქმედთ შესძრეს ზოგიერთი საფლავი ქსნის ერისთავებისა. ამავე ეკლესიის გუმბათს გიორგი ჩარაევმა და ძუძი გოევმა თოფის ხროლით მოსწყვიტეს გუმბათის წვერზე ასასვლელი დიდი ჯაჭვი.

1924 წ. ვინმე ბოროტმოქმედთაგან განძის პოვნის მიზნით გათხრილი აღმოჩნდა მაღალაანთ ეკლესიის იატაკი (მთლად); ამავე ეკლესიის ეზოზე ნიკოლოზ მაღალაძის საფლავი. ძლევის ქედის ეკლესიასთან აკლდამები; იოანე ზედაზნელის ეკლესიის კარიბჭე და მრავალი სხვა ადგილი.

1924 წ. ხიძველეთა დაცვის განყ. რწმ. გ. ბოჭორიძეს მიერ აღმოჩენილ იქნა: ა) ნოსტეს ზეკით ტყეში ნათლისმცემლის ეკლესიაში ძველი კანკელის ქვები (18 ც.). შემკული ხატებით, ფრინველთა სახეებით, ჩუქურთმებით. ბ) ბოკლეს დასავლეთით ავკეთის ეკლესიაში ქვის კანკელი ხატებით და წარწერებით. გ) ზემო ბანდაკის ეკლესიაში თევდორეს კანკელის ჩუქურთმიანი ქვები 5 ც. დ) კავთისხევის „ეკლესიულას" ეკლესიაში (გ. ჩაჩანიძის [illegible] ჭვრის ამაღლებული ხვეტი, შემკული ხატებით და წარწერით, სადაც იხსენიება გრიგოლ ვიპატოსი. ე) პარეტისში (კავთისხევის ზევით) — ქვა, რომელზედაც გამოხატულია სახულიერო პირი წარწერით: „ქრისტეფორე რუსთველი"...

1924 წ. მანვე ხევიდან, ს. მნადან ჩამოიტანა მცირე ჭილა ძველი წვრილი სპილენძისა და ვერცხლის ფულით, აღმოჩენილი ეკლესიის საძირკველში (გადაეცა ხაისტორიო-საეთნოგრაფიო ხაზ. მუზეუმს).

1924 წ. მეტეხის ეკლესია ხიდის ხაშენებელ მახალის საწყობად აქციეს.

1924 წ. ბოროტმოქმედთა ხელით დაიღუპა ბოდორნის ეკლესიის ხატი ღვთისმშობლისა შეჭედილი ვერცხლით და შემკული ძვირფასი თვლებით (იხ. ეკ. თაყაიშვილის ნაშრომი), რომელიღაც ნივთი, ხალხის მიერ წოდებული „ოქროს ზოდად", შემკული ძვირფასი თვლებით (ალბათ შარავანდედი რომელიმე ხატისა) და მრ. წვრილი ძველი ნივთი.

1924 წ. წილკნის ისტორიული ნივთების ნაწილი (წინსაძღოლი ჯვარი ანუ დროშა და სხვ.) გაზაფხ. გაყიდულ იქნა.

1924 წ. ზ/ნიკოზში ვინმე ლადო კოტიაშვილმა დალეწა ნიკოზელი ეპისკოპოსის კვერთხი.

1924 წ. აგვისტოს გამოხვლების შემდეგ ყოფილ თავადაზნაურთა ოჯახებიდან დაიღუპა მრავალი ისტორიული ნივთი: ა) ხელოუბანში თუმანიანთ ოჯახის მრავალი სიგელ-გუჯარი (ეტრატზე ნაწერებიც), თუმანიანთ გვარის პირთა ძველი სურათები დაწვა ვინმე ვალიშვილმა; ანყურში მაღრაძიანთ ოჯახიდან დაიკარგა ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი", სიგელ-გუჯრები და სხვ.

1924 წ. სამთავისის ეკლესია კოოპერატივის საწყობად აქციეს.

1924 წ. შინდისის ეკლესია ხილის საწყობად გამოიყენეს.

1924 წ. რუისის ეკლესია რუისის ყოფ. აზნაურთა ქონების საწყობად აქციეს.

1924 წ. ხიძველეთა დაცვის განყ. რწმუნ. გ. ბოჭორიძემ მეჯვრისხევში აღმოაჩინა ორი ქვაზე ნაწერი სიგელი X-XI ს.ს.

1924 წ. მანვე ჩამოიტანა ქართლიდან ისტორიული ნივთები (წილკნის მინანქ. ხატი და სხვ).

1924 წ. მანვე მოახდინა ნაწილობრივი რესტავრაცია ქართლის ისტ. ძეგლებისა.

1924 წ. 1923 წელს სიმონიანთ ხევში აღმოჩენილი სახანდების დინასტიის ერთი ჭილა ფულიდან, რომელიც მუშებმა დაიტაცეს, 118 ცალი მოაგროვა ყოფ. მილ. უფროსმა ჯალაგანიძემ და გადასცა თბილისის კომ. კომ. პარტიისა რუბენს; რა უყო მან ამ ფულს, არა სჩანს.

1924 წ. ხიძველეთა დაცვის განყ. ინსპ. გ. ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭორიძემ სურამის ებრაელთა დიდ სალოცავში აღმოაჩინა ეტრატზე ნაბეჭდი დაბადება ებრაული, რომელსაც უვაროვი („მატერიალი პოარხ. კავკაზა") ფრიად იშვიათად სთვლის. მას იგი უნახავს ს. ბრეთში. ავალიშვილების სახლში. ავალიშვილიდან იგი ვალში დარჩენია ვინმე ებრაელს დავარაშვილს და მას შემდეგ 80-35 წლის განმავლობაში იგი დაკარგულად ითვლებოდა.

III. რაჭა

1924 წ. ამბროლაურის აღმასკომის თავმჯდომარემ ხერაპიონ ფანჯიკიძემ და სხვ. ხაძირკვლამდე დაეჭვიეს შესანიშნავი ამბროლაურის ეკლესია, აშენებული „მეფეთ-მეფე გიორგის" მიერ მე-XVI ს-ში.

1924 წ. ხორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ალექსი კბილაძემ და მდივანმა ალექსანდრე ცხვარაძემ გაანადგურეს შესანიშნავი ნივთები ხორის ეკლესიისა (ძველი ხატები 7 ცალი, ეტრატზე ნაწერი დიდი ზომის გულანი მრავალი ისტორიული მინაწერებით და სხვ.). დააზიანეს დიდი ჯვარი ხისა (ვერცხლის შემკულობა შერჩენილი აქვს მარტო სიმაღლის ზეს) და სხვ.

1925 წ. ბოტევის შესანიშნავ ფრესკებიან ეკლესიას ყოფ. სამეფოს თავმჯდომარემ არქიფო კაციტაძემ სამურავი მოხადა (ადრევე), ხოლო ეხლანდელმა თემაღმასკომის თავმჯდომარემ გრიგოლ ილიას ძე ენუქიძემ საძირკვლამდე დაჭრა.

1925 წ. ივლისი. ზემო კრიხის შესანიშნავი ფრესკებიან-ჩუქურთმიან-წარწერებიანი ეკლესია დაეზიანეს მინა ნახარიძემ (ტრაპეზი ქვა გადმოაგდო ადგილიდან) და მიშა და ბიკენტი ნასარიძეებმა (დასავლეთის კარები ჩამოლეწეს).

1925 წ. აგვ. სიძველეთა დაცვის განყოფ. ინსპექტორმა გ. ბოჭორიძემ რაჭიდან ჩამოიტანა მუზეუმში მოსათავსებლად სხვათა შორის შემდეგი ხატ. ნივთები:

ა) ნიკორწმინდის ეკლესიიდან: — სპილოს ძვალზე ნაკვეთი ხატი ღვთისმშობლის მიძინებისა, XI საუკ.: ხელნაწერი წიგნები 18 ცალი და სხვ.

ბ) ჭელიძის ეკლ.: ხელნაწერი წიგნი 18 ცალი.

გ) ონის ეკლესიის ხატები ვერცხლზე ნაჭედი — 2 ცალი.

დ) ბარაკონის (წესის) ეკლ.: დიდი ჯვარი ათონის ხელოვნ. თორმეტი დღესასწაულის ხატებით.

ვ) ხორის ეკლ.: დიდი ჯვარი ხისა (ვერცხლის შემკულობა შერჩენილი აქვს მარტო სიმაღლის ზეს).

ვ) ბოსჭიორის ეკლ.: ეტრატზე ნაწერი ხარება. ორი მაბარებლის ხატი [illegible] მინაწერი სიგელით.

ზ) ონის სამაზრო პარტკომიდან: „ჯვარიანი და ზამბულაკი ტოლელ ყიფიანის ოჯახიდან" და სხვ (გარდა ამისა, გ. ბოჭორიძემ შემოიარა და აღწერა ვანდალიზმის ნაკვალევი მეხსეთ-ჯვაბეთში, საინგილოში, სამეგრელოში და სხვ.).

აქვე ვაქვეყნებთ გიორგი ლეონიძის წერილს საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოსადმი:

„გარე-კახეთში სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის (V საუკ.) ხაკეთედრო ტაძარი. საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად საგარეჯოს რევკომმა (ურმით წაიღეს) გაიტანა ორი უძველესი ისტორიული ხატი:

1) წმ. ნინოს სახწაულებითა შეწირული არჩილ მეფისაგან (არჩილ I?).

2) წმ. ნინოს ხატი — ვერცხლის ჩუქურთმებით მოვლებული, განახლებული XVIII საუკ. ნინოწმინდელ მიტროპოლიტის სამა ტუხიშვილის მიერ.

ორივე ხატი წარმოადგენს დიდ ისტორიულ ხაუნჯეს და მე ვშიშობ, რომ უცოდინარობის გამო, შეიძლება საგარეჯოს რევკომმა მოხსნას ამ ხატებს სამკაულები და ჩუქურთმები, რომელიც ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. „გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ შესაფერი ღონისძიება მიიღოთ მათ გადასარჩენად.

უნდა მიმმართოთ საგარეჯოს რევკომს და იქაურ სამეგოს წევრს იერემია გულიასშვილს, რომელმაც ეს ხატები ჩაიბარა. გ. ლეონიძე-

ამასთანავე მინდა გაუწყოთ შემდეგი:

ს. ენიხელში არსებობს თხუთმეტი თუ ოცი პატარა ეკლესიები ერთად, რომლებიც ხავსია ისტორიული ფრესკებით. დღეს ამ ეკლესიებში დამდგარან ხომები ლტოლვილები, რომელნიც შიგ ცეცხლს ანთებენ და უწყალოდ მლუპავენ ყველაფერს.

18 აპრილი (1922 წ. — ვ. გ.). ტფილისი. (საქართველოს ხსრ ორხმცა, ფონდი № 800, აღწ. 8, საქ. 44, ფურც. 2).

ამავე „ხაქმეშია" მითითებული ის ეკლესია-მონასტრები, რომლებიც როგორმე უნდა გადარჩინათ დანგრევისაგან.

ეს ეხება ჩვენს არქიტექტურულ შედევრებს, კულტურის კერებს: მცხეთის ჯვარს, სვეტიცხოველს, გელათს, მარტვილს, ალავერდს, საფარას, ზარზმას, ანალ შუამთას, გრემს, წალენჯიხას, ურბნისს, ვაჩნაძიანთ ეკლესიას, ბირხას, იყალთოს. დიდუბის შესახებ კი ასეთი წერილია დაცული მწერალთა კავშირის სამეგოს მიერ 1923 წლის 30 აპრილის თარიღით გამოგზავნილი:

როგორც ჩვენამდის მოაღწია ცნობამ, განზრახული ყოფილა დიდუბის ეკლესიის გაუქმება და შიგ სამეგოვო თავშესაფარის მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბმული მიიღეთ შეხვედრისა ზომები მწერალთა ასოციაციის და ეკლესიის დასაცავად, როგორც ისტორიული ღირებულების ნაშთი (საქართველოს სსრ ლბ.ცხა, ფონდი ₩, აღწ. 1, ხაქ. 56, ფ. № 2). ამ პერიოდისათვის გადაწყვეტილი იყო ხაინის ეკლესიის გადაცემაც „ფზუ"-ხათვის.

ერთი ცნობაც იმის შესახებ, თუ როგორ გადმოზიდეს უდაბნოს საძონასტრო კომპლექსის ხელნაწერი წიგნები და სხვა დოკუმენტები საგარეჯოში და როგორ მოიხსნა ისინი 1937 წელს:

„დავით გარეჯის მონასტრებს საგარეჯოში. დოდოს უბანში, ჰქონდათ დიდი ზვრები, მარანი და საცხოვრებელი სახლი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავით გარეჯის მონასტრები ადმინისტრაციული დაქვემდებარების თვალსაზრისით მოექცა ყარაიაზის (ახლანდელი გარდაბნის) რაიონში. ამ რაიონის მომთაბარეებმა (აზერბაიჯანელებმა) დაიკავეს მონასტრები და ადგილობრივი ხელისუფლების წაყრუებით ბარბაროსულად მოეკიდნენ მონასტრებს. მათი თავგასული ბარეში იქამდე მივიდა, რომ თავს ესხმოდნენ ხოლმე მუოე ბერებს, ართმევდნენ ხარჩოსაბადებელს და ყველაფერს, რაც მათი თვალსაზრისით ფასეულობას წარმოადგენდა. შეწუხებულმა ბერებმა გადაწყვიტეს მონასტრების მიტოვება და უფრო მუდრო ადგილას, საგარეჯოში გადმოსახლება. მათ თან წამოიღეს ორი ურემი ხელნაწერებითა და საარქივო მასალებით დატვირთული. ეს ძვირფასი ხაუნჯე ბერებმა საგარეჯოში დოდოს მამულებში ერთ მარანში შეინახეს.

ბერების წინამძღოლი გერმოგენი ბერი (გვარად აბაშიძე) შემდგომ განუდგა ბერობას, წვერი გაიპარსა, ჩოხა გაიხადა და საბჭოთა ხელისუფლებას მიუდგა. ცოლად შეირთო საგარეჯოელი მდვდლის ხაძსონ მჭედლიშვილის ქალიშვილი და დასახლდა ქ. საგარეჯოს დოდოს უბანში (ახლაც იქ ცხოვრობენ მისი შვილები და შვილიშვილები).

ბოლოს, როდესაც საგარეჯოში დ[illegible] ანი კოლექტივიზაცია, ბერუოფილი გერმოგენი (შემდეგში გიორგი აბაშიძე) კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს, რომელსაც თურმე კარგად უძღვებოდა.

მის მიერ ჩამოტანილი საარქივო მასალა იხევ მარანში ინახებოდა.

1986-87 წლებში, როდესაც მასიურად დაიწყო ე. წ. „ტროცკისტების" დაპატიმრებანი, ბერუოფილი გ. აბაშიძე დაპატიმრეს და გადაასახლეს. მის მიერ მარანში გადამალულ საარქივო მასალას კი აუტო დაფე (კოცონზე დაწვა) ხვდა წილად. ასე განადგურდა ეს ძვირფასი ეროვნული ფასეულობანი გონებადაბზუელი უგუნურების მიერ.

აღნიშნული მასალა ჩავიწერე ძველი კომუნისტის, ძველი პოლიგრაფისტის, სკკპ წევრის 1925 წლიდან პეტრე ნუგეშიძის მონაყოლის მიხედვით 1978 წელს (ალ. ელერდაშვილი, — საგარეჯოს რაიონული გაზეთის რედაქტორი. ქ. საგარეჯო, 1982 წ.).

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებს, რომ დადგა დრო, უველას გასაგონად ვთქვათ სიმართლე მათზე, ვინც არარაობად აქცია ჩვენი ერის ისტორია, ვინც შეურაცხყო ქართველი ხალხის უკვდავი სული, მიწასთან გაასწორა ქართული ეკლესია, ვინც მოკლა ილია, დახვრიტა მისი მიმდევრები, — ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლნი ოციანი წლებიდან დაწყებული 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ჩათვლით. არ ვაპატიოთ იმათაც, იმ ვაიმეცნიერებს და ე. წ. პოლიტიკურ მოღვაწეებს, ვინც ცდილობენ დაიცვან ეს კაციჭამია ბარბაროსები, — „კრისტალური კომუნისტები". ჩვენი ღირსეული წინაპრების სახელისა და ღირსების აღსადგენად უნდა დაინგრეს მათი „კერპები" (ძეგლები) და წაიშალოს მათი ნაკვალევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიორგი შალამბერიძე

ერთად გატარებული ოთხი ფელი

„მოკვდა თუ არა, ყველამ იცხონა,
ცოცხალი არავინ არ მიიკარა".

ქოლეჯის საუფლოში ჩვენი ხახელოვანი წინაპრების ხმაზე ამეტყველებული ყრმა პოეტის მოკრძალებულმა ნაბიჯებმა იმთავითვე ხაყოველთაო ყურადღება მიიქცია.

ოვეის ხანმოკლე ხიცოცხლის განმავლობაში ლადო ასათიანი თავდავიწყებით უგალობდა ხამშობლოს, ამბალგაზრდობას, ხიკეთეს, ხიყვარულს, მეგობრობას, კაცთმოყვარეობას, ხაქართველოს მიწა-წყალს, მიხოვის თავდადებულ ეპოქებს: უგალობდა ჩვენი ქვეყნის წარხულს და აწყოს, მის ბედნიერ მომავალს.

ამ ნახევარ ხაუკუნეზე მეტი ბნის წინათ, 1984 წლის აგვისტოში მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ ქუთაისის ალ. წულუკიძის (იმჟამად ამელ ენუქიძის) ხახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და მოუთმენლად ველოდით ხარიცხულთა ხიის გამოქვეყნებას (მაშინ ასეთი ხიები კარ. „კომუნიხტში" იბეჭდებოდა). ! ხეკტემბერიც ამლოვდებოდა. მაგრამ ხიები არ ჩანდა. ერთი ჩვენი ამხანაგი ხენაკიდან ქუთაისს ეაემგზავრა ამბის გასაგებად. მეორე დღეხვე დაბრუნდა და გვითხრა, რომ ხწავლა მოგვიანებით იწყება, ხიები ამ ერთ კვირაში გამოქვეყნდებაო.

ᲔᲑ ᲮᲔᲙᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ. ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ. ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ... ᲝᲠᲛᲐᲯᲣᲠᲘᲡᲚᲝᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲝᲠᲘᲡ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ — ᲑᲝᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲙᲧᲜᲢᲘ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ. ᲛᲔ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲘᲡᲛᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲗ ᲮᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ, ᲐᲕᲙᲧᲜᲢᲘᲡ ᲙᲘ — ᲘᲒᲘᲕᲔ ᲮᲐᲜᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ.

ᲩᲒᲣᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲜᲘᲮᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲙᲪᲘᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ. ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲛᲐᲢᲜᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ — ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲔᲥᲘᲗ ᲫᲔ ᲐᲮᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲘᲮᲚᲗᲮᲐᲕᲔ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲮᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲘ, ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ... ᲐᲠᲐᲯᲐᲓᲒᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲮᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲮᲐᲮᲐᲓᲘᲚᲝᲠᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ. ᲘᲥ ᲒᲕᲔᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛ ᲨᲐᲕ ᲞᲣᲠᲘ, ᲘᲥᲜᲔ ᲕᲮᲔᲛᲓᲘᲗ ᲮᲐᲛᲨᲐᲣᲠᲘᲐᲜ ᲩᲐᲮ. ᲔᲮ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲣᲜᲛᲔ. თუ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲙᲔᲚᲔᲚᲓᲨᲘ ᲒᲐᲐᲮᲕᲔᲕᲓᲐ და ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲘᲓᲔᲑᲓᲐ, რათა ᲮᲐᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲮ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲥ ᲛᲝᲮᲣᲚᲘᲧᲝᲗ და ᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲮᲔᲚ ᲗᲔᲗᲠᲨᲘ ᲓᲐᲮᲬᲝᲛᲣᲚᲘᲧᲝ „ᲫᲕᲔᲚᲘᲐᲜᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" (ᲐᲮᲔ ᲔᲫᲐᲮᲓᲐ ᲚᲐᲓᲝ ᲐᲥ ᲓᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲣᲚ („ᲮᲐᲚᲘᲐᲜᲙᲐᲡ") ᲨᲔᲔᲢᲐᲜᲔᲑᲘᲜᲐ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲓᲣᲨᲔᲢᲔ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲘ. ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲣᲚᲒᲐᲨᲘᲔᲑᲘ ᲛᲐᲒᲚᲐ ᲐᲔᲒᲠᲘᲮᲐ, ᲝᲠᲛᲝᲪᲘᲝᲓᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲦᲘᲡᲘᲐ ᲬᲐᲛᲝᲬᲠᲓᲝᲓᲐ. ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲮᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲒᲕᲔᲮᲣᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, თან ᲒᲐᲘᲫᲐᲮᲝᲓᲐ: „ᲓᲦᲔᲡ ᲜᲐᲦᲓᲖᲔ, ᲮᲕᲐᲚ ᲜᲘᲮᲘᲐᲓ". თუ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲮᲘᲓᲝᲠᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲣᲮᲐᲛᲓᲐ და ᲔᲢᲧᲝᲓᲐ: — ᲮᲕᲐᲚ ᲛᲝᲘᲪᲐᲜᲔ, ᲑᲘᲭᲘᲐ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲓᲔᲗᲝ. ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲐᲒᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲓᲘᲓᲐ და მეორე ᲓᲦᲔᲗᲮᲝᲗᲕᲘᲡ, ᲝᲠᲘᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲠᲪᲮᲕᲘᲜᲐ, ᲙᲕᲐᲡ ᲒᲐᲮᲔᲝᲥᲓᲐ და ᲘᲛᲔ ᲮᲐᲛ ᲨᲐᲣᲠᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲮᲔᲡᲮᲔᲑᲓᲐ ᲛᲔᲓᲔᲣᲤᲔᲢᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ᲑᲖᲘᲠᲐᲓ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲘᲚᲘᲧᲐᲠᲘᲝ...

ᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲚᲛᲝᲛᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲜᲘᲮᲘᲐᲓ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲜᲓᲘᲑᲝᲓᲐ, ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲔᲪᲔᲡ, ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐᲜ, ᲝᲠᲘᲡ ᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲬᲧᲐᲚ-ᲬᲧᲐᲚᲐ ᲬᲧᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲮᲛᲘᲡᲨᲘ ᲘᲮᲘᲪ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲒᲣᲚᲣᲮᲗᲝᲑᲐᲡ ᲘᲩᲔᲮᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ — ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲔᲥᲘᲗ ᲫᲔ ᲐᲮᲐᲗᲘᲐᲜᲘ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲘᲮᲚᲗᲮᲐᲕᲔ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ, ᲮᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲬᲠᲔᲔᲑᲘ, ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ... ᲐᲠᲐᲯᲐᲓᲒᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲮᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲮᲐᲮᲐᲓᲘᲚᲝᲠᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲝᲓᲐ. ᲘᲥ ᲒᲕᲔᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛ ᲨᲐᲕ ᲞᲣᲠᲘ, ᲘᲥᲜᲔ ᲕᲮᲔᲛᲓᲘᲗ ᲮᲐᲛᲨᲐᲣᲠᲘᲐᲜ ᲩᲐᲮ. ᲔᲮ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲣᲜᲛᲔ. თუ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲙᲔᲚᲔᲚᲓᲨᲘ ᲒᲐᲐᲮᲕᲔᲕᲓᲐ და ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲘᲓᲔᲑᲓᲐ, რათა ᲮᲐᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲮ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲥ ᲛᲝᲮᲣᲚᲘᲧᲝᲗ და ᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲮᲔᲚ ᲗᲔᲗᲠᲨᲘ ᲓᲐᲮᲬᲝᲛᲣᲚᲘᲧᲝ „ᲫᲕᲔᲚᲘᲐᲜᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ" (ᲐᲮᲔ ᲔᲫᲐᲮᲓᲐ ᲚᲐᲓᲝ ᲐᲥ ᲓᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲣᲚ („ᲮᲐᲚᲘᲐᲜᲙᲐᲡ") ᲨᲔᲔᲢᲐᲜᲔᲑᲘᲜᲐ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲓᲣᲨᲔᲢᲔ ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲘ. ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲣᲚᲒᲐᲨᲘᲔᲑᲘ ᲛᲐᲒᲚᲐ ᲐᲔᲒᲠᲘᲮᲐ, ᲝᲠᲛᲝᲪᲘᲝᲓᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲦᲘᲡᲘᲐ ᲬᲐᲛᲝᲬᲠᲓᲝᲓᲐ. ᲩᲐᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲮᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲒᲕᲔᲮᲣᲛᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, თან ᲒᲐᲘᲫᲐᲮᲝᲓᲐ: „ᲓᲦᲔᲡ ᲜᲐᲦᲓᲖᲔ, ᲮᲕᲐᲚ ᲜᲘᲮᲘᲐᲓ". თუ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲘᲮᲘᲓᲝᲠᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲣᲮᲐᲛᲓᲐ და ᲔᲢᲧᲝᲓᲐ: — ᲮᲕᲐᲚ ᲛᲝᲘᲪᲐᲜᲔ, ᲑᲘᲭᲘᲐ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲓᲔᲗᲝ. ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲐᲒᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲓᲘᲓᲐ და მეორე ᲓᲦᲔᲗᲮᲝᲗᲕᲘᲡ, ᲝᲠᲘᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲠᲪᲮᲕᲘᲜᲐ, ᲙᲕᲐᲡ ᲒᲐᲮᲔᲝᲥᲓᲐ და ᲘᲛᲔ ᲮᲐᲛ ᲨᲐᲣᲠᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲮᲔᲡᲮᲔᲑᲓᲐ ᲛᲔᲓᲔᲣᲤᲔᲢᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ᲑᲖᲘᲠᲐᲓ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲘᲚᲘᲧᲐᲠᲘᲝ...

ᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲚᲛᲝᲛᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲜᲘᲮᲘᲐᲓ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲜᲓᲘᲑᲝᲓᲐ, ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲔᲪᲔᲡ, ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐᲜ, ᲝᲠᲘᲡ ᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲬᲧᲐᲚ-ᲬᲧᲐᲚᲐ ᲬᲧᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲔᲮᲛᲘᲡᲨᲘ ᲘᲮᲘᲪ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲒᲣᲚᲣᲮᲗᲝᲑᲐᲡ ᲘᲩᲔᲮᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარამანი იყო, რომელსაც ლადომ ორსტროფია-ნი ლექსი გამოუთქვა:

„ბარჩო დაასხა ყარამან,
პილპილიც მოაყარა მან".

ლექციები მეორე ცვლაში გვქონდა. საღამოს 5 საათზე იწყებოდა. ამდენი პროფესორი ასე მოკლე ხანში ალბათ არცერთ ჩვენთაგანს არ ენახა.

ლექციებს გვიკითხავდნენ კორნელი კეკელიძე და შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია, გიორგი ახვლედიანი, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ზანდუკელი და მიხეილ აბრამიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, მოსე გოგიბერიძე და სხვები.

ოქტომბრის ღრუბლიან საღამოს, ლექციის დაწყებას რომ ველოდებოდით, ერთი უმაწვილი, რომელსაც მუქი ლურჯი მაუდის კიტელი ეცვა, მომიახლოვდა და მკითხა:

— სადაური ხარ, უმაწვილო?

— სენაკელი, შენა?

— მე ლეჩხუმელი ვარ. ცაგერიდან. ჩემს სოფელს ბარდნალა ჰქვია...

ასე უბრალო გამოხატვებით ჩაეყარა ხალფუძველი იმ დიდ მეგობრობას, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გვაკავშირებდა მე და ლადოს.

მშვიდად მიედინებოდა პირველკურსელთა ცხოვრება. 1924 წლის დეკემბერში პურის ბარათები გაუქმდა და ქუთაისის ქუჩებში ჭართული პურის მადის აღმძვრელი სუნი დატრიალდა. თონის პური, თეთრი თუ შავი, ლავაში თუ „გორა", უხვად გამოჩნდა მაღაზიებში. ყველას უკვირდა, ასე უცებ, ასე ერთბაშად როგორ გახსნეს ამდენი ფურნე და თონე ან როგორ მოასწრეს ამდენი პურის გამოცხობა.

ნაირ-ნაირი პურით დამშვენებულ ვიტრინებს რომ ჩავუვლიდით, ლადოს ხახე გაუბრწყინდებოდა და კმაყოფილებით წამოიძახებდა: „პური ჩუენი ესე არსობისაი მომეც ჩუენ დღეს" და თან დააყოლებდა: „არა პურითა ბოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა ღმრთისაითა".

მიკვირდა, საიდან იმოწმებდა ლადო ამ ციტატებს, მოაცებდა მისი ნაკითხობა, განსწავლულობა. მაშინ არ ვიცოდი, ლადოს სად, რომელ ნაწარმოებში წაეკითხა ეს სიტყვები... თან უცნაურად მეჩვენებოდა, რატომ ამბობდა იგი „მომეც ჩუენ". ვუთხარი კიდეც — ლადო, „მომეც" კი არა „მოგვეც" უნდა. „ჩვენ" მრავლობით რიცხვში დასმული პირველი ობიექტური პირია და ზმნაში გვ პრეფიქსით უნდა აღინიშნოს-მეთქი.

— რამდენჯერ გითხარი, მოეშვი მაგ გრამატიკას! — შემომიტია ლადომ. — მერე კი მომიბრუნდა და მკითხა:

— სახარება წაკითხული გაქვს?

წაკითხული მქონდა კი არა, თითქმის ... მენახა.

— აიღე მათეს სახარება, გადაშალე მეექვსე თავის — 11 მუხლი და ნახე, რა წერია იქ

— რაც უნდა ეწეროს, სწორი არ არის, — ვჯიუტობდი მე.

— შენ, გეტყობა ძველი ქართულისა ბევრი არაფერი გაგებია, ძველად ასე წერდნენ, — მითხრა ლადომ, თუმცა ვერ ამიხსნა, რატომ ეწერა „მომეც ჩუენ" და არა „მოგვეც ჩუენ".

ცოტა მოგვიანებით, როცა საშუალება მომეცა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში შემემოწმებინა მათეს სახარების ტექსტი. აღმოჩნდა, რომ ლადო მართალი იყო, ბოლო კიდევ უფრო გვიან, როცა ბატონმა ვარლამ თოფურიამ ზმნის ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები აგვიხსნა, ყველაფერს ნათელი მოეფინა.

—გაიგე, გოგია, რაში ყოფილა საქმე? — ნიშნის მოგებით მითხრა ლექციის შემდეგ ლადომ.

„შენც ხომ გაიგე?" — მინდოდა მეპასუხა, მაგრამ ვიფიქრე, არა გაბრაზდეს-მეთქი და მშვიდად ვუთხარი: „ყოველი საიდუმლოი ამას ენახა შინა დამარხულ არს".

ამჯერად ლადო დარჩა გოცებული. მაგრამ აღტაცება ვერ დაფარა და ხმამაღლა შეხძახა:— აი, ეს მესმის!... თუ გინდა, რომ ქართული ენის მთელი სიტკბოება შეიგრძნო, ძველი წიგნები უნდა იკითხო!

ერთხელ ლადომ მითხრა, თუ როგორ გაიცნო ბარდნალაში ახალგაზრდა პოეტი ვ. სალომეშვილი (ვლადიმერ ჭანკლავა).

გაზაფხულის ერთ დღეს (მაშინ შვიდწლედში ვსწავლობდი) სოფელში სკოლის ზარის რეკვა ატყდა. ზარის ხმაზე ხალხი შეიკრიბა. ამბობდნენ: „პოეტია" ჩამოსულიო. როგორც იქნა, საამოციოდე კაცი შეგროვდა. სკოლის დირექტორმა გაგვაცნო პოეტი, რომელმაც შემდეგ თავისი ლექსები წაიკითხა. ახლა არ მახსოვს მათი შინაარსი, ისე კი დამამახსოვრდა პირმრგვალი, ხუფთად ჩაცმული ახალგაზრდა, რომელსაც ხალხი ყოველი ლექსის წაკითხვის შემდეგ ტაშს უკრავდა. ეს იყო სოფლად ჩამოსული პირველი პოეტი. რომელიც მაშინ ვნახე. შევნატროდი მას, რას ვიფიქრებდი, რომ მისი ბედის მოზიარე ვიქნებოდი.

ლადომ თანაკურსელებიდან შეიყვარა და შეისისხლხორცა მიხეილ ალავიძე, რაფდენ გაბეჩავა, ლევან კიკნაძე, ავქსენტი მიშველაძე, შოთა ქურიძე, ნელი დუმბაძე, ზინა ხონელიძე, მარიამ ბორჯაძე, მარიამ ტრაპაიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ლადოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ბევრი ცდილობდა. მაგრამ მეოცნებე ჭაბუკს თავი მართლა ამაყად ეჭირა და თუ ვინმეს უწიგნურობას შეატყობდა, მოურიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ეტყოდა — შენ აქ რა გინდა! ის არ გირჩევნია, აგრონომობა ისწავლო, დედმამას ნასწავლი დაუბრუნდე და ოჯახს შეეშველო შრომაში?.. ჯერ-ჯერობით ბლომად გვქონია, შენს თავსაც ირჩენ და ქვეყანასაც გამოადგებიო. მერე არჩილის სიტყვებს მოაყოლებდა:

„თუ „ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს".

დაძაბუნებული საქართველო ვის რაღად უნდა! ჰოდა, ნუ დაძაბუნებთ საქართველოს, სოფელს მიხედეთ უნდა, მიხედეთ სოფელს!..

ჩვენს კურსზე ბევრ სტუდენტს მართლა იტაცებდა პოეზია და მისი ხიბლარულის გამო ჩაებარებინა მიხაღები გამოცდები ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ ბლომად იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ეს სპეციალობა იმიტომ აერჩიათ, რომ ზუსტი მეცნიერებისა მაინც და მაინც ბევრი არაფერი გაეგებოდათ. ერთი სიტყვით შემთხვევით იყვნენ მოხვედრილი ამ ფაკულტეტზე. ზოგი მათგანი ქართველ მწერლებს მხოლოდ ამ ორიოდე ნაწარმოებით იცნობდა, რომელთა შესწავლას სკოლის პროგრამა ითვალისწინებდა.

ლადოს უყვარდა თავისი თუ ცნობილი ქართველი პოეტის ლექსების ნაწყვეტების ზეპირად თქმა. საუბარში ხშირად იყენებდა „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმებს, ზეპირად იცოდა ილიას, აკაკის, ვეფხვ. გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის თითქმის ყველა ლექსი. როცა კარგ ხასიათზე იყო ინსტიტუტის დერეფანში შესვენების დროს თავაწეული დადიოდა, თავისთვის ღუღუნებდა და თითოეულ სიტყვას ისე წარმოთქვამდა, თითქოს მღერისო, განსაკუთრებით პატიას სცემდა გალაკტიონს, როცა რაღაც სევდა შემოაწვებოდა, მეოხვე გაიხსენებდა „მერის" დასაწყისს:

„შენ ჭალის იწყრები ამ ღამეს, მერი!
მერი, ამ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცას ეწყება და ფერი
მწუხარე იყო, ეიჰ შემოდგომა!"

ერთხელ ერთი ჩვენი კურსელი ახალგაზრდა, რომელიც ლადოს მიერ ამხანაგთა წრეში დეკლამირებულ „მერის" უსმენდა, ლადოსთან მიეიდა და ჩუმად ჰკითხა:

— ლადო, თუ ამა ხარ, ნუ გამიჯავრდები, ეგ ლექსი რაღაც კარგად ეღერს, მაგრამ ვერ გამიგია, სანდომიანები ვინ არის?

ლადო წამოწითლდა, თვალები აუმღვრია და იმ ამხანაგს ასე უპასუხა:

— სანდომიანები? სანდომიანები ჭალაქელი მიკიტანი იყო. გალაკტიონის მეგობარი ხშირად ერთად უკეიფიათ და [illegible] ღვნია ეს ლექსი...

იმ ახალგაზრდას სიტყვა [illegible] ერთ სიტყვად აღექვა, არ იცოდა, რას ნიშნავდა „სანდომიანი" და ეს ორი სიტყვა ვიღაცის გვარად წარმოედგინა.

მერე ლადო ხშირად იხსენებდა ამ შემთხვევას და ხანდახან იმ სტუდენტს „სანდომიანს" ეძახდა.

ინსტიტუტში საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ ლადო ლექსებს წერდა, რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა სტუდენტთა შორის. ეს ლექსები შეტყვილად სამეცნიერო მოტივზე იყო დაწერილი.

1988 წლის 15 სექტემბერს გაზეთ „ხალინელში" დაიბეჭდა ლადოს ორსტროფიანი ლექსი „ჩვენ კვლავ მოვედით". ეს იყო პოეტის პირველი გამოქვეყნებული ლექსი. იმ დღეს ლადო განსაკუთრებით გახარებული იყო. ამბანაგების თვალში ლადოს ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა.

ლადოს ეამაყებოდა, რომ მან პირველმა გამოიყენა რითმა „ასე ულევი-ასეულები". ლექსში, მართლაც, იკითხება:

„ჩვენ კვლავ მოვედით-მტკიცე თაობა,
ასე მწყობრი და ასე ულევი,
მოგვაქვს რწმენა და გამბედაობა,
მოვდიეართ რიგი ასეულების".

ეს რითმა პირველად სწორედ ლადოს ლექსში გვხვდება.

ცოტა უფრო გვიან „ძველი და ახალი ქუთაისის" ლექსების ციკლში (1988 წ.) ამ ფაქტს იხსენებდა და წერდა:

მე აქ დაეწერე ლექსი პირველი,
ვარდებსაც ესმით ამ გულის ფეთქვა".

1989 წლის 10 აპრილს გაზეთის მეორე გვერდზე დაიბეჭდა „ქუჩა პალმებში..." ამდენი ვარდი, მზით გამთბარი ამდენი პალმა, მახარებს, როცა ქალაქის მკერდს დავაკვირდები"...

გეშინ ქალაქში ტანნაქსოვილი დარგეს

გეშინ ქალაქში ტანნაქსოვილი დარგეს პალმები,
მზეზე უბრწყინავთ ორლესული მწვანე
ალმები"...

ლადოს ამ ხაზოვანი დაწერილი სხვა ლექსებიც აქვს.

და აი, პალმის ვარაყში ჩასმულ ქუჩისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტს აქვს ასეთი სტრიქონები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თვრამეტ გაზაფხულს მოვესწარი
თვრამეტჯერ ვნახე
ტკეცლების ფიფქთან ვნებიანი მზის
ელვარება"...

და შემდეგ

„ჰოდა, ამ დილას, ამ გოროზი პალმების
ჩრდილში
ვუღიმი, ძმებო, მეცხრამეტე ახალ
გაზაფხულს".

ამხანაგებმა ლადოს გაკრიტიკება დავუწყეთ: — შენ ხომ ჩვიდმეტში ხარ დაბადებული, იანვარში. ახლა ოცდათექვსმეტის აპრილია. ერთ გაზაფხულს რა უყავი? ახლა მეცხრამეტე კი არა, მეოცე გაზაფხულია...

— ინტრიგანობას თავი დაანებეთ! — გვეუბნებოდა ლადო. — ოცდათექვსმეტს რომ ჩვიდმეტი გამოაკლო, ცხრამეტი იქნება! ამას რა დიდი ანგარიში უნდა!

— აბა, დათვალე, ლადო, დათვალე!... ცხრაას ჩვიდმეტში — ერთი გაზაფხული... შენ ხომ იანვარში ხარ დაბადებული!... თვრამეტში — ორი, ცხრამეტში — სამი და ა. შ. ოცდათექვსმეტში — ოცი!

ლადო ანგარიშობდა და მაინც თავისაზე იდგა. არაფრით არ სჯეროდა, რომ სათვალავი შეეშალა.

ბოლოს, რომ არ მოვეშვით, თავი ასე იმართლა: — ჩვიდმეტის პირველ გაზაფხულს არ ვთვლი, აბა, ორი-სამი თვის ბალღს რა უნდა დამბხომებოდაო. თან ბავშვივით ეღიმებოდა.

ძველი და ახალი ქუთაისის თემას ლადო შემდეგაც დაუბრუნდა. 1936 წლის 22 დეკემბერს, სამშაბათს, იმავე გაზეთის მესამე გვერდზე დაიბეჭდა ლადოს ოთხი ლექსი საერთო სათაურით — „ძველი და ახალი ქუთაისი". ეს ლექსებია: „დილით", „წერილი დედას", „ჩუქურთმის მკრელი" და „მე თვითონ ვნახე". ჭაბუკ პოეტს აღფრთოვანებს, რომ „ვარდის ბაღნარში ეცემა ჩრდილი, ყუჩას პალმა და ყვავილი მფარავს". იგი აღტაცებას ვერ მალავს და მადლიერების გრძნობით იხსენებს: „მე აქ დავწერე ლექსი პირველი"...

ქალაქის ვარდებით აღფრთოვანებული ჭაბუკი დედამისს ლექსად სწერს: „და რომ ჩამავალ ზაფხულში შენთან, მოგიტან ჩემი ქალაქის ვარდებს".

5 მაისის მესამე ნომერში, მესამე გვერდზე დაბეჭდილია ლადოს სურათი და მისი წერილი „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო".

„პირველად გაზეთ „სტალინელის" ფურცლებზე ჟიგრძნე დაბეჭდილი სტრიქონების ეშხი — წერდა ლადო, — განა სასიხარულო არაა? განა უამესი ერუანტელის მომგვრელი არაა, როცა შენი ლექსები დილით შეიტანენ, რომ ადრე გამოვლენ, გამოვლენენ და ყვავილებით შემორკალულ ინდუსტრიულ ლაქში.

მე ეს სიხარული განვიცადე. მე ამ სიხარულს უფრო მძლავრად კიდევ განვიცდი. ეს სიხარული, ეს აღტაცება შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო, და ამიტომ ეს სიტყვები შენი დღეგრძელობისა და შენი გამარჯვების იყოს"...

სასტუმრო „გრანდოტელის" პირდაპირ მდებარე შენობის რამდენიმე ოთახი პედინსტიტუტის საერთო საცხოვრებლად იყო გამოყენებული. ერთ დიდ ოთახში სხვადასხვა ფაკულტეტის 15-ოდე სტუდენტი ცხოვრობდა. დანარჩენებში — ლექტორების ოჯახები.

ამ საერთო საცხოვრებელში სხვებთან ერთად ცხოვრობდა ჩვენი თანაკურსელი ნიკო გაბიტაშვილი, წყნარი, წესიერი, სწავლამოწყურებული ვეკრინელი ახალგაზრდა.

ზამთრის ერთ კვირახალამოს, საცხოვრებელში რომ შევიარეთ, ნიკომ თვალი ჩაგვიერა და ოთახიდან გავიდა. ჩვენც გავყევით.

ბიჭებო, ეს-ეს არის სოფლიდან ჩამოველი, სახლიდან რაღაცეები გამომატანეს. ყველა რომ დავკატიეთ, არ გვეყოფა. თქვენ ახლა ჩადით, ქვევით დამელოდეთ და მეც ახლავე ჩამოვალ ჩემი ჩემოდნით. სადმე შევიდეთ და პური ვჭამოთ, — ბმადაბლა გვითხრა ნიკომ.

ხუთი წუთი არ იყო გასული, რომ ნიკო გამოჩნდა თავისი პატარა ჩემოდანით. გვერდით ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გიგი ელიბეგიშვილი მოჰყვებოდა.

თეთრ ხიდს გაღმა რომ სახადილოა, იქ ნაცნობი ოფიციანტი მყავს, წავიდეთ, — გვითხრა ლადომ.

წავედით, ერთ პატარა ოთახში დავსხედით... ნიკომ გახსნა თავისი ჩემოდანი და იქიდან რიგრიგობით ამოაძვრინა მოზრდილი მოხარშული დედალი, თუშური ყველი, ლორი, თოხის პურები, ნივრის მწნილი და პატარა ტიკკორა.

გაიმართა პურის ბჭამა. თამადობა ნიკომ იკისრა.

— ეს ჩემს მშობლებს გაუმარჯოს! — თქვა ნიკომ და საფერავით გავსილი ჭიქა გამოცალა.

— გაუმარჯოს! — გაისმა ჭიქების ჭახუნი და ღვინის მოწონების გამომხატველი შეძახილები.

— ეს ჩემს მამა-პაპას გაუმარჯოს! — შემოგვთავაზა ნიკომ მეორე სადღეგრძელო.

— ეს ჩემს და-ძმებს გაუმარჯოს — იხილ გაისმა ნიკოს ხმა.

— ეს ჩემს სოფელს გაუმარჯოს! — არ ცხრებოდა ნიკო.

— ეს ამ ღვინოს დამწურავს გაუმარჯოს! — თანდათან ექსტაზში შედიოდა ჩვენი მახპინძელი.

ლადომ ველარ მოითმინა და ნიკოს სიტყვა შეაწყვეტინა:

— ნიკო, ძვირფასო, სულ რომ შენსას ადღეგრძელებ, სხვა აღარავინ გახსოვს? ჩვენც ხალხი ვართ, რას გვერჩი... — ლადომ ჭიქა შეავსო და ნიკოს პასუხისათვის არ დაუცდია, ისე წარმოთქვა:

— პოეზიას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!...

— საჭართველოს გაუმარჯოს!... და წავიდა ლადოს ყაიდის სადღეგრძელოები. ტიკჭორა დაიცალა.

გივემ რომელიღაც უარაჩობლური სიმღერა წამოიწყო.

გარეთ თოვდა.

ნიკო და გივი საერთო საცხოვრებლისკენ გაუდგნენ გზას, ჩვენ ძერჟინსკის ქუჩისაკენ.

თოვლის ფიფქები ლადოს ბავშვივით ახარებდა.

მერე რატომღაც ტიციანის ლექსი მოაგონდა და.

ხმამაღლა წარმოთქვა:

„ჩოფურაშვილთან ვიყავი წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.
საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ,
რაც ჩაკირული გულში ბალღამი...
სამარცხვინოა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზი ბიჭო, სერგეი ესენინ
ცოცხალს არ გესმის, ეს საფიცარი“...

— იცი, გოგია, ვინ იყო ესენინი?

— გვარი კი გამიგია, მაგრამ ჯერჯერობით მისი არცერთი ლექსი არ წამიკითხავს.

— დაგიგვიანია, დაგიგვიანია!...

ხელი მომხვია და შემდეგ ჩვეულებრივი მღელვარებით განაგრძო სხვა სტროფები.

ძერჟინსკის ქუჩის აღმართს რომ აივლიდით, იქ, სადაც მეხუთე შესახვევი იწყებოდა, ამ ადგილას ერთი პატარა მოედანი იყო, სადაც ხამხართულიანი ხახლის მშენებლობა დაეწყოთ. ხამშენებლო მოედანი ფიცრის ღობით შემოეკავებინათ. ამ მიდამოს ადგილობრივი მცხოვრებნი „ნარიმანის ბაზარს“ ეძახდნენ.

შემოდგომის თბილ დღეებში აქ ხშირად ნახავდით ორმოციოდე წლის წითურ კაცს, რომელსაც იოსები ერქვა. ზოგი იოსკას ეძახდა, ზოგი — სოსოს, ზოგიც კიდევ უფრო მარტივად — სებოს.

სებოს პატარა კასრით ჩამოჰქონდა ღვინო, იქვე ნათხოვარ ტაბურეტზე დადგამდა და ყიდდა ლიტრს ხამ მანეთად. ლალისფერი ხახმელი იყო. მგალობლიშვილის ჯიშის ყურძნისაგან, — ამბობდა პატრონი. ფერი მომზიდველი ჰქონდა და არც სიმაგრე აკლდა. გამვლელ-გამომვლელის დანახვაზე სებო [illegible] ჰქებდა თავის ღვინოს.

მუშტარი არ ელეოდა. [illegible] და, ზოგიც ბოთლებით მიადგებოდა სებოს და 3-4 ლიტრს გაუხალებდა. კასრი, რომ დაიცლებოდა, სებო იქვე ერთ ეზოში შეირბენდა, სადაც უფრო დიდი კასრით ჩამოტანილი ღვინო ჰქონდა, გადმოასხამდა პატარაში და კვლავ სირაჯობას ეწეოდა.

მე და ლადოს ხშირად გვინახავს იოსება (მე იქვე ვცხოვრობდი ნაჭირავებ ბინაში, ლადო ცოტა მოშორებით). ჩვენც ხშირად გვიყიდია მისგან ღვინო. რაკი მე უფრო ახლოს ვცხოვრობდი, შევიდოდით ჩემს ოთახში და სულმოუთქმელად ვეწაფებოდით სებოს ნაქებ „მგალობლიშვილს“. მუშტრები სებოსთან გაშინაურებული იყვნენ. ზოგი ნისიადაც კი გამოიბრუეებოდა ქუჩაში. სებოს უხაროდა, ყველას ენდობოდა, გულღია იმერელი იყო.

— სებო, ასეთ კარგ ღვინოს რომ ყიდი, სამაგიეროდ რას ყიდულობ. — ელაზღანდარებოდნენ ბიჭები.

სებო კი სახეს შეიკმუხნიდა, ჩაფიქრდებოდა და ნაღვლიანად უპასუხებდა:

— ეჰ, ბიჭებო, თქვენ რა იცით ჩემი გასაჭირი!... ჭალიშვილს ვთხოვებ, სახიძო მზითვად როიალს მთხოვს და მის საყიდელ ფულს ვაგროვებ.

— რამდენი ღვინო უნდა გაყიდო, სებო, როიალის საყიდელი ფული რომ მოაგროვო?

— აბა რა ვიცი, ამბობენ, ძალიან ძვირიაო!

— ამოიოხრებდა იგი და ფეხსაცმლის ჭვინტით მიწას ჩიჩქნას დაუწყებდა.

ერთხელ სებო მე და ლადოს თითო ჩაის ჭიქა ღვინით უფულოდ გაგვიმასპინძლდა. ამით გახარებულმა ლადომ მოულოდნელად ჰკითხა:

— „რატომ ყიდულობ, სებო, როლიას,
ახლა მაგისი ყიდვის დროა?

და მერე პასუხი თვითონვე გასცა ამ კითხვას:

— მიტომ ყიდულობს როიალს სებო,
მუსიკალურად რომ იარსებოს.

— აგაშენა ღმერთმა! — მოეწონა ლადოს ნათქვამი მასპინძელს. არ ვიცი, მართლა როიალისთვის აგროვებდა ფულს თუ სხვა რამე უჭირდა, მაგრამ ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ლადოს მიერ ექსპრომტად თქმული ეს სტრიქონები კარგად დამამახსოვრდა.

ლადოს ეხერხებოდა გარითმული წინადადებების სახელდახელოდ წარმოთქმა. მახსოვს, ჩვენი სტუდენტობის დროს ქუთაისის სახაუზმეში სოსისი გამოჩნდა. ერთხელ ჩვენც გაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრახეთ ხოხინია და ლუდის მირთმევა. ლადომ ამ დღეს რომელიღაც ლექსის ჩაწერარი აიღო. შევედით ქალაქის ბაღის პირას მდებარე სახაუზეში. მდოგვწასმულ ხოხინს პირში ტკაცუნი გაჰქონდა, ცივი ლუდით ხავსე კათხები ერთმეორეზე იცლებოდა.

რომ დავნაყრდით და ლადომ ფული გადაიხადა, შემობრუნდა და ირონიულად ჩაილაპარაკა:

„მართლა კი „სასისკია",
მაგრამ კი ფასიც კია აქეს".

ხელმოკლე პოეტს ეძვირა დანახარჯი...

ინსტიტუტში სამხედრო ხაჭმეზეაც ვეუფლებოდით. გავდიოდით სამწყობრო და საცეცხლე მომზადებას, ქიმიურ თავდაცვას, სანიროლო მომზადებას გვასწავლიდნენ ამ ხაქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. პოლკოვნიკი ა. წურწუმია, უფროსი ლეიტენანტი ვ. ჩარექოვი და სხვ. გვაჩვევდნენ სამხედრო დისციპლინას, გულმოდგინედ გვიხსნიდნენ ხანრძოლო იარაღების ნაწილებს, მათს დანიშნულებას. კარგი პედაგოგები იყვნენ, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ესწავლებინათ. დიდ გულისხმიერებასა და უურადღებას იჩენდნენ თითოეული სტუდენტის მიმართ, მაგრამ რაკი თვითონ სწავლა-განათლება რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული და ქართული სამხედრო ტერმინოლოგიაც იმუამად დამუშავებული იყო, მეტყველებაში ძალაუნებურად ზოგჯერ არაქართულ სიტყვებს ხმარობდნენ: ეს განსაკუთრებით აღიზიანებდა ლადოს.

ერთხელ, — მაშინ მეორე კურსზე ვიყავით, — სამხედრო ლექცია რომ დაგვიმთავრდა (ამ ლექციაზე აირწინაღს გვაცნობდნენ), ლადომ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი ამხანაგების ჯგუფში ბმამაღლა წაიკითხა. აი ლექსის დასაწყისი:

„ო, სამხედრო ლექციაზე
იარაღს რომ ჩაგვეხვევი,
გამოჩნდება წურწუმია
ან მეორე — ჩარექოვი.
გაოჩნდება და შემირყვნის
წმინდა ენას — წმინდა ქართულს,
იტყვის — ხედავთ, ამაწვილებო,
ამ „კარტოჩკას" წინ, დახატულს.
ეს „რაზრეზი", ნაცრისფერი,
აქეთ, აი, წინა, ღია,
გაზების დროს ჩასაცმელი
ჩვენი დროის ჩასაც?ელი
ჩვენი აირწინაღია...
მძიმეებს მე გიკარნახებთ,
თქვენ დაუსვი „ტოჩკებიო"...
— ამისთანა ჩიქორთულმა
აგეფარეთ „ჰოჩკებიო".

ლექსი მოგვეწონა, რადგან უველას გულის ტკივილს გამოხატავდა. მაშინ ჩვენ ტეტრის კედლის გაზეთის რედაქტორი და ერთი კი ვიფიქრე, ეს ლექსი ჩვენ გაზეთს იუმორის განეოფილებაში გამომექვეყნებინა, დაამშვენებს — მეთქი, მაგრამ ლადომ თავი მოიკლა, საგაზეთოდ კი არ დამიწერია გასართობად ვიხუმრეთ.

მოგვიანებით ჩვენს კურსზე აკადემიური შვებულებიდან დაბრუნდა რაუდენ გაბეჩავა, იგი კუთაისის ხაქალაქო გაზეთის სოფლის მეურნეობის განეოფილების გამგედ გადმოიუყვანეს სენაკიდან. რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო გიორგი ჯიბლაძე, რედაქტორი ცნობილი ეურნალისტი ნიკოლოზ ცხა...ა.

რაუდენის მეშვეობით ლადო და მე რედაქციის თანამშრომლებს დავუახლოვდით, გავიცანით გიორგი ჯიბლაძე, ნიკა აგიაშვილი, პეტრე ბახტურიძე, პლატონ გულუა და სხვები.

ვბეჭდავდით კორესპონდენციებს, ხარედაქციო დავალებებს გვაძლევდნენ და ჩვენც გულმოდგინედ ვასრულებდით.

ჩვენი ურთიერთობა რედაქციასთან ხულ უფრო ფართოვდებოდა. დღე იხე არ გავიდოდა, რომ რედაქციაში არ მივსულიუავით. ხანდახან, როცა კორექტორები რაიმე მიზეზის გამო ხამუშაოზე არ გამოცხადდებოდნენ, მე და ლადოს დაგვავალებდნენ სტამბაში წასვლას, რათა კორექტორობა გაგვეწია, გაზეთში მუშაობა გვიტაცებდა. თან ერთ მორიგეობაში თითოს 82 მანეთს გვიწერდნენ — გასამრჯელოდ ეს თანხა კი ხელმოკლე სტუდენტებისათვის დიდ რამეს ნიშნავდა.

1987 წლის 17 მაისს შემდეგ გაზეთ „სტალინელში" პოეტის ნაწარმოებები ქუთაისში კარგა ხანს აღარ გამოქვეყნებულა. იხეთი ეითარება შეიქმნა, რომ ლადოს ლექსებს აღარ ბეჭდავდნენ...

ავად მოხაგონარმა ქარიშხალმა ლადოს დედა ხადღაც შორს, „უცბო მხარეში" გადაკარგა. პოეტი სასოწარკვეთილებას მიეცა. მუდამ თვალწინ ედგა დედის ტანჯული ხახე.

1988 წლის 8 თებერვალს დაწერილი ლექსიდან ვგებულობთ, რომ „დარდით გულგახერილმა" პოეტმა გამოაღო თავისი მაგიდის უჯრა და თვალი მოჰკრა დედის წერილს. შემდეგ განაგრძობს:

„ავკითხულობ, ეღელაე, ქართლის მთებიდან
გინატრე შეილმა, იტირა ლექსმა.
ამ გაყვითლებულ წერილებიდან
მე შენი გულის ფარფაქალი მესმა.
ჰაუ, რამდენი ცრემლები ვღვარე,
როცა გაკუეკი წუხილის დუმრნს

ნეტავ სადა ხარ, ან რომელ მხარეს,
სულზე უტკბესო დედილო ჩემო?".

ოჯახური მდგომარეობით გამოწვეულ სევდას პოეტი უფრო გვიან, 1940 წელს დაწერილ ერთ მშვენიერ ლექსში — „ბარდნალაშიც" უბრუნდება და წერს:

„შენ, მამაჩემო, რად დარდობ,
რამ დაგისველა თვალები?

ან შენ სადა ხარ, დედიკო,
რომ ლექსი გამაბედინო".

და თავად ჯერ კიდევ ბავშვი პოეტი ნატრობს ბედნიერი ბავშვობის დაბრუნებას.

„ეჰი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდე ნეტავი!"

პოეტის სულში დასადგურებული მელანქოლია ხანდახან მისი ხხვა ლექსებიდანაც გამოეთავაზ:

„დავშორდი დედას, არ ვახსოვარ ქალარა მამას.
უდროოდ დასჭკნენ სიპაბუკის ჩემი ვარდები".

ან კი რა გასაკვირია, რომ მის სულიერ განწყობილებაზე შექმნილ ვითარებას გავლენა მოეხდინა და მის სულში გარდატეხა მომხდარიყო. ამას დაემატა ინსტიტუტიდან გარიცხვა, ეკონომიური სიღარიბე და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ!...

მაგრამ პოეტი პესიმიზმს არ მისცემია, ეს იყო მხოლოდ მწუხარების გამოვლინება. მას სწამდა, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყველა ბინდსა ის განანათლებს".

გაუგებრობის ნიადაგზე ლადო და ამ სტრიქონების ავტორიც ერთ ხანს პედაგოგიური ინსტიტუტიდან გარიცხული ვიყავით. აყრილი გვქონდა სტუდენტის უფლებები... ლადო ვერ ურიგდებოდა უსამართლო დასჯას, შფოთავდა, ვერ ისვენებდა, ეკონომიურადაც ძალიან უჭირდა. თითქოს ჯანმრთელობაც შეერყა. ხშირად სიცხიანი დადიოდა...

ზოგი უპრინციპო ამხანაგი, მანამდე მეგობრობას რომ გვფიცებოდა, ახლა ჩვენთან შეხვედრას თავს არიდებდა. ხახლიდან დილაადრიან გამოხსულები ჯერ იმ დაწესებულებებს ჩამოვვიარეთ, სადაც განცხადებები გვქონდა შეტანილი, უიმედო პასუხს რომ მივიღებდით, შემდეგ-ქალაქის ბაღს ორ-სამჯერ შემოუვლიდით და საჯარო ბიბლიოთეკას მივაშურებდით.

„კომუნისტის" 20 იანვრის ნომრის მეორე გვერდზე გამოქვეყნებული იყო ხაკ. კპ (ბ) ცკ-ის პლენუმის დადგენილება, „რომელიც სწორედ ჩვენახთანებს ეხებ[illegible]

აშკარად ვხედავდით, რომ [illegible] იწმინდებოდა და ყველაფერი გაირკვეოდა. მართლაც ახე მოხდა...

1938 წლის 20 მარტს, საღამოს 7 ხაათზე განიხილა ჩვენი საკითხი ქალაქკომის ბიურომ და აღგვადგინა ინსტიტუტში, როგორც უკანონოდ გარიცხულნი...

ამიერიდან იხევ სტუდენტები ვართ, უბარია ლადოს, ორახ-ორახი მანეთი ერთდროული დახმარება მოგვცეს... გავუდექით გზას ქალაქის ცენტრისაკენ.

გახაოცარია ამოდენა გზა გავიარეთ, უკვე ქალაქკომის შენობის წინ ვართ და ერთი ნაცნობი არ შეგვხვედრია, რომ ჩვენი სიხარული გავუზიაროთ...

შეუხვენიხლივ განვაგრძობი სიარულს, ჩავუხვიეთ მარჯვნივ და რესტორანი „ალიონიც" გამოჩნდა: რამდენი ხანია, აქ არ ვყოფილვართ! რახანია, რაც ორიოდე თბილი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის.

— ესეც ჩვენი „ალიონი"!

შევედით, მოხერხებულ ადგილას მოვიკალათეთ და ძველებურად მოვიღლინეთ ამჯერადაც...

ლადო ღიღინებდა:

„გურიის ცის ქვეშ ყვავილებს ირხევ,
მე იმერეთის მაწუხებს ცა,
შენ ჩემი გულის ფიქრებს თუ დახევ,
ღიმილი შეინც მაფარსე, ცოვ?".

კარგად დანაურებული და შექეიფიანებულნი კიდევ დიდხანს დავდიოდით ბაღის კიდეზე, მერე კი დავიშალეთ.

გაზაფხული იყო — რედაქციიდან ინსტიტუტში ადრე მივედი, ლექციები 5 ხაათზე გვქონდა. ეზოში, აყვავებული აკაციების ძირას, მერხზე მჯდომი ლადო შევნიშნე. იღიმებოდა, ხაოცრად კარგ გუნებაზე იყო: შავი ხატნის პერანგზე შავი ქალსტუხი ეკეთა, ახალთახალი ლურჯი „ბოსტონის" შარვალი და ტყავის ლანჩიანი ნაცრისფერი ტილოს ფეხსაცმელები ეცვა. თმაც შეეკრიჭა.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, ახე ერთბაშად რომ გამოეცვალა ყველაფერი.

— გამდიდრებულხარ, ჩემო ლადო, ხაიდან?

— შარვალი და ხალათი ამ ერთი კვირის წინათ გავაბარე. ფული ხახლიდან გამომიგზავნეს. ტუფლები ებრაელებში ვიყიდე. — მიპასუხა ლადომ.

— კარგია, მომილოცავს. გიბდება კიდეც.

— მოვუწონე ჩაცმულობა.

— ჯერ ხადა ხარ? — მითხრა ლადომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე თბილისში გადავალ. შევიკერავ შავ კოსტუმს, შავ პალტოს, შავ შლაპას დავიბურავ, ხელში ლამაზ ჯოხს დავიკავებ და რუსთაველზე რომ გავიარ, მაშინ უნდა მნახო, რანაირად მოგესალმები...

ჭაბუკი პოეტი ხშირად ოცნებობდა თბილისზე, ცნობილი მწერლების გაცნობაზე, მათთან საუბრებზე, პირად შეხვედრებზე და... კალმის ოსტატებთან ლხინზეც.

ლადოს გული საქართველოს დედაქალაქი ჩაკენ მიუწევდა, თბილისზე ოცნებობდა.

ეს ოცნება, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ აღსრულდა!

პირველ აპრილს დავიწყეთ ხაგნების ჩაბარება. 14 აპრილისათვის მთელი დავალიანება დავფარეთ.

სტიპენდია აპრილიდან ორივეს დაგვინიშნეს. ოღონდ განაცდური არა და არ აგვინაზღაურეს.

მალე ლექციები დაგვიმთავრდა და ხახელმწიფო გამოცდებისთვის მზადება დავიწყეთ. აპრილის ბოლოს თუ მაისის პირველ რიცხვებში ლადო თბილისს გაემგზავრა, სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. აღარ ჩამოსულა, ისე კი ერთხელ მოინახულა ქუთაისი. ეს იყო ივნისის ბოლო რიცხვები. გახარებული იყო, თითქოს სახის ფერიც შეცვლოდა. თბილისური იერი დასდებოდა, „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში დაიწყო მუშაობა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მე ჩემს მშობლიურ სოფელში წავედი მასწავლებლად.

1959 წლის ივნისის ბოლოს, მივლინებით თბილისში მომიხდა ჩასვლა, ჩემი ხაქმეები რომ მოვითავე, „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში მივედი. ლადო მოვინახულე...

სიყვარულით მოვიკითხეთ ერთმანეთი, ბევრი ვისაუბრეთ, გავიხსენეთ სტუდენტური დღეები...

ლადო ძალიან კმაყოფილი იყო რედაქციაში მუშაობით.

— კარგი ამხანაგები არიან, ნიჭიერი, აქ მუშაობა სასახელოა, — მეუბნებოდა იგი.

ამ ლაპარაკით გამოვედით შენობიდან და სახტუმრო „თბილისს" მივაშურეთ... ძველებურად მოვილხინეთ და ბოლოს დავშორდით ერთმანეთს.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ინ ღამეს სენაკში ვბრუნდებოდი. მაგრამ ეს რა ვთქვი? ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო მეთქი? არა ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს, ოღონდ დიდი ხნის — 29 წლის შემდეგ. 1968 წლის 24 აპრილს, როცა ლადოს ნეშტი ვაკის სასაფლაოდან ქართველ მწერალთა და ხაზოგადო მოღვაწეთა დიდ[illegible] თეონში გადაასვენეს. პროცესიას ლადოს [illegible]ბის წევრების გარდა მისი ექვსიოდ[illegible]რი მიჰყვებოდა.

ჭაბუკი ლადო ოცნებობდა დიდი პოეტის სახელის მოხვეჭაზე. არ დასცალდა ბოლომდე ემღერა ჩვენი ქვეყნის ოქროყანისთვის. 28 წლისა წავიდა იგი ამქვეყნიდან. „რუსთაველის პროსპექტზე სიარული" ღმერთმა ადრე მოუშალა. მაგრამ ქართველი პოეტის სახელი სამარადჟამოდ შერჩა. მის პოეზიას ახალდგმულებდა ხამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ეს ხამშობლო იწყებოდა ბარდნალიდან, ნამკაშურის წისქვილებიდან, გუმარეშის მწვანე ჭალებიდან, ბულბულთა ნაამბორალი ვარდებიანი ბარდნარებიდან, იწყებოდა ნისლების თავსაფრიანი რუხი მთებიდან, ოჯალეშის ზვრებიდან, მიწის მკერდზე გაფანტული ღელეებიდან და წყაროებიდან... იწყებოდა და გადასწვდებოდა ქართლის ველებს, კახეთის ბარაქიან მიწას, კოლხეთის დაბლობებს, სვანეთის კოშკებს, იმერეთის ოდებს, მზიურ ჯფხაზეთის მელოდიებს, რუსეთის ტრამალებს, პოეტის სულს აფორიაქებდნენ და ხამშობლოს სიყვარულის გრძნობას ახალი ძალით უღვივებდნენ ომით გაუმაძღარი არაგველების ხაფლავები, ბებერი კრწანისის აბრდღვიალებული ყაყაჩოები, პირველი მშედლები, მამაც იბერიელთა ნაწრთობი ქართული იარაღი, ცხრა ძმა ხერხეულიძის დარახტულ ბედაურთა ჭიხვინი, ხავსიანი ციხის გალავანზე მთვლემარე არწივები და ქართველი ვაუკაცების მხარდამხარ მებრძოლი გმირი ქალები. ხამშობლოს სიყვარულში დაიფერფლა პოეტის გული, რადგან ხაქართველო იყო მისი ხოცნებო ხახელი.

ლადოს ხიბლავდა ჩვენი მზიური ეპოქა და ოცნებობდა იმაზე, რომ დარჩენილიყო „ამ სიცოცხლის მომღერალი მომღერლების ქვეყანაში" — ძნელია მომღერლების ქვეყანაში მომღერლად დარჩენა, ხშირად ამბობდა იგი — სადაც ძომღერლები არ არიან, იქ კი უველა ივარგებს მომღერლად.

ლადომ მტკიცედ დაიმკვიდრა მომღერლის ადგილი მომღერლების ქვეყანაში — ხაქართველოში.

„გთხოვთ არ გიგოთ სხვანაირ სახით
ეს გახუმრება და ეს ბარათი,
მე მინდა თქვენთან დავიდგა სახლი
და მთაწმინდაზე დაერჩე მარადის".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ გარამიძე

გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ სამეჯნურო ეპიზოდების გაგებისათვის

გიორგი მერჩულეს თხზულება „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“ სიტყვის ნატიფი ხელოვნებითა და ღრმა იდეური შინაარსით დატვირთული ეპიკური ტილოა. ამასთანავე, იგი წარმოადგენს ჩვენი ისტორიული ცხოვრების ფართო მასშტაბის ენციკლოპედიას. მასში ეპიკური სიხრულითა და მრავალსახოვნებითაა წარმოჩენილი ისტორიული სინამდვილე. ამ ნაწარმოებში ასახული ჩვენი ისტორიული წარსული და პრობლემათა ნაირსახეობა სრულ წარმოდგენას გვიქმნის ეპოქის არსსა და იმდროინდელი მოაზროვნის ფიქრთა სამყაროზე. ჩვენ დამარწმუნებლად აღვიქვამთ ისტორიულ ვითარებას: თუ რა აწუხებდა და რა ახარებდა იმდროინდელ მამულიშვილს, რა იყო მისი აზროვნებისა და ფიქრის საგანი და როგორი იყო მისი ცხოვრების სტილი. ეს მრავალმხრივ საინტერესო ეპიკური ქმნილება მაღალი მხატვრული გამომსახველობითა და მდიდარი სრულყოფით გვაწვდის მეტად სარწმუნო ინფორმაციას XVIII-IX საუკუნეების შესახებ, ინფორმაციას, რომელიც ვერ გამოვლინდა ამ პერიოდის მატიანეებსა და ქრონიკებში და ეს არცაა მოულოდნელი, რადგან „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“ ბელეტრისტული ქმნილებაა და, როგორც ასეთი, მისთვის დამახასიათებელი სიხავსით, სინამდვილე ბევრად უფრო ფართო და ადამიანური განცდების პრიზმაშია აღქმული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი, ვიდრე ეს სატიანეს მოეთხოვება. ამ თხზულების საშუალებით ვიცნობიერებთ ეპოქას, მისი რეალური მდგომარეობითა და სულიერი მოთხოვნილებებით. სინამდვილის ასე ფართო პლანით წარმოჩენა საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად გავიაზროთ იმ დროის სოციალ-პოლიტიკური ძვრები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანსწრაფვა, გაუდაბურებულ ადგილთა ათვისება და ხაამშენებლო მასშტაბები, ეკლესია-მონასტრების და სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, მეცნიერებისა და თეოლოგიის რთულ პრობლემებში ორიენტირება და მისი დამკვიდრება, ლიტერატურისა და ხელოვნების უჩვეულო აღმავლობა, ქვეყნის ეკონომიკური და სამეურნეო პოტენციალის გამოვლენა და განვითარება; იშვიათი სიცხადითაა ნაჩვენები შრომის პროცესი, გარემოცული უამრავი სირთულეებითა და წარმატების სიხალისით. დიდი ფსიქოლოგიური დატვირთულობითაა გამოძერწილი ისტორიული პირები, ხასიათთა ჭიდილი აღსავსე რთული კონფლიქტებითა და დაპირისპირებებით. ამ მასშტაბური ძვრების სიმძაფრეს ერთგვარად ანელებს და აფაქიზებს პერსონაჟთა ადამიანური შტრიხებისა და ნაზი, ინტიმური სამყაროს წარმომჩენი მიმზიდველი პასაჟები, ასევე უშუალოდ და ძალდაუტანებლად შევუავართ იმდროინდელ ყოფაში, რომელიც აღსავსეა ყოველდღიური წვრილმანებითა და საზრუნავით. ყოველივე ეს შთამბეჭდავადაა გაცოცხლებული სახიერი და დინჯი ეპიკური თხრობით.

უაღრესად ფართო სპექტრით წარმოჩინებულ და მოაზრებულ თხრობაში ორგანულადაა ჩართული ე. წ. სამეჯნურო ეპიზოდები. ამ ეპიზოდებმა ადრევე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება და მრავალი საგულისხმო მოსაზრება გამოითქვა. უპირველეს ყოვლისა, მასში ხედავდნენ ხაერო მოტივების შემოკრას, ხაერო მწერლობის ჩახახვის ელემენტებს. ამ ეპიზოდებთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა პროფ. ზ. ალექსიძემ.[1] მისი დაკვირ-

1 ზ. ალექსიძე, ბაგრატ ერისთავთა ერისთავის მიერ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ „განახლება“, ქართული წყაროთმცოდნეობა, V, 1978 წ.

ებით ეს სამეჯნურო ეპიზოდები არ უნდა ეკუთვნოდეს გიორგი მერჩულეს, იგი შემდეგ-

ინდელი ჩამატებაა, იმ ტიპისა, როგორიცაა ამავე თხზულებაში ჩართული სახნაულები. ე. ი. იგი არის ბაგრატ ერისთავთაერისთავის მიერ ჩატარებული სარედაქციო შრომის — „განახლება"-ს ტიპის სამუშაო. მოსაზრება თავისთავად ხაუურადღებო და გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორი ძირითადი სამეჯნურო ეპიზოდი აშოტისა და ადარნასესი, განსაკუთრებით კი აშოტისა, იმდენად სრულყოფილ, მაღალმხატვრულ თხრობას წარმოადგენს, რომ აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, გიორგი მერჩულეს გვერდით იკვეთება მეორე, არანაკლებად ნიჭიერი, მხატვრული სიტყვის ოსტატი, ახალი სტილის შემოქმედი, საერო მწერლობის წარმომადგენელი.

გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში" სამეჯნურო ეპიზოდების შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ ნაწარმოებში სამი ასეთი ეპიზოდია: I. ზენონის დის, II. აშოტის, III. ადარნასეს. თუ ნაწარმოებს ღრმად ჩაუკვირდები, სავსებით გარკვეულად იკვეთება მეოთხე ეპიზოდიც. კერძოდ, ადარნასეს ცოლის ეპიზოდი. ძნელი სათქმელია ეს სამეჯნურო ეპიზოდი რამდენად რეალური და რა მასშტაბის იყო, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ადარნასემ ცოლზე ეჭვიანობის გამო სასიკვდილოდ გასწირა მავანი ჭაბუკი — „სისხლი უბრალოსა ჭაბუკისა დასთხია". ასე რომ, ესეც ზენონის დაზე არანაკლებად ტრაგიკული ეპიზოდია.

ზემოაღნიშნულ ეპიზოდებს (განსაკუთრებით აშოტ კურაპალატისა და ადარნასესი), გარდა მათი მაღალი მხატვრული ეფექტისა, აქვთ დიდი ფუნქციონალური დატვირთულობა. ისინი არამარტო თხრობის წამყვანი კონსტრუქციის უცილობელი ნაწილი, არამედ ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი გააზრების მნიშვნელოვანი უაქტორია. ორივე ეპიზოდი ქრისტიანული მორალის მაღალი პრინციპების დამამკვიდრებელია. ნაწარმოების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა წარმოაჩინოს გრიგოლ ხანძთელის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ფართო მასშტაბები.

ეროვნული აღორძინების უცილობლად დიდი მეხაძირკვლე, გრიგოლ ხანძთელი გაუდაბურებულ რეგიონის დასახლებასთან, სამეურნეო-კულტურულ აღმშენებლობასთან ერთად, უპირველესად ერის ხულიერ ამაღლებასა და დაბვენას, განმტკიცებასა და განვითარებას ისახავდა მიზნად. ქვეყნის სიძლიერის უაქტორად მან ხუთი ძირითადი პრინციპი აქცია, ესაა — რწმენის სიმტკიცე, ენის ერთიანობა, ერის კონსოლიდაცია, განმანათლებლურ-აღმშენებლობითი მიზანსწრაფვა და ზნეობრივი სისპეტაკე. ეროვნული ერის ეროვნული მორალის განმწმენდავი და ხულიერი შეუდრეკელობა, ამაღლებული იდეალები, ... სებობა სიცოცხლის ამოცანად აქცია. ერის აღორძინების წინაპირობად სწორედ ეს ზნეობრივი კატეგორიები გაიაზრა და შთააგონა თანამემამულეებს. გრიგოლ ხანძთელის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი ასპექტია ოჯახის სიმტკიცის პრობლემა. ოჯახი, ვითარცა საზოგადოების ძლიერების ერთ-ერთი არსებითი უჯრედი, საგანგებო ფიქრისა და ანალიზის სფეროა ხანძთელისათვის. აღნიშნული ეპიზოდები სწორედ ოჯახის ზნეობრივი სიმყარისა და ქრისტიანული მორალის, ხანძთელის ხასიათის სიმტკიცისა და ავტორიტეტის შთამაგონებელია. ასე რომ, მოცემული ეპიზოდების საშუალებით გრიგოლ ხანძთელი, ერთი მხრივ, ოჯახის სიწმინდის შეუვალობის დამამკვიდრებელია, ხოლო, მეორე მხრივ, მასშივეა ჩაქსოვილი ქრისტიანული რწმენის უზენაესობა, მისი ზნეობრივი ყოვლისშემძლეობა და თვით გრიგოლ ხანძთელის პიროვნული სიმტკიცისა და შეუვალობის რწმენა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ ორივე ეპიზოდში ერთნაირი სიმკვეთრითაა წარმოჩენილი ოჯახის სიმყარის პრობლემა; ამავე დროს, ეს ორი ეპიზოდი გარკვეულ ნიუანსს ქმნის ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპების სხვადასხვა ასპექტის განვითარებაში. კერძოდ, თუ აშოტ კურაპალატის სამეჯნურო ეპიზოდში ხაზი ესმება გრიგოლ ხანძთელის მორალურ ავტორიტეტსა და მის პიროვნულ სიძლიერეს, რომ იგი სუბიექტურად იმდენად მტკიცე და უკომპრომისოა, იმდენად მაღალზნეობრივი პოზიციის დამცველია, რომ თვით დიდი გამმგებელი, აშოტ კურაპალატიც კი უძლური და უმწეოა მის წინაშე, რის გამოც ეს უკანასკნელი ექვემდებარება გრიგოლის ნებასა და სრულ თვით კაპიტულაციას ანდენს და ამის შედეგად კიდევ უფრო დიადდება გრიგოლის ისედაც შარავანდედმოსილი სახე, მისი უსაზღვრო ავტორიტეტი. განსხვავებული ნიუანსითაა წარმოჩენილი ადარნასეს ტრფიალების ეპიზოდი. ამ ეპიზოდში ძლიერი, საკმაოდ ჯიუტი და ერთგვარად უხეში ადარნასე არ ეუფება გრიგოლს, არ თმობს პოზიციას. მაგრამ ეს სიმტკიცეც დროებითი და მოჩვენებითია. საბოლოოდ იგიც მარცხდება. ღვთაების ყოვლისშეძლე ძალა სახტიკად სჯის მას, დაავადებს და ეს უკანასკნელი შვილებითურთ მონანიებით და თვითმხილებით აღიარებენ დანაშაულს, ცოდვას და პატიებას და შენდობას ითხოვენ. ე. ი. ქრისტიანული მორალის პრინციპები აქაც იმარჯვებს; კერძოდ, ამ ეპიზოდის მოშველიებით მწერალმა ნათელყო ღვთაებრივი ძალის ყოვლისშეძლეობა, ქრისტიანული მორალის სიწმინდე და სამართლიანობა. ასე რომ, ეს ორი სამეჯნურო ეპიზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ერთი არსის სხვადასხვა ასპექტის გამომხატველია; თუ აშოტ კურაპალატის ეპიზოდში გრიგოლ ხანძთელის ინდივიდუალური ხასიათის შეუდრეკლობა და თანმიმდევრობაა აქცენტირებული, მეორე — ადარნასეს ეპიზოდში კი საერთოდ ღვთაების ნების გარდაუვალობა და სამართლიანობაა გამოვლენილი. ორივე ეს ეპიზოდი განსხვავებული კუთხით ერთსა და იმავე ძირითად იდეას ეკვემდებარება. ესაა ქრისტიანული მორალის დამკვიდრებისა და ამ მორალით გამსჭვალული მოღვაწის ავტორიტეტის შეუვალობის დადასტურება. აი ეს იდეური შინაარსია ჩაქსოვილი ამ ეპიზოდებში. ამ მხოფლმხედველობითი მიზანდასახულობითაა ეს ეპიზოდები მოხმობილი მერჩულეს მიერ. მაგრამ ეს ეპიზოდები, განსაკუთრებით აშოტ კურაპალატის სამიჯნურო თავგადასავალი, ისეთი ოსტატობითაა წარმოსახული — ეს იქნება სიტუაციური კულტურის გამომსახველობითი ბელოვნება, თხრობის დინამიკა თუ ფსიქოლოგიურ განცდათა ნიუანსების დაჭერისა და წარმოსახვის გამოვლენა, რომ ყოველივე ამის მთლიანობაში წარმოდგენით, ჩვენს წინაშე იშლება ამ დიდი ეპიკური ტილოს ერთ-ერთი შესანიშნავი პასაჟი, რომელიც კომპოზიციური შეკრულობითა და სრულყოფით, თავისთავადობას, ერთგვარ მხატვრულ ავტონომიას აღწევს. აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა, რომ „სიძვის დიაცის" საკვიელია გამოვლენილიო, ეს კვალიფიკაცია არაფრისმთქმელია, მთავარია, როგორი ოსტატობითა და ფსიქოლოგიური დატვირთულობით წარმოგვიხატავს საშუალო საუკუნეთა ადამიანების განცდათა სამყაროს. ამ სამყაროს შეგრძნებისათვის საკმარისია, ზოგადად მაინც, მოვხაზოთ აღნიშნული ეპიზოდის ძირითადი შტრიხები.

გიორგი მერჩულე, როგორც ვხედავთ, რთული სოციალური და ეროვნული პრობლემის წამოჭრითა და დახატვით წარმოგვისახავს იმდროინდელ სინამდვილეს. ამასთანავე, მას ასევითვე წარმატებით ეხერხება ადამიანების, როგორც ხასულიერო, ისე საერო წოდების წარმომადგენელთა სულიერი სამყაროს, მათი ინტიმური ცხოვრების უაღრესად რელიეფურად და შთამბეჭდავად დახატვა. ამ მხრივ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს აშოტ კურაპალატის დაუვიწყარი და მეტად მიმზიდველი სახე. საერთოდ, ხანძთელის „ცხოვრებაში" ჩართული სამიჯნურო ეპიზოდები ქართული მწერლობის ბრწყინვალე ფურცლებია. გიორგი მერჩულეს მოთხრობაში ჩაქსოვილი სილამაზე სწორედ მწერლის თვალით დაინახა ვახტანგ ჭელიძემ, და მოცემული ეპიზოდით აღტაცებული გულწრფელად წერს: „გაიხსენეთ თუნდაც მეფის სამიჯნურო თავგადასავალი. ავტორი კი არ გვიყვება, თითქოს ფერწერულად გვიცოცხლებს სურათებს. თითქოს ადგერ შევ-

[illegible]

ყურებთ ჩვენს თვალწინ [illegible] ბელშებმულ მშვენიერ ახალგაზრდა [illegible], რომ მელიც მოხუც ბერს წინ [illegible] ლად შეწირული ზვარაკივით მონასტერში მიპყავს. აბლა იმ მონასტრის წინამძღვარი მონაზონი და იქ მეფის გამოცხადება, მეფის სახოწარკვეთილი ამოძახილი..., რომელმაც საუკუნეები გამოიარა და ჩვენამდე ცოცხლად მოტანა იმ ძლიერი ადამიანის არა მარტო გულის წუხილი, არამედ სუნთქვაც კი".[1] ამ საშუალო საუკუნეების მიჯნური რაინდის ვნებათა ღელვა და თავგანწირული ტრფიალი ისე ცოცხლად, უშუალობითა და სიმკვეთრით არის ახახული, რომ დღესაც გვხიბლავს „ამბავი მისი მიჯნურობისა". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გმირის სატრფიალო, ნაზი გრძნობების აღწერით მოცემული ეპიზოდი საერო ხასიათის მცირე ნოველას უფრო წააგავს, ვიდრე სასულიერო ნაწარმოების ფრაგმენტებს. ამ კომპოზიციურად შეკრულ, დახვეწილ ეპიზოდში ერთნაირად გვიტაცებს როგორც თხრობის დინამიკურობა, სიტუაციის დრამატული სიმძაფრე, ისე პერსონაჟთა ერთგვარად გულუბრყვილო და წრფელი ბუნება, დაუვიწყარია „სიძვის დიაცის" დარცხვენილი, მორჩილი და გრიგოლზე უმწეოდ მიდგომილი სახე, ხოლო, მეორე მხრივ, ლაღი, ტრფიალით აღგზნებული, ძლიერი ვნებათაღელვით შეპყრობილი, სიყვარულით წონასწორობადაკარგული მიჯნური, რომელიც სატრფოს დაკარგვით იმდენად აფორიაქებულია რომ ბელმწიფური დიდებაც კი არად მიაჩნია და სახოწარკვეთილი ამბობს: „ნეტა მას კაცსა, ვინ აღარა ცოცხალ არს"-ო.

ვაფკაცს სიცოცხლეც კი არად უჩანს, რადგან უხეშად ჩაერივნენ მის პირად ცხოვრებაში და გამოსტაცეს მისი სიცოცხლისა და ხალისის წყარო, რომლის ერთი შეხედვა მას ოცნებად ქცეულა და ამიტომ მომხიბვლელი გულუბრყვილობით ეკვდრება ფებრონიას — ცოტა ხნით გამოუშვით სახლშიო და ტაუილსაც კი მოიმიზეზებს, მას სახლის გასაღები გამომაყვანო. განა მართლა გასაღები აწუხებდა კურაპალატს, მაგრამ დიდი ხელმწიფე მხოლოდ მიზეზს ეძებდა, მიზეზს, რომ ცოტა ხნით მაინც დაუბრუნონ ის არსება, რომლის მიმართ რაღაც „მანქანებით იყო ტრფიალი".

ამ სამიჯნურო ეპიზოდშიც, ისევე როგორც ნაწარმოების მთელ რიგ სხვა მონაკვეთებში, სურათებს ავსებს და მიმზიდველს ქმნის იშვიათი სიფაქიზით მიგნებული და გამოძერწილი ნიუანსები. უამრავი, თითქოსდა შეუმჩნეველი, მაგრამ წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენი დეტალები. მერჩულე თხრობის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ აშოტ კურაპალატს „ეშმაკი ტრფიალებისა ფრიად აზრზენდა" და ამ ფრაზით

1 ვ. ჭელიძე. წერილები, 1978, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდენს მკითხველის ყურადღების მობილიზაციას, თავიდანვე განგვაწყობს და გვამზადებს დიდი ვნებათაღელვის განსაცდელად და იქვე დასძენს, რომ კურაპალატს „პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩვეულება“, ამით, ერთი მხრივ, გვაცნობს აშოტ კურაპალატის ბუნებას, მისი ცხოვრების სტილს და, მეორე მხრივ, მიგვანიშნებს, რომ მასში დიდი გარდატეხა მობდა, რომ მას შეეცვალა ბუნება და მკითხველიც გაურკვეველი სიახლის მოლოდინშია. ამის შემდეგ გადმოცემულია თუ როგორ გამიჯნურდა აშოტ კურაპალატი და შეიქმნა ოჯახის დანგრევის საშიშროება. გრიგოლმა გადაწყვიტა გარეულიყო კურაპალატის ინტიმურ საქმეებში. ამხილა იგი და მოითხოვა მისგან, რომ გაეშვა „დედაკაცი იგი“. კურაპალატმა აღიარა დანაშაული და დაპირდა სატრფოს გაშვებას, მაგრამ არ ეყო ნებისყოფა, „და ვერ დაამტკიცა თვისი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემოქნა გულისთქმასა“. როგორი შინაგანი ჭიდილი და განცდათა სიმძაფრეა! რარიგ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბრძენი და გამჭრიახი ხახელმწიფოს გამგებელი! ორეოფობს, დაიბნა, ერთი მხრივ გრძნობს პასუხისმგებლობას, საზოგადოებისა და მკაცრი მამხილებლის — გრიგოლის წინაშე და მეორე მხრივ გულისთქმას დაქვემდებარებული ვერ ელევა ტრფობის სიამეს. ამას გრიგოლიც გრძნობს და ხელმწიფისადმი პატივისცემისა და მოკრძალების გამო ერიდება აშკარა კონფლიქტს, უშუალო დაპირისპირებას. გრიგოლიც საგონებელშია, აშოტთან მისვლით ვაითუ კონფლიქტამდე მიიყვანოს საქმე და ამიტომ შესაფერის სიტუაციას ელის. ეს დროც დადგა. აშოტი საქმის გამო სადღაც შორს წავიდა სასახლიდან, გრიგოლმაც „ჰპოვა ჟამი მარჯუე“ და გაემართა სასახლისაკენ, მაგრამ აქაც დიდ სიფრთხილეს იჩენს. აშოტის სატრფოს განა აგრძნობინა მისვლის მიზეზი, არა, გარკვეული ტაქტიკური ნაბიჯი გადადგა. შეუთვალა, თითქოს როჟიკზე იყო მისული და ღამისთევის ნება ითხოვა. „დედაკაცმან მან“ მეტად გაიხარა, რომ თვით დიდი გრიგოლი იყო მათი სტუმარი. ამ ქალის ასეთი კეთილგანწყობა გრიგოლისადმი, მისი სიდიადის შეცნობა და აღიარება იმის მაუწყებელია, რომ ეს ქალი არაა შემთხვევითი და უზნეო ადამიანი, არამედ იგი ღირსეული პიროვნებაა და აშოტს მისადმი უსაზღვრო ტრფიალსაც საკმაოდ მტკიცე და ანგარიშგასაწევი საფუძველი ჰქონდა. ამდენად, უაღრესად მაღალ დონეზე გამოვლენილი სატრფიალო ურთიერთობა არ უნდა გავიაზროთ როგორც მდაბიური „სიძვის“ გამომხატველი შემთხვევითი ეპიზოდი. მეორე დღეს ნახვისა და დალოცვის სურვილი მოიმიზეზა გრიგოლმა, ამან კიდევ უფრო აღაფრთოვანა აშოტის სატრფო, „რაითამცა ღირს იქმნა ჯუარხა ნეტარისა მის კაცისასა“ და მსწრაფლ გამოეშურა გრიგოლთან. აქ კი გრიგოლმა ლოცვა-კურთხევის ნაცვლად მხილება და კიცხვა დაიწყო კეთილსა და გულუბრყვილო ქალს. „ესმეს, შორის ცოლ-ქმართა შთაგრილი ბარ“-ო. ქალმა დაირცხვინა, დაიბნა და გულუბრყვილოდ იწყო თავის მართლება: „წმიდაო ღმერთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა“. რამდენი უშუალობა და ადამიანური შტრიხებია ჩაქსოვილი ამ გულწრფელ საუბარში, ამავე დროს თანდათან უფრო ღრმად ვეცნობით აშოტ კურაპალატის ბასიათს, მის თავდავიწყებულ გატაცებას და გრძნობათა სიძლიერეს. ამან კიდევ უფრო დაფიქრა გრიგოლი და დაბეჯითებით მოსთხოვა ქალს მონაზვნად აღკვეცა, რადგანაც დარწმუნდა, რომ სხვა საშუალება აღარ იყო ვნებათაღელვის დაოკებისა. ქალიც მორჩილად გაჰყვა გრიგოლს.

გრიგოლს იმდენად რეალისტურად და ცოცხლად ჰყავს დახატული „სიძვის დიაცი“, რომ იგი არ ტოვებს აგიოგრაფიული თხზულებისათვის ნიშანდობლივი ეშმაკეული მაცდუნებლის სკემატურ, უსიცოცხლო სახის შთაბეჭდილებას. ნაწარმოებში იგი წარმოგვიდგება როგორც ინდივიდუალური თვისებების მქონე, სიცოცხლით სავსე მშვენიერი არსება, რომლის უშუალობა, სიკეთე და გულუბრყვილობა მართლაც მიმზიდველს ხდის მას და ამის გამო მოულოდნელიც აღარაა აშოტის „გარდარეული სიყვარული“. მერჩულე დეკლარაციულად კი არ აუწყებს მკითხველს, რომ აშოტ კურაპალატი აცთუნა ბოროტმა ძალამ, არამედ ის ხატავს, წარმოგვიდგენს მომხიბლავი მიჯნური ქალის შეხანიშნავ პორტრეტს და ამით ახდენს აშოტის ქცევის ფსიქოლოგიურ მოტივირებას. გრიგოლი კი არ მოძღვრავს, არამედ სურათს ხატავს. სავსებით დამარწმუნებელი ხდება კურაპალატის გატაცება და წმინდა ადამიანური სიხუსტე. როგორი უშუალობა და უმწეობა გამოსჭვივის ქალის თავისმართლებაში. იგი თითქოს აღხარებას წარმოთქვამს მოძღვრის წინაშე: რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, არაადამიანური სიყვარულითაა აშოტ კურაპალატი გამსჭვალული ჩემდამი და მე უბრალო ვარო. ეს დაჩოქილი, თვალცრემლიანი ქალი აშკარა სიმპათიასა და თანაგრძნობას იწვევს. აკი გრიგოლიც მშვიდდება, აღარ კიცხავს, არამედ ზრუნვითა და მოალერსებით მიჰყავს თან. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ მართლაც მომხიბლავი ახალგაზრდა ქალის მიმართ გულგრილი ვერ იქნებოდა მამაკაცი, ადვილად მოიხიბლებოდა თვით კურაპალატიც და მოულოდნელი არაა, რომ უმწეო ქალიც ვეღარ აღუდგა ყოვლისშემძლე ხელმწიფის ნებას. ამიტომ:ცაა, რომ მთელ ამ ეპიზოდს ძირითად მოტივად გასდევს აშოტ კურაპალატის ხაოცარი ძალის ხიყვარული; რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი „არა ღონითა რაჲთამე კაცობრივთა მახვითაჲთა იყო ტრფიალი მისა". ასეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ავტორი ოთხჯერ მიგვანიშნებს ამ ორგვერდიან შესანიშნავ ეპიზოდში.

ასე რომ, ეს სამიჯნურო ეპიზოდი არაა დიდაქტიკური მოტივისათვის უბრალოდ მოხმობილი უზნეობის მამხილებელი მონაკვეთი, არამედ ესაა საშუალო საუკუნეების მოქალაქეთა შესანიშნავი სატრფიალო თავგადასავალი, რომელიც დღესაც გვხიბლავს გრძნობათა სიძლიერითა და გულწრფელობით.

გიორგი მერჩულე მრავალპლანიანად და მისთვის ჩვეული სისავსით გვიხატავს აშოტ კურაპალატის სახეს. ავტორი, უპირველეს ყოვლისა, აშოტს წარმოგვიდგენს როგორც ბრძენსა და დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, მაღალი ეროვნული და ზნეობრივი იდეალების მქონე ადამიანს, საოცრად ემოციურსა და ფაქიზ პიროვნებას, რომლისათვის ეს სამიჯნურო გატაცება მოულოდნელი და მისი პიროვნული სისუსტის შედეგი იყო და არა უზნეობისა და მოუწესრიგებლობის კანონზომიერი გამოვლენა. ამიტომაცაა, რომ გიორგი მერჩულე მუდამ პატივისცემისა და მოწიწების გრძნობითაა გამსჭვალული აშოტ კურაპალატისადმი და ამ მოკრძალებაში იგრძნობა სწორედ კურაპალატის პიროვნული ღირსებების აღიარება და არა მხოლოდ მისი მდგომარეობისადმი ანგარიშის გაწევა.

მწერალი კურაპალატს თავიდანვე დადებით ფერებში წარმოუდგენს მკითხველს: „და მათ ეამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთის მსახური ხელმწიფეი დიდი ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნე". კურაპალატის სრული პორტრეტი, მისი ღვაწლის მკვეთრად, გამოჩინებით, დახატულია გრიგოლის სამგლოვიარო სიტყვაში: „მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო", „[illegible] ლოდი, აღმოსავლით — [illegible] ჩრდილოეთ — მე ანუ [illegible] ველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, ღმრთისმსახური ხელმწიფეო! ან ვითარ — მე მიეცი ხელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი — იგი იუდას მსგავსად შენ უფლისა თვსისა მკვლელ იქმნეს მისაკუდინებლად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?". ეს სამგლოვიარო, ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში უაღრესად მომჭირნეობით, მაგრამ არსებითი თვისებების გამოწვლილვით ეპიკური სიდიადით გვიხატავს კურაპალატის ისტორიულ სახეს, რომლის დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, ღრმადმორწმუნეობა და ზნეობრივი სიფაქიზე ერთ მთლიანობაშია წარმოსახული. ყოველივე ამის ფონზე კურაპალატის სამიჯნურო გატაცებები, მომენტალური, ლირიკული ხასიათის გადახვევის შთაბეჭდილებას სტოვებს და კიდევ უფრო სისხლსავსესა და მიმზიდველს ხდის ადრეულ საუკუნეთა ამ რომანტიკულ ფიგურას.

ამრიგად, აშოტ კურაპალატის „სამიჯნურო ეპიზოდი" კომპოზიციური შეკრულობითა და ხასიათთა ჭიდილით, განცდათა ღრმა და რეალისტური წარმოსახვითა და მხატვრული გამომხატველობითი ოსტატობით დამოუკიდებელი მცირე მოთხრობის შთაბეჭდილებას სტოვებს და ერთგვარად გვავიწყებს თუ რისთვისაა ეს ეპიზოდი მოხმობილი. მაშინ, როდესაც ამ ეპიზოდის არსი მდგომარეობს ნაწარმოების ძირითადი იდეური შინაარსის გამოვლენაში, ქრისტიანული მორალის დამკვიდრებაში, კერძოდ, ამ ეპიზოდით კიდევ უფრო ესმება ხაზი გრიგოლის ავტორიტეტის სიდიადესა და ღვთაებრივი ძალის ყოვლისშემძლეობის, სარწმუნოებრივი სიმტკიცის, ზნეობრივი სიფაქიზის გამოვლენას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ინაძე

კულტი და კულტმსახურება ძველ კოლხეთში

უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს მიწაზე (ვანი, ხაირბე და სხვ.) გამოვლენილმა მრავალმხრივ საინტერესო არქეოლოგიურმა ძეგლებმა მნიშვნელოვნად შეავსეს ჩვენი ცოდნა-წარმოდგენები კოლხეთის შორეული წარსულის, მისი საზოგადოების სულიერი კულტურის შესახებ.* ამ ძეგლების კვლევა-ძიება ზოგიერთ შემთხვევაში სავსებით ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს, ზოგჯერ კი გვაიძულებს კვლავ მივუბრუნდეთ ჯერ მხოლოდ კვლევის პროცესში მყოფ საკითხებს და ახალი კუთხით შევხედოთ მათ.

ამ აღმოჩენების მნიშვნელობა განუზომლად დიდია იმ თვალსაზრისითაც, რომ მათი წყალობით ხაბოლოოდ დადასტურდა ბერძნულ მწერლობაში შემონახული ცნობები და გადმოცემები ძველი კოლხეთის საზოგადოების დაწინაურების, კულტურის მაღალი დონისა და პოლიტიკური სიძლიერის შესახებ. გასაგები გახდა ისიც, თუ რატომ დაიმკვიდრა კოლხეთმა ესოდენ თვალსაჩინო ადგილი ძველ ბერძნულ მწერლობაში.

ძვ. წ. VI საუკუნე კოლხეთის საზოგადოების ისტორიაში მოსაბრუნი ხანაა. ამ დროს სრულდება კოლხთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთული და ხანგრძლივი პროცესი. კოლხთა პოლიტიკური გაერთიანების (სამეფოს) შექმნა წარმოგვიდგება როგორც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მანამდე არსებული რამდენიმე ეთნო-ტერიტორიული წარმონაქმნის შემოკრება-შემომტკიცება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში (რიონის გასწვრივ) მოსახლე დაწინაურებულ კოლხთა ტომის გარშემო. აღებულ ხანაში საკუთრივ კოლხთა საზოგადოება წამყვანია არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითაც. კოლხთა დაწინაურებაში ერთ-ერთი მთავარი როლი ინტენსიური მიწათმოქმედების, განსაკუთრებით კი მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ განვითარებას უნდა შეესრულებინა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ ვაზი თავდაპირველად საკულტო მცენარე უნდა ყოფილიყო. ადრე იგი ხატის საკუთრებას წარმოადგენდა და ინერგებოდა ძლიერი ხატომო ღვთაებების კუთვნილ მიწებზე, რის გამოც ვენახის პირველი დიდი მესაკუთრე წარმართული ტაძარი ხდება (ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1977).

კოლხეთის უმნიშვნელოვანესი ხატაძრო ცენტრებიც (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) სწორედ რიონ-ყვირილის ხეობათა გაყოლებით, ქვეყნის შუა და აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მევენახეობით განთქმულ რეგიონებში წარმოიქმნებიან და ვითარდებიან.

ძვ. წ. VI ს-დან კოლხური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ დაწინაურებას განაპირობებდა, აგრეთვე, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ხაბერძნეთის უდიდეს ცენტრებთან. ეს კავშირი, რომელიც ადრეანტიკური ხანიდან ხორციელდება მნიშვნელოვანი სანაოსნო გზის, რიონ-ყვირილის მაგისტრალის მეშვეობით, მძლავრი სტიმული ხდება შიდა კოლხეთის ეკონომიკურ შესაძლებლობათა ყოველმხრივი გამოვლენისა და ბუნებრივი სიმდიდრის ათვისებისათვის. ჭალაჭური ტიპის დასახლებათა უმრავლესობაც, თავიდანვე სწორედ ამ სავაჭრო-სანაოსნო გზის, რიონ-ყვირილის გაყოლებით აღმოცენდება და ვითარდება.

---

* აღნიშნული არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიების შესახებ დაწვრილებით იხ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები — „ვანი", ტ. I-VIII, თბ., 1972-1986, რედაქტორი ექსპედიციის ხელმძღვანელი ო. ლორთქიფანიძე; ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975; მისივე, მზით განათებული ათასწლეულები, თბ., 1989.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ძვ. წ. VI ს-ხათვის საკუთრივ კოლხთა საზოგადოება იმდენად წინაურდება, რომ იგი ახერხებს დასავლეთ საქართველოში ადრე არსებული, შედარებით ხუსტი ეთნო-პოლიტიკური წარმონაქმნების გამაერთიანებლის როლში გამოსვლას და საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მომცველი სახელმწიფოს შექმნას (ძველ ბერძენ ავტორთა ცნობების თანახმად, ძვ. წ. VI-IV სს-ში კოლხთა გაერთიანება მოიცავდა თითქმის მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს დღევანდელი ბიჭვინთიდან ტრაპეზუნტამდე, მისი აღმოსავლეთი საზღვარი კი ხურამის ქედამდე აღწევდა).

კოლხეთის სამეფოს ფორმირებასთან ერთად, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, სრულდება ე. წ. სკეპტუხიათა ჩამოყალიბების რთული პროცესიც. ადრეანტიკურ ხანაში სკეპტუხიები წარმოადგენდნენ კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომელთაც საფუძვლად დაედოთ ადრე აღმოცენებული ეთნო-ტერიტორიული წარმონაქმნები („ქვეყნები", „ხევები"). კოლხეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ეს წარმონაქმნები საგამგეო ერთეულებად იქცევიან, ხოლო მათი ადგილობრივი ხელისუფალნი, სატომო არისტოკრატიის წარმომადგენელნი, სამეფო მოხელის ფუნქციებითაც აღიჭურვებიან და საქვეყნოდ გამრიგენი ხდებიან (მ. ინაძე, კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXVI, № 6, გვ. 788-790).

კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი საგამგეო ერთეული — სკეპტუხია, როგორც ფიქრობენ, მდებარეობდა ყვირილის ხეობაში (ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 184). სკეპტუხიას ვარაუდობენ კოლხეთის ცენტრალურ ნაწილშიც, დღ. ვანის ქვეყანაში (ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე), „ვანი", III, თბ., 1977, გვ. 18, 19).

სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად კოლხეთში ჩნდებიან მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრებიც. წერილობითი ცნობების (აპოლონიოს როდოსელის და სხვ.) მიხედვით, ახეთი უნდა ყოფილიყო კუტაია (ქუთაისი), ხოლო არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ძველი საქალაქო ცენტრები გამოვლენილია დღევანდელი ვანისა და ყვირილის ხეობის ერთ-ერთი სოფლის — საირხის ხანახებში. ვანისა და საირხის პოლიტიკური ცენტრები ამავე დროს წარმოგვიდგებიან ეკონომიკურად ძლიერ ქალაქებად, ფართო სავაჭრო ურთიერთობებით, მაღალგანვითარებული ხელოსნობით, ქონებრივად და სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოებით, მაგრამ მთავარი და არსებითი, რაც ამ ცენტრებში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლით ირკვევა, ის არის, რომ ვანი და საირხე ადრიდანვე (ძვ. წ. VI-IV სს.) მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ [illegible] რებსა და კოლხეთის საგამგეო [illegible] მმართველთა რეზიდენციებს [illegible] ნდნენ, არამედ, ამავე დროს, დიდი სატაძრო ცენტრებიც იყვნენ. ეს ცენტრები ვანისა და საირხის „ქვეყნების" მთავარი ხამლოცველოების წიაღში იხახებიან ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში, მომდევნო პერიოდში კი, ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარებასთან ერთად, (ძვ. წ. VI-VII სს-დან) დასრულებული სატაძრო ორგანიზაციის სახეს იღებენ (მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში, „მაცნე", ისტორიის ... სერია, 1986, № 4. გვ. 32-58). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვანისა და საირხის სატაძრო საზოგადოებაში იმ ხანად უკვე შექმნილია უზენაეს ქურუმთა ინსტიტუტი და მათთან ახლო მდგომ კულტმსახურთა ფენა, რომლის წარმომადგენელთა მონაწილეობით აქ სრულდება ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რთული საკრალური ცერემონიალები, მკაცრად რეგლამენტირებული წესებისა და ნორმების დაცვით (მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., იქვე).

აქ ჩვენ გადავდივართ კოლხეთის ძველი საზოგადოების სულიერი კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ამისათვის საჭიროა უფრო დეტალურად შევჩერდეთ იმ საკრალურ რიტუალებზე, რომლებიც ზემოაღნიშნულ სატაძრო ცენტრებში სრულდებოდა კულტმსახურთა მონაწილეობით, და შევეცადოთ ამოვხსნათ მათში დამალული არსი.

დასახელებული საკულტო ცერემონიალების დედააზრის გაგების თვალსაზრისით უურადღებას იქცევს ვანსა (ე. წ. „ახვლედიანების გორაზე") და საირხეში (სბადურის გორაზე) გამოვლენილი ძვ. წ. V-IV სს-ის წარჩინებულ ქალთა მდიდრული სამარხები, რომელთა ინვენტარის დიდი ნაწილი საკულტო დანიშნულების ნივთებისა და სამკაულისაგან შედგება. გარდა მზის სიმბოლოებით — ლომის, არწივის გამოსახულებებით დამშვენებული ნივთებისა, სამარხებში აღმოჩენილია არაერთი სამკაული ნაყოფიერების ქალღვთაების — ბუნების მფარველი დიდი დედის კულტთან დაკავშირებულ ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით (ერთ-ერთი ოქროს ყელსაბამის საკიდები გაფორმებულია ვერძის თავების სახით, ხოლო ვერძი, ცხვარი ძველ კოლხთა წარმოდგენებში სიმბოლოა ნაყოფიერებისა, მოსავლიანობისა) აღსანიშნავია, აგრეთვე, ფრინველის ფიგურებიანი სამკაულის — საყურეების, ყელსაბამის ჩატანება. ფრინველთა ეს გამოსახულებებიც უკავშირდებიან ბუნების მფარველი დიდი დედის კულტს.

სამკაულთა შორის გამოირჩევიან სარიტუალო დანიშნულების ოქროსა და ვერცხლის დიადემები, რომელთაც მხოლოდ დიდგვარიანთა წრის წარმომადგენლები ატარებდნენ. სარიტუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულება ჰქონდა ასევე ციურ მნათობთა (მზის, მთვარის) სიმბოლოებით შემკულ ჭურჭელს (საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვანსა და საირხეში, ისევე, როგორც მთელ კოლხეთში, შეინიშნება მზისა და ნაყოფიერების ქალღვთაების კულტების ფუნქციონალური შერწყმა, რაც აირეკლება ამ ღვთაებათა სიმბოლოებშიც (მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში).

ზემოაღნიშნული საკულტო რიტუალის ჭეშმარიტი შინაარსის დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა მაინც ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვის დროს შესრულებული საკრალური ცერემონიალის გათვალისწინებას აქვს. სახელდობრ, კვლევა-ძიებით გაირკვა, რომ მთავარი მიცვალებულის — უზენაესი ქურუმი ქალის დაკრძალვისას, მასთან ერთად, დაუკრძალავთ ახალგაზრდა ქალები, რომლებიც, მათთვის ჩატანებული სამკაულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოების რიგით წევრებს, ქურუმის ჩვეულებრივ მოახლეებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ სატაძრო კოლექტივის ღირსეულ პირებს, რომელნიც უზენაესი ქურუმის სიცოცხლეშიც უმნიშვნელო როლს არ ასრულებდნენ ვანისა და საირხის ტაძრების საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, მათ საკულტო რიტუალებში; ქურუმის გარდაცვალების შემდეგ კი, მისი დაკრძალვის დროს, საკუთარი ნება-სურვილით მსხვერპლად ეწირებოდნენ ნაყოფიერების ღვთაებას — ბუნების მფარველ ქალღმერთს, რომლის მსახურებაშიც ისინი იმყოფებოდნენ.

ამრიგად, ამ ქალთა მიერ თავიანთი თავის მსხვერპლად შეწირვის ფაქტი აიხსნება არა მათი უუფლებობით, არამედ ქურუმი ქალისა და მისი თანხმლები ღვთითშთაგონებული პირების დაკრძალვის ცერემონიალის საკულტო ხასიათით. აქ უველაფერი ნაყოფიერების ღვთაების — ბუნების მფარველი დიდი დედის სახელით ხდებოდა და მისი ფუნქციების გაძლიერება-განახლებას ემსახურებოდა. ეს საკულტო აქტი სავსებით გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ღვთაებისათვის ადამიანის — მეფის, უფლისწულის, ქურუმისა და საზოგადოების სხვა წევრთა, მსხვერპლად შეწირვის წესი მსოფლიოს არაერთი ხალხის რელიგიურ წარმოდგენებსა და ყოფაშია დადასტურებული. ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ ციურ მნათობებს — მზესა და მთვარეს, ასევე ნაყოფიერების ღვთაებას. როგორც საისტორიო გადმოცემები მოწმობენ, ეს წესი შორეულ წარსულში არსებობდა საქართველოსა და საბერძნეთშიც (მ. ინაძე, დასახ. ნაშრ.).

მსხვერპლად შეწირვის წესი ადამიანებისა, რომელთაც მიაწერდნენ ღვთაებასთან სიახლოვეს, მასთან კავშირს ანუ ღვთითშთაგონებას, იმაში მდგომარეობდა, რომ ძველი ხალხების წარმოდგენით ნაყოფიერების ღვთაება (ისევე, როგორც ბუნება) მოკვდავია, იგი შეიძლება [illegible] ბერდეს და ამის გამო დაკარგოს თავისი [illegible]ციები. ამიტომ საჭიროა დროდადრო მისი ძალების განახლება, ისევე როგორც ეს ბუნებაშიც ხდება (მცენარეული სამყაროს ყოველწლიური კვდომა და კვლავ აღდგენა). ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი სამსხვერპლო ცერემონიალებიც ბუნების ამ განახლება-აღორძინებას ისახავდა მიზნად. ამ დროს მიწაში მარხავდნენ ან ღვთაების გამოსახულებას, ანდა, უფრო ხშირად, მსხვერპლად შეწირულ ადამიანს, რომელიც ნაყოფიერების ღმერთთან არის დაკავშირებული, მის მსახურებაშია, და ამდენად მისი ნების შემსრულებელია, მისი წარმომადგენელია (Дж. Дж. Фрезер, золотая ветвь. М; 1983, გვ. 160, 266, 277, 535-554). ღმერთის გამოსახულების , ან მისი განმასახიერებელი მსხვერპლად შეწირული ადამიანის დაკრძალვის რიტუალში რომ მართლაც ეს აზრი უნდა იყოს ჩაქსოვილი, ამის კიდევ ერთი დასტური ვანში, ახვლედიანების გორის ზედა ტერასაზე, ქურუმი ქალის გვერდით, რკინისაგან გამოჭედილი მამაკაცის ღვთაების ითიფალური ქანდაკების დაკრძალვის ფაქტია (სამარხი ძვ. წ. III ს-ეს განეკუთვნება (ნ. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, „ვანი", I, თბ.; 1972). სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით მართებულად არის შენიშნული, რომ ეს ნაყოფიერების წრის ღვთაებაა, რომლის ქანდაკების დაკრძალვა ქურუმი ქალის გვერდით ბუნების კვდომასა და აღდგენას, მის აღორძინებას უკავშირდება (Г. А. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды), III т., 1978.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, უზენაესი ქურუმი ქალი და მის ახლომდგომი მომსახურე პერსონალი (ღვთითშთაგონებული ახალგაზრდა ქალები), რომელნიც თავიანთი ნებით მსხვერპლად ეწირებიან ბუნების მფარველ ნაყოფიერების ღვთაებას, დამახასიათებელი მოვლენაა ადრეანტიკური ხანის კოლხეთის, სახელდობრ, ვანისა და საირხის საზოგადოების სულიერი ცხოვრებისათვის.

ზემოგანხილული რკინისკაციანი ქურუმი ქალის სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ელინისტურ ხანაში უმაღლესი კულტმსახურის დაკრძალვის რიტუალში ღვთითშთაგონებულ ქალთა ადგილს ნაყოფიერების ღვთაების ქანდაკებები იკავებენ.

არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიებით ისიც ირკვევა, რომ ვანის სატაძრო თემში ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ საკრალურ რიტუალებში ზემოაღნიშნულ კულტმსახურ ქალებთან ერთად მონაწილეობდნენ წარჩინებულთა წრიდან გამოხული მამაკაცები, რომელნიც ამავე დროს, მეომრებსაც წარმოადგენდნენ. ეს დიდგვარიანი მეომრები ნაყოფიერების ქალღვთაების მცველებად ითვლებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი თანმხლები ქურუმის ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ზემოთქმულის თვალნათლივი მოწმობაა ის გარემოება, რომ ე. წ. „ახვლედიანების გორის" წვერზე, იქ, სადაც დიდი რიტუალური მოედნები და საკულტო ნაგებობათა ნაშთებია გამოვლენილი, ზემოთ ხსენებული მამაკაცის რკინის ქანდაკების გვერდით დაუკრძალავთ ძვირფასი ჯავშნით აღჭურვილი მაღალი რანგის მეომარი, რომელიც ქანდაკების მეორე მხარეს დაკრძალულ ქურუმ ქალთან ერთად ჩანს, უმნიშვნელო როლს არ ასრულებდა აქ გამართულ საკულტო რიტუალში.

ვფიქრობთ, ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებდნენ იმავე „ახვლედიანების გორის" წვერზე გამოვლენილ სამარხში დაკრძალული მეომრები, რომელთა ახლოს მიწაში ჩასვენებული აღმოჩნდა ქალი და მამაკაცი — ნაყოფიერების ღვთაებების ბრინჯაოს ქანდაკებები О. Д. Лордкипанидзе, город-храм Колхиды, М., 1984, გვ. 78-81.

ასევე საირხეში (საბადურის გორაზე) წარჩინებულ კულტმსახურ ქალთა სამარხების ზემოდან დასვენებული აბჯრიანი მეომრები (ამჟამად ქვაყრილში შემორჩენილია მხოლოდ ჯავშნის შემადგენელი ლითონის ფირფიტები).

კოლხეთის სატაძრო-პოლიტიკური ცენტრების საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მისი სტრუქტურისა და თეოკრატიული ბუნების გამოვლენას, ზემოთ განხილულ მდიდრულ სამარხებთან ერთად, სინათლე შეიძლება მოჰფინოს ამ ბოლო ხანებში ვანის ნაქალაქარზე, იმავე „ახვლედიანების გორაზე" ნაპოვნმა ბერძნულმა წარწერამ, რომელიც ბრინჯაოს ფილაზეა გაკეთებული. იგი ხანძრისაგან არის ძლიერ დაზიანებული. წარწერა შეისწავლა და გამოსცა თ. უაუხჩიშვილმა. მანვე, პირველმა, შემორჩენილი სიტყვებისა და წინადადებების ცალკეული ნაწყვეტების მიხედვით, წარმოადგინა მის მიერ წაკითხული ტექსტის განმარტება. ხაზგასმით, ირკვევა, რომ მოთათბირეთა მიერ შედგენილია საკანონმდებლო დოკუმენტი, საფიქრებელია, საკრალური წარწერა, რომელიც შეიცავს გარკვეული რიტუალის შესრულებისათვის დადგენილ წესებს, მათ ჩამოთვლას; გარკვეული პირები (არ ვიცით ვინ, წარწერის ეს ადგილი დაზიანებულია) უნდა იყვნენ ყოველმხრივ წმინდა იმისათვის, რომ ხელი მოჰკიდონ რაღაც საქმის წამოწყებას. განწმენდილნი უნდა იყვნენ საფლავთან შეხების შემთხვევაშიც და ეს ეხებათ იმ პირებს და მათ ჩამომავლებსაც. ეს დადგენილება ამოჭრილია სტელაზე. გარდა ამისა წარწერა მოუწოდებს „მათაც" და „ქალებსაც" და „ყველა დანარჩენთ" მისდიონ ამ „დაწერილს"... სტელა, აღნიშნული დადგენილებით, აღმართული ყოფილა სურიში, (ე. ი. დღევანდელი ვანის ადგილას მდებარე ქალაქში). მოუწოდებენ ღმერთებს: დედამიწას, მზეს, მთვარეს; რომელიღაცა ერთს (ამ...?) ღვთაებათაგანს, შესლოვენ, იყოს მოწყალე. მაგრამ ეს მოწყალ[illegible] ბა მათზე, ვინც განიზრახა, [illegible] (ე. ი. ამ დადგენილების საკრალური წესებით აღკვეთილი) საქმე. მოთათბირეთა მიერ დადგენილია, ვინც ამის საწინააღმდეგოს გააკეთებს, მას ნურც ღმერთები უშველიან და ყოველგვარი უბედურება დაატყდეს მას თავს (თ. უაუხჩიშვილი, ვანის ახლადაღმოჩენილი ბერძნული წარწერა, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 131-142).

წარწერაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სიტყვა „ქალები", რომლებიც „ყველა დანარჩენთაგან" ცალკე არიან მოხსენიებულნი. თ. უაუხჩიშვილის სამართლიანი ვარაუდით, ტექსტში გამორჩეულად დასახელებული ეს „ქალები" ისევე, როგორც მათ წინ ნაცვალსახელით („მათგან") აღნიშნული პირები (დანამდვილად არ ვიცით ვინ, სავარაუდებელია „მამაკაცები") ერთი წრის წარმომადგენელნი უნდა იყვნენ, ხოლო აქვე, მათ შემდეგ, დასახელებული „ყველა დანარჩენები" კონტექსტით სხვა ფენას უნდა ეკუთვნოდნენ (თ. უაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137, 138).

აქვე, ბერძენი ავტორის — სტრაბონის ერთერთ ცნობაში აღწერილი ვითარების ანალოგიით, თ. უაუხჩიშვილი იმასაც ვარაუდობს, რომ ვანის წარწერის ეს „ქალები" ტაძრის მონები — „მიეროდულები" უნდა იყვნენ (იქვე).

მართლაც, წარწერაში ამ „ქალების" „ყველა დანარჩენთაგან" გამოყოფა, მათგან ცალკე და მათზე წინ მოხსენიება, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს გარემოება უთუოდ ანგარიშგასაწევია ამ „ქალთა" სოციალური კატეგორიის დადგენისას. ჩვენი ვარაუდით, რადგან „ეს „ქალები", „ყველა დანარჩენთაგან" განსხვავებით ვანის საზოგადოების უფრო მაღალ ფენას განეკუთვნებიან, ამდენად მათში ჩვეულებრივი ტაძრის მონები კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ტაძრის კოლექტივის დაწინაურებული ზედაფენის წარმომადგენელნი.

ამავე ფენას განეკუთვნებოდნენ, როგორც ჩანს, ამ „ქალების" წინ დასახელებული პირებიც (თ. უაუხჩიშვილის ვარაუდით, მამაკაცები), რომელნიც წარწერაში ნაცვალსახელით — „მათგან" არიან აღნიშნულნი. ეს პირები, „ქალებთან" ერთად, „ყველა დანარჩენთაგან" უკვე გამოყოფილი სოციალური ზედაფენის წარმომადგენელნი არიან.

ამრიგად, ვანის წარწერის განხილვა გვაფიქრებინებს, რომ აქ ვანის სატაძრო საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამათგან ტაძრის ღვთის მსახურთა რიგით წევრებად, ჩვეულებრივ „ტაძრის მონებად" უფრო შეიძლება გააზრებულ იქნენ ისინი, ვინც „ყველა დანარჩენებში" იგულისხმებიან. მცირე აზიის სატაძრო ცენტრების ანალოგიის მიხედვით

თუ ვიმსჯელებთ, ასეთი „ტაძრის მონები“ ანუ „ჰიეროდულები“ დიდი რაოდენობით იხსენებენ კაპადოკიის, პონტოსა და სხვა თეოკრატიული გაერთიანებების საღვთო მიწებზე და ქმნიდნენ მათი მმართველი ზედაფენისათვის მატერიალურ დოვლათს. ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში აურაცხელი რაოდენობით ჩატანებული ძვირფასი ლითონის — ოქროსა და ვერცხლის სამკაულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი ჰიეროდულები კოლხეთის მნიშვნელოვანი სატაძრო ცენტრების მიწის ნაკვეთებზედაც მრავლად სახლობდნენ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970).

ვანის სატაძრო ცენტრში, საღვთო ნაკვეთზე საკრალური ხასიათის საკანონმდებლო დადგენილების შემცველი სტელის დადგმა თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. ამ წარწერით, უწინარეს ყოვლისა, თვალნათლივ დასტურდება ვანისა და საირხის ზემოთ განხილული მდიდრული სამარხების კვლევა-ძიებით დახატული ძალზე საინტერესო სურათი, რომლის მიხედვით ამ ცენტრების საზოგადოების სულიერი ცხოვრების დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენდა ტაძრის ღვთის მსახურთა ზედაფენის — წარჩინებული ახალგაზრდა ქალებისა და მეომარი მამაკაცების მონაწილეობა ნაყოფიერების ღვთაებისა და ციური მნათობებისადმი მიძღვნილ რთულ საკრალურ ცერემონიალებში.

ვანის წარწერის განხილვა გვარწმუნებს, რომ შეუძლებელია გარკვეული კავშირი არ დავინახოთ საკრალურ ტექსტში გამორჩეულად მოხსენიებულ ამ „ქალებსა“ და კანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში უზენაეს ქურუმ ქალებთან დაკრძალულ წარჩინებულ ქალებს შორის. როგორც ჩანს, ეს პირნი ერთ-ერთ არსებით როლს ასრულებდნენ ვანის სატაძრო ცხოვრებასა და აქ გამართულ საკულტო რიტუალებში.

ზემოთ განხილული საკრალური წარწერა მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ასეთი ხასიათის საკანონმდებლო დადგენილების გამოტანა ელინისტური ხანის ვანის სატაძრო კოლექტივის მიერ, იმ რიტუალური წესების ჩამოთვლით, რომლებსაც, სხვებთან ერთად უნდა მისდიოს ამ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა, უდავოდ მოწმობს ზემოთ მოტანილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე გამოთქმულ იმ მოსაზრებებსაც, რომ ვანში, ისევე როგორც კოლხეთის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებში (საირხე), ძვ. წ. მე-6-4 სს-ში უკვე არსებობს საკმაოდ განვითარებული სატაძრო ორგანიზაციული ფორმები, ხოლო საკრალური წესები სრულდება მკაცრად განსაზღვრული ნორმების დაცვით, რომლებსაც მისდევს როგორც უზენაესი ქურუმი, თვისი თანმხლები ღვთითშთაგონებული ქალებითა და წარჩინებული მეომრებით, ისე ამ საზოგადოების ყველა სხვა წევრი. ხოლო წარწერაში საგანგებოდ აღნიშნა იმისა, რომ ისინი, ვინც მონაწილეობენ საკრალურ ცერემონიალში, უნდა იყვნენ „განწმენდილნი საფლავთან მისვლამდე და მასთან ბისას (მასთან „შუბების შემთხვევაში“) და ეს შეეხება „მათაც“ (ვინც უთუოდ მონაწილეობდა ამ რიტუალში) და „მათ ჩამომავლებსაც“, იმის დასტურიც არის, რომ ვანის სატაძრო საზოგადოებაში ელინისტურ ხანაშიც გამორჩეული პატივით ეკიდებოდნენ წინაპართა საფლავებს. ვფიქრობთ, ძნელია დაეჭვება იმაში, რომ აქ სწორედ იმ წმინდა საფლავებზეა საუბარი. სადაც ადრეანტიკურ ხანაში უზენაესი ქურუმი ქალებისა და მათი თანმხლები ნაყოფიერების ღვთაებისათვის მსხვერპლად შეწირული პერსონალის დაკრძალვისას სრულდებოდა საკრალური ცერემონიალი.

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ელინისტური ხანის ვანში (სურიში) ძველი რელიგიური ტრადიციების დამცველი თეოკრატიული საზოგადოების არსებობას, რომელშიც ჯერ კიდევ მყარად იყო შემონახული ოდითგანვე ფესვგადგმული რწმენა-წარმოდგენები და წინაპართა მიერ დადგენილი რიტუალური წესები. თუმცა, რა თქმა უნდა, ელინიზმის მღელვარე ხანაში კოლხეთის საზოგადოების განვითარებაში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებთან, მის წინსვლასთან ერთად ეს რიტუალური ნორმებიც უთუოდ გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ დროს (ძვ. წ. IV ს-ის დასასრულსა და ძვ. წ. III ს-ში), მართალია ვანის რელიგიურ ცერემონიალებში კვლავ მონაწილეობენ ქურუმი ქალები, მაგრამ აღებული ხანის მდიდრული სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკვე აღარ ხდება უზენაეს ქურუმ ქალთან ერთად მის თანმხლებ მსხვერპლად შეწირულ ახალგაზრდა კულტმსახურთა დაკრძალვა, ამ დროს მის გვერდით საფლავში აწვენენ მხოლოდ ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულებებს.

ელინისტურ ხანაში ბევრი ცვლილება და სიახლე შეინიშნება ვანის საზოგადოების სულიერი ცხოვრების სფეროშიც და ყოფაშიც. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ვანსა და მის სანახებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების — საცხოვრებელ ნაგებობათა, კერამიკის, ოქრომჭედლობისა და სხვათა ხაგულდაგულო შესწავლამ აჩვენ ელინისტური ხანის ვანის მატერიალურ კულტურაში ადგილობრივი კოლხური ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად, აღმოსავლურ-ქართული და ასევე ელინისტური სამყაროს საკმაოდ ძლიერი გავლენა, რაც იმ დროის შიდა კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებს თავისებურ, ახალ იერს აძლევს. ელინისტურ ხანაში ვანის ნაკალაქარზე განაგრძობენ არსებობას ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ადგილობრივი

ღვთაებებიც, რომლებიც უკავშირდებიან ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტს.

ბუნების მფარველი ქალღვთაება ოფიციალურად აღიარებული კულტია არა მარტო ადრეანტიკური ხანის, არამედ ელინისტური ეპოქის ვანშიც, თუმცა ამ დროს ის უახლოვდება და ერწყმის ბერძნულ აგრარულ ღვთაებებს — გეას, დემეტრას, აფროდიტეს, ასევე მცირეაზიულ კიბელეს (მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, თბ., 1988).

ყველა ეს სიახლე და ცვლილება შედეგად მოჰყვა ადგილობრივი კოლხური საზოგადოებისა და მისი ხატაძრო-საჭალაჭო ცენტრის შემდგომ განვითარებას ახალ ეკონომიკურ, კულტურულ გარემოსთან (ელინისტურ სამყაროსთან) მჭიდრო კონტაქტსა და მეზობლად წარმოქმნილი იბერიის სამეფოდან შემოჭრილ ძლიერ გავლენას.

ელინიზმის ეპოქაში ცვალებადობა შეინიშნება ვანის ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. ფასისის საერთაშორისო სანაოსნო მაგისტრალთან მდებარე იმდროინდელი ვანი (სური) წარმოგვიდგება ფართო კონტაქტების მქონე უდიდეს ქალაქად, რომლის ახლადწარმოქმნილი სავაჭროსახელოსნო უბნები ვანის ძველი საკულტო ცენტრის (ე. წ. „ახვლედიანების გორის") მახლობლად მდებარე დაბლობ ადგილებში იყო განლაგებული. აქ თავს იყრიდა მრავალი უცხოენოვანი (ძირითადად ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე) ვაჭარი, აქვე, ამ ახალ უბნებში ცხოვრობდნენ იმდროინდელი სამყაროს უდიდესი ცენტრებიდან (სინოპე და სხვ.) ჩამოსული ხელოსნებიც.

ამავე დროს, „ახვლედიანების გორად" წოდებულ ბორცვზე ჩნდება ელინისტური ტექნიკითა და ბერძნული ხუროთმოძღვრული წესებით ნაშენი მრავალი საკულტო ნაგებობა, რის შედეგადაც ქალაქის ეს ადგილი, თავისი გარეგნული იერით, ელინიზირებული თეოკრატიული ცენტრის ელფერს იღებს.

როგორც ჩანს, ამ დროს აქ, შეხებამისი ცერემონიალებით კვლავ სრულდება დიდი საკრალური დღესასწაულები, რომლებსაც, ძვ. წ. III-I სს-ის მცირე აზიის (პონტოს, კაპადოკიის და სხვ.) დიდ სატაძრო გაერთიანებაში არსებული ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადგილობრივი სატაძრო თემის წევრების გარდა, ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული უცხოელნი, ვაჭრები, მეიმრები და მრავალი ის პირნი, რომელნიც გარკვეული მიზეზით დაინტერესებულნი იყვნენ ამ სადღესასწაულო ცერემონიალებში მონაწილეობით. ისინი შესთხოვდნენ ნაყოფიერების ქალღვთაებას მფარველობას, დაბმარებას რაიმე საქმეში, სწირავდნენ მას მსხვერპლს; ზოგიერთი შეძლებული ვაჭარი კი ღვთაებისთვის შესაწირავად არ იშურებდა დიდი ფულადი თანხის გაღებას. [illegible] შანდობლივად გვეჩვენება ვანის „საკრალურ" დადგენილებაში საგანგებოდ [illegible] სადაც ლაპარაკია რაღაცის აღიცხვის, დათვლის შესახებ („ვინც ჩაურთავს და ვინც დათვლის, იანგარიშებს"). სავსებით შესაძლებელია ეს პუნქტი სწორედ ამ შეწირული თანხის ან სხვა რამ შესაწირავის დათვლას (ანგარიშს) გულისხმობდა.

ვანის სატაძრო ცენტრში გამართულ სადღესასწაულო ცერემონიალებში არა მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოების, არამედ უცხოელთა მონაწილეობის დამადასტურებლად მიგვაჩნია საკრალურ დადგენილებაში იმის აღნიშვნა, რომ ის, ვინც ხელს მოკიდებს რაიმე საქმის წამოწყებას, უნდა იყოს ყოველმხრივ წმინდა და რომ ეს დადგენილება მიმართულია სხვათა შორის იმ პირთა წინააღმდეგაც, ვისთანაც ვერაფერს გააწყობ (როგორც ჩანს, ამ აკრძალვის გარეშე). ვფიქრობთ, დადგენილების ეს მუხლი მიმართული იყო უპირველესად იმ პირთა წინააღმდეგ, ვისაც შეეძლო ვანის ტაძარში მიღებული საკრალური წესები უხეშად დაერღვია და ვისაც ამიტომ ამ საკანონმდებლო „დაწერილით" საგანგებოდ გაფრთხილება და მკაცრი აკრძალვა სჭირდებოდა. ბუნებრივია, ასეთი პირები სადღესასწაულო ცერემონიალში მონაწილე უცხოელთაგანნი უფრო შეიძლება ყოფილიყვნენ, ვიდრე ვანის სატაძრო თემის წევრები, რომელნიც ტრადიციულად ისედაც კარგად იცნობდნენ აქ მოქმედ საკრალურ წესებსა და ნორმებს. თუმც, ჩანს, არც ის იყო გამოსარიცხი, რომ გამონაკლისის სახით საკანონმდებლო დოკუმენტში აღნიშნული წესები სატაძრო თემის რომელიმე წევრსაც დაერღვია. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ „დაწერილში" საგანგებოდ არ იქნებოდა აღნიშნული, რომ აქ ჩამოთვლილ წესებს უნდა მისდიონ „ჭალებმა" და სატაძრო კოლექტივის დანარჩენმა წევრებმა.

ამრიგად, ვანის საკრალური წარწერის განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ელინისტურ ეპოქას კოლხეთის სატაძრო-საჭალაჭო ცენტრების ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებები უნდა მოეტანა.

ამ ცენტრების საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმას, რასაც თან სდევდა ღრმა ძვრები სატაძრო თემების სოციალურ განვითარებაში, გარედან მოსული ვაჭრების, ხელოსნების მოზღვავებას უთუოდ უნდა გამოეწვია საკულტო ცენტრებში ძველთაგანვე ტრადიციულად დადგენილი საკრალური წესების შეცვლის, მათი ხელახლა გადამუშავების, ახალი საკანონმდებლო ნორმების სახით ჩამოყალიბებისა და გამართვის საჭიროება, რაც თავისთავად გულისხმობდა იმ ახალი ურთიერთობების გათვალისწინებასაც, რომელიც მყარდებოდა სატაძრო კოლექტივსა და გარედან მოსულ, ქალაქის ახალ უბნებში თავმოყრილ უცხოენოვან მოსახლეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას შორის. ვფიქრობთ, რომ ვანის ზემოთ განხილული საკანონმდებლო დოკუმენტის ანუ „დაწერილის" შემუშავება სატაძრო თემის წარმომადგენელთა მიერ სწორედ ამგვარი საჭიროებით იყო ნაკარნახევი.

ზემოთ აღწერილი ვითარების გათვალისწინების შემდეგ სავსებით გასაგები ხდება ის გარემოება, თუ რატომ უნდა შექმნილიყო შიდაკოლხეთის საკულტო-საჭალაქო ცენტრში ადგილობრივი სატაძრო საზოგადოების საკანონმდებლო დოკუმენტი ბერძნულ ენაზე. ეს ფაქტი მით უფრო გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ელინისტურ ეპოქაში, წინა პერიოდთან შედარებით, მთელ იმდროინდელ სამყაროში საგრძნობლად იზრდება ბერძნული ენის, როგორც სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობის, დამწერლობის, მეცნიერებისა და კულტურის, ენის მნიშვნელობა. ამავე დროს, ძვ. წ. III ს-დან ბერძნული ენა გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს და პოზიციებს ამკვიდრებს მთელ აღმოსავლეთში სირიიდან ინდოეთამდე, როგორც საქმის წარმოებისა და კანონმდებლობის ენა, თუმც, ამავე დროს, არამეული დამწერლობის გამოყენების ძველი ტრადიცია განაგრძობს მოქმედებას აღმოსავლეთისა და აბიერ-კავკასიის მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის კოლხეთშიც (**Р. Фрай, Наследие Ирана, М., 1972, ст. 195-199**).

ვანის სატაძრო საკანონმდებლო დადგენილების შემუშავების ფაქტი თავისთავად დიდი მნიშვნელობისაა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი გვაუწყებს შიდა კოლხეთის დიდ საკულტო ცენტრებში მოქმედი საკრალური წესების ფიქსირების ტრადიციის არსებობას, რაც სავსებით რეალურს ხდის ვარაუდს ამ წესების ადგილობრივი ასო-ნიშნებით კოლხურ ენაზე ჩაწერის შესახებ იმ ხანებში, როდესაც ბერძნულ ენას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავისი ადგილი დამკვიდრებული აღმოსავლურ სამყაროში, როგორც დამწერლობის ენას. (ე. ი. მე-5-6-მდე).

ასეთი ვარაუდის გამოთქმას, ზემოთ განხილულ წარწერასთან ერთად, მხარს უჭერს ვანსა და საირხეში ადრეანტიკურ ხანაში დიდი სატაძრო ორგანიზაციებისა და ქურუმთა ფენის დადასტურებაც.

ზემოთ განხილული მონაცემების შუქზე დიდ მნიშვნელობას იღებს ბერძენი ავტორის, ძვ. წ. III-ს-ის ალექსანდრიელი პოეტის აპოლონიოს-როდოსელის პოემის „არგონავტიკის მე-4 თავში დაცული ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა — ძველად კოლხეთში „კვირბების" სახით დამწერლობის არსებობის შესახებ.

აპოლონიოს როდოსელი გვაუწყებს, რომ კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი" (4, 279-281).

მოტანილი ცნობის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია შენიშნულია, აპოლონიოსის მიერ დაცული ცნობა კვირბების თაობაზე, ნდობას იმსახურებს, იგი რეალური ვითარების ამსახველი ცნობაა და კოლხურ საზოგადოებაში უძველესი ხანიდან არსებულ დამწერლობაზე მეტყველებს (აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ., 1964, გვ. 152, 165). აღნიშნულია ისიც, რომ კოლხებს ჰქონიათ ძველისძველი წერილობითი ძეგლები („მამათაგან ნაწერი"), სამანძილო კვირბების სახით. ამრიგად, აპოლონიოსის მიხედვით, კვირბებს კარტოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონიათ და კოლხები მათ პრაქტიკული მიზნით იყენებდნენ — მოგზაურთათვის კვირბებზე აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის, გზებისა და საზღვრების მდებარეობას. მაგრამ აქვე უთუოდ უნდა გავიხსენოთ კვრიბების ის განმარტება, რომელსაც აპოლონიოს როდოსელზე ადრინდელი ბერძენი ავტორები გვამცნობენ. ამათგან აღსანიშნავია ანტიკური სამოსამართლო რიტორიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ორატორ ლისიას (დაახლ. 459-380 ძვ. წწ.) განმარტება, რომლის თანახმადაც კვირბები სახულიერო წარწერების შემცველი ძეგლებია. იგი აღნიშნავს: „მხვერპლშეწირვები კვირბებისა და სვეტების თანახმად". აქედან ნათელია, რომ კვირბები ისეთ ფირფიტებს წარმოადგენენ, რომლებზეც გაკეთებული წარწერის მიხედვით მსხვერპლშეწირვის საკრალურ წესებს ახრულებდნენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ანალოგიური ცნობა აქვს დაცული პლუტარქესაც, რომელიც, ჩვეულებრივ ძველ წყაროებს ემყარება. იგი წერს: „ზოგიერთები ამბობენ, რომ კვირბები ეწოდებოდათ იმ (დაფებს), რომლებიც ღვთისმსახურებასა და მსხვერპლშეწირვებთან დაკავშირებულ წესებს შეიცავენ" (პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თარგ. აკ. ურუშაძისა, თბ., 1957 წ., გვ. 57, 801).

ჩვენთვის ძალზე საყურადღებოა, აგრეთვე, ძვ. წ. მე-4 ს-ის ისტორიკოსის თეოპომპე ქიოსელის დაკარგული თეოლოგიური თხზულების — „ღვთისმოშიშრობისათვის" ფრაგმენტში მოცემული განმარტება კვირბებისა. „კვირბები სპილენძისა იყო და არა რაიმე ხისაგან. ისინი გამოიგონეს კორიბანტებმა, საიდანაც კვირბები შეერქვათ".

ზემოთ მოტანილი გადმოცემებისა და ბერძნულ მწერლობაში დაცულ სხვა ცნობათა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად კვირბები ეწოდებოდათ მხოლოდ სახულიერო, საკრალური ბასიათის წარწერებს, უფრო გვიან — ყველა საზოგადო საბუთსა და კანონს, ხოლო შედარებით გვიან — კოლხურ კვირბებს უნდა მიეღოთ კარტოგრაფიული მნი-

შვნელობაც (აპოლონიოს როდოსელი და მისი სკოლიასტი).

ყველა ამ წერილობითი ცნობის განხილვამ, ჯერ კიდევ ვანისა და საირხის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და ვანის ბერძნული წარწერის აღმოჩენამდე, მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ კოლხური დამწერლობა კვირბების ანუ საკრალური ჩანაწერების სახით ჭურუმთა წრეში უნდა გაჩენილიყო და წერის ხელოვნებას კოლხეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, უძველესი ხანიდან ჭურუმთა კოლეგები მეთაურობდნენ (აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 382).

კოლხეთის წიაღში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალისა და საკრალური წარწერის კვლევა-ძიების შუქზე ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი მეტ დამაჯერებლობას იღებენ.

რეალურ შინაარსს იღებენ, აგრეთვე, ძველ ბერძენ ავტორთა (თეოპომპეს, აპოლოდორეს, თეოფრასტეს) ის საყურადღებო გადმოცემებიც, რომელთა თანახმად, წმინდა წარწერები — კვირბები გამოიგონეს კორიბანტებმა. თვით კორიბანტები კი (ზოგიერთი ავტორის ცნობით) კოლხთაგანნი იყვნენ (ე. ი. კოლხებისაგან იყვნენ წარმომდგარნი). მოტანილი ცნობები საგანგებო ყურადღების ღირსია იმ თვალსაზრისით, რომ კორიბანტები ძველ მცირეაზიურ და ბერძნულ სამყაროში მიჩნეული იყვნენ ნაყოფიერების, ბუნების მფარველი დედაღვთაების — კიბელეს შეიარაღებულ მცველებად და, ამავე დროს, მის ჭურუმებად.

ბერძნულმა მწერლობამ შემოგვინახა არაერთი საყურადღებო გადმოცემა მცირეაზიური ღმერთების დედის კიბელეს (იმავე რეალადმი) მიძღვნილი საკულტო სადღესასწაულო ცერემონიალებში კორიბანტ ბურუმ-მეომართა მონაწილეობის შესახებ (სტრაბონი, მე-10, 2, 19-20). ზოგიერთი ძველი ბერძენი ავტორის მიერ კორიბანტების ანუ ნაყოფიერების ღვთაების მეომარი-ჭურუმების კოლხეთთან დაკავშირება, ამასთან, მათი კირბების ანუ საკრალური წარწერების გამომგონებლებად დახატვა, თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანი გვეჩვენება, რადგან თუ ყველა ამ მონაცემს, რომელთაც კოლხებისა და მათი კულტურული სამყაროსაკენ მივყავართ, არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიების შუქზე თვალს გავადევნებთ, ბევრი რამ ამ გადმოცემებიდან სავსებით რეალური სინამდვილის ანარეკლად წარმოგვიდგება. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ მოტანილი არქეოლოგიური ფაქტები წარჩინებული მეომრების დაკრძალვისა ნაყოფიერების ღვთაებათა ქანდაკებების ახლოს, ან ამავე რანგის მეომრისა ჭურუმი ქალისა და რკინის ღვთაების გვერდით (ვანი), წარჩინებული ბატ-როსანი მეომრების მონაწილეობა [illegible] რუმისა და მისი თანმხლების [illegible] ვის რიტუალში (საირხე) — ყველაფერი ეს იმის მოწმეა, რომ ბერძნებს სავსებით რეალური წარმოდგენები ჰქონდათ ძველი კოლხეთის საზოგადოების სულიერი ცხოვრების, მის რწმენებსა და საკრალურ რიტუალებზე, რომელთაც, ჩანს, ბევრი რამ ჰქონდათ საერთო მცირეაზიური ნაყოფიერების დედაღვთაების — კიბელეს კულტსა და მისდამი გამართულ ცერემონიალებთან.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ, როგორც ირკვევა, ბერძნებს სავსებით რეალური წარმოდგენები ჰქონდათ ოდითგანვე კოლხეთში, ან მის მახლობლად შექმნილ დიდ სატაძრო ცენტრებზედაც. ბერძნულ მწერლობაში (სტრაბონთან) შემონახული ტრადიციის მიხედვით, ერთ-ერთი ასეთი საკულტო ცენტრი იყო ფრიქსოპოლისი — „ფრიქსეს ქალაქი კოლხიდის საზღვარზე" (1, 2, 39, XI 2, 11), ხოლო მეორე, აგრეთვე, ფრიქსეს მიერ დაარსებული ლევკოთეად წოდებული სამლოცველო და მისი სამინო კოლხეთის მოსაზღვრე მოსხიკეში მდებარეობდა. ჩვენი აზრით, ამ სატაძრო ცენტრების წარმოქმნის დაკავშირება ძველთაძველი გმირის, კოლხეთის მეფის აიეტის სიძის — ფრიქსეს სახელთან იმ რეალურად არსებული ვითარების გამოძახილი უნდა იყოს, რომ ეს ტაძრები შორეულ წარსულში აღმოცენდნენ. ამის გარდა, ეს გადმოცემა, რომელიც ამ ტაძრების დაარსებას ფრიქსეს მოღვაწეობას მიაწერს, იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ, ძველი ბერძნული ტრადიციით, ფრიქსე ვერძის აღზრდილია, ვერძი მისი მფარველია, ხოლო თვით ვერძი, ცხვარი და ხაწმისი ძველ ხალხებში, უპირველესად, სიმბოლოა ნაყოფიერებისა და სხვ. ამდენად, ფრიქსეს აქტიური როლი ლევკოთეას სამლოცველოსა და ფრიქსეპოლისის წარმოქმნა-დაარსებაში, უნდა მიგვანიშნებდეს ნაყოფიერების კულტის დიდ მნიშვნელობაზე ამ სატაძრო ცენტრებში. ყველაფერი ეს კარგად ეთანხმება კოლხეთსა და მის საკულტო ცენტრებში (ვანი, საირხე) ნაყოფიერების დედაღვთაების გამორჩეულ თაყვანისცემას, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დასტურდება.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს წიაღში გამოვლენილი ნივთიერი მასალის კვლევა-ძიებით ჩვენს წინაშე კიდევ ერთხელ ცოცხლად და საინტერესოდ წარმოჩნდა შიდა კოლხეთის ძველი საზოგადოების სულიერი ცხოვრება, მისი მაღალი კულტურა და ის დიდი წვლილი, რომელიც მას მიუძღვის კოლხური ცივილიზაციის შექმნაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინათინ შარაძენიძე

სახელმწიფო ენ

რამდენიმე თვის წინ ჩვენ მივიღეთ სსრკ კონსტიტუცია, რომელიც მთელი მოსახლეობის ფართო განხილვის საგანი იყო.* ამჟამად არანაკლები ინტერესით ვსწავლობთ და განვიხილავთ საქართველოს სსრ კონსტიტუციას. ბუნებრივია, რომ ამ კონსტიტუციაშიც წარმოდგენილია ის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი, რაც სსრკ კონსტიტუციაში იყო და რაც ჩვენ ერთხმად მოვიწონეთ. ამიტომ გასაგებია ისიც, რომ ჩვენი უურადღება გამახვილებულია იმ საკითხებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა სპეციფიკას ქმნის.

ამ საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ენის საკითხი. ენის საკითხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმიტომ, რომ ის არის ნაწილი უფრო ფართო პრობლემებისა, — ეროვნული პრობლემისა. ამით აიხსნება ამ საკითხისადმი ასეთი დიდი ინტერესი ჩვენს საზოგადოებაში.

წინა ორ კონსტიტუციაში ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენად იყო მიჩნეული. ახალ კონსტიტუციაში ასე არ არის. ამის ნაცვლად კონსტიტუციის 75 მუხლში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის".

ეს მუხლი გაუგებრობებს იწვევს. პირველ ყოვლისა, ჩნდება კითხვა, რატომ აღარ ითვლება ქართული ენა საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად? ხომ არ შეიცვალა რაიმე ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაში? ასეთი ცვლილებების შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, როგორც ცნობილია, ზოგიერთი ამბანაგი გამოთქვამდა სურვილს ერების შერწყმის პროცესის ხელოვნურად დაჩქარების შესახებ, მაგრამ ეს თვალსაზრისი ეროვნული პოლიტიკისათვის შეუფერებელია. პირიქით, კონსტიტუციის სხვა მუხლებში ერების განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობაზეა ლაპარაკი. მაგრამ ენა ხომ ერის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. თუ ჩვენ ვწერთ, რომ საქართველოს სსრ სუვერენული საბჭოთა სახელმწიფოა, [illegible] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებაც კი აქვს, რატომ გავურბივართ იმის აღნიშვნას, რომ ამ სუვერენულ სახელმწიფოს თავისი ენაც აქვს. განა იმან, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციებში ქართული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად იყო აღიარებული, გამოიწვია რაიმე გაუგებრობა?

თუ მიუღებლად ითვლება ტერმინი „სახელმწიფო" ენა, მაშინ ის უნდა შეიცვალოს სხვა ტერმინით, რომელიც იქნება იმ შინაარსის გამომხატველი, რაც ჩვენს სინამდვილეში რესპუბლიკის ენაში აგულისხმება. ასეთი შეიძლება იყოს „ეროვნული ენა".

ახალი კონსტიტუციის 75 მუხლში სახელმწიფო და ენა გათიშული ჩანს ერთმანეთისაგან. არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ენის განვითარებაზე. სახელმწიფო ყველა იმ მუხლის განხორციელებაზე ზრუნავს, რაც კონსტიტუციაშია შეტანილი (მაგ. რელიგიური რწმენის თავისუფლებაზე). ენას კი განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებაში. ენა იარაღია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებისა, იქნება ეს კულტურა, მეცნიერება, ეკონომიკა თუ ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობა. ენის ეს განსაკუთრებული როლი უნდა აისახოს კონსტიტუციაშიც. ერების თავისუფლებამ, ერების ურთიერთმეგობრობამ, ეროვნულმა პოლიტიკამ, რაც ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს

---

* სიტყვა წარმოთქმული ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთო კრებაზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვისას 1978 წლის 4 აპრილს.

ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენდა იმთავითვე, გამოხატულება პოვა იმაშიაც, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას თავისი ენა აქვს გამოყენებული. ეს კი კონსტიტუციაში არ ჩანს. აქ შეინიშნება ცდა იმისა, რომ რესპუბლიკაში ხმარებული ყველა ენა ერთ სიბრტყეზე იქნეს დაყენებული, რაც არ შეეფერება არსებულ ვითარებას.

სრულიად უდავოა, რომ არ უნდა იყოს შეზღუდვები რომელიმე ენის ხმარების მიმართ. ეს მწყობს, რომ ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკას საყვედური არ ეთქმის. ეს პატარა რესპუბლიკა ყველაზე მრავალეროვან რესპუბლიკად არის აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში. რით აიხსნება ეს? იმით, რომ ამ რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას, ქართველებს არ სჩვევიათ სხვა ერებისადმი მტრული დამოკიდებულება, სხვა ერის წარმომადგენელთა ჩაგვრა. ამაზე ლაპარაკი ზედმეტადაც კი მეჩვენება. საქმე ეხება რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის ენის სტატუსს. ქართული ენის ფუნქციები საქართველოს სსრ-ში უფრო მრავალმხრივია და ფართო, ვიდრე სხვა ენებისა, რუსული ენის გამოკლებით.

მართლაც, ქართული ენა გამოიყენება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, მასზე ხდება სამართალწარმოება. არავის მოსვლია აზრად ეგევე ფუნქციები დააკისროს საქართველოს ტერიტორიაზე ხმარებულ ყველა ენას, ვთქვათ, სომხურს, აზერბაიჯანულს, ქურთულს, გერმანულს. თავისი ფუნქციები აქვს რუსულ ენას იმიტომ, რომ ის არის საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება, ეროვნებათშორისი ენა.

ეს ვითარება ასახულია მთელ რიგ მოვლენებში: საბჭოთა კავშირის გერბზე „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!" აწერია 16 მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე. ორივე-ხუთენა ფულზედაც წარწერა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზეა, სსრკ უმაღლესი საბჭოს ბუნ-ბები, რომლებშიაც საბჭოთა კავშირის კანონები ქვეყნდება, ითარგმნება 15 რესპუბლიკის ენაზე და ა. შ.

მაშასადამე, გამოყენების სფეროსა და შესაბამისად ფუნქციების თვალსაზრისით ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ჩვენ გვაქვს 1. რუსული ენა, გარდა იმისა, რომ რსფსრ სახელმწიფო ენაა, წარმოადგენს ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ურთიერთობის ენას. 2) რესპუბლიკების სახელმწიფო ენები, რომლებიც იხმარება ამ რესპუბლიკების ფარგლებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, სამართალწარმოებისას, ეგევე ენა იქნება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის დროს ამ რესპუბლიკის ეროვნული ენა და ა. შ. 3) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ენები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე გამოიყენებიან რესპუბლიკის ეროვნული ენის გვერდით. 4) დანარჩენი ენები.

შესაბამისად ჩემი წინადადებაა კონსტიტუციაში მკაფიოდ გაიმიჯნოს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ენათა ხვედრი წონა — კერძოდ:

1) აღნიშნულ იქნეს, რომ ქართული ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო, ეროვნული ენაა და განიმარტოს რას ნიშნავს ეს.

2) განისაზღვროს რუსული ენის, როგორც სსრკ ხალხთა ურთიერთობის ენის სტატუსი და მისი მიმართება ეროვნულ ენახთან.

3) განისაზღვროს ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენის სტატუსი და მისი მიმართება რესპუბლიკის ენასთან.

4) ქართული ენის შესახებ მუხლი შევიდეს კონსტიტუციის X თავში, სადაც ლაპარაკია საქართველოს სსრ გერბის, ალამის, ჰიმნისა და დედაქალაქის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრების მხარდამხარ

სარეცენზიო ნაშრომის შესავალში სწორად არის აღნიშნული, რომ დღეს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება გაუმართლებელია ,ისტორიული თვალთახედვის გარეშე. მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებაში განვლილ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ის პერიოდი, როდესაც წერილობითი წყაროების უგულებელყოფის, ეთნოგრაფიული მასალისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულებისა და ისტორიზმის პრინციპების იგნორირების შედეგად ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში შემოიჭრა ისტორიული სინამდვილისათვის შეუსაბამო კონცეფციები, სქემატიზმი და არქაიზაცია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ნაშრომში ქართველი მთიელების საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმებისა და მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ (გვ. 3).

საგანგებო გამოკვლევა ეძღვნება საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში კავკასიის ხალხთა ყოფისა და ტრადიციების შესწავლის საკითხებს. ავტორი პროფ. ვ. ითონიშვილი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ტრადიციებზე, სადაც კავკასიის ხალხთა შესახებ ფასდაუდებელი მასალები მოიპოვება. ამ მხრივ „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და ქართლის ცხოვრება" გამოირჩევა. ვახუშტი ბაგრატიონმა, დავით, იოანე, თეიმურაზ და ვახტანგ ბატონიშვილებმა წინაპართა კარგად დაწყებული საქმე ახალ საფეხურზე აიყვანეს. კავკასიის უმწერლობო ხალხები საკუთარ , თავგადასავალზე ძვირფას მონაცემებს ქართულ წერილობით წყაროებში ჰპოვებენ.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველების გამო ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში იქმნებოდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულების მქონე ლიტერატურა. 1825 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დაარსდა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შედარებით ორგანიზებული ხასიათი მიეცა. თანდათან ჩამოყალიბდა აკადემიური კავკასიათმცოდნეობა. 1845 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელმაც 1851 წელს თბილისში გახსნა კავკასიის შემსწავლელი განყოფილება, ხოლო 1852 წელს ასევე თბილისში შეიქმნა კავკასიური მუზეუმი, ეთნოგრაფიის განყოფილებით. ამრიგად, თბილისი მთელი კავკასიის შესწავლის უმთავრესი კერა გახდა. გამოვიდა კრებულები, სადაც თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა ეთნოგრაფიულმა მასალამ. მე-19 საუკუნის მეოთხე ნახევრიდან ილია ჭავჭავაძემ და დიმიტრი ბაქრაძემ კავკასიოლოგიური და მეტადრე ქართველოლოგიური კვლევა ფრიად დააწინაურეს, რაც მთავარია, ეთნოგრაფიული ნაშრომები ქართულ ენაზე იქმნება, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება და საუკუნეთა მანძილზე ხალხის მონაპოვარი, ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით, ხალხსვე უბრუნდება.

ვ. ითონიშვილი ვრცლად განიხილავს ი. ანჩაბაძის ნაშრომს ეთნონიმ „აბაზას" შესახებ და სწორად აღნიშნავს, რომ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე განლაგებული მოსახლეობა საერთოდ ხელოვნურად დაქუცმაცებულია. დაღესტნის მოსახლეობის ანალოგიურად, ადიღური მოდგმის ხალხი რამდენიმე ეთნოსად არის წარმოდგენილი. სინამდვილეში საქმე გვაქვს ერთიან ხალხთან — ადიღელებთან, რომელიც აერთიანებს ეთნოგრაფიულ დანაყოფებს. მათ შორის ეკუთვნიან აბაზებიც, რომლებიც უბიხების სახელწოდებით ახლოს დგანან სხვა ასეთივე ადიღურ-ჩერქეზულ-ყაბარდოულ დანაყოფებთან. საკითხის ამ ჭრილში განხილვისას იგულისხმება აბაზების ნათესაობა მთიელ აფხაზებთან, მაგრამ ერთგვარი გაუგებრობა იქმნება, როდესაც მთიელი აფხაზები დაკავშირებული არიან აბაზების ეთნოსთან. ასეთ შემთხვევაში გამოდის აფხაზების გაყოფა ისე, რომ მთიელები ეკუთვნიან აბაზას ეთნოსში, ხოლო დანარჩენი აფხაზები (როგორც ჩანს, ბარელები) წარმოიდგინებიან დამოუკიდებელ ეთნოსად. ვფიქრობ, რომ აფხაზების ასე გაყოფის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მსჯელობაში აფხაზები დამოუკიდებელ ერთიან ეთნოსად უნდა ფიგურირებდეს, რომლის ისტორიული განვითარება ყველაზე უფრო მჭიდრო ისტორიულ-ეთნოგრაფიულსა და გეოგრაფიულ კავშირშია ქართული ეთნოსის განვითარებასთან, ხოლო უბიხებთან მიმართებაში უნდა ვკმაყოფილდებოდეთ მონათესაობისა და

ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ტრადიციები. „მეცნიერება", 1988 წ.

ყოფითი კულტურის მსგავსების საკითხის დასმით.(გვ. 16).

აფხაზეთში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სომეხი მოსახლეობა. პირველი ასი ოჯახი თურქეთიდან 1866 წელს ჩამოსახლებულა. 1979 წლის აღწერით აფხაზეთში სომეხთა რაოდენობა 73 350 სულია და ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთა 15% აღწევს.

კავკასიურმა მასალამ გარკვეული როლი შეასრულა მარქსისტული ეთნოგრაფიის ჩამოყალიბებაში, სახელდობრ მაქსიმ კოვალევსკის შრომების მეოხებით. ამ მეცნიერს დიდად აფასებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ოჯახისა და საოჯახო ურთიერთობის შესწავლა, ქალის როლისა და დანიშნულების გამოვლენა, სამგლოვიარო წეს-ჩვეულებანი და სხვა ეთნოგრაფიული კვლევის მთავარ თემებად რჩება როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდგომ. ავტორი საგულისხმო არგუმენტების მოხმობით სამართლიანად აკრიტიკებს ბ. კალოევის ნაშრომს — ოსთა დაკრძალვის წეს-ჩვეულებებზე. ქართული მასალის უგულებელყოფა, რა თქმა უნდა, მის გამოკვლევას დამაჯერებლობას უკარგავს და თვალშისაცემ ტენდენციურ ხასიათს ანიჭებს.

დღეს ეთნიკური პროცესების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო იზრდება ეროვნული თვითშეგნება, რომელსაც თან სდევს თავისი ერის ისტორიული წარსულით, ეთნოგრაფიით, ყოფის ეთნოსუციფიკური რეალობით ადამიანთა დაინტერესება. თანამედროვე ორგანიზებული საზოგადოების სულიერ მომთხოვნილებად იქცა თავისი ეთნიკური არსებობის ფესვების ძიება და ეთნოგრაფიას არ შეუძლია არ შენიშნოს ეს ინტერესი, არ უპასუხოს ეთნიკური ისტორიის უფრო გეგმაზომიერი შესწავლით (გვ. 55). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ნ. აბესაძის ნაშრომი — „თანამედროვე ეთნიკური პროცესები თბილისში", სადაც მოკლედ არის დახასიათებული საქართველოს დედაქალაქში მცხოვრები სომხების, აზერბაიჯანელების, ქურთ-იეზიდების და ებრაელების ყოფა და კულტურა. ნაჩვენებია მათი ეროვნული თავისთავადობა, აგრეთვე მოტანილია ყოფითი ტრადიციების ურთიერთგამდიდრების საინტერესო ფაქტები. ავტორი გაკვრით განიხილავს ამ ხალხების გლოვა-დატირებისა და სარიტუალო პურობის წესებს.

მართალია, სტატისტიკური მონაცემებით ქართველებს „უცხო ნათესავნი" ზოგჯერ აჭარბებდნენ, მაგრამ ეს იყო უშუალოდ „ქალაქში" — საბაზრო და სახელოსნო კერაში, ხოლო „დიდი თბილისი", „თბილისის ქვეყანა" ყოველთვის ქართული იყო, რომელიც ქალაქელებს აპურებდა და არჩენდა. ამიტომ თბილისი, როგორც წესი, ყველა ეპოქაში მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ქალაქად [illegible] ეთნოგრაფიულ ნაშრომში, [illegible]სა. ამ გარემოებას უნდა [illegible] მიერი ქართული ქალაქის შესწავლა მისი თანმხლები სამეწყალთმოქმედო „ქვეყნის" გაუთვალისწინებლად ყოფით მოვლენებზე სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს. რაც მთავარია, თავს ვერ დავაღწევთ სქემატიზმს და მშრალ სტატისტიკას. სამწუხაროდ, მიუტევებლად დავაგვიანეთ, თუმცა ჯერ კიდევ შეიძლება თბილისის „ქვეყნის" წარმოჩენა, სწორად გააზრებული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებით.

ნ. კაპანაძის გამოკვლევაში — „ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი და თანამედროვეობა" წინ არის წამოწეული ჩვენი ქვეყნის მტკივნეული დემოგრაფიული პრობლემები. მოსახლეობის მიზანმიმართული კვლავწარმოებისათვის გლობალური სახელმწიფო პროგრამა უნდა შემუშავდეს, სადაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მრავალნაცადმა ხალხურმა ცოდნა-გამოცდილებამ.

აღზრდაში უნდა დაიგმოს ძალადობის კულტი, ომისა და ომთან დაკავშირებული ყოველგვარი სათამაშო ბავშვს სულს უუხეშებს. ბავშვები კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის გარემოში უნდა იზრდებოდეს. სრულფასოვანი მოქალაქეების აღზრდა დიდად არის დამოკიდებული თამაშის ორგანიზაციასა და საშუალებებზე, რასაც ხალხი ძველად წარმატებით წყვეტდა. თამაში მოზრდილთა საქმიანობას ასახავდა და მოზარდი თავისი ცხოვრების ძირითად მიზანს მომზადებული ხვდებოდა. სასურველია ახლაც ამ მიმართულებით წარიმართოს ახალგაზრდობის აღზრდა. არა ფუფუნებით, არამედ მკაცრად გამიზნული წვრთნა-ვარჯიშით, ოღონდ სასიამოვნო გარემოს შექმნით. საოჯახო და საზოგადოებრივი აღზრდა მოზარდის სულის სრულყოფისათვის თანაბრად უნდა გამოვიყენოთ, აქ ცალმხრივობა დაუშვებელია.

გურიის მოსახლეობის თანამედროვე საოჯახო ყოფით დაინტერესება შემთხვევით არ მომხდარა (გ. ცეცხლაძე). საერთოდ, ოჯახის შესწავლის პრობლემა დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. უფრო მეტიც, მოპოვებული მეცნიერული შედეგები პრაქტიკულად მოსაგვარებელ მრავალ საკითხს უნდა დაედოს საფუძვლად, სხვანაირად წარმოუდგენელია მოსახლეობის კვლავწარმოება და მართვა. განსაკუთრებით ქმედითად გამოიყენება რეგიონალურ პრინციპზე აგებული კვლევა, რაც შთავარია მისამართი ზუსტადაა დადგენილი. სპეციალისტები თანამედროვე ყოფაში ოჯახის ორ ტიპს რთულსა და მარტივს გამოჰყოფენ. რთულია მრავალთაობიანი ოჯახი, ხოლო მარტივია ერთთაობიანი. გურიისათვის ტიპიურია სამთაობიანი და ორთაობიანი ოჯახები, ოღონდ დამკვიდრდა ერთი არასასურველი სტერეოტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პი — შვილები ქალაქებში ცხოვრობენ, მშობლები კი სოფლად. ასეთი ტენდენცია, მეტნაკლებად, მთელი საქართველოსათვისაა დამახასიათებელი და შექმნილი ვითარებისაგან თავის დაღწევა მრავალმხრივი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, გადასასინჯია მეურნეობის ხასიათი და დასაქმების სისტემა, აღარას ვამბობ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დონის შეუსაბამობაზე.

გურიის მოსახლეობის კეთილდღეობის წყარო ჩაი და ციტრუსებია, ძლიერ შრომატევადი კულტურები, მაგრამ ფრიად შემოსავლიანი. თუ ადრე ჰექტარზე 3-4 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდნენ, ახლა 10-11 ტონა იკრიფება. რაოდენობის ზრდა, ბუნებრივია, ხარისხის დაცემას იწვევს.

ავტორი მოკლედ განიხილავს გურიის ტრადიციული მეურნეობის დარგებს (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვ.). ჩაის კულტურამ ყველა ეს დარგი შეავიწროვა და მათ ძირითადად საოჯახო ხასიათი მიანიჭა. ამან თავის მხრივ განსაზღვრა შრომის ორგანიზაცია. ჩაის კრეფაში ქალმა უპირატესობა მოიპოვა, მისი როლი ოჯახში გაძლიერდა, მაგრამ დატვირთვამაც იმატა, რაც, ბუნებრივია, უარყოფით დემოგრაფიულ ვითარებას ქმნის.

დასავლეთ საქართველოში, მეტადრე გურიააჭარაში შემორჩენილია „სახლის ხურვის" ძველთაძველი ჩვეულება: მშენებლები სახლს, როდესაც „სახურავში მოიყვანდნენ", ალმებად შეწირულ ქსოვილებს დაკიდებდნენ, რითაც სოფელს აუწყებდნენ კიდევ ერთი ახალი კომლის შემომატებას. იმართებოდა ლხინი, სადაც შესაფერისად ფასდებოდა ხუროების ოსტატობა, მათი ღვაწლი, ასევე ნათესავების, მოკეთეების და მეზობლების როგორც ნივთიერი, ისე შრომითი დახმარება, სახლი ხომ ნადით შენდებოდა. ამ მამაპაპურმა მშვენიერმა ჩვეულებამ ბოლო ხანებში ჰიპერბოლიზაცია განიცადა და ერთგვარად გაუკეღმართდა, ზოგჯერ ანგარების არენადაც იქცა. სწორედ ამიტომ ე. წ. „სახლის ხურვები" გაკრიტიკებული იქნა ტრადიციების შესახებ 1975 წლის ცნობილ დადგენილებაში. როცა ეთნოგრაფი ამ კრიტიკას იმეორებს, ვალდებულია „სახლის ხურვის" ჰეშმარიტი არსი გადმოსცეს და დადებითი ტრადიციის უარყოფითად სახეცვლილების მიზეზებიც ამოხსნას. „სახლის ხურვამ" დროის გამოცდას გაუძლო და დღემდე მოვიდა. აუცილებელია წინაპართა ამ კეთილი ტრადიციის სწორი მიზანდასახულობისა და სიწმინდის შენარჩუნება.

საქორწილო წეს-ჩვეულებებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს საზეიმო პურობას — ლხინს, სადაც სახიერდება ახალი ოჯახის შექმნის ბედნიერება და სა[illegible] ვინც საქორწილო წეს-ჩვეულებებს, [illegible] პურობის წესებსაც შესაფერეს [illegible] უთმობს. ვინაიდან ქორწინების ინსტიტუტი საქართველოში რეგიონალურად შეისწავლება, დღემდე არ გვქონდა ქართულ საქორწილო სუფრაზე განმაზოგადებელი ნაშრომი. ამ ხარვეზის შევსება თ. იველაშვილს განუზრახავს. ავტორი წერს: „ნაშრომში ნაჩვენებია ქართული საქორწილო სუფრის თანდათანობითი ტრანსფორმაცია მისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მხარეებით". სწორადაა აღნიშნული, რომ დრომოჭმული ჩვეულებებისა და თანამედროვე ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვან შედეგს არ გამოიღებს, თუ შესწავლილი და ახსნილი არ იქნება მათი გამომწვევი სოციალური ფაქტორები; სწორედ ამიტომ საჭირო იყო არსებული ლიტერატურის უფრო ფართოდ გაცნობა და ანალიზი, ეთნოგრაფიული მასალის ამომწურავად გამოყენება და უაღრესად რთული საკითხის ისტორიულ ჭრილში გააზრება-განხილვა. არ უნდა ვიხმაროთ „სალიანკა" (გვ. 151) და მსგავსი სიტყვები. საერთოდ, პურსა და ღვინოს განსაკუთრებით საქორწილო სუფრაზე სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, სუფრის რიტუალიც მეტად მრავალფეროვანი და გრანდიოზული იყო, ვიდრე ავტორს აქვს წარმოდგენილი. აღარას ვამბობ სუფრის წარმართვაზე, პუროებისა და სმის წესზე, სადღეგრძელოების რიგისა და სიმღერების ურთიერთმიმართებაზე, ცეკვებსა და სხვადასხვა გართობაზე. ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომი შემდგომ შევსებასა და სრულყოფას საჭიროებს.

ჩვენთან კარგა ხანია წესადაა დამკვიდრებული „დამრგვალებულ", საიუბილეო თარიღებზე, ამა თუ იმ სამეცნიერო დისციპლინის მიღწევები ერთგვარ მაღალფარდოვან სტილში შეაჯამონ. ასეთი ელფერი გადაჰკრავს ვ. ითონიშვილს სტატიას. მაგრამ ეთნოგრაფიის დარგის სტრუქტურის ჩვენება და გაკეთებული საქმის ჩამოთვლა, ძალაუნებურად ამეღავნებს არსებულ ნაკლოვანებებსაც. 1961 წლამდე ისტორიის ინსტიტუტში ეთნოგრაფიას ერთადერთი უჯრედი გააჩნდა. მეტნაკლებად მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია მხოლოდ 1981 წელს ჩატარდა. ეთნოგრაფიის სექტორში ხუთი ერთეული შევიდა. ხოლო 1986 წელს სტრუქტურა კვლავ შეიცვალა — ეთნოგრაფიის სექტორს ეთნოგრაფიის განყოფილება ეწოდა, ხოლო განყოფილებები სექტორებად გარდაიქმნა. ამ ცვლილებამ დარგის შემდგომი დაკნინება გამოიწვია. თემატიკა კიდევ უფრო დანაწევრდა. აშკარა გახდა, რომ ქართული ეთნოგრაფია ქართველი ხალხის ეთნოგენეზის კვლევის მიღმა დარჩა. ერთი სიტყვით, კვლევის გარეშეა ჩვენი ერის გენეოლოგიური ხის ფესვები, ზრო და რტოები, გამოე-

კიდებიგართ წკირებს და ფოთლებს. ნუთუ გარდაქმნის ამ ვითარებაში ყველაფერი ძველებურად უნდა გაგრძელდეს? ნუთუ არ უნდა გავითვალისწინოთ წარსულის მწარე გამოცდილება და ბოლოს და ბოლოს ეთნოგრაფიის დარგმა თავისი მოვალეობა ხომ უნდა შეასრულოს? სწორედ ამიტომ ავტორი ასკვნის: „საჭიროა შედეგებისათვის აუცილებელია პირველ რიგში დარგის სტრუქტურის სრულყოფა ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, საველე-საექსპედიციო მუშაობის გარდაქმნა და ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს აღდგენა, ურომლისოდაც დიდი დაბრკოლებები იქმნება მეცნიერული კვალიფიკაციის სფეროში“ (გვ. 183).

მოხდა მეტად უსიამოვნო ფაქტი: არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიაში რამდენიმე წლის წინათ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭო დაიხურა. ასეთი საბჭო დაუყოვნებლივ შეიქმნა ერევანში. ხარისხის მაძიებელნი იძულებულნი არიან საქართველოდან სომხეთის დედაქალაქში წავიდნენ და დისერტაციები იქ დაიცვან, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე. დაცული დისერტაციები ერევანში ინახება და მათი გამოყენებისათვის იქ მივლინებაა საჭირო. ამრიგად, საქართველოს დედაქალმა ტრადიციული პრიორიტეტი დაკარგა, თან ქართულ ენას ორი, უაღრესად ეროვნული მეცნიერების დარგი ფაქტიურად ჩამოეჭრა. რატომ დათმეს ქართული არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მესვეურებმა პოზიციები? დღეს, საჯარობის აღმავლობის ჟამს, ისინი ვალდებულნი არიან ფართო საზოგადოებას ამცნონ რაშია საქმე? რატომ მოხდა ჩვენთან მეცნიერების ასეთი დევალვაცია?

საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა ... ია, რომლითაც მთელი დარგი იკვებება. ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა სხვა დისციპლინებისათვის მიუწვდომელი მასალა ხალხში მოიპოვოს და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანოს. მაგრამ ეთნოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული მეცნიერებაა და ისტორიზმის გარეშე მასალის მიკვლევა ზერელე ემპირიზმს ვერ გაშორდება. ამის სამწუხარო მაგალითების დასახელება საკმაოდ შეიძლება. ეთნოგრაფი ველზე მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი წყაროების გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ უნდა წავიდეს, სხვანაირად ის მიზანს ვერ მიაღწევს და სრულფასოვან მემკვიდრეობას ვერ შექმნის. ასეთია ახალგაზრდა მკვლევარის ვახტანგ ითონიშვილის ზემოთ დასახელებული წერილის პათოსი, სადაც ამომწურავადაა შეჯამებული ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების საველე მუშაობის შედეგები, დაარსებიდან (1981 წ.) 1986 წლის ჩათვლით.

განხილული კრებული უთუოდ ახალი სიტყვაა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიაში. ძირითადად დაძლეულია თვითკმაყოფილებისა და პარადულობის დამახასიათებელი სტილი იგრძნობა ახლის ძიება და არსებული ვითარებისგან თავის დაღწევის სურვილი. აშკარაა, რომ სოციალური კვლევა ფართო ასპარეზზე გამოდის და ეროვნულ მეცნიერებაში კუთვნილ ადგილს იკერს.

ლევან ფრუიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-16; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23. 11. 89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 01. 90 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07816. ტირაჟი 30.500. შეკვ. 2539. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

6103/19

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ინდექსი 76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ